www.PDF.ChiaturaINFO.GE



ჯონ აპდაიკი

ისთვიქელი ალქაჯები

Nature absorbs all...

ჯონ აპდაიკი

ისთვიჟელი ალქაჯები

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ

ეს წიგნი ქალებზეა და არა ალქაჯებზე...

ჯონ აპდაიკს ბევრი თვით ამერიკაშიც კი, სიცოცხლეშივე, „გრაფომანს“ უწოდებდა — ბევრი წერა კარგია, მაგრამ ასეთი „პროდუქტიულობა“ უკვე „უხერხულიც“ კი არისო.

ამაში მხოლოდ აპდაიკის ოცდაათ რომანს და უამრავ მოთხრობას კი არ გულისხმობდნენ, არამედ მის მრავალრიცხოვან ლექსსა და თითქმის ყველა თემაზე დაწერილ ურიცხვ სტატიას პრესაში: ბეისბოლის ჩემპიონატის ანალიზით დაწყებული, ფერწერული გამოფენის ანგარიშით გაგრძელებული და მუსიკალურ სიახლეთა მიმოხილვით დასრულებული.

ბევრი დიდი მწერალი მოვიდა ლიტერატურაში პრესიდან და აქაც არაფერი იქნებოდა საოცარი, მაგრამ აპდაიკი ამ მრავალმხრივ მოღვაწეობას უკვე სახელგანთქმული და 70 წელს გადაცილებულიც ეწეოდა.

ალბათ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ მიუხედავად 1990-2000-იანი წლების „უწიგნობისა“ და ყველაფრის „გაციფრულების“ ეპოქისა, აპდაიკი მაინც „კითხვად“ მწერლად რჩებოდა და არა მხოლოდ ამერიკაში.

საყურადღებოა, რომ სწორედ აპდაიკი იყო ის მწერალი, რომელმაც სასტიკად გაილაშქრა 2006 წელს „ნიუ-იორკ თაიმსის“ დამატებაში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, „გუგლის“ მიერ დაგეგმილი „უნივერსალური ბიბლიოთეკის“ წინააღმდეგ. სტატიის ავტორი ამბობდა: მართალია, მწერლები ვეღარ გაყიდიან თავიანთ წიგნებს, მაგრამ მათ შეეძლებათ ინტერნეტით უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ მომხმარებლებთან, ან თვითონ წაიკითხონ ნაწარმოებები, ჩანაწერები განათავსონ და ამაში აიღონ ფულიო...

იმავე გამოცემის უახლოეს ნომერში აპდაიკი წერდა: „შეშხარავი პერსპექტივაა... საკუთარი ნაწარმოებების შესრულება, უშუალო კონტაქტი ავტორთან, მკითხველის (ბოდიში, მომხმარებლის) ინდივიდუალური მომსახურება — ეს „პროგრესი“ იმ დროში დაგვაბრუნებს, როდესაც წერა-კითხვა არ არსებობდა... როდესაც თუკი არქაულ ადამიანს კოცონთან სიმღერის მოსმენა მოუნდებოდა, მას ამის ნიჭის მქონე თანამოძმე მცირეოდენი გასამრჯელოს ფასად, ან სულაც კომბლის შიშით შეუსრულებდა“. შემდეგ ის ამბობს, რომ ლიტერატურაში მუშაობის პირველ 15-20 წელიწადში ინტერვიუც კი არ მიუცია და წიგნის უკანა ყდაზე ავტორის ფოტოს დაბეჭდვაც არასწორად მიაჩნდა, რადგან მწერალმა მკითხველთან მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის საშუალებით უნდა ისაუბროსო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წიგნისადმი ასეთი „ძველმოდური“ დამოკიდებულების მიუხედავად, აპდაიკი ყოველთვის ფეხს უწყობდა დროს და რადგან ხვდებოდა, რომ მხატვრულ ნაწარმოებთა სცენასა თუ ეკრანზე გადატანა პოპულარობასთან ერთად, ზოგადად, მკითხველს უმრავლებდა კარგ ლიტერატურას, ყოველთვის სიამოვნებით თანხმდებოდა ამაზე.

1970 წლიდან მოყოლებული, როდესაც მისი ალბათ ყველაზე პოპულარული რომანი — „ბაჭია, გაიქეცი!“ ჯეკ სმაიტმა ფილმად აქცია, კიდევ 9-ჯერ მოხდა აპდაიკის რომანების ეკრანიზაცია და საყოველთაო აღიარებით, სწორედ წინამდებარე რომანის მიხედვით გადაღებული „ისთვიქელი ალქაჯები“ საუკეთესოა მათ შორის.

თვით ამ რომანის პოპულარობაც ბევრად განაპირობა პირველი ხარისხის კინოვარსკვლავების: შერის, სუზან სარანდონის, მიშელ პფაიფერისა და ჯეკ ნიკოლსონის მონაწილეობით გადაღებულმა ფილმმა. მრავალ ქვეყანაში (იქნებ ჩვენშიც) ბევრმა სწორედ კინოეკრანიდან გაიგო აპდაიკის შესახებ, მაგრამ თვითონ მწერალს საშინლად არ მოსწონდა ეკრანიზაცია — პრემიერის შემდეგ ნაწყენმა განაცხადა: ფილმის შემქმნელებმა უბრალოდ დაიწყეს ჩემი წიგნიო...

ალბათ ამ წყენის შედეგი იყო, რომ ამის შემდეგ ერთადერთი რომანი, რომელიც მოასწრო და სიცოცხლეშივე დაწერა და დაბეჭდა, „ისთვიქელი ალქაჯების“ გაგრძელება — „ისთვიქელი ქვრივები“ იყო, სადაც მობერებული და დაქვრივებული მთავარი გმირები, რომელთაც დაკარგეს ჯადოუნარები, ისთვიქში ბრუნდებიან. ამით მწერალს იმის „დაბრუნება“ უნდოდა, რის „წართმევასაც“ საყვედურობდა ფილმის შემქმნელებს: მე რიგით ამერიკელთა ამქვეყნიურ ცხოვრებასა და დარდებს აღვწერდი, ფილმის ავტორებმა კი აქცენტი მისტიკურ სიუჟეტზე გადაიტანესო.

ასეთია თვით ავტორის აზრი და, მკითხველო, თუკი რომელიმე თქვენგანი იფიქრებს, რომ რაკი ფილმი ნანახი აქვს, ამ რომანის წაკითხვა ზედმეტია, ღრმად შეცდებით — არა იმიტომ, რომ ფილმი ცუდია (მსახიობთა იმ თანავარსკვლავედის გამო, ეს შეუძლებელი იქნებოდა), არამედ იმიტომ, რომ ის სხვაა და წიგნი — სხვა.

სხვათა შორის, მიუხედავად „ჯადოქრული რომანის“ ავტორობისა, აპდაიკი თანამედროვე ამერიკის „ყველაზე ქრისტიან“ მწერლად იყო აღიარებული და თვითონ ძალიან ამაყობდა ამით, თუმცა აღნიშნავდა: „მე დავდივარ ეკლესიაში... მაგრამ ვხედავ წინააღმდეგობას ღმერთსა და მის შექმნილ სამყაროს შორის. ამიტომ სხვაზე მეტად თავისუფალი უნდა ვიყო, რათა აღვწერო ის, რასაც ვხედავ“.

ძალიან „ამერიკულად“ ჟღერს ეკლესიასთან დაკავშირებული მისი კიდევ ერთი ფრაზა: „ზოგიერთი ადგილი ძალიან უწყობს ხელს შთაგონებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაგალითად, ავტომობილი და ეკლესია. ე. ი. ის ადგილები, სადაც განმარტოებაა შესაძლებელი“.

ასე რომ, იმ ქართველ მკითხველს, ვინც რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე „უფრთხის“ ამ რომანის წაკითხვას (დანამდვილებით ვიცი, რომ ასეთებიც არიან), თამამად შეუძლია გადაშალოს წიგნი და თითქმის ასი წლით ადრე დაწყებული „ამერიკული რომანის“ ეპოქის „უკანასკნელი მოჰიკანის“ პროზას ეზიაროს, რადგან როგორც ერთმა კრიტიკოსმა უწოდა „ისთვიქელ ალქაჯებს“, ეს არის „ფსიქოლოგიური რომანი მისტიკის შუქჩრდილებით“ და იქვე წერდა:

„აპდაიკმა დაწერა არა მისტიკური რომანი, არამედ ბრწყინვალე ფსიქოლოგიური გამოკვლევა. თუმცა „ისთვიქელი ალქაჯები“ ყველა ასპექტში მშვენიერია — როგორც საინტერესო ამბავი; როგორც წიგნი, რომელიც ქმნის განწყობას და ასევე როგორც რომანი, რომელიც კიდევ უფრო ღრმად გვაცნობს ადამიანის, კერძოდ კი, ქალის ბუნებას“.

ნუ დაიწყებთ ამ რომანის პერსონაჟების დაყოფას დადებითებად და უარყოფითებად, ნუ ეცდებით ბოროტებისა და სიკეთის მუდმივი ჭიდილის ძებნას, უბრალოდ, წაიკითხეთ კარგი წიგნი სამი ჩვეულებრივად უბედური ქალის შესახებ (სხვათა შორის, ფილმისგან განსხვავებით, მათი მაცდუნებელი „ეშმაკი“-ნიკოლსონი, აქ მეორე პლანზეა), რომლებმაც არ იციან, რა არის ბედნიერება, მაგრამ ძალიან უნდათ, რომ ბედნიერები იყვნენ.

ერთი სიტყვით, ეს წიგნი ქალებზეა და არა ალქაჯებზე...

ზვიად დოლიძე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი პირველი

ალქაჯთა საბუდარი

„იგი შავგვრემანი მამაკაცი გახლდათ, სერიოზული,
კუშტი და თავშეკავებული“.
იზაბელ გაუდი,[1] 1662 წელი

„დაასრულა ჭკუის სწავლება თუ არა, ეშმაკი კათედრიდან
ჩამოვიდა და დამსწრეთ მიახლოება და მისთვის უკანალზე
კოცნა უბრძანა. ასეც მოიქცნენ. იგი ყველას ყინულივით
ცივი და ქვასავით მაგარი მოეჩვენა“.
აგნესა სემპსონი,[2] 1590 წელი

— კიდევ არის ერთი სიახლე, — სხაპასხუპით, მაგრამ მნიშვნელოვანი ხაზგასმით წარმოთქვა ჯეინ სმარტმა, თან ყოველ „ს“-ს იმ ბავშვივით წელავდა, რომელმაც თანატოლებთან თამაშისას ასანთის ღერის გავარვარებული თავი ხელისგულზე მიიდო და უეცრად განცდილი ტკივილისგან ჰაერი სტვენით შეისუნთქა, — სიუკმა თქვა, ლენოქსების სახლი ვიღაცას შეუძენიაო.

— მამაკაცს? — იკითხა ალექსანდრა სპოფორდმა, როდესაც მთავარი მოვლენების მიღმა დარჩენის საფრთხე იგრძნო. ამ თავდაჯერებულმა ტონმა დილის უშფოთველი განწყობილება მაშინვე შეუცვალა.

---

[1] *იზაბელ გაუდი — შოტლანდიელი ალქაჯი. 1662 წელს გაასამართლეს კუდიანობისა და შავი მაგიის თაყვანისცემისთვის. ყველაფერი მან წამების გარეშე აღიარა. ცნობა მისი სიკვდილით დასჯის შესახებ არ არსებობს.*

[2] *აგნესა სემპსონი — შოტლანდიელი ალქაჯი. სავარაუდოდ, კუდიანობისთვის გაასამართლეს და დასაჯეს 1591 წელს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნიუიორკელს, — სხარტად განაგრძო ჯეინმა, ბოლო მარცვალი თითქმის წაიყეფა და ასო „რ“ ამოაგდო, როგორც ეს მასაჩუსეტსელებს სჩვევიათ, — ცხადია, უცოლშვილოს.

— აჰ, ერთ-ერთი იმათგანი ყოფილა!

ალექსანდრა უსმენდა ჯეინის ჩრდილოურ კილოკავს ვიღაც მანჰეტენელი ჰომოსექსუალის შესახებ, მათ ტერიტორიაზე შემოჭრა რომ განეზრახა, და გრძნობდა, თუ როგორ ნაწილ-ნაწილ იჭრებოდა მისი სხეული ამ აუტანელ, საძაგელ როდ-აილენდის შტატში.[1] თვითონ დასავლეთში დაიბადა, სადაც ცად ატყორცნილი თეთრი და მოიისფრო მწვერვალების თავზე მსუბუქი ღრუბლის ქულები დაცურავდნენ, ჰორიზონტისკენ კი ბურბურები[2] მიიწევდნენ.

— სიუკი ამაში დარწმუნებული არ არის, — სწრაფად ჩაილაპარაკა ჯეინმა და მსტვინავი „ს“ შეიკავა, — ძალზე ზორზოხი ვინმე ყოფილა, უჩვეულოდ თმიანი ხელებით. უძრავი ქონების სააგენტოს თანამშრომლებისთვის უთქვამს, უზარმაზარ სახლში ლაბორატორიის მოწყობასა და რამდენიმე როიალის დადგმას ვაპირებო.

ალექსანდრამ ჩაიხითხითა (ხმა თითქმის ისეთივე ჰქონდა, როგორიც ბავშვობისას, როცა კოლორადოში ცხოვრობდა: ბგერები ყელიდან არც კი ამოსდიოდა). ამას მის მხარზე მოკალათებული პატარა სახლის სული აკეთებდა ჩიტუნიას ხმით. სინამდვილეში ტელეფონისგან უკვე ყური სტკიოდა და ლამის წინამხარიც გაშეშებოდა.

— საინტერესოა, რამდენი როიალი ესაჭიროება ერთ ადამიანს?

ამ სიტყვებმა ჯეინი თითქოს გაანაწყენა. იგი აბურძგნილ შავ კატას დაემსგავსა, მზეზე ბეწვი ცისარტყელას ფერებად რომ უბზინავს.

— ცხადია, სიუკი მხოლოდ იმის მიხედვით მსჯელობს, რაც გუშინ მარჯ პერლმა უამბო ძველი წყალსასმლის დაცვის კომიტეტის

---

[1] *როდ-აილენდის შტატი (სრული სახელია როდ-აილენდისა და პროვიდენსის პლანტაციების შტატი) — გეოგრაფიულად ყველაზე მცირე შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებში. მდებარეობს ახალი ინგლისის რეგიონში. ეს შტატი 1636 წელს დააარსა როჯერ უილიამსმა, რომელიც გაასახლეს მასაჩუსეტსიდან რელიგიური უთანხმოების გამო. 1790 წლიდან აშშ-ის შტატია.*

[2] *ბურბურა — აქ: მცენარე (ქარქვეტა, წინწკარა და სხვ.), რომელსაც ახასიათებს თესლის გავრცელების თავისებური ხერხი: თესლის მომწიფების შემდეგ მცენარის მიწისზედა ნაწილს ქარი ადვილად მოწყვეტს ხოლმე და ბურთივით მიაგორებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გუშინდელ სხდომაზე, — გამოექომაგა იგი მეგობარს. ეს კომიტეტი ზედამხედველობას უწევდა დიდი, ცისფერი მარმარილოს წყალსასმლის დაყენებას იქ, სადაც ოდესღაც ცხენები წყურვილს იკლავდნენ, ვანდალების თავდასხმის შემდეგ კი მის უსაფრთხოებაზეც ზრუნავდა. ისტორიულად ეს წყალსასმელი ისთვიქის ცენტრში, ორი მთავარი ქუჩის გადაკვეთაზე მდებარეობდა. ქალაქი ლათინურ L ასოს წააგავდა და ნარაგანსეტის ყურის დასერილი ნაპირის გასწვრივ იყო გაჭიმული. პორტის ქუჩაზე საქმიანი კანტორები გაეხსნათ, მის მართობულ მუხნარის ქუჩაზე კი ლამაზი სახლები იწონებდნენ თავს. „იყიდება“ — მარჯ პერლის მიერ ხეებსა და ღობეებზე გამოკრული ეს საშინელი, კანარის ჩიტისფერი, მოყვითალო აბრები ეკონომიკური ვარდნის ტალღების კვალდაკვალ ჩნდებოდა (ისთვიქი ბოლო ათი წლის განმავლობაში ხან დეპრესიას განიცდიდა, ხანაც კვლავ ფეშენებელურ დასახლებად გადაიქცეოდა ხოლმე). ხალხიც ხან ემატებოდა ქალაქს, ხანაც აკლდებოდა. ფხიანი მარჯი, შესაძლოა იყო კიდეც ალქაჯი, თუმცა ჯეინის, ალექსანდრასა და სუიკისგან აშკარად განსხვავდებოდა. მისი ქმარი, დაბალი, მოუსვენარი ჰომერ პერლი, ფორსაიტიების ცოცხალ ღობეს ძალზე მოკლედ კრეჭდა ხოლმე, რაც მას სხვებისგან ყოველთვის გამოარჩევდა.

— ქაღალდები პროვიდენსში გაუფორმებიათ, — განმარტა ჯეინმა და ალექსანდრას ყურს კვლავ უსიამოვნოდ მოხვდა მსტვინავი „ს“ სიტყვის ბოლოს.

„თმიანი ხელები“, — გაიფიქრა ალექსანდრამ. საშზარეულოს ხის კარადის ერთიანად დალაქავებულ-დაკაწრული კარი, რომელიც მრავალჯერ გადაეღებათ, ნისლში ჩაიძირა. ქალმა კარგად უწყოდა, თუ როგორი დაუოკებელი ვნება შეიძლება იმალებოდეს, ატომური რეაქტორის მსგავსად, გარეგნული სიმშვიდის მიღმა. თვალწინ მაგიური ბროლის სფერო წარმოუდგა და ცხადად დაინახა, რომ გაიცნობდა და შეიყვარებდა ამ კაცს, რასაც კარგი არაფერი მოჰყვებოდა.

— სახელი არა აქვს? — იკითხა მან.

— უფრო სულელურს ვერც კი მოიფიქრებ. მარჯმა სიუკს უთხრა, მან კი — მე, მაგრამ მაშინვე თავიდან ამომივარდა. რაღაც „ვან“, „ფონ“ თუ „დე“ ურევია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დიდებულია, — მიუგო ალექსანდრამ და მოხერხებულად მოეწყო. სულაც არ იყო წინააღმდეგი, თუ ვინმე მის დაუფლებას შეეცდებოდა. მაღალი, შავგვრემანი, საგვარეულო ბუდიდან განდევნილი, ყველასგან დაწყევლილი ევროპელი აქეთ-იქით დაეხეტებოდა... — როდის ჩამოდის?

— უთქვამს, მალეო. შესაძლოა, ჩამოვიდა კიდეც! — შეკრთა ჯეინი.

ალექსანდრამ თანამოსაუბრის წარმოდგენა სცადა: ვიწრო, ლოყებიდან თითქოს შეჭყლეტილ სახეზე მუქი თვალები, რომლებიც ახლოდან გაცილებით ღია იყო, ზედმეტად ფართო წარბებით მორკალვოდა. ალექსანდრა მოსული ქალი იყო და ყოველთვის ცდილობდა, რაღაცნაირად მოკუნტულიყო და თავი უკეთესი კუთხით წარმოეჩინა. ზარმაცი და გულცივი ყველაფერში ბედს მინდობოდა. პატარა და ტემპერამენტიანი ჯეინი ერთიანად დაჭიმულ სიმს ჰგავდა, სწრაფი და მიზანდასახული სიუკ რუჯმონტი კი მთელ დღეს ქალაქის ცენტრში ატარებდა, ახალ ამბებს აგროვებდა და ღიმილს არავისთვის იშურებდა.

ალექსანდრამ ყურმილი დადო და ჩაფიქრდა. ყოველივე სამ ნაწილად იყოფა. ჩვენ ირგვლივ ყველაფერი მოჯადოებულია — ბუნება არსებობის საკუთარ ფორმებს ეძებს და პოულობს კიდეც, კრისტალური და ორგანული სტრუქტურები სამოცგრადუსიანი კუთხითაა განთავსებული ტოლგვერდა სამკუთხედში, რომელიც საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

ალექსანდრამ კვლავ განაგრძო სპაგეტისთვის განკუთვნილი, ტომატის საწებლით სავსე ქილების დაწყობა. ამჯერად ბევრი გამოსვლოდა — ბავშვებთან ერთად იტალიურ ზღაპარში რომ აღმოჩენილიყო და იქ ას წელიწადს ეჯადოქრა, თავზე საყრელად ექნებოდათ. მოგუგუნე გაზქურაზე დიდი, ცისფერი, თეთრწინწკლებიანი ქვაბი თუხთუხებდა, საიდანაც ალექსანდრა დროდადრო დაორთქლილ ქილებს იღებდა. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ეს ერთგვარად სულელური ხარკი იყო მისი ამჟამინდელი საყვარლის, წარმოშობით იტალიელი წყალსადენის ხელოსნისადმი. სოუსს ხახვს კი არ უმატებდა, არამედ ორ კბილ ნიორს თავისივე რეცეპტის მიხედვით, წინასწარ დაქუცმაცებულს და სამი წუთის განმავლობაში (არც მეტი, არც ნაკლები — სწორედ ეს იყო ჯადოსნობა) მცენარეულ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზეთში გაჩერებულს. მჟავე გემოს შესარბილებლად ცოტაოდენ შაქარს, ერთ გახეხილ სტაფილოსა და მარილზე მეტ წიწაკას უმატებდა. ერთი ჩაის კოვზი დანაყილი რეჰანი — აი, რა სრულყოფდა სოუსის გემოს. მწიკვი ბელადონა[1] კი მას იმ სიმსუბუქეს სძენდა, ურომლისოდაც ეს მხოლოდ და მხოლოდ ჯოჯოხეთური ნაზავი იქნებოდა. შემდეგ ყოველივე საკუთარი ხელით მოყვანილ პომიდორს ემატებოდა. იგი ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში აგროვებდა პომიდორს და ფანჯრის რაფებზე აწყობდა, ახლა კი ჭრიდა და სათქვეფში ყრიდა.

ყველაფერი მას შემდეგ დაიწყო, რაც მის საწოლს ჯო მარინო შემოეჩვია. სახლთან მდებარე პატარა ბაღში, სადაც ხანგრძლივი ზაფხულის დღეებშიც კი მხოლოდ საღამოობით თუ ჩააღწევდა ხოლმე მზის თითო-ოროლა სხივი ტირიფის ფოთლების გავლით, ხის პატარა სარებზე აკურატულად ახვეული პომიდვრის ნაყოფიერებამ უჩვეულოდ მოიმატა. მოკლე, წვნიანი და ღია მწვანე ქაღალდის მსგავსი ღეროები ნაყოფის სიმრავლეს ვეღარ უძლებდა. მაგრამ ამ სიუხვეში რაღაც არაჯანსაღი იგრძნობოდა. ისეთი, როგორიც ბავშვის ტირილში, ნუგეშისცემას რომ ითხოვს. ადამიანური ხასიათით მცენარეთა შორის ყველაზე მეტად პომიდორი გამოირჩეოდა: ისეთივე სულსწრაფი, სუსტი და ლპობისკენ მიდრეკილი იყო. როდესაც ალექსანდრა რბილ მოწითალო-მოყვითალო ბურთულებს წყვეტდა, ეჩვენებოდა, რომ ხელში საყვარლის გიგანტური ყვერები ეჭირა; სამზარეულოში ფუსფუსისას კი ნაღვლიანად ასკვნიდა, ყოველივე რაღაცით მენსტრუალურ ციკლს ჰგავსო: სისხლივით წითელი სოუსი თეთრ სპაგეტიზე იღვრებოდა. მაკარონის ზეთიან, თეთრ ღერებს საკუთარ, კანქვეშა ცხიმს ამსგავსებდა. რაც შეეხება ქალის მუდმივ ბრძოლას წონასთან, თავისი ოცდათვრამეტი წლის გადმოსახედიდან ეს შერკინება სულ უფრო და უფრო არაბუნებრივად მიაჩნდა. ნუთუ მიმზიდველობის შესანარჩუნებლად უარი უნდა თქვას საკუთარ სხეულზე ძველი დროის რომელიმე აკვიატებული აზრით შეპყრობილი წმინდანის მსგავსად? ბუნება — მაჩვენებელი და საფუძველია ყოველგვარი სიჯანსაღისა, და თუკი გვშია, უნდა

[1] *ბელადონა (იტალ.) — შხამიანი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე. იყენებენ მედიცინასა და პარფიუმერიაში. ქართულად შმაგას ეძახიან.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დავნაყრდეთ, რათა კოსმოსური წესრიგი არ დაირღვეს. მაგრამ იგი ზოგჯერ მაინც კიცხავდა თავს სიზარმაცისა და იტალიელი საყვარლის გაჩენის გამო. იტალიაში კი, მოგეხსენებათ, სიმსუქნისადმი შემწყნარებლობას იჩენენ.

მას შემდეგ, რაც ქმარს გასცილდა, ალექსანდრას საყვარლები ძირითადად მიტოვებული, უსახლკარო მამაკაცები იყვნენ. მისი ყოფილი ქმარი ოსვალდ სპოფორდი, ნაირფერ მტვრად გადაქცეული, საშხარეულოს ზედა თაროზე მჭიდროდ თავდახურულ ქილაში განისვენებდა. ეს ქალმა თავად მოახერხა იმ უჩვეულო ნიჭის წყალობით, რომელიც შვიდი წლის წინ აღმოაჩინა საკუთარ თავში კონექტიკუტის შტატის ქალაქ ნორვიჩიდან ისთვიქში საცხოვრებლად გადმოსვლის შემდეგ. იმ მთაგორიან ქალაქში, სადაც ბევრი საღებავქერცლილი ეკლესია იდგა, ოზი სამაგრი დეტალების დამამზადებელ ქარხანაში მუშაობდა, მოქრომვაშიც შესანიშნავად ერკვეოდა. ისთვიქში ოზმა კონკურენტ ფირმაში, წიდაბეტონის ბლოკის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, პროვიდენსის სამხრეთით თითქმის ნახევარ მილზე რომ გადაჭიმულიყო ამ პატარა შტატის მრავალრიცხოვან უცნაურ სამრეწველო ნაგებობას შორის. აქ, როდ-აილენდში, ქალის შესაძლებლობები ისე განვითარდა, როგორც აირი ფართოვდება ვაკუუმში, ხოლო მისი ძვირფასი ოზი, ყოველდღიურად რომ ასრულებდა რეისებს მეოთხე გზატკეცილზე სახლიდან სამსახურში და უკან, ჯერ ჩვეულებრივი მამაკაცის ზომებში ჩაჯდა — ისთვიქის მარილით გაჟღენთილმა, მწვავე ზღვის ჰაერმა შთანთქა ამ პატრიარქალური რაინდის აბჯარი, — მერე ბავშვს დაემსგავსა, რომელიც მუდამ რაღაცას სთხოვდა ალექსანდრას და მასში მხოლოდ სიბრალულსა და დედობრივ გრძნობას აღვიძებდა. მან მთლიანად დაკარგა კონტაქტი ქალის სულიერ სამყაროსთან, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდებოდა; სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა „ახალგაზრდული ლიგის“ საქმიანობას, რომელშიც მისი ვაჟიშვილები მონაწილეობდნენ, და მშობლიური ქარხნის ბოულინგის გუნდს. ალექსანდრამ ჯერ ერთი საყვარელი გაიჩინა, მერე — მეორე, მესამე... რქადადგმული ქმარი კი თოჯინისოდენა გახდა. ღამღამობით, როდესაც ფართო, მოხერხებულ საწოლში ცოლის გვერდით იწვა, ხის შეღებილ საგზაო ბოძს ან პატარა ნიანგის ფიტულს წააგავდა. მათი ურთიერთობის ფაქტობრივად გაწყვეტის მომენტისთვის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბატონი და მბრძანებელი უბრალო მტვრად, უამრავ ნაირფერ ნაწილაკად იქცა, რომელიც ყველგან უადგილოდ მოჩანდა, როგორც ამას ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ აღნიშნავდა მისი სიდედრი. ალექსანდრამ მოხვეტა ისინი და ქილაში მოათავსა — სამახსოვროდ.

ოჯახურ ცხოვრებაში მსგავსი ცვლილებანი სხვა ალქაჯებმაც განიცადეს. ჯეინ სმარტის ყოფილი ქმარი მისი რანჩოს სარდაფში ეკიდა გამხმარი ბალახის კონებს შორის, რომელსაც ცოტ-ცოტას მოაწიწკნიდნენ ხოლმე და ცხარე საკაზმად იყენებდნენ. სიუკი რუჯმონტმა კი თავისი დაჩიავებული მეუღლე ფირფიტის სახით უკვდავყო და ჩაის სერვიზის ქვეშ ხელსახოცად იყენებდა. ბოლო გადაქცევა სულ ცოტა ხნის წინ მოხდა. ალექსანდრას ჯერაც ახსოვდა, როგორ იდგა მონტი საზაფხულო ზოლიან პიჯაკსა და ფართო, ღია მწვანე შარვალში გამოწყობილი, და ხმამაღლა მსჯელობდა გოლფის უკანასკნელი პარტიის დეტალებზე. გააფთრებით ლანძღავდა ნელ, წყვილში თამაშს, რომელიც მთელი დღის განმავლობაში უშედეგოდ მიმდინარეობდა. იგი ვერ იტანდა დიდგულა, მბრძანებლობის მოყვარულ ქალებს, ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში მონაწილე ისტერიკიანებს, „ლედიექიმებს“, ლედი ბერდ ჯონსონს, ლინდა ბერდსა და ლუსი ბეინსსაც[1] კი. მათ „ყვერებიან ძუკნებს“ უწოდებდა. როდესაც მონტი ხმამაღლა ქადაგებდა წრიპინა ხმით, შესანიშნავი, ორ რიგად ჩაწიკწიკებული საკუთარი მოზრდილი კბილები უელავდა. გახდისას გამხდარი, მოლურჯო, გულის ამაჩუყებელი ფეხები მოუჩანდა — არც ისე დაკუნთული, როგორც გოლფში ნავარჯიშები და ნამზეური ხელები. დუნდულები ბებერი ქალის ნაოჭებივით ნაკეცებად ეკიდა. მონტი ალექსანდრას ერთ-ერთი პირველი საყვარელი იყო. სიუკისთან სტუმრობისას უჩვეულო ღვარძლს გრძნობდა, როცა კუპრივით შავ ჩაის სვამდა და ფინჯანს პლასტიკატის ხელსახოცზე დგამდა.

ისთვიქის ჰაერი ქალებს უჩვეულო ძალას მატებდა. ამგვარი რამ ალექსანდრას არასოდეს განეცადა. შესაძლოა, მხოლოდ მაშინ, როცა თერთმეტი წლისა მშობლებთან ერთად მანქანით ვაიომინგის სიახლოვეს იმყოფებოდა და მოსაშარდავად გადმოსვეს. მშრალ მი-

---

[1] *ლედი ბერდ ჯონსონი, ლინდა ბერდსი, ლუსი ბეინსი — კლაუდია ჯონსონი (1912-2007), აშშ-ის პირველი ლედი, პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის მეუღლე; ლინდა ბერდი — მათი უფროსი ქალიშვილი, ლუსი ბეინსი — უმცროსი ქალიშვილი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წაზე სალბის ბუჩქთან სველი ლაქა რომ დაინახა, გაიფიქრა: „არაფერია, გაშრება“. ბუნება ყველაფერს ნთქავს. ეს ბავშვური შთაბეჭდილება სამუდამოდ დაამახსოვრდა. არც სალბის მოტკბო გემო დავიწყებია. ისთვიქს კი ყოველ წამს ზღვა ლოკავდა. პორტის ქუჩაზე გვერდიგვერდ ჩაჭეჭყილიყვნენ სუვენირების მაღაზიები არომატული სანთლებითა და ნაირფერი მინის მძივებით დამზადებული შტორებით, ალუმინის კონსტრუქციით აგებული ძველი კაფე, საფუნთუშე და საპარიკმახერო, იმას იქით ბაგეტის სახელოსნო, ადგილობრივი გაზეთის პატარა რედაქცია განუწყვეტლივ მოჭრიჭინე საბეჭდი მანქანებით და გრძელი, ჩაბნელებული, კავეულის ფარდული, რომელიც სომხური ოჯახის საკუთრებას წარმოადგენდა. ზღვის მარილიანი წყალი ყველგან აღწევდა: სახეებს ეშხეფებოდა, სანაპირო ხიმინჯებს ეხეთქებოდა, ქუჩის სადრენაჟო მილებს ელამუნებოდა, ზღვის დამაბრმავებელი ელვარების ათინათები ადგილობრივ დიასახლისთა თვალებში კრთოდა და ციმციმებდა, როდესაც მათ პატარა სუპერმარკეტიდან, სახელწოდებით „ყურესთან“, ფორთოხლის წვენი და ცხიმგაცლილი კარაქი, კონსერვირებული ძეხვის ქილები, პური და ფილტრიანი სიგარეტი მოჰქონდათ. ნამდვილი სუპერმარკეტი, სადაც მთელი კვირის სამყოფ პროდუქტს იძენდნენ, ნაპირიდან მოშორებით, ისთვიქის იმ ნაწილში მდებარეობდა, სადაც ადრე მინდვრები გადაჭიმულიყო. XVIII საუკუნეში იქ მდიდარი პლანტატორი არისტოკრატები ცხოვრობდნენ, რომლებიც პირუტყვსა და მონებს ფლობდნენ, ერთმანეთთან სტუმრად ცხენებზე ამხედრებულნი მიემართებოდნენ, წინ მონა მიუძღოდათ ბატონისთვის ჭიშკრის გასაღებად. ახლა კი ფართო, ასფალტიან ავტოსადგომზე, იქ, სადაც უწინ ადამიანი თავისუფლად სუნთქავდა კარტოფილისა და კომბოსტოს კვლებს შორის, ტყვიაშერეული გამონაბოლქვით დახრჩობაც კი შეიძლებოდა. ზუსტად იმ ადგილას, სადაც თაობიდან თაობამდე მოჰყავდათ ინდიელთა შესანიშნავი კულტურა — სიმინდი, „დეიტა-პროუბისა“ და „კომპიუტეკის“ მსგავსი უფანჯრო პატარა ქარხნები იდგა, სადაც თანამედროვე ელექტრონიკის სასწაულები ხდებოდა, მუშები კი პლასტიკურ ჩიპებს იხურავდნენ, რათა, ღმერთმა დაიფაროს და, ქერტლი ნამცეცა დეტალებზე არ მოხვედრილიყო.

თუმცა როდ-აილენდი ყველაზე პატარაა ორმოცდაათ შტატს შორის, მას ჯერაც არ დაუკარგავს ძველებური ამერიკული გაქანება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იქ, სადაც მყარად მოიკიდა ფეხი სამრეწველო წარმოებამ, თითქმის აუთვისებელი ადგილები და მიტოვებული სახლებიც არსებობდა. ქალაქის ცენტრთან ახლოს მდებარეობდა დაუკავებელი მიწის ნაკვეთები — აქ ნაჩქარევად გაეყვანათ სწორი, მოასფალტებული გზა, — ერიკით[1] დაფარული მინდვრები და მოშიშვლებული ნაპირები ყურის ორივე მხარეს, უზარმაზარი სოლივით რომ გაეპო მიწა ლამის შტატის გულამდე, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ დედაქალაქს. ამ რაიონს კოტონ მათერმა[2] „სამყაროს დასალიერი“ და „ახალი ინგლისის ჩასადენი თხრილი“ შეარქვა. ეს დანაოჭებულ-ბორცვიანი რელიეფის მქონე ადგილი, ათვისებული ისეთ გარიყულ ახალმოსახლეთა მიერ, როგორიც მომაჯადოებელი ენ ჰატჩინსონი[3] იყო (სამწუხაროდ, იგი მალევე გარდაიცვალა), არასოდეს აცხადებდა პრეტენზიას თვითმმართველობაზე. აქ ყველაზე გავრცელებული საგზაო ნიშანი სხვადასხვა მხარეს მიმართული ორი ისარია. მწირ, ალაგ-ალაგ დაჭაობებულ მიწებზე მდიდრებს სპორტული მოედნები მოეწყოთ. თუ თავდაპირველად შტატი კვაკერებისა და ანტინომების, პურიტანიზმის უკანასკნელ აპოლოგეტთა თავშესაფარს წარმოადგენდა, ახლა აქაურობას კათოლიკეები პატრონობდნენ. გაუგებარი სტილის ნაგებობებს შორის საზღვაო ფრეგატებივით[4] აღმართულიყვნენ მათი წითელი ვიქტორიანული[5] ტაძრები. ძნელად თუ შეხვდება კაცი სხვაგან სიმწვანის ამგვარ კაშკაშა ლაქებს, ლიქენის[6] სარტყელივით რომ შემოჭდობია შტატის სხეულს და დიდი დეპრესიის

---

[1] *ერიკა, იგივე მანანა — მცენარეთა გვარი მანანასებრთა ოჯახისა.*

[2] *მათერი, კოტონ (1663-1678) — ლიტერატორი და ღვთისმეტყველი ახალი ინგლისიდან. ავტორი წიგნისა „ამერიკის ქრისტიანული სიდიადე“.*

[3] *ჰატჩინსონი, ენ (1591-1643) — ამერიკელი პურიტანი მქადაგებელი ქალი.*

[4] *ფრეგატი — აქ. საყარაულო და წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მებრძოლი გემი.*

[5] *ვიქტორიანული — უკავშირდება დიდი ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას (1819-1901) სახელს. მისი მეფობა დაემთხვა დიდი ბრიტანეთის მსოფლიო საავაჭრო-სამრეწველო ჰეგემონობის დამკვიდრებისა და უზარმაზარი კოლონიური იმპერიის ჩამოყალიბების ხანას. მართალია, ვიქტორიას წვლილი სახელმწიფო საქმეებში არც ისე მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მისი სახელი ბრიტანულ ლიტერატურაში მისივე სიცოცხლეში იქცა მმართველი კლასების კეთილდღეობისა და თვითკმაყოფილების ერთგვარ სიმბოლოდ. დედოფლის ზეობის ხანას ვიქტორიანული ეპოქა ეწოდა. შესაბამისად, აქედან მომდინარეობს ეპითეტი ვიქტორიანული, რაც სწორედ ამ ეპოქის ხელოვნების, ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებათა მახასიათებელია არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში.*

[6] *ლიქენი — დაბალი ტანის მცენარე. წარმოადგენს სოკოსა და წყალმცენარის სიმბიოზს. იზრდება მიწაზე, ქვაზე, ხეზე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემდეგაც ასე დარჩენილა. თუ შტატის საზღვარს გადაკვეთთ და სადმე პაუტაკეტეში ან ვესტერლიში აღმოჩნდებით, თვალში ძლივს შესამჩნევი ცვლილებები გეცემათ: მხიარული აბურძგნილობა, გარეგნობის არაფრად ჩაგდება, უცნაური უზრუნველობა. ფიცრული ქოხების მიღმა წარმოუდგენელი სივრცე იშლება, სადაც მხოლოდ გზისპირა ფარდული შარშანდელი აბრით („კორნიშონი“) თუ მიუთითებს ადამიანის დამრთგუნველ და დამანგრეველ საქმიანობაზე.

სწორედ ამ ადგილებში მიდიოდა ახლა მანქანით ალექსანდრა, რათა ცალი თვალი მაინც შეევლო ლენოქსების ძველი სახლისთვის. გოგრისფერ მიკროავტობუს „სუბარუში“ შავი ლაბრადორი, კოულიც ჩაესვა. საწებლით სავსე სტერილიზებული ქილების ბოლო პარტია გასაგრილებლად საშზარეულოს მაგიდაზე დატოვა, მაცივრის კარზე კი „სნუპად“ წოდებული ძაღლის ფორმის მაგნიტით ბარათი მიამაგრა თავისი ოთხი შვილისთვის: „რძე მაცივარშია, ფუნთუშები — საპურეში. ერთ საათში დავბრუნდები. გკოცნით“.

ლენოქსების ოჯახმა, როდესაც როჯერ უილიამსი[1] ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ნარანგასეტის ინდიელთა ტომის ბელადებს მოტყუებით იმდენი მიწა წაართვა, რომ ევროპაში ბარონეტების მთელ ჯგუფს ეყოფოდა. და თუმცა ვინმე მაიორი ლენოქსი გმირულად დაიღუპა ინდიელთა ბელად „მეფე ფილიპთან“ ჭაობებში გამართულ ბრძოლაში, მისი შვილთაშვილი ემორი კი 1815 წელს ჰარტფორდში გამართულ ყრილობაზე ცხარედ მოითხოვდა ჩრდილოამერიკული შტატების კავშირიდან ახალი ინგლისის გამოყოფას, ლენოქსების ოჯახის საქმე უკან წავიდა. ისთვიქში ალექსანდრას ჩასვლის დროისთვის სამხრეთ ოლქში არცერთი ლენოქსი აღარ დარჩენილიყო მოხუცი ქვრივი ქალის, აბიგეილის გარდა, რომელიც თვალწარმტაც, მაგრამ მიყრუებულ სოფელ ოლდ ვიკში ცხოვრობდა. დედაბერი შარა-შარა დადიოდა, ცხვირში რაღაცას დუდღუნებდა და ბიჭების მიერ ნასროლი ქვების თავიდან აცილებას ცდილობდა. როდესაც ადგილობრივი პოლიციელი მათ წესრიგისკენ მოუწოდებდა, პასუხობდნენ, რომ ასე საკუთარ თავს გათვალვისგან იცავდნენ. ლენოქსების ვრცელი მიწები, კარგა ხანია, ნაწილ-ნაწილ იყო დატაცებული. უკანასკნელმა ფხიანმა ლენოქსმა დიდი ხნის წინ

[1] *უილიამსი, როჯერ (1603-1683) — ცნობილი ამერიკელი მოაზროვნე, ორთოდოქსული პურიტანიზმის მოწინააღმდეგე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ააშენა აღმოსავლეთის პლაჟის უკან, მარილიან ჭაობებში მდებარე ოჯახის კუთვნილ კუნძულზე აგურის დიდი სახლი, რომელიც სტილით კი ჰგავდა იმ ოქროს საუკუნეში ნიუპორტსა და ქალაქგარეთ აშენებულ მდიდრულ კოტეჯებს, მაგრამ გაქანებით მათ აშკარად ჩამოუვარდებოდა. თუმცა დამბაც არსებობდა და გზაზეც სისტემატურად იყრებოდა ღორღი, მოქცევის დროს სახლში მცხოვრებნი გარე სამყაროსგან მოწყვეტილნი რჩებოდნენ. 1920 წლიდან აქ ზოგჯერ სახლის მფლობელებიც მოდიოდნენ — ყოველ მოსვლაზე ახლები, — ამიტომ სახლი თანდათან გაპარტახდა. დიდი მოწითალო და მონაცრისფრო-მოცისფრო კრამიტი ზამთრის ქარიშხლების დროს შეუმჩნევლად ცვიოდა ძირს და ზაფხულში მოუთიბავ ბალახში ადამიანს უსახელო საფლავის ქვებს მოაგონებდა. ოსტატურად გამოჭედილი სპილენძის წყალსადინარი ღარები და წყალსაშვებები დაძველდა და გამწვანდა. შენობის მდიდრულად მორთული, ოთხივ კუთხივ მზირალი რვაკუთხა გუმბათი შესამჩნევად გადახრილიყო დასავლეთისკენ. ორგანის მილებივით აღმართული და დაძარღვული კისრის მსგავსი მასიური საკვამურებიდან ალაგ-ალაგ აგური გამოვარდნილიყო და შეკეთებას საჭიროებდა. და მაინც, ალექსანდრამ ჩათვალა, რომ შორიდან სახლი ძალიან შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. მან მანქანა სანაპიროსთან გამავალ გზატკეცილზე გააჩერა და მიიხედ-მოიხედა.

სექტემბერი იდგა — ზღვის მოქცევა-უკუქცევის სეზონი. ჭაობი გზასა და კუნძულს შორის, რომელზეც სახლი იდგა, ცისფერი სარკესავით პრიალებდა, საიდანაც ალაგ-ალაგ კონებად ამოჩრილიყო ოქროსფერი, მარილით დაფიფქული ბალახი.

მოკირწყლული გზა ერთ-ორ საათში გამოჩნდებოდა. ხუთი დაწყებულიყო. სიჩუმე იდგა. მზე ღრუბლების სქელი ფენის მიღმა მიმალულიყო. უწინ სახლს თელების ხეივანი ეფარებოდა, რომელიც დამბის ბოლოდან იწყებოდა და მთავარ შესასვლელამდე გრძელდებოდა. დროთა განმავლობაში ხეებს ჰოლანდიური თელების ავადმყოფობა შეეყარა და დაიღუპნენ. მათგან მხოლოდ ტოტებმოჭრილი მაღალი ვარჯებიღა დარჩა, რომლებიც გზის პირას ადამიანებივით ჩამწკრივებულიყვნენ და წინ გადახრილნი, როდენის უხელებო ბალზაკის ქანდაკებას დამსგავსებოდნენ. სახლის მკაცრად სიმეტრიული ფასადი ფანჯრების სიმრავლით გამოირჩეოდა, რომლე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბიც საკმაოდ პატარა მოჩანდა, განსაკუთრებით მესამე სართულზე, სახურავის ქვეშ, სადაც მოსამსახურე ცხოვრობდა. დიდი ხნის წინათ, როდესაც ალექსანდრა პატიოსანი ქალის შესაფერისი ცხოვრების წესს მისდევდა, იგი აქ ერთხელ ოზთან ერთად დიდ დარბაზში გამართულ საქველმოქმედო კონცერტს დაესწრო. იქიდან მხოლოდ მწირი ავეჯით გაწყობილი, ზღვის მარილისა და ობის სუნით გაჟღენთილი ოთახების ანფილადა დაამახსოვრდა, სადაც ჯერაც იგრძნობოდა წარსული დროს ტარებისა და გართობის კვალი. სახურავზე ბუნდოვნად იხატებოდა გადარჩენილი თეთრი კრამიტი, რომელიც ჩრდილოეთიდან წამოსულ სიბნელეს ერწყმოდა, მაგრამ სახლს ზემოთ მხოლოდ ცას გადაკრული ღრუბლები როდი მოჩანდა. მარცხენა საკვამურიდან ვიწრო ზოლად კვამლი ამოდიოდა. სახლში ვიღაც იყო.

თმიანი მამაკაცი.

ალექსანდრას მომავალი საყვარელი.

ეს ალბათ დაქირავებული მუშა ან დარაჯი იქნებაო, გადაწყვიტა ქალმა, თან დაჟინებით, დაძაბულად ჩაშტერებოდა სივრცეს. ცუდ ხასიათზე დადგა, სახე ჩამუქებული ცასავით მოეღუშა, როდესაც წარმოიდგინა, თუ რა საცოდავად გამოიყურებოდა. ჟურნალ-გაზეთები ერთხმად გაჰყვიროდნენ ქალური სურვილების სიძლიერის შესახებ: სექსუალური თანასწორობა გაუკუღმართებულ ფორმებს იღებდა, წესიერ ოჯახებში აღზრდილი გოგონები კისერზე ეკიდებოდნენ ავხორც როკვარსკვლავებს, მოუმწიფებელ, წვერგაუპარსავ, გიტარებიან ყმაწვილებს ლივერპულისა თუ მემფისის ჯურღმულებიდან. იდუმალი გზებით ისინი გაუგებარ ძალაუფლებას იძენდნენ, უზნეო კერპებს კეთილშობილი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები თვითმკვლელ ორგიებამდე მიჰყავდათ. ალექსანდრას თავისი პომიდვრები გაახსენდა — როგორი შმაგი ძალა იმალებოდა მათ გლუვ სიმრგვალეში. მან თავისი უფროსი ქალიშვილი მის ოთახში რომელიმე Monkees-თან ან Beatles-თან მარტოდ დარჩენილი წარმოიდგინა... ერთია თვითონ, დედა, მარსი კი სულ სხვაა, ფიქრობდა იგი და კვლავ სახლს აკვირდებოდა.

ზმანების გასაგდებად მან თვალები დახუჭა, შემდეგ კოულთან ერთად მანქანაში ჩაჯდა და პლაჟისკენ მიმავალი მოასფალტებული გზით ნახევარი მილი გაიარა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სეზონის დამთავრებისა და პლაჟის დაცარიელების შემდეგ ძაღლის გაშვება უსაყელურადაც შეიძლებოდა. მაგრამ ახლა თბილი დღე იდგა და ვიწრო ავტოსადგომი ძველ ავტომობილებსა და ავტოფურგონებს გაევსო, რომლებზეც შტორები ჩამოეშვათ და ფსიქოდელიური ეტიკეტები მიეკრათ, რაც ყოველი ნარკომანისთვის გასაგები იყო. საშხაპეებისა და პიცის ფარდულისგან მოშორებით, ქვიშაზე, ზანტად გაწოლილიყვნენ საცურაო ტრუსებში გამოწყობილი ახალგაზრდები ჩართული ტრანზისტორებით. ზაფხული და სიჭაბუკე უსასრულოდ გრძელდებოდა. ალექსანდრა პლაჟზე ქცევის წესებს პატივისცემით ეპყრობოდა და მანქანაში, უკანა სავარძელზე, თოკი ედო. მან იგი კოულს საყელურის რგოლში გაუტარა. ძაღლი გამწარდა, გაიწია და თოკი დაქაჩა. ალექსანდრას ქვიშაში სიარული უძნელდებოდა. იგი შეჩერდა და ჩალისფერი მაშიები ხეფენილის ბოლოსკენ, დამჭკნარ ბალახში მოისროლა. მოქცევას ორმეტრიანი ფიცრები აქეთ-იქით გაეფანტა და მოსწორებულ ქვიშაზე ბოთლები, ტამპონების საფუთავები და ლუდის ქილები დაეტოვებინა, რომელთა ფერადი ეტიკეტებიც წყალში დიდხანს ყოფნისგან გაუფერულებულიყო. ეს უსახელო ქილები საეჭვოდ გამოიყურებოდა. ტერორისტები სწორედ ასეთებში მალავენ ხოლმე ბომბებს და ხალხმრავალ ადგილებში ტოვებენ, რათა ძირი გამოუთხარონ არსებულ წყობილებას და ომის შეწყვეტას მიაღწიონ. კოული ჯიუტად ექაჩებოდა პატრონს ნიჟარებით დაფარული მართკუთხა ქვის ბლოკების გროვისკენ, რომლებიც ოდესღაც მდიდრების მიერ აგებული მოლოს ნაწილს შეადგენდნენ — მაშინ აქ საზოგადოებრივი პლაჟი ჯერ არ არსებობდა. ბლოკები შავწინწკლებიანი ღია ფერის გრანიტისგან გამოეკვეთათ, ყველაზე დიდს კავი შემორჩენოდა. დაჟანგული და მოხდენილად შეთხელებული, ჯაკომეტის[1] ნამუშევრებს დამსგავსებოდა. ტრანზისტორებიდან წამოსული როკმუსიკით გარშემორტყმული ალექსანდრა ქვიშას მიუყვებოდა. გრძნობდა, რომ ზორზოხი ტანით, ფეხშიშველა, მამაკაცის განიერ ჯინსის შარვალსა და ჩვიდმეტი წლის წინ პარიზში, თაფლობის თვეში ნაყიდი ალჟირული ფარჩის ჟაკეტში ალქაჯს წააგავდა. თუმცა ზაფხულობით

[1] *ჯაკომეტი, ალბერტო (1901-1966) — შვეიცარიელი მოქანდაკე, მხატვარი და გრაფიკოსი, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრა ბოშა ქალივით შავგვრემანი ხდებოდა, მის ძარღვებში ჩრდილოური სისხლი მიედინებოდა, ქალიშვილობის გვარი კი სორენსენი იყო. ცრუმორწმუნე დედა ხშირად უმეორებდა, რომ გათხოვებისას გვარი არ გამოეცვალა, მაგრამ მაშინ ალექსანდრა ჯადოქრობას სერიოზულად არ აღიქვამდა და შვილების გაჩენას ეშურებოდა. მარსი პარიზში, რკინის საწოლზე ჩაისახა.

ალექსანდრას გრძელი, მსხვილი ნაწნავის გაკეთება უყვარდა, რომელსაც ზოგჯერ კეფაზე იმაგრებდა. ნამდვილი ვიკინგივით ქერათმიანი არ იყო, უფრო ფერფლის ელფერი დაჰკრავდა, ზოგან, უმეტესწილად წინიდან, ჭაღარაც გამორეოდა. კისერი კი კვლავაც მოხდენილი ჰქონდა და არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ გოგონებს, მზეზე რომ ირუჯებოდნენ. ახლა სწორედ მათ შორის მიაბიჯებდა — თითქოს საგანგებოდ შერჩეული ახალგაზრდა ქალიშვილების გლუვკანიან, კარამელისფერ, თეთრად შეღინღლულ ფეხებს შორის. ერთ გოგონას დოლივით დაჭიმული ბიკინის ძირი მზეზე ულაპლაპებდა.

კოული შიგადაშიგ ყვინთავდა, შემდეგ ენერგიული ფრუტუნით წყალს იცილებდა, თავს იკატუნებდა, აქაოდა ოკეანის ნაპირზე წაბლისფერი წყალმცენარეების იოდოვან ანაორთქლში რომელიღაც ცხოველის კვალს მივაგენიო. პლაჟი დაცარიელდა. ერთმანეთს გადახვეული ახალგაზრდა წყვილი სილაში მათი სიმძიმისგან გაჩენილ ჩაღრმავებაში იწვა. ვაჟი ქალიშვილს ყელს ქვემოთ არსებულ ღრმულთან ისე ჩასჩურჩულებდა, როგორც მიკროფონში. სამი დაკუნთული, ქარისგან თმააწეწილი ჭაბუკი ზამბარისებურად დახტოდა და რაღაცას გაჰყვიროდა: ისინი მფრინავი თეფშებით ერთობოდნენ. როდესაც ალექსანდრამ განზრახ დართო ნება თავის ღონიერ, შავ ლაბრადორს, რომ მათ მიერ გაკეთებულ სამკუთხედში აღმოჩენილიყო, ახალგაზრდებმა თავხედური ყვირილი და ტყორცნა დროებით შეწყვიტეს, თუმცა ჩავლილს ზურგს უკან „კუდიანი“ თუ „ბრუციანი“ მოესმა. მაგრამ, შესაძლოა, მხოლოდ მოესმა ან ტალღის ტლაშუნმა შეაცდინა. იგი გამოფიტული ბეტონის კედელთან მივიდა, რომელზეც დაჟანგული მავთულხლართი იყო მიმაგრებული, რაც საზოგადოებრივი პლაჟის დასასრულს აღნიშნავდა. მაგრამ აქაც მოჩანდნენ ახალგაზრდათა პატარ-პატარა ჯგუფები და ისინი, ვინც მათი საზოგადოებისკენ მიილტვოდა. ამიტომ ალექსანდრამ საბრალო კოულის აშვება ვერ გაბედა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძაღლს კი თავისუფლად სირბილი სურდა და ისე იქაჩებოდა, რომ ქალს თოკი ხელს უწვავდა. უჩვეულოდ წყნარი ზღვა ტრანსში გაშეშებულს ჰგავდა. მხოლოდ შორს, ზღვის ზედაპირის ხმოვან სცენაზე, რძესავით თეთრი ფურთუნების სიახლოვეს რახრახებდა კატარღა. ქალის მეორე მხარეს, თითქმის იქვე, დიუნებზე, თაგვის ცირცველა და ხაოიანი საკმელი განფენილიყო. პლაჟი ვიწროვდებოდა და სრულიად ინტიმური ხდებოდა, რასაც დახვავებული ქილები და ბოთლები, დანთებულ კოცონთა კვალი, ღვინის გასაცივებელი თერმოსის ნამსხვრევები და პატარა, გამხმარ მედუზებს დამსგავსებული პრეზერვატივები მოწმობდა. ცემენტის კედელზე საღებავით შეყვარებულთა სახელები ერთმანეთში ჩაეწნათ. აქ ყველაფერი წაბილწული იყო, ოკეანე მხოლოდ ნაბიჯების ხმას აქრობდა.

ერთ ადგილას დიუნები დაბლდებოდა და ლენოქსების სახლი სხვა კუთხით მოჩანდა: გუმბათის ორივე მხარეს საკვამურები კაკაჩას გაშლილი ფრთებივით აღმართულიყო. გაღიზიანებულ ალექსანდრას შურისძიება სწყუროდა. თავმოყვარეობა შელახოდა. სიტყვა „კუდიანმა“ და თავაშვებული ახალგაზრდების გამომწვევმა ქცევამ აღაშფოთა. სწორედ მათ გამო ვერ შეძლო მან, რომ ძაღლი აეშვა და საუკეთესო მეგობრისთვის თავისუფლებით ტკბობის შესაძლებლობა მიეცა. ამიტომ გადაწყვიტა, ჭექა-ქუხილი გამოეწვია, რათა ის და კოული პლაჟზე მარტო დარჩენილიყვნენ. სულიერი მდგომარეობა ყოველთვის ბუნებასთან კავშირშია. როდესაც ქალს რაღაც შეურაცხყოფს, მხოლოდ მიმართულების შეცვლაა საჭირო, რაც სულაც არ არის ძნელი. თავისი არსებობის დანიშნულების გაცნობიერების შედეგად, ალექსანდრას მრავალმხრივ გასაოცარმა ნიჭმა მოწიფულ ასაკში ფრთები გაშალა. ადრე მას კარგად არ ესმოდა, რომ არსებობის უფლება ჰქონდა, რომ ბუნებამ იგი გაუაზრებლად კი არ შექმნა, თანაც, ყველა სიკეთესთან ერთად, მრუდე ნეკნიდან, როგორც ეს ყბადაღებულ ცნობილ წიგნში „Malleus Maleficarum“[1] არის გადმოცემული, არამედ როგორც ბურჯი სამყაროსი, რომელიც უკვდავებისკენ მიისწრაფვის, როგორც ქალიშვილის ქალიშვილი, როგორც ქალი, ვისი ქალიშვილებიც, თავის მხრივ, ქალიშვილებს შობენ. ალექსანდრამ თვალები დახუჭა, კოული კანკალებდა

---

[1] *„ალქაჯების ურო“ (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და შეშინებული ყმუოდა, მას კი მთელი არსებით სურდა — არსებით, რომელმაც შეიცნო სიცოცხლის მთელი უწყვეტი პროცესი წარსულში, მომდევნოდან წინა თაობისაკენ, პრიმატებისკენ და უფრო შორს, ხვლიკებისა და თევზებისკენ, წყალმცენარეებისკენ, რომელთაც თავიანთი უწვრილესი ძაფების თბილ ხლართებში, მხოლოდ მიკროსკოპში რომ მოჩანს, შექმნეს პირველი დნმ და თვით შექმნის უწყვეტი პროცესი, რომელიც უკუ მიმართულებით ყოველგვარი სიცოცხლის დასასრულისკენ მიდის, პროცესი, რომელიც ფორმიდან ფორმისკენ ფეთქავს, სისხლისგან იცლება, ეგუება სიცივეს, ულტრაიისფერ გამოსხივებას, მწვავე, მომთენთავ შზეს, — სურდა, რომ მისი არსების ამგვარ მდიდარ სიღრმეებს მის თავს ზემოთ არსებული ჰაერის უზარმაზარი მასები გაემუქებინა, შეემჭიდროებინა და ელვა გაეჩინა. ჩრდილოეთით მართლაც დაიგრუხუნა, ისე შორს, რომ ქუხილი მხოლოდ კოულმა გაიგონა. მან ყურადღება დაძაბა და ყურები დაცქვიტა.

— მერტალია, მუსოლია, დოფალია, — ხმადაბლა, თავისთვის ამბობდა ქალი აკრძალულ სახელებს, — ონემალია, ზიტანსია, გოლდაფეირა, დედალსეირა.

უეცრად ალექსანდრამ იგრძნო, რომ ძალიან გაიზარდა, დედობრივი მრისხანების მსგავსი განცდა დაეუფლა, მთელი ეს მიყუჩებული სექტემბრის სამყაროც შეისრუტა და თვალები ფართოდ გაახილა.

ჩრდილოეთიდან ცივმა ქარმა დაუბერა და მოშორებით მდგარ საშხაპეს ალმები მოჰგლიჯა. პლაჟის ბოლოში, სადაც ყველაზე მეტი დამსვენებელი იმყოფებოდა, ჯერ გაოცების ერთიანი შეძახილი გაისმა, შემდეგ კი — ნერვიული სიცილი, როდესაც ქარი გაძლიერდა და ქალაქის თავზე პროვიდენსის მხარეს ცა მოიწმინდა და მკვრივ, ნახევრად გამჭვირვალე, მეწამულ კლდეს დაემსგავსა — გემინეა, გეგროფეირა, სედანი, გილტარი, გოდიბი, — ამ კლდის ძირში თეთრი ქულა ღრუბლები, რომლებიც წუთის წინ ისეთივე უწყინრად გამოიყურებოდნენ, როგორც ტბორის ზედაპირზე მოცურავე ყვავილები, უეცრად ბოლქვ-ბოლქვად ავარდნენ, მათმა გვერდებმა კი გაშავებულ ცაზე მარმარილოსავით გაიელვეს. ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა. ქვიშა თავის ნაფეხურებიანად, აგრეთვე ბალახითა და მცოცავი ჩოღანოთი დაფარული პატარა ორმოებით, რომელზეც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალი ფუნთუშა, შიშველი ფეხებით იდგა, — დაკოჟრილი თითები წლების მანძილზე ფეხსაცმელს გაეწამებინა, თუმცა ეს მამაკაცების საამებლად და სილამაზის სასტიკ მოთხოვნათა შესაბამისად კეთდებოდა, — მოულოდნელად ლავანდისფრად შეიღება და, ატმოსფეროში მიმდინარე ცვლილებების ზემოქმედებით, გაშლა-გასწორება დაიწყო, როგორც ეს კამერის გაბერვისას ხდება, ფეხის ნაკვალევი კი ნეგატივზე გამოსახულს დაემსგავსა. მისი შეურაცხმყოფელი ახალგაზრდებიდან ერთ-ერთს ქარმა მფრინავი თეფში ხელიდან გამოჰგლიჯა და ცაში ქაღალდის ფრანივით აიტაცა. ამის დანახვაზე ყველა აჩქარებით შეუდგა ტრანზისტორების, ჩოგბურთის ფეხსაცმელების, ჯინსებისა, ლუდის ქილებისა თუ წყლის ბოთლების შეგროვებას. შეყვარებული წყვილიც აფუსფუსდა. ქალიშვილი ვერაფრით დამშვიდებულიყო, ჯერაც სლუკუნებდა, ახალგაზრდა კაცი კი მოუხერხებლად ცდილობდა მისი ბიკინის ლიფის დუგმებთან გამკლავებას. კოულს წნევის მკვეთრი ვარდნის გამო ყურები დაჰგუბებოდა და უაზროდ ყეფდა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს.

ბოლოს უზარმაზარმა გულგრილმა ოკეანემაც იგრძნო ცვლილება, მშვიდად რომ გაწოლილიყო ბლოკ-აილენდამდე. წყლის ზედაპირი ათრთოლდა, იმ ადგილას კი, სადაც ჩავლილი ღრუბლის ჩრდილი შეეხო, აღელდა და ცეცხლივით აენთო. კატარღის ძრავამ რახრახს უმატა. იალქნიანი გემები ზღვაში გაუჩინარდნენ, ერთობლივად მომუშავე ძრავებმა ნავსადგურისკენ მიმავალ გზაზე წყალი გვარიანად ააქაფეს, მათი ხმაური კი გუგუნში გადაიზარდა. უეცრად ქარი ჩადგა და წვიმამ დასცხო. მსხვილი, ცივი წვეთები კაცს აფიქრებინებდა, სეტყვა მოდისო. ალექსანდრას ოქროსფრად გარუჯულმა წყვილმა ჩაურბინა. ისინი პლაჟის შორეულ ბოლოში, საშხაპეების უკან მდგარი მანქანისკენ მიიჩქაროდნენ. აი, დაიქუხა კიდეც მუქი ღრუბლით დაფარული კლდის წვერზე, რომლის წინაც ქარი ღია ფერის პატარა ღრუბლებს მიერეკებოდა. ისინი ხან ბატებს ჰგავდნენ, ხან ხელების ქნევით მოლაპარაკე ორატორებს, ხანაც ნართის გამოხსნილ გორგლებს. თქეში წვრილმა წვიმამ ჩაანაცვლა, რომელიც თეთრად აქაფებულ ჭავლებს ასხამდა, როცა ქარი ამ არფის სიმებს თავისი თითებით სათითაოდ ჩამოუვლიდა. იდგა ალექსანდრა ცივი წვიმის ქვეშ და თავისთვის იმეორებდა: „იეზოილი, მიუზილი, პიური, ტამენი“. თოკებში გახლართული კოული მის ფეხებთან წკ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მუტუნებდა, კანკალებდა, მბზინავი ბეწვი ტანზე მიჰკვროდა. წვიმის ფარდის მიღმა ქალმა დაინახა, რომ პლაჟი დაცარიელებულიყო. მან ძაღლს თოკი შეხსნა და გაუშვა.

მაგრამ შეშინებული კოული წასვლას არ აპირებდა. გაიელვა ერთხელ, მეორედ, კიდევ და კიდევ. ალექსანდრა მეხის გავარდნამდე დროს ითვლიდა: ხუთი წამი. მიახლოებითი გათვლით ეს ნიშნავდა, რომ თუ დარტყმა ეპიცენტრიდან ხორციელდებოდა, მას ქარიშხალი ათი მილის რადიუსში გამოუწვევია. ამჯერად არც ისე ძლიერად დაიქუხა. ათობით ნამცეცა, ჭრელი ქვიშის კიბორჩხალა სოროდან გამოძვრა და აქაფებული ზღვისკენ უკუსვლით აჩქარებით გასწია. ქვიშისფერი ბაკანი მათ თითქოს გამჭვირვალეს ხდიდა. ალექსანდრამ თავი აიძულა, რომ სიბრალული დაევიწყებინა და შიშველი ფეხისგულით ტკაცატკუცით გასრისა ერთ-ერთი. მსხვერპლად შესწირა. მსხვერპლი ყოველთვის უნდა იყოს. ეს ბუნების ერთ-ერთი კანონია. ქალი მიჰყვა და ერთიმეორის მიყოლებით, ცეკვა-ცეკვით სრესდა კიბორჩხალებს. სახეზე ღვარად ჩამოსდიოდა წყალი და აურა ისე აფორიაქებოდა, რომ თხევად ფირზე ცისარტყელას ყველა ფერი ირეკლებოდა. ელვა კი მომენტალური სურათების გადაღებას განაგრძობდა. ქალს ნიკაპი გაორებოდა, ასევე ცხვირის წვერიც — ოდნავ. მიმზიდველობას მას ფართო, სუფთა შუბლი სძენდა ღია ფერის თმის ქვეშ, რომელიც შუაზე გაეყო და დაეწნა, აგრეთვე გამჭრიახი მზერა. თვალის გუგის შავი მაგნიტი თითქოს განიზიდავდა იმავე ნიშნით დამუხტულ, ფოლადის ელფერის მქონე წარბის კიდეებს. სავსე, მკვეთრი მოხაზულობის ტუჩები ჰქონდა, ოდნავ აწეული კუთხეებით, რაც შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ მუდამ იღიმებოდა. თოთხმეტი წლის ალექსანდრას სიმაღლე მეტრი და სამოცდაცამეტი სანტიმეტრი იყო, ოცი წლისა კი ორმოცდათხუთმეტ კილოგრამს იწონიდა. ალქაჯად გახდომის შემდეგ მან თავს შეღავათი მისცა და ახლა მისი წონა სამოცდათორმეტ კილოგრამს შეადგენდა.

ერთიანად გალუმპულ ალექსანდრას, პატარა ქვიშის კიბორჩხალების მსგავსად, თავი გამჭვირვალედ წარმოედგინა, წვიმის ნაკადს შერეოდა და მის ტემპერატურას გათანაბრებოდა. ზღვის თავზე, ცაში, გრძელი და ფაფუკი ღრუბლები გაჩნდა, ქუხილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბურტყუნად იქცა, წყლის ნიაღვარი კი — თბილ წვიმად. ეს კოკისპირული წვიმა არასდროს მოხვდება რომელიმე მეტეორუკაზე. პირველად გასრესილი კიბორჩხალა ჯერაც ამოძრავებდა მარწუხებს ნამცეცა ფრთების მსგავსად. კოულს შიში გაჰქრობოდა, დარბოდა, სულ უფრო და უფრო დიდ წრეებს არტყამდა და ქვიშაზე თოლიების სამკუთხა კვალის გვერდით თავისი თათების ოთხ ანაბეჭდს ტოვებდა. ყველა ეს არსება ჩვენი მეზობელი სამყაროდან — თითის წვერებზე, გვერდულად მოძრავი კიბორჩხალა წვრილ ღეროებზე მოთავსებული თვალებით, თუ კიბოსებრი ზღვის ბატი, რომელიც თქვენს თავზე დაიბუდებს თავის საგდულიან ბაკანში და ნანადირევის ნამცეცებს პირდაპირ პირში გიგდებთ, — წვიმის წვეთებს დაეფარა. სველი ქვიშა ცემენტს დამსგავსებოდა. ქალს ისე ეკვროდა ტანზე ტანსაცმელი, საცვლების ჩათვლით, რომ თავი სეგალის[1] თეთრ ქანდაკებად წარმოედგინა, ამობურცულობებსა და გამოწეულ ძვლებს კი ნისლი ულოკავდა. ალექსანდრა ადვილად გავიდა წვიმით გადარეცხილი საზოგადოებრივი პლაჟის ბოლოში მავთულხლართიან კედლამდე და უკან გამობრუნდა. შემდეგ ავტოსადგომს მიაშურა და თავის მაშიებს Ammophila breviligulata-ს[2] ბუჩქთან მიაგნო, რომელსაც ისრისმაგვარი ფოთლები უელავდა.

ქალმა თავისი „სუბარუს“ კარი გამოაღო და დიუნებისკენ გაქცეული კოულის დასაძახებლად მიტრიალდა.

— ჩემთან, პატარავ! ჩემთან! — წაიმღერა ალექსანდრამ, — ჩემთან, ჩემო კარგო!

ახალგაზრდა კაცებს თავი კენჭებით მოპირკეთებული საშხაპისა და პიცერიის სახურავის ზოლიანი, მოწითალო-მოყვითალო გადმონაშვერისთვის შეეფარებინათ, კანი დახორკლოდათ, მხრებზე სველი, ქვიშიანი პირსახოცები მოეგდოთ. გაოცებულნი შესცქეროდნენ ტანად, მოხდენილ, მსხვილნაწნავიან ქალს, რომელიც როგორღაც სრულიად შშრალი დარჩენილიყო, მწვანე ფარჩის ჟაკეტზე წვიმის ერთ წვეთიც კი არ აჩნდა. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ, ისთვიქში დაბრუნებულები მის ჯადოსნობაზე ალაპარაკდნენ.

---

[1] *სეგალი, ჯორჯ (1924-2000) — ამერიკელი მოქანდაკე და მხატვარი, „ენვაირომენტის“ მიმართულების ფუძემდებელი.*

[2] *მოკლეღერიანი ამოფილა (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრა მხატვარი იყო. მარტივი იარაღით, ძირითადად კბილსაჩიჩქნით ან სუფრის უჟანგავი დანით თიხის გუნდისგან ყოველთვის წამოწოლილი ან სკამზე მჯდომი ქალის ფიგურას ძერწავდა, რომლის შიშველ სხეულსაც ხასხასა ფერის კოსტიუმს ახატავდა. ნახატებს თხუთმეტ-ოც დოლარად ყიდდნენ ორ ადგილობრივ მაღაზიაში, სახელწოდებით „მოწკავწკავე მელია“ და „მშიერი ცხვარი“. ალექსანდრას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ვინ ყიდულობდა მათ, ვერც ის გაეგო, თუ რატომ ძერწავდა, რა აიძულებდა ამის კეთებას. მოქანდაკის ნიჭი, სხვა უნარებთან ერთად, მაშინ გაუჩნდა, როდესაც ოზმა დაპატარავება დაიწყო. შთაგონება ერთ დილით ეწვია, როდესაც სამზარეულოს მაგიდას მისჯდომოდა, ბავშვები სკოლაში გაესტუმრებინა, ჭურჭელიც დაერეცხა. თავდაპირველად საბავშვო პლასტილინი აიღო, შემდეგში კი თიხას იყენებდა, საოცრად სუფთა კაოლინს, რომელსაც ქოვენთრის მახლობლად მდებარე ორმოდან იღებდა. თეთრი თიხის ჭუჭყიანი, მოლიპული ბუდობი ერთი ხანში შესული ქალის უკანა ეზოში აღმოჩნდა ნახევრად დანგრეული, ხავსმოდებული ფარდულისა და ომამდელი „ბიუიკის“ შასის სიახლოვეს. რაღაც ზებუნებრივი დამთხვევით, სწორედ ასეთი მანქანით დადიოდა ალექსანდრას მამა სოლტ-ლეიკ-სიტიში, დენვერში, ალბუკერკსა და სხვა ახლომდებარე ქალაქებში. იგი სამუშაო ტანსაცმელსა და კომბინეზონებს ყიდდა, აგრეთვე ლურჯ ჯინსებს, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოდაში და საერთაშორისო სამოსად არ ქცეულიყო. ქოვენთრიში ქალს ჯუთის ტომრები მიჰქონდა. ქვრივს ერთ ტომარა თიხაში თორმეტ დოლარს უხდიდა. თუკი ტომრები ძალიან მძიმე აღმოჩნდებოდა, ქვრივი აწევაშიც ეხმარებოდა — ალექსანდრას მსგავსად, ისიც ღონიერი იყო. ასაკის მიუხედავად — სამოცდახუთი წლის მაინც იქნებოდა, — თმას წითელ სპილენძისფრად იღებავდა და ცისფერ და წითელ კოსტიუმებს იცვამდა. შარვალი ისე შემოტკეცოდა, რომ ქამარს ქვემოთ ქონის მსხვილი ნაკეცები ეტყობოდა. ეს ყველაფერი ალექსანდრას მოსწონდა. ამაში მინიშნებას ხედავდა. თუ ღონე შეგრჩა, დაბერება მხიარულადაც შეიძლებაო. ქვრივი ხმამაღლა ხარხარებდა, დიდ, ოქროს საყურეებს ატარებდა, თმა ყოველთვის გაშლილი ჰქონდა. ერთი-ორი მამალი თავმომწონედ, თუმცა ფრთხილად დაიარებოდა ბალახგადავლილ ეზოში, სახლის უკანა კედელზე დამსკდარი ბათქაშიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნაცრისფერი დირეები მოჩანდა, ფასადი კი კვლავაც წესრიგში იყო. „სუბარუ“ ღირსეულად უძლებდა თიხის სიმძიმეს. ალექსანდრა შინ კმაყოფილი და მხიარული ბრუნდებოდა, დარწმუნებული იყო, რომ სამყაროს ქალური სოლიდარობა მართავდა.

მისი სტატუეტები ერთგვარი მოსაზრებით პრიმიტიული იყო. სიუკმა, ან იქნებ ჯეინმა, მათ „ბალღები“ შეარქვა — ათი-თორმეტი სანტიმეტრის სიმაღლის, ჯმუხი, ტანსრული ქალის პატარა ფიგურებს, ზოგჯერ სახისა და ტერფების გარეშე, მოკუნტულს ან გულაღმა დაწოლილს. თითოეული მათგანი უფრო მძიმე იყო, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ხალხი ამბობდა, რომ სტატუეტები დამამშვიდებლად მოქმედებდნენ და ამიტომ მათ მუშტარი არასდროს აკლდა. მოთხოვნა არ იკლებდა, პირიქით, ზაფხულში იმატებდა კიდეც, თუმცა მას იანვარშიც კი ყიდულობდნენ. ალექსანდრა ჯერ შიშველ ფიგურას ძერწავდა, კბილსაჩიჩქნით ჭიპს მონიშნავდა, არც სასქესო ორგანოს ადგილზე ოდნავ შესამჩნევი ღარის გაკეთება ავიწყდებოდა იმ ყალბი სიგლუვის საპირისპიროდ, რომელიც მისი ბავშვობის დროინდელი თოჯინებისთვის იყო დამახასიათებელი. შემდეგ ტანსაცმელს ახატავდა: პასტელის ტონის საბანაო კოსტიუმს, ტანზე მომდგარ წინწკლებიან, ვარსკვლავიან ან ტალღისებრზოლიან კაბას. ორი ერთნაირი თოჯინა არ არსებობდა, თუმცა ყველანი დები იყვნენ. იგი გრძნობდა, რომ სწორედ ასე უნდა მოეხატა. ჩვენ ხომ ყოველ დილით ვიმოსებით სიშიშვლის დასაფარავად. ამიტომაც უნდა დაეხატა და არა რბილი თიხისგან გამოეძერწა. იგი ერთდრულად ოცდაოთხ ცალს ათავსებდა ხოლმე შვედურ ელექტროღუმელში გამოსაწვავად და გასაშრობად — სახელოსნო სამზარეულოს გვერდით ჰქონდა მოუწყობელ, მაგრამ ხისიატაკიან ოთახში, ასე რომ არ ჰგავდა ჭუჭყიან საკუჭნაოს, სადაც ძველი საყვავილეები, ფოცხები, თოხები, მაღალყელიანი რეზინის ჩექმები და სეკატორები ეწყო. თვითნასწავლმა ალექსანდრამ მოქანდაკეობას ქმართან განშორების წინ მოჰკიდა ხელი და ხუთი წლის განმავლობაში საკუთარი ხელწერა ჩამოუყალიბდა. მაგრამ ბავშვებს, განსაკუთრებით მარსს, თუმცა ბენსაც და ნამცეცა ერიკსაც, მათი ატანა არ ჰქონდათ, უხამსობად მიაჩნდათ და ერთხელ გასაშრობად გამზადებული სტატუეტების მთელი პარტია დაამსხვრიეს. მაგრამ მოგვიანებით მდგომარეობას შეურიგდნენ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც დეფექტურ ძმას ან დას ეგუებიან ხოლმე. ბავშვები თვითონ არიან რბილი თიხა, თუმცა მათში ზოგჯერ უკვე შეიმჩნევა გამოუსწორებელი დამცინავი ღიმილი, თვალებში კი — რაღაც მოუხელთებელი.

მხატვრული მიდრეკილებები ჯეინ სმარტსაც გააჩნდა — იგი მუსიკოსი გახლდათ. თავი რომ გაეტანა, ფორტეპიანოზე დაკვრას ასწავლიდა, ზოგჯერ ადგილობრივ ეკლესიებში ლოტბარს ცვლიდა, მაგრამ მისი ჭეშმარიტი გატაცება ვიოლონჩელო იყო. ქალაქგარეთ, ორმოცდაათიან წლებში გაშენებული, მჭიდროდ დასახლებული კოუვ-ჰოუმზის უბნის ერთ-ერთ მრუდე ქუჩაზე მდებარე სახლის ფარდებჩამოფარებული ფანჯრებიდან მთვარიან ღამეს შორს იფანტებოდა ხოლმე ხის სიღრმიდან და მისი ჩრდილიდან მომავალი, დარდით აღსავსე, სევდიანი, მთრთოლარე ბგერები. ამ დროს მის მეზობლად, მეოთხედი აკრის[1] ზომის ნაკვეთში წამოჭიმულ სახლში, ცოლ-ქმარსაც ეღვიძებოდა, მათ შვილსაც და ძაღლსაც, და კაცი ფიქრობდა, გამოეძახა პოლიცია თუ არა. ზოგჯერ ის ასეც იქცეოდა მუსიკის სიწრფელით, სევდითა და სილამაზით შეცბუნებული, იქნებ დაშინებულიც კი. დაძინება უფრო ადვილია პოპერის ეტიუდებში გამების მოსმენისას, რომლებიც ერთდროულად ორ სიმზე სრულდება ჯერ მესამედ, მერე კი მეექვსედ თვლაზე, ან ბეთჰოვენის კვარტეტი №15 ლა მინორის მეორე ანდანტეში ლეგატოთი შეერთებული მეთექვსმეტედებისგან შემდგარი ოთხი ტაქტის მრავალჯერ გამეორებით. ჯეინი ვერაფერი შვილი მებაღე იყო და სახლის ირგვლივ მოუვლელი, ბარდებად ქცეული იელი, ჰორტენზია, ტუია, კოწახური და ბზა ფანჯრებიდან გამოსულ მუსიკის ხმას ახშობდა. ეს ყოველგვარი თავისუფლების გამოცხადების დრო იყო. საზოგადოებრივ ადგილებში საშინელ მუსიკას უკრავდნენ, ყოველ სუპერმარკეტში სიმღერა „Satisfaction“[2] და „I Got You, Babe“[3] ისმოდა, ოღონდ „მიუზაკის“[4] სტილში დამუშავებული. სადაც ორი ან სამი მოზარდი შეიყრებოდა,

---

[1] *აკრი — მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. უდრის 4.047 კვადრატულ მეტრს.*

[2] *დაკმაყოფილება (ინგლ.).*

[3] *მე შენ მყავხარ, ჰატარავ (ინგლ.).*

[4] *მიუზაკი — პოპულარული, ჩვეულებრივი, მელოდიური მუსიკა შრომის ნაყოფიერების გაზრდისთვის და დაღლილობის მოსახსნელად, სხვაგვარად „სუპერმარკეტების მუსიკა“.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„ვუდსტოკიც“[1] იქვე ჩნდებოდა. მაგრამ არა ხმის სიძლიერე, არამედ ჯეინის ვნებიანი ტემბრი — ხშირად იგი რომელიმე ნოტზე ჩერდებოდა და კვლავაც იმავე ტემპით, იმავე ტონალობაში განაგრძობდა დაკვრას, — იქცევდა ყურადღებას. ალექსანდრასთვის ეს დაბალი ნოტები ჯეინის მუქ წარბებთან ასოცირდებოდა, აგრეთვე მის ხმაში არსებულ დაჟინებულ მოუთმენლობასთან, როდესაც მას დაუყოვნებლივ სურდა პასუხის პოვნა, არსის გაგება, რაიმესთვის სულის ჩადგმა და მისი საიდუმლოების შეცნობა. მისგან განსხვავებით, ალექსანდრა ყველაფერს ბედს ანდობდა, სწამდა, რომ საიდუმლო ყველგანაა, როგორც ჰაერის შემადგენელი რომელიმე ელემენტი, რომლითაც ჰაერში გაფანტული მცენარის თესლი და ფრინველები იკვებებიან.

სიუკს მხატვრული მიდრეკილებები არ გააჩნდა, სამაგიეროდ, ადამიანებთან ურთიერთობა უყვარდა. განქორწინების თანმხლებმა გარემოებებმა კი აიძულა, რომ ადგილობრივი ყოველკვირეული „ისთვიქ ვორდისთვის“ დაეწყო წერა. იგი სწრაფად, თავისუფლად გადაადგილდებოდა პორტის ქუჩაზე, ისმენდა ჭორებს, იხედებოდა მაღაზიებში, ამჩნევდა ალექსანდრას კაშკაშა სტატუეტებს „მოწკავწკავე მელიის“ ვიტრინაში ან კავეულის ფანჯარაზე გამოკრულ აფიშას, რომელიც იუწყებოდა, რომ კამერული მუსიკის კონცერტი ჯეინ სმარტის (ვიოლონჩელო) მონაწილეობით უნიტარულ ეკლესიაში შედგებოდა. სიახლეები მას ისევე აღელვებდა, როგორც შუშის ბრჭყვიალი პლაჟის ქვიშაზე, როგორც ოცდახუთცენტიანის გამონათება ცხოვრების ჭუჭყიან ტროტუარზე დაგროვილი ყოველდღიური რუტინის ნაგვიდან, — რგოლები, რომლებიც გარე და შიგა სამყაროს ერთმანეთთან აკავშირებდა. მას ორი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც უყვარდა. ისინიც იმავე გრძნობით პასუხობდნენ. დღეს, მას შემდეგ, რაც ორი ანგარიში დაბეჭდა რატუშაში გუშინ გამართული სხდომების — საგადასახადო კოლეგიის ჩინოვნიკთა (მოწყენილობა: ისევ ის ქვრივი ქალები, ძველი სახნავი მიწების მფლობელები, ცდილობენ, რომ გადასახადის შემცირებას მიაღწიონ) და დაგეგმარების განყოფილების კოლეგიის (კვორუმი არ შედგა: ჰერბი პრინზი ბერმუდის კუნძულებზე იმყოფებოდა) შესახებ, სიუკი წი-

[1] *როკმუსიკის ფესტივალი ვუდსტოკის სიახლოვეს, ნიუ-იორკის შტატში, 1969 წლის აგვისტოში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნასწარ ტკბებოდა იმით, რომ ალექსანდრა და ჯეინი მას დასალევად შემოუვლიდნენ. ჩვეულებრივ შეხვედრას ხუთშაბათისთვის გეგმავდნენ ხოლმე რომელიმეს სახლში. სიუკი ცენტრში ცხოვრობდა, რაც მოსახერხებელი იყო სამსახურის თვალსაზრისით, თუმცა 1760 წელს აშენებული სახლი ჰემლოკ-ლეინად წოდებულ შესახვევში, რომელიც მუხნარის ქუჩიდან იწყებოდა, მინიატურულ სამარილეს უფრო ჰგავდა და, ცხადია, ვერ გაუტოლდებოდა იმ დიდ ფერმერულ სახლს ექვსი საძინებლით, ოცდაათი აკრი მიწით, ავტოფურგონით, სპორტული ავტომობილით, ჯიპითა და ოთხი ძაღლით, სადაც იგი ადრე მონტისთან ერთად ცხოვრობდა. მეგობრებს მიაჩნდათ, რომ მისი ახლანდელი სახლი საკმაოდ თავშესაქცევად გამოიყურებოდა: პრეტენზიულიც იყო და განსაკუთრებულად მომხიბლავიც. თავიანთ შეხვედრებზე, როგორც წესი, უჩვეულად გამოწყობილნი მიდიოდნენ. არც დღევანდელი დღე იყო გამონაკლისი. ალექსანდრა ოქრომკედით მოქარგულ სპარსულ მოსასხამში გახვეულიყო. სამზარეულოს შესასვლელთან იგი ოდნავ დაიხარა. წიწაკითა და რეჰანით შეკაზმული პომიდვრის საწებლით სავსე ორი ერთნაირი ქილა ხელში ჰანტელებივით თუ რაღაც სისხლიანი სამხილივით ეჭირა.

ალქაჯებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

— აი, ძვირფასო. ვიცი, რომ ყველაზე მეტად ცხარე გიყვარს, — წარმოთქვა ალექსანდრამ ამაღელვებელი ღრმა კონტრალტოთი. სიუკმა ძღვენი გამხდარი, ჭორფლიანი ხელებით გამოართვა, — წელს რატომღაც პომიდვრის არნახული მოსავალია, — განაგრძო ალექსანდრამ, — ას ქილამდე უკვე დავამზადე. ამას წინათ, როცა ჩამობნელდა, ბაღში გავედი და დავიყვირე: „დალახვროს ეშმაკმა, დანარჩენი თუნდაც სულ დამპალა-მეთქი!“

— მახსოვს, ერთ წელს ურიცხვი ყაბაყი ცუკინი მოვიდა, — გამოეხმაურა სიუკი და მორჩილად შედგა ქილები ბუფეტის თაროზე, საიდანაც მათ არასოდეს ჩამოიღებდა. სიუკს პიკანტური საკვები უყვარდა — ნიახური, აკაჟუ, ფლავი, მშრალი მარილიანი კრენდელი — პირის ჩასატკბარუნებელი, რომლებიც მის წინაპარ მაიმუნებს ხელში ჩაებღუჯათ და ხიდან ხეზე დახტოდნენ. როცა იგი სახლში მარტო იყო, არასოდეს ჯდებოდა, რათა ნორმალურად ეჭამა. სამზარეულოს ნიჟარასთან იოგურტში კრეკერს ჩააწობდა, ან ხახვიანი კარტოფილის ჩიფსების პაკეტითა და ერთი ჭიქა გაუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზავებელი ბურბონით ტელევიზორის წინ ჯდებოდა, — რა არ გამიკეთებია, — განაგრძობდა იგი და, საკუთარი ფანტაზიით აღფრთოვანებული, ხელებს იქნევდა, — პური ცუკინით,[1] სუპი ცუკინით, სალათა, ოლადი, ცუკინით დაფარშული და გამომცხვარი ჰამბურგერები, თხლად დაჭრილი ან ღერებად დაჭრილი შებრაწული ცუკინი, სოუსთან ერთად. ეს სიგიჟე იყო. ერთხელ საკეპშიც გავატარე და ბავშვებს ვუბრძანე, პურზე არაქისის კარაქივით წაესვათ. მონტი სასოწარკვეთილი იყო. ამბობდა, ჩემს განავალსაც კი ცუკინის სუნი ასდისო.

თუმცა ეს მოგონება, ცხადია, სასიამოვნოთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, იგი მისი ოჯახური ცხოვრების ხანგრძლივ პერიოდს შეეხებოდა: ყოფილი ქმრის ხსენება ეტიკეტის ერთგვარი დარღვევა იყო, რამაც ალექსანდრა კინაღამ გააცინა. სიუკი მარტო სულ ცოტა ხნის წინ დარჩა და მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო. კარგი ტანი ჰქონდა, ხშირი წითური თმა აკურატულად გადაევარცხნა უკან, გრძელი ხელები კედრის ბურბუშელას ფერის ჭორფლს დაეფარა. მაჯებზე სპილენძის სამაჯურები, კისერზე კი წვრილი, იაფფასიანი ძეწკვით პენტაგრამა[2] ჩამოეკიდა. ალექსანდრას, რომელსაც მკაცრი, ელინური სახის ნაკვთები, ნიკაპზე ჩაღრმავება და ორად გაყოფილი ცხვირის წვერი ჰქონდა, მოსწონდა სიუკის ლაღი, მაიმუნისმაგვარი სახე. პატარა ცხვირი, დიდი კბილების რიგი, პუტკუნა პირი წინ წამოწეული, ქვედაზე გრძელი და მორკალული ზედა ტუჩით ეშმაკურ გამომეტყველებას სძენდა, თითქოს ცელქობის მეტს არაფერს აკეთებდა. და კიდევ, მას ჰქონდა ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მიჯრილი მრგვალი, კაკლისფერი თვალები. სიუკი მარჯვედ მოძრაობდა ძველ, ვიწრო სამზარეულოში, სადაც ჭუჭყიანი, პატარა ნიჟარა მოჩანდა. აქ ყველაფერი თაობათა სიღარიბეზე მეტყველებდა, რომლებიც ისთვიქში ცხოვრობდნენ და საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ მის გაუმჯობესებას, მაშინ, როცა ასეთი ძველი, ძელებისგან აგებული სახლი პრესტიჟულად აღარ ითვლებოდა. სიუკმა ერთი ხელით ბუფეტიდან მარილიანი თხილის კოლოფი გამოაძვრინა ლუდზე დასაყოლებლად, მეორით კი მისთვის ნიჟარაზე მოთა-

---

[1] *ცუკინი — ბოსტნეული კულტურა, გოგრისებრთა ოჯახისა.*

[2] *პენტაგრამა — ხუთკუთხედი, რომლის გვერდებიც ტოლფერდა სამკუთხედებია, შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო, როგორც მაგიური ნიშანი ამულეტებზე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვსებული საშრობიდან სპილენძით მოჭედილი პატარა ვაზა აიღო „პეისლის“[1] გამოსახულებით. მან ხმაურით გახსნა კოლოფები და კრეკერები ლამბაქზე გადმოყარა, რომელიც წითელ ცელოფანში გახვეული „გაუდის“ ყველის ნაჭრისა და პაშტეტის ბრტყელი ქილის — მის თავსახურავზე მხიარული ბატი ეხატა — გვერდით იდო. უხეშ კერამიკულ საინზე, რომელიც ღია ყავისფერი ჭიქურით იყო დაფარული, კიბორჩხალას რელიეფური გამოსახულება მოჩანდა. კიბო. ალექსანდრას ეშინოდა მისი და ბუნებაში ყველგან ხედავდა მის სიმბოლოს — მოცვის მტევნებში, რომელიც მიყრუებულ ადგილებში იზრდებოდა, ქვების სიახლოვეს, ჭაობში, ყურძენში, დაბრეცილი დამპალი ხიდან რომ ჩამოშვებულიყო საშხარეულოს ფანჯარასთან, ჭიანჭველებში, სახლისკენ მიმავალ მოასფალტებული გზის ბზარებში ფოროვან, კანონიკურ ბორცვებს რომ აგებენ, ალალბედზე მოქმედ ყველა დაუძლეველ, ნაყოფის მომტან ძალაში.

— როგორც ყოველთვის? — ალერსიანად ჰკითხა სიუკმა ალექსანდრას, როდესაც მან ბებრულად ამოიოხრა და შალის მოუხსნელად საშხარეულოში მდგარ ერთადერთ გრეხილ საკარძელში ჩაეშვა — ძველ ლურჯ საკარძელში, რომლის სხვაგან დადგმა უხერხული იქნებოდა: გადახსნილი ნაკერებიდან სატენი გამომძვრალიყო, ჭუჭყიანი სამკლავურების კუთხეებს კი, მრავალი ხელის კვალს რომ ინახავდა, ლაპლაპი გაჰქონდა.

— ვფიქრობ, სწორედ რომ დალევის დროა, — თქვა ალექსანდრამ. რამდენიმე დღის წინ თავს დამტყდარი შტორმის შემდეგ საგრძნობლად გრილოდა, — არაყზე რას იტყვი? — ერთხელ ვიღაცისგან გაიგო, რომ არაყი არა მარტო არ ასუქებდა, არამედ ლორწოვან გარსსაც ჯინზე ნაკლებად აღიზიანებდა. ფიზიკური გაღიზიანება, ქიმიურის მსგავსად, კიბოს იწვევს. ვისაც ეს არ ესმის, ერთი უჯრედის გაყოფის შემთხვევაშიც კი ავად ხდება. ბუნება ელოდება, აკვირდება, როდის მოადუნებ ყურადღებას, რათა საბედისწერო დარტყმა განახორციელოს.

სიუკს სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— ვიცოდი, რომ მოხვიდოდი, — თქვა მან და ხელუხლებელი ბოთლი დაანახვა ტახის გამოსახულებით, რომელიც მრგვალი, ნა-

---

[1] *პეისლი — ქალაქი შოტლანდიაში, ცნობილია სურათებიანი ჭრელი შლაპებით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რინჯისფერი თვალით იყურებოდა. კბილებსა და მოღუნულ ეშვს შორის წითელი ენა გადმოეგდო.

მეგობარი ურჩხულის დანახვაზე ალექსანდრასაც გაეღიმა.

— მეტი ტონიკი, გეთ-თ-აყვა! თორემ ეს კალორიები!...

ტონიკის ბოთლი სიუკის თითებში ბრაზიანად შიშინებდა. „შესაძლოა, კიბოს უჯრედები სისხლის ნაკადით შემოღწეული ნახშირმჟავების ბუშტუკებს უფრო მეტად ჰგავდეს, — გაიფიქრა ალექსანდრამ, — თუმცა აჯობებს, ამაზე არ ვიფიქრო“.

— ჯეინი სად არის? — იკითხა მან.

— თქვა, რომ ცოტა დააგვიანდება. დღეს იმ კონცერტის რეპეტიცია აქვს, უნიტარულ ეკლესიაში რომ უნდა გაიმართოს.

— იმ საშინელ ნეფთან ერთად, — შენიშნა ალექსანდრამ.

— იმ საშინელ ნეფთან ერთად, — გამოეხმაურა სიუკი, თან თითებიდან მომწარო წყალს ილოკავდა და, ლიმონის პოვნის იმედით, ძველ მაცივარში იყურებოდა.

რეიმონდ ნეფი საშუალო სკოლაში მუსიკას ასწავლიდა. იგი მსუქანი, ტანდაბალი კაცი იყო. ცოტათი ქალს წააგავდა, მაგრამ ხუთი შვილის მამა კი გახლდათ. ფეთხუმი ცოლი ჰყავდა — გერმანელი ქალი ავადმყოფურად ყვითელი სახით, უფერული, ჩალის მსგავსი თმით, ისე მოკლედ და არათანაბრად რომ ჰქონდა შეკრეჭილი, კაცი იფიქრებდა, ბაღის სეკატორი იხმარესო, და ლითონისჩარჩოიანი სათვალით. კარგი მასწავლებლების უმრავლესობის მსგავსად, დესპოტი, გესლიანი და შეუპოვარი იყო. ამასთან ავადმყოფური სურვილი ჰქონდა, რომ ყველა ლოგინში ჩაეწვინა. ამჯერად მასთან ჯეინი იწვა. ადრე ალექსანდრაც აჰყვა ცდუნებას, მაგრამ ეს ეპიზოდი ისეთი უმნიშვნელო აღმოჩნდა, რომ სიუკმა, შესაძლოა, არც კი იცოდა. თვითონ სიუკი თავდაპირველად ნეფთან თავს ზედმეტის უფლებას არ აძლევდა, თუმცა ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. როცა განქორწინებული ხარ და პატარა ქალაქში ცხოვრობ, ეს იგივეა, რაც „მონოპოლიის“ თამაში: დროდადრო ვიღაცის საკუთრებას ხელყოფ. ორივე მეგობარს სურდა დახმარებოდა ჯეინს, რომელიც სიჩქარესა და აჟიოტაჟში საკუთარი თავის იაფად გასაღებას ეშურებოდა. ნეფის მეუღლე საძაგელი ქალი იყო. იგი ყოველთვის უადგილოდ ლაპარაკობდა, ამასთან გულმოდგინედ არტიკულირებდა, თანაც მოსმენის უცნაური მანერა ახასიათებდა — თვალების გადმოკარკვლა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისთვის ყოველ არმოსაწონ სიტყვაზე. როდესაც ცოლიან კაცთან წევხარ, შეიძლება ითქვას, მის ცოლთანაც წევხარ. ამიტომ ის მხოლოდ ხელის შემშლელი ვერ იქნებოდა.

— ჯეინი ძალიან ნიჭიერია, — წარმოთქვა სიუკმა თითქმის ავტომატურად, თან მაიმუნისებრი მოძრაობით გაშმაგებით ცდილობდა მაცივრიდან ყინულის კუბურების ამოყრას. ალქაჯს ადვილად შეუძლია მზერით წყლის გაყინვა, მაგრამ ყინულის გადნობა — დიდი პრობლემაა. იმ ოთხი ძაღლიდან, მას და მონტის რომ ჰყავდათ წარსულის საუკეთესო დღეებში, სახლში ორი მოვერცხლისფრო-მოყავისფრო ვაიმარანერი დარბოდა ხოლმე. ახლა მხოლოდ ერთიღა დარჩენილიყო, სახელად ჰენკი. იგი პატრონს ფეხებზე ეტმასნებოდა იმის იმედით, იქნებ მაცივრიდან ჩემთვისაც რამე გამოიღოსო.

— ძალიან იხარჯება, — თქვა ალექსანდრამ და ჯეინს განაჩენი გამოუტანა, — თავს იმცირებს, ძველებურ მოდას მისდევს, — დაამატა მან. ეს საუბარი ვიეტნამის ომის დროს ხდებოდა და ამან მის სიტყვებს განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა, — თუ სერიოზულად უყურებს მუსიკას, მაშინ გამოსვლაც სერიოზული უნდა ჰქონდეს, დიდ ქალაქში. კონსერვატორიის კურსდამთავრებულს არ შეშვენის ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში ერთი მუჭა დაყრუებული, გადაბერებული ქათმებისთვის დაკვრა — ეს ზედმეტი ხელგაშლილობაა.

— სამაგიეროდ აქ საკუთარ თავში დარწმუნებულია, — თქვა სიუკმა, თითქოს თვითონ ასე არ ყოფილიყვნენ.

— არც კი ბანაობს, ვერ შეამჩნიე, სუნი რომ ასდის? — ჰკითხა ალექსანდრამ, მაგრამ უკვე არა ჯეინის, არამედ გრეტა ნეფის შესახებ. სიუკისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა ალექსანდრას აზრების მიმართულების გამოცნობა, ისინი ერთ ტალღაზე იყვნენ მომართულნი.

— თუნდაც ის ბებრული სათვალე ავიღოთ! — აიტაცა სიუკმა, — ნამდვილი ჯონ ლენონია, — იგი დაიმანჭა და ცნობილი მომღერლის სერიოზული, სევდიანი მზერა და თხელი ტუჩები გამოსახა, — „მე ვპიკრობ, შეგვიძლია დავლიოთ ჩვენი sprechen Sie wass[1]? — ააჰალი სარ-სმელი“, — სწორედ ასეთ საშინელ, არაამერიკულ

[1] *როგორ თქვით (გერმ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დიფტონგს გამოსცემდა გრეტა ნეფი, ხმოვანს თითქოს სასაზე აბრტყელებდა.

მათ ჭიქები აიღეს და ლაქლაქით გაემართნენ ეგრეთ წოდებული „ხუხულისკენ“, კიბის ქვეშ შეჭეჭყილი პატარა ოთახისკენ, რომელიც მანსარდაზე გადიოდა. გახუნებულ შპალერზე დახატული ვაზი და ხილით სავსე კალათა ზოგან კედელს დასცილებოდა, დაცერებულ ჭერზე ბათქაში დამსკდარიყო. ერთადერთი ფანჯრის რომბისებურ ჩარჩოში ბოთლის ძირივით შეზნექილი, ჰაერის ბუშტუკებიანი ტყვიის ვიტრაჟი ჩაესვათ, და მასში გასახედად სკამზე აძრომა იყო საჭირო.

— მაგ კაცს კომბოსტოს სუნი ასდის, — განაგრძო ალექსანდრამ და მაღალფეხიანი, ვერცხლისფერი ჭიქით ხელში ორმაგ სავარძელში ჩაეშვა, რომელზეც წმინდა ძაფით სტილიზებული ვაზის ცეცხლივით წითელი ხვეულები იყო გამოყვანილი, — მის ტანსაცმელსაც კი, — დაამატა მან და გაიფიქრა, რომ ეს მონტისა და ცუკინის ამბავს წაგავდა, და რომ ამ ინტიმური დეტალით იგი სიუკს მიანიშნებდა, ნეფთან მეც ვიწექიო. მერე რა? სატრაბახო არაფერია. და მაინც. როგორ ოფლიანობდა კაცი! სწორედ ამიტომ იწვა მონტისთანაც, და მას არასდროს ასდიოდა ცუკინის სუნი. საოცარია, მაგრამ როდესაც სხვის ქმრებთან წევხარ, ისინი შესაძლებლობას გაძლევენ, მათ ცოლებს სულ სხვა, ახალი კუთხით შეხედო, ვინაიდან მათ ისე ხედავენ, როგორც სხვა არავინ. ნეფის წარმოდგენით, საბრალო, ულამაზო გრეტა ლენტებით მორთული ჰაიდი[1] იყო, ღრუბელთიმიერიდან მოტანილი ნაზი ედელვაისი (მათ ერთმანეთი ფრანკფურტის ერთ-ერთ ლუდხანაში, დასავლეთ გერმანიაში გაუცნიათ, სადაც კაცი მსახურობდა, ნაცვლად იმისა, რომ კორეაში ეომა), მონტი კი... ალექსანდრამ ალმაცერად გახედა სიუკს, იმის გახსენებას ცდილობდა, რასაც მონტი საკუთარ ცოლზე ჰყვებოდა. მას თავი ჯენტლმენად მიაჩნდა და ამის შესახებ არ ენაწყლიანობდა. მაგრამ ერთხელ ალექსანდრას საწოლს პირდაპირ ბანკიდან ეწვია, სადაც უსიამოვნო საუბარი ჰქონდა და, შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს, საღერღელი აეშალა: „საყვარელი ქალია, მაგრამ უიღბლო. იმის თქმა მინდა, რომ სხვებისთვის უბედურება მოაქვს. ვფიქრობ, თვი-

[1] *ჰაიდი — პატარა გოგონა, შვეიცარიელი მწერალი ქალის, ჯოანა სპაირის (1827-1901) ამავე სახელწოდების მოთხრობის გმირი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თონ უფრო მეტად სწყალობს ბედი“. და მართლაც, სიუკის ცოლად მოყვანის შემდეგ მონტიმ თავისი ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, თუმცა ამას ყველა მის უგუნურებასა და უგერგილობას აბრალებდა. აი, ვინ არ ოფლიანობდა არასდროს. მაგრამ კეთილშობილური წარმოშობის ადამიანებისთვის დამახასიათებელი ეს ჰორმონული დეფექტი ტანჯავდა, რადგან არ შეეძლო თავი იმათთვის მიეკუთვნებინა, ვინც მძიმე ფიზიკური შრომით იყო დაკავებული. სხეული თითქმის უთმო ჰქონდა, უკანალი კი — ქალივით მომრგვალებული.

— გრეტა საწოლში ალბათ ძალიან მაგარია, — განაგრძობდა სიუკი, — ხომ იცი ეს Kinder. Funf[1] რაც უნდა იყოს.

ნეფი გამოუტყდა ალექსანდრას, რომ გრეტა ვნებიანი იყო, მაგრამ ბევრ ენერგიას ართმევდა, სწრაფად არ ათავებდა, მაგრამ ამისკენ აგულიანებდა. მისგან სასტიკი ალქაჯი დადგებოდა. ოჰ, ეს სისხლმოწყურებული გერმანელები.

— მას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ, — კვლავ ჯეინს დაუბრუნდა ალექსანდრა, — გუშინ ტელეფონით ვესაუბრე და გავოცდი, ისეთი გაღიზიანებული იყო. ეს ქალი მუდამ ასეა.

სიუკმა ყალბი ნოტი დაიჭირა და მეგობარს შეხედა. ინტრიგა იყნოსა. ალექსანდრას ცხოვრებაში ახალი კაცი გაჩენილიყო. ჰენკმა სიუკის წამიერი უყურადღებობით ისარგებლა, გრძელი რუხი ენა გამოყო და ორი კრეკერი დაითრია კიბორჩხალიანი სინიდან, რომელიც პატრონს ძველებურ, ფიჭვის ხისგან დამზადებულ და ყავის მაგიდად გადაკეთებულ მეზღვაურის სკივრზე დაედო. სიუკს მოსწონდა ძველი, დრომოჭმული ნივთები, მათში ისეთივე კეთილშობილება იგრძნობოდა, როგორც ოპერის მეორე მოქმედებაში გამოსული მომღერლის ძველმანებში. ჰენკმა ყველისკენაც გაიწია, მაგრამ სიუკმა დრუნჩზე ხელი მიარტყა. დრუნჩი მანქანის საბურავივით მაგარი იყო და ქალს თითები ეტკინა.

— როგორი თავხედი ხარ! — უთხრა მან ძაღლს და კვლავ მეგობარს მიუბრუნდა: — ნეტავ ვინღა არ არის ახლა გაბრაზებული? — საკუთარ თავსაც გულისხმობდა. მან ხმაურით მოსვა გაუზავებელი ბურბონი. სიუკი ზამთარ-ზაფხულ ვისკის იმიტომ გეახლებოდათ

[1] *ბავშვები. ხუთი (გერმ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

(ეს მიზეზი მას აღარც კი ახსოვდა), რომ კორნელში მეგობარმა კაცმა უთხრა, როცა ამ სასმელს სვამ, მწვანე თვალებში ოქროს ნაპერწკლები გიჩნდებაო. მან იცოდა, რა უხდებოდა; ჩვეულებრივ, ყავისფერ გამას ამჯობინებდა, ცოცხალი ელვარების გამო კი ზამში მოსწონდა.

— ვინ? ჩვენ შესანიშნავ ფორმაში ვართ, — მიუგო მეგობართაგან ყველაზე უფროსმა და ზორბამ და ირონიიდან ჯეინთან თავისი ამასწინანდელი საუბრის თემაზე გადაერთო, — ქალაქში ახალი მამაკაცია, ლენოქსების სახლში.

იმავდროულად თავში სხვა აზრებიც უტრიალებდა, ავიალაინერში მჯდომი მგზავრის მსგავსად, რომელიც, მიწას მოწყვეტილი, შიშს განიცდის, თან ქვემოთ იყურება და სილამაზით ტკბება: კოხტა სახლები მინანქარზე საგულდაგულოდ გამოყვანილი ეგონება კაცს, ტბები გაკრიალებული სარკეებივით ბრწყინავს — და ყოველივე შობას ჰგავს, როდესაც მშობლები ეზოს რთავენ, სანამ ბავშვებს სძინავთ; და ეს ყველაფერი ნამდვილია, რუკაც კი ნამდვილია! მან შენიშნა, რომ სიუკი კარგად გამოიყურებოდა — მნიშვნელობა არ ჰქონდა, უმართლებდა მას თუ არა: ფუმფულა თმა გასწეწოდა, წამწამებიც კი მიჰკვროდა ერთმანეთზე მძიმე სამუშაო დღის შემდეგ, როდესაც შესაფერისი სიტყვების შერჩევა უხდებოდა რედაქციაში კაშკაშა შუქის ფონზე, მაგრამ კვლავაც აღნიშვნის ღირსი იყო მწვანე სვიტერსა და ზამშის მუქ ბოლოკაბაში მოქცეული გამართული და მოხდენილი ფიგურა, ბრტყელი მუცელი, მაღალი მკერდი და მკვრივი დუნდულები; მაიმუნისიმაგვარ სახეზე კი დიდი პირი სავსე, დამყოლი და გამომწვევი ტუჩებით.

— ვიცი მის შესახებ! — წამოიძახა მან, თითქოს ალექსანდრას აზრები ამოიცნოო, — ბევრი რამის მოყოლა შემიძლია, მაგრამ აჯობებს, ჯეინს დაველოდოთ.

— დაველოდოთ, — უპასუხა ალექსანდრამ, რომელიც უეცრად განაწყენდა, თითქოს ორპირი ქარი იგრძნო. კაცი მის გულში უკვე შემოჭრილიყო, — ახალი ბოლოკაბა გაცვია? — მას მოუნდა, რომ შეხებოდა და მოჰფერებოდა გამხდარ, მკვრივ თეძოებზე გადაკრულ ირმის რბილ კანს.

— შემოდგომისთვის შევიძინე, — თქვა სიუკმა, — ცოტათი გრძელია, მაგრამ ახლა ასეთებს აცარებენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საშზარეულოდან წყვეტილი ზარის ხმა გაისმა.

— ერთ მშვენიერ დღეს მოკლე ჩართვა მოხდება და სახლი დაიწ-ვება, — იწინასწარმეტყველა სიუკმა და ოთახიდან გავარდა.

ჯეინი შემოვიდა. ფერმკრთალი იყო, ანთებულთვალებიან ვიწრო სახეს ოდნავ უფარავდა ბეწვით გაწყობილი ბერეტი, კისერზე ასეთი-ვე ხასხასა კუბოკრული შარფი მოეხვია. ფეხებზე ზოლიანი გოლფე-ბი ეცვა. ჯეინი სიუკივით ჯანსაღად არ გამოიყურებოდა, სხეულსაც სიმეტრია აკლდა, მაგრამ ისევე ასხივებდა შუქს, როგორც გაღუნუ-ლი მავთულები ელნათურაში. მუქი თმა და აკურატული, მტკიცე პირი ჰქონდა. ბოსტონში იყო დაბადებული და მოდის მოყვარული ქალის სახელი ჰქონდა დაგდებული.

— ეს ნეფი ნამდვილი ძაღლიშვილია, — დაიწყო ხრინწიანი ხმით და ჩაახველა, — ერთთავად ჰაიდნის გამეორებას გვაიძულებდა. გან-მიცხადა, გაპრანჭული ინტონაცია გაქვსო. გაპრანჭული! მე ავტირ-დი და ვუთხარი, საძაგელი შოვინისტი ხარ-მეთქი, — და თავისივე ნათქვამმა კალამბურისკენ უბიძგა: — უნდა მეთქვა, გასკდი-თქო[1].

— რას იზამ, — უდარდელად წამოიძახა სიუკმა, — ისინი ამგვა-რად ცდილობენ სიყვარულის მოპოვებას, რათა უფრო მეტად შეი-ყვარონ. ლექსა, როგორც ყოველთვის თავის დიეტურ წყალს, „ვი-ენდ-ტის“ სვამს. Moi,[2] ჩვეულებისამებრ, ბურბონმა გამიტაცა.

— ამას არ უნდა ვაკეთებდე, მაგრამ ყელში ამომიყვანა. დღეს დამჯერი გოგო არ ვიქნები და მარტინს მოვითხოვ.

— ოჰ, მეგობარო. ვშიშობ, მშრალი ვერმუტი არ უნდა მქონდეს.

— არაფერია, ძვირფასო. ბოკალში ბლომად ყინული ჩაყარე და ჯინი დაასხი. იქნებ ლიმონის ქერქი გეგულება სადმე?

სიუკს მაცივარში ჰქონდა ბევრი ყინული, იოგურტი და ნიახუ-რი, მეტი არაფერი. იგი ცენტრში, რესტორან „ნემოში“ საუზ-მობდა ხოლმე, რედაქციიდან სამი სახლის დაშორებით. მხოლოდ ბაგეტის სახელოსნო, საპარიკმახერო და „ქრისტიანული მეც-ნიერების“ მიმდევართა სამკითხველო უნდა გაევლო. იქვე სადი-ლობდა კიდეც და ჭორებსაც აგროვებდა. ამ ადგილას დუღდა და გადმოდუღდა ქალაქ ისთვიქის ცხოვრება. „ნემოში“ ხვდებოდნენ

---

[1] *სიტყვების თამაში: შოვინისტი (shauv) და გასკდი (shaw) — შეხრამუნება, შთან-თქმა (ინგლ. სლენგი).*

[2] *მე (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთმანეთს ძველი მცხოვრებლები, პოლიციელები, შორეული გადაზიდვების მძღოლები, მეთევზეები, მოულოდნელად გაკოტრებული ბიზნესმენები.

— მგონი, არც ფორთოხალია, — თქვა სიუკმა, როდესაც მაცივრის ორი მწვანე ლითონის უჯრა გამოსწია, — სამაგიეროდ, ატამი ვიყიდე მეოთხე გზატკეცილთან მდებარე მაღაზიაში.

— „გავბედავ კი ატმის ჭამას, ვაითუ ვერ შევირგო? — ციტირება გააკეთა ჯეინმა, — ჯობს ფლანელის თეთრი შარვლით პლაჟზე გავისეირნო“.[1]

სიუკი შეკრთა, როცა მისი ზეაღმართული ხელები დაინახა: ერთი — გრძელი და ძარღვიანი სიმების მუდმივად ჩამოკვრისგან, მეორე კი — ძლიერი და მოქნილი ხემის ჭერისგან, ჟანგიანი, ბლაგვი ჭოპოსანივით ეძგერა ღაჟღაჟა ლოყას, წვნიანი ატმის ყველაზე ვარდისფერ ნაწილს. სამარისებურ სიჩუმეში, რომელიც ნებისმიერი შელოცვის შემადგენელი ელემენტია, ჯეინმა ჭიქაში ვარდისფერი ნაჭერი ჩააგდო. გაისმა ჩუმი თქაფუნი.

— ცხოვრების დასაწყისში სუფთა ჯინს რა დამალევინებს, — გამოაცხადა ჯეინმა პურიტანის ინტონაციით, მაგრამ ტანჯული და მოუთმენელი სახით. იგი სწრაფი და დაძაბული ნაბიჯით ხუხულისკენ გაემართა.

ალექსანდრამ დამნაშავე სახით გაიწვდინა ხელი ტელევიზორის გამოსართავად, სადაც პრეზიდენტი, სევდიანი თეთრწვერა ბატონი, რომელსაც მატყუარა თვალებში წყენა ეტყობოდა, ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის განცხადებას აკეთებდა.

— სალამი, დიდებულო ქმნილებავ, — შესძახა ჯეინმა ზედმეტად ხმამაღლა ასეთი პატარა სივრცისთვის, — არ ადგე, ვხედავ, ყველანი მოკალათებულხართ. ერთი ეს მითხარი, ამასწინანდელი ჭექა-ქუხილი შენი ნახელავი ხომ არ იყო?

კონუსისებრ ბოკალში ატმის კანი მკვეთრად შეღებილ, დასპირტულ, ავადმყოფ ქსოვილს წააგავდა.

— შენთან ტელეფონით საუბრის შემდეგ პლაჟზე წავედი, — აღიარა ალექსანდრამ, — მაინტერესებდა, ლენოქსში ახალი მეპატრონე ხომ არ ჩამოვიდა-მეთქი.

---

[1] *ნაწყვეტი თომას ელიოტის (1885-1965) პოემიდან „ალფრედ პრუფროკის სიყვარულის სიმღერა“.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ასეც ვიფიქრე, რომ ხასიათი გაგიფუჭე, ჩემო საბრალოვ, — უთხრა ჯეინმა, — მერე, ჩამოვიდა?

— საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა. სახლთან ახლოს აღარ მივსულვარ.

— უნდა მისულიყავი და გეთქვა, რომ სალეკი მდელოების[1] კომისიიდან იყავი, — ჩაილაპარაკა სიუკმა, — ქალაქში ამბობენ, ნავმისადგომის აშენებასა და კუნძულის შორეულ ნაწილში ჩოგბურთის კორტის მოსაწყობად მიწის მოტანას აპირებს.

— ეგ ნომერი არ გაუვა, — ზანტად უთხრა ალექსანდრამ სიუკს, — იქ თეთრი ყანჩები ბუდობენ.

— ასე გადაჭრითაც ნუ იტყვი, — მოესმა პასუხად, — ამ მიწას ქალაქის ხაზინაში გადასახადის სახით ათი წელია არაფერი შეუტანია. თუ ვინმე მის გამო გადასახადების გადახდას დაიწყებს, ქალაქის მმართველობის წევრები არც ყანჩების გასახლებაზე დაიხევენ უკან.

— რა მშვენიერია! — წამოიძახა სასოწარკვეთილმა ჯეინმა, როცა დაინახა, რომ მას მხარს არავინ უჭერდა. ორივე ქალი მას შეჰყურებდა, ამიტომ სასწრაფოდ იმპროვიზაციაზე გადავიდა, — გრეტა სწორედ მაშინ შემოვიდა ეკლესიაში, — განაგრძო მან, — როდესაც ნეფმა ჰაიდნის ჩემეულ შესრულებას პრანჭვა უწოდა, და გადაიხარხარა.

სიუკმაც მაშინვე გადაიხარხარა, ოღონდ გერმანულ ყაიდაზე:

— Ho-ho-ho.

— საინტერესოა, ახლაც ჟიმაობენ? — ზანტად იკითხა ალექსანდრამ. მეგობრებთან იგი მოდუნდა და წარმოსახვის მანქანა აამუშავა, — როგორ შეუძლია ამის ატანა? ეს იგივეა, რაც დულილდაწყებული მჟავე კომბოსტო.

— სულაც არა, — მტკიცედ თქვა ჯეინმა, — ეს იგივეა, რაც... რას ეძახიან იმ მოთეთრო სისაძაგლეს, ასე რომ უყვართ? Sauerbraten.[2]

— მას მარინადში დებენ, — თქვა ალექსანდრამ, — ნიორთან, ხახვთან და დაფნასთან ერთად. მგონი, წიწაკაც უნდა.

---

[1] *სალეკი მდელო — ჭალის მდელო; მდელო მდინარეთა ხეობებში, რომელიც იფარება ჩამონადენი წყლით. ასეთი მდელოები, როგორც წესი, მინერალური მარილებითაა გამდიდრებული და უხვმოსავლიანია.*

[2] *შემწვარი, ძმარში მოშუშული (გერმ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ამას თვითონ გიყვება? — ეშმაკურად ჰკითხა სიუკმა ჯეინს.

— ჩვენ ასეთ საკითხებზე არასდროს ვლაპარაკობთ, სიახლოვის დროსაც, — გულწრფელად მიუგო ჯეინმა, — მან მხოლოდ ის გამიმხილა, რომ ცოლს მასთან დაწოლა კვირაში ერთხელ უნდა და ყველაფერს აქეთ-იქით ისვრის.

— პოლტერგეისტი, — თქვა კმაყოფილმა სიუკმა, — პოლტერფრაუ.

— სწორედაც რომ, — წარმოთქვა ჯეინმა, რომელიც იუმორს ვერ მიუხვდა, — მართალი ხარ. იგი საშინელი ქალია. ისეთი პედანტური, ისეთი თვითკმაყოფილი, ფაშისტი. ამას მხოლოდ საბრალო რეი ვერ ამჩნევს.

— საინტერესოა, რამეს თუ ხვდება ის ქალი? — ხმამაღლა განაგრძობდა ფიქრს ალექსანდრა.

— არც კი ადარდებს! — ჯეინმა ბოლო სიტყვას ისე გაუსვა ხაზი, რომ იგი სტვენასავით გაისმა.

— გამოდის, რომ თავის ნებაზე მიუშვია.

— თუ ასეა, მაშინ ყველამ უნდა ვსინჯოთ მასთან, — თქვა ალექსანდრამ, თან ეს მსუქანი, ოფლიანი კაცი ტორნადოს, აჯხორცობის გაუმაძღარი ბუნებრივი წყაროს სახით წარმოიდგინა.

— მოვდივართ, გრეტა! დაგვიდექი! — ჩაერთო ჯეინი, რომელიც, როგორც იქნა, ჩასწვდა იუმორს.

სამივემ გაიცინა.

შემოსასვლელი კარი ხმაურით გაჯახუნდა — ვიღაც ნელა ამოდიოდა კიბეზე. არა, ეს პოლტერგეისტი არ იყო — სიუკის ერთ-ერთი შვილი დაბრუნებულიყო სკოლიდან. ზემოთ ადამიანთა ხმების დამამშვიდებელი, ხმამაღალი გუგუნი გაისმა — ტელევიზორი ამუშავდა.

სიუკმა მარილიანი თხილი ხარბად ჩაიყარა პირში, და რომ არ გადმოსცვენოდა, პირზე ხელი მიიფარა. თან ისევ იცინოდა და ნამცეცებს აქეთ-იქით ყრიდა.

— ნუთუ არავის სურს მოსმენა ახალი ჯენტლმენის შესახებ?

— არც ისე ძალიან, — თქვა ალექსანდრამ, — მამაკაცები მთავარი პასუხი არაა საკითხის გადასაწყვეტად — განა ეს არ დავასკვენით?

სიუკს ხშირად შეუმჩნევია, რომ ჯეინის თანდასწრებით ალექსანდრა სხვანაირი ხდებოდა, უფრო შებორკილი. არადა, რამდენიმე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წუთის წინ სულაც არ მალავდა ინტერესს ახალი მამაკაცისადმი. ჯეინსაც და სიუკსაც კარგი აღნაგობა ჰქონდათ, რასაც ხშირად სილამაზედ აღიქვამენ. ალექსანდრა კი ექვსი წლით უფროსი იყო და მათი შეხვედრებისას ხმაში დედობრივი ინტონაცია უჩნდებოდა. სიუკი მოძრავი იყო და ლაქლაქა, ლექსა კი — ზანტი და გამჭრიახი. სამეულის შეკრებებზე ალექსანდრა სიმშვიდესა და სერიოზულობას ინარჩუნებდა, ამიტომ დანარჩენი ორი მას ხშირად მიმართავდა რჩევისთვის.

— მამაკაცები მთავარი პასუხი როდია საკითხის გადასაწყვეტად, — განმარტა ჯეინ სმარტმა, — თუმცა, შესაძლოა, მთავარ შეკითხვას კი წარმოადგენდეს.

ჯინის ბოთლი უკვე ერთ მესამედზე დაეყვანათ. ატმის კანის ნაჭერი — ბავშვი იყო, რომელიც ელოდებოდა, თუ როდის აღირსებდნენ დღის სინათლეს. შებინდებისას გამუქებულ ფანჯრებს მიღმა შავი შაშვები ხმაურით მალავდნენ დღეს სიბნელის საგზაო ჩანთაში.

ბოლოს სიტყვა სიუკმა ითხოვა.

— იგი მდიდარია, — თქვა მან, — ორმოცდაორისა შესრულდა. ცოლი არასდროს ჰყოლია. ნიუ-იორკიდან ჩამოვიდა, წარმოშობით მდიდარი ჰოლანდიური ოჯახიდანაა. ამასთან გამომგონებელიცაა. აღმოსავლეთ ფრთის დიდი ოთახი, სადაც ჯერაც დგას ბილიარდი, და მის ქვეშ მდებარე სამრეცხაო, ლაბორატორია იქნება მთელი თავისი უჟანგავი ნიჟარებით, გადამქაჩავი მილებითა და სხვა მისთანებით. დასავლეთ ფრთაში კი, სადაც ლენოქსებს სათბური ჰქონდათ მოწყობილი თუ ორანჟერეა, იგი უზარმაზარი აბაზანის ჩადგმას აპირებს, კედლებზე სტერეოდინამიკებს ჩამოჰკიდებს, — მინავლებული დღის შუქზე სიუკს თვალები სულ გაუმწვანდა და აღშფოთებისგან აუელვარდა, — ჯო მარინომ მასთან კონტრაქტი გააფორმა სანტექნიკური სამუშაოების თაობაზე. მათ ყველაფრის შესახებ გუშინ საღამოს მოილაპარაკეს, მას შემდეგ, რაც რატუშაში კვორუმი არ შედგა, ვინაიდან ჰერბი პრინზი ისე გაემგზავრა ბერმუდის კუნძულებზე, კრინტი არავისთან დაუძრავს. ჯო უზომოდ გაოცებული იყო: ჯანდაბას ხარჯთაღრიცხვა და ფასი, ყველაფერი საუკეთესო უნდა იყოსო. აბაზანა ტექტონისგან იქნება, ორ-ნახევარი მეტრის დიამეტრისა. ამასთან კაფელის იატაკზე სიარული არ ჰყვარებია და ტენესში უკვეთს საგანგებოდ წვრილმარცვლიან ფილებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— პრეტენზიული კაცი ყოფილა, — განაცხადა სიუკმა.

— სახელი თუ აქვს მაგ მფლანგველს? — იკითხა ალექსანდრამ, თან იმაზე ფიქრობდა, რა რომანტიკულია სიუკი, თუმცა ჭორების შემგროვებელიაო. ისიც ადარდებდა, მეორე ჭიქა ტონიკიანი არაყი თავს ხომ არ აატკივებდა თავის უაზრო სოფლურ სახლში მარტოდ დარჩენილს, სადაც მძინარე ბავშვების მშვიდი ფშვინვა და კოულის მოუსვენარი ფუსფუსი ისმის ხოლმე და მის უძილობას მხოლოდ დამღუპველი მთვარის შუქი თუ თანაუგრძნობს. დასავლეთით სადღაც კოიოტი ყვირის, იმის იქით კი ტრანსკონტინენტური ექსპრესი წაიყვანს ვაგონებს მრავალი მილის მანძილზე. ეს ხმები მის სულს ფანჯრიდან გაიტაცებს და უძილობის ნაზ, ვარსკვლავებით განათებულ ღამეში განაბნევს. აქ, მოღუშულ, ჭაობიან დასავლეთ სანაპიროზე, ყველაფერი ახლოს ჩანდა, სახლს ყოველი მხრიდან ფაფარაშლილი ტევრი ერტყა. ნათლად ხედავდა ქალებს სიუკის მყუდრო, სათამაშო სახლში, ჯეინის ყოველ შავი თმის ღერს ზედა ტუჩთან, ქვემოთ კი სტატიკური ელექტრობისადმი მგრძნობიარე ქარვის კონას. სიუკის გრძელი წინამხრები ალექსანდრაში თვალების ალერგიულ ქავილს იწვევდა. იგი იმ კაცის გამო ეჭვიანობდა, ვის შესახებ გადაკრული სიტყვაც კი აფორიაქებდა მის მეგობრებს, რომლებსაც იქამდე, ხუთშაბათობით, მხოლოდ თვითონ აღელვებდა იმ კატის დინჯი, მეფური ჩვეულებებით, მოულოდნელად კრუტუნს რომ შეწყვეტს და მსხვერპლს დააცხრება თავს. ამგვარ ხუთშაბათ დღეს სამი მეგობარი წარმოსახვაში ხილვებს იძახებდა ისთვიქის ცხოვრებიდან და ეს სცენები ჩუმი გუგუნით ტრიალებდა გაშავებულ ჰაერში. მესამე ჭიქა სპირტიანი სასმლის დალევის შემდეგ ისინი სათანადო ხასიათზე დგებოდნენ, ზენიტის მიმართულებით კარვისმაგვარ მძლავრ კონუსს აღმართავდნენ და შინაგანად გრძნობდნენ, თუ ვინ იყო ავად, ვის აწუხებდა ვალი, ვინ გაგიჟებულიყო, ვინ ილანძღებოდა, ვის დაევიწყებინა ცხოვრებისეული გასაჭირი და ძილისთვის მიეცა თავი. მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარად იყო. მათი წონასწორობა დაირღვა.

— განა უცნაური არ არის, რომ მისი სახელი არ მახსოვს? — ამბობდა სიუკი და წარმავალ დღეს ფანჯრიდან აკვირდებოდა. რომბისებური, მორყეული მაღალი ჩარჩოდან ვერაფერს ხედავდა, მაგრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცხადად წარმოიდგინა თავისი ეზოს უკანა ნაწილში მდგარი ერთადერთი, წვრილი, ახალგაზრდა მსხლის ხე, წაგრძელებული ფორმის ყვითელი, მძიმე ნაყოფით დახუნძლული, ბავშვების საკარნავალო კოსტიუმებზე მიმაგრებულ საკიდრებს რომ წააგავდა. ახლა ყოველი დღე თივისა და მწიფე ნაყოფის სუნს აფრქვევდა; გზის გასწვრივ, ბალახში, ნაგვიანევი პატარა ასტრები თეთრად მოჩანდა, — გუშინ საღამოს პირზე ყველას მისი სახელი ეკერა, მარჯ პერლისგან მე ის უფრო ადრე გავიგე, ენის წვერზე მადგას...

— მეც, — წყნარად თქვა ჯეინმა, — მასში რაღაც მოკლე სიტყვაა.

— დე, და, დი, — კარნახობდა იმედგადაწურული ალექსანდრა.

სამივე ალქაჯი დადუმდა, მიხვდნენ, რომ საუბარი არ აეწყო და ხასიათი გაუფუჭდათ.

შაბათ საღამოს უნიტარულ ეკლესიაში გამართულ კამერული მუსიკის კონცერტზე დარილ ვან ჰორნი გამოცხადდა, უხეში, შავგვრემანი მამაკაცი. გაქონილი, ხუჭუჭი თმა ყურებს თითქმის უფარავდა, უკან ისე შეეკრა, რომ გვერდიდან თავი დათვის დრუნჩს მიუგავდა საშინლად მსხვილი ცხვირით. ნაცრისფერი ფლანელის შარვალი ეცვა, მუხლებში გაგანიერებული, ჰარის ტვიდის[1] პიჯაკს უცნაური, მოშავო-მომწვანო ნახატი უმშვენებდა; იდაყვებზე ტყავი ჰქონდა ჩაკერებული; მისი ოქსფორდული პერანგი საღილეებზე ელვაშესაკრავით ორმოცდაათიან წლებში იყო მოდაში. პატარა, წვეტიანი მოკასინები კოსტიუმს სულ არ უხდებოდა. მამაკაცი საზოგადოებაში შთაბეჭდილების მოსახდენად გამოსულიყო.

— თქვენ ადგილობრივი სკულპტორი ბრძანდებით, — ასე მიმართა მან ალექსანდრას ეკლესიაში კონცერტის მონაწილეთა და მათ მეგობართა პატივსაცემად გამართულ მიღებაზე, როდესაც სასტუმრო დარბაზის ცენტრში ანტიფრიზის ფერის უალკოჰოლო პუნშს მიირთმევდნენ.

ეს ბერძნული სტილის მომცრო, საკმაოდ ლამაზი ეკლესია, დორიული კარიბჭითა და დაბალი რვაკუთხა კოშკით მდებარეობდა კოკუმსკუსოკის ქუჩაზე, რომელიც მუხნარისა და ელმის ქუჩის

[1] *ჰარის ტვიდი — შოტლანდიური ქსოვილი პიჯაკების შესაკერად.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიახლოვეს იწყებოდა. ეკლესია კონგრეგაციონალისტებმა[1] ააგეს 1823 წელს, ერთი თაობის შემდეგ კი, 1840 წელს, იგი უნიტარელთა ხელში გადავიდა. მოგვიანებით, როდესაც რელიგიურმა თავგამოდებამ იკლო, ეკლესია შიგნიდან ალაგ-ალაგ ჯვრებით დაამშვენეს, დარბაზის კედელზე კი საკვირაო სკოლაში შეკერილი ხავერდის დიდი დროშა დაკიდეს. მასზე ეგვიპტური ჯვარი იყო გამოსახული „ტაუ"[2] ასოს სახით — იეროგლიფის, რომელიც სიცოცხლეს ნიშნავდა და ოთხი ძირითადი სტიქიის ალქიმიურ ნიშნებს შორის მდებარეობდა.

მონაწილეთა და მათ მეგობართა კატეგორიაში ყველა შედიოდა, ვან ჰორნის გამოკლებით, რომელსაც მაინც მოეხერხებინა სასტუმრო დარბაზში მოხვედრა. იქ მყოფებმა უკვე იცოდნენ, ვინ იყო იგი და დაინტერესებას არც მალავდნენ. ლაპარაკის დროს მისი ხმა პირისა და ყბის მოძრაობას თითქოს არ თანხვდებოდა, ხოლო მეტყველების აპარატის არაბუნებრიობის შეგრძნებას უცნაურად აძლიერებდა სახის ცვალებადი გამომეტყველება და ნერწყვის სიუხვე, რომელიც საუბრის დროს შხეფებად გადმოსდიოდა და ზოგჯერ მის მოსაწმენდად გაჩერება უხდებოდა. მიუხედავად ამისა, როდესაც იგი ალექსანდრასკენ ინტიმური საუბრისთვის დაიხარა, თავდაჯერებული, კულტურული და შეძლებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— ეგ ისე, არაფერია, — უპასუხა ალექსანდრამ და მის ზემოთ აღმართული მუქი გიგანტის გვერდით თავი უეცრად პატარა და მორცხვ არსებად იგრძნო. ამ დროს იგი განსაკუთრებით მგრძნობიარე იყო უცხო აურისადმი. სველი თახვის ბეწვივით მუქ ყავისფრად მოელვარე, თრთოლის გამომწვევი აურა უცნობს ზედ თავზე ედგა, — ჩემი მეგობრები მათ ბალღებს უწოდებენ, — დაამატა მან, თან ცდილობდა, არ გაწითლებულიყო. ხალხის სიმრავლისგან მას თვალები უჭრელდებოდა და თავს ცუდად გრძნობდა — ბრბოსა და ახალ ნაცნობობას შეჩვეული არ იყო.

— არაფერია, მაგრამ დამაჯერებელი კია, — გამოეხმაურა ვან ჰორნი და ტუჩები მოიწმინდა, — მაგიური ძალა აქვთ — ამას

---

[1] *კონგრეგაციონალისტები — ინგლისური „კალვინიზმის" რადიკალური ფრთა, რომლებიც თითოეული თემის (კონგრეგაციის) ავტონომიურობას მოითხოვდნენ.*

[2] *ტაუ — ბერძნული ანბანის მეცხრამეტე ასო.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაშინვე იგრძნობ, როგორც კი ხელში აიღებ. პირდაპირ დამატყვევეს. რაც იყო, ყველა ვიყიდე. რა ჰქვია იმ მაღაზიას? „ხმაურიანი ცხვარი“...

— „მოწკავწკავე მელია“, — თქვა ქალმა, — და „მშიერი ცხვარი“, სულ ორ ნაბიჯშია პატარა საპარიკმახეროდან, თუ თქვენ საერთოდ იკრეჭთ თმას.

— შეძლებისდაგვარად, არასდროს. ძალას მართმევს. დედა ოდესღაც სამსონს მეძახდა. დიახ, ძლიერი მამაკაცი ვარ. თქვენი ყველა სტატუეტი შევისყიდე. მინდა ერთ მეგობარს ვანახვო, მართლაც შესანიშნავ ადამიანს, რომელსაც ნიუ-იორკში გალერეა აქვს ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე. დაპირება არ მჩვევია, ალექსანდრა, — ხომ შეიძლება, ასე დაგიძახოთ? — მაგრამ თუ უფრო დიდი მასშტაბის ნამუშევარს შექმნით, სიტყვას გაძლევთ, გამოფენის მოწყობაში დაგეხმარებით. შესაძლოა, თქვენგან მარისოლი[1] არ გამოვიდეს, მაგრამ კიდევ ერთი ნიკი დე სენ-ფალი[2] აუცილებლად გახდებით. გინახავთ მისი „ნანა“? აი, ნამდვილი მასშტაბური ნამუშევარი. იმას ვგულისხმობ, რომ ნიკიმ ფრთები გაშალა და არავის არ ძარცვავს.

ალექსანდრამ შვებით ამოისუნთქა — მიხვდა, რომ ეს კაცი სულაც არ მოსწონდა. მიმწოლი, უხეში და მოლაყბე. „მშიერ ცხვარში“ მისი ფიგურების შესყიდვა მოტაცების ტოლფასი იყო, ახლა კი სასწრაფოდ უნდა გამოეწვა კიდევ ერთი პარტია იმაზე ადრე, ვიდრე ვარაუდობდა. ზეწოლამ, რომელსაც ეს პიროვნება მასზე ახდენდა, კუჭის სპაზმები გაუძლიერა. იგი დილიდანვე დაეწყო, ვადაზე რამდენიმე დღით ადრე. კიბოს ერთ-ერთი ნიშანი — მენსტრუალური ციკლის დარღვევაა. ამასთან ჯერ კიდევ დასავლეთში შეითვისა მან სამწუხარო მტრული დამოკიდებულება ინდიელებისა და ლათინოამერიკელთა მიმართ. მისი აზრით კი, დარილ ვან ჰორნი საერთოდ დაუბანელის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კანზე თვალისთვის შესამჩნევი შავი წინწკლები ჰქონდა, როგორც ნახატის ავტოტიპიაზე. მან თმიანი ხელის ზურგით მოუთმენლობისგან მოცახცახე ტუჩები მოიწმინდა. ქალი კი მართალ, მაგრამ თავაზიან პასუხს ეძებდა. მამაკა-

---

[1] *ესკობარი, მარისოლ (დაბ. 1930) — ამერიკელი და ვენესუელელი მოქანდაკე.*

[2] *ნიკი დე სენ-ფალი (1930-2002) — ფრანგი მხატვარი და მოქანდაკე, ახალი რეალიზმის წარმომადგენელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცებთან საქმის დაჭერა დაძაბულობას იწვევს. ამიტომაც ეზარებოდა ეს მძიმე და უსიამოვნო სამუშაო.

— სულაც არ მინდა, კიდევ ერთი ნიკი დე სენ-ფალი გავხდე, — თქვა ალექსანდრამ, — მირჩევნია, ის ვიყო, რაც ვარ. ისინი იმიტომ გამოიყურებიან, როგორც თქვენ აღნიშნეთ, დამაჯერებლად, რომ პატარები არიან და ხელისგულზე ეტევიან.

ქალს სისხლი მოაწვა, სახე აეწვა. გუნებაში გაეცინა თავის აღელვებაზე, როდესაც მიხვდა, რომ ეს ადამიანი მატყუარა და ცარიელი გარეგნობა იყო. ფულის გამოკლებით, რა თქმა უნდა.

კაცს პატარა, წყლიანი თვალები გასწითლებოდა.

— მაგრამ თქვენ რას წარმოადგენთ, ალექსანდრა? ვიწროდ აზროვნებთ, ცოტათი მშიშარა ხართ. საკუთარ თავს შანსს არ აძლევთ, სუვენირების მაღაზიის იქით ვერაფერს ხედავთ. ვერ ვიჯერებ, რომ ასე ცუდად გაფასებენ — რაღაც ოციოდ დოლარად. თქვენს ადგილზე ხუთნიშნა რიცხვებზე დავფიქრდებოდი.

„ვულგარული ტიპი ნიუ-იორკიდან, — გაიფიქრა ალექსანდრამ, — საწყალი, ასეთ დახვეწილ პროვინციაში აღმოჩნდა!“ მას საკვამურიდან ამოსული კვამლი გაახსენდა — როგორ მიშზიდველი მოეჩვენა მაშინ.

— ახალი სახლი როგორ მოგწონთ? კარგად მოეწყვეთ? — ჰკითხა მან დიდსულოვნად.

— დალახვროს ეშმაკმა, გვიანობამდე ვმუშაობ. იდეები თავში ღამით მომდის, ყოველ დილით კი, რვის თხუთმეტ წუთზე, ეს დაწყვლილი მუშები მოდიან! თავიანთი დაწყევლილი ტრანზისტორებით! მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის.

ისე ჩანდა, რომ პატიება მართლაც სჭირდებოდა. მისი ყოველი უხერხული, ნაჩქარევი ჟესტი ამის დასტური იყო.

— უნდა მობრძანდეთ და საკუთარი თვალით ნახოთ, — განაგრძო კაცმა, — რჩევა მესაჭიროება. მუდამ ბინას ვქირაობდი ხოლმე, სადაც ყველაფერს სხვები წყვეტდნენ. საზიზღარი მენარდე მყავს.

— ჯოზე ამბობთ?

— იცნობთ?

— მას ყველა იცნობს, — მიუგო ალექსანდრამ. ამ უცხოელმა უნდა იგრძნოს, რომ ადგილობრივთა შეურაცხყოფა სულაც არ არის ისთვიქში მეგობრების შეძენის საუკეთესო გზა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაცის ლაქლაქა ენა კი რეშვას განაგრძობდა:

— მუდამ ის სულელური ქუდი ახურავს?

ქალი იძულებული იყო, თანხმობის ნიშნად თავი დაექნია, მაგრამ გაღიმება არ ღირდა. ჰალუცინაციები თვითონაც ჰქონდა ხოლმე: ეჩვენებოდა, რომ ჯო ქუდს მასთან სექსის დროსაც არ იხდიდა.

— როცა კი შევუვლი, ყოველთვის სასაუზმოდ არის წასული, — თქვა ვან ჰორნმა, — სულ იმაზე საუბრობს, რომ „რედ სოკსმა" კვლავ გააფუჭა მოწოდება და „ჰეტსს" გასვლაზე დაცვა არ უვარგა. მინდა გითხრათ, რომ არც ის მოხუცია ჯადოქარი, იატაკს რომ აკეთებს. ტენესიდან ჩამოტანილ ძვირფას, ფაქტობრივად, მარმარილოს ფილებს უკუღმა პირით აწყობს, რომელსაც ხერხის კვალი ეტყობა. მანჰეტენზე ეს მეწაღლეები, აქ რომ მუშებს უწოდებენ, ერთ დღესაც ვერ გაძლებდნენ. ნიშნის მოგებით არ გეუბნებით, ვიცი, ჩემზე ფიქრობთ, ნამდვილი სნობიაო, მაგრამ ვხვდები, რომ ამ პროვინციელებს საქათმეების შენების გარდა სხვა საქმე არა აქვთ. ასეთ უცნაურ შტატში ეს არცაა გასაკვირი. არ დაგიმალავთ, ალექსანდრა, და როცა თავს იცავთ და არ იცით, რა თქვათ, თქვენს ქედმაღლურ, გაყინულ მზერას აღფრთოვანებაში მოვყავარ. ძალიან საყვარელი ცხვირი გაქვთ.

ალექსანდრას გასაოცრად, იგი ისე სწრაფად და მსუბუქად შეეხო მისი ცხვირის ორად გაყოფილ წვერს, რომელიც პატრონს გვარიანად აკომპლექსებდა, რომ არც კი დაიჯერებდა, გრილი შეხება რომ არ ეგრძნო.

ეს კაცი მას არ მოსწონდა, მეტიც — ეზიზღებოდა. მაგრამ მაინც იდგა და იღიმებოდა; გრძნობდა, რომ გაება და გული ერეოდა. ელოდებოდა, დილა რას უკარნახებდა.

მათ ჯეინ სმარტი მიუახლოვდა. იგი კონცერტში მონაწილეობდა, ამიტომ ქალებიდან მხოლოდ მას ეცვა საღამოს გრძელი კაბა, რომელიც მბრწყინავი ღია ნაცრისფერი აბრეშუმისგან შეეკერა და მაქმანებით გაეწყო. ნამდვილი საპატარძლოსავით გამოიყურებოდა.

— აჰ, la artist,[1] — წამოიძახა ვან ჰორნმა და მას ხელში სწვდა, მაგრამ არა ჩამოსართმევად, არამედ როგორც მემანიკიურე, თავის

[1] *მსახიობი (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფართო ხელისგულზე დაიდო და დააკვირდა, შემდეგ გაუშვა, რადგან მისი მარცხენა, ძარღვიანი ხელი სჭირდებოდა მოელვარე ძვლოვანი კოჟრებით იმ ადგილებში, სადაც თითები სიმებს აწვებოდა. მას ნაზად ეჭირა ქალის მარცხენა ხელი თავისი თმიანი მტევნებით, — როგორი ინტონაციაა, — თქვა მან, — როგორი ვიბრატო და ფანტაზიის აღმაფრენა. ფიქრობთ, ვინ არის ეს საშინელი უგუნურიო, მაგრამ მუსიკაში კარგად ვერკვევი. მხოლოდ ის მაგრძნობინებს საკუთარ არასრულყოფილებას.

ჯეინს მუქი თვალები აენთო, გაუბრწყინდა.

— მაშ, თქვენ ჩემი დაკვრა პრანჭვად არ მიგაჩნიათ? — ჰკითხა მან, — ჩვენი ხელმძღვანელი კი თვლის, რომ გაპრანჭული ინტონაცია მაქვს.

— სულელი ყოფილა, — თქვა ვან ჰორნმა და ტუჩის კუთხეები მოიწმინდა, — თქვენ გახასიათებთ მკაფიობა და არა პრანჭვა. მკაფიობა აუცილებელია იქ, სადაც მუსიკით მგზნებარე გატაცება იწყება. უამისოდ beaucoup de rien,[1] არა? აი, თუნდაც ცერა თითი. თქვენ მას იქ აწვებით, სადაც მამაკაცთა უმრავლესობა ძლიერად ჩამოჰკრავს ხოლმე სიმებს — დაწოლა ხომ ძალზე მტკივნეულია, — მან მისი მარცხენა ხელი თვალებთან მიიტანა და ცერა თითზე მოეფერა, — ხედავთ? — მიუბრუნდა იგი ალექსანდრას, თან ჯეინის ხელს უსულო ნივთივით აღფრთოვანებით აქნევდა, — აი, შესანიშნავი კოჟრი.

ჯეინმა ხელი გამოსტაცა, იგრძნო, რომ ყველა მათ შესცქეროდა. ამ სცენას უნიტარული ეკლესიის მღვდელი, ედ პარსლიც აკვირდებოდა.

შესაძლოა, ვან ჰორნს დამსწრე საზოგადოების რეაქციით სურდა დატკბობა, როდესაც თეატრალური ჟესტით გაათავისუფლა ჯეინის მარცხენა ხელი და ახლა უდარდელად ჩამოშვებულ მარჯვენაში სწვდა გაოცებულ ქალს ჩამოსართმევად.

— აი, ეს ხელი, — თითქმის ყვირილით წარმოთქვა მან, — თქვენ წარმოიდგინეთ, თურმე სწორედ ეს ხელი ყოფილა კუპრის წვეთი თაფლით სავსე კასრში. თქვენი ხემი. ღმერთო ჩემო! თქვენი სპიკატო[2]

---

[1] *დიდი ვერაფერი შვილია (ფრანგ.).*

[2] *სპიკატო (იტალ.) — წყვეტილი, მხტუნავი შტრიხი ხემიანი ინსტრუმენტის დაკვრისას.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარკატოსავით[1] ჟღერს, ლეგატო[2] კი წყვეტილია. ძვირფასო, თქვენ მძივებივით გაქვთ ასხმული მუსიკალური ფრაზები. უბრალოდ, ერთიმეორის მიყოლებით კი არ იღებთ ნოტებს ტრა-ლა-ლასავით, არამედ ფრაზებს უკრავთ, ადამიანის ტანჯვას გადმოსცემთ.

ჯეინმა აკურატული, სწორად გამოყვანილი პირი ფართოდ დააღო, უხმოდ დაყვირების მსგავსად. ალექსანდრამ დაინახა, როგორ წარმოქმნა ცრემლებმა მეორე წყება ლინზებისა მის თვალებში, რომლებიც ახლოდან კაკლისფრად მოჩანდა.

შემდეგ მამა პარსლი მოვიდა, ახალგაზრდული შესახედაობის მამაკაცი, თითქოს განგების ნიშნის მქონე — ლამაზი სახე ჰქონდა, მაგრამ მრუდე სარკეში დამახინჯებულს ჰგავდა: ძალზე გრძელი ბაკენბარდები ცხვირამდე გასდევდა, თითქოს მათი გამუდმებით წელვის გამო, ასევე ძალზე მსხვილი, მგრძნობიარე ტუჩები ჯიუტად უღიმოდა, როგორც იმ ადამიანს, რომელმაც იცის, რომ სხვაგან მოხვდა, სხვა გაჩერებაზე, ქვეყანაში, რომლის მცხოვრებთა ენა არ ესმოდა. თუმცა მხოლოდ ოცდაათს იყო გადაცილებული, იმ ასაკისა აღარ გახლდათ, რომ ნარკოტიკებით გაჭყეპილი რომელიღაც შუშის მწმენდავის მსგავსად, მშვიდობის მომხრეთა დემონსტრაციაში მიეღო მონაწილეობა, და ეს მოუსვენრობისა და არასრულფასოვნების შეგრძნებას უძლიერებდა, თუმცა გამუდმებით აწყობდა მსვლელობებს, მორიგეობას, კითხვას, თავის მრევლს კი სთხოვდა, დაერთოთ მისთვის ნება, რომ მათი ძველებური, ლამაზი ეკლესია თავშესაფრად ექცია, დაედგა იქ საწოლები, ქურები და ბიოტუალეტები ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სამხედრო სამსახურს თავს არიდებდნენ. ნაცვლად ამისა, აქ კარგი დონის კულტურული ღონისძიებები იმართებოდა. ეკლესიაში გასაოცარი აკუსტიკა იყო — ძველად მშენებლებს, ალბათ, თავიანთი საიდუმლოებანი ჰქონდათ. მაგრამ ალექსანდრა, რომელიც უკაცრიელ ადგილებში იყო გაზრდილი, სადაც ასობით კოვბოური ფილმი იქნებოდა გადაღებული, თვლიდა, რომ წარსული ხშირად რომანტიკულ საფარველშია გახვეული და როცა იგი აწმყოს წარმოადგენდა, მაშინაც ისეთივე უცნაური სიცარიელე ახასიათებდა, როგორსაც დღეს ვგრძნობთ.

---

[1] *მარკატო (იტალ.) — მკვეთრად, მკაფიოდ შესრულება.*

[2] *ლეგატო (იტალ.) — ერთი ბგერიდან მეორეზე თანდათანობით, გადაბმით გადასვლა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ედმა გაოცებით ახედა ქვემოდან — იგი ტანდაბალი იყო, მისი კიდევ ერთი იმედგაცრუება — დარილ ვან ჰორნს, შემდეგ კი ჯეინ სმარტს მიმართა განზრახ გაუცხოებული ხმით:

— შესანიშნავია, ჯეინ. ოთხივენი შესანიშნავად უკრავდით. როგორც ახლახან ვეუბნებოდი კლაიდ გებრიელს, სამწუხაროა, რომ, ცუდი რეკლამის გამო, ნიუპორტიდან ცოტა ხალხი ჩამოვიდა. ვიცი, მისმა გაზეთმა ცდა არ დააკლო. იგი დაეთანხმა ჩემს კრიტიკას, თუმცა ბოლო დროს ძალზე ნერვიულობს.

ალექსანდრამ იცოდა, რომ სიუკი ედთან იწვა. შესაძლოა, იქამდე მისი ადგილი ჯეინს ეკავა. მამაკაცის ხმაში, თუ ქალი მასთან თუნდაც მრავალი წლის წინათ იწვა, განსაკუთრებული ტემბრი ისმის, მსგავსად იმისა, შეუღებავი მერქნიდან რომ არ ქრება ბოჭკოები, თუ იგი დიდი ხნის განმავლობაში რჩება ჰაერზე. ედის აურა — ალექსანდრას არ შეეძლო, აურა არ დაენახა, ეს ნიჭი მას ყოველთვის მენსტრუალური სპაზმებით უბრუნდებოდა — მოუსვენრობისა და საკუთარი თავით ტკბობის სუსტი, მომწვანო-მოყვითალო ტალღებით რაღაცნაირად უფერული, ჭაღარაშეურეველი, უკან გადავარცხნილი თმიდან ეწყებოდა. ჯეინი კვლავაც ცრემლის შეკავებას ცდილობდა. ამ უხერხული პაუზის დროს ალექსანდრამ ეს უცნაური კაცი, კონცერტის ორგანიზატორი წარადგინა.

— მისი მაღალღირსება პარსლი.

— ცერემონიები რა საჭიროა, ალექსანდრა. ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. თუ შეიძლება, ედი დამიძახეთ.

როგორც ჩანს, სიუკს საწოლში ედისთვის რაღაც მოეყოლა მის შესახებ. ამიტომაც მისცა მან თავს ფამილარობის უფლება. სადაც უნდა აღმოჩნდე, ხალხმა შენზე ყოველთვის უფრო მეტი იცის, ვიდრე შენ მათზე, ერთთავად თვალყურს გადევნებენ. ალექსანდრას არ შეეძლო მისთვის სახელით მიემართა — მისი საბედისწერო აურა ძალზე შეუხედავი იყო.

— ეს კი მისტერ ვან ჰორნია, რომელიც ახლახან შესახლდა ლენოქსების სახლში. თქვენ, ალბათ, უკვე შეიტყობდით.

— დიახ, გავიგე. სასიამოვნო სიურპრიზია თქვენი აქ ყოფნა, სერ. არავის უთქვამს, რომ მუსიკის მოყვარული ბრძანდებით.

— ცოტა გადაჭარბებული ნათქვამია. მიხარია, რომ გაგიცანით, თქვენო მაღალღირსებავ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მათ ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. მღვდელი დაიმანჭა.

— თუ შეიძლება, ასე ნუ მიწოდებთ. მტრებიცა და მეგობრებიც ედს მეძახიან.

— შესანიშნავი ძველებური ეკლესია გქონიათ, ედ. ხანძრისგან დაზღვევა, ალბათ, ძალზე დიდ თანხას შეადგენს.

— ღმერთმა იცის, რასაც იქმს, — გაიხუმრა ედმა და ღვთის მგმობი სიტყვების წარმოთქმით მიღებული სიამოვნებისგან სუსტი აურა გაუფართოვდა, — ხუმრობა იქით იყოს, და შენობის გადაკეთება შეუძლებელია, ხანდაზმულები კი ხვეულ საფეხურებს უჩივიან. ისეც მომხდარა, რომ საეკლესიო გუნდიც დაუტოვებიათ, რადგან ზევით ასვლა უჭირდათ. ამასთან, ასეთი ძვირფასი, ტრადიციული სტილით ნაგები შენობა ხელს უშლის თანამედროვე უნიტარისტ-უნივერსალისტების მისიის შესრულებას. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ცენტრში, მაღაზიების პირდაპირ, პორტის ქუჩაზე, ეკლესია გაიხსნას, იქ, სადაც ახალგაზრდობა იკრიბება, სადაც ბიზნესი და ვაჭრობა თავის ბინძურ საქმეებს აკვარახჭინებს.

— თქვენ ეს სიბინძურედ მიგაჩნიათ?

— მაპატიეთ, თქვენს სახელს ხომ ვერ შემახსენებდით?

— დარილი.

— როგორც ვხედავ, დარილ, ადამიანების დაცინვა გყვარებიათ. თქვენც ჩემსავით გამობრძმედილი კაცი ბრძანდებით და კარგად მოგეხსენებათ, როგორ პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული ის მხეცობა, რაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ხდება, „ოლდ სტოუნ ბანკის“ ახალ ფილიალთან, რომელიც პატარა სუპერმარკეტის გვერდითაა გახსნილი. არ ღირს ჩემი თვალსაზრისის მართებულობა ვამტკიცო.

— მართალი ბრძანდებით, მეგობარო, არ ღირს, — უპასუხა ვან ჰორნმა.

— როცა საქმე ფულს ეხება, ძია სემი დროს ტყუილუბრალოდ არ კარგავს.

— ამინ, — თქვა ვან ჰორნმა.

„რა სასიამოვნოა, როცა მამაკაცები მშვიდად საუბრობენ, — ფიქრობდა თავისთვის ალექსანდრა, — მაშინ აღარც აგრესიულობაა, აღარც გაწევ-გამოწევა და აღარც მიკროფონებითა და ფარული ჩანაწერებით თვალთვალი“. მას ყოველთვის ეშინოდა, როდესაც ზღ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვის უბესთან მდებარე ტყეში სეირნობისას ქვიშაზე კიბოს მარწუხების კვალს ან სასიკვდილო შეტაკებების დროს დაყრილ ბუმბულს ხედავდა.

ედ პარსლიმ ჩათვალა, რომ ვან ჰორნი ბანკირი იყო, რომელიც არსებული სისტემის პოლიტიკას ახორციელებდა, ამიტომ მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა იმას, თუ როგორ ცდილობდა მისი თანამოსაუბრე სწრაფად დაესრულებინა ლაპარაკი მომაბეზრებელ უიღბლო ლიბერალთან, არარსებული ღმერთის უმწეო მომხრესთან. ედს სურდა, რომ სხვა, უფრო დიდი და ძლიერი სისტემის წარმომადგენელი ყოფილიყო. იგი თითქოს თვითგვემის მიზნით ატარებდა საყელოიან სამოსელს, რომელშიც მისი კისერი ერთდროულად ბავშვურიც იყო და დაძარღვულიც. მისი აღმსარებლობის მღვდლისთვის ამგვარი საყელო უჩვეულო იყო და იგი ერთგვარ პროტესტს ნიშნავდა.

— გავიგონე, რომ ვიოლონჩელოზე ჯეინის დაკვრა გააკრიტიკეთ, — თქვა მან და მისი ხმა ყრუდ, შემპარავი ზეიმურობით გაისმა.

— მხოლოდ ხემი, — მიუგო ვან ჰორნმა მოულოდნელი მოკრძალებითა და რიდით, ყბა ჩამოუვარდა და პირზე ნერწყვი მოადგა, — მე ვთქვი, შესანიშნავი იყო, მხოლოდ ხემი ფრუტუნებდა-მეთქი. ღმერთო ჩემო, აქ ოთხი თვალი უნდა გამოიბა, რომ ვინმეს საყვარელ კოჟრზე შემთხვევით ფეხი არ დაადგა. აი, მშვენიერ ალექსანდრას მოვუყევი, თუ როგორი უგერგილოა ჩემი მენარდე-სანტექნიკოსი, ის კი მისი საუკეთესო მეგობარი აღმოჩნდა.

— საუკეთესო — არა, მხოლოდ მეგობარი, — ალექსანდრამ საჭიროდ ჩათვალა, რომ ჩარეულიყო.

როგორც მან ჯერ კიდევ პირველი შეხვედრის გაწამაწიისას შენიშნა, ამ ადამიანს კარგად ეხერხებოდა ქალის უცერემონიოდ მხილება, აიძულებდა მას იმაზე მეტი ეთქვა, ვიდრე აპირებდა. აი, მან ეს-ეს არის, ჯეინს აწყენინა, ის კი ნაცემი ძაღლივით წყლიანი თვალებით მისჩერებოდა.

— ბეთჰოვენი განსაკუთრებით ბრწყინვალე იყო, მეთანხმებით? — პარსლი ვან ჰორნს არ ეშვებოდა, უნდოდა, რომ მას უკან დაეხია, რაც სამშვიდობო ზავისა და მომავალი შეხვედრის საბაბი იქნებოდა.

— ბეთჰოვენმა, — დაიწყო გოლიათმა ზანტად და დამრიგებლური ტონით, — მთელი სული და გული ჩადო თავის ბოლო კვარტე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტებში, იგი სრულიად ყრუ იყო. XIX საუკუნის სახელგანთქმულ პირთა უმრავლესობა ეშმაკსაც კი მიჰყიდდა სულს. ლისტი, პაგანინი. ის, რაც მათ შექმნეს, ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება.

— მე იქამდე ვვარჯიშობდი, სანამ თითებიდან სისხლი არ წამომოვიდა, — ხმა ამოიღო ჯეინმა და პირში შეაცქერდა ვან ჰორნს, რომელიც სახელოთი ტუჩებს იწმენდდა, — ეს საშინელი მეთექვსმეტედები მეორე ანდანტეში...

— განაგრძეთ მეცადინეობა, პატარა ჯეინ. რომ იცოდეთ, სირთულის ხუთი მეექვსედი დინამიკურ მეხსიერებაზე მოდის. როცა თითებს ახსოვთ, გულს სიმღერაც შეუძლია. იქამდე კი თქვენ მხოლოდ მოძრაობებს ასრულებთ. აი, რას გეტყვით. იქნებ ჩემთან გამოგევლოთ, გავერთობოდით, ლუდვიგს ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელოზე შევასრულებდით. სონატა ლა ბემოლი ბრწყინვალე რამ არის, თუ ლეგატოს არ შეუშინდება კაცი. ან თუნდაც ბრამსის მი მინორი: fabuloso. Quel schmaltz![1] ვფიქრობ, ჩემს თითებს ჯერაც ახსოვთ იგი, — და თითები მათ თვალწინ აათამაშა. ვან ჰორნის ხელები, თუმც თმით იყო დაფარული, თავისი სითეთრით ადამიანს შიშს ჰგვრიდა — გეგონებოდათ, ქირურგიული ხელთათმანები უკეთიაო.

უხერხულობის გასაფანტავად ედ პარსლი შეთქმულის უსიამოვნო სახით ალექსანდრას მიუბრუნდა.

— როგორც ჩანს, თქვენმა მეგობარმა იცის, რასაც ამბობს.

— ასე ნუ მიყურებთ. ეს ჯენტლმენი მეც ეს-ეს არის, გავიცანი, — თქვა ალექსანდრამ.

— იგი ბავშვობაში ვუნდერკინდი იყო, — შეატყობინა მათ ჯეინ სმარტმა, რომელიც რაღაცას გაებრაზებინა და თითქოს თავს იცავდა. მისი აურა, ჩვეულებრივ, ლილისფერ-მოვარდისფრო, ღია ლილისფერ ზოლებად მიიწევდა მაღლა და ისეთ აღგზნებას მოასწავებდა, როდესაც ადამიანი აურაში აღარც კი მოჩანს.

ალექსანდრას მოეჩვენა, რომ სასტუმრო დარბაზი ოდნავ ირწეოდა ერთმანეთში მოლივლივე მფეთქავი აურებით, რაც თამბაქოს კვამლივით გულისრევის შეგრძნებას იწვევდა. მას თავბრუ დაეხვა, გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა მოჯადოებას, შინ უნდოდა დაბრუ-

[1] *გასაოცარია (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნება, კოულთან, ხმადაბლა მოგუგუნე გამოწვის ღუმელთან, მომლოდინე გრილ, ნოტიო და რბილ თიხასთან, რომელიც ქოვენთრიდან იყო ჩამოტანილი და ჯუთის ტომრებში ეყარა. თვალი დახუჭა და მოისურვა, რომ იმ მოვლენათა ჯაჭვი, რაც ირგვლივ ხდებოდა — გრძნობის გაღვიძება, მტრობა, ურწმუნობა და დათრგუნვის საშინელი სწრაფვა, რომელიც არა მარტო ამ მუქთმიანი მამაკაციდან მოდიოდა, — მოულოდნელად გამწყდარიყო.

რამდენიმე ხანში შესული მრევლთაგანი მამა პარსლის ყურადღების მისაპყრობად ბრბოში გზას მოიკვლევდა. ის შეტრიალდა, რათა მათდამი თავაზიანობა გამოეჩინა. ქალების პერმანენტულად დახუჭუჭებული ჭაღარა თმათა მღვიმეებში უნაზესი შეფერილობის ოქროსფერი და ცისფერი კულულები მოჩანდა. ლოყებშეფაკლული და გაოფლიანებული რეიმონდ ნეფი — კონცერტი შედგა! — მათ ტრიუმფატორივით მიუახლოვდა, მდუმარედ მოისმინა ერთობლივი კომპლიმენტები და ხმაურით გაიყვანა გვერდზე ჯეინი, თავისი საყვარელი და თანამებრძოლი მუსიკალურ შერკინებებში. დაძაბული გამოსვლის შემდეგ ქალს მხრები და კისერი ოფლისგან უბრწყინავდა. ალექსანდრამ ეს შეამჩნია და გული აუჩვილდა. ნეტავ ასეთი რა იპოვა ჯეინმა რეიმონდ ნეფში? აბა, სიუკმა რა აღმოაჩინა ედ პარსლიში? ერთად დგომის დროს ალექსანდრასთვის ორივე მამაკაცს ჩვეულებრივი სუნი ასდიოდა. ჯო მარინოს კანს კი ნაზი, მომჟავო სუნი ახასიათებდა, ახალშობილის რძის სუნის მსგავსად, როდესაც ლოყით მაგარ და თბილ, ღინღლით დაფარულ კინკრიხოს ეხები. მოულოდნელად იგი კვლავ ვან ჰორნის პირისპირ აღმოჩნდა და შეეშინდა, რომ ისევ უნდა ეგრძნო მასთან საუბრის გარდაუვალი სიმძიმე, მაგრამ სიუკმა, რომელსაც არაფრის არ ეშინოდა, მოწითალო-მოყავისფრო აურის ქვეშ ციმციმებდა და თავის სტიქიაში იყო, ბრბოში გამოაღწია და ინტერვიუს აღება დააპირა.

— რატომ მობრძანდით კონცერტზე, მისტერ ვან ჰორნ? — ჰკითხა მან სტუმარს მას შემდეგ, რაც ალექსანდრამ ისინი ერთმანეთს უხერხულად წარუდგინა.

— ჩემს ტელევიზორს რაღაც გაუფუჭდა, — პირქუშად მიუგო კაცმა. ალექსანდრამ შეამჩნია, რომ იგი ამჯობინებდა, თავად მიემართა სხვებისთვის, მაგრამ სიუკს შეკითხვებზე უარს ვერავინ ეუბ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნებოდა — მისი ენერგიული, მაიმუნისმაგვარი სახე სპილენძის მონეტასავით ელავდა.

— ჩვენს მხარეში რამ მოგიყვანათ? — გაისმა შემდეგი შეკითხვა.

— გადავწყვიტე, რომ ნიუ-იორკიდან წასვლის დრო დადგა, — მიუგო მან, — ძალზე გახშირდა ძარცვა, იჯარის გადასახადიც მაღალია. აქ კი — არა. ეს გაზეთში მოხვდება?

სიუკმა ტუჩები მოილოკა და აღიარა:

— შესაძლოა, „ვორდში“ ვახსენო, მასში საკუთარი რუბრიკა მაქვს, სახელწოდებით „ისთვიქის თვალები და ყურები“.

— ღმერთო ჩემო, ამას ნუ იზამთ, — ჩაილაპარაკა ტომრის მსგავს ტვიდის პიჯაკში გამოწყობილმა გოლიათმა, — აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ ჩემი სახელი დავიწყებას მისცემოდა.

— თუ შეიძლება გკითხოთ, იქ რითი იყავით ცნობილი?

— ეს რომ გითხრათ, ამასაც ყველა შეიტყობს, არა?

— შესაძლებელია.

თავისი გაბედული მეგობრის შემხედვარე ალექსანდრა გაოცებას ვერ მალავდა. სიუკის აურა, მისი მბზინავი თმის მსგავსად, ღია სპილენძისფრად მოჩანდა. ვან ჰორნი უკვე წასვლას აპირებდა, როდესაც მან კიდევ ერთი შეკითხვა დაუსვა:

— თქვენზე ამბობენ, გამომგონებელიაო.

— ძვირფასო, მთელი საღამო რომ მოვანდომო ახსნას, მაინც ვერ გაიგებთ. მე საქმე ძირითადად ქიმიურ პრეპარატებთან მაქვს.

— სცადეთ, — არ ეშვებოდა სიუკი, — ვნახოთ, იქნებ გავიგო.

— გამოაქვეყნეთ ეს თქვენს „თვალებსა და ყურებში“ და, შესაძლოა, წერილი გავგზავნო საკონკურსოდ.

— გარწმუნებთ, რომ ისთვიქის მცხოვრებთა გარდა, „ვორდი“ არავის აინტერესებს. ის კი არა და, ისთვიქშიც არავინ კითხულობს, თუ ვინმეს სახელი არაა ნახსენები. მხოლოდ განცხადებებს ეცნობიან.

— მომისმინეთ, მის...

— რუჯმონტი. მისის. გათხოვილი გახლდით.

— სადაური იყო, კანადელი თუ ფრანგი?

— მონტი სულ მარწმუნებდა, რომ მისი წინაპრები შვეიცარიელები იყვნენ. იქცეოდა კიდეც შვეიცარიელივით. თუ არ ვცდები, მათ კვადრატული თავები აქვთ, არა?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დამიჭირეთ, არ წავიქცე. მეგონა, რომ ეს მანჯურიელებს ახასიათებდათ — თავის ქალა ცემენტის ბლოკივით ჰქონდათ, ამიტომაც აწყობდა ჩინგიზ ხანი მათ ასე აკურატულად.

— ხომ არ გეჩვენებათ, რომ თემას გადავუხვიეთ?

— გაიგეთ, რომ გამოგონებების შესახებ ვერ ვილაპარაკებ. ყურადღებას მივიქცევ.

— მაგრამ ეს ამაღელვებელია! ყოველი ჩვენგანისთვის, — თქვა სიუკმა და ღიმილისგან ზედა ტუჩი ისე მომხიბლავად გაეღუნა, რომ ცხვირის ნესტოები ზემოთ აეწია და ღრძილები გამოუჩნდა, — განა მხოლოდ ჩემთვის. ლექსაც აქ არის. შეხედეთ, რა დიდებული ქალია!

ვან ჰორნმა მკვეთრად მიაბრუნა მსხვილი თავი, თითქოს ამაში დარწმუნება სურდა, და მის გაწითლებულ, მოჭუტულ თვალებში ალექსანდრამ საკუთარი გამოსახულება დაინახა, როგორც ტელესკოპის მეორე მხრიდან — საოცრად პატარა ფიგურა, ფოსოთი ნიკაპზე, ორად გაყოფილი ცხვირის წვერითა და ჭაღარა კულულებით. კაცმა შეკითხვაზე პასუხის გაცემა გადაწყვიტა:

— ბოლო დროს ბევრს ვმუშაობ დამცავი საფრის შექმნაზე — იატაკის საფარზე, რომელსაც გამაგრების შემდეგ ვერაფრით აფხეკ, ხორცის საჭრელი დანითაც კი: იგი შეიძლება ფხვნილის სახით დავყაროთ გახურებულ ფოლადზე მისი გაცივებისას, და ეს ნივთიერება ნახშირწყალბადის მოლეკულებს უერთდება. თქვენი ავტომობილის კორპუსში ლითონის დაღლა დაჟანგვის პროცესზე ადრე იწყება. სინთეტიკური პოლიმერები — აი, რა ჰქვია ამ ახალ, შესანიშნავ სამყაროს, ძვირფასო, და იგი მხოლოდ ახლა იქმნება. ბაკელიტი[1] დაახლოებით 1907 წელს გამოიგონეს, სინთეტიკური კაუჩუკი — 1910 წელს, ნეილონი — 1930-ში. თუ ამ თარიღების გამოყენებას აპირებთ, მაინც გადაამოწმეთ. საქმე ისაა, რომ ამ საუკუნეში ყველაფერი მხოლოდ ახლა იწყება. სინთეტიკური პოლიმერები ჩვენს სამსახურში მილიონი წელი იქნება, ან იქამდე, სანამ დედამიწას ჩვენვე არ ავაფეთქებთ, რაც უფრო სავარაუდოა. მიმზიდველი ის არის, რომ მისთვის ნედლეულის მოყვანაა შესაძლებელი. როცა ამისთვის ხმელეთი საკმარისი აღარ იქნება, ოკეანეს მივადგებით. დაგვიდექ,

[1] *ბაკელიტი — წყალში უხსნადი ხელოვნური ფისის სახეობა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დედაბუნებავ. ჩვენ დაგამარცხებთ. გარდა ამისა, მე უდიდესი ინტერ-ფეისის საკითხზეც ვმუშაობ.

— რას ნიშნავს ეს ინტერფეისი? — არ მოერიდა შეკითხვის დასმას სიუკი. ალექსანდრამ მხოლოდ თავი დააქნია, თითქოს იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი. მას კიდევ ბევრი რამ უნდა ესწავლა ქალური ლმობიერებისა და დამთმობლობის დასაძლევად.

— ინტერფეისი მზის ენერგიასა და ელექტროენერგიას შორის ერთგვარი საზღვარია! — მოახსენა სიუკს ვან ჰორნმა, — ის უნდა არსებობდეს, და როცა საჭირო კომბინაციას მიაგნებთ, სახლში, სახურავიდან დაწყებული, ნებისმიერი მოწყობილობით სარგებლობას შეძლებთ, და კიდევ საკმარისი ენერგია დაგრჩებათ, რათა ღამით თქვენს ელექტრომობილში აკუმულატორი დამუხტოთ. სუფთა, შეუზღუდავი და უფასო ენერგია. და ასეც იქნება, ძვირფასო. ასეც იქნება.

— ეს პანელები ნამდვილი საშინელებაა, — თქვა სიუკმა, — ჩვენს ქალაქში ერთი ბიჭია, ჰიპი. მან ძველ გარაჟში წყლის გასათბობად მზის ბატარეები დააყენა. ვერ გამიგია, რატომ არასდროს იბანს.

— მე დენის მიმღები არ მქონდა მხედველობაში, — მიუგო ვან ჰორნმა, — ეს ყველაფერი T-მოდელია, — მან მიიხედ-მოიხედა, თავი აქეთ-იქით კასრივით უგორავდა, — მე საღებავზე ვსაუბრობ.

— საღებავზე? — იკითხა ალექსანდრამ, რომელმაც იგრძნო, რომ მასაც უნდა ეთქვა რამე. სხვა რომ არაფერი, ეს კაცი შესაძლებლობას აძლევდა, ტომატის სოუსის გარდა სხვა რამეებზეც ეფიქრა.

— საღებავზე, — სერიოზული სახით დაუდასტურა მან, — გამძლე საღებავზე, რომელსაც აიღებ ფუნჯით, შეღებავ და თქვენი მყუდრო სახლის მთელი ზედაპირი უზარმაზარ, დაბალვოლტიან ელექტროლიტურ აბაზანად იქცევა.

— ეს ყველაფერი მხოლოდ ერთი სიტყვითაც გამოითქმება, — ჩაილაპარაკა სიუკმა.

— რომელი სიტყვით?

— ელექტრიფიკაცია.

ვან ჰორნმა ნაწყენი კაცის გამომეტყველება მიიღო.

— დალახვროს ეშმაკმა, რომ მცოდნოდა, ასეთი სისულელის თქმას აპირებდით, თქვენზე დროს აღარ დავკარგავდი. ჩოგბურთს თუ თამაშობთ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიუკი წელში გაიმართა. ალექსანდრას მის ბრტყელ მუცელზე ხელის გადასმა მოუნდა, მკერდიდან ქვემოთ, წელისკენ, უფრო ქვემოთაც. ისევე, როგორც გინდა, ხელი გაიწვდინო და მუცელზე მოეფერო კატას, როდესაც იგი ზურგზე გაწოლილი იზმორება და კუნთოვანი ექსტაზისას გაჭიმული უკანა ფეხები უთრთის. სიუკსაც ასეთივე ლამაზი აღნაგობა ჰქონდა.

— ცოტათი, — მიუგო ქალმა, გაიღიმა და ენით ზედა ტუჩს შეეხო.

— ორი კვირის მერე აუცილებლად უნდა მობრძანდეთ, როდესაც კორტს გააკეთებენ.

— ჭაობზე აშენება არ შეიძლება, — ჩაერია საუბარში ალექსანდრა.

გოლიათმა ტუჩები მოიწმინდა და მას ანტიპათიით შეხედა.

— როდესაც ჭაობს ამოაშრობენ, იქ ჭაობი აღარ იქნება, — თქვა მან ცუდად დაყენებული ხმით, სიტყვების ყლაპვით.

— იქვე, ცოტა მოშორებით, თეთრ ყანჩებს ბუდის გაკეთება უყვართ.

— მა-გა-რი-ა, — თქვა ვან ჰორნმა, — მაგარი.

მისმა მოულოდნელმა მწვავე მზერამ ალექსანდრას გაოცება გამოიწვია. გაიფიქრა კიდეც — ალბათ კონტაქტურ ლინზებს ხმარობსო. და კიდევ. როდესაც საუბრის თემას უდარდელად ცვლიდა, ჩანდა, რომ ამას ძალდატანებით აკეთებდა, რათა თავშეკავებას არ ემტყუნა. ალექსანდრამ ჩუმად ამოიოხრა და ოდნავი თავბრუსხვევა იგრძნო, თითქოს ქვემოთ, ღრმა ორმოში იყურებოდა: კაცის აურა გაქრა. გაქონილი თმაზე აღარაფერი მოჩანდა, როგორც მიცვალებულის ან ხის კერპის შემთხვევაში.

სიუკმა გადაიკისკისა, ზამშის ბოლოკაბის ქამრის ქვეშ კოხტა მუცელი დიაფრაგმის მოძრაობის ტაქტში აუთახთახდა.

— აი, ეს მომწონს. თუ ნებას მომცემთ, თქვენს ციტირებას მოვახდენ, მისტერ ვან ჰორნ. „როდესაც ჭაობს ამოაშრობენ, ჭაობი აღარ იქნება“, — დამაინტრიგებლად აცხადებს ჩვენი ახალი თანაქალაქელი.

ალექსანდრა მათმა ხმაშეწყობილმა სიმღერამ გააცოფა და ზურგი აქცია. ყველა იქ მყოფის აურა თვალს სჭრიდა გზატკეცილზე დაკრული განათების ნიშნებივით, საქარე მინის საწმენდზე მოხვედრილი წვიმის წვეთებივით. და რაც ყველაზე ცუდი იყო, მისი ნების

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საწინააღმდეგოდ, ბუნდოვნად გრძნობდა საკუთარ სხეულში მგრძნობიარე სისველეს. ამ ზორბა მამაკაცს უამრავი ნაკლი ჰქონდა და იგი, როგორც უფსკრული, მკერდიდან მას გულს ართმევდა.

მოხუცი მისის ლავკრაფტი, რომლის აურაც მყვირალა ფუქსიის[1] ფერისა იყო, იმათ მსგავსად, ვინც ცხოვრებით კმაყოფილია და სავსებით დარწმუნებულია, რომ ზეცაში მოხვდება, ალექსანდრას მიუახლოვდა და ჩვეული სისულელეები დაიწყო:

— სენდი, ძვირფასო, ძალიან გვაკლიხართ მებაღეთა კლუბში. საზოგადოებას თავი არ უნდა აარიდოთ.

— განა მე საზოგადოებას გავურბივარ? დაკავებული ვიყავი. პომიდვრის წვენს ვამზადებდი. წელს ძალიან უხვი მოსავალი იყო.

— ვიცი, რომ ბოსტანს უვლით. ყოველთვის, როცა კი თქვენს სახლს ჩავუვლით ორჩარდ-როუდზე, მე და ჰორასი აღფრთოვანებას ვერ ვმალავთ: კართან თვალწარმტაცი ყვავილნარი კოკრებითაა სავსე. რამდენჯერ მითქვამს მეუღლისთვის: „მოდი, შევუაროთ-მეთქი“, მაგრამ მერე გამიფიქრია: „არა, ის, ალბათ, თავისი ფიგურებითაა დაკავებული“. შთაგონებას ხელს ვერ შევუშლი.

„დაკავებულია თავისი ფიგურებით ან სექსით ჯო მარინოსთან“, — ალექსანდრამ გაიფიქრა, რომ ფრანი ლავკრაფტი სწორედ ამას გულისხმობდა. ისთვიქის მსგავს ქალაქებში საიდუმლოებები არ არსებობდა, იყო მხოლოდ დადუმების ფიგურები. როდესაც ის და ოზი ჯერ კიდევ ერთად იყვნენ, მათ რამდენიმე საღამო ლავკრაფტების მსგავსი ალერსიანი და წესიერი მოხუცების წრეში გაატარეს. ახლა კი ალექსანდრა გრძნობდა, რომ უხერხულად დაშორებოდა რიგიანი და საოცრად მოსაწყენი გასართობების სამყაროს.

— ზამთარში, როცა საქმე არაფერი მექნება, როგორმე შემოგივლით შეკრებაზე, — გული მოულბა ალექსანდრას, — როცა ბუნება მომენატრება, — დაამატა მან, თუმცა იცოდა, ეს არასდროს მოხდებოდა, — სლაიდები თუ გაქვთ ინგლისური პარკების შესახებ? ძალიან მიყვარს მათი ყურება.

— შემდეგ ხუთშაბათს უნდა გვეწვიოთ, — ჯიუტად არ იშლიდა თავისას ფრანი ლავკრაფტი, თან გადამეტებით ჟესტიკული-

[1] *ფუქსია — დეკორატიული მცენარეა. გრძელყუნწიანი დაკიდებული სხვადასხვა ფერის ყვავილი აქვს. გამოირჩევა ფერების სიმკვეთრით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რებდა, როგორც ეს ნაკლებად ცნობილ ადამიანებს, მაგალითად, ბანკების ვიცე-პრეზიდენტებსა და კლიპერების კაპიტნების შვილიშვილებს ახასიათებთ, — უორიკი, დეიზი რობსონის შვილი, ახლახან დაბრუნდა ირანიდან, სადაც თავის შესანიშნავ, პატარა ოჯახთან ერთად სამი საოცარი წელი გაატარა. იქ მრჩევლად მუშაობდა ნავთობთან დაკავშირებით. როგორც ჰყვება, შაჰი პირდაპირ სასწაულებს ახდენს. დედაქალაქში — სახელს ვერ ვიხსენებ — თანამედროვე ბრწყინვალე არქიტექტურის შენობებს აგებენ, ჰო, ნიუ-დელიში...

ალექსანდრამ დახმარება არ ისურვა, თუმცა იცოდა, რომ ირანის დედაქალაქი თეირანი იყო. მას ეშმაკი დაუფლებოდა.

— ყოველ შემთხვევაში, ვიკი აპირებს სლაიდების ჩვენებას აღმოსავლური ხალიჩების შესახებ. თურმე, არაბული თქმულების მიხედვით, ძვირფასო სენდი, ხალიჩა — ეს ბაღია, სახლის ბაღი უდაბნოში აღმართულ კარვებსა და სასახლეებში. და მათზე რეალური ყვავილებია გამოსახული, რომლებიც, ერთი შეხედვით, აბსტრაქცია გეგონებათ. ფანტასტიკაა, არა?

— დიახ, რასაკვირველია, — დაეთანხმა ალექსანდრა. დანაოჭებულ კისერზე, ნაკეცებითა და არხებით დანგრეული გზის საფარს რომ მოაგონებდა კაცს, მისის ლავკრაფტს ძაფზე აცმული მარგალიტები ჩამოეკიდა, რომლის ცენტრშიც ძველებური, ოქროს პატარა ჯვრით ინკრუსტირებული, პერლამუტრის კვერცხი იყო მოთავსებული. ალექსანდრამ შინაგან ძალებს უხმო და მოისურვა, რომ ყელსაბამი ძაფის გადახეხილ ადგილზე გამწყდარიყო. მართლაც, ყალბი მარგალიტები მოხუცი ქალბატონის ჩავარდნილ მკერდზე ჩამოცურდა და ერთიმეორის მიყოლებით იატაკზე მიმოიფანტა.

ძირს ჩამოცვენილი მძივების ხმა ეკლესიის დარბაზში დაგებულმა, მომწვანო, ბატის სკინტლის ფერის ნოხმა დაახშო. თავდაპირველად სტუმრებმა უბედურება ვერ შეამჩნიეს, მხოლოდ უშუალო სიახლოვეს მყოფნი დაიხარნენ მარგალიტების ასაკრეფად. მისის ლავკრაფტი გაშეშდა, თავზარდაცემულს, ფერ-უმარილის ფენის ქვეშ სახე გაუთეთრდა. რევმატიზმისა და საერთო სისუსტის გამო მას დახრა არ შეეძლო. გაბოროტებულმა ალექსანდრამ, რომელიც მოხუცის შესივებულ ფეხებთან ჩაცუცქული-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყო, ისურვა, რომ მის ძველმოდურ, ხვლიკის ტყავისგან შეკერილ ფეხსაცმელზე ვიწრო, მკვრივი თასმებიც შეხსნილიყო. ბოღმა საკვებს ჰგავს — ჭამას რომ დაიწყებ, შეჩერება ძნელია, შიგნეულობა ფართოვდება და უფრო მეტს ითხოვს. ალექსანდრა გაიმართა და მოხუცს მოცახცახე, გალურჯებულ თითებში, პეშვად რომ შეეკრა, ექვსიოდე მარგალიტი ჩაუდო, შემდეგ უკან დაიხია და ჩაცუცქული ადამიანების გაფართოებულ წრეს გასცილდა. მათი მოკრუნჩხული სხეულები კუნთებისგან, ღვარძლისა და ქსოვილისგან შემდგარ უაზრო, კომბოსტოს უზარმაზარ თავებს წაგავდა. ყველას აურა აკვარელის საღებავებივით შეერთებულიყო, რომელთა ერთმანეთში შერევაც რუხ ფერს იძლევა. კარისკენ მიმავალ გზაზე მამა პარსლი იდგა ლამაზი, ცვილისებური სახითა და პერ გიუნტის[1] გამომეტყველებით, რომელსაც ბედისწერის ნიშანი ესვა. იმ მამაკაცთა მსგავსად, დილით რომ იპარსავენ, საღამოს წვერი შესამჩნევად წამოზრდოდა.

— ალექსანდრა, — დაიწყო მან და განზრახ დაძაბა ხმა ყველაზე დაბალ რეგისტრამდე, — დიდი იმედი მქონდა, რომ ამ საღამოს გიხილავდით.

ამ კაცს სურდა იგი. მას მობეზრებოდა სიუკთან ჟიმაობა. შესავლის შემდეგ პარსლი ანერვიულდა და უჩვეულო ვარცხნილობის მქონე თავის მოსაფხანად ხელი ასწია. მისმა სავარაუდო მსხვერპლმა კი დრო იხელთა, რათა სოლიდურ, მოოქრულ, „ომეგას“ ფირმის საათზე იაფფასიანი განიერი თასმა შეეხსნა. კაცმა იგრძნო, რომ საათი უვარდებოდა და თავისი ძვირფასი ნივთის პერანგის მანჟეტში დაჭერა მოასწრო. ალექსანდრამ ამით ისარგებლა, გასცდა გაოცებულ სახეს — გულის ამაჩუყებელს, როგორც ამას შემდგომში დანაშაულის შეგრძნებით იხსენებდა: თითქოს მასთან დაწოლით მისი გადარჩენა შეეძლო, — და გარეთ, მადლიან სიბნელეში გავიდა.

უმთვარო ღამე იდგა. ჭრიჭინები თავიანთ დაუსრულებელ, მონოტონურ სიმღერას ასრულებდნენ. კოკუმსკუსოკის გზაზე მიმავალი მანქანების შუქფარები და ეკლესიის შესასვლელთან მოფენილი ბუჩქები მკვეთრად იხატებოდა ილუმინაციის შუქზე, როგორც

[1] *პერ გიუნტი — ნორვეგიელი მწერლის ჰენრიკ იბსენის (1828-1906) ამავე სახელწოდების პიესის მთავარი მოქმედი პირი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უზარმაზარი მწერების რთული აგებულების ყბები და შეწყვილებული ულვაშები. ჰაერში მჟავე ვაშლების ძლივს შესამჩნევი სუნი იდგა. ისინი საკუთარ კანქვეშ სიდრად იქცეოდნენ — მათ არავინ აგროვებდა, ამიტომ ძირს ცვიოდნენ და ლპებოდნენ მიტოვებულ ბაღებში, რომლებიც ეკლესიის საკუთრება გამხდარიყო და ნამდვილ პატრონს ელოდა. ეკლესიის გვერდით, ხრეშმოყრილ ავტოსადგომზე მანქანები იდგა. ალექსანდრას საკუთარი პატარა „სუბარუ“ გოგრისფერ გვირაბად წარმოედგინა, რომლის ბოლოშიც წყნარი, კაშკაშა შუქით განათებული სოფლური საშზარეულო მოჩანდა. ხედავდა კოულს, რომელიც ხალისიანად ურტყამდა კუდს იატაკს; ესმოდა ბავშვების სუნთქვა, რომელთაც თავ-თავიანთ ოთახებში ეძინათ თუ თავი მოემძინარებინათ და სწორედ მაშინ გამოერთოთ ტელევიზორი, როდესაც მისი მანქანის ფარებმა სახლი გაანათა. იგი ყოველი მათგანის საწოლს დახედავს, შემდეგ ოც გამომწვარ ფიგურას გამოიღებს შვედური გამოსაწვავი ღუმლიდან, რომელიც გაცივების პროცესში ტკაცუნს განაგრძობს და მისი არყოფნის პერიოდში სახლში მომხდარ ამბებს მოუყვება, — დრო ხომ ყველგან გადის და არა მარტო მდინარეში, რომლის დელტაშიც მივცურავთ. მოიხდის რა თავის ვალს შვილების, შარდის ბუშტისა და კბილების მიმართ, იგი მხოლოდ მისთვის განკუთვნილ უმეფო დედოფლის ვრცელ საძინებელში შეაბიჯებს. ალექსანდრა დაუსრულებელ რომანს კითხულობდა, რომლის ავტორსაც, ქალს, სამი სახელი ჰქონდა, წიგნის ბრწყინვალე სუპერყდაზე კი მისი ფერადი ფოტოსურათი იყო მოთავსებული. ყოველ ღამით, ძილის სამყაროში გადასვლის წინ, ალექსანდრა რამდენიმე გვერდს კითხულობდა ველური დასავლეთის კლდეებსა და ციხე-სიმაგრეებს შორის მცხოვრები კოვბოების გაუთავებელი თავგადასავლების შესახებ. თავის სიზმრებში ყველგან მოგზაურობდა: სახლების სახურავებზე, ოთახებში, რომლებიც უცნაურად იყო შედგენილი საკუთარი წარსულის ნანგრევებიდან. ყოველ სიზმარში იყო მისი საკუთარი „მე“, აღვსილი გაუგებარი სევდით, როდესაც იგი დედისეული სამუშაო კალათიდან ვაშლის ფორმის მინიატურულ ბალიშს იღებდა ნემსების ჩასარჭობად, ანდა ფანჯრიდან დათოვლილ მწვერვალებს უყურებდა და დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ მეგობართან დარეკვას აპირებდა. სიზმარში მის გარშემო წინათგრძნობები დაფრინა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვდა, როგორც რეკლამა პაპიე-მაშედან[1] გასართობ პარკში მიამიტი დამსვენებლების მისაზიდად. ჩვენ წინასწარ არასდროს ვტკბებით სიზმრებით, ასევე მოგონილი თავგადასავლებით, რომლებიც სიკვდილს მოსდევს.

ზურგს უკან ხრეშმა გაიხრაშუნა. ვიღაც მუქთმიანი მამაკაცი მას იდაყვზე შეეხო. ეს ყინულივით ცივი შეხება იყო, ან, შესაძლოა, იგი თვითონ იყო ციებ-ცხელებიანივით. ალექსანდრა შიშისგან შეხტა. კაცმა გადაიხარხარა.

— ახლახან საშინელება მოხდა. ბებერი ქალბატონი, რომელსაც მძივები დაებნა, ანერვიულდა, ფეხი რაღაცას წამოჰკრა და დაეცა. ფიქრობენ, რომ თეძო მოიტეხა.

— სამწუხაროა, — გულწრფელად, მაგრამ დაბნეულად უპასუხა ალექსანდრამ. იგი ფიქრებში იყო წასული, გული კი მოულოდნელობისგან ჯერაც ძლიერ უცემდა.

დარილ ვან ჰორნი მისკენ დაიხარა, ძალიან ახლოს და ყურში უთხრა:

— არ დაგავიწყდეთ, ძვირფასო. მოიფიქრეთ. მე იმ გალერეას დავუკავშირდები. გადმომირეკეთ. ღამე მშვიდობისა.

— შენ მართლაც ესტუმრე მას სახლში? — ჰკითხა ალექსანდრამ ჯეინს ტელეფონში რაღაც უცნაური კმაყოფილების გრძნობით.

— რატომ არ უნდა ვსტუმრებოდი? — მტკიცედ მიუგო ჯეინმა, — მას მართლაც აქვს ბრამსის სონატა ლა მინორის ნოტები. გასაოცრად უკრავს, როგორც ლიბერასი[2], ოღონდ ყოველგვარი ღიმილის გარეშე. არადა, მისი ხელების შემხედვარე, ნამდვილად ვერ იფიქრებ, რომ ეს შესაძლებელია.

— მარტო იყავი? სუნამოს რეკლამა მახსენდება, რომელშიც ახალგაზრდა ვიოლონჩელისტი დეკოლტიან კაბაში გამოწყობილ აკომპანიატორ ქალს შეაცდენს.

---

[1] *პაპიე-მაშე — პლასტიკური ნივთიერება, რომელიც მიიღება ქაღალდის მასაში წებოს, სახამებლის, თაბაშირის, ცარცის და სხვ. შერევით. იყენებენ ნაირ-ნაირი ნივთების დასამზადებლად.*

[2] *ლიბერასი, ვლადიუ (1919-1987) — ცნობილი ამერიკელი პიანისტი და ვოკალისტი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ ასე ვულგარულად, ალექსანდრა? იგი ჩემდამი ლტოლვას არ განიცდის, თანაც გარშემო სულ მუშები არიან, შენი მეგობარი ჯო მარინოს ჩათვლით, რომელიც გამოწყობილი დაიარება, პატარა კუბოკრულ შლაპაში კი ბუმბული გაურჭვია. ექსკავატორებიც გამუდმებით გრუხუნებენ, კაჭრებს ხვეტენ მომავალი ჩოგბურთის კორტიდან. როგორც ჩანს, ქანებიც არაერთხელ აუფეთქებიათ.

— ამას როგორ ახერხებს? იქ ხომ ჭანჭრობებია.

— არ ვიცი, ძვირფასო, მას ნებართვა აქვს, რომელიც ყველა ხეზეა მიკრული.

— საბრალო ყანჩები.

— ეჰ, ლექსა, მათ ბუდის ასაშენებლად მთელი როდ-აილენდი რჩებათ. რა მოხდებოდა, ბუნებას რომ შეგუების უნარი არ ჰქონდეს?

— ეს მას დადგენილ ზღვრამდე შეუძლია, მერე კი განაწყენება იცის.

საშხარეულოს ფანჯარაში ოქტომბრის მზის ირიბი სხივები ანათებდა. ვაზზე დიდი დაფლეთილი ფოთლები გვერდებზე გამუქებულიყო. ჭაობის მარცხნივ პატარა არყნარი ქარის დაბერვისგან მუჭამუჭა ისროდა ხასხასა ფოთლებს, რომლებიც წამით გაიელვებდნენ ჰაერში და მდელოზე ეცემოდნენ.

— დიდხანს დაჰყავი იქ?

— ჰო-ო, — გაწელვით თქვა ჯეინმა და იცრუა, — ერთი საათი, შესაძლოა, საათ-ნახევარი. იგი მართლაც ღრმად გრძნობს მუსიკას. როცა ერთად ვართ, სხვაგვარი მანერები აქვს, არ ტაკიმასხარაობს, როგორც ამას კონცერტზე აკეთებდა. ასე ამბობს, ეკლესიაში ყოფნისას ტანში ჟრუანტელი მივლისო. ჩემი აზრით, ტრაბახის მიუხედავად, მაინც მორიდებულია.

— ძვირფასო, შენი გამოსწორება შეუძლებელია.

ალექსანდრამ დაინახა, სიბრაზისგან როგორ აუთრთოლდა ჯეინს ტუჩები:

— მან მითხრა, რომ ბაკელიტი პირველი სინთეტიკური პოლიმერია, — იგი სისინზე გადავიდა: — ვფიქრობ, ხასიათი არაფერ შუაშია, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. შენ მთელი დღე ბოსტანს მარგლავ კაცის შარვალში გამოწყობილი, შემდეგ კი თიხისგან პატარა ფიგურებს ძერწავ. მაგრამ მუსიკა რომ შექმნა, მსმენელებია საჭირო. სხვა ხალხი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს ფიგურები არაა, და არც ბოსტანს ვმარგლავ მთელი დღის განმავლობაში.

ჯეინი არ ჩერდებოდა:

— შენ და სიუკი ყოველთვის დამცინოდით რეი ნეფთან კავშირის გამო, მაგრამ ამ კაცის გამოჩენამდე, ერთადერთი, ვისთანაც ქალაქში დაკვრა შემეძლო, სწორედ რეი იყო.

ალექსანდრა კი თავისას განაგრძობდა:

— ეს ქანდაკებაა. თუმცა კოლდერისა და მურის[1] ნამუშევრებს არ ჰგავს. შენ კი ისევე ვულგარულად მსჯელობ, როგორც მავანი, რომელმაც მოიფიქრა, რომ თუ უფრო დიდ ნაკეთობებს შევქმნი, ნიუ-იორკის რომელიღაც გალერეა მათ რეალიზაციაში ორმოცდაათ პროცენტს წაიღებს, თუ საერთოდ გაიყიდება, რაშიც ეჭვი მეპარება. ამჟამად ხელოვნებაში ყველაფერი ტენდენციურობითა და ველურობით გამოირჩევა.

— ასე გითხრა? მაშასადამე, შენც შემოგთავაზა რაღაც?

— ამას შემოთავაზებას ვერც კი ვუწოდებ. ეს უბრალოდ ნიუიორკელისთვის დამახასიათებელი ტიპური ფხიანობაა — სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა. მათ მოვლენათა შუაგულში ყოფნა სურთ. ნებისმიერი მოვლენის.

— ჩვენ მასზე შთაბეჭდილება მოვახდინეთ, — განაცხადა ჯეინ სმარტმა, — რატომ უნდა გავლიოთ აქ უნაყოფოდ ჩვენი ახალგაზრდობა?

— მოუყევი, რომ ნარანგასეტის ყურე ყოველთვის იყო უცნაური ხალხის თავშესაფარი. ნეტავ აქ რომელი საქმეების წესრიგში მოყვანას აპირებს?

— საინტერესოა, — ჯეინმა „რ“ ნამდვილი მასაჩუსეტსელივით მჭექარედ წარმოთქვა, — რომ სადაც უნდა გამოჩნდეს იგი, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დგება. მას მართლა მოსწონს ახალი, ვრცელი სახე. სამი როიალი უდგას, რომელთაგანაც ერთი ბიბლიოთეკაშია, სადაც ტყავისყდიანი შესანიშნავი წიგნები აქვს ლათინური სახელწოდებებით.

— დასალევი არ შემოგთავაზა?

---

[1] *კოლდერი, ალექსანდრ (1898-1976) — ამერიკელი მოქანდაკე, ამზადებდა კინეტიკურ ქანდაკებებს, რომლებიც მოძრაობაში დენს ან ქარს მოჰყავდა; მური, ჰენრი (1898-1986) — ბრიტანელი მხატვარი და მოქანდაკე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მხოლოდ ჩაი. მისმა მსახურმა, რომელსაც ესპანურად ესაუბრება, უზარმაზარი ლანგრით ძველებური, სასაცილო ბოთლები მოიტანა, თითქოს აბლაბუდამოდებული მარნიდან გააჩინა.

— შენ, მგონი, მხოლოდ ჩაი ახსენე.

— კარგი რა, ლექსა, FBI-ზე[1] უარესი ხარ. ერთი ყლუპი შავი მოცხარის ლიქიორი მოვსვი და კიდევ რაღაც, რაც ფიდელს უყვარს, მესკალა[2]. არ ვიცოდი, სრულ ანგარიშს თუ მომთხოვდი, თორემ დასახელებებს ჩავიწერდი.

— მაპატიე, ჯეინ. ვფიქრობ, ეს მხოლოდ ეჭვიანობაა. თანაც თვიური მაქვს. იმ კონცერტის შემდეგ უკვე ხუთი დღე გავიდა, მარცხენა დანამატები კი ისევ მტკივა. როგორ ფიქრობ, მენოპაუზა ხომ არ არის?

— ოცდათვრამეტი წლის ასაკში? კარგი, რა!

— მაშინ კიბო.

— შეუძლებელია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეს შენ ხარ. ძალიან კარგად ფლობ მაგიას, რათა კიბოთი დაავადდე.

— ზოგჯერ მეჩვენება, რომ არანაირ მაგიას არ ვფლობ. ნებისმიერ შემთხვევაში, სხვებმაც იციან რაღაც, — მან ჯინაზე, ჯოს ცოლზე გაიფიქრა. ჯინას იგი უნდა სძულდეს. იტალიურად ალქაჯი — strega-ა. იქ, სიცილიაში, როგორც ჯო უყვებოდა, ყველას ავი თვალი ჰქონდაო, — ასე მგონია, რომ შიგნით ყველაფერი კვანძებად მაქვს შეკრული.

— თუ სერიოზულად გაწუხებს, ექიმ პეტს ეჩვენე, — უთხრა ჯეინმა თანაგრძნობით. ექიმი ჰენრი პეტერსონი მათი ასაკის, მსუქანი, ვარდისფერლოყება მამაკაცი იყო სევდიანი, ფართოდ გახელილი წყლიანი თვალებით, პალპაციისას[3] თითების ნაზი და ფრთხილი, მაგრამ მტკიცე შეხებით. დიდი ხნის წინათ ცოლმა მიატოვა, მაგრამ ამის მიზეზს ვერ მიხვდა და მეტჯერ აღარ დაქორწინებულა.

---

[1] *Federal Bureau of Investigation (FBI) — ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიურო, შეიქმნა 1908 წელს.*

[2] *მესკალა — მექსიკური არაყი ალოეს წვენისგან.*

[3] *პალპაცია — ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვის მეთოდი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ყოველთვის უცნაური გრძნობა მეუფლება, — თქვა ალექსანდრამ, — როდესაც ზეწარს მაფარებს და ყველა მანიპულაციას მის ქვეშ მიტარებს.

— სხვა რა დარჩენია მაგ საბრალოს?

— არ არის საჭირო ეს ორაზროვნება, — თქვა ალექსანდრამ, — მე სხეული მაქვს. მან ეს იცის. მეც ვიცი, რომ მან იცის. რა საჭიროა ეს ფოკუსები ზეწრის საშუალებით?

— ყოველთვის ასე აკეთებენ, როცა კაბინეტში ექთანი არ არის, — თქვა ჯეინმა.

მისი ხმა ისევე ჟღრიალებდა, როგორც ტელევიზორს ემართება ქუჩაში სატვირთო მანქანის ჩავლისას. „ამის გულისთვის ხომ არ დარეკავდა. კიდევ ექნება რაღაც სათქმელი", — გაიფიქრა ალექსანდრამ და ჰკითხა:

— სხვა რამ ხომ არ გაგიგია ვან ჰორნთან სტუმრობისას?

— დამპირდი, რომ არავის ეტყვი.

— არც სიუკს?

— განსაკუთრებით სიუკს. ეს მას ეხება. დარილი მართლაც საოცარი ადამიანია, არაფერი გამოეპარება. მიღებაზე ჩვენზე საათით მეტი დაყო. მე ჩვენს კვარტეტთან ერთად ლუდის დასალევად „ბრინჯაოს კასრში" წავედი...

— გრეტაც იქ იყო?

— ღმერთო ჩემო, ცხადია, იყო. სულ ჰიტლერზე გვიყვებოდა, როგორ ვერ იტანდნენ მას მშობლები არასწორი მეტყველების გამო. როგორც ჩანს, რადიოთი გამოსვლისას წინადადების ზმნით დასრულება ავიწყდებოდა.

— რა საშინელებაა!..

— მივხვდი, რომ ის საზიზღარი ოინი საბრალო ფრანი ლავკრაფტის ყელსაბამზე შენ მოიფიქრე. და მაშინვე გაუჩინარდი.

— რომელ ყელსაბამზე?

— თავს ნუ იკატუნებ, ლექსა. გამოუსწორებელი ხარ, კარგად გიცნობ. მერე კი იმ ფეხსაცმლის ამბავი. მას შემდეგ იგი ლოგინში წევს, მაგრამ ვფიქრობ, არაფერი მოუტეხია, თუმცა თეძოს მოტეხილობის შიში გვქონდა. ის თუ იცი, რომ სიბერეში ქალის ჩონჩხი სანახევროდ გამოფიტულია? ამიტომაცაა ასეთი სუსტი... მას გაუმართლა — მხოლოდ დაჟეჟილობა აქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არ ვიცი. როცა მას ვუყურებ, საკუთარ თავს ვეკითხები, მის ასაკში ნუთუ მეც ასეთი ტკბილი, მომაბეზრებელი და აბეზარი ვიქნები-მეთქი. თუ ვიცოცხლე იქამდე, რაშიც ეჭვი მეპარება... თითქოს სარკეში ვხედავ საკუთარ უსიხარულო მომავალს, რაც, მაპატიე, მაგრამ მაცოფებს.

— ყველაფერი კარგადაა, ძვირფასო. პირადად მე, არ ვაპირებ სიცოცხლე მოვიწამლო ამგვარი აზრებით. იმას ვამბობდი, რომ დარილი იქ იყო, დალაგებაში ეხმარებოდა და შეამჩნია, რომ, სანამ ბრენდა პარსლი ნაგვის ურნაში პლასტიკურ ჭიქებსა და ქაღალდის თეფშებს ყრიდა, ედი და სიუკი გაუჩინარდნენ! მიატოვეს საბრალო ბრენდა — ის კი ღირსების შენარჩუნებას ცდილობდა, — მაგრამ წარმოიდგინე, რამხელა დამცირებაა!

— მათ მართლაც უფრო ფრთხილად მართებთ მოქცევა.

ჯეინი დადუმდა, ელოდებოდა, რომ ალექსანდრა კიდევ იტყოდა რამეს. იყო ერთი მომენტი, რომელიც მას უნდა ეგრძნო და აზრი გამოეთქვა, მაგრამ იგი ფიქრებს წაეღო, ეჩვენებოდა, რომ კიბოს სიმსივნეს მთელ სხეულში ნისლიანი გალაქტიკები ფანტავდნენ, რომლებიც სიბნელეში ბოლქვ-ბოლქვებად ადიოდნენ და აქა-იქ მომაკვდინებელ ვარსკვლავს ტოვებდნენ...

— ედ პარსლი ნამდვილი დოყლაპიაა, — ყოყმანით თქვა, როგორც იქნა, ჯეინმა, — სიუკი კი რატომღაც მუდამ ცდილობს გადაგვიკრას, რომ მათ შორის არაფერი აღარ ხდება.

ალექსანდრა შინაგანი შზერით უკან გაჰყვა საყვარლებს ღამეში. სიუკი მერქანგაცლილი ტოტივით წვრილი იყო, მაგრამ მოქნილი და ძლიერი ამობურცულობები ჰქონდა. იგი იმ ქალთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც გარეგნულად ბიჭებს ჰგვანან, მაგრამ გულისხმიერები არიან — ესაა მათი უპირატესობა. მათი ქალურობა თითქოსდა მამაკაცების უშრეტი ენერგიით იკვებება, რომლებიც მტერს ისრებით სპობენ და ბავშვობიდანვე მიჩვეულნი არიან ომში წასვლასა და იქ სიკვდილს. ვითომ რატომ არ შეიძლება, ქალებს რომ ჭკუა დაარიგონ? ხომ ტყუილია, რომ, თუ ქალიშვილები გყავს, არასოდეს არ მოკვდები.

— იქნებ კლინიკისთვის მიმემართა, — იკითხა მან და ხმამაღლა თქვა უარი დოკ პეტზე, — სადაც არავინ მიცნობს?

— რაღაცას მოვიფიქრებთ, — ჩაილაპარაკა ჯეინმა, — „ეს უკეთესია, ვიდრე კვლავაც იტანჯო და თავი მომაბეზრო“, — დაამატა გუნებაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვფიქრობ, ედისადმი სიუკის ერთგულება ნაწილობრივ მისი პროფესიონალური მოთხოვნილებით აიხსნება. მას სურს, რომ თავი მოვლენათა შუაგულში იგრძნოს, — ივარაუდა ალექსანდრამ და კვლავ ჯეინის ტალღაზე გადაეწყო, — ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესო ის კი არაა, რომ სიუკი მასთან შეხვედრას განაგრძობს, არამედ ის, რომ ვან ჰორნი ჯერ არც კი ჩამოსულა ქალაქში და ეს უკვე შეამჩნია. შესაქებია. ამაზე ღირს დაფიქრება.

— ძვირფასო ალექსანდრა, ზოგიერთ საკითხში საშინლად შებორკილი ხარ. მამაკაცი ხომ მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანიც შეიძლება იყოს.

— ვიცი ეს თეორია, თუმცა ცხოვრებაში ასეთს არ შევხვედრივარ. როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, ყველანი კაცები აღმოჩნდებიან ხოლმე, ჰომიკებიც კი.

— თუ გახსოვს, ჩვენ მასზეც ვფიქრობდით, ჰომიკი ხომ არ არისო. ახლა კი თითოეულ ჩვენგანზე ნადირობს!

— არ ვიცოდი, შენზე თუ ნადირობდა. მეგონა, ორივენი ბრამსზე ნადირობდით.

— ასეც იყო. ასეცაა. დამშვიდდი რა, ალექსანდრა! საშინლად გაღიზიანებული ჩანხარ!

— მე გამოუსწორებელი სულელი ვარ. ხვალ უკეთ ვიქნები. არ დაგავიწყდეს, ახლა ჩემი რიგია, რომ ერთად შეგკრიბოთ.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, კინაღამ არ დამავიწყდა?! სწორედ ამიტომ დაგირეკე. მე ვერ მოვალ.

— ხუთშაბათს ვერ მოხვალ? რა მოხდა?

— ოღონდ არ იეჭვიანო. ეს კვლავ დარილს ეხება. მას ვებერნის[1] შესანიშნავი პატარა ბაგატელები[2] აქვს და ჩემთან ერთად შესრულება სურს. როდესაც ამისთვის პარასკევი შევთავაზე, მითხრა, ამ დღეს ქალაქში გავლით ვიღაც მნიშვნელოვანი იაპონელი ინვესტორები ჩამოდიან, რომელთაც დამცავი ფენის ნახვა აინტერესებთ. ვფიქრობდი, თუ წინააღმდეგი არ იქნებოდი, დღისით შენთან ერთად მანქანით ორჩარდ-როუდზე გამესეირნა. დღეს, სკოლის შემდეგ, ჩემი ერთ-ერთი ბიჭი ფეხბურთის მატჩში მონაწილეობს და უნდა,

---

[1] *ვებერნი, ანტონ (1883-1945) — ავსტრიელი კომპოზიტორი და დირიჟორი, ვენის ახალი სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი.*

[2] *ბაგატელი — პატარა მუსიკალური პიესა. ეს ჟანრი ბეთჰოვენმა შექმნა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ დავესწრო, მაგრამ მე მხოლოდ წუთით თუ მოვასწრებ სტადიონზე შერბენას.

— არა, ძვირფასო, გმადლობთ, — თქვა ალექსანდრამ, — დღეს სტუმრები მყავს.

— ა-ა... — ჯეინს ხმა ყინულივით ცივი გაუხდა. მუქი ნაცრიანი ყინული, როგორც ზამთარში გზებზე იცის ხოლმე.

— შესაძლებელია, წამოვიდე კიდეც, — მოლბა ალექსანდრა, — ისინი ბოლომდე დარწმუნებულნი არ არიან, რომ მოსვლას შეძლებენ.

— მესმის, ძვირფასო. არ არის საჭირო ახსნა.

ალექსანდრა გაბრაზდა — იგი ფეხებზე დაიკიდეს და თან თავის მართლებასაც აიძულებდნენ.

— მეგონა, რომ ხუთშაბათი წმინდა დღე იყო, — უთხრა მან მეგობარს.

— ჩვეულებრივ, კი... — დაიწყო ჯეინმა.

— მაგრამ ვფიქრობ, რომ ქვეყანაში, სადაც წმინდა აღარაფერია, ხუთშაბათობით შეხვედრების მოწყობას აზრი არა აქვს.

რატომ მოხვდა ეს გულში ასე მწარედ? ალექსანდრას კვირის რიტმი ამ ურღვევ სამკუთხედზე, ენერგეტიკულ კონუსზე იყო დამოკიდებული. მაგრამ არა, თავს უფლებას არ მისცემს, რომ ხმა მოღალატურად აუთრთოლდეს.

ჯეინმა მოიბოდიშა:

— მხოლოდ ამ ერთხელ...

— შესანიშნავია, საყვარელო. მეტი დაფარშული კვერცხი შემხვდება, — ჯეინ სმარტს უყვარდა ფარშით გატენილი, თოვლივით თეთრი კვერცხი, წითელი ცხარე წიწაკითა და ერთი მწიკვი მშრალი მდოგვით შეზავებული, ხახვმოყრილი ან თითოეულ ცილაზე ბაყაყის ენასავით მოთავსებული ანჩოუსით.

— და შენ არ დაიზარე და საკაზმით შენელებული კვერცხი მოამზადე? — ჰკითხა მან ნაღვლიანად.

— რა თქმა უნდა, არა, ძვირფასო, — თქვა ალექსანდრამ, — ისევ ის ძველი, გამომშრალი კრეკერები და ყველი. მეტს ვეღარ გელაპარაკები.

ერთი საათის შემდეგ, როცა დაბნეულად იყურებოდა ჯო მარინოს თმიანი, შიშველი მხრის ზემოდან (ამ მოულოდნელი, მომჟავო-მო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტკბო, ბავშვის კინკრიხოს მსგავსი სუნით), როდესაც მასზე დაწოლილი კაცი უფრო ინერციით განაგრძობდა წინ და უკან ქანაობას, ვიდრე აღმაფრენით, საწოლი კი უჩვეულო წონის გამო კვნესოდა და ირყეოდა, ალექსანდრას მოულოდნელად ხილვა ეწვია. თავისი შინაგანი მზერით მან ლენოქსების სახლი დაინახა — აშკარად, როგორც კალენდარზე მოთავსებული სურათი, საკვამურიდან ამომავალი კვამლით, როგორც იმ დღეს, და ჯეინის გესლნარევი აღტაცებით, რომლითაც იგი ვან ჰორნს აღწერდა, როგორც მორცხვ, ამიტომაც უხეშ მამაკაცს. ალექსანდრას იგი დაბნეული უფრო ეგონა — როგორც ნიღაბაფარებული ან ყურებში ბამბაგარჭობილი ადამიანი.

— ყურადღება მოიკრიბე, ღვთის გულისთვის, — დაიღრინა ჯომ და უხერხულად გაათავა საკუთარი გაბრაზებითა და შიშველი, ბეწვით დაფარული სხეულით აღგზნებულმა — ნავარჯიშები კუნთები კარგი ცხოვრებისგან ცოტათი მოდუნებოდა, — გამორთული მანქანის ძრავასავით ორ-სამჯერ მსუბუქად შეთრთოლდა.

ქალმა — იქნებ დავეწიოო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— მაპატიე, — ჩაიბუზღუნა კაცმა, — მეგონა, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა, შენ კი ყურადღება გაგეფანტა, — მან დიდსულოვნად მიუტევა მენსტრუაციის დამთავრება, თუმცა სისხლი თითქმის არ ყოფილა,

— ჩემი ბრალია, — თქვა ალექსანდრამ, — მთლიანად. შენ კარგი იყავი, მე ვერ ვივარგე.

„გასაოცრად მოქმედებს“, — როგორც ჯეინი ამბობდა.

ხილვა გაქრა და მოულოდნელად სუფთა ჭერი გამოჩნდა, როგორც პირველად დანახვისას: უშფოთველი სივრცე, პატარა, ძლივს შესამჩნევი ბზარები მის მინისებურ თვალებზე არსებული ლაქების გამო. ამასთან, როცა მზერა გადაჰქონდა, ეს ლაქები ისევე დრეიფობდნენ, როგორც მიკროორგანიზმები ტბორში, როგორც ჩვენს ორგანიზმში ჩამალული კიბო. ჯოს მსხვილი მხარი და კისრის გვერდითი ნაწილი ამ ჭერივით ფერმკრთალი და მშვიდი იყო, ისევე მდორედ იკვეთებოდა ამ ოპტიკური ნარევით, რომელიც ადრე მას თავს არ აბეზრებდა. მაგრამ როცა ისინი ერთმანეთს ერწყმოდნენ, მათგან თავის დაღწევა, მათი შეუმჩნევლობა ძნელი იყო. სიბერის ნიშანი. ჩვენ ისევე ვაგროვებთ მის ნაწილაკებს, როგორც მთიდან დაშვებული თოვლის გუნდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯოს ოფლში მოცურავე ალექსანდრამ თავისი მკერდი და მუცელი შეიგრძნო და ამ შემოვლითი გზით მისი გონება კაცის სხეულს, ღრუბლოვან ტექსტურას, წონასა და საიდუმლო სუნს დაუბრუნდა, აგრეთვე მის აქ ყოფნას. ჩვეულებრივ, იგი სხვაგან იყო — ჯინასთან. კაცი ალექსანდრადან ჩამოვიდა და შეურაცხმყოფლად ამოიხვნეშა. მისი ხმელთაშუაზღვისპირელის სიამაყე შელახული იყო. მზემოკიდებული, მბრწყინავი თავის ქალა მოტვლეპილი კინკრიხოთი ცვრიან ბალახში დატოვებული წიგნის ფურცლებივით დანაოჭებოდა, ამიტომ, პირველ რიგში, თავმოყვარეობის შესანარჩუნებლად კვლავ შლაპას იხურავდა. ამბობდა, რომ მის გარეშე სციოდა. აი, შლაპა ადგილზეა და იგი ნელა აბრუნებს პროფილში ახალგაზრდულ სახეს წვეტიანი, კაუჭისებრი ცხვირით, როგორც ეს ბელინის[1] პორტრეტებზეა, და თვალებზე თირკმლების დაავადებისგან წარმოქმნილი ღრმულებით. ოდესღაც ქალის ყურადღება სწორედ ამ მაცდუნებლად მოდუნებულმა გარეგნობამ მიიპყრო. ტყვიისებრი თვალებითა და ენის აგდებულად გაწკლაპუნებით კაცი ბარონს, დოჟს თუ მაფიოზს ჰგავდა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს წყვეტდა. მაგრამ ჯო, რომელიც მან შეაცდინა, როდესაც იგი მთელი ღამის განმავლობაში მოხმაურე ტუალეტის შესაკეთებლად მოვიდა, ამ კუთხით დაუცველი აღმოჩნდა — ღვთისმოსავი, პატიოსანი ბურჟუა, თერთმეტ წლამდე ასაკის ხუთი ბავშვის მოსიყვარულე მამა და ნახევარი შტატის ნათესავი. ჯინას ოჯახმა მთელი სანაპირო გაავსო ნიუ-ბედფორდიდან ბრიჯპორტამდე. ჯო უსაზღვროდ ერთგული იყო, მისი გული მრავალ სპორტულ გუნდს ეკუთვნოდა — „სელტიკს“, „ბრუინზს“, „უეილერზს“, „რედ სოკსს“, „პოტაკეტ სოკსს“, „პეტსს“, „ტიმენს“, „ლობსტერსს“, „მინიტმენს, — ერთი სიტყვით, თითქმის ყველას. კვირაში ერთხელ მოდიოდა და ქალსაც ასევე ერთგულად ტუმბავდა. მრუშობა მისთვის საუკუნო ტანჯვისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო და ისიც თავის კიდევ ერთ, სატანისტურ მოვალეობას ასრულებდა. ეს გარკვეულწილად ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალება იყო, მას აშინებდა საკუთარი ნაყოფიერება, და რაც უფრო მეტ

[1] *ბელინი, ჯოვანი (1430/33-1516) — იტალიელი მხატვარი, ვენეციის სკოლის წარმომადგენელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თესლს იღებდა ალექსანდრა, მით უფრო უადვილდებოდა ჯინას. მათი ურთიერთობა უკვე მესამე ზაფხულს ითვლიდა და დრო იყო, ალექსანდრას იგი გაეწყვიტა, მაგრამ მას მოსწონდა ჯოს გემო, ნუგასავით მოტკბო-მომლაშო, და ის, თუ როგორ ციმციმებდა ჰაერი მისი ოდნავ დანაოჭებული შუბლიდან ერთი დუიმით მაღლა! მისი აურა უბოროტო და კარგი ფერისა იყო: მისი აზრები, მეწყალსადენის ხელების მსგავსად, მუდამ განსაზღვრულ შესაბამისობას ეძებდა. ბედმა ალექსანდრა ქრომირებული არმატურის დამამზადებლიდან მის დამყენებელთან მიიყვანა.

ლენოქსების სახლის ისე დასანახავად, როგორც ამას იგი ახერხებდა — ხედავდა თითოეულ აგურს, გრანიტის რაფას, კუთხეს, ვიწრო ფანჯრებს ფასადის მხრიდან, ჭაობის თავზე ლივლივი იყო საჭირო. გამოსახულება სწრაფად შემცირდა, თითქოს სივრცეში გადაადგილდა და თავისთან უხმობდა. იგი საფოსტო მარკისხელა გახდა და თვალები რომ არ დაეხუჭა, წყალსადინარში აღმოჩენილი წვეთივით გაუჩინარდებოდა. როდესაც კაცმა გაათავა, ქალს თვალები დახუჭული ჰქონდა. ალექსანდრა თავს ისე განსაცვიფრებლად გრძნობდა, თითქოს პარტნიორის ორგაზმი თვითონაც განიცადა.

— იქნებ ჯინასთან ყველაფერი გავწყვიტო და მხოლოდ შენთან ვიყო? — წარმოთქვა ჯომ.

— ნუ სულელობ. შენ ეს არ გინდა, — თქვა ალექსანდრამ.

მაღლა, ჭერის თავზე, ქარიან დღეს, სოლივით გაჭიმული უხილავი ბატები სამხრეთისკენ მიფრინავდნენ და ერთმანეთის დასამშვიდებლად ყვიროდნენ: „მე აქ ვარ, შენც აქ ხარ“.

— შენ კეთილი კათოლიკე ხარ, ხუთი შვილი გყავს და წარმატებული ბიზნესიც გაქვს.

— ჰოდა, აქ რას ვაკეთებ ასეთ შემთხვევაში?

— მოჯადოებული ხარ. ეს რთული არაა. მე „ისთვიქ-ვორდიდან“ შენი ფოტოსურათი ამოვჭერი, სადაც დაგეგმარების განყოფილების სხდომაზე ხარ აღბეჭდილი, და მას ჩემი მენსტრუალური გამონაყოფი წავუსვი.

— ღმერთო ჩემო, რა საზიზღარი ყოფილხარ.

— შენ ხომ მოგწონს ეს? ჯინა არასოდეს არის საზიზღარი, იგი მარიამ ღვთისმშობელივით შესანიშნავია. შენ რომ ჯენტლმენი იყო,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ენით გამათავებინებდი. სისხლი ცოტაა, თვიური თითქმის დამიმთავრდა.

ჯო დაიღრიჯა.

— სხვა დროს იყოს, კარგი? — თქვა მან და თვალებით ტანსაცმელს დაუწყო ძებნა. გასუქების მიუხედავად, მაინც კარგი აღნაგობისა იყო. სკოლის წლებში იგი სპორტს მისდევდა, ბურთსაც კარგად თამაშობდა, მაგრამ საჩემპიონოდ ძალზე დაბალი იყო. მართალია, ღიპი დაედო, მაგრამ მკვრივი დუნდულები ჰქონდა. ზურგზე ლამაზი შავი თმის პეპელა ესვენა, რომელსაც ფრთების ზედა ბოლოები მხრებზე მოეთავსებინა, ფეხებით კი ზურგს ეყრდნობოდა, — ვან ჰორნისგან ჩეკი მივიღე, — თქვა მან და გამოვარდნილი ყვერი ელასტიკურ ტრუსში დამალა, რომელიც მეწამულისფერ საბანაო ტრუსს უფრო წაგავდა — ანდროგინის[1] ახალი სახის შესაბამისად. ჯო მამაკაცთა ცვალებად მოდას ფეხს უწყობდა, ისთვიქში ერთ-ერთმა პირველმა ჩაიცვა ჯინსის კოსტიუმი და პირველმა იგრძნო, რომ შლაპა ძველ პოზიციებს იბრუნებდა.

— სხვათა შორის, როგორ არის იქ საქმე? — ზანტად იკითხა ალექსანდრამ, არ უნდოდა, რომ კაცი წასულიყო. მარტოობა მასთან ჭერიდან ეშვებოდა.

— ჩვენ ჯერაც ველოდებით სააბაზანოს დავერცხლილ კომპლექტს დასავლეთ გერმანიიდან, მერე კი ვინმე უნდა გავგზავნო კრენსტონთან აბაზანის ქვეშ დასაგები შესაფერისი ზომის, უნაკერო სპილენძის ფურცლის მოსატანად. ნეტავ ყველაფერი სწრაფად დასრულდებოდეს. რაღაც ისე ვერ არის. იმ ტიპს შუადღის მერე, ჩვეულებრივ, სძინავს, ზოგჯერ კი მიხვალ და იქ არავინაა, მხოლოდ ფუმფულა კატა დასეირნობს. ვერ ვიტან კატებს.

— საზიზღრები არიან, — თქვა ალექსანდრამ, — ჩემსავით.

— არა, მომისმინე, ალ. შენ mia vacca, mia vacca bianca[2] ხარ, ნაყინით სავსე დიდი თეფში. კიდევ რა გითხრა? ყოველთვის, როცა მინდა, რომ დავსერიოზულდე, პირში ბურთსა მჩრი.

— სერიოზულობა მაშინებს, — უთხრა ქალმა სერიოზულად, — ასეა თუ ისე, ვიცი, რომ შენი სიტყვები ხუმრობაა და მეტი არაფერი.

---

[1] *ანდროგინი — „იდეალური“ ადამიანი ორივე სქესისთვის დამახასიათებელი გარეგნული ნიშნებით ან ყველანაირი ნიშნის გარეშე.*

[2] *ჩემი თეთრი ფური (იტალ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაგრამ სინამდვილეში თავად აღიზიანებდა მას, როდესაც ხარის ტყავის ფეხსაცმელზე, კოლეჯის მოსწავლეებს რომ აცვიათ, ისევე სწრაფად შეუხსნა ზონრები, როგორც მან შეკრა. თავმოყვარეობაშელახული ჯო იძულებული შეიქნა, ფლატუნით, გახსნილი ზონრებით ფეთხუმივით წასულიყო. ნაბიჯები სულ უფრო შორიდან ისმოდა, კიბეზე ერთიმეორის მიყოლებით მიწყდა, ბოლოს კი კარი გაჯახუნდა, რომლის ხმაც პატარა, მაგარ გირჩს ჰგავდა, მოხატული ხის მთლიან ნაჭერს, რუსული „მატრიოშკის“ სიღრმეში მოთავსებულს. ფანჯრებს მიღმა, ეზოში, შოშიის წრიპინი მოისმოდა, ველური მაყვალი ჭაობთან ასობით ფრინველს იზიდავდა. საწოლის შუაგულში, რომელიც მოულოდნელად კვლავ დიდი გამოჩნდა, მიტოვებული და დაუკმაყოფილებელი ალექსანდრა იწვა, ჭერს მისჩერებოდა და კვლავაც ლენოქსების სახლის უცნაურად კაშკაშა არქიტექტურული ფორმის დაჭერას ცდილობდა, მაგრამ მხოლოდ მოჩვენების გამოძახება შეძლო — ეს იყო კონვერტზე მიკრული უჩვეულოდ მკრთალი მართკუთხედი, რომელიც იმდენ ხანს იდო სხვენში, რომ მარკა თავისით მოსძვრა.

გამომგონებელი, მუსიკოსი და მხატვრობის მოყვარული ლენოქსების ძველ სახლს აახლებს

მისტერ დარილ ვან ჰორნმა, ტლანქი სილამაზის, კარგი მანერებისა და გულში ჩამწვდომი ხმის პატრონმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდა მანჰეტენიდან და, ცხოვრებით კმაყოფილი, ამჟამად ისთვიქელი გადასახადის გადამხდელია, თქვენი მონა-მორჩილი რეპორტიორი თავის კუნძულზე მიიღო.

დიახ, სწორედ იმ კუნძულზე, სადაც ლენოქსების სახელგანთქმული სახლი დგას, ვინაიდან ისთვიქის ამ ახალმა მცხოვრებმა შეიძინა მამული, რომელიც ჭაობით, ძლიერი მოქცევის დროს კი წყლითაა გარშემორტყმული.

ახალი მეპატრონე იმედოვნებს, რომ აგურის სახლს, რომელიც დაახლოებით 1895 წელს აუგიათ ინგლისურ სტილში, სიმეტრიული ფასადითა და მასიური მილებით, სხვადასხვა მიზნით გამოიყენებს: როგორც ლაბორატორიას თავისი დაუჯერებელი ექსპერიმენტებისთვის ქიმიური ნივთიერებებისა და მზის ენერგიის გამოყენებით, როგორც საკონცერტო დარბაზს, რომელ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შიც არანაკლებ სამი როიალი დგას (რომლებზეც იგი, მერწმუნეთ, პროფესიონალურად უკრავს), და როგორც დიდ გალერეას, რომლის კედლებსაც თანამედროვეობის ისეთი სახელგანთქმული ოსტატების ნამუშევრები დაამშვენებს, როგორებიც არიან რობერტ რაუშენბერგი[1], კლაუს ოლდენბერგი[2], ბობ ინდიანა[3] და ჯეიმს ვან დაინი[4].

საგულდაგულოდ მოწყობილი ორანჟერეა, იაპონური აბაზანა, რომელიც შესანიშნავი სანახავი იქნება სპილენძის ელვარებისა და გაპრიალებული ტექტონის წყალობით, ხელოვნურსაფრიანი ჩოგბურთის კორტი — ეს ყველაფერი მშენებლობის პროცესშია. კუნძულზე ჩაქუჩის კაკუნი და ხერხის ზუზუნი ისმის, ხოლო ლამაზი თეთრი ყანჩები კი, რომლებიც ამ მამულის მყუდრო ადგილებში ბუდობდნენ, დროებითი თავშესაფრის ძებნაში არიან.

პროგრესი მსხვერპლს ითხოვს!

თუმცა ვან ჰორნი გულზიარი ადამიანია, სიახლეების შესახებ იგი სიტყვაძუნწობას იჩენს და იმედი აქვს, რომ განმარტოებითაც დატკბება და ახალ საცხოვრებელ სახლზე ფიქრსაც დაუბრკოლებლად შეძლებს.

— როდ-აილენდმა სივრცითა და სილამაზით მიმიზიდა, — უთხრა მან ცნობისმოყვარე რეპორტიორს, — რაც დიდი იშვიათობაა აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩვენს მოუსვენარ და დაუდეგარ დროში. აქ უკვე ისე ვგრძნობ თავს, როგორც საკუთარ სახლში. დიდებული ადგილია! — დაამატა ძალდაუტანებლად, როდესაც რეპორტიორთან ერთად ლენოქსების ძველი ნავმისადგომის ნანგრევებზე იდგა და ჭაობისა და არხის პერსპექტივას განჭვრეტდა, ჯაგნარით დაფარულ დაბლობსა და ჰორიზონტზე შორეულ ოკეანეს გასცქეროდა, მეორე სართულიდან რომ მოჩანდა.

სახლი, ნეკერჩხლის პარკეტის უზარმაზარი სივრცითა და მაღალი ჭერით, ჭაღების თავზე თაბაშირისგან ნაძერწი როზეტებით,

---

[1] რაუშენბერგი რობერტ (1925-2008) — ამერიკელი მხატვარი, თავის ნამუშევრებში ნაგავსა და სხვა ნარჩენებს იყენებდა.

[2] ოლდენბერგი, კლაუს (დაიბ. 1929) — ამერიკელი მოქანდაკე, პოპარტის კლასიკოსი.

[3] ინდიანა, რობერტ (დაიბ. 1928) — ამერიკელი მხატვარი, პოპარტის მოძრაობის წარმომადგენელი.

[4] დაინი, ჯეიმს ვან (დაიბ. 1935) — ამერიკელი მხატვარი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოთახების პერიმეტრზე კი ასევე ნაძერწი დენტიკულებით[1], ჩემი საშემოდგომო ვიზიტის დღეს საკმაოდ ცივად გამოიყურებოდა, მოწყობილობებითა და ავეჯით სავსე მრავალი ყუთი ჯერაც გაუხსნელად ეწყო, მაგრამ თქვენი რეპორტიორი დარწმუნდა, რომ ჩვენი გამჭრიახი მეპატრონისთვის მომავალი ზამთარი საშიში სულაც არ იყო.

შიფერით გადახურულ დიდ სახურავზე ვან ჰორნი მზის ბატარეის რამდენიმე პანელის დაყენებას გეგმავს. უფრო მეტიც, იგი გრძნობს პროცესის საბოლოოდ დამთავრების მოახლოებას, რომელსაც დაჟინებით ადევნებენ თვალს, პროცესის, რომელიც საწვავის მოძველებული სახეობების დანახარჯს შეამცირებს, უახლოეს მომავალში კი მათი მოხმარება სრულიად შეწყდება. დააჩქარეთ დრო!

ახალი მეპატრონე აპირებს სუბტროპიკულ სამოთხედ გადააქციოს მამული, რომელიც ამჟამად თუთუბოთი,[2] ჩინური კოპიტით, ვირჯინიული შოთხვითა და სხვა ველური ხეებით არის დაფარული. ეგზოტიკური მცენარეულობა ზამთრობით ლენოქსების სახლის შუშის ორანჟერეაში მოექცევა. ზაფხულის სკულპტურები, რომლებიც ოდესღაც ადგილობრივ ვერსალს ამკობდნენ, ამჟამად, სამწუხაროდ, ისეა დაზიანებული, რომ ზოგიერთ მათგანს ცხვირი და ხელი აკლია; ამაყი მეპატრონე შენობაში მათ რესტავრაციას, ათენის პართენონის სახელგანთქმული კარიატიდების სტილში გაკეთებული დიდებული ხეივნის გასწვრივ კი (იგი კარგად ახსოვთ აქაურ უხუცესებს) მინაბოჭკოვანი ასლებით შეცვლას გეგმავს.

დამბა, როგორც ვან ჰორნმა აღნიშნა და მისთვის დამახასიათებელი შთამბეჭდავი ჟესტიც მოაყოლა, დაბლობ ადგილებში, შესაძლოა, ალუმინის პონტონის სექციებით გამაგრდეს.

— ნავმისადგომი შესანიშნავი რამ არის, — თქვა მან მხიარულად, — შესაძლებელი იქნება იახტით ნიუპორტისკენ ან უფრო შორს, პროვიდენსამდე გაცურვა.

---

[1] დენტიკულა — ლავგარდანის (კარნიზის) კლასიკური ორნამენტის ქონგურის სახის დეტალი.

[2] თუთუბო — თრიმლისებრთა ოჯახით. მშრალ ფერდობზე გავრცელებული დაბალი ხე ან ბუჩქი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამ უზარმაზარ სახლში ვან ჰორნთან ერთად მხოლოდ მისი მსახურ-თუფროსი, მისტერ ფიდელ მალაგერი ცხოვრობს. თუმცა აქვეა მომხიბლავი, ფუმფულა ანგორის კატის კნუტი, რომელსაც უცნაური სახელი, თამკინი[1] ჰქვია, რადგან თათებზე ზედმეტი თითები აქვს.

თქვენი რეპორტიორი, დარწმუნებული, რომ მრავალრიცხოვან მეზობელთა სახელით ლაპარაკობდა, გულთბილად მიესალმა სამხრეთის ოლქის ლეგენდარულ მხარეში ჩამოსულ მგრძნობიარე და გულითად ადამიანს.

ლენოქსების სახლი კვლავაც საყოველთაო ყურადღების ცენტრშია!

სიუზან რუჯმონტი.

— შენ იქ იყავი! — უსაყვედურა ეჭვით შეპყრობილმა ალექსანდრამ სიუკს, როდესაც გაზეთში მოთავსებული ჩანაწერი წაიკითხა.

— ძვირფასო, ეს დავალება იყო.

— მერედა ვინ მოიფიქრა ეს დავალება?

— მე, — აღიარა სიუკმა, — კლაიდი დარწმუნებული არ იყო, რომ ეს ახალ ამბებში უნდა მოხვედრილიყო. ზოგჯერ, ამგვარ შემთხვევებში, როდესაც აღწერ, რომ ვიღაცას შესანიშნავი სახლი აქვს, ერთ კვირაში მას ძარცვავენ, და მეპატრონე გაზეთს სასამართლოში უჩივის.

კლაიდ გებრიელი, ძარღვმაგარი, დაღლილი კაცი, რომლის უცხვირპირო მეუღლეც სახლში დიასახლისობდა, „ვორდის“ რედაქტორი გახლდათ.

— რას ფიქრობ სტატიის შესახებ? — შემრიგებლური ტონით ჰკითხა სიუკმა.

— კოლორიტული კი არის, ძვირფასო, მაგრამ ძალზე დაწვრილებით ჰყვები და, საწყენად არ ვამბობ, მაგრამ მიმღეობებს უნდა გადახედო. გადამეტებულად ხმარობ.

— თუ წერილში ხუთ აბზაცზე ნაკლებია, იგი ავტორის სახელის გარეშე ქვეყნდება. თანაც მან დამათრო. ჯერ რომიანი ჩაი დამალევინა, მერე კი — რომი ჩაის გარეშე. იმ საზიზღარ მექსიკელ მსახურს ყველაფერი უზარმაზარი ვერცხლის ლანგრით მოჰქონდა.

---

[1] *ინგლისური thumb — ცერი-ს მიხედვით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ასეთი არასოდეს მინახავს: მაგიდის პლასტიკატისოდენა იყო, გრავირებული, ორნამენტებიანი თუ რაღაც მაგის მსგავსი.

— როგორ მოგეწონა? როგორ იქცეოდა დარილ ვან ჰორნი?

— უნდა გითხრა, რომ ჩვეულებრივ საგნებზე ლაპარაკობდა. თან პირიდან გამუდმებით ნერწყვს აშხეფებდა. ძნელი დასადგენი იყო, ყველაფერი სერიოზულად უნდა აღმექვა თუ არა. თუნდაც პონტონის ხიდი. მითხრა, რომ ტევადობებს, თუ სწორად ვამბობ, მწვანედ შეღებავთ და ისინი ჭაობის ბალახს კარგად შეეხამებაო. ჩოგბურთის კორტიცა და ღობეც მწვანე იქნება. კორტი თითქმის მზადაა და ყველა დაგვპატიჟა სათამაშოდ, სანამ ამინდი არ გაფუჭებულა.

— ვინ ყველა?

— ჩვენ: შენ, მე და ჯეინი. აღმოჩნდა, რომ ძალზე დავაინტერესეთ, ჰოდა, მეც მოვუყევი ცოტა, რაც ყველასთვის ცნობილია — ჩვენი განქორწინებების შესახებ, თუ როგორ ვიპოვეთ ერთმანეთი, და ასე შემდეგ. განსაკუთრებით ის აღვნიშნე, როგორ გვეხმარები. ბოლო დროს რაღაც ვერ ვხედავ, რომ ჯეინი მხარში გვედგას, მგონია, რომ ჩვენს ზურგს უკან ქმარს ეძებს. იმ საშინელ ნეფს არ ვგულისხმობ, არავითარ შემთხვევაში. იგი შვილებითა და გრეტათია გაწამებული. ღმერთო ჩემო, ნუთუ ბავშვები ხელს არ უშლიან? მე ჩემებთან ნამდვილი ბრძოლა მაქვს გამოცხადებული. ისინი მეუბნებიან, რომ შინ იშვიათად ვარ, მე კი ვცდილობ, ამ პატარა არაშზადებს ავუხსნა, რომ საარსებო ფულს ვშოულობ.

ჰო, არ უნდა მიენიჭებინა ალექსანდრას ამხელა მნიშვნელობა სიუკისა და ვან ჰორნის შეხვედრისთვის. შეხვედრისთვის, რომლის წინასწარ გამოცნობაც სურდა.

— ჩვენ შესახებ მთელი ეს სისაძაგლეები უამბე?

— ვინ ამბობს, რომ სისაძაგლეა? გულწრფელად რომ გითხრა, ლექსა, არ მიყვარს ჭორებზე აყოლა. თავი მაღლა უნდა ასწიო და იფიქრო: „თქვენი დედაც!..“ — აი, რას ვამბობ გულში ყოველდღიურად პორტის ქუჩაზე გავლისას. არა, ცხადია, მისთვის ამგვარი არაფერი მითქვამს. როგორც ყოველთვის, წინდახედულად ვიქცეოდი. მაგრამ იგი მართლაც ძალიან დაინტერესებული ჩანდა. ასე მგონია, რომ შენ მოსწონხარ.

— სამაგიეროდ, მე არ მომწონს. საშინლად არ მომწონს ასეთი შავგვრემანი ხალხი. არც ნიუიორკელი თავხედების ატანა მაქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თანაც მისი სახის გამომეტყველება შეუსაბამობაში მოდის მის ნალაპარაკევთან, ხმასთან თუ კიდევ რაღაცასთან.

— მე კი მგონია, რომ ძალზე მიმზიდველია, — თქვა სიუკმა, — მისი მოუხერხებლობა.

— რა გააკეთა მოუხერხებლად, მუხლებზე რომი გადაგასხა?

— მერე კი ენით ალოკა, არა?! უბრალოდ ის, თუ როგორ გადადიოდა ერთი ადგილიდან მეორეზე, როგორ მაჩვენებდა თავის გასაოცარ ტილოებს, — კედლებზე ალბათ უზარმაზარი ქონება აქვს ჩამოკიდებული, — მერე ლაბორატორია დავათვალიერეთ... როიალზეც დაუკრა, თუ არ ვცდები, Mood Indigo[1], მუსიკალური ხუმრობა ვალსის ტაქტში. გარეთ კი ისე დაქროდა, რომ ერთ-ერთ წერაქვს გამოედო და კინაღამ იღლიაში მოირტყა. შემდეგ კი მკითხა, გინდა, შემოგარენს სახლის გუმბათიდან გადმოვხედოთო?.

— შენ მასთან ერთად გუმბათზე არ ახვიდოდი! თანაც, პირველივე პაემანზე.

— შვილიკო, მაიძულებ, გაგიმეორო. ეს პაემანი კი არა, დავალება იყო. არა, ვიფიქრე, საკმარისია-მეთქი, თანაც ვგრძნობდი, რომ შემთვრალი ვიყავი.

გაჩუმდა.

წინა ღამით ძლიერი ქარი ქროდა, ამ დილით კი სამზარეულოს ფანჯრიდან ალექსანდრამ დაინახა, რომ არყის ხეებსა და ვაზს ფოთლები დაეყარათ, ჰაერში რაღაც ახალი შუქი ჩაღვრილიყო — მოახლოებული ზამთრის შიშველი, ნაცრისფერი შუქი, რომელიც მიწის რელიეფს ატიტვლებდა და მეზობელ სახლებს აახლოებდა.

— იგი დაინტერესებული ჩანდა, — ამბობდა სიუკი, — არ ვიცი, რატომ, მაგრამ გადამეტებული ხალისით გულახდილობდა. პატარა ადგილობრივი გაზეთისთვის. თითქოს...

— განაგრძე, — უთხრა ალექსანდრამ და შუბლით ცივ ფანჯარას შეეხო, თითქოს თავის მოწყურებულ ტვინს დასალევად შორეულ შუქს სთავაზობდა.

— საინტერესოა, მისი საქმეები მართლაც ასე კარგად მიდის თუ მხოლოდ ხმები ვრცელდება? თუ ეს სიმართლეა, იქნებ მას საკუთარი წარმოებაც გააჩნია?

---

[1] *ინდიგოს განწყობილება (ინგლ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— კარგი შეკითხვებია. ჩვენ შესახებ რას გეკითხებოდა? უფრო სწორედ, შენ რისი მოყოლა გადაწყვიტე?

— ვერ გამიგია, ეს ასე რატომ გაღელვებს?

— იოტისოდენადაც არ მაღელვებს. სულაც არა.

— სხვათა შორის, სულაც არა ვარ ვალდებული, ანგარიში ჩაგაბარო.

— მართალი ხარ, საძაგლად ვიქცევი! განაგრძე, გეთაყვა.

ალექსანდრას არ უნდოდა, რომ მის ცუდ ხასიათს სხვა სამყაროში გამავალი ფანჯარა მიეხურა, რომელსაც მისთვის სიუკი აღებდა.

— მე მას მოვუყევი, — თქვა სიუკმა ტანჯული ხმით, — როგორ კარგად ვგრძნობთ თავს ერთად. რომ ქალების საზოგადოება მამაკაცებისას გვირჩევნია, და ასე შემდეგ.

— ხომ არ ეწყინა?

— არა, — მითხრა, — მამაკაცებს მეც ქალებს ვამჯობინებ, რადგან ისინი გაცილებით ორგანიზებულები არიანო.

— მან თქვა, გაცილებით ორგანიზებულებიო?

— რაღაც ამგვარი. მომისმინე, ძვირფასო, უნდა გავიქცე. მართლა. მოსავლის ზეიმთან დაკავშირებით კომიტეტის ხელმძღვანელობას ინტერვიუ უნდა ჩამოვართვა.

— რომელ ეკლესიაში? — ალექსანდრამ თვალი დახუჭა და ცისარტყელასებრი ზიგზაგი დაინახა, თითქოს უხილავ ხელში მოქცეული ბრილიანტი სიუკის გამალებულ ფიქრებს სიბნელეში ელექტრულ პარალელებზე კვეთდა.

— უნიტარულში. დანარჩენები ფიქრობენ, რომ ეს წარმართული ზეიმია.

— შეიძლება გკითხო, როგორი ურთიერთობა გაქვს ედ პარსლისთან?

— ჩვეულებრივი, ძვირფასო, ოღონდ შორეული. ბრენდა საშინელი პედანტია.

— ხომ არ უთქვამს, რაში გამოიხატება ეს საშინელი პედანტიზმი?

ალქაჯები სექსუალური საკითხების განხილვისას ერთგვარ თავშეკავებას იჩენდნენ, მაგრამ სიუკმა ეს წესი დაარღვია და აღიარა:

— იგი მისთვის არაფერს აკეთებს, ლექსა. სასულიერო სასწავლებელში წასვლამდეც საკმაოდ უთავბოლოდ ცხოვრობდა, ასე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ, კარგად იცის, რასაც კარგავს. მას ახლაც უნდა, რომ წავიდეს და მოძრაობას შეუერთდეს.

— გვიანღაა. ოცდაათს გადაცილებულია. მოძრაობას იგი არ ესაჭიროება.

— მან ეს იცის. საკუთარი თავი ეზიზღება. რა ვქნა, არ შემიძლია მუდამ უარით გავისტუმრო, ისეთი საბრალოა! — წამოიძახა სიუკმა პროტესტის ნიშნად.

ბუნებით ისინი სამკურნალო ძალას ფლობდნენ, და თუკი საზოგადოება მათ ბრალს სდებდა, რომ დამღუპველი კავშირის დამყარებით ცოლქმრულ ურთიერთობებს სპობდნენ, სულ უფრო მეტად უჭერდნენ მარყუჟს, რაც იმპოტენციას, აგრეთვე ემოციურ გაუცხოებას იწვევდა ისეთ ოჯახებშიც კი, რომელთა სიმტკიცეც საგულდაგულოდ გადახურული სახლების ჩაბნელებული ფანჯრების მიღმა თითქოს ვერანაირ ძალას ვერ უნდა შეერყია. და თუ სამყარო მათ არა მარტო ადანაშაულებდა, არამედ ცოცხლადაც წვავდა შეწუხებული საზოგადოების მიერ აღშფოთების გამოხატვით, ეს ის საფასური იყო, რომლის გადახდაც ამ ქალებს უწევდათ მათი ინსტინქტური სწრაფვის გამო — განეკურნათ მამრობითი სქესი, მამაკაცური სურვილის იარაზე მორჩილი სხეულის ცხელი საფენები დაედოთ, რათა მის შებოჭილ სულს აღტაცება ვერ დაემალა იმის დანახვაზე, თუ როგორ იძარცვავს ალქაჯი ტანსაცმელს და ცუდი ავეჯით გაწყობილი მოტელის ნომერში შიშველი დაიარება. ალექსანდრამ უსაყვედუროდ გაუშვა ახალგაზრდა ქალი, რომელიც კვლავაც განაგრძობდა ედ პარსლის მომსახურებას.

სახლის სიჩუმეში მარტოდ დარჩენილი ალექსანდრა — ბავშვები ორი საათის შემდეგ უნდა მოსულიყვნენ, — დეპრესიას ებრძოდა, მისი სიმძიმის ქვეშ მოყოლილი, ზღვის სილრმეში ნელა მცურავი მახინჯი თევზივით მოძრაობას ცდილობდა. იგი გრძნობდა, რომ სუნთქვა ეკვროდა საკუთარი უსარგებლობისა და XIX საუკუნის შუაგულში აგებული ფერმერული სახლის გამოუსადეგარობის გამო, თავისი ვიწრო, აშმორებული ოთახებითა და ლინოლეუმით. განწყობილების ასამაღლებლად ფიქრით საჭმელზე გადაერთო. ყველა არსება იკვებება, ზღვის უზარმაზარი ლოქორაც კი: საკვები — ეს სიცოცხლეა, კბილებმა, ჩლიქებმა და ფრთებმა მილიონობით წლების განმავლობაში მიმდინარე პატარ-პატარა ორთაბრძოლე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბის შედეგად ევოლუცია განიცადეს. ალექსანდრამ სენდვიჩი მოიმზადა ინდაურის მკერდის, ღორის ქადისა და დიეტური პურისგან, რომლებიც დილით მოიტანა ჭურჭლის საწმენდ საშუალებასთან, სახელწოდებით „კომეტი და კოლგონაითი“, და „ვორდის“ ახალ ნომერთან ერთად პატარა სუპერმარკეტიდან, „ყურესთან“ რომ ერქვა. ლამის ქანცი გააცალა ლანჩის მომზადებამ, რომელიც მრავალ, ერთი შეხედვით ისეთ უმნიშვნელო მოქმედებას საჭიროებს, როგორიცაა მაცივრიდან ხორცის პაკეტის გამოღება და გახსნა, თაროზე მაიონეზის მოძიება, სადაც იგი ჯემითა და სალათის ზეთით სავსე ქილებს შორის იმალება, ღორის ქადის პლასტიკური პაკეტის ფრჩხილებით გახევა, ყველა ინგრედიენტის თეფშის გვერდით დაწყობა, მაგიდის უჯრიდან დანის ამოღება მაიონეზის წასასმელად, ჩანგლის პოვნა, განიერი ქილის ამღვრეული მწვანე სითხიდან მარინადში ჩადებული კიტრის ამოძვრენა, შემდეგ კი ყავის მომზადება ინდაურისა და კიტრის სუნის გასაქრობად. ყოველთვის, როცა იგი ყავის პატარა, პლასტმასის საწყაოს ყუთში უკან დებდა, რამდენიმე მარცვალი ღრეჩოში ვარდებოდა. მას რომ მუდმივად ეცოცხლა, ეს მარცვლები მუქი ყავისფერი ალპების მთათა ჯაჭვს შექმნიდა. მთელ სახლში აღუხოცველი ჭუჭყის ნადები მოჩანდა: საწოლების ქვეშ, წიგნების უკან, რადიატორების სექციებს შორის. ალექსანდრამ შიმშილი მოიკლა და პროდუქტსა და ჭურჭელს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. ყველაფერი მოაწესრიგა. რატომაა აუცილებელი ლოგინის გასწორება, რომელშიც უნდა დაწვე, და ჭურჭლის გარეცხვა, რომლიდანაც უნდა ჭამო? ინკების ქალებს რა უჭირდათ! როგორც ვან ჰორნმა აღნიშნა, ალექსანდრა მართლაც ფრიად ორგანიზებული არსება იყო, რობოტი, რომელსაც ყველა ჩვეული მოძრაობა უნდა გაეთვალა.

იგი მთიანი დასავლეთის პატარა ქალაქში იზრდებოდა, რომლის მთავარი ქუჩაც განიერ და მტვრიან საფეხბურთო მინდორს წააგავდა. მასზე, მიწის მომწამვლელი კრეოზოტის ლაქებივით, აფთიაქი, პროდუქტების მაღაზია, მაღაზია „ვულვორტსი“ და საპარიკმახერო გაბნეულიყო. პატარაობიდანვე გრაციოზული და მშვენიერი ალექსანდრა ოჯახში გამორჩეულად უყვარდათ. მას ხუთი ძმა ჰყავდა, ხუთივე მოსაწყენი ბიჭი, რომელთაც მომავალში თავისი სქესის უღელი უნდა გაეწიათ. მამა „ლივაისის“ ფირმის ჯინსის ტანსაცმლით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვაჭრობდა და, საქმიანი მგზავრობიდან დაბრუნებული, ქალიშვილს ისეთი აღტაცებით შეჰყურებდა, როგორც მცენარის ნაზ ღეროს, რომელსაც ახალ-ახალი ფოთლები და ყლორტები ემატებოდა. პატარა სენდი იზრდებოდა, ძალასა და ჯანმრთელობას ჭკნობისთვის განწირულ დედას ართმევდა, ისევე, როგორც რძეს სწოვდა მკერდიდან ბალღობისას. ერთხელ კი, ცხენზე ჯდომისას, ქალწულობის აპკი დაიზიანა.

ქალიშვილობაში შესული ალექსანდრა მოტოციკლეტით დაქროდა. ისე მაგრად ჩაეფრინდებოდა ხოლმე საჭესთან მჯდომ ბიჭებს, რომ ლოყაზე მათი ქურთუკების მოქლონების კვალი რჩებოდა. როდესაც დედა გარდაეცვალა, მამამ იგი აღმოსავლეთის ერთ-ერთ კოლეჯში გაგზავნა სასწავლებლად — საშუალო სკოლის კონსულტანტმა მისი ყურადღება კეთილხმოვან სახელწოდებას, „კონექტიკუტის შტატის ქალთა კოლეჯს“ მიაპყრო. იქ, ნიუ-ლონდონში, იგი ნატიფი ხელოვნების სფეროში სპეციალიზდებოდა, ბალახის ჰოკეის გუნდის კაპიტანიც იყო. წლის განმავლობაში მრავალი სამოსი გამოიცვალა, ერთხელ კი, ივლისში, პირველი სასწავლო წლის ბოლოს, სულ თეთრებში აღმოჩნდა გამოწყობილი, მერე კი ქალის კაბები უნებისყოფოდ ეკიდა მის გარდერობში. ოზი ლონგ-აილენდში გაიცნო, სადაც ორივენი იახტაზე სასეირნოდ დაპატიჟეს. ახალგაზრდა კაცი ბევრს სვამდა პლასტიკური ჭიქებიდან, რომლებიც მაგრად ეჭირა ხელში, და არც სიმთვრალე ეტყობოდა და არც აღგზნება, განსხვავებით მისგან, და ამით მასზე შთაბეჭდილებაც მოახდინა. ოზიც აღფრთოვანებული იყო მისი სრული სხეულითა და დასავლური, მამაკაცური სიარულით. ქარმა მიმართულება იცვალა, იალქანი აფათქუნდა, გემმა კურსიდან გადაუხვია. კაცმა, რომელსაც სახე მზისა და ჯინის ზემოქმედებით ავარდისფერებოდა, გამამხნევებლად ჩაიცინა. მას ალმაცერი, მორცხვი ღიმილი ჰქონდა, რითაც ქალის მამას წააგავდა. ალექსანდრა ოზს ხელში ჩაუვარდა და ბუნდოვნად იგრძნო, რომ ამ ჩავარდნას, მათი ერთობლივი ძალისხმევით, შესაძლოა, ახალი სიცოცხლე წარმოეშვა. ქალმა იტვირთა დედობა, მებაღეთა კლუბი, გარაჟი და საღამოს წვეულებები. დილაობით მოსამსახურესთან ერთად ყავას გეახლებოდათ, ღამით — კონიაკს ქმრის გვერდით, მთვრალი კაცის ჟინს კი შეცდომით შერიგებად აღიქვამდა. მის ირგვლივ სამყაროც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფართოვდებოდა — ფეხებშუიდან ბავშვს ბავშვი მოსდევდა. სახლზე მიშენება გააკეთეს, ოზს ინფლაციის გამო წანამატს აძლევდნენ — ქალი როგორღაც თავის სამყაროს ასაზრდოებდა, მაგრამ ქმარი ამაში აღარ ეხმარებოდა. ალექსანდრას დეპრესია მოეძალა. თერაპევტმა ტოფრანილი გამოუწერა, ფსიქოთერაპევტმა — ფსიქოანალიზი, მღვდელმა — ორივე ერთად. ის და ოზი მაშინ ნორვიჩში ცხოვრობდნენ, სახლში ეკლესიის ზარების ხმა ისმოდა და ალექსანდრას, რომელიც სკოლიდან ბავშვების დაბრუნებამდე გრძელ, ჩაბნელებულ საღამოებს ლოგინში ატარებდა, ეჩვენებოდა, რომ ყოველი დარტყმა მისთვის იყო განკუთვნილი, ამიტომ მოწყვეტილივით გრძნობდა თავს და ეგონა, ისეთი სუნი ამდის, როგორც ძველ კალოშს ან ციყვის ტყავს, რომელიც გზაზე მანქანამ რამდენიმე დღის წინ გაიტანაო.

ქალიშვილობისას, თავიანთ სუფთა ქალაქში, იგი საწოლზე იწვა ხოლმე საკუთარი სხეულით აღგზნებული, რომელიც არსაიდან მოსულიყო მისი სულის შესაბოჭად. მან თავისი თავი სარკეში შეისწავლა, დაინახა ჩაღრმავება ნიკაპზე და სასაცილო ღარი ცხვირის წვერზე, მერე უკან დაიწია, რათა დამრეცი მხრები და გოგრისებური ძუძუები დაენახა, აგრეთვე მუცლის მომცრო, გადაბრუნებული ფიალის მსგავსი ნაწილი, რომელიც მორცხვი სამკუთხა ბუჩქისა და მკვრივი, მომრგვალებული თეძოების ზემოთ ანათებდა. მან გადაწყვიტა, საკუთარ სხეულთან თანხმობისთვის მიეღწია: ის ხომ უფრო ცუდიც შეიძლებოდა ყოფილიყო. საწოლზე წამოგორებული, ფანჯრიდან გადმოღვრილ შუქზე იგი ფეხს ატრიალებდა და საკუთარი კოჭით ტკბებოდა — კანქვეშ გამოსული ძვლებისა და კუნთების დრეკადი ელვარებით, ღია ცისფერი ვენებით, რომლებშიც მაგიურად მოძრაობდა ჟანგბადი, ხანაც თავისივე რბილ და მომრგვალო წინამხრებს ეფერებოდა, მაჯებისკენ რომ წვრილდებოდა. შემდეგ, ოჯახური ცხოვრების შუაგულში მოხვედრილს, საკუთარი სხეული შეზიზღდა, ოზის მცდელობები სასიყვარულო ურთიერთობების გაბმის შესახებ კი ბოროტ დაცინვად მიაჩნდა. ეს იყო სხეული სახლს გარეთ, ფანჯრებს მიღმა, სინათლით ნაცემი, წყლით დაცხრილული, ფოთლისმაგვარი ფორმის ხორცი ვიღაც სხვისა, რომელსაც მთელი ქვეყნის სილამაზე ეკვროდა. გაყრის დროისთვის იგი თითქოს ფანჯრიდან გაფრინდა. განქორწინების შესახებ დადგენილების გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოტანის მომდევნო დილას იგი ოთხ საათზე ადგა და ბარდის დამჭკნარი ბუჩქები ამოგლიჯა, თან მთვარის შუქზე მღეროდა, მტკიცე თეთრი ქვის შუქზე, რომელსაც დაცერებული, ნაღვლიანი, უსქესო სახე ჰქონდა — ციური სახე აღმოსავლეთის ნაცრისფერი დაფიონის თავზე.

ახლა სამყარო მის სხეულში გადიოდა, გადიოდა, როგორც ცარიელ მილში. ქალი — ხვრელია. ალექსანდრამ ეს ოდესღაც მეძავის მემუარებში ამოიკითხა. სინამდვილეში კი მას ეჩვენებოდა, რომ მძიმე, ჭყაპუნა ღრუბელი იყო, რომელიც საწოლზე იდო და ჰაერიდან მთელ ამაოებასა და უბედურებას იწოვდა: ომებს გამარჯვებულის გარეშე, როდესაც ყველა ავადმყოფობა დამარცხებულია, და თუ მოკვდებით, მხოლოდ კიბოსგან. სახლში მისი მოუქნელი და უმწეო ბავშვები იხმაურებენ, კისერზე ჩამოეკიდებიან, სახეში მიაშტერდებიან და საჭმელს მოსთხოვენ, და დედას კი არ დაემსგავსებიან, არამედ შეშინებულ მსუქან ბავშვს, დაუშნოებულსა და გამოსულელებულს, რომელიც მამამისს ვეღარ გააოცებდა, ვისი ფერფლიც ორი წლის წინ თვითმფრინავიდან მოფანტეს მის საყვარელ მთის მდელოზე, სადაც ოჯახი ოდესღაც მინდვრის ყვავილებს აგროვებდა — ალპურ ფლოქსებსა და „მფრინავებს“ მყრალას[1] სუნად აყროლებული ფოთლებით, აკონიტებსა და დეკატეონებს, მთის შროშანებს, რომლებიც თოვლის დნობის შემდეგ დარჩენილ ნოტიო ადგილებში ხარობს. მამამისს ხელში მცენარეთა ატლასი ეჭირა, პატარა სანდრა კი მისთვის ახალმოწყვეტილ მსხვერპლს ეზიდებოდა მათი სახელების გასაგებად, ნაზ ყვავილებს მკრთალი ფოთლებითა და ღეროებით, რომელთა სიცივესაც გოგონა იმით ხსნიდა, რომ მთელი ღამე მთაში, სუსხში გაეტარებინათ.

ჩითის ფარდებზე, რომლებიც ალექსანდრამ და ქმარს გაცილებულმა დეკორატორმა „მოწკავწკავე მელიიდან“, მეივის ჯესაპმა ჩამოკიდეს, დიდი ზომის ვარდისფერი და თეთრი პიონები იყო გამოსახული. მოფარდაგების ნაკეცები ამ მოხატულობიდან კლოუნის მკვეთრ სახეს ქმნიდა, ბოროტ, მოთეთრო-მოვარდისფრო სახეს

[1] *მყრალა — მტაცებელი ძუძუმწოვარი კვერნისებრთა ოჯახისა. კუდის ძირში აქვს ჯირკვლები, რომლებიც გამოყოფენ მყრალ ნივთიერებას. საფრთხის დროს მყრალა ამ სითხეს აფრქვევს თავდამსხმელს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პატარა პირის ნაპრალით. რაც უფრო დიდხანს უყურებდა ალექსანდრა, მით მეტი თვალბედითი კლოუნის სახე ჩნდებოდა, მთელი გუნდი პიონებზე განთავსებული კლოუნებისა. ესენი ეშმაკები იყვნენ, რომლებიც მის დეპრესიას აძლიერებდნენ. მან თავის პატარებზე გაიფიქრა, თიხიდან მათ განდევნას რომ ელოდებოდნენ. ისინი, ნოტიონი და ამორფულნი, მის განსახიერებას წარმოადგენდნენ. სირჩა და აბი მის გამხნევებასა და გამოცოცხლებას შეძლებდა, მაგრამ ამის საფასურიც კარგად იცოდა: ორი საათის შემდეგ უფრო ცუდად გახდებოდა. მისი აბნეული აზრები, გრძნეული ნავითა და მანქანების სინკოპირებული ხმებით, ლენოქსების კარ-მიდამოსა და იქ მაცხოვრებლისკენ მიისწრაფოდა, მუქთმიანი პრინცისკენ, რომელმაც მისი ორი და აიყვანა და ამით მას თითქოს განზრახ მიაყენა შეურაცხყოფა. მაგრამ ამაშიც კი რაღაც რთული თამაში იგრძნობოდა, მისი სულის გამოცდის სურვილი. ქალს წვიმა ენატრებოდა, ჭერის სიცარიელეში მის მოძრაობასაც ხედავდა, მაგრამ როდესაც ფანჯარაში გაიხედა, უმოწყალოდ მზიან ამინდში რაიმე ცვლილების ნატამალიც კი ვერ შეამჩნია. ნეკერჩხალმა ფანჯრის მინები ოქროთი, დრომოჭმული ფოთლების უკანასკნელი ნათებით დაფარა. საცოდავი ალექსანდრა თავის საწოლზე იწვა, სამყაროს მთელი ამ განუწყვეტელი უსარგებლობის სიმძიმის ქვეშ.

კეთილმა კოულმა მისი სევდა იგრძნო და ოთახში შემოვიდა. ძაღლის ტყავის ფართო ტომარაში მბზინავი გრძელი სხეული მოუხერხებლად გადაადგილდებოდა ერთმანეთზე გადაბმული ნაჭრებისგან გაკეთებულ ოვალურ ნოხზე. ანაზდად იგი თავისუფლად შეხტა პატრონის ოდნავ მოქანავე საწოლზე, შეშფოთებულმა აულოკა მას სახე და ხელები და იქ დასუნა, სადაც ქალს მეტი თავისუფლებისთვის ჭუჭყისგან გახეშეშებული „ლივაისის“ ქამარი შეეხსნა. ალექსანდრამ ბლუზა აიწია, რძესავით თეთრი მუცლის უდიდესი ნაწილი გამოაჩინა და იქ, ჭიპიდან ხელისგულის დადებაზე, ზედმეტი კერტი მოძებნა, პატარა, ვარდისფერი რეზინის კერტი, რომელიც რამდენიმე წლის წინ გაუჩნდა. დოკ პეტმა დაარწმუნა, რომ ეს კეთილთვისებიანი იყო და ამოკვეთაც შესთავაზა, მაგრამ მას ოპერაციის ეშინოდა. კერტი უგრძნობი იყო, თუმცა მის ირგვლივ კანზე ჩხვლეტას გრძნობდა, სანამ კოული სუნავდა და ლოკავდა. ძაღლის სხეული სითბოსა და მძორის გულისამრევ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სუნს აფრქვევდა. მიწა თავის თავში ხრწნისა და განავლის სუნის ყველა ამ ნაირსახეობას შეიცავდა, რაც, ალექსანდრას აზრით, ზიზღის მომგვრელი კი არა, რღვევის პროცესში ღრმად ჩაწნული, თავისებურად სასიამოვნოც იყო.

უეცრად კოულმა წოვა შეწყვიტა და ღონემიხდილი იმ ჩათელილ ადგილზე დაეცა, რომელიც მისმა გულისტკივილით დასუსტებულმა სხეულმა საწოლზე დატოვა. ვეება ძაღლი ძილში ხვრინავდა და ისეთივე ხმებს გამოსცემდა, როგორსაც საწრუპავი ღერო სითხის შესრუტვის დროს. ალექსანდრა, რაღაც მოვლენის მოლოდინში, ჭერს მიშტერებოდა. მისი ცრემლიანი თვალების გარსი კაქტუსის კანივით ცხელი და მშრალი იყო, გუგები კი შიგ ჩაზრდილ ორ შავ ეკალს მიუგავდა.

სიუკმა მოსავლის ზეიმის შესახებ დაწერილი სტატია („ძველი ნივთების გაყიდვა, კლოუნი დაკი, უნიტარული ეკლესიის პროგრამის ნაწილი") კლაიდ გებრიელს მის ვიწრო კაბინეტში შეუტანა და ძალზე შეცბუნდა, როცა მაგიდაზე გაწოლილი და ხელებში თავჩარგული უფროსი დაინახა. მან ხელნაწერის დოკუმენტებისთვის განკუთვნილ კალათში ჩადება განიზრახა, მაგრამ რედაქტორს ფურცლების შრიალი მოესმა და თავი ასწია. თვალებქვეშ წითელი წრეები ეტყობოდა, მაგრამ ქალი ვერ მიმხვდარიყო, ეს ცრემლებს გამოეწვია, ძილს თუ წუხანდელ უძილობას. ამბობდნენ, რომ იგი არა მარტო ბევრს სვამდა, არამედ უკანა ვერანდაზე საათობით იჯდა, თავისი ტელესკოპით ცას მიშტერებოდა და ვარსკვლავებს აკვირდებოდა. ღია მუხისფერი თმა, რომელიც კინკრიხოზე გამეჩხერებოდა, ერთიანად აწეწოდა, თვალები შესივებოდა, სახეზე მონაცრისფრო გაზეთის ქაღალდის ფერი დასდებოდა.

— მაპატიეთ, — თქვა ქალმა, — მეგონა, რომ ნომერში ამ წერილის ჩაკვეხება გსურდათ.

კაცმა თავაუღებლივ გახედა ხელნაწერის ფურცლებს.

— ჩაკვეხება, ჩაკვეხება, — თქვა შეცბუნებულმა, პირქვე დამხობილს რომ შემოუსწრეს, — ეს სტატია ორსტრიქონიან სათაურს არ იმსახურებს. ამაზე რას იტყვით? „მშვიდობისმყოფელი პასტორი ფარშავანგად გადაქცევას აპირებს".

— მე ედს კი არა, მისი კომიტეტის წევრებს ვესაუბრე.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, მაპატიეთ. დამავიწყდა, რომ პარსლი გამოჩენილ ადამიანად მიგაჩნიათ.

— ეს არც მთლად ეგრეა, — თქვა წელში გამართულმა სიუკმა. ეს საბრალო და ნავსიანი კაცები, რომლებსაც ბედი მისთვის იმეტებდა, სულაც არ იყვნენ წინააღმდეგნი, რომ იგი ლოგინში შეეტყუებინათ, თუ თვითონ ამის ნებას მისცემდა და არც ცხვირს აბზეკდა. კლაიდის საძაგელ, ბოროტად დამცინავ ღიმილს, რომელიც სხვა თანამშრომლებში მონურ მორჩილებას იწვევდა და ქალაქში მათ რეპუტაციას ზიანს აყენებდა, სიუკი შენიღბულ თავდაცვად აღიქვამდა, უკუღმა გამართლებად. ოდესღაც, ახალგაზრდობაში, ალბათ ისეთი პირი უჩანდა, რომ ლამაზი უნდა დამდგარიყო, მაგრამ მისი მიმზიდველობა — მაღალი შუბლი, ფართო, მგრძნობიარე პირი და ძალიან ნაზი ცისფერი თვალები რბილი, გრძელი წამწამებით, — გაქრა და იგი თანდათან გამოფიტულ ლოთს დაემსგავსა.

კლაიდი ორმოცდაათს ოდნავ გადაცილებული თუ იქნებოდა. სამუშაო მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებულ დაფაზე, კეგლის ნიმუშების, სათაურებისა და წინა ხელმძღვანელების დროს გაზეთ „ვორდისადმი“ მიძღვნილი, ჩარჩოში ჩასმული რამდენიმე საქები გამოხმაურების გვერდით, მას თავისი ქალ-ვაჟის ფოტოსურათები მოეთავსებინა, მეუღლისა კი — არა, თუმცა განქორწინებული არ იყო. მისი ეშხიანი და ბავშვურად მრგვალსახიანი, ჯერაც გაუთხოვარი ქალიშვილი, ჩიკაგოში, მაიკლ რისის საავადმყოფოში მუშაობდა ტექნიკოს-რენტგენოლოგად, და, შესაძლოა, სურდა, რომ „ლედი-ექიმი“ გამოსულიყო, როგორც ამას მონტი იტყოდა ხოლმე დამცინავად. ვაჟიშვილმა კოლეჯი მიატოვა და, ხელოვნებით გატაცებულმა, ზაფხული კონექტიკუტის თეატრის კულისებში გაატარა. მას მამასავით ღია ფერის თვალები და ძველბერძნული ქანდაკების მსგავსი სავსე ტუჩები ჰქონდა. ფელისია გებრიელი, მეუღლე, რომლის ადგილიც კედელზე არ მოინახა, და ოდესღაც, როგორც ჩანს, კადნიერება და სითამამე არ აკლდა, მკვეთრი ნაკვთების მქონე პატარა, მოლაქლაქე ქალად ქცეულიყო. ახლა მას მთავრობა და ოპოზიცია, ომი, ნარკოტიკები და რადიოთი გადმოცემული ბინძური სიმღერები აინტერესებდა, აგრეთვე ის, რომ „ფლეიბოი“ დაუფარავად იყიდებოდა ადგილობრივ აფთიაქებში, ქალაქის ცენტრში მიძინებული თვითმართველობა კი უსაქმურე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბისგან შედგებოდა, მიაჩნდა, რომ ზაფხულობით ხალხი უხამსად იცვამდა და შესაბამისადაც იქცეოდა. მისი ნება რომ ყოფილიყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

— ეს-ეს არის, ფელისიამ დარეკა, — თქვა მობოდიშებით კლაიდმა, — ლამის გაცოფებულია იმის გამო, რომ ამ ვან ჰორნმა სალეკი მიწებით სარგებლობის წესები დაარღვია. ისიც აღნიშნა, რომ შენი წერილი ზედმეტად მაამებლურია. მისი ნიუიორკული წარსულის შესახებაც შეიტყო რაღაც-რაღაცები, რაც მას საკმაოდ ცუდი კუთხით ახასიათებს.

— ეს ყველაფერი ვისგან შეიტყო?

— არ ვიცი. ფელისია თავის წყაროების შესახებ არაფერს მეუბნება. შესაძლოა, ეს ცნობები პირდაპირ ჯ. ედგარ გუვერმა მიაწოდა.

მეულლის მიმართ გამოთქმულმა ირონიამ მისი სახე ცოტათი გამოაცოცხლა. იგი არც ადრე აკლებდა ფელისიას ამგვარ გამონათქვამებს. საერთოდ კი, რაღაც ჩამკვდარიყო მის გრძელ წამწამებს შორის მოქცეულ თვალებში. კედლიდან მომზირალი შვილები, სახეზე მისივე მსგავსი მოჩვენებითობით, მას ახალგაზრდა კლაიდს ახსენებდა. სიუკი ხშირად ფიქრობდა ამაზე. ქალიშვილის მომრგვალებული სახის ნაკვთები თითქოს სრულყოფილების ნაკლულ კონტურს წარმოადგენდა, ბიჭი კი მასავით პირქუშად მორჩილი იყო ხორციანი ტუჩებით, ხუჭუჭი თმითა და მოვერცხლისფრო წაგრძელებული სახით. ამ უფერულობას კლაიდი დილის ვისკის ყავისფერი არომატითა და სიგარეტით, აგრეთვე ქეჩოდან მომავალი მძაფრი სუნით ავსებდა. სიუკი არასოდეს წოლილა კლაიდთან. მაგრამ მას მოსვენებას არ აძლევდა დედობრივი გრძნობა, რომ მისი გაჯანმრთელება შეეძლო. ეჩვენებოდა, რომ იგი იძირებოდა და თავის ფოლადის სკამს ისე ებღაუჭებოდა, როგორც გადაბრუნებულ ნავს.

— გატანჯული სახე გაქვთ, — უთხრა მან უფროსს საკმაოდ უბოდიშოდ.

— ასეცაა, სიუზან. მართლაც გავიტანჯე. ფელისია ყოველდღე ტელეფონზეა ჩამოკიდებული, გაუთავებლად ვიღაცასთან რაღაცაზე მსჯელობს, ამის გამო სასმელს მივეძალე. ვცადე, რომ ტელესკოპით შემეყოლიებინა თავი, მაგრამ უფრო მძლავრი მჭირდება, ამით სატურნის რგოლებიც ძლივს მოჩანს.

— ცოლთან ერთად კინოში წადით, — შესთავაზა სიუკმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვიყავით ერთხელ, უწყინარი ფილმი ვნახეთ ბარბარა სტრეიზანდის მონაწილეობით — ღმერთო ჩემო, რა ხმა აქვს ამ ქალს, გულში ხანჯალივით გესობა! — ჩემი ცოლი ისე გააღიზიანა ერთ-ერთ სარეკლამო რგოლში ნაჩვენებმა ძალადობამ, რომ შუა ფილმიდან მენეჯერთან წავიდა საჩივლელად. მერე კი დაბრუნდა, მაგრამ ახლა იმან გააცოფა, რომ, მისი აზრით, ძალიან ხშირად უჩვენებდნენ სტრეიზანდის მკერდს, როცა საუკუნის დასაწყისისთვის ჩვეულ კაბაში გამოწყობილი წინ იხრებოდა. ხომ გესმით, ეს ფილმი ყველასთვის იყო და არა მხოლოდ სრულწლოვანთათვის! სიმღერებს ძველებურ ტრამვაიში ასრულებდნენ!

კლაიდმა გაცინება სცადა, მაგრამ ტუჩები ამას გადაჩვეოდა, მობრეცილი პირის ნახვრეტი კი შესაბრალისად გამოიყურებოდა. სიუკს ერთი სული ჰქონდა, კაკაოსფერი შალის სვიტერი გაეხადა, ლიფი გაეხსნა და ამ მომაკვდავი კაცისთვის თავისი უტიფარი მკერდი მოსაწოვად დაეთმო, მაგრამ მის ცხოვრებაში უკვე არსებობდა ედ პარსლი და მისთვის ერთი დაკრუნჩხული და ტანჯული ინტელიგენტიც საკმარისი იყო. იგი ყოველ ღამით აჭკნობდა გულში ედ პარსლის, ხოლო მოწოდების გაგონებაზე საოცრად მსუბუქად გადაევლებოდა ხოლმე დატბორილ ჭაობს და დარილ ვან ჰორნის კუნძულზე აღმოჩნდებოდა. სწორედ იქ ხდებოდა ყველაფერი და არა ქალაქში, სადაც ნავთობის ზოლებით დაფარული წყალი პორტის ხიმინჯებს ეხეთქებოდა და მოცახცახე არეკლილ შუქს ისთვიქის მცხოვრებთა დაძაბუნებულ სახეებზე აფრქვევდა, როდესაც ისინი თავ-თავიანთ ყოველდღიურ და ქრისტიანულ საქმეებზე მიჩანჩალებდნენ.

სიუკს სვიტერის ქვეშ ძუძუს თავები მაინც დაებურცა. ისინი განსაკურნავ ძალას ასხივებდნენ. ნებისმიერი მამაკაცისთვის იგი შხამსაწინააღმდეგო და შემამსუბუქებელი გარემოებებით სავსე ბაღს წარმოადგენდა. კერტების გარშემო ჩხვლეტას გრძნობდა, თითქოს ბავშვისთვის ძუძუს მიცემის დრო მოსულიყო ან ჯეინთან და ლექსასთან ერთად ენერგეტიკულ კონუსს სწევდა, მწვავე ჟრჟოლამ დაუარა ძვლებში, ხელებისა და ფეხების თითებშიც კი, როგორც წვრილ მილებში, რომლებშიც ყინულივით ცივი წყალი მიედინებოდა. კლაიდ გებრიელი ტექსტის რედაქტურაზე დაიხარა, მისი უფერული თავის ქალა ამაღელვებლად მოჩანდა ღია მუხისფერ, გრ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ძელ, გამეჩხერებულ კულულებს შორის — ამ წერტილიდან საკუთარი თავი მას არასოდეს დაენახა.

სიუკი „ვორდის“ რედაქციიდან გამოვიდა და პორტის ქუჩას გაუყვა კაფე „ნემოს“ მიმართულებით, სადაც საუზმობას აპირებდა. ტროტუარებისა და კაშკაშა ვიტრინების პერსპექტივა მაგრად დაჭიმულ ძაფს ჰგავდა, რომლის გასწვრივაც მისი წელში გამართული ფიგურა მოძრაობდა. ხიმინჯებს იქით ბაგირებით დაბმული იალქნიანი გემების ანძები, ტანადი, კრიალა ხეების ტყეს რომ ჰგავდა, თანდათან გაიშვიათდა. ქუჩის სამხრეთ ბოლოში, პორტის მოედანზე, ომის გმირების პატივსაცემად აღმართული პატარა გრანიტის ძეგლის გარშემო ფესვგადგმული უზარმაზარი, ბებერი წიფლის ხეები ქარის ყოველ დაქროლვაზე ჩამოცვენილი ფოთლებისგან მის თავზე ყვითელ, თხელ კედელს ქმნიდა. ზამთრის სიცივის მოახლოებასთან ერთად, წყალი ცისფერი ფოლადის ელფერს იღებდა, ხოლო სახლების თეთრი, ფიცრული შემონაკერი ყურის მხრიდან თვალისმომჭრელ ცარცს წააგავდა. „რა სილამაზეა!“ — გაიფიქრა სიუკმა და შეეშინდა — მისი საკუთარი სილამაზე და სიცოცხლის სიყვარული ყოველთვის ხომ არ იქნება ამ სამყაროს ნაწილი, დადგება დრო და ისიც წავა, როგორც მოზაიკური სურათის ცენტრიდან დაკარგული ნატეხი.

ჯეინ სმარტი ბახის მეორე სუიტას, რე მინორს უკრავდა ვიოლონჩელოსთვის აკომპანემენტის გარეშე. შესავალ ნაწილში პატარა, შავი, მეთექვსმეტედი ნოტები

დიეზებსა და ბემოლებთან ერთად ისე ადი-ჩადიოდნენ, როგორც ადამიანი ოდნავ აუწევ-დაუწევს ხოლმე ხმას საუბრის დროს. მოხუცმა ბახმა კვლავ აამოქმედა თავისი შეუდარებელი, ტონალური, გაჩერების პირას მისული ინსტრუმენტი. ჯეინს შიგადაშიგ აღშფოთება დაეტყო ამ შავი, მტკიცე, ვაჟკაცური ნოტების გამო, თემის ყოველი ტრანსპონირების შემდეგ დაკვრა სულ უფრო მეტ ოსტატობას მოითხოვდა. მისთვის კი სულერთი იყო — ამ განსვენებული, პარიკით მოსილი, კვადრატულსახიანი მოხუცი ლუთერანისთვის, მისი ღმერთისა და მისი გენიისთვისაც, აგრეთვე ორი ცოლისთვის ჩვიდმეტი ბავშვით; სულერთი იყო, როგორ სტკიოდა მას თითის წვერები, როგორ ისროდა ნოტების არმია მის მორჩილ სულს წინ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და უკან და ზევით-ქვევით მხოლოდ იმიტომ, რომ ამ კაცის ხმა სიკვდილის მერეც გაჟღერებულიყო და მეამბოხე უკვდავეყო. ჯეინი მკვეთრად წამოდგა, ხემი დადო, ცოტაოდენი მშრალი ვერმუტი დაისხა და ტელეფონისკენ გაემართა. ამ დროისთვის სამსახურიდან წამოსული სიუკი უკვე შინ უნდა ყოფილიყო, რათა საღამოს იმ იდიოტურ მიტინგზე წასვლამდე თავისი საბრალო ბავშვები ცოტაოდენი არაქისის კარაქითა და ჯემით დაენაყრებინა.

— როგორმე უნდა მოვახერხოთ და ალექსანდრა დარილთან შევიტყუოთ, — ეს ჯეინის სატელეფონო საუბრის მთავარი აზრი იყო, — გასულ ოთხშაბათამდე ვყოყმანობდი, იმის მიუხედავადაც კი, რომ მან უარი თქვა. როგორც ჩანს, ძალზე ნაწყენია, რომ ხუთშაბათს არ ვიკრიბებით. დაეჩვია ჩვენს შეხვედრებს და საშინლად დათრგუნვილი სახე ჰქონდა, ლამის ავად გახდა ეჭვიანობისგან, პირველ რიგში ჩემი და ბრამსის, შემდეგ კი შენი სტატიის გამო, რომელმაც მასზე რაღაცნაირად იმოქმედა. სალაპარაკოდ ვერ მოვიხელთე, მაგრამ თვითონ არც კი ცდილობს იმის გარკვევას, თუ რატომ არ დაპატიჟეს.

— არა, ძვირფასო, ის მიიწვიეს, როგორც შენ და მე. როდესაც ვან ჰორნმა ჩემი სტატიისთვის თავისი კოლექცია მანახვა, მან იმ ნიკის, დამავიწყდა რა გვარია, პარიზში გამართული გამოფენის ძვირფასი კატალოგი გადმოიღო და თქვა, ლექსასთვის ვაპირებდი ჩვენებასო.

— ახლა აღარ წამოვა, სანამ ოფიციალურად არ მიიწვევენ და სწორედ ეს აწვალებს საბრალოს. მეგონა, რომ შენ ეტყოდი რაიმეს.

— რატომ მე, ძვირფასო? მაგ კაცს შენ უკეთ იცნობ, სულ იქ დადიხარ დასაკრავად.

— მხოლოდ ორჯერ ვიყავი, — თქვა ჯეინმა და ბოლოსწინა სიტყვას ხაზი გაუსვა, — შენ გეხერხება კაცებთან უშუალო ლაპარაკი, მე კი მინიშნებებით საუბარი არ გამომდის და, შესაძლოა, ყველაფერი ჩავხლართო.

— სულაც არა ვარ დარწმუნებული, რომ სტატია მოეწონა, — მოიგერია სიუკმა, — ერთხელაც არ უხსენებია.

— რატომ არ უნდა მოსწონებოდა? შესანიშნავი სტატია გამოვიდა, თვითონ კი ძალზე რომანტიკულად, ცოცხლად და შთამბეჭდავად გამოიყურება. მარჯ პერლმა კი იგი სულაც თავისთან გამოაკრა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განცხადებების დაფაზე და ყველა პოტენციურ კლიენტს უყვება, როგორ დაეხმარა ვან ჰორნს ამ მამულის შეძენაში.

ტელეფონში კარგად ისმოდა, რომ სიუკს ატირებული ქალიშვილი მიუახლოვდა. ქვითინით ცდილობდა იმის ახსნას, რომ ძმა ლომებზე გადაღებული სპეციალური ფილმის ყურების საშუალებას არ აძლევდა, ვინაიდან საკაბელო არხით განმეორებით „ჰოგანის გმირებს“ უჩვენებდნენ. ბავშვს პირი არაქისის კარაქითა და ჯემით მოეთხუპნა, დაუვარცხნელი ხშირი თმა გასწეწოდა. სიუკს ამ დასვრილი, საძაგელი ბავშვისთვის სილის გაწვნა და გონზე მოყვანა მოუნდა. სიხარბე — აი, ერთადერთი, რასაც ტელევიზია ასწავლის. იგი ჩვენს ტვინს ბავშვებისა და ავადმყოფებისთვის განკუთვნილი ფაფით კვებავს. დარილ ვან ჰორნმა აუხსნა, ყველა ამბოხებისა თუ ომის საწინააღმდეგო გამოსვლის გამო პასუხისმგებლობა ტელევიზიას ეკისრებაო. სარეკლამო პაუზებმა და არხების განუწყვეტელმა გადართვა-გადმორთვამ ახალგაზრდების თავებში ლოგიკური კავშირების უზრუნველმყოფი სინაპსები[1] დააზიანა, ამიტომაც არის მათთვის აქტუალური მოწოდება „დაკავდით სიყვარულით და არა ომით“.

— ვიფიქრებ ამის შესახებ, — ნაჩქარევად დაჰპირდა სიუკი და ყურმილი დადო.

მას გზატკეცილების განყოფილების რიგგარეშე სხდომაზე მიეჩქარებოდა: თებერვალში მოულოდნელმა ნამქერებმა მიმდინარე წლის მთელი ბიუჯეტი შეიწირა თოვლსაწმენდი სამუშაოებისა და გზებზე მარილის მოყრის გამო, თავმჯდომარე აიკ არსენო კი გადადგომით იმუქრებოდა. სიუკი იქიდან ცოტა ადრე აპირებდა წამოსვლას, რათა პოინტ-ჯუდიტში ედ პარსლისთან პაემანზე არ დაჰგვიანებოდა. თავდაპირველად მოჩხუბრების დაშოშმინება მოუხდა. ბავშვებს ზემოთ თავისი ტელევიზორი კი ჰქონდათ, მაგრამ ქვემოთ ამჯობინებდნენ ყურებას. მისი ხმაური პატარა სახლს მთლიანად ავსებდა, მათი რძიანი ჭიქები და კაკაოიანი ფინჯნები კი ყავის დასალევ მაგიდად გადაქცეულ საზღვაო სკივრზე წრეებს ტოვებდა. შიგადაშიგ სიუკი თავისი ორადგილიანი დივნის ბალიშებს შორის გამწვანებულ პურის ქერქს პოულობდა. გააფთრებული აქეთ-იქით აწყდებოდა, უზრდელ

[1] *სინაპსი — ნერვიული უჯრედების ერთმანეთთან შეხების სფეროები.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბავშვებს უბრძანებდა, ვახშმის შემდეგ ნახმარი თეფშები ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ჩაწყოთ.

— და აუცილებლად გაავლეთ წყალში არაქისისკარაქიანი დანა, გაავლეთ და გაწმინდეთ. თუ გაუწმენდავს ჩააგდებთ, არაქისის კარაქი ისე ჩააჯდება, რომ ვეღარაფრით გააცლით. საშზარეულოდან გასვლამდე სიუკმა „ელპოს“ კონსერვის ქილიდან ცხენის წითელი ხორცი ძაღლის პლასტმასის ჯამში დაანამცეცა — ზედ ერთ-ერთ შვილს მარკერით „ჰენკი“ დაწერა, — რომელსაც ღორმუცელა ვაიმარანერი ხარბად და სწრაფად გადასანსლავდა. თვითონ პირი მარილიანი ესპანური არაქისით გამოიტენა, რომელთა წითელი ჩენჩოს ნამცეცები ფუმფულა ტუჩებზე მიეწება.

შემდეგ იგი ზემოთ ავიდა. სიუკს თავის საძინებელში მოსახვედრად ჯერ ვიწრო კიბე უნდა აევლო, მერე მარცხნივ მოეხვია ასეთივე ჰოლში მოსახვედრად შეუღებავი კედლებითა და დაქანებული ჭერით, შემდეგ — მარჯვნივ და XVIII საუკუნის კარი გაევლო ჯვარედინად აკრული კვადრატული მიხაკებით. მან ეს კარი მიხურა და კლანჭებიანი თათის ფორმის ნაჭედი რკინის ურდულით დაკეტა. ოთახის კედლებზე ძველებური მოხატულობის შპალერი იყო აკრული: პატარა სვეტებზე ლობიოსავით აკრული ვაზი. ჭერიდან ჰამაკივით ჩამოკიდებულიყო ობობის ქსელი. მსხვილი ჭანჭიკებიანი საყელურები ყველაზე ფართო ნაპრალებს კრავდა და ბათქაშს აკაკებდა. ერთადერთი, პატარა ფანჯრის რაფაზე მარტოხელა ნემსიწვერა ხმებოდა. სიუკს ჩაჭყლეტილ, ორადგილიან საწოლზე ეძინა, რომელზეც გარდაცვლილი შვეიცარიელის გაცრეცილი გადასაფარებელი ეგო. გაახსენდა, რომ საწოლთან „ვორდის“ ბოლო ნომერი იდო, მრუდე სამანიკიურე მაკრატლით ფრთხილად ამოჭრა თავისი სტატია „გამომგონებელი, მუსიკოსი და მხატვრობის მოყვარული“, თან სუნთქვას იკავებდა და ახლომხედველ თვალებს ძაბავდა, რათა მეზობელი სტატიიდან შემთხვევით რომელიმე ასო არ მოხვედრილიყო, რომელსაც დარილ ვან ჰორნთან საერთო არაფერი ჰქონდა. საქმეს რომ მორჩა, თავისი სტატია შიგა მხრით მძიმეთეძოებიან და ნამცეცაფეხებიან „ბალღს“ შემოახვია, რომელიც ალექსანდრამ ორი წლის წინ მას დაბადების დღეზე აჩუქა, და რომლის დახმარებითაც ახლა მაგიურ რიტუალს ატარებდა. მან ჩაშენებული ბუხრის გვერდით მდგარი ბუფეტიდან სპეციალუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რი ზონარი გამოიღო, ხშირბეწვიანი, ღია მწვანე ჯუთის ზონარი, რომლითაც მებაღეები მცენარეებს ამაგრებენ (მიიჩნევა, რომ სხვა თვისებებთან ერთად, იგი ზრდასაც უწყობს ხელს), და შეფუთულ ფიგურას ისე მჭიდროდ შემოახვია, რომ დაჭმუჭნილი პრიალა გაზეთის ნამცეციც კი აღარ ჩანდა. შემდეგ ბანტი გამონასკვა — ერთხელ, მეორედ, მესამედ, — ჯადოსნობისთვის ასე იყო საჭირო. ამულეტი ხელისგულზე სიმძიმის სასიამოვნო შეგრძნებას იწვევდა. წაგრძელებული, ფალოსური ფიგურა მჭიდროდ დაწნულ კალათას წააგავდა. სიუკი დარწმუნებული არ იყო, რომ ეს შელოცვა მიზანს მიაღწევდა, ამიტომ მსუბუქად მიიდო ფიგურა შუბლზე, ძუძუებსა და ჭიპზე, რომელიც ერთადერთი რგოლი იყო ქალთა უსასრულო ჯაჭვში, შემდეგ ბოლოკაბა აიწია და ისე, რომ ტრუსი არ გაუხდია, საშოს შეეხო. ჯადოსნობა რომ შემდგარიყო, შეფუთულ ფიგურას აკოცა.

— დატკბით ორივენი, — თქვა მან, სკოლაში ნასწავლი ლათინურიდან საჭირო სიტყვა გაიხსენა და წაიმღერა: — Copula, copula, copula[1].

მერე ჩაიმუხლა და ხშირბეწვიანი მწვანე ამულეტი საწოლქვეშ შედო, სადაც ათიოდე მკვდარი თაგვი და დაკარგული კოლჰოტი დაინახა, სიჩქარეში მათ მოსაძებნად არ ეცალა. ძუძუს თავები უკვე გამკვრივებოდა, წინასწარ ტკბებოდა ედ პარსლის გამოჩენით — როგორ გააჩერებდა მუქი ფერის მანქანას, რომელსაც პოინტ-ჯუდიტის შუქურიდან წამოსული მამხილებელი შუქი გაანათებდა, და მოტელის უბადრუკ, ნესტიან ოთახში შევიდოდა — საფასური, თვრამეტი დოლარი, წინასწარ ექნებოდა გადახდილი. მისი მონანიების კასკადიც წარმოიდგინა, რომლის ატანაც მოუწევდა მას შემდეგ, რაც კაცის სექსუალურ შიმშილს დააცხრობდა.

იმ ცივ, მოქუშულ დღეს ცა დაბლა ჩამოსული ღრუბლებით იყო დაფარული. ალექსანდრამ გაიფიქრა, აღმოსავლეთის პლაჟზე ძლიერი ქარი და ნესტი იქნებაო, ამიტომ თავისი „სუბარუ“ სანაპირო გზატკეცილის პირას, ლენოქსების დამბის შორიახლოს გააჩერა. აქ დაჭაობებული ადგილის ფართო ზოლი მდებარეობდა, სადაც

[1] *შერწყმა, შეწყვილება (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კოული სირბილით გულს იჯერებდა — ბალახი უკვე გაუფერულებულიყო და, მოქცევის ზემოქმედებით, ალაგ-ალაგ ძირს წაწოლილიყო. ჭრელ კაჭრებს შორის, რომლებიც უზარმაზარი დამბის საფუძველს წარმოადგენდა, ზღვას მკვდარი თოლიები და კიბორჩხალების ცარიელი ნიჟარები გამოჰქონდა. ძაღლს მოსწონდა მათი დაყნოსვა და საგულდაგულოდ გამოკვლევა. აქ აგრეთვე იდგა აგურის ორი სვეტი, რომლებსაც თაბაშირისგან დამზადებული ხილით სავსე ლარნაკები ამშვენებდა, გადარჩენილი თუჯის კარის ჟანგიანი ღეროებით. სანამ ალექსანდრა იდგა და პირქუშ, სიმეტრიულ შენობას გასცქეროდა, რომლის პატრონი უხმაუროდ მიუახლოვდა უკნიდან თავისი „მერსედესით“. თითქმის თეთრი მანქანა ჭუჭყიანი ჩანდა. მისი ერთი წინა ფრთა შეჭეჭყილიყო, მეორე კი რემონტის შემდეგ არცთუ შესაფერის სპილოსძვლისფრად შეეღებათ. ქარისგან დასაცავად ალექსანდრას თავზე წითელი ბენდენა წაეკრა და როცა შეტრიალდა, საკუთარი თავი მუქთმიანი მამაკაცის მოღიმარ თვალებში დაინახა — წითელ ჩარჩოში ჩასმული შეშინებული ოვალი ზღვის თავზე მცურავი ვერცხლისფერი ღრუბლების ფონზე. თმა მონაზონივით დაემალა.

კაცის მანქანის მინა ნელა დაეშვა.

— როგორც იქნა, მოხვედით, — დაიძახა დარილმა. იგი ჯამბაზის ცნობისმოყვარეობით კი არ უჭვრეტდა ქალს, არამედ საქმიანი ადამიანივით, რომელიც ფაქტს ადასტურებს. ნაოჭებიანი სახე ულიმოდა. წინა სავარძელზე, მის გვერდით, მუქი, კონუსის მსგავსი არსება მოკალათებულიყო — კოლი, რომლის სამფეროვან შეფერილობაში შავი სჭარბობდა. ეს ქმნილება გააფთრებით აყეფდა, როდესაც ერთგულმა კოულმა მძორს თავი მიანება და პატრონისკენ გამოიქცა. ისიც ისე გამძვინვარდა, რომ ქალს სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომ მან ძაღლს ხელი საყელურში წაავლო და ხმას აუწია, რათა ყეფა გადაეფარა:

— აქ უბრალოდ ცოტა ხნით შევჩერდი, მე არ... — ქალის ხმა უჩვეულოდ ახალგაზრდულად და ალერსიანად ჟღერდა, მას მოულოდნელად წაადგნენ თავს.

— ვიცი, ვიცი, — მოუთმენლად თქვა ვან ჰორნმა, — ნებისმიერ შემთხვევაში, წავიდეთ და დავლიოთ. თქვენ ხომ ჩემთან ჯერ არ ყოფილხართ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ორ წუთში უკან უნდა წავიდე. ბავშვები სკოლიდან ბრუნდებიან.

ალექსანდრა კოულს თავისი მანქანისკენ ექაჩებოდა, ის კი ეჭვიანად იყურებოდა და წინააღმდეგობას უწევდა. უნდოდა ეჩვენებინა, რომ გასეირნება არ ეყო.

— აჯობებს, ჩემს ჯაბახანაში შემოხტეთ, — დაიძახა კაცმა, — ახლა მოქცევა დაიწყება. აქ ხომ არ აპირებთ დარჩენას?

„მინდა კი ეს?“ — ჰკითხა ქალმა საკუთარ თავს, მაგრამ უკვე ავტომატივით ემორჩილებოდა კაცს და საუკეთესო მეგობარსაც ღალატობდა — კოული „სუბარუში“ რჩებოდა. მას კი ეგონა, პატრონი ჩემთან ერთად წამოვა და შინ მიმიყვანსო. ალექსანდრამ წინა ფანჯარა ერთი დუიმით დაუშვა, რათა მანქანაში ჰაერი შესულიყო, და კარი ჩაკეტა. ძაღლს გაოცებისგან შავი ბალანი აებურძგლა, ჩამოშვებული მძიმე და ხუჭუჭი ყურები დაცქვიტა. ქალი ხშირად უსინჯავდა ხოლმე მას ამ ვარდისფერ ხავერდოვან ფარდებს, როდესაც ბუხართან იჯდა და ტკიპებს ეძებდა. ალექსანდრა შეტრიალდა.

— მხოლოდ ერთი წუთით, — გაურკვევლად უთხრა მან ვან ჰორნს, უხერხულობისგან სახე წამოენთო და წამში დაკარგა წლების განმავლობაში შეძენილი გულდაჯერებულობა და თავდაჭერილობა.

კოლი, რომელიც სიუკს თავის სტატიაში არ მოუხსენებია, კოხტად გადაძვრა უკანა საჯარძელზე, როდესაც ქალმა „მერსედესის“ კარი გამოაღო. მანქანას შიგნიდან წითელი ტყავი ეკრა, წინა საჯარძელზეც ცხვრის ტყავი დაეგოთ. კარი ჩინებული ხმით მიიხურა.

— მიესალმე, ნიდლნოუზ[1], — თქვა ვან ჰორნმა და დიდი თავი მოაბრუნა — ისე ჩანდა, თითქოს ვეებერთელა ჩაფხუტი ეხურა. ძაღლს მართლაც ძალზე წვეტიანი ცხვირი ჰქონდა, მან დრუნჩი ალექსანდრას მიერ გაწვდილ ხელისგულში ჩარგო, რომელსაც იგი ყინულის ლოლუასავით ბასრი, სველი და საზიზღარი ეჩვენა და ხელი სასწრაფოდ უკან წაიღო.

— მოქცევამდე ჯერ რამდენიმე საათია დარჩენილი, — თქვა მან და შეეცადა, ჩვეულ ქალურ რეგისტრს დაჰბრუნებოდა. დამბა მშრალი და ბორცვიანი იყო. ადამიანის ხელი მას ჯერ არ შეხებოდა.

---

[1] *წვეტიანი ცხვირი (ინგლ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ამ გაიძვერასთან ყურადღებით იყავით, — ურჩია ქალს, — დალახვროს ეშმაკმა, თავს როგორ გრძნობთ? დათრგუნვილი სახე გაქვთ.

— მე? საიდან მოიტანეთ?

— ვხედავ. ზოგიერთს შემოდგომა უმძიმებს გულს, ზოგსაც გაზაფხულის გადატანა უჭირს. ყველაფერი იზრდება, ისმის, როგორ მძიმედ სუნთქავს ბუნება, ეს ბებერი ძუკნა. მას უქმად ყოფნა უნდა, ეზარება ერთი და იმავეს კეთება, მაგრამ სხვა გზა არა აქვს. ეს დაწყევლილი, აუტანელი წამებაა. აქეთ კვირტები და ყლორტები, ხეებს ტანში წვენი უდუღთ, მცენარეები და მწერები ჩნდებიან, რათა კვლავაც იბრძოლონ მზის ქვეშ ადგილის დასამკვიდრებლად, თესლის მარცვლები ცდილობენ გაიხსენონ, როგორ მოქმედებს ეს რაღაც ჯანდაბა დნმ, და მთელი ეს ბრძოლა მხოლოდ იმიტომ, რომ საბოლოოდ ერთი მწიკვი აზოტის სასუქი მივიღოთ. ღმერთო ჩემო, რა სისასტიკეა. შესაძლოა, ძალზე მგრძნობიარე ვარ. სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ თქვენ ყოველივე ეს გატკბობთ. ქალები ამგვარ რაღაცებს ნაკლებად განიცდიან.

ალექსანდრამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. მანქანა ჯაყჯაყით მიდიოდა, გზა ვიწროვდებოდა და უკან დარჩენილი სივრცე თანდათან ფართოვდებოდა. კუნძულზე შემოსასვლელის შორეულ ბოლოში აგურის სვეტები იდგა. აქ ჯერაც შემორჩენილიყო კარი, დიდი ხნის განმავლობაში მისი ფართოდ გაღებული თუჯის საგდულები და ჟანგიანი ფოლადის ხვიები ველური ვაზისა და სუროსთვის საყრდენად ქცეულიყო. მათ შორის ახალგაზრდა ხეები და ჭაობის ნეკერჩხლები წამოზრდილიყო, რომელთა ნამცეცა ფოთლებს უკვე მიეღოთ უნაზესი ალისფერი, ვარდისთვის დამახასიათებელი შეფერილობა. ერთ-ერთ სვეტს თავზე ხილით სავსე ნაძერწი ლარნაკი აკლდა.

— ქალებს ხშირად უწევთ ტკივილის ატანა, — განაგრძობდა ვან ჰორნი, — მე კი ტკივილს საერთოდ ვერ ვიტან. ბუზის მოკვლაც არ შემიძლია. იმ საცოდავს ხომ ისედაც ორი დღის სიცოცხლე უწერია.

ალექსანდრას შეაჟრჟოლა, გაახსენდა, როგორ ასხდებიან ხოლმე სახლში ბუზები ტუჩებზე ძილის დროს და, უთოს გაცვეთილი სადენის მსგავსად, ბუსუსებიანი ფეხების ელექტრული შეხებით უღიტინებენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე მაისი მომწონს, — აღიარა მან ენის ბორძიკით, — თუმცა ყოველ ჯერზე იგი სულ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, იმათთვის მაინც, ვინც ბაღ-ბოსტანს უვლის.

ალექსანდრამ შვებით ამოისუნთქა, როდესაც სახლის გვერდით ჯო მარინოს მწვანე სატვირთო მანქანა ვერ აღმოაჩინა. ისე ჩანდა, რომ კორტის მოსაწყობად ყველაზე მძიმე სამუშაო უკვე დაესრულებინათ: სიუკის მიერ აღწერილი ექსკავატორების ნაცვლად, აქ ახლა პერანგგახდილი ახალგაზრდა მუშები შრომობდნენ, რომლებიც მელოდიური კაკუნით აკრავდნენ მწვანე პლასტიკური ღობის განიერ ფარებს ვერტიკალურ ლითონის სვეტებზე და მთელ ტერიტორიას რაგვავდნენ, — მან ეს მოსახვევიდან დაინახა — იმ ადგილებამდე, სადაც თოვლის ყანჩები გამხმარ თელებზე ბუდობდნენ. მთელი მამული უზარმაზარ ორფეროვან, მიწისა და ბალახისგან შემდგარ რუკას დამსგავსებოდა. იქაურობა მკვეთრად გავლებული თეთრი ხაზებით მოენიშნათ, რაც ზედმიწევნით ზუსტი დიაგრამის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვან ჰორნმა მანქანა გააჩერა, რათა ალექსანდრა მზერით დამტკბარიყო.

— მე კატალოგებს გადავხედე. კორტის გაკეთება სხვადასხვა სახის თიხით შეიძლება, მაგრამ ეს მშვიდად ყოფნის საფუძველს სულაც არ იძლევა. მისი მოვლა კიდევ ერთი თავის ტკივილია. თუკი კორტი „ესფლექსით“ დაიფარება, დროდადრო მხოლოდ ფოთლების გადახვეტა დაგვჭირდება, თამაში კი დეკემბერშიც შეგვეძლება. რამდენიმე დღეში უკვე მზად იქნება და ვიფიქრე, თქვენთან და თქვენს ორ მეგობართან ერთად წყვილებში თამაში გვესინჯა.

— ღმერთო ჩემო, რა პატივია! სიმართლე გითხრათ, ფორმაში არ ვარ... — დაიწყო ქალმა, რომელიც ჩოგბურთს გულისხმობდა. ოდესღაც ის და ოზი ხშირად ეთამაშებოდნენ მეუღლეთა სხვა წყვილებს, მაგრამ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ იყო და მას შემდეგ წესიერად არასდროს უთამაშია, თუმცა ზაფხულში სიუკმა ერთი-ორჯერ კი აიყვანა პარტნიორად, რათა შაბათობით საუთვიკის დანგრეულ საზოგადოებრივ კორტებზე ეთამაშათ.

— მაშინ თავი მოიწესრიგეთ, — თქვა ვან ჰორნმა, რომელმაც არასწორად გაიგო მისი სიტყვები და აღტაცებული ნერწყვს აფრქვევდა, — დატრიალდით, ეს ჭინჭები გაიხადეთ. დალახვროს ეშმაკმა, ოცდათვრამეტი წელი ხომ ახალგაზრდობას ნიშნავს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„სცოდნია ჩემი ასაკი“, — უფრო შვებით, ვიდრე წყენით გაიფიქრა ალექსანდრამ. სასიამოვნოა, როდესაც შენით მამაკაცი ინტერესდება. მხოლოდ გაცნობაა უხერხული პროცესი. უხვი ჩაღლეკვა მრავალსიტყვაობისა და შეცბუნების თანხლებით. მერე კი სხეულები შიშვლდება და ჩნდება დაფარული ხალები და ნაოჭები, როგორც ის საშობაო საჩუქრები, რომლებიც არ მოგეწონა. მაგრამ სამაგიეროდ რამდენი სიყვარულია, როცა ფიქრობ არა პარტნიორზე, არამედ საკუთარ შიშველ სხეულზე, რომელიც მის თვალწინ უნდა წარდგეს; მოზღვავებულ აღგზნებაზე, ტანსაცმლის შემოძარცვაზე, როცა, ბოლოს და ბოლოს, იმად რჩები, რაც ხარ. ამ უცნაურ, მბრძანებლობის მოყვარულ მამაკაცს, იგი, ასე თუ ისე, იცნობდა. მისი საზიზღარი შესახედაობა კი ერთგვარად ეხმარებოდა კიდეც.

კაცმა მუხრუჭს ფეხი აუშვა, მანქანა მოტკრციალე ხრეშზე წაგორა და სადარბაზო შესასვლელთან გააჩერა. ორი საფეხურიც და ისინი სვეტებიან, მოკირწყლულ პორტიკზე აღმოჩნდნენ, რომელზეც მწვანე მარმარილოს მოზაიკით ასო L ეწერა. ახალშეღებილი შავი კარი ისეთი მასიური იყო, რომ ალექსანდრას შეეშინდა კიდეც, როდესაც მასპინძელმა გამოაღო — იფიქრა, ანჯამებიდან არ ჩამოვარდესო. სახლის ვესტიბიულში ცხვირში გოგირდის სუნი ეცა, თუმცა ვან ჰორნი ამას შეჩვეული იყო და ველარ გრძნობდა. კაცმა სტუმარი სახლში შეიყვანა, რომლის შესასვლელშიც სპილოს ღრუ ფეხი იდგა, შიგ კი გრეხილი და ბუნიკებიანი ხელჯოხები და ერთი ქოლგა იდო. ვან ჰორნს მოჯავჯული ტვიდის კოსტიუმის სამეული ეცვა, თითქოს საქმიან შეხვედრაზე იმყოფებოდა. იგი აღელვებული იქნევდა აქეთ-იქით გაშეშებულ ხელებს, რომლებიც ბერკეტებივით ეცემოდნენ სხეულის გასწვრივ.

— იქით, ორი როიალის უკან, ლაბორატორიაა. ადრე აქ საცეკვაო დარბაზი იყო, ახლა ჯერ არაფერია, გარდა მთელი ტონა მოწყობილობებისა, რომელთა ნახევარი ისევ შეფუთულია. სიის შედგენა ახალი დაწყებული იყო, როცა მასში დინამიტის ჩამატებამ მომიწია საფერვეიერკო პეტარდების სახით. აი აქ, მეორე მხარეს, კაბინეტი დავარქვათ, ჩემი წიგნების ნახევარი ჯერაც სარდაფშია ყუთებში ჩაწყობილი. ზოგიერთი ძველი წიგნის ამოღებას კონდიციონერის დაყენებამდე არ ვაპირებ. ეს ძველებური ყდები და ძაფებიც კი, რომლებითაც ისინია გაკერილი, ისე სწრაფად ნადგურდება, როგორც მუმია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თუ სარკოფაგს სახურავს ავხდით... სასიამოვნო ოთახია, არა? აქ კი ადრე ირმის რქები და თავები ეკიდა. თვითონ მონადირე არ გახლავართ — უგუნურებაა, როცა დილის ოთხ საათზე ადგები, ტყეში წახვალ და რომელიმე დიდთვალება შველს საფანტს დაახლი, რომელსაც შენთვის არაფერი დაუშავებია. ადამიანები უგუნურები და, მერწმუნეთ, მართლაც საშიშნი არიან.

ესეც სასადილო ოთახი. მაგიდა წითელი ხისგანაა დამზადებული, ექვსი გამოსაწევი დაფით, თუ ბანკეტის მოწყობას გადავწყვეტ. სადილობას ვიწრო წრეში ვამჯობინებ, ოთხი-ექვსი ადამიანის გარემოცვაში, რათა ყველას მიეცეს გაბრწყინებისა და თავის წარმოჩენის შესაძლებლობა. დაპატიჟებ მთელ ბრბოს და ყველას ჯოგური ინსტინქტი ეუფლება, რამდენიმე ყოჩია და ბევრი ცხვარი. ჯერაც არ გამიხსნია უჩვეულო, XVIII საუკუნის კანდელაბრი. ჩემი ნაცნობი ექსპერტი ამტკიცებს, რომ იგი რობერტ ჯოზეფ ავგუსტის[1] სახელოსნოდანაა, თუმცა ბეჭედი არ არტყია. ფრანგები ინგლისელებივით როდი ირეოდნენ ამ დამღებზე. არ დაიჯერებთ, მაგრამ ზედ ყოველი დეტალი მოჩანს — დაწყებული ვაზიდან და უცნაური ხვეულას ნამცეცი ღერით დამთავრებული, ერთი-ორი ხოჭოს გარჩევაც შეიძლება, მწერების მიერ მოჭმული ბალახისაც კი. და ეს ყველაფერი ნატურალური ზომის ორ მესამედს შეადგენს. არ მინდა აქ დავდგა, სანამ საიმედო სიგნალიზაციას არ დააყენებენ. მძარცველები, როგორც წესი, ისეთ სახლებში არ შედიან, სადაც მხოლოდ ერთი შესასვლელ-გასასვლელია, ამჯობინებენ სათადარიგო ვარიანტიც ჰქონდეთ. საქმე მხოლოდ ის არ არის, რომ სადაზღვევო პოლისი არ მაქვს. მძარცველები სულ უფრო გათავხედდნენ, ნარკოტიკები არამზადებს გაბედულებას მატებს, ნარკოტიკები და საყოველთაო უპატივცემულობა ყველაფრისადმი. ვიცი შემთხვევები, როდესაც პატრონი სახლიდან მხოლოდ ნახევარი საათით გასულა და უკან დაბრუნებულს, აღარაფერი დახვედრია. ისინი თქვენს განრიგს, ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებენ. ამ საზოგადოებაში მხოლოდ ერთ რამეში შეიძლება ვიყოთ დარწმუნებულნი — ჩვენ გვითვალთვალებენ.

---

[1] *ავგუსტი, რობერტ ჯოზეფ (1723-1805) — მოქანდაკე და სამეფო ოქრომჭედელი ლუი XV-ისა და ლუი XVI-ის კარზე საფრანგეთში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრას აღარ ახსოვდა, რა გამოძახილი პოვა მასში ამ გულახდილმა საუბრებმა. ალბათ, თავაზიანად კვერი დაუკრა. ქალს თავი მისგან ცოტათი შორს ეჭირა. ეშინოდა, რომ ამ ზორბა მამაკაცს აქეთ-იქით ტრიალისა და ჟესტიკულირების დროს მისთვის შემთხვევით ხელი არ გაეკრა. იგი არა მარტო მოტრაბახე, აღელვებულ შავგვრემან მამაკაცს ხედავდა, არამედ რაღაც გამკივან სიშიშვლესა და სიღარიბეს: ცარიელი კუთხეების უბადრუკობასა და გადახეხილ უხალიჩო იატაკს, უსწორმასწორო, დაბზარულ ჭერს, რომელიც ათუული წლებია არ გარემონტებულა. ოდესღაც თეთრად შეღებილი ხის ჩარჩოები გაყვითლებულიყო და დამსკდარიყო. ელეგანტურ, პანორამულ შპალერს კუთხეებსა და გადაკერების ადგილებში დაეღო პირი; ოდესღაც კედელზე ჩამოკიდებული სურათებისა და სარკეების ადგილას მართკუთხა და ოვალური ლაქები დარჩენილიყო. ოთახებში სიცარიელე სუფევდა. კაცის თქმით კი ბევრი ძვირფასი ნივთი ჯერაც შეფუთული იყო. ვან ჰორნს შემოქმედის ჯანმრთელი ინსტინქტი ჰქონდა, მაგრამ ჩანდა, რომ მის განკარგულებაში საჭირო მასალების ზუსტად ნახევარი იყო. ალექსანდრამ ეს გულის ამაჩუყებლად ჩათვალა და საკუთარ თავთან მსგავსება აღმოაჩინა: მისი მონუმენტური სტატუეტების დაჭერა ხელში თავისუფლად შეიძლებოდა.

— ახლა კი, — გამოაცხადა კაცმა ბოხი ხმით, თითქოს მის თავში წარმოქმნილი აზრების ჩახშობა სურდა, — აი, ოთახი, რომლის ჩვენებაც თქვენთვის მინდოდა.

La chambre de resistance[1]. ეს იყო გრძელი სასტუმრო ოთახი პომპეზური ბუხრით, რომელიც ტაძრის ფასადს წააგავდა, — მოჩუქურთმებული, ფოთლებით მორთული იონური სვეტები ბუხრის დაფას იჭერდა, რომლის ზემოთაც უზარმაზარ კონუსისმაგვარ სარკეში დიდებული ოთახის ბუნდოვანი ანარეკლი მოჩანდა. ქალმა სარკეს თვალი შეავლო, ბენდენა მოიხსნა და თმა უკან გადაიყარა. დღეს ნაწნავი არ გაეკეთებინა, მაგრამ მისი კვალი ჯერაც ეტყობოდა. ახალგაზრდული და მჟღერი ხმა ჰქონდა, თვითონაც უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ამ ძველებურ, ლმობიერ სარკეში, რომელიც ოდნავ დახრილად ეკიდა. მან სარკეში ჩაიხედა და

[1] *მთავარი ოთახი (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კმაყოფილი დარჩა — მეორე ნიკაპი არ ემჩნეოდა. თავის სახლში, სააბაზანოს სარკეში, იგი საშინლად გამოიყურებოდა — კუდიან დედაბერს ჰგავდა დახეთქილი ტუჩებითა და ცხვირზე ღარით, წითელი ძარღვებით ცხვირის ძგიდეზე. როდესაც მანქანას ატარებდა და უკანა ხედვის სარკეში იყურებოდა, ნაკლებ კმაყოფილებას განიცდიდა: მკვდრისფერ სახეს, ველურ თვალებსა და ცალ თვალზე ხოჭოს საცეცივით ჩამოშვებულ კულულს ხედავდა. ჯერ სულ პატარა გოგონა იყო ალექსანდრა, როდესაც ეგონა, რომ სარკის უკან ყველას ელოდებოდა სხვა ადამიანი, სრულიად სხვა არსება, რომელიც მზად იყო იქიდან გამოეჭყიტა. ბევრი რამ, რისიც ბავშვობაში გვეშინია, ზრდასრულ ასაკში გარკვეულწილად მართალი აღმოჩნდება ხოლმე.

ბუხრის გარშემო ვან ჰორნს თანამედროვე რბილი საკარძლები და მომრგვალებული დივანი დაედგა ოთხი საკმაოდ გაქუცული ბალიშით, რომლებიც აშკარად ნიუ-იორკის ბინიდან იყო ჩამოტანილი. ოთახში ხელოვნების მრავალ ნიმუშს მოეყარა თავი, მათი ნაწილი იატაკზე ეწყო: უზარმაზარი, ველურ ფერებად შეღებილი, ვინილის გასაბერი ჰამბურგერი; ნამდვილ საუთოებელ ფიცართან მდგარი თაბაშირის თეთრი ქალი ტაქსიდერმისტის[1] მიერ დამზადებული ნამდვილი კატის ფიტულით, რომელიც მას ფეხებზე ეხახუნებოდა; ბრილოს მუყაოს ვერტიკალური შტაბელები ახლოდან თხელი, დაბეჭდილი ფურცლები კი არ აღმოჩნდა, არამედ საგულდაგულოდ მოხატული აბრეშუმი, რომელიც რაღაც მკვრივი და მძიმე მასალისგან გაკეთებულ ვეებერთელა კუბებზე იყო გადაკრული; ნეონის ნათურების ცისარტყელა, ჯერ არმიერთებული და მტვრიანი.

მასპინძელმა ერთ-ერთ, განსაკუთრებით შეუხედავ ქმნილებას ხელი მოუთათუნა: ზურგზე დაწოლილ შიშველ ქალს ფეხები გაეჩაჩხა. იგი დაემზადებინათ წვრილი მავთულის, ლუდის გაჭყლეტილი ცარიელი ქილების, ძველი, ქაშანურის საყვავილე ქოთნისგან (რომელიც მუცლის მაგივრობას უწევდა) და ავტომობილის ქრომირებული ბამპერის ნაჭრებისგან. ქვედა საცვალი ლაქითა და წებოთი გაეჟღინთათ. სახე, რომელიც ცას თუ ჭერს მისჩერებოდა, თაბაშირის დედოფალას სახე — ამდაგვარი ალექსანდრასაც ჰქონდა

[1] *ტაქსიდერმისტი — ის, ვინც ცხოველის ტყავისგან მის ფიტულს ამზადებს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბავშვობაში, ფაიფურის ცისფერი თვალებითა და ქერუბიმის ვარდისფერი ლოყებით, — გამოეჭრათ და ხის ნაჭერზე მიემაგრებინათ, რომელზეც თმა იყო გამოსახული.

— გენიალური ნივთი შევიძინე, — თქვა ვან ჰორნმა და პირის კუთხეები მწიკვად დაწყობილი თითებით მოიწმინდა, — კინჰოლცია[1]. მარისოლს ჰგავს, მაგრამ უფრო მაგარი იქნება! არავითარი ერთფეროვნება და წინასწარ განსაზღვრა. აი, თქვენც ასე უნდა იმუშაოთ. სიკაშკაშე, vielfältigkeit[2], ორაზროვნება. არ გეწყინოთ, ლექსა, მაგრამ თქვენი საყვარელი ქალებით არაფერს არ წარმოადგენთ.

— ისინი საყვარელი ქალები კი არა, ქალების პაროდიაა, — დუნედ უპასუხა ალექსანდრამ. უხერხულად გრძნობდა თავს ამგვარი აგდებული დამოკიდებულებით, თითქოს რაღაც უსხლტებოდა, თითქოს სამყარო მასში გადიოდა თუ თვითონ ამოძრავებდა მას. ასე მაშინ ხდება, როდესაც მატარებელი ნელა გადის სადგურიდან, ჩვენ კი გვეჩვენება, რომ პლატფორმა უკან მიცურავს, — ჩემი ბალღები ხუმრობის საგანი არაა, მე მათ სიყვარულით ვქმნი, — იმავდროულად ხელი მოუსვა „ხელოვნების ნაწარმოებს“ და გლუვი, მაგრამ მტკიცე, ცოცხალი ქსოვილი იგრძნო.

ამ წაგრძელებული დარბაზის კედლებზე ოდესღაც, შესაძლოა, თავად ლენოქსების, ნიუპორტიდან XVIII საუკუნეში ჩამოტანილი პორტრეტები იყო განთავსებული. ახლა კი უგემოვნო პაროდიები ეკიდა, იდგა თუ ქანაობდა — ჩვეულებრივი, საშუალო ნიჭის მქონე ადამიანების ქმნილებები: უზარმაზარი ტელეფონ-ავტომატები რბილ ტილოზე, ფუნჯის მსხვილი, უხეში მოსმით დახატული ამერიკის დროშები, აუღელვებელი სიზუსტით გამოსახული ვეებერთელა დოლარის კუპიურები, თაბაშირის სათვალე გაღებულ პირზე და არა თვალებზე, უმოწყალოდ გადიდებული იუმორისტული გვერდები გაზეთებიდან და სარეკლამო ემბლემები, კინოვარსკვლავთა პორტრეტები და ბოთლების თავსახურები, ტკბილეულობა, გაზეთები და საგზაო ნიშნები. ყველაფერი, რისი გასინჯვაც და შეხედვისთანავე გადაგდება გვინდა ხოლმე მათი უსარგებლობის გამო, აქ იყო თა-

---

[1] *კინჰოლცი, ედვარდ (1927-1994) — ამერიკელი მხატვარი და მოქანდაკე, მუშაობდა ინსტალაციის ჟანრში.*

[2] *მრავალფეროვნება (გერმ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვმოყრილი, გაზვიადებული და მყვირალა: უკვდავყოფილი ნაგავსაყრელი. ვან ჰორნს უხაროდა, ქოშინებდა, შიგადაშიგ პირს იწმენდდა, როცა ქალს დარბაზში მიუძღოდა რომელიმე კედლის გასწვრივ კოლექციის დასათვალიერებლად, შემდეგ კი უკან მეორე კედლის გავლით ბრუნდებოდა: სიმართლე ითქვას, ალექსანდრა ხედავდა, რომ კაცის მიერ შეძენილი ფსევდოხელოვნების ნიმუშები კარგი ხარისხის იყო. მას ფული ჰქონდა და ქალი სჭირდებოდა, რომელიც დახარჯვაში დაეხმარებოდა. მუქი ჟილეტიდან ოქროს საათის ძეწკვი მოუჩანდა — ძველებურს მიმსგავსებული რიოში.[1] კაცი მდიდარი იყო, მაგრამ არ იცოდა, თავისი სიმდიდრე როგორ განეკარგა.

მალე რომიანი ჩაიც მოიტანეს, მაგრამ ცერემონია იმაზე მშვიდი აღმოჩნდა, ვიდრე სიუკის აღწერის მიხედვით წარმოედგინა. უეცრად ფიდელი გაჩნდა იდეალური მსახურის სიტყვაძვირობით. ღაწვს ძლივს შესამჩნევი ნაიარევი უმშვენებდა, როგორც აპლიკაცია ყავისფერ კანზე, როგორც წინასწარ მოფიქრებული მორთულობა სახის პატარა, მკვეთრი ნაკვთებისთვის. ბამბურა კატა, სახელად თამკინი, დეფორმირებული თათებით, როგორც ეს „ვორდში“ იყო აღწერილი, ალექსანდრას მუხლებზე სწორედ მაშინ შეახტა, როცა მას ფინჯანი პირთან ჰქონდა მიტანილი. გადარჩა, რომ ჩაი არ გადაესხა. ზღვის ჰორიზონტიც უცვლელი დარჩა ვიწრო ფანჯრებს შორის იმ ადგილიდან, სადაც იგი იჯდა: მთელი სამყარო ნაწილობრივ თხევად ჰორიზონტზე ნაზად მოქანავე გემბანად ქცეულიყო. ქალმა ზღვის ცივ, მკვრივ ფენებზე გაიფიქრა, სადაც წყლის სიმძიმის ქვეშ მხოლოდ გიგანტური ბრმა ლოქორები მოძრაობენ. შემდეგ ტყისპირა ტბორის თავზე დაკიდებული შემოდგომის ნისლი გაახსენდა, გაიშვიათებული ჰაერისგან შემდგარი ცის კამარაც წარმოიდგინა, რომელშიც ჩვენი ასტრონავტები რენტგენის სხივებივით გადიოდნენ და ცდილობდნენ არ დაეზიანებინათ, რათა ცის სილაჟვარდე არ გადინებულიყო. ქალი აქ თავს მოულოდნელად მშვიდად გრძნობდა. ამ არსებითად ცარიელ ოთახებში, თუ აშკარად ცინიკური ხასიათის ხელოვნების ნაწარმოებებს არ ჩავთვლით, ყველაფერი უცოლშვილო კაცის ჩვეულებებზე მიუთითებდა. ახლა ალექსანდრას მასპინძელი უწინდელზე უფრო სასიამოვნო ადამია-

[1] *რიოში — ყალბი, არანამდვილი, შერყვნილი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნად ეჩვენებოდა. როდესაც მამაკაცს ქალთან დაწოლა სურს, იგი აზარტულია და აგრესიული, თითქოს გამოცდას უწყობს, წარმატების შემთხვევაში ვნების სიუხვეს ჰპირდება. დღეს კი კაცის მანერებში ამგვარი არაფერი შეიმჩნეოდა. ხასხასა ყავისფერ, ხავერდგადაკრულ სავარძელში მჯდარი, იგი დაღლილი და გაბრაზებული ჩანდა. ქალმა ივარაუდა, რომ საქმიანი შეხვედრა, რის გამოც კაცს გამოსასვლელი კოსტიუმი ეცვა, წარუმატებელი გამოდგა, შესაძლოა, ბანკში სესხის მიცემაზე უარი უთხრესო. იგი დაუფარავად იმატებდა და იმატებდა ჩაიში რომს „მაუნთის გეის“ ბოთლიდან, რომელიც მსახურთუფროსმა დედოფალ ანას სტილის პატარა მაგიდაზე დაუდგა.

— ვინ ჩაგაგონათ ამხელა, საოცარი კოლექციის შეძენა? — ჰკითხა მას ალექსანდრამ.

— ჩემმა კონსულტანტმა ინვესტირების საკითხში, — პასუხმა ქალს იმედი გაუცრუა, — ფინანსური თვალსაზრისით, ეს ყველაზე გონივრულია — თუ ნავთობის შადრევნებს არ ჩავთვლით, — იყიდო მხატვრისგან სახელი მანამ, სანამ იგი სახელს გაითქვამს. გაიხსენეთ ორი რუსი, რომლებმაც ომის წინ პარიზში გროშებად შეიძინეს პიკასოსა და მატისის ნახატები. ახლა ისინი ლენინგრადშია და მათ ვერავინ ხედავს. გაიხსენეთ ილბლიანი ბრიყვები, რომლებმაც პოლოკის[1] ადრეული ნამუშევრები ავტორს შოტლანდიურ ვისკიში გაუცვალეს. ათიანში რომც ვერასდროს მოარტყა და ააცდინო, საშუალოდ მაინც უფრო მოგებული დარჩები, ვიდრე საფონდო ბირჟაზე. თუ ჯასპერ ჯონსს[2] ცოტა მეტ სასმელს შევთავაზებთ, რაიმეს აუცილებლად დაგვიჯღაბნის. თუმცა დალევაზე არც მე ვამბობ ხოლმე უარს.

— ეს ჩანს კიდეც, — ჩაილაპარაკა ალექსანდრამ, რომელსაც მისი დახმარება მოუნდა. როგორ მოახერხა ასეთი ტლანქი, უზნეო და უხეში მამაკაცის შეყვარება? იგი სახლს ჰგავდა, რომელშიც ძალზე ბევრი ოთახი იყო, ოთახებში კი ძალზე ბევრი კარი.

აი, იგი სავარძელში წინ გადაიხარა და ჩაი დაღვარა. იგი ამას

---

[1] *პოლოკი, პოლ ჯექსონ (1912-1956) — ამერიკელი მხატვარი, აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის იდეოლოგი და ლიდერი. მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა XX საუკუნის მეორე ნახევრის ხელოვნებაზე.*

[2] *ჯონსი, ჯასპერ (დაიბ. 1930) — თანამედროვე ამერიკელი მხატვარი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ისე ხშირად აკეთებდა, რომ მაშინალურად გასწია ფეხები და ყავისფერი სითხე ნოხზე დაიქცა.

— რა დიდსულოვნებაა, — თქვა მან, — აღმოსავლეთში შენს შეცდომებს არავინ იმჩნევს, — წვეტიანი შავი ფეხსაცმლის ლანჩით (მასიურ სხეულთან შედარებით, წარმოუდგენლად პატარა ტერფები ჰქონდა) ჩაის ლაქა გადაწმინდა, — ვერ ვიტანდი იმ აბსტრაქტულ სისულელეს, — განაგრძო მან, — რომელსაც ორმოცდაათიან წლებში გვტენიდნენ. ღმერთო ჩემო, ამ ყველაფერმა ეიზენჰაუერი[1] მომაგონა, ნამდვილი მოწყენილობა. მინდა, რომ ხელოვნებამ რაღაც სხვა დამანახვოს, მომიყვეს სად ვარ, თუნდაც ეს ჯოჯოხეთი იყოს, ასე არაა?

— ვფიქრობ, ასეა. მაგრამ სინამდვილეში დილეტანტი ვარ, — მიუგო ალექსანდრამ და ერთგვარი უხერხულობა იგრძნო, როდესაც მისი აღგზნება შეამჩნია. ნეტავ როგორი საცვალი აცვია? ან ბოლოს როდის იბანავა?

— ჰოდა, როდესაც ეს პოპარტი გაჩნდა, ვიფიქრე, ღმერთო, ეს ხომ სწორედ საჩემო საქმე არის-მეთქი. ჯოჯოხეთურად მხიარული ხელოვნება, სულ ქვემოთ და ქვემოთ, ღიმილით. გვიანდელ რომაელებს მაგონებს. Petroniusi[2] თუ წაგიკითხავთ? სასაცილოა. სასაცილოა, ღმერთმანი, ამ თხას, რეზინის სალტეში ჩასმულ რაუშენბერგს რომ უყუროთ, სიცილით მოკვდებით. დიდი ხნის წინათ ორმოცდამეათე ქუჩაზე მდებარე გალერეაში ვიყავი — აი, სად გამიხარდებოდა თქვენი დანახვა, თუმცა ეს, მგონი, უკვე გითხარით და თავი მოგაბეზრეთ. იქ ერთმა დილერმა, რომელიც ამ ყველაფერში შესანიშნავად ერკვევა, ჰომიკმა, სახელად მიშამ — ჩვეულებრივ, მას მიშა დოყლაპიას ეძახიან, — ბრინჯაოსგან დამზადებული „ბელანტაინის“ ფირმის ორი ლუდის ქილა მაჩვენა, ისე საოცრად შეღებილი, რომ ჯონსის ნამუშევარს ჰგავდა, ოღონდ უმნიშვნელო ცვლილებებით: ერთი — სამკუთხედით მაღლა და გახსნილი, მეორე კი — გაუხსნელი. „აიღე ერთ-ერთი“, — მეუბნება მიშა, — „რომელი?“ — ვეკითხები მე, — „ნებისმიერი“. ვიღებ გაუხსნელს. მძიმეა.

---

[1] *ეიზენჰაუერი, დუაიტ დევიდ (1890-1969) — აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი 1953-1961 წლებში.*

[2] *პეტრონიუს-არბიტრი (ახ. წ. 14-66 წწ.) — ძველრომაული რომანის, „სატირიკონის“ ავტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

„მეორე აიღე“, — მეუბნება იგი, — „ეს?“ — ვეკითხები ისევ, — „ჰო, მიდი“. ვიღებ. უფრო მსუბუქი მეჩვენება. ლუდი დაულევიათ!!! პირობითად, ხელოვნების ენაზე. კინაღამ შარვალში გამეპარა, ეს ისეთი გადატრიალება იყო, თითქოს შუქი აანთეს და უეცრად დავინახე.

კაცი ხვდებოდა, რომ ალექსანდრა მაგარ-მაგარი გამოთქმების წინააღმდეგი არ იყო. მოსწონდა კიდეც. მათში რაღაც სინორჩე იგრძნობოდა, როგორც კოულის ტყავის მძორის სუნში. ქალმა გაიფიქრა, რომ წასვლის დრო იყო, რათა მანქანაში ჩაკეტილ ძაღლს გული არ გასკდომოდა.

— მე მიშას იმ ლუდის ქილების ფასი ვკითხე და როცა მიპასუხა, ვუთხარი, — ასე არ გამოვა-მეთქი. ხომ არსებობს რაღაც ზღვარი. რა შეიძლება ღირდეს ორი ქეციანი ლუდის ქილა? ხუმრობა იქით იყოს, ალექსანდრა, და ნეტავ მეყიდა მაშინ! ახლა ისინი ხუთჯერ უფრო ძვირი, მათ წონა სუფთა ოქროზე ძვირი ღირს, თუმცა მას მერე არც ისე დიდი ხანია გასული. გულწრფელად მჯერა, რომ, როდესაც მომავლიდან ჩვენს დროს თვალს გადაავლებენ, როდესაც ჩემი და თქვენი ჩონჩხი იმ იდიოტურ ყუთებში იქნება მოთავსებული, რომლის ყიდვასაც გვაიძულებენ, ჩვენი თმა, ძვლები და ფრჩხილები სულელურ აბრეშუმსა და ბალიშებზე აღმოჩნდება, რომელთა სანაცვლოდაც დამკრძალავი ბიუროების ჯიბეგასქელებული მეპატრონეები კუდის რიკამდე გვატყავებენ. ღმერთო ჩემო, როცა მოკვდები, ასემც უქნიათ და ჩემი გვამი ნაგავსაყრელზე გადაუგდიათ, წინააღმდეგი არ ვიქნები. იმის თქმა მინდოდა, რომ, როცა აღარ ვიქნებით, ეს თუნუქის ნაჭრები, ეს ლუდის ქილები, რომლებზეც ვსაუბრობ, ახალი დროების „მონა ლიზად“ იქცევა. ჩვენ კინჰოლცი ვახსენეთ. იცით, მან რა ქნა? თავისი „დოჯი“ შუაზე გადახერხა, შიგ კი წყვილი სექსითაა დაკავებული. მანქანა ხელოვნურ კორდზე დააყენა, ცოტა მოშორებით კი, „ასტროტურფისა“[1] თუ რომელიღაც სხვა ხელოვნურსაფრიან, ჭადრაკის დაფის სიდიდის ნაკვეთზე ერთადერთი ლუდის ბოთლი დადგა! იმის საჩვენებლად, რომ წყვილმა იგი გამოცალა და გამოფინა, რათა თავისთვის ადგილი გამოეთავისუფლებინა და ეჟიმავა. გენიალურია. სივრცის ნამცეცა, გამოცალკავებული

[1] *ასტროტურფი — „ხელოვნური ბალახი“, სინთეტური საფარი, გამოიყენება სპორტის სხვადასხვა სახეობაში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფართობი. სხვა მის ადგილზე ლუდის ბოთლს უბრალოდ დასაჯდომებს შორის, ნოხზე დადგამდა. მაგრამ სულ სხვაა ცალკე მოთავსება — ეს მას ხელოვნებად აქცევს. შესაძლოა, სწორედ ეს არის კიდეც ჩვენი „მონა ლიზა“ — კინჰოლცის ცარიელი ბოთლი. ლოს-ანჯელესში გამგზავრებამდე ამ გადარეულ გახერხილ „დოჯის“ შევუარე და მის დანახვაზე თვალზე ცრემლი მომადგა. არ გატყუებთ, სენდი. ნამდვილი ცრემლი, — და მან სახისკენ არაბუნებრივად თეთრი, ცვილისებური ხელები წაიღო თითქოსდა სველი, გაწითლებული თვალების მოსაწმენდად.

— თქვენ ბევრს მოგზაურობთ, — თქვა ქალმა.

— უფრო ნაკლებს, ვიდრე უწინ. მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. რამდენიც უნდა იმოგზაურო, საგზაო ჩანთის ამოლაგება თავად გიწევს. იმავე ჩანთის. თვითონაც იგივე ხარ, როგორც ყოველთვის. თქვენ, ქალები, სწორად იქცევით. მოძებნით მყუდრო ადგილს და იქ მოეწყობით ხოლმე. შემდეგ შეიძენთ ათასგვარ ხარახურას, ტელევიზორს, ნაცნობების წრეს და ასე შემდეგ, — იგი ღრმად მოკალათდა ყავისფერ სავარძელში და, როგორც იქნა, დადუმდა. ოთახში ნიდლნოუზმა შემოირბინა, პატრონის ფეხებთან მოიკუნტა და გრძელი დრუნჩი კუდქვეშ დამალა.

— გამგზავრებაზე გამახსენდა, — თქვა ალექსანდრამ, — ჩემი წასვლის დროა. საცოდავი ძაღლი მანქანაში ჩავკეტე, ბავშვებიც უკვე შინ იქნებიან, — ქალმა ჩაის ფინჯანი, რომელზეც, უცნაურია, მაგრამ ვან ჰორნის ინიციალების მაგივრად მონოგრამა „N“ ეწერა, მის ვან დერ როეს[1] ნახელავ, დაჩხაპნილ შუშის მაგიდაზე დადგა და წამოდგა. მას ალჟირული ფარჩის ჟაკეტი, ვერცხლისფერ-მონაცრისფრო ყელიანი ჯემპერი და ბალახისფერი განიერი შარვალი ეცვა. როცა წამოდგა, შვება იგრძნო და გაახსენდა, რომ შარვალი წელში უჭერდა. დიდი ხნის წინათ ალექსანდრამ თავს სიტყვა მისცა, გავხდებიო, თუმცა ზამთარი ამისთვის საუკეთესო დრო ნამდვილად არ იყო. ცოტ-ცოტა უნდა ეჭამა, რათა გამთბარიყო, სიბნელისთვისაც უნდა გაეძლო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამ მძლავრი მამაკაცის თვალში, რომელიც მოწონებით შეავლებდა ხოლმე თვალს მის

[1] *ლუდვიგ მის ვან დერ როე (როჰი) (1886-1969) — გერმანელი არქიტექტორი-მოდერნისტი, XX საუკუნის ქალაქური არქიტექტურის იერის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მაღალ მკერდს, თავისი ფიგურით უკმაყოფილების ნასახიც ვერ შეამჩნია. ყველაზე ინტიმურ მომენტებში ჯო მას თავის ძროხას, ტონანახევრიან ქალს ეძახდა. ოზი ზოგჯერ ამბობდა, რომ ღამით იგი ორი საბნის მაგივრობას სწევდა, სიუკი და ჯეინი დიდებულ ქალს უწოდებდნენ. ალექსანდრამ თეძოებზე მჭიდროდ მომდგარი შარვლიდან თამკინის მიერ დატოვებული რამდენიმე ღერი თეთრი ბეწვი მოიცილა და ხელი ბენდენას სტაცა, რომელმაც ალისფრად გაიელვა მრგვალი დივნის საიდაყვედან.

— მაგრამ თქვენ ჯერ ლაბორატორია არ გინახავთ, — გააპროტესტა ვან ჰორნმა, — არც ჩემი აუზი თავისი გათბობით. იგი, როგორც იქნა, ძირითადად დავასრულეთ, მხოლოდ რამდენიმე აქსესუარი აკლია. მაღლაც არ ყოფილხართ, რაუშენბერგის ყველა დიდი ლითოგრაფია იქ მოვათავსე.

— სხვა დროს იყოს, — თქვა ალექსანდრამ. თავის მომხიბლველობაში დარწმუნებული, უკვე მშვიდად იყო, ხმაც ჩვეულებრივ კონტრალტოს დაჰბრუნებოდა.

— საძინებელ ოთახს მაინც შეავლეთ თვალი, — არ ეშვებოდა ვან ჰორნი. მერე წამოხტა და ფეხი ისე მაგრად მიარტყა შუშის მაგიდის კუთხეს, რომ სახე ტკივილისგან დაეღრიცა, — იქ ყველაფერი შავია, ზეწრებიც კი, — ჰყვებოდა იგი, — საოცრად ძნელია კარგი შავი ზეწრის ყიდვა: რასაც ისინი შავს ეძახიან, სინამდვილეში მუქი ლურჯია. ჰოლისთვის ახლახან რამდენიმე ახალი, ზეთით შესრულებული ნახატი შევიძინე, რომელთა ავტორიც ახალი თაობის მხატვარი ჯონ უესლია[1]. მას არაფერი აქვს საერთო მხოლოდ ერთი მიმართულების გადარეულ მიმდევრებთან. ისინი ცხოველთა შესახებ საბავშვო წიგნების ილუსტრაციებს ჰგვანან, სანამ არ გაარკვევ, რა არის გამოსახული. შეწყვილებული ციყვები და სხვა ამგვარი.

— სასაცილოა, — თქვა ალექსანდრამ და გამოცდილი ჰოკეისტის ნაბიჯებით სწრაფად გაემართა გასასვლელისკენ განიერი თაღის გავლით, გზად მკვეთრად გასწია საკარძელი, რის გამოც ვან ჰორნი წამით ჩამორჩა და იძულებული შეიქნა, ხმაურით დასდევნებოდა ქალს, რომელმაც დატოვა საშინელი კოლექციით სავსე დარბაზი

---

[1] *უესლი, ჯონ (დაიბ. 1928) — ამერიკელი მხატვარი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ბიბლიოთეკა, მუსიკალური სასტუმრო ოთახი და ჰოლი გაიარა, სადაც სპილოს ფეხი იდგა და ლაყე კვერცხის სუნი იგრძნობოდა, თუმცა სუფთა ჰაერი საკმარისად შემოდიოდა. შავი შემოსასვლელი კარი შიგნიდან შეულებავი იყო, კალასის[1] ფერისა.

უეცრად საიდანღაც ფიდელი გაჩნდა, კართან დადგა და სპილენძის დიდ ურდულს ხელი დაადო. იგი ალექსანდრას მიღმა პატრონს შესცქეროდა. როგორც ჩანს, ქალის ხაფანგში გაბმას აპირებდნენ. ალექსანდრამ გადაწყვიტა, რომ ხუთამდე დაეთვალა და ყვირილი დაეწყო, მაგრამ, ეტყობა, ვან ჰორნმა მსახურს რაღაც ანიშნა და „სამზე" რაზა გაიხსნა.

უკნიდან ვან ჰორნის ხმა გაისმა:

— გზამდე მიყვანას შემოგთავაზებდით, მაგრამ წყალი ძალიან სწრაფად მატულობს, — სუნთქვა ეკვროდა. ალბათ, ბევრს ეწეოდა ან ძალიან დიდხანს ისუნთქა მანჰეტენში გამონაბოლქვი აირები, რამაც ფილტვების ეკფემიზმა განუვითარა. მზრუნველი ცოლი მართლაც არ აწყენდა.

— თქვენ შემპირდით, მოასწრებო.

— დალახვროს ეშმაკმა, საიდან უნდა მცოდნოდა? მე ხომ ახალი ჩამოსული ვარ. აჯობებს, სახლში შევიდეთ და შინაურულ გარემოში დავსხდეთ.

გზა გარს უვლიდა უხვბალახიან მდელოს, რომელიც კირქვის ქანდაკებებით იყო მოჩარჩოებული — დროს და ვანდალებს შეუბრალებლად გაენადგურებინათ მათი ცხვირი და ხელები — და იმ ადგილისკენ მიდიოდა, სადაც დამბა კუნძულის კიდეს ებჯინებოდა. ვაზმოხვეული კარის მიღმა სარეველებით, ზღვის ოქროწკეპლებითა და პლაჟის ღორის ბირკებით მოფენილი უსუფთაო ნაპირი მოჩანდა ხრეშითა და ძველი ასფალტის ნატეხებით. დატბორილი ჭაობის მხრიდან მომქროლავი გამყინავი ქარი ბალახს მძლავრად აცახცახებდა. ცა ბეკონივით ფენოვან, ლეგა ღრუბლებს დაეფარა. მკვეთრად მხოლოდ დიდი ყანჩა მოჩანდა, ოღონდ თეთრი კი არა, ჩვეულებრივი ნაცრისფერი, რომელიც დინჯად მიაბიჯებდა პლა-

---

[1] *კალასი — მუხის ხის უნიკალური, ძალიან მუქი ფერის მასალა, რომლის შექმნასაც ბუნებამ ათასობით წელი მოანდომა. მოიპოვება მდინარეებისა და ჭაობების ფსკერზე. იმ ადგილებში, სადაც წარსულში არსებული მუხის ხეები მდინარის კალაპოტის შეცვლის შედეგად წყალქვეშ მოექცა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჟის გზისკენ. მისი ყვითელი ნისკარტი ფერით ძალზე წაგავდა შორიახლოს მიტოვებულ „სუბარუს“. აქა-იქ მკრთალად მბრწყინავი წყალი ტლაშუნით გადადიოდა დამბის თავზე. ალექსანდრას ყელში ბურთი მოაწვა:

— ეს როგორ! ჯერ ხომ ერთი საათიც არ გასულა?!

— როდესაც თავს კარგად გრძნობ... — ჩაიბურტყუნა კაცმა.

— კარგად, მაგრამ არა ასეთ ფასად. მე ხომ წასვლას ვერ შევძლებ!

— მომისმინეთ, — უთხრა ყურში ვან ჰორნმა და ხელკავი ფრთხილად გამოსდო. ქალმა მთელი სხეულით იგრძნო მისი შეხება, — უკან დავბრუნდეთ და თქვენს შვილებს დავურეკოთ, ფიდელი კი მსუბუქ ვახშამს მოგვიხლაფორთებს. მისი ნახელავი სოუსი „ჩილი“ ნამდვილად აღგაფრთოვანებთ.

— მთავარი ბავშვები კი არა, ძაღლია, — შესძახა ქალმა, — კოული ჭკუიდან გადავა. რამსიღრმე იქნება?

— არ ვიცი, ალბათ, ნახევარი მეტრი, შუაგულისკენ მეტრი. ერთხელ აქ გავლა ვცადე, მაგრამ გავიჭედე და მშვენიერ ძველებურ გერმანულ მანქანას დავემშვიდობე. თუ მარილიანი წყალი მუხრუჭებში ან გადაცემათა კოლოფში მოხვდება, მანქანა უწინდებურად კარგად ვეღარასოდეს ივლის. ეს იგივეა, რომ ტყვიებით დაცხრილული ალუბლის ხის ავეჯით ისარგებლოთ.

— ფონს ვიპოვი, — თქვა ალექსანდრამ და ხელიდან მისი თითები მოიცილა, მაგრამ იქამდე კაცი თითქოს მიუხვდა ჩანაფიქრს და სწრაფად და ძლიერად უჩქმიტა.

— შარვალი დაგისველდებათ. წელიწადის ამ დროს წყალი საშინლად ცივია.

— შარვალს გავიხდი, — თქვა ქალმა, კაცს ხელზე დაეყრდნო და ბოტასები და წინდები გაიძრო. ნაჩქმეტი ხელი უხურდა, მაგრამ ჯიუტად არ შეიმჩნია მისი თავხედური გამოხდომა. და ეს მას შემდეგ, რაც ასეთი ბავშვური და გატაცებული ჩანდა, ჩაიც გადაისხა და ხელოვნებისადმი სიყვარულშიც გამოუტყდა. არსებითად, იგი ურჩხული იყო. ხრეში მწვავედ ჰკბენდა შიშველ ფეხებზე. რახან ფონით გასვლა დააპირა, აღარ უნდა ეყოყმანა. „წადი, იარე, — შეუძახა საკუთარ თავს, — და უკან არ მოიხედო“.

ალექსანდრამ გვერდითი ელვაშესაკრავი ბოლომდე შეიხსნა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაჟანგულ-რუხ ფონზე მისი თეძოები სიკაშკაშით თოვლივით თეთრ ყანჩებსაც თავისუფლად გაეჯიბრებოდა. შეშინებულმა, რომ არამდგრად ქვებზე პირქვე არ დამხობილიყო, ცისფერი ვენებით დაფარული კოჭებიდან და ვარდისფერი ტერფებიდან შარვალი გაიძრო და გადააბიჯა. გაშიშვლებულ ფეხებზე ქარი ეხათქუნებოდა. ბოტასები და შარვალი ფუთად გამოკრა და დამბას გაუყვა. ალექსანდრა უკან არ იყურებოდა, მაგრამ განიერ თეძოებზე, რომლებიც სიარულის დროს უთრთოდა და ოდნავ უქანავებდა, ვან ჰორნის მზერას გრძნობდა. თქმა არ უნდოდა, კაცი დაღლილი, მაგრამ ანთებული თვალებით მიშტერებოდა. ქალს აღარც კი ახსოვდა, დილით რომელი ტრუსი ჩაიცვა, და როცა დაიხედა, შვებით აღმოაჩინა, რომ ეს უბრალო, ჩალისფერი იყო, სულელური ყვავილების გარეშე და არც ურცხვად პატარა, როგორსაც გამხდარი ახალგაზრდა ჰიპები და მხარდამჭერთა ჯგუფის გოგონები იცვამენ, ნახევარი საჯდომი მოუჩანთ, ფეხებს შორის კი წვრილი თასმა აქვთ ამოდებული. ალექსანდრა კანზე ძლიერ, ცივ ქარს გრძნობდა. ჩეულებრივ, მოსწონდა გაშიშვლება, განსაკუთრებით სუფთა ჰაერზე, როდესაც ლანჩის მერე უკანა ეზოში მზის აბაზანას იღებდა ზეწარზე წამოწოლილი აპრილის ან მაისის პირველივე თბილ დღეებში, მწერების გამოჩენამდე. სავსემთვარეობისას კი ფეხებით ბალახის შეგროვება უყვარდა.

მას შემდეგ, რაც ლენოქსებმა მამული დატოვეს, დამბის გავლით ისე იშვიათად მგზავრობდნენ, რომ იქაურობას ბალახი მოსდებოდა. ალექსანდრა ცენტრალურ ნაწილში ისე მიაბიჯებდა, როგორც განიერი რბილი კედლის თავზე. რკინის არმატურას, რომელიც დამბას ამაგრებდა, საღებავი შემოსცლოდა, ჭაობში, დამბის ორივე მხარეს, მცენარეები უკვე დამჭკნარიყო. როდესაც წყალი გზაზე გადმოდიოდა, ერთმანეთში არეული ბალახი ნაზად ირწეოდა გამჭვირვალე ზედაპირზე. მოქცევა რაკრაკითა და სისინით მოიწევდა წინ. უკნიდან ვან ჰორნი რაღაცას უყვიროდა, ამხნევებდა, აფრთხილებდა თუ ებოდიშებოდა, მაგრამ დაძაბულობისგან ალექსანდრას არაფერი ესმოდა. მისი მეტოქე საშიში, ყინულივით ცივი წყალი იყო! და კიდევ ერთი შემადგენელი მტრული სტიქიისა. წყალში გარდატეხილი ყავისფერი კენჭი მას მისჩერებოდა და უცნობი ანბანის ასოსავით უაზროდ ცოცხალი ჩანდა. ჭაობის ბალახი ზღვის წყალმცენარეე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბად გადაქცეულიყო, ზანტად ირწეოდა და მომატებული წყლის დაწოლით მარცხნივ იხრებოდა. ალექსანდრას ფეხებიც დაპატარავებული და კენჭივით გარდატეხილი ჩანდა. ჩქარა უნდა ევლო, რომ არ გათოშილიყო. წყალი უკვე კოჭებამდე სწვდებოდა, საშშვიდობოს გასვლამდე კი ჯერ შორს იყო, პატარა ქვის სასროლ მანძილზე შორს. კიდევ ათიოდე საშინელი ნაბიჯი და წყალმა მუხლებამდე უწია. ალექსანდრა გრძნობდა, როგორ ითრევდა ეს უაზრო ნაკადი, რომელსაც სულ არ ადარდებდა, იგი აქ იყო თუ არა. ამ ადგილს ზღვა ჯერ კიდევ მის დაბადებამდე უტევდა და მისი სიკვდილის შემდეგაც ასე იქნებოდა. ქალი არ ფიქრობდა იმაზე, რომ წყალს მისი წაქცევა შეეძლო, მაგრამ გრძნობდა, როგორ იხრებოდა მისი ზეწოლით. გაშეშებული კოჭები ტეხდა, ტკივილი აუტანელი ხდებოდა, მაგრამ უნდა მოეთმინა.

ალექსანდრა ფეხებს ვეღარ ხედავდა, ჭაობის ბალახი კი, რომელიც თავს უქნევდა, წყალმა დაფარა. მან გაქცევა სცადა. ვან ჰორნის ხმა, რომელიც კვლავაც გაურკვევლად მისძახოდა რაღაცას, წყლის ხმაურში იკარგებოდა. ალექსანდრამ მზერა დაძაბა და თავის მანქანას გახედა. მძღოლის ადგილზე კოულის სილუეტს მოჰკრა თვალი, რომელსაც ყურები დაეცქვიტა, როგორც ყოველთვის, როცა ხსნა ახლოს იყო. ყინულივით ცივი წყალი ქალის თეძოებსა და ტრუსსაც შეეხო. როგორ სულელურად, თავდაჯერებითა და პატარა გოგოსავით მოიქცა, და ახიცაა მასზე — ერთადერთი, ნამდვილი და გულწრფელი მეგობარი მიატოვა. ძაღლები ყველაფერს გრძნობენ. თვალები გაგების სურვილით უბრწყინავთ. საათსა და წუთს ერთმანეთისგან არ ასხვავებენ. მათ სამყაროში დრო არ არსებობს, არც დადანაშაულება თუ პატიება, რადგან წინასწარ განჭვრეტა არ შეუძლიათ. ალექსანდრას წყალი ბოქვენამდე მისწვდა. ყელიდან ხროტინი ამოხდა.

უკვე ახლოს იყო. დამფრთხალი ყანჩა გაუბედავი მოძრაობებით იმ მოხუცს ჰგავდა, საკარძლის სახელურზე ხელის წავლებას რომ ცდილობს. მან ფრთები აიქნია, M ასო მოხაზა და ჰაერში აიჭრა, შავი ფეხები ჯოხებივით მიჰქონდა. ალექსანდრამ გაწეწილთმიანი თავი საწინააღმდეგო მხარეს მიატრიალა, პლაჟის ფერფლისფერ ქვიშის ბორცვებს გახედა და კიდევ ერთ დიდ ყანჩას მოჰკრა თვალი, პირველის მეგობარს, რომლისგანაც მუქი, ფენოვანი ცის ქვეშ გადაჭიმული რამდენიმე აკრი მიწა აშორებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პირველი ფრინველის აფრენის შემდეგ საშინელი ოკეანის შემოტევა ცოტათი შესუსტდა, წყალმა იკლო. გადატანილი ელდისა და კომიკური სიტუაციის გამო ქალი ძლივს სუნთქავდა, თან ტიროდა და წინ, დამბის მშრალ ზოლში მდგარი მანქანისკენ სვლას განაგრძობდა. ღრმა წყალში ალექსანდრა შემართებით მიდიოდა, ახლა კი სისუსტე მოერია და ძაღლივით კანკალებდა, თან თავის უგუნურებაზე ეცინებოდა: სიყვარულის დევნაში სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც სხეულს სჭირდება საკვები, ასევე ითხოვს სული უგუნურების გამოვლენას, ეს მას აძლიერებს. ალექსანდრამ ნათლად წარმოიდგინა, რომ დამხრჩვალია, მომწვანო სხეული აგონიის უკანასკნელ კრუნჩხვებში გაშეშებია, როგორც ერთმანეთს გადახვეულ ქალებს უინსლოუ ჰომერის[1] განსაცვიფრებელ სურათზე „უკუქცევა“. ყინულივით ცივი წყლის შემდეგ ფეხები ისე უხურდა, თითქოს ასობით ბზიკის ნესტარი შერჭობოდა.

წესით, ალექსანდრა უნდა მობრუნებულიყო და ვან ჰორნისთვის გამარჯვებული სახით ხელი დამცინავად და კეკლუცად დაექნია. ნახევრად დანგრეული ჭიშკრის აგურის სვეტებს შორის შავი Y ასოსავით მდგარი კაცი მას ორივე ხელის აწევით გამოეპასუხა. იგი მას ტაშს უკრავდა და ეს ხმა წყლის ზედაპირის გავლით ქალამდე შეუფერხებლად აღწევდა, ოღონდ ერთი წამის დაგვიანებით. ვან ჰორნი რაღაცას იძახდა კიდეც, მაგრამ ქალმა მხოლოდ ერთი ფრაზა გაარჩია: „თქვენ ფრენა შეგძლებიათ!“ მან დახორკლილი, სველი ფეხები წითელი ბენდენით გაიწმინდა და შარვალი ამოიცვა, ამასობაში კი კოული ყეფდა და კუდს ვინილის საფარს სცემდა. მისი სიხარული გადამდები იყო. ალექსანდრას გუნებაში გაელიმა, როცა დაფიქრდა, თუ ვისთვის დაერეკა პირველად ამბის მოსაყოლად — სიუკისთვის თუ ჯეინისთვის. როგორც იქნა, მანაც შეაბიჯა ვან ჰორნის საზოგადოებაში. ნაჩქმეტი ადგილი ჯერაც უხურდა.

დაბალი ხეები, ახალგაზრდა შაქრიანი ნეკერჩხლები და მიწამდე ჩამოშვებული წითელი მუხის ტოტები უკვე შეყვითლებას იწყებდნენ, თითქოს მწვანე ფოთლები ჯილდო იყო ძალის გმირობისთვის

[1] *ჰომერი, უინსლოუ (1836-1910) — ამერიკელი მხატვარი და გრაფიკოსი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და პირველ რიგში უმცროსები უნდა დასუსტებულიყვნენ. ოქტომბრის დასაწყისში კენჭებისგან აგებული შეუხედავი კედელი ნაკვეთის ბოლოს, საიდანაც ჭაობი იწყებოდა, მოულოდნელად ხასხასა ალისფერმა ვირჯინიულმა ხვართქლამ დაფარა. თუთუბოს დაკიდებული პარალელური წითელი ჯვრები ნარინჯისფრად შეიფერა. ტყეს სიყვითლე გადაჰკვროდა ძლიერი გონგის ნელა გავრცელებული ხმასავით: მოწითალო-მოყავისფრო წიფლითა და კოპიტით დაწყებული, და თხილნარის ოქროსფერი ლაქებითა და ამერიკული დაფნის თანაბარი კრემისფერი ფოთლებით დამთავრებული, ადამიანის ხელებს რომ წააგავდნენ ერთი ან ორი ცერით, თუმცა ზოგს ერთიც არ ჰქონდა. ალექსანდრას ხშირად შეუმჩნევია, რომ ერთსა და იმავე ქარიან დღეს გვერდიგვერდ ჩაგდებული ორი თესლიდან ამოსულ ხეებს განსხვავებული ფოთლები ჰქონდა. ერთზე ისინი თითქოს გაუფერულებულიყო, მეორეზე კი თითქოს ფოვისტ[1] მხატვარს შეეღება დისჰარმონიული საღებავებითა და მწვანე ლაქებით. ფეხქვეშ ჭკნობისკენ წასული გვიმრები ადამიანს ფორმების უთავბოლო მრავალფეროვნებით აოცებდა. ყოველი მათგანი გაჰყვიროდა: „მე ვარ, მე ვიყავი“ — ზაფხულის ერთგვაროვანი სიმწვანისგან განსხვავებით, ჭკნობაში ინდივიდუალობის აღორძინება ხდებოდა. ამ მოვლენის ფართო გაქანება, რომელიც ყველაფერს შეეხო — პლაჟზე ამოსულ ქლიავის ხეებსაც და ცვილიანებსაც ბლოკ-აილენდის სრუტის გასწვრივ, ჭადრებსაც და ცხენისწაბლებსაც, რომლებიც პროვიდენს-კოლეჯ-ჰილის საპატიო (კეთილი საქმეებისა და კეთილგანწყობის) ქუჩებზე ჩამწკრივებულიყვნენ, ალექსანდრას სულში რაღაც გაურკვეველსა და კეთილს ეხმაურებოდა: ბუნებასთან ერთიანობის გრძნობას, ხის ჭვრეტისა და იმის შეგრძნების უნარს, რომ მრავალხელიან მტკიცე ვარჯს წარმოადგენ, რომელიც წვენს კენწეროსკენ მიერეკება; რომ შეიძლება უეცრად ცაში წაგრძელებულ ღრუბლად ან გომბეშოდ გადაიქცე, გაზონის სათიბელის ქვეშიდან მაღალ, ნოტიო ბალახში რომ ხტება — არამყარი ბუშტუკი ორ გრძელ, ტყავგადაკრულ ფეხზე, რომელსაც ნაპერწკალივით ენთება შიში მეჭეჭიან შუბლზე. იგი სწორედ ეს გომბეშო იყო და იმავდროულად გაზონსაკრეჭის შავი, ულმობელი, გაცვეთილი პირი ძრავის მომწამვლელ

[1] *ფოვისტები — ველურები, მიმართულება ფრანგულ მხატვრობაში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გამონაბოლქვთან ერთად. „საოკეანო შტატის“ მწვანე ჭაობებისა და ბორცვების ჭკნობის პანორამა ალექსანდრას კვამლივით მაღლა სწევდა და იგი რუკას ზემოდან დაჰყურებდა. ნიუპორტის სიმდიდრის ეგზოტიკური იმპორტიც კი — ინგლისური თხილი, ჩინური ტუნგი და Acer japonicum[1] — ჩართული იყო ამ საყოველთაო კაპიტულაციის მოძრაობაში. ბუნების კანონი, კანონი გაშიშვლებისა, თვალსაჩინო იყო. ჩვენ უნდა შევმსუბუქდეთ, რათა გადავრჩეთ. არაფერს არ უნდა ჩავებღაუჭოთ. ხსნა დაპატარავებაშია, იმაში, რომ ალალბედზე ვიყოთ არჩეულნი, გავწვრილდეთ, რათა ახალი გაჩნდეს. მხოლოდ უგუნური თუ შეეცდება, ხელი შეუშალოს იმ უზარმაზარ ნახტომებს, რომელსაც ცხოვრება იმეტებს. მუქთმიანი მამაკაცი თავის კუნძულზე ამგვარ შესაძლებლობას წარმოადგენდა. იგი უჩვეულო იყო, მაგნიტივით იზიდავდა, და ალექსანდრა ხელმეორედ განიცდიდა მათ მეტისმეტად თავდაჭერილ ჩაის სმას, ყოველ წუთს თავიდან ბოლომდე, როგორც გეოლოგი, რომელიც სიყვარულით სრესს კენჭს მტვერში.

რამდენიმე ტანადი, ახალგაზრდა, უკნიდან მზით განათებული ნეკერჩხალი თვალისმომჭრელ ჩირაღდნებად, ცეცხლოვან, განათებულ წრეში ვარჯების ვიწრო ჩრდილებად გადაიქცა. გზის პირას ფოთლებგაცვენილი ხის ტოტები ტყეს სულ უფრო მეტად მატებდნენ ნაცრისფერ ტონს. პირქუში, კონუსისებრი მარადმწვანე ხეები ბატონობდნენ იქ, სადაც სხვა ჯიშები ქრებოდნენ. ოქტომბერი თავის გამანადგურებელ საქმიანობას განუწყვეტლივ ახორციელებდა, და როდესაც მისი ბოლო დღე დადგა, კვლავაც მშვენიერი იყო, იმდენად მშვენიერი, რომ ღია კორტზე ჩოგბურთის თამაშიც კი შეიძლებოდა.

ახალ, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილმა ჯეინ სმარტმა ბურთი ჩამოაწოდა. მაღლა, ჰაერში, ბურთი ღამურად იქცა, ფრთებით ჯერ პატარა წრეები შემოხაზა, შემდეგ კი მოულოდნელად ქოლგასავით გაიშალა, სასაცილო, ვარდისფერი სახე გამოაჩინა და მოწყვეტით გაფრინდა. შეშინებულმა ჯეინმა დაიკივლა, ჩოგანი დააგდო და ბადის იქით მყოფთ გასძახა:

— არაფერია სასაცილო.

---

[1] *იაპონური ნეკერჩხალი (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამას ორი დანარჩენი ალქაჯის ხარხარი მოჰყვა, ხოლო ვან ჰორნი, რომელიც მეოთხე მოთამაშე გახლდათ, ცოტა დაგვიანებით დატკბა ამ ხუმრობით. მას ძლიერი, კარგად დამუშავებული დარტყმა ჰქონდა, მაგრამ კუნძულის შორეულ ბოლოში ჩამწკრივებული რბილწიწვიანებს შორის შემოჭრილი, ჩამავალი მზის სხივები თვალს სჭრიდა და ბურთს ცუდად ხედავდა. ლარიქსებს წიწვები უკვე დაეყარათ და დროდადრო მათი კორტიდან გადახვეტა იყო საჭირო. ჯეინს შესანიშნავი, არაჩვეულებრივი მხედველობა ჰქონდა. ღამურები მათ იმ პატარა ბავშვების სახეებით შესცქეროდნენ, საკონდიტროს ვიტრინაზე რომ აქვთ ხოლმე მიჭყლეტილი, ვან ჰორნს კი, უდროოდ რომ ჩაეცვა კალათბურთის კედები, მაისური მალკოლმ X-ის[1] პორტრეტით და ძველი მუქი კოსტიუმის შარვალი, შეცბუნებულ, გაშეშებულ სახეზე ბავშვური სიხარბის გამომეტყველება აღბეჭდოდა. ჩვენი დაუფლების ჟინი კლავსო, დარწმუნებული იყო ჯეინი. მან ბურთის ჰაერში აგდება და ხელმეორედ მოწოდება დააპირა, მაგრამ როდესაც მას ხელში ათამაშებდა, ნოტიო სიმძიმე და ცოცხალი მეჭეჭებიანი ზედაპირი იგრძნო. კიდევ ერთი გადაქცევა მოახერხეს. მან თეატრალურად ამოიოხრა, გომბეშო ხასხასა მწვანე ღობის იქით სისხლისფრად წითელ საფარზე მოისროლა და თვალი გააყოლა, როგორ მიხოხავდა იგი. სულელი კოლი, სახელად ნიდლნოუზი, კისერწაგრძელებული დარბოდა ღობის მეორე მხარეს და იქაურობას იკვლევდა, მაგრამ ბულდოზერის მიერ დატოვებულ მიწის ბელტებსა და აფეთქებულ კლდის ქანებს შორის გომბეშოს კვალი დაკარგა.

— ერთი პარტიაც და გვეყოფა, — გაბრაზებით გასძახა ჯეინმა მეტოქეებს. ის და ალექსანდრა სიუკისა და დარილის წინააღმდეგ თამაშობდნენ, — თქვენ სამს კანადურ წყვილებში თამაში[2] მოგიხდებოდათ.

ვან ჰორნის მაისურზე გამოსახული სახის გათვალისწინებით, რომელიც მოძრაობისას გამომეტყველებას იცვლიდა, ისე ჩანდა, თითქოს ხუთნი თამაშობდნენ. შემდეგმა ჩოგბურთის ბურთმა ჯეინის ხელში მრავალი მყისიერი ცვლილება განიცადა: ჯერ ჩიტის

---

[1] *მალკოლმ X (1925-1965) — ამერიკელი შავკანიანი რევოლუციონერი ორგანიზაციიდან „შავი მაჰმადიანები“.*

[2] *კანადური წყვილები — ჩოგბურთი სამი ადამიანის მონაწილეობით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩიჩახვივით გლუვი და სრიალა გახდა, მერე ზღვის ზღარბივით ეკლიანი, მაგრამ ქალს მტკიცედ გადაეწყვიტა, მისთვის არ შეეხედა, რათა ამ მეტამორფოზების რეალობა არ ელიარებინა, ხოლო როდესაც ბურთი ცისფერი ცის ფონზე მის თავს ზემოთ აღმოჩნდა, უეცრად სწრაფ, ყვითელ ბურთულად გადაიქცა, რომელიც ჯეინმა, როგორც ეს ჩოგბურთის სახელმძღვანელოებშია მოცემული, იმ საათის ციფერბლატის სახით წარმოიდგინა, წუთი წუთზე ორჯერ რომ უნდა დაჰკრას. მან მარჯვედ მოსდო ჩოგანი ამ მაქციას და იგრძნო, რომ ჩაწოდება გამოუვიდა. ბურთი პირდაპირ სიუკისკენ წავიდა. მან უხერხულად აიფარა მკერდზე ჩოგანი, თითქოს მარცხნიდან მოგერიებას აპირებდა. სიმები ატრიასავით ჩამოეშვა, ბურთი ფეხებთან დაეცა და გვერდითი ხაზისკენ გაგორდა.

— შესანიშნავია, — გაურკვევლად წარმოთქვა ალექსანდრამ.

ჯეინმა იცოდა, რომ მის პარტნიორს ორივე მეტოქე უყვარდა, თითოეული თავისი ეროტიკული კუთხით. თამაშის დასაწყისში სიუკმა ისე შეადგინა წყვილები, თან ისე უცნაურად მოიქნია ჩოგანი, რომ ალექსანდრას ეჭვიანობა დააწყებინა. მეორე წყვილი მომხიბლავად გამოიყურებოდა. სიუკის სპილენძისფერი, კეფაზე ატანილი თმა ყოველ მოძრაობაზე დახტოდა. წვრილი, დაჭორფლილი ხელ-ფეხი სწრაფად გაიელვებდა ატმისფერი საჩოგბურთო სამოსის ქვეშიდან, ავტომატივით სწრაფი და ზუსტი ვან ჰორნი კი ისე გამოცოცხლდებოდა ხოლმე, როგორც დემონებით შეპყრობილი პიანისტი ფორტეპიანოზე დაკვრისას, ოღონდ დროდადრო მხედველობა ღალატობდა და ბურთს უშვებდა. ამასთან მისი დემონები გამუდმებით ცხარობდნენ, ამიტომ ზოგიერთი ჩაწოდებისას, თავისუფალ სივრცეში ბურთის რბილად გადაგდების ნაცვლად, მას მოედნის უკანა ხაზს იქით იგერიებდა.

როდესაც ჯეინმა მისკენ ბურთის მოწოდება დააპირა, სიუკმა მხიარულად დაუძახა:

— არასწორად დგახარ!

ჯეინმა ფეხებზე დაიხედა, ხაზზე ხომ არ დავაბიჯეო, მაგრამ ხაზმა, მიუხედავად იმისა, რომ შეღებილი იყო, მაღლა აიწია და მის ერთ-ერთ ბოტასს ზემოდან დათვის ხაფანგივით მაგრად ჩაევლო. მან ამ ცდუნებას თავი დააღწია და ბურთი დარილს მიაწოდა, რომელმაც მარჯვნიდან მკვეთრად მოიგერია. ალექსანდრამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცოცხლად მიიღო იგი წესების გაუთვალისწინებლად და ბურთი სიუკის ფეხებისკენ მიმართა. ამ უკანასკნელმა იმარჯვა, მოკლე ნახტომში მისწვდა მას და მაღლა, ცაში აისროლა. ჯეინი სწრაფად გავარდა ბადესთან და დროულადაც მოასწრო, რათა კიდევ ერთხელ აეგდო მაღლა ბურთი, რომლის გაუვნებლებაც ვან ჰორნმა ანთებული თვალებით დააპირა. ანაზდად დაიგრუხუნა და კაცი ბურთსაც გაუმკლავდებოდა, რომ არა ხანმოკლე ქარიშხალი, რომელიც თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევამ გამოიწვია. მსოფლიოს მრავალ კუთხეში მას „მტვრის ეშმაკს“ უწოდებდნენ. დარილმა შეიგინა და სახეზე მარჯვენა ხელი აიფარა. ცაცია იყო და კონტაქტურ ლინზებს ატარებდა. ბურთი წელის დონეზე გაჩერდა, როდესაც მან მწვავე ტკივილისგან თვალები დახუჭა, შემდეგ კი ბურთს მარჯვნიდან ისე ძლიერად დაარტყა, რომ ფერი უცვალა: ყვითლიდან ქამელეონივით მწვანედ გადააქცია. ჯეინმა ძლივს გაარჩია იგი მწვანე კორტისა და ღობის ფონზე. იქით გაიქცა, სადაც ბურთი უნდა დავარდნილიყო და რბილად დაარტყა. სიუკს გვარიანი ჯაფა დაადგა, რათა სუსტად მაინც მოეგერიებინა. ალექსანდრამ ბურთს მიწაზე დაცემა არ აცალა და მეტოქეების ნახევრის წინა ნაწილში ისეთი ძალით გაგზავნა, რომ იგი ჰაერში ჩამავალ მზეზე მაღლა აიჭრა. მაგრამ ვან ჰორნმა წყალში მყოფ კიბორჩხალაზე სწრაფად დაიხია უკან და თავისი ჩოგანი სტრატოსფეროში აისროლა. მოსწყდა რა მოთამაშეს, ჩოგანმა ბურთი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დააბრუნა მოედნის ფარგლებში და თამაში გაგრძელდა. მოთამაშეები კვლავ და კვლავ იხლართებოდნენ ერთმანეთში ხან საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით, ხანაც მზის გადაადგილების საწინააღმდეგოდ. ჯეინს ეს ყოველივე ამაღელვებელ მუსიკად ჩაესმოდა: ოთხი სხეულის, ოთხი წყვილი თვალისა და თექვსმეტი გაწვდილი კიდურის საორკესტრო პოლიფონიად რბილწიწვიანებს შორის შემოჭრილი წითელი დაისის თითქმის ჰორიზონტალურ ზოლებზე. ჩამოცვენილი წიწვის ხმა შორეული ტაშისკვრასავით ისმოდა. როდესაც დარტყმების სწრაფი გაცვლა და მასთან ერთად, მატჩიც, როგორც იქნა, დასრულდა, სიუკმა წაიწუწუნა:

— ჩემმა ჩოგანმა თქვენი ჭირი წაიღო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნეილონის გამოყენებას კეტგუტით[1] სარგებლობა სჯობია, — შენიშნა ალექსანდრამ, რომელმაც ჯეინთან ერთად გაიმარჯვა.

— იგი მთლიანად ტყვიისა იყო. ყოველთვის, როდესაც მაღლა ვწევდი, წინამხარში მჩხვლეტავ ტკივილს ვგრძნობდი. ეგ უპატიოსნობაა.

თავის მხრივ, ვან ჰორნმაც დაიჩივლა:

— ეშმაკმა დალახვროს ეს კონტაქტური ლინზები. საკმარისია, მასზე მტვრის ნამცეცი მოხვდეს და მაშინვე სამართებელივით სერავს.

— თვალწარმტაცი თამაში იყო, — წარმოთქვა დასასრულ ჯეინმა. ისე ხდებოდა, რომ მას ხშირად უწევდა მშვიდობისმყოფელი მშობლის ან გულცივი და გაუთხოვარი დეიდის როლის შესრულება, თუმცა შიგნით ყველაფერი უდუღდა.

უკვე გამოცხადებული იყო ზამთრის დროზე გადასვლის შესახებ. მოულოდნელად ჩამობნელდა კიდეც. როდესაც სახლისკენ მიმავალ გზას დაადგნენ, ბევრ ფანჯარაში უკვე შუქი ენთო. ვან ჰორნის გრძელ სასტუმრო დარბაზში, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებებით იყო სავსე, მაგრამ მაინც რაღაცნაირად დაცარიელებული ოთახის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სამივე ქალი ბოკალით ხელში მრგვალ დივანზე ერთმანეთის გვერდიგვერდ მოკალათდა. მასპინძელი ეგზოტიკური სასმელების დამზადების დიდოსტატი აღმოჩნდა. მან ტეკილა და ბროწეულის ლიქიორი, crème de cassis, Tri pie Sec[2] და ზელტერის წყალი, შტოშის წვენი და ვაშლის ბრენდი ალქიმიკოსივით შეურია ერთმანეთს და ზედ ჯადოქრული სითხეც დაამატა. ეს ყველაფერი XVII საუკუნის ჰოლანდიურ კარადაში ინახებოდა, რომელსაც საოცარი სახის მქონე ორი ანგელოზის თავი ამშვენებდა, ეგაა, რომ სიძველისგან ხე ზუსტად თვალებს შორის გაბზარულიყო. ვიწრო ფანჯრებიდან ზღვა ღვინისფრად, შინდის ჩამოცვენილ ფოთლებისფრად ლივლივებდა. ბუხრის დიდი დაფის ქვეშ, იონურ სვეტებს შორის, კერამიკული ფრიზი გაწელილიყო — შიშველი ფავნებისა და ნიმფების ფიგურები ლურჯ ფონზე. ფიდელმა ზღვის ბინადართაგან გაკეთებული სხვადასხვაგვარი საუზმეული,

---

[1] *კეტგუტი (სიტყვასიტყვით „კატის სიმი“) — წვრილფეხა რქოსანი საქონლის ნაწლავებისგან დამზადებული ძაფი.*

[2] *შავი მოცხარის ლიქიორი; ფრანგული მშრალი ღვინის სახეობა (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

პაშტეტი და სოუსი მოიტანა, აგრეთვე empanadillas, calameras en su tinta[1], რომლებსაც სტუმრები პირდაპირ თითებით იტაცებდნენ — ამის გამო მალე მათ ჭუჭყიანი მელანთევზის ისეთივე ფერი მიიღეს, როგორიც ხორციანმა თავფეხიანმა მოლუსკებმა, — და ზიზღით აღსავსე შეძახილებით შეუბრალებლად ნთქავდნენ. ზოგჯერ რომელიმე ალქაჯი წამოიძახებდა, რომ შინ ბავშვები ელოდებოდნენ და ვახშმის მოსამზადებლად სახლში წასვლა იყო საჭირო, ან თუნდაც დარეკვა და ამ საქმის უფროსი ქალიშვილისთვის გადაბარება. ამ საღამოს ჩვეული განაწესი დაირღვა. კარზე ჰელოუინის დღესასწაული იყო მომდგარი, როდესაც ბავშვები საღამოობით წვეულებებზე მხიარულობენ, ქუჩა-ქუჩა დადიან და გამვლელებს გამასპინძლებას სთხოვენ. ნამდვილი თუ ცოცხალი ღობეების გასწვრივ ჯგროდ ივლიან საქმიანი პატარა მეკობრეები და კონკიები ნიღბებზე აღბეჭდილი გრიმასებით, მუყაოზე ამოჭრილი ხვრელებიდან ნოტიო თვალების ელვარება გამოკრთება; ზეწრებში გახვეულ მოჩვენებებს დიდ ჩანთებში შრიალა ქაღალდში გახვეული შოკოლადი „ჰერში“ და M&M's-ი ექნებათ. კარზე ზარის განუწყვეტელი რეკვა ატყდება. რამდენიმე დღის წინ ალექსანდრა თავის უმცროს გოგონა ლინდასთან ერთად საყიდლებზე წავიდა პარკთან მდებარე „ვულვორტსში“. მაღაზიის ფანჯრები ჩამოწოლილ სიბნელეში თვალისმომჭრელად კაშკაშებდა. მსუქანი, ასაკიანი გამყიდველები საკმაოდ დაღლილიყვნენ ბავშვებისაგან, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში იაფ მორთულობებსა და სამშვენისებს არჩევდნენ. წამით ალექსანდრამ ძველი ჯადოქრობა იგრძნო, როდესაც ცხრა წლის გოგონას გაფართოებული თვალებით შეხედა ჩამოფასებული მოჩვენებების, ნამდვილი გობლინების სიმბოლურ ბრწყინვალებას — პლასტიკურ პარკში მოთავსებული ნიღაბი და კოსტიუმი სულ რაღაც 3 დოლარი და 98 ცენტი ღირდა. ამერიკა ასწავლის თავის ბავშვებს, რომ ყოველი გართობა შეიძლება ყიდვის საბაბი გახდეს. ალექსანდრა თანაგანცდის მომენტში თავისსავე შვილად გადაიქცა, ერთი სექციიდან მეორეში გადადიოდა, სასწაულები კი, რომელთა ყიდვაც შეიძლებოდა, პირდაპირ თვალწინ ეწყო და ყველას შესაბამისი სუნი ასდიოდა: მელნის, რეზინის ან ნაზუქეულის. მაგრამ ამგ-

[1] *ფენოვანი ღვეზელი, კალმარი საკუთარ წვენში (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვარი დედობრივი განცდები მას სულ უფრო იშვიათად ეუფლებოდა მას შემდეგ, რაც საკუთარი თავი იპოვა და ნახევრად ქალღმერთი გახდა, სხვებზე უფრო მკაცრი და გაწაფული. სიუკი, რომელიც დივანზე მის გვერდით იჯდა, ისე გაიზმორა თავის ატმისფერ პატარა კაბაში, რომ ფურჩალიანი თეთრი ტრუსი გამოუჩნდა, მერე კი დაამთქნარა და განაცხადა:

— ახლა კი ნამდვილად უნდა წავიდე, ჩემო ძვირფასებო. ხომ იცით, ცენტრში ვცხოვრობ და ჩემი სახლი ალყაში იქნება მოქცეული.

ვან ჰორნი მათ პირდაპირ, ველვეტგადაკრულ საავარძელში იჯდა და ოფლიანი სახე უბრწყინავდა. მაისურზე, რომელზეც კბილებგადმოყრილი მალკოლმ X-ის ტრაფარეტული გამოსახულება ჟესტიკულირებდა, ირლანდიური მატყლის სვიტერი გადაეცვა და ცხვრის სუნი ასდიოდა.

— ნუ წახვალთ, ძვირფასო, — უთხრა მან, — დარჩით, აბაზანა მიიღეთ. მე თვითონ ამის გაკეთებას ვაპირებ. პირდაპირ ვყარვარ.

— აბაზანა? — გაიმეორა სიუკმა, — მაგას შინაც მოვახერხებ.

— შინ? მაგრამ ჩემი აბაზანა ტექტონითაა გაწყობილი. ორ-ნახევარი ორ-ნახევარ მეტრზე, — თქვა მან და თავი ისე მკვეთრად მიატრიალა, რომ შეშინებული ფუმფულა თამკინი მუხლებიდან იატაკზე ჩამოხტა, — სანამ ჩვენ კარგად დავსველდებით, ფიდელი მოასწრებს და პაელას, ტამალესს[1] ან სხვა რამეს მოგვიმზადებს.

— ტამალი და ტამალი და ტამალი, — უნებისყოფოდ გაიმეორა ჯეინ სმარტმა, რომელიც დივნის კიდეზე სიუკის გვერდით, როგორც ალექსანდრას მოეჩვენა, გაბრაზებული სახით იჯდა. იგი ყველაზე უმცროსი იყო და ყველაზე მეტი დაელია, ცდილობდა სხვებს არ ჩამორჩენოდა. ჯეინმა ალექსანდრას მზერა იგრძნო და მას გაწითლებული თვალებით შეხედა, — როგორ ხარ, ლექსა? შენ რას იტყვი?

— ისე მართლაც ჭუჭყიანი კი ვარ, — გაისმა აუჩქარებელი პასუხი, — ტანში მტეხს. ჩემისთანა ბებრისთვის ზედიზედ სამი სეტი ნამდვილად ბევრია.

— აბაზანის შემდეგ თავს მილიონდოლარიანად იგრძნობთ, — ცდილობდა დაყოლიებას ვან ჰორნი, — აი, რას გეტყვით, — მიუ-

[1] *სიმინდი ხორცითა და წიწაკით (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბრუნდა იგი სიუკს, — შინ გაიქეცით, შვილებს დახედეთ და რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნდით.

— გზად ჩემთანაც შეირბინე და ჩემებიც შეამოწმე. შეძლებ, ძვირფასო? — ჩაერთო საუბარში ჯეინ სმარტი.

— კარგი, დავხედავ, — თქვა სიუკმა და კვლავ გაიზმორა. გრძელი, ჭორფლიანი ფეხები ჰქონდა, ხოლო მოქსოვილ წინდებში გამოწყობილი კოხტა ტერფები მულტფილმის გმირ ბაჭიას მიუგავდა, — მაგრამ, შესაძლოა, ვეღარ დავბრუნდე. კლაიდი იმედოვნებს, რომ ჰელოუინის დღესასწაულთან დაკავშირებით პატარა, კოლორიტულ წერილს გავაშანშალებ. მუხნარის ქუჩაზე გავივლი, პოლიციაში ვიკითხავ, რამე ხომ არ მოხდა, „ნემოს“ ძველ მცხოვრებთ მძიმე წარსულზე გამოკითხავ, როდესაც ფანჯრებს საპნით რეცხავდნენ, სახურავზე კი ბაღლინჯოებით სავსე მატრასებს აშზეურებდნენ.

— რას გადააკვდით ამ საცოდავ, სულელ კლაიდ გებრიელს? — აფეთქდა ვან ჰორნი, — ხომ ხედავთ, რომ აშკარად რაღაც ვერ აქვს წესრიგში.

— სწორედ მაგიტომ, — სწრაფად მიუგო სიუკმა.

ალექსანდრა მიხვდა, რომ სიუკი და ედ პარსლი, როგორც იქნა, ერთმანეთს დაშორებულიყვნენ.

ეს ვან ჰორნისთვისაც ცხადი გახდა.

— იქნებ მე ვცადო და როგორმე ჩვენთან მოვიწვიო?

სიუკი წამოდგა და სახიდან თმა ამაყად გადაიწია.

— ჩემი გულისთვის ნუ იზამთ, სამსახურში ისედაც ყოველდღე ვხედავ.

მის დაბრუნება-არდაბრუნებაზე მეტი აღარაფერი უთქვამთ, ყველაფერი ისედაც ცხადი იყო იმის მიხედვით, თუ როგორ სტაცა ხელი ჩოგანს, ყელზე კი მოყვითალო-მოყავისფრო სვიტერი შემოიხვია. მალე ისიც მოესმათ, თუ როგორ დაიქოქა კაბრიოლეტის ტიპის ღია ნაცრისფერი „კორვეტი“, რომლის საბარგულზეც სიუკის ყოფილი ქმრის ფირფიტა იყო მიკრული, წარწერით „რუჟი“. მანქანამ წრე შემოხაზა და ხრეშის ტკაცუნით გზაზე გავიდა. ამ საღამოს სუსტი მოქცევა იყო — საკუთარეობის გამო, — ამიტომ მეთევზეთა ბრტყელძირიანი გემების ძველებური პატარა ღუზები და სიდამპლეშერეული გვერდები ვარსკვლავების შუქზე კარგად მოჩანდა იმ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ადგილებში, სადაც მარილიანი წყალი მათ ყოველთვიურად რამდენიმე საათით ფარავდა.

სიუკის წასვლის შემდეგ სამივენი მოდუნდნენ და თავიანთ არცთუ იდეალურ კანში თავი უფრო თავისუფლად იგრძნეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩოგბურთის ოფლიან ფორმებში გამოწყობილებმა, მელნისფერი სოუსით მოთხვრილი თითებით, ყელსა და კუჭში ცეცხლმოდებულებმა ცხარე, პილპილიანი საწებლების გამო, ასე უხვად რომ მოესხა ფიდელს სიმინდისა და ენჩილადასთვის, ბოკალები შეივსეს და მუსიკალურ სასტუმრო ოთახში გადაინაცვლეს. აქ ორმა მუსიკოსმა ალექსანდრას წინაშე ბრამსის სონატა მი მინორის წარმატებით შესრულების დემონსტრირება მოახდინა. როგორი გრგვინვის გადმოცემა შეუძლიათ ამ უმწეო კლავიშებს თითების ზემოქმედებით! თითქოს ეს თვის ფოცხვით ძლიერი და ფართო, არაადამიანური ხელების ნამოქმედარი იყო. ისინი არასოდეს ცდებოდნენ, სწრაფად უთავსებდნენ რიტმს ტრელსა და არპეჯიოს. მხოლოდ უფრო წყნარ პასაჟებს აკლდა გამომხატველობა, თითქოს რეგისტრს ნაზი ტუშესთვის აუცილებელი ბგერები არ გააჩნდა. საბრალო ჯეინს წარბები შეეჭმუხნა და ცდილობდა, კაცს არ ჩამორჩენოდა; დაძაბული სახე სულ უფრო უფითრდებოდა, ალბათ, ხელი სტეხდა, რომელშიც ხემი ეჭირა, მეორე ხელი კი გაჯარვარებულივით სიმებს ზევით-ქვევით აწვებოდა. დაძაბული და ბობოქარი გამოსვლის დამთავრების შემდეგ ალექსანდრამ თავის დედობრივ მოვალეობად ჩათვალა, რომ ტაში დაეკრა.

— სხვათა შორის, ეს ჩემი ვიოლონჩელო არ არის, — განმარტა ჯეინმა და შუბლიდან სველი შავი თმა გადაიწია.

— მხოლოდ და მხოლოდ სტრადივარიუსის ძველი ვიოლინოა, რომელიც სადღაც მქონდა მიგდებული, — გაიხუმრა ვან ჰორნმა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ალექსანდრამ დაიჯერა (როდესაც იგი უიმედოდ იყო შეყვარებული, ყველაფერს იჯერებდა), შეასწორა: — სინამდვილეში სტრადივარიუსი კი არა, ჩერუტია. ეს ოსტატიც კრემონიდან იყო, ოღონდ მოგვიანებით ცხოვრობდა. ისიც საკმაოდ ცნობილ ოსტატად ითვლება. ჰკითხეთ ნებისმიერს, ვისაც მისი ინსტრუმენტი აქვს, — უეცრად მან ისე ხმამაღლა დაიყვირა, რომ როიალის დეკა რეზონანსში მოვიდა, ფანჯრის თხელი, შავი ჩარჩოები კი ერთიანად შეზანზარდა: — ფიდელ! — უზარმაზარმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცარიელმა დარბაზმა ექო დაუბრუნა, — ზიზილები! Tres! აბაზანაში მოიტანე! Traigalas al bano! Rapidamente![1]

ამრიგად, გახდის მომენტი ახლოვდებოდა. ჯეინის გასამხნევებლად, ალექსანდრა ადგა და ვან ჰორნს კვალში მიჰყვა. მაგრამ ჯეინს, როგორც ჩანს, ერთად დაკვრის შემდეგ გამხნევება არ სჭირდებოდა. ჯეინსა და სიუკთან ალექსანდრას ურთიერთობისას იგულისხმებოდა, რომ ლიდერი თვითონ იყო — ყველაზე ჭკვიანი, აგრეთვე ყველაზე ნელი და ოდნავ მიამიტი, რომელსაც ჩრდილში ყოფნა უყვარდა. დანარჩენი ორნი, უფრო ახალგაზრდები და თანამედროვეები, ბუნებასთან ალექსანდრასავით ახლოს არ იყვნენ. ბუნებას კი ულევი მოთმინება, უსაზღვრო სიყვარული და მბრძანებლური შეუბრალებლობა ახასიათებდა, ამასთან ანთროპოცენტრული წესრიგის აუჩქარებლად გადამუშავების მომხრეც გახლდათ.

სამი ადამიანისგან შემდგარმა პროცესიამ ჯერ გრძელი დარბაზი გაიარა თანამედროვე ხელოვნების დამტვერილ ატრიბუტებიანად, შემდეგ კი მომცრო ოთახი, რომელშიც ნაუცბადევად დაედგათ საბაღე ავეჯი და გაუხსნელი მუყაოს ყუთები. ახალი ორმაგი კარი, რომელზეც შიგნიდან დაბამბული შავი ვინილი აეკრათ, ვან ჰორნის მიერ მიშენებულ ოთახებში, სადაც უწინ სპილენძის ფურცლებით გადახურული ორანჟერეა იყო, სითბოსა და ტენს ინახავდა. სააბაზანოს იატაკზე ტენესიდან ჩამოტანილი ფილები ეგო, განათება კი მუქ, ფიცარაკრულ ჭერში ჩატანებული ლამპებით ხდებოდა.

— აქ რეოსტატია, — განმარტა ვან ჰორნმა ყრუ, ათრთოლებული ხმით.

მან ორმაგ კარს შორის მოთავსებული მანათობელი სფეროსებრი სახელური გადაატრიალა და სანათების ძირით მაღლა მიმართული წიბოვანი ფიალები ჯერ ისე აბდღვრიალდა, რომ სურათის გადაღებაც თავისუფლად შეიძლებოდა, მერე კი თითქმის ჩაქრა და ოთახი ძლივსღა ჩანდა. სანათები ჭერზე მწკრივებად კი არ განეთავსებინათ, არამედ ვარსკვლავებივით უთავბოლოდ მიმოეფანტათ. ეტყობა, კაცმა ქალები ბინდბუნდში იმიტომ დატოვა, რომ ანგარიში გაუწია მათ შეცბუნებას, ნაკლსა და ყბადაღებულ ჩადგმულ მკერდს, რაც ალქაჯებს სხვებისგან გამოარჩევდა. სიბნელის მიღმა, სარკი-

[1] *სამი! აბაზანაში მოიტანე! სწრაფად! (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სებური შუშის იქით, მცენარეულობა მოჩანდა, რომელიც ქვემოდან უხილავი ლამპებით ნათდებოდა, ზემოდან კი — ულტრაიისფერი სხივებით, რომლებიც შორეული ქვეყნებიდან ჩამოტანილ ჩხვლეტია ეგზოტიკურ მცენარეებს კვებავდნენ, აქ რომ მათი შხამიანი თვისებების გამო გამოეყვანათ და დაერგოთ. მეორე კედელთან ტანისამოსის გამოსაცვლელი კაბინები და ორი საშხაპე იდგა — ყველაფერი შავი, როგორც ნეველსონის[1] ქანდაკება. აუზთან მუშკის სუნის მქონე რაღაც დიდი ცხოველი თვლემდა. წრეში მოქცეული წყალი, რომელიც კიდეებში გაპრიალებულ ტექტონს ელამუნებოდა, ოდნავადაც არ ჰგავდა ყინულივით ცივ მოქცევას, რომელშიც ვაჟკაცურად გადაეშვა ალექსანდრა რამდენიმე კვირის წინ: თბილი წყალი და ჰაერი სახეზე ოფლის წვეთებს აჩენდა. აბაზანის კიდესთან, წითელი ნათურებით განათებულ პატარა, ვიწრო კონსოლზე, როგორც ალექსანდრამ ივარაუდა, საკონტროლო პანელი მდებარეობდა.

— თუ გნებავთ, შხაპი მიიღეთ, — უთხრა მას ვან ჰორნმა, თვითონ კი ამის ნაცვლად მოპირდაპირე კედელთან მდგარი უფერო კარადისკენ გაემართა, რომლის მრავალი კარი და პანელი რაღაც საიდუმლოს ინახავდა, და თეთრი ზარდახშა გამოიღო, უფრო სწორედ, ცხენის თუ ირმის გრძელი, თეთრი თავის ქალა ვერცხლის თავსახურით. იქიდან მან რაღაც წვრილად დაჭრილი გამოიღო, აგრეთვე ძველი პაპიროსის ქაღალდის შეკვრა და ერთი ფურცლის დახვევას შეუდგა. ამას ისე მოუხერხებლად აკეთებდა, როგორც დათვი, რომელმაც ფუტკრების სკა ააფორიაქა.

ალექსანდრამ ბინდბუნდს თვალი ნელ-ნელა შეაჩვია. იგი კაბინაში შევიდა, ჭუჭყიანი ტანსაცმელი გაიხადა, მეწამული პირსახოცი შემოიხვია და საშხაპეში გადაინაცვლა. წყალმა ყველაფერი ჩამორეცხა — ჩოგბურთის თამაშის დროს გამოყოფილი ოფლი, დანაშაულის გრძნობა შვილების წინაშე, უადგილოდ გაჩენილი ქალწულის სიმორცხვე. მან სახე ჭავლს შეუშვირა, თითქოს დაბადებისას მისთვის ბოძებული სხეულის ამ ნაწილის ჩამორეცხვაც უნდოდა, თითების ანაბეჭდის ან სოციალური დაზღვევის პოლისის ნომრის მსგავსად. დასველებული თმის დიდებული სიმძიმეც იგრძნო. გული მსუბუქად უცემდა, როგორც პატარა მანქანის ძრავა, ალუმინის

[1] *ნეველსონი, ლუიზა (1899-1988) — ცნობილი ამერიკელი სკულპტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტრეკზე რომ მიქრის და თავის უცნაურ, უხეშ პატრონთან შეერთებისთვის არის განწირული. გამშრალებისას ალექსანდრამ ხაოიან პირსახოცზე ამოქარგული მონოგრამა შეამჩნია. ერთი ასო M-ს მიამსგავსა, შესაძლოა, V და H იყო შეერთებული. პირსახოცში გახვეული, იგი ნახევრად ბნელ ოთახში დაბრუნდა. შიშველი ფეხისგულებით ფილების უსწორმასწორო ზედაპირს გრძნობდა, რაც რეპტილიის კანს აგონებდა. მარიხუანის მძაფრი, მწვავე სუნი ცხვირში ბუმბულივით ულიტინებდა. ვან ჰორნი და ჯეინ სმარტი უკვე აბაზანაში იყვნენ, წყლის ზემოთ მხრები სასიამოვნოდ უბრწყინავდათ, მორიგეობით ეწეოდნენ. ალექსანდრამ ემბაზის კიდისკენ გადადგა ნაბიჯი, დაინახა, რომ სიღრმე მეტრზე მეტი იქნებოდა, პირსახოცი შეიხსნა და წყალში ჩაეშვა. ცხელი იყო. მდუღარე. ძველად, სანამ ალქაჯს კოცონზე ცოცხლად დაწვავდნენ, მას გავარვარებული მაშით ხორცს აგლეჯდნენ: ეს საიქიოში, ტანჯვის სამყაროში გამავალი ფანჯარა იყო.

— ძალიან ცხელია? — ვან ჰორნის თვალთმაქცურად ვაჟკაცური ტემბრის მქონე ხმა იზოლირებული სივრცის ორთქლის აკუსტიკაში კიდევ უფრო ყრუდ ისმოდა.

— მივეჩვევი, — ჯიუტად მიუგო ქალმა, როცა დაინახა, რომ ჯეინი იქაურობას უკვე გაშინაურებოდა, მაგრამ ნაწყენი სახე ჰქონდა: ალექსანდრამ წყალი აატალღა, თუმცა ფრთხილად ცდილობდა მწველ სითხეში ჩაშვებას.

მან იგრძნო, როგორ ამოუგდო წყალმა ძუძუები ზედაპირზე. ალექსანდრა უფრო ღრმად ჩასრიალდა, ყელამდე, ხელები დაუსველდა და ვან ჰორნს მარიხუანით შეკეთებული სიგარეტი ველარ გამოართვა. კაცმა თავისი ხელით ჩაუდო პირში მოსაწევი. ქალმა ღრმად შეისუნთქა კვამლი და შეაჩერა. ყელი დაეწვა. წყლის ტემპერატურა სხეულისას გაუტოლდა. როცა ქვევით ჩაიხედა, დაინახა, რომ ყველაფერი დაპატარავებულიყო: ჯეინის გამრუდებული ტანი არამყარი, სოლივით წაგრძელებული ფეხებით მთავრდებოდა, ვან ჰორნის პენისი კი უფერული ტორპედოსავით ცურავდა — წინადაუცველი და საოცრად გლუვი, ვანილის სუნის მქონე პლასტმასის ვიბრატორს ჰგავდა, რომლებიც ცოტა ხნის წინ გაჩნდა აფთიაქებში. დიახ, სექსუალური რევოლუცია გრძელდებოდა და მისთვის არანაირი ზღვარი არ არსებობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრა აუზის კიდესთან დაგდებულ პირსახოცს დასწვდა და ხელები გაიმშრალა, რათა მარიხუანით შეკეთებული, პეპლის ჭუპრივით ნაზი სიგარეტი აეღო — მას ყველანი ერთმანეთს გადასცემდნენ. ალექსანდრას მარიხუანა ადრეც გაესინჯა — მის უფროს ვაჟიშვილს, ბენს, უკანა ეზოში, პომიდვრების ნაკვეთზე, კანაფი მოჰყავდა. ეს ორი მცენარე ერთმანეთს გარეგნულადაც ჰგავდა. მაგრამ ნარკოტიკები მათი ხუთშაბათის შეხვედრების შემადგენელ ნაწილად არ ქცეულა: სპირტიანი სასმელები, კალორიული საკვები და ჭორები — სულ ეს იყო და ეს. ამ ორთქლში რამდენიმე ნაფაზის დარტყმის შემდეგ ალექსანდრას მოეჩვენა, რომ იგი მთლიანად იცვლებოდა, უწონო ხდებოდა, თავის ქალის შიგნითაც კი. როგორც წინდას გადმოაბრუნებენ ხოლმე რეცხვისას, რისთვისაც მკვირცხლად უნდა შეჰყო შიგ ხელი და მოქაჩო, სამყაროც ასეთი იყო — მას იგი გობელენის შიდა პირად წარმოედგინა. ეს ბნელი ოთახი, ძლივს გასარჩევი ნაკერებითა და სადენებით, გობელენის უკუღმა პირი იყო ბუნების მზიანი, ცხელი ქსოვილის შექცეულ, დამამშვიდებელ მხარეს. შიში გაქრა. ჯეინის სახე ჯერაც წუხილს გამოხატავდა, მაგრამ მისი ხშირი წარბები და ხმის მგზნებარე დაჟინებულობა ალექსანდრას აღარ აშინებდა, რადგან მათი წყარო თმის ხშირ, შავ ბუჩქში აღმოაჩინა, რომელიც წყალში პენისივით ირხეოდა.

— ღმერთო ჩემო, — ხმამაღლა თქვა ვან ჰორნმა, — რა კარგი იქნებოდა, რომ ქალად დავბადებულიყავი.

— რატომ, ღვთის გულისთვის? — ჰკითხა კეთილგონიერმა ჯეინმა.

— აბა, დაფიქრდით, რა შეუძლია ქალის სხეულს: მუცლით ატაროს და შვას ბავშვი, მერე კი მის გამოსაკვებად რძე გამოიმუშაოს.

— აჯობებს, საკუთარ სხეულზე იფიქროთ, — თქვა ჯეინმა, — თუ როგორ გადააქცევს იგი საჭმელს განავლად.

— ჯეინ, — საყვედურით მიმართა მას ამ საშინელი ანალოგიით შეცბუნებულმა ალექსანდრამ, თუმცა ერთ მომენტში გაიფიქრა, რომ განავალიც რაღაცით ჰგავდა სასწაულს. მან გადაწყვიტა, ვან ჰორნისთვის მხარი დაეჭირა: — ეს მართლაც შესანიშნავია. ბავშვის დაბადების მომენტში საკუთარ „მე“-ს ვეღარ გრძნობ, შენ მხოლოდ გზა ხარ არსებისთვის, რომელიც გარეთ უნდა გამოვიდეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ალბათ ფანტასტიკური შეგრძნებაა, — თქვა კაცმა ზმორებით.

— ისე გაგჭყეპენ წამლებით, რომ ვეღარაფერს იგრძნობ, — თქვა გაღიზიანებულმა ჯეინმა.

— არა, ჯეინ. ჩემს შემთხვევაში სხვაგვარად იყო. მე ბუნებრივად ვიმშობიარე. ოზი თავთით მეჯდა, გასაწუწნად ყინულის კუბურებს მაძლევდა (ორგანიზმი გაუწყლოებული მქონდა) და სუნთქვაში მეხმარებოდა. ბოლო ორი კი საერთოდ უექიმოდ გავაჩინე, მხოლოდ მედდა მედგა გვერდით.

— ცნობილია თუ არა თქვენთვის, — თქვა ვან ჰორნმა პედანტურად გონივრული ტონით, რომელიც ლექსას ანგარიშმიუცემლად მოსწონდა, იგი მას მორცხვი, მოუქნელი მოზარდის სახით წარმოედგინა, როგორიც ის, ალბათ, ოდესღაც იყო, — რომ ექიმის პროფესია, რომელშიც XIV საუკუნიდან მამაკაცები ბატონობდნენ, ჯადოქრობის შიშით წარმოიშვა. კოცონზე დამწვარი ბევრი კუდიანი ხომ ბებიაქალი იყო. მათ ჰქონდათ ჭვავის რქა, ატროპინი და, შესაძლოა, უტყუარი ინტუიცია, თეორიული ცოდნის გარეშეც კი. როდესაც საქმეს მამაკაცი ექიმები ჰკიდებდნენ ხელს, ისინი ბრმად მუშაობდნენ, ქალს კისრამდე ზეწარში ახვევდნენ და სხვა პაციენტებიდან ყველანაირი ავადმყოფობა გადმოჰქონდათ. საბრალო მშობიარეები დასტა-დასტად იღუპებოდნენ.

— სიმბოლურია, — მტკიცედ განაცხადა ჯეინმა. მან, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ჟინიანობით ვან ჰორნის ყურადღებას მიიქცევდა, — შოვინისტ მამაკაცებში ყველაზე მეტად ის მაცოფებს, — განაგრძო მან, — რომ ისინი ფემინიზმის მიმართ შემწყნარებლობას მხოლოდ ქალის ტრუსამდე სწრაფად მიღწევის მიზნით იჩენენ.

მაგრამ მისი ხმა, როგორც ალექსანდრას მოეჩვენა, თანდათან შენელდა, შერბილდა, წყალი გარედან მოქმედებდა, ბალახი კი შიგნიდან.

— ჩემო კარგო, შენ ხომ ტრუსებს საერთოდ არ ატარებ, — დააზუსტა ალექსანდრამ. ფრაზამ ისე გაიჟღერა, როგორც ჯეინის ღირსების აღიარებამ. ოთახი უფრო განათდა, თუმცა პანელს არავინ შეხებია.

— მე არ ვხუმრობ, — განაგრძო ვან ჰორნმა, რომელშიც კვლავაც იგრძნობოდა ახლომხედველი სკოლის მოსწავლე, რომელიც რაღაცის მიხვედრას ცდილობს. მისი სახე წყლის ზედაპირზე ისე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განისვენებდა, როგორც ლამბაქზე, იოანე ნათლისმცემელივით გრძელი თმა კი მხრებზე გასწორებულ ხუჭუჭა ბეწვს გადახლართოდა, — ეს ყველაფერი ხომ გულიდან მოდის, არა, გოგონებო? მიყვარს ქალები. დედაჩემი ყოჩაღი, ჭკვიანი და ლამაზი იყო. ღმერთია მოწმე. ვხედავდი, როგორ მუშაობდა მთელი დღის განმავლობაში, შვიდის ნახევარზე კი საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ეს კაცუნა შემოდიოდა. გუნებაში ვფიქრობდი: „რა უნდა აქ ამ ბედუკულმართს? ჩემი მოხუცი მამილო — შრომისმოყვარე ბედუკულმართია“. სიმართლე მითხარი, როგორი შეგრძნებაა, როცა რძე მოდის?

— როგორი შეგრძნებაა, როცა პენისიდან შარდი გამოდის?

— ჰეი, მოდით რა, უხამსობის გარეშე.

ალექსანდრამ გულწრფელი შეშფოთება იგრძნო კაცის დამძიმებულ, ნაოჭებით დაფარულ სახეზე, როგორც ჩანს, მას თავისი სისუსტეები ჰქონდა.

— ვერ გამიგია, სად არის აქ უმსგავსობა, — ჯიუტად განაგრძობდა ჯეინი, — თქვენ ფიზიოლოგიაზე გსურთ საუბარი. მეც სწორედ ფიზიოლოგიურ პარალელს გთავაზობთ — მეხსიერებაში ისეთი შეგრძნების გამოწვევას, რომლებსაც ქალები ვერ განიცდიან. ჩვენ ხომ სქესობრივ კავშირსაც განსხვავებულად ვამყარებთ. სრულიად სხვაგვარად. ნუთუ არ მოგწონთ სიტყვა, რომლითაც კლიტორს აღნიშნავენ, — ჰომოლოგიური?

ალექსანდრამ გადაწყვიტა, ჩარეულიყო და შესაფერისი შედარება შესთავაზა:

— ეს იმას ჰგავს, როცა მოშარდვა გინდათ და ვერ შვრებით, მერე კი უცებ გამოდის.

— აი, რა მომწონს ქალებში, — თქვა ვან ჰორნმა, — მათი უბრალო შედარებები. თქვენს ლექსიკონში არ არის სიტყვა „მახინჯი“. ღმერთო ჩემო, მამაკაცები ყველაფერში ისეთი ზიზღიანები არიან — სისხლი, ობობები, ღებინება. ის თუ გაგიგიათ, რომ ზოგიერთ ცხოველებში ძუკნა, იგივე ნეზვი, თუ რას ეძახიან კიდევ, მშობიარობის შემდეგ საკუთარ ნაყოფს ჭამს?

— ვფიქრობ, სულ არ უკვირდებით, — თქვა ჯეინმა, რომელიც ცდილობდა, მშრალი ტონით ელაპარაკა, — რომ თქვენი სიტყვები შოვინიზმია და მეტი არაფერი, — ქალის მშრალმა ტონმა სათანადო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეფექტი ვერ მოახდინა, უფრო პირიქით, როგორც კი იგი აბაზანაში თითის წვერებზე დადგა და წყლიდან მისი მოვერცხლისფრო ძუძუები გამოჩნდა — ერთი ცოტათი პატარა და მეორეზე მაღლა მოთავსებული. მან ისინი ხელისგულებით წამოსწია, სივრცეს გახედა და ლაპარაკი დაიწყო, თითქოს თავისი ცხოვრების უხილავ მოწმეს მიმართავდა:

— ყოველთვის მინდოდა, უფრო გაფუებული მკერდი მქონოდა. ლექსასავით. მას დიდი, ლამაზი ძუძუები აქვს. უჩვენე დარილს, ძვირფასო.

— გთხოვ, ჯეინ. ნუ მაწითლებ. ჩემი აზრით, მამაკაცისთვის მთავარი მისი ზომა კი არაა, არამედ ის, რომ... ჩამოკიდებული არ ჰქონდეს და ფიგურასაც უხდებოდეს. და თვითონ რას ფიქრობ მათ შესახებ — თუ კმაყოფილი ხარ, სხვებიც კმაყოფილნი იქნებიან. არ მეთანხმებით? — ჰკითხა მან ვან ჰორნს.

მაგრამ დარილი, როგორც ჩანს, ყველა მამაკაცის წარმომადგენლად არ ვარგოდა. წყლიდან ისიც ამოიწია და თმიანი ხელები თავის რუდიმენტულ მამაკაცურ ძუძუსთავებზე მიიფარა, სველი, შავი წრეებით გარშემორტყმულ ნამცეცა კორძებზე.

— აბა, წარმოიდგინეთ, როგორ ვითარდებოდა ეს ყველაფერი, — თქვა ვან ჰორნმა, — ერთი სქესისთვის ისეთი ორგანიზმი, მილების ისეთი სისტემა შეიქმნა, რომელიც საკვებს ქმნის, გაცილებით შესაფერისს ახალშობილისთვის, ვიდრე ნებისმიერი, პატარებისთვის განკუთვნილი რძის პროდუქტი, მიღებული ლაბორატორიის პირობებში. ახლა სექსუალური ტკბობის ევოლუციაზეც დაფიქრდით! განა შეუძლიათ ეს თავფეხიანებს? პლანქტონებს? ჩვენ კი ამაზე ფიქრის მეტს არაფერს ვაკეთებთ. როგორი სატყუარა უნდა შეიქმნას, რომ თამაშის გაგრძელება მოგვინდეს? აქ მეტი სტილია ჩადებული, ვიდრე ნებისმიერ სულელურ ჯაშუშ თვითმფრინავში, რომელიც გადასახადის გადამხდელებს უზარმაზარი თანხა უჯდებათ, და რომელსაც, ალბათ, მალე ჩამოაგდებენ. ეს სატყუარა რომ არ არსებობდეს, აღარავინ იჟიმავებდა და ადამიანის მოდგმაც მოისპობოდა, ველარავინ დატკბებოდა შზის ჩასვლით, ველარავინ აღფრთოვანდებოდა პითაგორას თეორემით.

ალექსანდრას მოსწონდა მისი აზრების მსვლელობა, სიმარტივე და მისაწვდომობა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— აღფრთოვანებული ვარ ამ ოთახით, — წარმოთქვა ოცნებებით აღვსილმა, — თავიდან არ მომეწონა. ყველაფერი შავი, გარდა ჯოს მიერ დაყენებული სპილენძის ლამაზი მილებისა. ისე, ჯოც საყვარლად გამოიყურება, როცა ქუდი არ ახურავს.

— ვინ არის ეს ჯო? — იკითხა ვან ჰორნმა.

— ჩვენი საუბარი, — განაცხადა ჯეინმა მსტვინავი „ს“-თი, — როგორც ვხედავ, საკმაოდ პრიმიტიულ დონემდე დავიდა.

— თუ გნებავთ, რაიმე მუსიკას ჩაგირთავთ, — შესთავაზა ქალებს ვან ჰორნმა, რომელსაც გულწრფელად სურდა, რომ სტუმრებს არ მოეწყინათ, — სტერეომაგნიტოფონი მაქვს ოთხი ბილიკით.

— ს-ს! — თქვა ჯეინმა, — მანქანის ხმა მესმის.

— სადღესასწაულოდ გადაცმულები იქნებიან, — ივარაუდა ვან ჰორნმა, — ფიდელი მათ ვაშლის ღვეზლით გაუმასპინძლდება, ჩვენი გამომცხვარია.

— იქნებ სიუკი დაბრუნდა? — აზრი გამოთქვა ალექსანდრამ, — ჯეინ, შენ ნამდვილი უნიკუმი ხარ, შესანიშნავი ყურები გაქვს.

— სწორედაც რომ! — დაეთანხმა ჯეინი, — მართლაც კარგი ყურები მაქვს, მამაც კი სულ ამას მეუბნებოდა. შეხედეთ, — მან თმა ჯერ ერთი ყურიდან გადაიწია, შემდეგ თავი მოატრიალა და — მეორიდან, — ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ერთი მათგანი ცოტა მაღლაა აწეული, რის გამოც სათვალე ყოველთვის ცერად მიკეთია.

— ისინი თითქმის კვადრატულია, — თქვა ალექსანდრამ.

ჯეინმა ეს კომპლიმენტად მიიჩნია და განაგრძო:

— თანაც ლამაზია და თავსაც უხდება. სიუკს კი მაიმუნივით აქვს გადმოყრილი, არ შეგიმჩნევია?

— ხშირად.

— თვალებიც ახლო-ახლო აქვს, კბილები კი ბავშვობაში უნდა გაესწორებინა. ახლა ცხვირი? ღილია და მეტი არაფერი. სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ, როგორ ახერხებს, რომ ამ ყველაფერთან ერთად მიმზიდველადაც გამოიყურებოდეს?

— ვფიქრობ, სიუკი აღარ დაბრუნდება, — თქვა ვან ჰორნმა, — იგი ძალიან ნერვიულია, ისევე, როგორც ყველანი ამ ქალაქში.

— არის და არც არის, — თქვა ვიღაცამ. ალექსანდრამ გაიფიქრა, ჯეინიაო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ საკუთარი ხმა მოესმა, —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

განა კარგი არაა? — წარმოთქვა მან, რათა ყური მიეგდო. დაბალი ხმა იყო, მამაკაცისას ჰგავდა.

— ჩვენი სახლი სახლიდან მოშორებითაა, — თქვა ჯეინმა სარკასტულად, როგორც ეს ალექსანდრას მოეჩვენა.

სიუკის ნაცვლად ფიდელი შემოვიდა და უზარმაზარი გრავირებული ვერცხლის ლანგრით, რომლის შესახებაც აღფრთოვანებით ჰყვებოდა სიუკი, „ზიზილები“ შემოიტანა. წვრილფეხიან განიერ ბოკალთა კიდეებზე მარილის მსხვილი არშია ბრწყინავდა. ალექსანდრას ეუცნაურა — საკუთარ სიშიშვლეს იგი ძალზე ბუნებრივად აღიქვამდა, — რომ ფიდელი გახდილი არ იყო, მისი ფორმის ქურთუკი ერთდროულად პიჟამასაც ჰგავდა და ბამბის სამხედრო ფრენჩსაც.

— შეაფასეთ, ქალბატონებო! — შესძახა ვან ჰორნმა ტრაბახა პატარა ბიჭივით, თან ბავშვურად თეთრი დუნდულები გამოაჩინა. იგი წყლიდან ამოძვრა და შორეულ შავ კედელთან მოთავსებულ პანელთან აფუსფუსდა.

თავს ზემოთ სუსტი ღრჭიალი გაისმა და ჭერის ის ნაწილი, სადაც ნათურები არ იყო — მხოლოდ მკრთალი დაღარული ლითონი, როგორც რომელიმე საიარაღო საწყობში, — გადაიხსნა და გამოჩნდა მელანივით შავი ცა ვარსკვლავთა წვრილი შხეფებით. ალექსანდრამ იცნო თხელი, თითქოს დაწებებული ობობის ქსელი პლეადებისა[1] და დიდი წითელი ალდებარანი.[2] ეს აბსურდულად შორეული ციური სხეულები, შემოდგომისთვის უჩვეულოდ თბილი, თუმცა მძაფრი სუნის მქონე ჰაერი, ნეველსონის სტილის შავი კედლების ლაბირინთი, არპის[3] სიურრეალისტურ სტილში მომრგვალებული საკუთარი სხეულის ფორმები, რომლებიც მის მგრძნობიარე „მე“-ს შეესაბამებოდა, — ყველაფერი რეალური იყო, როგორც ორთქლში გახვეული აბაზანა და ბოკალის ცივი ფეხი, ყველაფერი მრავალი ჰაე-

---

[1] *პლეადები — ვარსკვლავთა ჯგუფი კუროს თანავარსკვლავედში (მომდინარეობს ტიტან ატლანტისა და მისი ცოლის პლეიონას იმ შვიდი ქალიშვილის სახელებიდან, რომლებიც, ბერძნული მითოლოგიით, ზევსმა სიკვდილის შემდეგ ვარსკვლავებად აქცია).*

[2] *ალდებარანი — პირველი ვარსკვლავიერი სიდიდის მოწითალო გიგანტი ვარსკვლავი კუროს თანავარსკვლავედში.*

[3] *არპი, ჟან (ჰანს) (1886-1966) — ფრანგი და გერმანელი მოქანდაკე, გრაფიკოსი, მხატვარი და პოეტი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როვანი სხეულით იყო შეკავშირებული. ვარსკვლავები შეგროვდნენ, ცრემლებად გადაიქცნენ და ცხელი თვალები გაუვსეს. მან ზანტად გადააქცია ბოკალის ფეხი ყვითელი ვარდის დაძაგრულ ღეროდ და მისი არომატი შეისუნთქა. ლაიმის წვენის სუნს ჰგავდა. ტუჩებზე ცვარივით მოუჩანდა მარილის მსხვილი კრისტალები. ალექსანდრას თითში ეკალი შეესო, სისხლის წვეთი თითის ბალიშის ცენტრისკენ წამოვიდა. დარილ ვან ჰორნი კვლავაც პანელთან საქმიანობდა, მისი უკანალი კი თეთრად ანათებდა. ისე ჩანდა, რომ მისი სხეულის ეს ერთადერთი ნაწილი, რომელიც უთმო იყო და არც ზიზღს იწვევდა, გარე ჩონჩხის გარსში იყო მოქცეული და მის ჭეშმარიტ „მე“-ს წარმოადგენდა. მაშინ, როცა ადამიანთა უმრავლესობის ნამდვილ „მე“-დ ჩვენ მათი თავი მიგვაჩნია. ალექსანდრას მოელვარე, მიამიტი უკანალის კოცნა მოუნდა. ამ დროს ჯეინმა მას რაღაც ძლიერი სასმელი მიაწოდა. მანაც დამჯერედ მიიტანა ტუჩებთან. ალექსანდრას ყელში ერთმანეთს ცეცხლი და მეგობრის ანთებული მზერა შეერია, რომლის ხელიც თევზივით დასრიალებდა წყალში მის მუცელზე, აგრეთვე ძუძუების ირგვლივ, რომლებიც ჯეინის შურის საგანს წარმოადგენდა, მისივე სიტყვების თანახმად.

— ეი, მეც მიმიღეთ, — შეევედრა ვან ჰორნი, წყალში ზღართანი მოადინა და ჯეინს ხელი შეუშალა, რომელმაც მაშინვე უკან წაიღო პატარა ხელი, რომლის თითებიც, წვერზე გაჩენილი კოჟრების გამო, თევზის კბილებივით ბასრი ჰქონდა. საუბარი განახლდა, მაგრამ სიტყვების აზრი იკარგებოდა და იგი შეხებას წაგავდა. დრო ზარმაცად გაედინებოდა ალექსანდრას მიძინებული ცნობიერების ჩანაქცევებში, სანამ სიუკი არ დაბრუნდა დროსთან ერთად.

იგი სწრაფად შემოვიდა და შემოდგომის სუნი შემოიტანა. ტყავისზორტებიან ზამშის ბოლოკაბაში გამოწყობილიყო. ზემოდან ტვიდის პიჯაკი ეცვა მონადირისთვის დამახასიათებელი უკანა ორმაგი ნაკეცებით. ატმისფერი ჩოგბურთის კაბა შინ, ჭუჭყიანი თეთრეულის კალათში დაეტოვებინა.

— შენი ბავშვები კარგად არიან, — უთხრა მან ჯეინ სმარტს.

ჩანდა, რომ მას ოდნავადაც არ ეხამუშებოდა ის, რომ ყველანი აბაზანაში ისხდნენ, თითქოს ეს დარბაზი, კაფელის იატაკი, გველებივით მოლაპლაპე სპილენძის მილები, ფაფარაშლილი მწვანე ჯუნგლი და გადახსნილი ჭერიდან მოშზირალი, ვარსკვლავებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოჭედილი ცის ცივი მართკუთხედი უკვე ნანახი ჰქონდა. საოცრად სწრაფი ჩვეული მოძრაობით მან ჯერ უნაგირივით დიდი ტყავის საფულე დადო სკამზე, რომელიც ალექსანდრამ ახლაღა შეამჩნია, — შავი სავარძლები და მატრასები სიბნელეს ერწყმოდა, — შემდეგ კი გახდას შეუდგა. ჯერ დაბალქუსლიანი, ბრტყელცხვირიანი ფეხსაცმელი გაიძრო, შემდეგ მონადირის ჟაკეტი; ზამშის ბოლოკაბა თეძოებიდან ქვემოთ დაუშვა და უნაზესი ბეჟი შეფერილობის, გრავირებული მოსაწვევების მსგავსი ფერის აბრეშუმის ბლუზა შეიხსნა. ამას ჩაის ვარდის ფერის მოკლე კომბინაცია და თეთრი ტრუსი მოჰყვა, რის შემდეგაც სიუკმა ლიფი შეიხსნა და წინ გაწვდილი ხელებით ისე დაიხარა, რომ ორი ცარიელი თასი ხელებიდან პირდაპირ ხელისგულებზე დაუვარდა, მოშიშვლებული მკერდი კი მოძრაობის ტაქტში შეირხა. პატარა ძუძუები აშვეროდა, მომრგვალებული კონუსები, რომელთა ბოლოები თითქოს უფრო მკვეთრ ვარდისფერ საღებავში ამოევლოთ. მათ კვირტად ამოზრდილი კერტის ენერგიული ამობურცულობა აკლდათ. ალექსანდრას ეჩვენებოდა, რომ მეგობრის მთელი სხეული ალს ჰგავდა, ალს, რომელიც ნაზად, მჭრქალად იწვოდა. დაინახა, თუ როგორ მშვიდად დაიხარა სიუკი იატაკიდან ტანსაცმლის ასაღებად და სკამზე დასაგდებად, მატერიალიზებულ ჩრდილს რომ ჰგავდა. შემდეგ აუჩქარებლად მოქექა უზარმაზარი საფულე გახსნილი ჯიბეებით, რათა სარჭები ეპოვა და კეფაზე დაემაგრებინა ნაკლებად ხასხასა, მაგრამ გამომწვევი თმა, რომელსაც წითურს უწოდებენ, თუმცა სინამდვილეში რაღაც საშუალო იყო გარგარსა და ურთხელის მერქნის შიგა წითელ მხარეს შორის. სიუკს ყველგან ასეთი ფერის თმა ჰქონდა, და როცა მან ხელები მაღლა ასწია, იღლიების ქვეშ ორი ბუჩქი გამოუჩნდა, ორი გვერდულად მჯდომი ფარვანა. ეს უკვე პროგრესს ნიშნავდა: ალექსანდრა და ჯეინი, პატრიარქალური ჩვეულების მიხედვით, ჯერაც იპარსავდნენ თმას, რაც მაშინ შეისისხლხორცეს, როდესაც გოგონები იყვნენ და ქალად ყოფნას ცდილობდნენ. ბიბლიურ უდაბნოში ქალებს აიძულებდნენ, რომ იღლიების ქვეშ თმა კაჟით მოეფხიკათ, ქალის თმიანობა მამაკაცს იზიდავს, ხოლო სიუკი, ალქაჯთაგან ყველაზე ახალგაზრდა, სულაც არ თვლიდა თავს ვალდებულად, რომ თავისი ბუნებრივი ყვავილობა რაიმეთი მაინც შეეზღუდა. მოხდენილი ტანი, ჭორფლით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაფარული წინამხრები და წვივები საკმაოდ ფუმფულა ჰქონდა და ნაზად ირწეოდა, როდესაც სიბნელიდან გამოსული, თავისი ხელოვნური, მუქი ერთფეროვნებით ხმის ჩამწერ სტუდიას რომ ჰგავდა, იატაკზე დაყენებული სანათების მოყვითალო შუქით განათებულ აუზის კიდეს მეგობრებისკენ გაუყვა. მისი შიშველი სხეული ისე ციმციმებდა, როგორც ეკრანზე, როდესაც რამდენიმე კადრი ერთმანეთს ედება წყვეტილი, შემაშფოთებელი და მოჩვენებითი მოძრაობის ეფექტის შესაქმნელად. ახლა სიუკი მათთან ერთად იყო და მოცულობაც შეეძინა. მომხიბლავი გრძელი სხეული ერთი მხრიდან ოდნავ შეშუპებოდა და იქ იისფერი სისხლჩაქცევა მოუჩანდა (ეს სიყვარულით სავსე ედ პარსლის სინდისზე ხომ არ იყო მისი მუდმივი დანაშაულის შეგრძნებით?). ჭორფლი არა მარტო ხელებსა და ფეხებზე, არამედ შუბლზეც უბრწყინავდა, რამდენიმე ცალისგან შემდგარი თანავარსკვლავედი კი ცხვირის ძგიდესა და ნიკაპზეც მკვეთრად ემჩნეოდა. როდესაც იგი აბაზანის კიდეზე ჩამოჯდა, სუნთქვა შეიკავა, ზურგი მოხარა და დუნდულები დაძაბა, პატარა სამკუთხა ნიკაპი მტკიცედ ასწია ზევით და სამკურნალო წყალში ჩაეშვა, რომელსაც ჯერაც ბევრი ორთქლი ასდიოდა.

— ღმერთო ჩემო! — შესძახა მან.

— მიეჩვევი, — დაამშვიდა ალექსანდრამ, — შესანიშნავი რამეა, მხოლოდ გაბედვა სჭირდება.

— აბა, რას იტყვით, გოგოებო, ცხელია? — იკითხა დარილ ვან ჰორნმა ტრაბახითა და იმავდროულად შეშფოთებით, — ჩემთვის, ჩვეულებრივ, თერმოსტატს ვაყენებ ხოლმე ოცი გრადუსით მეტზე. ნაბახუსევზე კარგად მოქმედებს, ყველა ტოქსინი გარეთ გამოაქვს.

— რას აკეთებდნენ? — ჰკითხა ჯეინ სმარტმა სიუკს. მას სახე და კისერი დაეძაბა, ალექსანდრამ კი დაჟინებითა და სიყვარულით შეხედა ყველაზე უმცროს მეგობარს.

— როგორც ყოველთვის, — მიუგო სიუკმა, — ორმოცდამეთექვსმეტე არხზე ძველ ფილმებს უყურებდნენ და წინასწარ მოგროვილი კანფეტებით სკდებოდნენ.

— შემთხვევით ჩემს სახლთანაც ხომ არ ჩაგივლია? — მორიდებით ჰკითხა ალექსანდრამ. მშვენიერი სიუკი წყალში მის გვერდით იდგა და მისგან წამოსული ტალღები ალექსანდრას სხეულს ელამუნებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საყვარელო, მარსი უკვე ჩვიდმეტისაა, — უთხრა სიუკმა, — დიდი გოგოა. თავს გაართმევს. გამოფხიზლდი! — და მან კეკლუცად უბიძგა ალექსანდრას მხარში.

სიუკის ერთმა ვარდისფერკერტიანმა ძუძუმ წყლიდან თავი ამოყო. ალექსანდრას მისი მოწუწნა მოუნდა და ეს უფრო ძლიერი სურვილი იყო, ვიდრე ვან ჰორნისთვის უკანალზე კოცნა. მისი კისერი და სახე წყალს მინდობოდა, გაშლილი თმა სურვილით ანთებულ პირს ედებოდა. მარცხენა მხარე უხურდა, ხოლო სიუკის მწვანე თვალებში ჩანდა, რომ იგი ალექსანდრას აზრებს კითხულობდა. შუშის თავსახურავს შორის სამი ალქაჯის აურა ერთმანეთს შერეოდა — ვარდისფერი, იისფერი და მოწითურო-მოყავისფრო, ხოლო ვან ჰორნის მძიმე აურა მის თავს ზემოთ აღმართულიყო, როგორც წმინდანის უხეში, ხის შარავანდედი მექსიკის რომელიმე ღარიბულ ეკლესიაში.

მარსი, ალექსანდრას ქალიშვილი, რომელიც სიუკმა ახსენა, მაშინ დაიბადა, როდესაც დედამისი ოცდაერთი წლის იყო. ალექსანდრა ოზს ცოლობაზე დასთანხმდა და კოლეჯი მიატოვა, ახლა კი მას მისი ოთხი შვილი გაახსენეს, თუ როგორ გაჩნდნენ ისინი ამქვეყნად ერთიმეორის მიყოლებით. სწორედ გოგოები სწოვდნენ მას აუტანლად, ლამის მთელი შიგნეულობა ამოეტრიალებინათ. ბიჭები კი თავიდანვე კაცებს ჰგავდნენ — იგივე შეუპოვარი სიხარბე, სწრაფი წოვისგან გამოწვეული ტკივილი, წაგრძელებული ცისფერი თვის ქალები, კოპისებური და თამამი დაჭიმული კუნთების კონებს ზემოთ, სადაც ერთხელაც მამაკაცური წარბები გაჩნდება. გოგონები გაჩენის დღიდანვე დელიკატურები იყვნენ, ნაზები, რაღაცის სურვილით აღვსილები, ჩასახუტებლად გამზადებული ტკბილი გუნდები, ისინი ლამაზ, მონა ქალებად უნდა ქცეულიყვნენ. ჩვილები: მათი მშვენიერი, რეზინივით გამრუდებული ფეხები, თითქოს ძილში პატარა ცხენებს დააჭენებენ. გულის ამაჩუყებელი, საფენებში გახვეული შორისი; მოქნილი სოსანისფერი ტერფები, პენისის გარსივით გლუვი კანი, ინდიგოს ფერის სერიოზული გამოხედვა, მორკალული, დაუფარავად დორბლიანი პირი. როდესაც ისინი მარცხენა თეძოზე სხედან, მსუბუქად გეკვრიან გვერდზე, როგორც ვაზი კედელს, იმ გვერდზე, სადაც გული გაქვს. მათი საფენებიდან წამოსული ნიშადურის სუნი. ალექსანდრა ასლუკუნდა, როდესაც დაკარგული ახალშო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბილები გაახსენდა, იმ ბავშვების მიერ შთანთქმული, რომლებადაც ისინი გადაიქცნენ; ახალშობილები, დღეებისა და წლების მიერ ნაკუწ-ნაკუწად ქცეულნი და ჩაყლაპულნი. ქალს თბილი ცრემლები ჩამოუგორდა, ისინი გახურებულ სახესთან კონტრასტში მოვიდნენ, ნესტოებისკენ დაცურებულებმა, ცხვირი გააგრილეს, პირის კუთხეები აამლაშეს და, ნიკაპის ფოსოში პატარა ნაკადულებად ჩაღვრილებმა, წვეთა დაიწყეს. ამასობაში ჯეინი კვლავ მასთან იყო: ჯერ კისერი დაუზილა, შემდეგ musculus trapezius[1] და, კიდევ უფრო იქით, დელტისებური და მკერდის კუნთები. მათ, ჯეინის ძლიერმა ხელებმა, მისი სევდა უკვალოდ გააქრეს. აი, იგი ახლა წყლის ზევით ზელს, მერე წყალში, წელს ქვემოთაც. პანელის პატარა, წითელი თვალები სითბოს არეგულირებს და თან აუზსაც აკვირდება. „ზიზილებმა“ და მარიხუანამ თავისი გამათავისუფლებელი შხამი სისხლძარღვთა დადარდიანებულ, მოწყვლად სამეფოში გაფანტეს. ალექსანდრას საბრალო, მიტოვებული ბავშვები მის მომჯადოებლობას შეეწირნენ, მის სულელურ, არაფრის მაქნის მომჯადოებლობას, და მხოლოდ ჯეინს ესმის მისი, ჯეინსა და სიუკს. მოქნილი და ახალგაზრდა სიუკი მის გვერდითაა, ეხება მას და პასუხად იმავეს იღებს. მისი სხეული ყრუ ტკივილის გამომცემი კუნთების წნული კი არა, მარჯვე, ნაზჭორფლიანი ტირიფის წნელია, თეთრ კისერს აწეული თმის ქვეშ მზის სხივი არ მოხვედრია, ქარვისფერი კულულების ქვეშ რბილი ალებასტრის ნაჭერია. ჯეინი ალექსანდრას ეფერებოდა, ალექსანდრა — სიუკს. მის ხელებში სიუკის სხეული აბრეშუმისას ჰგავდა, მძიმე, გლუვზედაპირიან ნაყოფს. ალექსანდრა ისე გაეხვია მელანქოლიურ, მოზეიმე და ნაზ გრძნობებში, რომ მიღებულ და გაცემულ ალერსში განსხვავებას ვეღარ გრძნობდა. სამივე ქალის მხრები, ხელები და მოულოდნელად ამოტივტივებული ძუძუები ერთმანეთს თანდათან უახლოვდებოდა, სანამ, სამი გრაციის მსგავსად, ჯგუფი არ შექმნეს, მათი თმიანი, შავგვრემანი მასპინძელი კი წყლიდან ამოსულიყო და კარადის შავ ყუთებში იქექებოდა. სიუკი უცნაურად საქმიანი ტონით, ხმით, რომელიც, როგორც ალექსანდრას მოეჩვენა, შორიდან ისმოდა, ვან ჰორნთან იმის შესახებ ბჭობდა, თუ რომელი მუსიკა დაედოთ ძვირფას, ორთქლგაუმტარ სტე-

[1] *ტრაპეციული კუნთი (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეოსისტემაზე. კაცი შიშველი იყო და მისი ჩამოკიდებული ფერმკრთალი გენიტალიები ძაღლის ამოძუებულ კუდს ჰგავდა, რომელიც უწყინარ ყითანაწლავს ფარავდა.

ქალაქ ისთვიქში იმ ზამთარს ჭორები გავრცელდა — ვაშინგტონისა თუ საიგონის მსგავსად, იქაც ხდებოდა ინფორმაციის გაჟონვა: ფიდელი ქალაქში ერთ ქალთან მეგობრობდა, რესტორან „ნემოს“ ოფიციანტთან, მორიდებულ შავკანიანთან, წარმოშობით ანტიგუელთან, რომელსაც რებეკა ერქვა. იმასაც ამბობდნენ, რომ ლენოქსების ძველ სახლში ორგიები ეწყობოდა. რამაც ალექსანდრა პირველ საღამოს გააოცა და მერეც მუდამ განაცვიფრებდა, ის იყო, რომ ეს მოუქნელი, მოუთმენელი და სტუმარმასპინძლობის დეტალებში არც ისე კარგად გათვითცნობიერებული კაცი, რომელიც მათ არა მარტო ჭერს, საკვებს, მუსიკასა და მოსახერხებელ მუქ ავეჯს სთავაზობდა, არამედ ნეტარებასაც ჩუქნიდა, ურომლისოდაც დროის შესაფერისი ბუნებრიობა პატარ-პატარა ნაკადულებად გაედინება სხვების მიერ გათხრილ არხებში, როგორებიც არიან ძველი მქადაგებლები და ამკრძალველები, ამქვეყნიურობის გმირულად უარყოფის თეორიის დამცველები, რომლებმაც მომხიბლავი ენ ჰატჩინსონი, მქადაგებელი ქალი, სხვა ქალებს დახმარების ხელს რომ უწვდიდა, უდაბნოში განდევნეს წითელკანიანთა, პურიტან მღვდელთა მსგავს შეუბრალებელ ფანატიკოსთა საჯიჯგნად. სხვა მამაკაცების მსგავსად, ვან ჰორნიც მოითხოვდა, რომ ქალებს იგი მეფედ მიეჩნიათ, მაგრამ გადასახადების აკრეფის მისი სისტემა მნიშვნელოვან საგნებს შეეხებოდა — მათ სხეულებსა და მხიარულ განწყობილებას, რომელსაც ისინი მართლაც ფლობდნენ, და არა სულიერ ფასეულობებს, რომლებსაც არარსებული ზეცისთვის უნდა გაფრთხილებოდნენ. სწორედ გულკეთილობა აძლევდა ვან ჰორნს საშუალებას, რომ მათი ერთმანეთისადმი სიყვარული მისდამი ტრფობაში გადაეზარდა. მისი სიყვარული ამ ქალების მიმართ რამდენადმე აბსტრაქტული და ამიტომაც ფორმალური იყო, იგი თავაზიანობაში, მოკრძალებულ სალამსა და ქათინაურებში მჟღავნდებოდა, როდესაც ისინი მის მიერ შემოთავაზებული ორიგინალური სამოსით თუ ცალკეული დეტალებით სარგებლობდნენ: კატის ტყავის ხელთათმანებით, მწვანე ტყავის წვივსაკრავებით. ხანაც მას წელზე ქამარს, წითელი მატყლისგან დაწნულ ცხრაფუტიან ზონარს არტყამდენ. იგი ხშირად იდგა აუზის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავზე, მათ უკან, როგორც პირველ საღამოს, და რთულ და ტენი-სადმი მგრძნობიარე მოწყობილობას არეგულირებდა.

ღილაკს თითი დააჭირა. გოფრირებული სახურავი გრუხუნით დაუბრუნდა თავის ადგილს და ღამის ცას გადაეფარა. მერე კაცმა მუსიკა ჩართო — ჯერ ჯოპლინმა[1] შეასრულა გამკინავი და ხრინწიანი ხმით „ჩემი გულის ნაწილი“, „აიღე, სანამ შეგიძლია“, „ზაფხული“ და „მლანძღავენ“, რომელშიც მხიარული გამოწვევა და ქალის სასოწარკვეთილება იგრძნობოდა, შემდეგ ტაინი ტიმი[2] მიიპარებოდა თითის წვერებზე ტიტებს შორის და უსქესო მთრთოლარე ხმით რაკრაკებდა, რომელიც ვან ჰორნს ძალიან მოსწონდა და კვლავ და კვლავ აბრუნებდა ნემსს საწყის ბილიკზე, სანამ ალქაჯებმა ხმაურით არ მოითხოვეს, რომ ისევ ჯოპლინისთვის მოესმინათ. მუსიკა ყოველი მხრიდან ისმოდა, ოთახის ოთხივე კუთხიდან. ისინი ცეკვავდნენ, მუსიკის ტაქტში მსუბუქ მოძრაობებს ფრთხილად ასრულებდნენ, ხშირად ზურგით შეტრიალდებოდნენ ხოლმე, რათა მოლანდებული გოლიათი მომღერლების ხმებით გაჟღენთილიყვნენ. სხეულს მხოლოდ თავ-თავიანთი აურა და თმა უფარავდათ, და სანამ ჯოპლინი კვლავაც ვნებიანად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვამდა „ზაფხულის“ სიტყვებს, თითქოს მათ გახსენებას ცდილობდა ნარკოტიკებით გაბრუებული მებრძოლის მსგავსად, ჯიუტად რომ დგება ხალიჩიდან, რადგან კონში დიდი ფულია ჩადებული, ერთმანეთს გადახვეული, ჩახუტებული, მკერდით მკერდზე მიკრული სიუკი და ალექსანდრა ადგილზე ირწეოდნენ, მათი გაშლილი თმა ცრემლებს ერეოდა, ზოგჯერ ისე ჩანდა, რომ ბალიშებით აუჩქარებულ ბრძოლაში იყვნენ ჩართულნი, შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები უბრწყინავდათ ძველეგვიპტური ყელსაბამის მძივებივით. და როდესაც ჯოპლინი მოჩვენებითი სიმსუბუქით გადაეშვა „მე და ბობ მაკ ჯის“ მორევში, ვან ჰორნმა, რომლის წამოჭარხალებული პენისი ყალყზე იდგა მის წინ მუხლებზე დაშვებული ჯეინის ძალისხმევის წყალობით, თავისი შეუხედავი ხელებით პანტომიმა შეასრულა — პენისი რეზინის თეთრი ხელთათმანების მსგავს, ბეწვის პატარა კონებით დაფარულ ხელისგულებსა და ხის გომბეშოს თუ ლემურისნაირ

---

[1] *ჯოპლინი, ჯენის ლინ (1943-1970) — ამერიკელი როკმომღერალი, „როკ-ენ-როლის დედოფალად“ წოდებული.*

[2] *ტიმი, ტაინი (1932-1996) — ამერიკელი მომღერალი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფართო თითის წვერებში მოიქცია. ამასობაში სიბნელეში მოქანავე ჯეინის თავს ზემოთ „ფულ-ტიტლ-ბუგი“ ბენდის შთაგონებით აღვსილი პიანისტის შესრულებით ამაღელვებელი სოლო ისმოდა.

ვან ჰორნის ველურის შავ მატრასებზე ქალები მასთან ერთად ერთობოდნენ, და ეს მათი ურთიერთობის ენა იყო. კაცმა ზებუნებრივი თავშეკავება გამოამჟღავნა. როდესაც თესლი გადმოინთხა, ყველამ აღნიშნა — ეს მოგვიანებით მოხდა, — რომ ის საოცრად ცივი იყო. ალექსანდრა ჩაცმას შუაღამის შემდეგ, ნოემბრის პირველივე საათს შეუდგა. მას მოეჩვენა, რომ ტანსაცმელი — ჩოგბურთს იგი განიერი შარვლით თამაშობდა მსუქანი ფეხების დასამალავად — უწონო აირით გავსებულიყო, წყალში ხანგრძლივად ყოფნისა და მიღებული საწამლავის შედეგად ხორცი ცოტათი დაეყარა. ალექსანდრას ძაღლის სუნით გაჟღენთილი „სუბარუ“ მიჰყავდა, გამუქებული საქარე მინიდან კი სრული მთვარის სევდიან, დალაქავებულ სახეს შესცქეროდა. უეცრად, წამიერად, ყოვლად უმიზეზოდ გაიფიქრა, რომ ასტრონავტები მთვარეზე უკვე დაეშვნენ და იმპერიული სისასტიკის აქტი განახორციელეს — მთვარის უზარმაზარი, უნაყოფო ზედაპირი მწვანე საფრქვევლით შეღებეს.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი მეორე

ავკაცობა

„სხვა არ გავხდები, ფრიად კმაყოფილი ვარ ჩემი
მდგომარეობით; გამუდმებით მეფერებიან“.
ახალგაზრდა ფრანგი ალქაჯი, 1660 წელი

— გაიქცა? — იკითხა ალექსანდრამ ტელეფონში.

საშხარეულოს ფანჯრებს მიღმა ნოემბრის მკაცრი ფერები სჭარბობდა, ძველ ხეს ვაზის გაშიშვლებული ლერწი ეხვეოდა. ახლა, როცა პირველმა ყინვამ კორომსა და ჭაობში კენკრის ნაყოფი ჩამოყარა, ფრინველებისთვის საკვებურები უკვე გაევსოთ და ჩამოეკიდათ.

— სიუკმა ასე მითხრა, — თქვა ჯეინმა, — იგი ამბობს, რომ ყველაფერი აქეთ მიდიოდა და მან კარგა ხანია, შეამჩნია, ოღონდ ჩუმად იყო, რათა იგი არ გაეცა. კარგი საქმე კია: ნუთუ ის მართლა ფიქრობდა, რომ მოღალატე გახდებოდა, თუ ყველაფერს ჩვენ მაინც გაგვიმხელდა?

— რამდენი ხანია, რაც ედ პარსლი იმ გოგოს იცნობდა? — ჭურჭლის თაროს ქვეშ სპილენძის კაუჭებზე ჩამოკიდებული ჩაის ჭიქების მწკრივი ისე შეირხა, თითქოს მათ უხილავი მეარფის ხელი შეეხო.

— რამდენიმე თვეა. სიუკმა ჩათვალა, რომ კაცი მას უჩვეულოდ ექცეოდა. მეტწილად სათქმელისგან დაცლა სურდა და ქალის სახით მადლიერი მსმენელი ჰყავდა. კაცმა რომ თქვას, საბოლოოდ ეს უკეთესიც კი აღმოჩნდა: კიდევ კარგი, რომ ვენერიული დაავადება არ აიკიდა. თავადაც გეცოდინება, რომ ამ ჰიპებს, სხვა თუ არაფერი, ტილები მაინც ჰყავთ.

ღირსი ედ პარსლი ადგილობრივ თინეიჯერ გოგონასთან ერთად გაქცეულიყო, აი, ყველაფერი, რაც შეიტყვეს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ის გოგო ნანახი მყავს? — იკითხა ალექსანდრამ.

— კი, რა თქმა უნდა, — მიუგო ჯეინმა, — ერთი იმათთაგანია, საღამოს რვა საათისთვის მუდამ სუპერმარკეტის წინ რომ არიან დარჭობილნი, ჩემი აზრით, ნარკოტიკების მოლოდინში. ფერმკრთალი, ჭუჭყიანი, უცნაურად ფართო სახე, დაუბანელი, გაწეწილი, ზეთიანი თმა, პატარა ტყის მჩეხავივით ჩაცმული. აი, მათი გარეგნობა.

— მძივების სამაჯურებზე რას იტყვი?

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ატარებს, — სერიოზული სახით უპასუხა ჯეინმა, — ეკეთა, როცა პირველად წავიდა შეკრებაზე. წარმოგიდგენია? იმათ შორის იყო, გასული წლის მარტში ქალაქში მოწყობილ მიტინგზე პიკეტში რომ იდგნენ და ძეგლს სასაკლაოდან წამოღებული მკვდარი ცხვრის სისხლით რწყავდნენ.

— არ მახსოვს, ძვირფასო, შესაძლოა, იმიტომ, რომ გახსენება არ მინდა. ყოველთვის მეშინია სუპერმარკეტის წინ მდგარი ბიჭებისა. მაღაზიიდან სწრაფად გამოვდივარ ხოლმე და აქეთ-იქით არ ვიყურები.

— საშიში არაფერია, ისინი შენ უბრალოდ ვერ გამჩნევენ. მათთვის შენ პეიზაჟის ნაწილი ხარ, ხე.

— საბრალო ედი. ბოლო დროს ის მართლაც შეწუხებული ჩანდა. როდესაც კონცერტზე დავინახე, მომეჩვენა, რომ ჩემთან ჩახუტება სურდა. ვიფიქრე, რომ ეს უპატიოსნო საქციელი იქნებოდა სიუკის მიმართ და ახლოს არ მოვუშვი.

— გოგონა ისთვიქელიც კი არ აღმოჩნდა, უბრალოდ ყოველთვის აქ ეგდო, ისე კი თურმე კოდინგტონ-ჯანქშენში, დანგრეულ ტრაილერში ცხოვრობდა მამინაცვალთან ერთად. დედა სულ აღმა-დაღმა დაიარებოდა და რაღაც კარნავალებში მონაწილეობდა, ამას ახლა აკრობატიკას უწოდებენ.

ჯეინი ისე მკაცრად ლაპარაკობდა, კაცი იფიქრებდა, შინაბერა არისო, ცხადია, თუ ის არ ეცოდინებოდა, რასაც იგი დარილ ვან ჰორნთან სჩადიოდა.

— მას დონ პოლანსკი ჰქვია, — განაგრძობდა ჯეინი, — ვერ გეტყვით, ნამდვილი სახელია თუ მის მიერ მოგონილი. ახლა ბევრს მოსწონს მეტსახელების აღება: ლოტოსის ყვავილი, ციური ღვთაება და ა. შ.

იგი თავის ძლიერ, პატარა ხელებს წარმოუდგენლად მკვირცხლად ამოძრავებდა, და როცა ცივმა თესლმა ამოხეთქა, იგი სწო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რედ ჯეინისთვის იყო განკუთვნილი. ქალების სექსუალური მიდრეკილებების შესახებ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება და ეს კარგიცაა, რადგან ისინი ძალზე ჯადოსნური შეიძლება აღმოჩნდეს. ალექსანდრამ მეხსიერებიდან ამ სურათის განდევნა სცადა და იკითხა:

— ხომ არ იცით, რას აპირებენ?

— გავბედავ ვივარაუდო, რომ ეს თვითონაც არ იციან — ალბათ, რომელიმე მოტელში წავლენ და გამოთაყვანებამდე იჟიმავებენ. რა გულის ამაჩუყებელია, — სწორედ ჯეინი იყო პირველი, და არა სიუკი, ვინც მას პირველი ეფერებოდა. მან სიუკი წარმოიდგინა — მისი სხეულის ნაზი თეთრი ალი, და ის, თუ როგორ აღმოაჩინა იატაკის ფილებზე გაწოლილმა ალექსანდრას მუცელზე, მარცხენა საკვერცხის გვერდით, პატარა ღრმული. საბრალო, საცოდავი ალექსანდრა: იგი დარწმუნებული იყო, რომ ერთხელაც მას ოპერაციას გაუკეთებდნენ, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იქნებოდა, შიგნით კიბოს შავი უჯრედების მთელი ზღვა აღმოჩნდებოდა. თუმცა ისინი, შესაძლოა, შავი კი არა, ხასხასა წითელი და მბრწყინავია, როგორც სისხლისფერი ფერადი კომბოსტო, — შემდეგ, — განაგრძობდა ჯეინი, — ალბათ, რომელიმე დიდ ქალაქში გაემგზავრებიან და შეეცდებიან, მოძრაობას შეუერთდნენ. ვფიქრობ, ედისთვის ეს იგივე იქნება, რაც ჯარში წასვლა. პოულობ გასაწვევ პუნქტს, გაივლი სამედიცინო შემოწმებას კომისიის წინაშე, და თუ ჯანმრთელი ხარ, მიჰყავხართ.

— როგორი შეცდომაა, არა? ამგვარი თამაშებისთვის იგი უკვე ბებერია. სანამ აქ იყო, უფრო ახალგაზრდულად და ენერგიულად გამოიყურებოდა, ყოველ შემთხვევაში, საინტერესოდ მაინც. თავისი ეკლესიაც ჰქონდა, ყველა იცნობდა...

— რესპექტაბელობას ვერ იტანდა, — მკვეთრად ჩაერთო ჯეინი, — ღალატად მიაჩნდა.

— ღმერთო ჩემო, ეს რა ცხოვრებაა, — ამოიოხრა ალექსანდრამ, რომელიც ციყვს აკვირდებოდა, ხტუნვა-ხტუნვით ფრთხილად რომ მიიწევდა ეზოს ბოლოში დაცერებულ კედელზე. „ბალღების“ მორიგი პარტია გამოსაწვავად იყო შედებული მოტკაცუნე ღუმელში, სამზარეულოს გვერდით მდებარე ოთახში. ამჯერად მან უფრო მოზრდილების გაკეთება სცადა, მაგრამ საქმეში ტექნიკის არასრულ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოფილება ჩაერია — თვითნასწავლი ოსტატის ტექნიკა, თეორიის არცოდნა, — ბრენდა როგორ არის? როგორ აღიქვა ეს ყველაფერი?

— როგორც მოსალოდნელი იყო. ისტერიკა დაემართა. აქამდე, ფაქტობრივად, ეგუებოდა და პატიობდა ედს ღალატს, მაგრამ რას წარმოიდგენდა, თუ მიატოვებდა. მრეველი ერთადერთი რამ იყო, რაც მას და მის შვილებს გააჩნდათ. ახლა კი შეიძლება ისე წავიდეს საქმე, რომ სულაც გამოაგდონ, — ჯეინის ხმაში გაჟღერებულმა ცივმა გულისწყრომამ ალექსანდრას თავზარი დასცა, — მას სამუშაოს ძებნა მოუწევს და მიხვდება, არსებობისთვის ბრძოლა რასაც ნიშნავს.

— იქნებ ჩვენ... — მისი დაუმთავრებელი წინადადების გაგრძელება ცხადი იყო: „უნდა დავეხმაროთ“.

— არასოდეს, — თქვა ტელეპათიის ნიჭით დაჯილდოებულმა ჯეინმა, — რახან ამაზე ჩამოაგდე სიტყვა, ვიტყვი, რომ ის ძალზე თვითკმაყოფილი გამოიყურებოდა პასტორის ცოლის როლში, როდესაც თავის ყავადანთან იყო მიმჯდარი. ერთი გენახა, როგორ შემოვარდებოდა ხოლმე ეკლესიაში ჩვენი რეპეტიციების დროს. ვიცი, — განაგრძო მან, — რომ ნიშნი არ უნდა მოუგო და გასაჭირში ჩავარდნილ ქალს ხელი არ უნდა ვკრა, მაგრამ კმაყოფილი ვარ. ვიცი, ფიქრობ, რომ ვცდები, რომ ბოროტი ვარ.

— არა, რას ამბობ, — პირმოთნედ თქვა ალექსანდრამ. მაგრამ იცის კი ვინმემ, რა არის ბოროტება? საბრალო ფრანი ლავკრაფტს იმ საღამოს შეიძლებოდა თეძო მოეტეხა და სიცოცხლის ბოლომდე ჯოხით ევლო. ალექსანდრა ტელეფონთან მივიდა, ხელში ხის დიდი კოვზი ეჭირა, რომელსაც, ჯეინის დამშვიდების მოლოდინში, ნებისყოფის დაძაბვით ისე ღუნავდა, რომ სახელური ძაღლის კუდივით მაღლა აიპრიხა და ახლა კოვზის ჩაღრმავებაში იდო. შემდეგ გველივით ხვეულას უბრძანა, რომ ხელზე ნელა შემოხვეოდა. ხაოიანი ხის შეხება ნერვებზე მოქმედებდა, — სიუკი როგორ არის? — იკითხა ალექსანდრამ, — ისიც მიტოვებულად ხომ არ გრძნობს თავს?

— სიუკი აღტაცებულია. ასე თქვა, ვაგულიანებდი, რომ ის პირუტყვი დონი რამენაირად გამოეყენებინაო. თვითონ კი ეყოლება ედი ნახმარი.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახლა დარილ ვან ჰორნს დაადგამს თვალს? — კოვზმა კისერს მიაღწია და თავისი ჩაღრმავებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტუჩებს შეეხო. მას სალათის ზეთის სუნი ასდიოდა. ალექსანდრამ ხეს რბილი და ორად გაყოფილი ენა გაუსვა. კოულს ჯადოქრობის სუნი ეცა და შეშფოთებული პატრონს ფეხებზე ეტმასნებოდა. დამწვრის სუნი იგრძნობოდა.

— ასე მგონია, რომ მას სხვა გეგმები აქვს, — ზანტად განაგრძო ჯეინმა, — და ისევე არ მოსწონს დარილი, როგორც შენ. ან მე, თუ საქმე საქმეზე მიდგა. სიუკს მოსწონს, როდესაც მამაკაცი ქვემოთაა. ვურჩევ, რომ თვალი კლაიდ გებრიელს დაადგას.

— ოჰ, რა საშინელი ცოლი ჰყავს, — შესძახა ალექსანდრამ, — კარგი იქნებოდა, სიუკს დავხმარებოდით.

იგი ძლივს აცნობიერებდა, რას ლაპარაკობდა, რადგან კოულის გასაღიზიანებლად დაკლაკნილი კოზი იატაკზე დადო. ძაღლს ბეწვი ყალყზე დაუდგა. როდესაც კოზმა თავი წამოსწია, კოულს თვალები აენთო. მან კბილები გამოაჩინა და შეტევისთვის მოემზადა.

— კარგი, მოდი ეს გავაკეთოთ, — მკვირცხლად მიუგო ჯეინ სმარტმა.

ჯეინის ამ ახალი ღვარძლიანი გამოხდომით გაღიზიანებულმა და ცოტათი შეშინებულმა ალექსანდრამ კოზი გაასწორა, რომელმაც თავი დაუშვა და ლინოლეუმზე ბრტყლად დაეცა.

— ოჰ, სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს უნდა გავაკეთოთ, — რბილად შეეპასუხა იგი.

— მე იგი ყოველთვის მეზიზღებოდა და სულაც არ მიკვირს, — განაცხადა ვახშმის შემდეგ ფელისია გებრიელმა კატეგორიული, თვითკმაყოფილი მანერით, თითქოს მეგობრების ჯგუფს მიმართავდა, რომლებიც თვლიდნენ, რომ იგი შესანიშნავი ქალი იყო, თუმცა სინამდვილეში მის ერთადერთ მსმენელს კლაიდი წარმოადგენდა. კაცი „საიენტიფიკ ამერიკენში“ ასტრონომიაში ახალი ანომალიური მოვლენების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში ჩაწვდომას ცდილობდა, მაგრამ ალკოჰოლით გაბრუებული თავი ცუდად ემორჩილებოდა. გაღიზიანებული და დაძაბულ მოლოდინში მყოფი ფელისია ოთახის კარში იდგა. კედლის გასწვრივ წიგნის თაროები ჩაემწკრივებინათ. ახლა, როცა ჯენი და ქრისი აქ აღარ იმყოფებოდნენ და სიჩუმეს ელექტრონული მუსიკის გრიალი აღარ არღვევდა, ჯოან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბაეზისა[1] და „ბიჩ ბოიზის“[2] შესრულებით. კლაიდი ცდილობდა, ეს ოთახი კაბინეტად გამოეყენებინა.

ფელისიას კვლავაც ახასიათებდა სანდომიანი, მკვირცხლი მოსწავლისთვის დამახასიათებელი თავდაჯერებულობა. თავის დროზე ის და კლაიდი ერთად სწავლობდნენ უორვიკის საჯარო სკოლაში. საოცრად ენერგიული იყო. მის გარეშე არცერთი კლასგარეშე ღონისძიება არ ჩაივლიდა, იქნებოდა ეს მოსწავლეთა საბჭო თუ გოგონათა ფრენბურთის გუნდი; ყველა საგანში ფრიადოსანი, სადისკუსიო კლუბის პირველი ქალი კაპიტანიც გახლდათ. მისი გამყივანი ხმა ყველაზე მკაფიოდ ისმოდა „ვარსკვლავებით მოფენილი ზოლებიანი დროშის“[3] წარმოუდგენლად მაღალ ნაწილში და კლაიდს გულში ლახვარივით ეცემოდა. მის გარშემო მუდამ ტრიალებდნენ ბიჭები, იგი სასურველ ნადავლს წარმოადგენდა — კლაიდი გამუდმებით ახსენებდა ამას საკუთარ თავს. ღამით ფელისია სათნო და ზეაქტიური ადამიანივით საოცრად სწრაფად იძინებდა მის გვერდით, თვითონ კი, საღამოსთვის სპირტიანი სასმლის ჩვეული დოზის მიღების შემდეგ, საათობით ებრძოდა უძილობის დემონებს და მთვარის შუქზე ქალის მშვიდ სახეს აკვირდებოდა: ქუთუთოებით დაჩრდილულ თვალის ბუდეებსა და კამათის დროს გამოუთქმელი რეპლიკისთვის გამზადებულ ტუჩებს. ძილში ფელისია სუსტი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. კაცი იწვა, იდაყვზე დაყრდნობილი ქალს ათვალიერებდა და გონებაში ისევ იმ ენერგიულ თინეიჯერ გოგონას ხედავდა, რომელიც ოდესღაც უყვარდა: პასტელის ფერების ფაფუკ სვიტერსა და კუბოკრულ გრძელ ბოლოკაბაში გამოწყობილი, დერეფანში ჩამწკრივებულ, მწვანედ შეღებილ ლითონის მაღალ კარადებს შორის რომ გაიელვებდა ხოლმე. ასეთ დროს კლაიდ გებრიელი კვლავაც „იმედის მომცემი“ მოზარდის ტყავში ეხვეოდა. საძინებელი ოთახის კედლებიდან დაკარგული თუ ფუჭად დახარჯული დროის გიგანტური, ილუზორული სვეტი ამოდიოდა, ცოლ-ქმარი კი სავენტილაციო შახტის ძირში მოკრუნჩხულ ფიგურებს ჰგავდა. მაგრამ ახლა ქალი მის წინ მთელი სიგრძე-სიგანით იდგა — მისი ვერშემჩნევა შეუძლებელი იყო — შავი ბოლოკაბითა

---

[1] *ბაზეი, ჯოან (დაბ. 1941) — ამერიკელი მომღერალი ქალი.*

[2] *„ბიჩ ბოიზი“ — გასული საუკუნის 60-იანი წლების ამერიკული როკჯგუფი.*

[3] *ამერიკის შეერთებული შტატების ჰიმნი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და თეთრი სვიტერით, სწორედ ასე ჩაცმული თავმჯდომარეობდა იგი სალეკი ნაკვეთების მოდარაჯე ძაღლების კომისიის საღამოს სხდომას, სადაც გაიგო კიდეც ედ პარსლის შესახებ მეივის ჯესაპისგან.

— ვერაფერი შვილი გახლდათ, — ამტკიცებდა ქალი, — სუსტი ადამიანი, რომელსაც ოდესღაც უთხრეს, რომ ლამაზია. მე მას ასეთად არასოდეს ვთვლიდი მისი ფსევდოარისტოკრატიული ცხვირისა და ორჭოფული სახის გამო. მღვდლობა არ უნდა მოენდომებინა, იგი ამისთვის მოწოდებული არ იყო. მაგრამ მან გადაწყვიტა, რომ ღმერთის მოხიბვლას მოახერხებდა, როგორც ეს ბებერ ქალებთან გამოსდიოდა, რომლებმაც ვერ გაარჩიეს, რომ მათ წინაშე თავქარიანი კაცი იდგა. რაც შემეხება მე, ვთვლი, რომ... მიყურე, კლაიდ, როცა ვლაპარაკობ... მან ოდნავადაც ვერ შეძლო საკუთარ თავში ღვთისმსახურის თვისებების გაღვივება.

— მეეჭვება, რომ უნიტარული ეკლესიის მრევლიც ასე ფიქრობდეს ღმერთზე, — წყნარად მიუგო კაცმა იმის იმედით, რომ წაკითხვას მაინც მოახერხებდა. კვაზარები, პულსარები და ვარსკვლავები ყოველ მილიწამში მატერიის ნაკადს აფრქვევენ, უფრო მძლავრს, ვიდრე ის, რომელიც ყველა პლანეტის შემადგენლობაში შედის: შესაძლოა, ამგვარ კოსმოსურ სიგიჟეში თვითონ ეძებდა ძველმოდურ ციურ ღმერთს. იმ შორეულ, გულუბრყვილო დროში, როდესაც მას „იმედის მომცემად“ თვლიდნენ, მან დიდი საკურსო შრომა დაწერა ბიოლოგიაში, თემაზე — „მოჩვენებითი კონფლიქტი მეცნიერებასა და რელიგიას შორის“, რომელშიც დაასკვნა, რომ ასეთი კონფლიქტი არ არსებობს. თუმცა ოცდათხუთმეტი წლის წინათ ეს სამუშაო A+-ით[1] შეაფასა დიაცური მანერების მქონე, შესივებულსახიანმა მისტერ თურმანმა, ახლა კლაიდი ხედავდა, რომ ეს სიცრუე იყო. კონფლიქტი არსებობდა და მასში მეცნიერება იმარჯვებდა.

— მარადიული ახალგაზრდობის წყურვილი — აი, რამ მიიყვანა ედ პარსლი იმ უბადრუკ პატარა მაწანწალასთან, — თქვა ფელისიამ, — ალბათ, მან ერთ მშვენიერ დღეს შეხედა ამ არაფრის მაქნის სიუკ რუჯმონტს, რომელიც შენ ასე მოგწონს, და გააცნობიერა, რომ ოცდაათ წელს გადაცილებული საყვარლის ყოლას ახალგაზრდა გოგოსთან ყოფნა ჯობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონაც

[1] *A+ — უმაღლესი შეფასება ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სისტემაში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწრაფად დაბერდებოდა. ვერაფრით გამიგია, ის „წმინდა“ ბრენდა პარსლი ყველაფერ ამას რატომ ეგუებოდა.

— რატომ? განა მას სხვა არჩევანი ჰქონდა? — კლაიდი ქადაგებებს ვერ იტანდა, თუმცა შიგადაშიგ პასუხის გაცემა უხდებოდა.

— ის მას ბოლოს მოუღებს. ის ახალი მეგობარი გოგონა მას მოკლავს. წელიწადსაც ვერ გაატანს რომელიმე ქოხმახში, სადაც ცხოვრება მოუწევს. დაჩხვლეტილი ვენებით. ედ პარსლი იოტი-სოდენადაც არ მეცოდება. როცა მოკვდება, მის საფლავს ზედ დავაფურთხებ. შეწყვიტე ჟურნალის კითხვა, კლაიდ! აბა, რა ვთქვი ახლა მე?

— რომ მის საფლავს ზედ დააფურთხებ.

კლაიდმა უნებურად ქალის ენაჩლიფინობა გაიმეორა. მან ცოლს სწორედაც რომ დროზე შეხედა, რათა დაენახა, როგორ მოიცილა ქალმა ტუჩებიდან თეთრი ბეწვი, მარჯვე, ნერვიული თითებით დაასორსლა და განაგრძო:

— ბრენდა პარსლი მარჯ პერლის უყვებოდა, რომ, შესაძლოა, ედი შენმა მეგობარმა სიუკმა წააქეზა, თვითონ კი იმ ტიპთან, დარილ ვან ჰორნთან გადაინაცვლა. თუმცა, იმის მიხედვით, რაც ქალაქში მოვისმინე, იგი ყურადღებას... სამივეს უთმობს ყოველ... ხუთშაბათ საღამოს.

ცოლის უჩვეულო ყოყმანი რომ მოესმა, კლაიდმა პულსარების აფეთქების დაკბილულ გრაფიკებს თვალი მოსწყვიტა. ფელისიამ ტუჩებიდან კიდევ რაღაც მოიცილა და მეორე გუნდა დაასორსლა, თან ქმარს ზემოდან ქვემოთ გამომცდელად დაჰყურებდა და აშკარად მის რეაქციას ელოდებოდა. ყმაწვილობისას ფელისიას ნათელი მრგვალი თვალები ჰქონდა, მაგრამ, თუმცა სახე აღარ უსუქდებოდა, იგი მათ რაღაცნაირად თავისკენ, სიღრმეში ეწეოდა და ახლა გოჭს მიუგავდა და შურისმგებლურად უელავდა.

— სიუკი სადაური ჩემი მეგობარია, — რბილად შეეპასუხა კაცი, მას კამათი არ სურდა. „ამ ერთხელ მაინც გადამარჩინე“, — უღმერთოდ წარმოთქვა მან გულში ვედრება, — ის ჩვეულებრივი თანამშრომელია. ჩვენ მეგობრები არ გვყავს.

— აჯობებს, თვითონ მას უთხრა, რომ თანამშრომელია, თორემ ეს ქალბატონი ქალაქში ისე იქცევა, ეტყობა, თავი ნამდვილი დედოფალი ჰგონია. დარბის აქეთ-იქით პორტის ქუჩაზე, თითქოს მისი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საკუთრება ყოფილიყოს, აუსხია იაფფასიანი ჟღარუნები და მიაქნევს კურტუმოს, ზურგს უკან კი ყველა დასცინის. ყველაზე ჭკვიანური მონტიმ მაშინ გააკეთა, როცა იგი მიატოვა. ვერ გამიგია, რატომ ფეხქვეშ მიწა არ უსკდებათ ასეთ ქალებს — ნახევარი ქალაქი მასთან წევს და ფულსაც კი არ იხდის. ახლა მათი საცოდავი მიტოვებული ბავშვები! ეს ხომ ნამდვილი დანაშაულია.

ქალს, უეჭველია, საუბარი განსაზღვრული მიმართულებით მიჰყავდა. რაღაც მომენტში კაცს მოთმინებამ უღალატა: შოტლანდიური ვისკით გამოწვეული მოდუნებულობა და უგრძნობლობა მოულოდნელად გააფთრებაში გადაეზარდა.

— მიზეზი იმისა, რომ მეგობრები არ გვყავს, ისაა, — დაიღრინა მან და ციური სიახლეებით სავსე ჟურნალი ძირს დაუვარდა, — რომ შენ, დალახვროს ეშმაკმა, ენას გაუთავებლად ატარტალებ!

— ბოზები და ნევროტიკები მთელი ქალაქის სირცხვილია. შენ კი, მაშინ, როცა „ვორდი“ საზოგადოების ხმას უნდა წარმოადგენდეს, ამ ცანცარას, ინგლისურად ერთი წინადადების დაწერაც რომ არ შეუძლია წესიერად, სამუშაოსაც აძლევ და იმის უფლებასაც, რომ ათასგვარი სისულელით ყურები გამოგვიჭედოს და თავგზა აუბნიოს ქალაქში შემორჩენილ გულკეთილ ხალხს, დააშინოს ისინი და აიძულოს, ამ ცოდვისა და უსირცხვილობის გამო კუთხე-კუთხე იმალებოდნენ.

— განქორწინებული ქალები იძულებულნი არიან, რომ იმუშაონ, — თქვა კლაიდმა, ღრმად ამოისუნთქა და შეეცადა კეთილგონიერება შეენარჩუნებინა, თუმცა ეს სულ უფრო და უფრო უჭირდა, — გათხოვილ ქალებს, — განმარტა მან თავისებურად, — არაფერი აქვთ საკეთებელი, ამიტომ მათ შეუძლიათ კეთილი საქმეებით დაკავდნენ.

მაგრამ მისი თითქოს არავის ესმოდა.

როდესაც ქალი რისხვით აენთებოდა ხოლმე, უმართავი ქიმიური რეაქცია იწყებოდა: თვალები საგრავიურო ნემსებივით უმახვილდებოდა, სახე უქვავდებოდა და სულ უფრო უფითრდებოდა, უხილავი აუდიტორია კი ხალხმრავალი ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში ფელისიას ხმა მაღლა იწევდა.

— ეს საშინელი ადამიანი, — მიმართავდა იგი მასებს, — ჩოგბურთის კორტს პირდაპირ სალეკ მიწაზე აშენებს. ამბობენ, — მან ნერწყვი გადაყლაპა, — ამბობენ, რომ თავის კუნძულს ნარკოტი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კების კონტრაბანდისთვის იყენებს, და ის მოქცევის დროს ნავებით შემოაქვთ...

ამჯერად იგი ქმარს აღარ მოერიდა და დაუფარავად გამოიღო პირიდან პატარა ფრთა ცისფერი ზოლებით, როგორიც ჩხიკვს აქვს, და მუშტში სწრაფად ჩამალა.

კლაიდი წამოდგა, მოულოდნელად ხასიათი შეეცვალა. რისხვა და იმის შეგრძნება, რომ ხაფანგში მოემწყვდა, გაუქრა და ძველი, საალერსო მეტსახელი წამოსცდა:

— ლიში, რა ჯანდაბაა?..

იგი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. გალაქტიკური თავსატეხებით შეპყრობილთ, ამაზე უარესი ხუმრობის მოგონებაც შეეძლოთ. მან ცოლს უნებისყოფო მუშტი გაახსნევინა. ხელისგულზე სველი, მოღუნული ფრთა იდო.

ფელისიას სახეზე დაძაბული სიფერმკრთალე ალმურმა შეცვალა.

— ამ ბოლო დროს რაღაც მემართება, — უთხრა მან კლაიდს აკანკალებული ხმით, — ვერაფერი გამიგია. ეს საპნის გემო და კიდევ ის... ზოგჯერ, დილაობით, ასე მგონია, რომ ვიგუდები, ხოლო კბილების გამოხეხვის დროს, პირიდან ჩალის ღერები, ჭუჭყიანი ჩალის ღერები გამომდის. მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ მსგავსი არაფერი მიჭამია. კლაიდ, პირიდან საშინელი სუნი მდის! არ ვიცი, რა მემართება!

როგორც კი ფელისიამ ეს წამოიძახა, ტანი მოედრიკა, თითქოს გაფრენა დააპირა, და ამით კლაიდს სიუკი მოაგონა. ორივე ქალს ღია ფერის მშრალი კანი და გრძელი ტანი ჰქონდა. ყმაწვილობისას ფელისიაც დაჭორფლილი იყო, ხოლო მკვირცხლი მანერებით მის საყვარელ რეპორტიორს აგონებდა. მაგრამ ერთი ქალი ანგელოზი იყო, მეორე კი ეშმაკი. იგი ცოლს მოეხვია. ქალი ქვითინებდა. სუნთქვისას კი პირი მართლაც საქათმის სუნად უყარდა.

— იქნებ ექიმისთვის მიგემართა, — შესთავაზა კაცმა. ცოლქმრული გრძნობის ამ აფეთქებამ მისი შეშინებული სული გაათბო, გონების დამბინდველი ალკოჰოლის ნარჩენებიც სწრაფად აორთქლდა.

წამიერი ქალური სისუსტის შემდეგ ფელისია გამხნევდა და ბრძოლის ხასიათზე დადგა.

— არა! ისინი იფიქრებენ, ჭკუიდან გადავიდაო და დაგიყოლიებენ, რომ საგიჟეთში მომათავსონ. შენს ფიქრებს კარგად ვხვდები.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გინდა, რომ მოკვდე. ვიცი, ნაძირალა ხარ, ედ პარსლიკით. ყველანი ნაძირალები ხართ, ყველანი. საბრალო, ცოდვით აღსავსე ნაძირალები... თქვენ მხოლოდ ის საშინელი ქალები გაინტერესებთ... — იგი ქმარს ხელიდან დაუსხლტა, მაგრამ კაცმა თვალი შეასწრო, რომ მან ხელი პირისკენ წაიღო და ზურგს უკან რაღაცის დამალვას შეეცადა. გაცოფებული იმით, თუ როგორ გადაეხლართა სიმართლე, რომლის გულისთვისაც მამაკაცები თავსაც კი სწირავენ, ქალის თავშეუკავებელ სულელურ თვითკმაყოფილებას, მან ცოლს ხელი სტაცა და მუშტი ძალით გაახსნევინა. კანი ცივი და ნოტიო იყო. გაშლილ ხელისგულზე წიწილის სველი, მოღუნული ფრთა იდო, სააღდგომო წიწილის ფრთა, პატარა, ნაზი, ლავანდისფრად შეღებილი.

— ის მე წერილებს მიგზავნის, — უთხრა სიუკმა დარილ ვან ჰორნს, — საკუთარი მისამართის გარეშე. მატყობინებს, რომ იატაქქვეშეთშია. დონთან ერთად ჯგუფში მიუღიათ, სადაც მაღვიძარებისა და კორდიტისგან ბომბების დაშზადებას ასწავლიან. სისტემას წარმატების შანსი არა აქვს, — ქალმა ანცად გაიღიმა.

— როგორ აღიქვამთ ამ ყველაფერს? — მშვიდად იკითხა მაღალმა მამაკაცმა ფსიქიატრის გულგრილი ხმით.

ისინი ნიუპორტის რესტორანში სადილობდნენ, სადაც ვინმე ისთვიქელს ვერაფრით გადააწყდებოდნენ. ყავისფერ, გახამებულ მინიბოლოკაბებსა და თავთის წინსაფრებში გამოწყობილმა ხანში შესულმა ოფიციანტებმა, უკან რომ „ფლეიბოის“ კურდღლის კუდის მსგავსი დიდი ბაფთები გაეკეთებინათ, მათ ჩალისფერზე ყავისფრად დაბეჭდილი ორი მოზრდილი მენიუ მოართვეს, რომლებშიც ტოსტებზე მომზადებულ ბევრ საუზმეულს სთავაზობდნენ. სიუკს საკუთარი წონა არ ანაღვლებდა: მისი ნერვიული ენერგია ყველაფერს წვავდა.

მან სივრცეს თვალმოჭუტულმა გახედა, ცდილობდა პატიოსნად მოქცეულიყო, რადგან გრძნობდა, რომ ეს კაცი მას თავისთავადობის შანსს აძლევდა. თვითონ კი არაფერი აცბუნებდა და არც გული ეკოდებოდა.

— გულზე მომეშვა, — თქვა ქალმა, — რომ მასზე აღარ უნდა ვიდარდო. იცით, მას ის სჭირდებოდა, რასაც მე ვერ მივცემდი —

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეს ძალაუფლებაა. ქალს ამის გაკეთება თავისებურად შეუძლია — შეუძლია საკუთარ თავზე აბატონოს, მაგრამ პენტაგონში ვერ დასვამს. სწორედ ამით მიიზიდა მოძრაობამ ედი. მან დაინახა, რომ მათ, პენტაგონის მსგავსად, საკუთარი არმია და სხვა ატრიბუტები უნდა ჰქონოდათ — ფორმა, საუბარი, კაბინეტები რუკებით და სხვა. მაგრამ საბოლოოდ მასზე ხელი მაშინ ჩავიქნიე, როცა გაშმაგდა. მე მშვიდი მამაკაცები მომწონს. მამას რბილი ხასიათი ჰქონდა, ფინგერის ტბის რაიონის პატარა ქალაქში ვეტერინარად მუშაობდა. კითხვა უყვარდა. სახლში ტორნტონ უაილდერისა[1] და კარლ ვან ვეჰტენის[2] პირველი გამოცემები გვქონდა პლასტიკური სუპერყდით. მონტიც ძალიან რბილი ადამიანი იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარზე თოფს გადაიკიდებდა და საბრალო ჩიტებსა და ფუმფულა ცხოველებზე სანადიროდ მიდიოდა. მას შინ საფანტით დაცხრილული კურდღლები მოჰქონდა — ისინი ხომ გაქცევას ცდილობდნენ. აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა? მაგრამ ეს წელიწადში მხოლოდ ერთხელ ხდებოდა — დაახლოებით ამ დროს, ამიტომაც გამახსენდა მოულოდნელად. ჰაერში ნადირობის სული ტრიალებს. გარეულ ფრინველებზე ნადირობის სეზონია, — გაღიმებულს, კრეკერითა და არაქისის პასტით მოთხვრილი კბილები გამოუჩნდა — ეს სასუსნავი რესტორანში უფასოდ იყო.

— ბებერ კლაიდ გებრიელზე რას იტყვით? ის თუ არის საკმარისად რბილი თქვენთვის?

ქალების საიდულოებებზე საუბრისას, ვან ჰორნი თავის დიდ, თმაგაბურძგნილ, ხელკასრის მსგავს თავს ძირს ხრიდა. თვალებში იდუმალი ცეცხლი უკრთოდა, როგორც ნიღბებაფარებულ ბავშვებს ჰელოუინის დღესასწაულზე.

— შესაძლოა, იგი ოდესღაც იყო კიდეც ასეთი, მაგრამ, კარგა ხანია, ეს დრომ წაიღო. ყველაფერი ფელისიამ გააფუჭა. ზოგჯერ რედაქციაში, გაზეთის მაკეტის შედგენისას, რომელიმე თანამშრომელი გოგონა მნიშვნელოვან განცხადებას მარცხენა ქვედა კუთხეში თუ მოათავსებს, მის გაშმაგებას საზღვარი არა აქვს. ამას ქალიშვილის ტირილი მოსდევს. ამის გამო ბევრი მათგანი გარბის მისგან.

---

[1] *უაილდერი, ტორნტონ (1897-1975) — ამერიკელი პროზაიკოსი, დრამატურგი, პულიტცერის პრემიის სამგზის ლაურეატი.*

[2] *ვეჰტენი, კარლ ვან (1880-1964) — ამერიკელი მწერალი და ფოტოგრაფი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაგრამ თქვენ არა.

— ჩემთან ის რატომღაც დამთმობია, — სიუკმა თავი დახარა. შესანიშნავი სანახავი იყო: წითური მორკალური წარბები, იისფრად ოდნავ დაჩრდილული ქუთუთოები, გარგარის ფერის მბზინავი თმა, ზურგზე სადად გადაგდებული და ორივე მხრიდან სპილენძის აბზინდით დამაგრებული, კარგად რომ ეხამებოდა კისერზე მჭიდროდ მორგებულ ძეწკვს, რომელზეც სპილენძისვე ნახევარმთვარეები ეკიდა.

მან თავი ასწია, საიდანაც მწვანე თვალებმა გამოანათა:

— თანაც კარგი რეპორტიორი ვარ. მართლაც კარგი. იმ მოხუცებს, რატუშაში რომ სხედან და გადაწყვეტილებებს იღებენ, — ჰერბი პრინზსა და აიკ არსენოს — მოვწონვარ და ყველაფერს მატყობინებენ, რაც იგეგმება.

სანამ სიუკი არაქისისპასტიან კრეკერებს ნთქავდა, ვან ჰორნი სიგარეტს აბოლებდა, უხერხულად, როგორც ამას კონტინენტზე აკეთებენ — ანთებული ბოლო ფიალასავით მომრგვალებული ხელისგულის თავზე ეჭირა.

— იმ ცოლიანებთან რა გაქვთ საერთო?

— ეს ძალზე მოსახერხებელია. ცოლი გადაწყვეტილებებს თქვენს მაგივრად იღებს. სწორედ ამან შემაშინა ბრენდა პარსლის შემთხვევაში: ისინი ისე დიდხანს იყვნენ დაქორწინებულნი, რომ იგი ედს საერთოდ ვეღარ აკონტროლებდა. ჩვენ დავვახლოვდით და ღამეებს ერთად ვატარებდით საშინელ იაფფასიან სასტუმროებში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სულ სიყვარულით ვიყავით დაკავებულნი. ნახევარი საათის შემდეგ იგი დამნაშავე ხელისუფლებაზე ლაქლაქს იწყებდა, აქციონერთა შემოსავლების გასაზრდელად ჩვენს ბიჭებს ვიეტნამში რომ აგზავნიდა. არასოდეს მესმოდა, რომელი შემოსავლების გულისთვის კეთდებოდა ეს. იმაშიც ეჭვი მეპარებოდა, რომ ედი მათ გამო გულწრფელად წუხდა — ჯარისკაცები ხომ ძირითადად თეთრი და შავი ღარიბების შვილები იყვნენ. მართლაც ასე განიცდიდა ამას? — მან თავი კვლავ დახარა, მერე ასწია და ვან ჰორნმა მისი სილამაზისა და სიმკვირცხლის მესაკუთრული სიამაყის მოზღვავება იგრძნო. როგორ წარმტაცად ეშვება მისი ზედა ტუჩი ქვედაზე, როდესაც იგი ჩაფიქრებულია და დუმს, — შემდეგ უნდა ავმდგარიყავი და შინ გავვარდნილიყავი, — განაგრძობდა სიუკი, — ბავშვებისთვის საჭმელი უნდა მომემზადებინა — ისინი გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ნიცდიდნენ, როდესაც ღამეს სხვაგან ვათევდი, — და რედაქციაში გავრბოდი. ედს კი შეეძლო მთელი დღე ძილში გაეტარებინა. არავინ იცის, რა ვალდებულება აკისრია პასტორს, გარდა იმისა, რომ კვირაობით თავისი სულელური ქადაგება წარმოთქვას. აი, ნამდვილი გახრწნა, თუ გნებავთ.

— ადამიანებს ეს არცთუ ისე ძალიან აღელვებთ, — ღრმააზროვნად ჩაილაპარაკა დარილმა, — მრავალი წელი დამჭირდა, რათა მივმხვდარიყავი, თუ როგორ გვატყუებენ.

ოფიციანტმა ქალმა ვარიკოზული ფეხებით, თეძოებამდე რომ მოეშიშვლებინა, ვან ჰორნისთვის სამკუთხა პურის გულებზე დაწყობილი გასუფთავებული კრევეტები მოიტანა, სიუკისთვის კი წიწილი „ა ლა კინგი“: კუბურებად დაჭრილი თეთრი ხორცი და სოკოს ნაჭრები არაჟნით, ბიბილოვან ნიჟარაზე დაბრაწული და ფენოვანი ნამცხვრის მსგავსი. მან სუფრაზე აგრეთვე დადგა „სისხლიანი მერი“ კაცისთვის, და მშრალი შაბლი ქალისთვის, ლიმონათზე უფერული, ვინაიდან სიუკი რედაქციაში უნდა დაბრუნებულიყო, რათა ბოლო სტატია დაებეჭდა ისთვიქის საგზატკეცილო განყოფილების ბიუჯეტის სირთულეების შესახებ მოახლოებული ზამთრისა და დიდთოვლობის გამო. ზაფხულში პორტის ქუჩა ტურისტებისა და სატვირთო მანქანების „წყალობით“ გაფუჭდა, სუპერმარკეტთან, სადრენაჟო არხების თავზე, რკინაბეტონის ფილები დაინგრა და მოქცევის დროს ნაჯაოდან წყლის ნაკადი მოჩანდა.

— მაშასადამე, ფელისიას ბოროტად თვლით, — სასხვათაშორისოდ განაგრძობდა მსჯელობას ვან ჰორნი.

— არა, ასე არ ვიტყოდი, უფრო ზუსტად... დიახ, ბოროტად... ის მართლაც ბოროტია. რაღაცით ედ პარსლის ჰგავს, საქმეებითაა გართული და ირგვლივ მყოფთ პატივს არ სცემს. საბრალო კლაიდი მის თვალწინ სულ უფრო და უფრო ქვევით ეშვება, ის კი ერთთავად ტელეფონზეა ჩამოკიდებული სასკოლო ფორმის აღდგენასთან დაკავშირებული პეტიციის გამო: პიჯაკი და ჰალსტუხი ბიჭებისთვის, ბოლოკაბები გოგონებისთვის; არავითარი ჯინსი და შემოტკეცილი შარვალი. მან გაზეთების კიოსკის გამყიდველს „ფლეიბოი“ დაამალვინა, ხოლო როცა ერთ-ერთ ყოველწლიურ ფოტოჟურნალში ფოტომოდელ ქალსა და მამაკაცს მოჰკრა თვალი, რომელთა სხეულებიც კარიბის ზღვის პლაჟზე „პოლაროიდის“ ფოტოფილტრში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლაპლაპებდა, კინაღამ ისტერიკა დაემართა. მას სურს, რომ საბრალო ჰანს სტივენსი ციხეში გამოამწყვდიოს იმის გამო, რომ ეს ჟურნალი თაროზე ედო, თუმცა მიმწოდებელმა იგი მის დაუკითხავად შეიტანა. იგი თქვენც ციხით გემუქრებათ მიწის არამიზნობრივად გამოყენებისთვის. რომ მიუშვან, ყველას დააპატიმრებს, მისი ქმარი კი დიდი ხანია, ციხეში ზის.

— თქვენ კი მისი ვადამდე გათავისუფლება გსურთ, — გაეღიმა ვან ჰორნს, რომელსაც ტუჩები კიდევ უფრო გასწითლებოდა „სისხლიანი მერის“ — ტომატის წვენის დალევის შემდეგ.

— არა, უბრალოდ მივეჩვიე, — გამოტყდა სიუკი და კინაღამ ცრემლები წამოსცვივდა, — ეს იმდენად უაზრო და სულელური ერთგულებაა, იგი ისე მადლიერია... ამ მცირედისთვის.

— თუკი ყურადღებას თქვენ იჩენთ, ეს მცირედი ძალიან ბევრია, — გალანტურად თქვა ვან ჰორნმა, — თქვენ გამარჯვებული ხართ, ვეფხვო.

— არა, არა, — შეეპასუხა სიუკი, — წითურებზე ყველაფერი ხალხის მოგონილია. ვითომ ასანთი რომ გაგვკრან, ისიც კი აინთება. სინამდვილეში სამართლიანები ვართ. და თუმცა ბევრს მოუსვენარი ვგონივარ, ვცდილობ, რომ ჭკვიანად ჩამთვალონ, ისთვიქის საზომით მაინც. საკუთარ თავზე კი ვფიქრობ, რომ რეალურად არაფერი გამაჩნია — არც ძალაუფლება, არც იდუმალება და არც ქალურობა, — განსხვავებით ალექსანდრასგან, და ჯეინისგანაც კი, რომელიც ცოტათი დამძიმებულია. ხომ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ?

სიუკმა იცოდა თავისი მოთხოვნილებების შესახებ — ელაპარაკა მამაკაცებთან მეგობარი ალქაჯების შესახებაც, ყოველთვის ეძებდა შესაძლებლობას, რომ საუბრისას სამივე გამოეწვია, მათი სამთა სხეული ენერგეტიკულ კონუსში მოექცია. ეს უმოკლესი გზა იყო ოდესღაც ცოცხალი დედისკენ, მისი საკუთარი დედისკენ — პატარა, ჩიტის მსგავსი ქალისკენ, რომელიც, ბედის ირონიით, ფელისია გებრიელს ჰგავდა და მასავით საზოგადოებრივი საქმიანობით იყო დაკავებული. იგი ან სულ არ იყო ხოლმე სახლში, ან თავისი მრევლის, კომისიის ან გამგეობის წევრებს ესაუბრებოდა ტელეფონით. მას ხშირად მოჰყავდა სახლში ობლები და ლტოლვილები, იმ წლებში დაკარგული კორეელი ბავშვები, შემდეგ კი მათ სიუკსა და მის ძმებს უტოვებდა აგურის დიდ სახლში, რომლის ეზოც ტბისკენ ეშვებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სხვა მამაკაცები — სიუკი ამას გრძნობდა, წინააღმდეგი იყვნენ, როდესაც მისი აზრები და სიტყვები ალქაჯების გაუკულმართებული და მანუგეშებელი გართობა-დასვენებისკენ იყო მიმართული, მაგრამ არა ვან ჰორნი. ასე იყო თუ ისე, ეს მას მოსწონდა, თავისი უცვლელი გულკეთილობით იგი ქალს წაგავდა, თუმცა საშინლად მამაკაცური იყო (როცა ჟიმავდა, სტკენდა კიდეც).

— ისინი მახინჯები არიან, — თქვა მან უპრეტენზიოდ, — მათ ასეთი ბრწყინვალე ძუძუები არა აქვთ.

— ხომ მართალი ვარ? — ჰკითხა მან, როცა მიხვდა, რომ ვან ჰორნისთვის ყველაფრის თქმა შეიძლებოდა, ნებისმიერი საკუთარი ნაჭრის ჩაგდება ამ მოთუხთუხე შავ ქვაბში, — კლაიდის შესახებ. ყველა წიგნში წერია, სამუშაოს მიმცემთან საქმე არ დაიჭიროთ — შემდეგ სამუშაოს დაკარგავთო, კლაიდი კი ძალზე უბედურია. და ეს რაღაცით საშიშია. ნეტავ რატომ აქვს მას თვალის ყვითელი გარსი?

— მისი თვალის კაკლების გარსი ჯერ კიდევ მაშინ ჩადეს მარინადში, როდესაც შენ ბარბის თოჯინით ერთობოდი, — გაეცინა ვან ჰორნს, — გაერთე მასთან, გოგონი, მაგრამ ცოდვის გზას ერიდე. ჩვენ აქ ღიად როდი ვიბრძვით, უბრალოდ აზარტულ თამაშებს მივსდევთ.

როდესაც მიხვდა, რომ საუბრის ასე გაგრძელების შემთხვევაში დარილი მისი და კლაიდის ურთიერთობის თანამესაკუთრე გახდებოდა, სიუკმა თემა შეცვალა. დარჩენილი დროის განმავლობაში ვან ჰორნი საკუთარი თავისა და იმ გზის პოვნის იმედზე საუბრობდა, რომელიც დაეხმარებოდა თერმოდინამიკის მეორე კანონისთვის გვერდი აევლო.

— დაუჯერებელია, არ არსებობდეს რაიმე საცალფეხო ბილიკი, საიდანაც არარსებობაში გადასვლაა შესაძლებელი, — თქვა მან, თან ოფლმა დაასხა და აღელვებული ტუჩებს იწმენდდა, — ეს განსაკუთრებულობა ბიგ ბენგის[1] ფსკერზე მდებარეობს. გრავიტაციაზე რაღას იტყვით? მიიჩნევა, რომ ეს თვითკმაყოფილი მეცნიერები წმიდათაწმიდა ჭეშმარიტებებს წარმოთქვამენ, თითქოს ჩვენ მათ მას შემდეგ ჩავწვდით, რაც ნიუტონმა თავისი ფორმულები გამოიყვანა. მაგრამ ფაქტია, რომ ბევრი რამ კვლავაც გამოცანაა, რომელთა

[1] *ბიგ ბენგი — ნარკოტიკის დიდი დოზა (ამერ. სლენგი).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ამოხსნა ცხრაკლიტულშია გამომწყვდეული. აინშტაინი ამტკიცებდა, ეს იგივეა, რომ დახვეული მილიმეტრულა გამუდმებით ვკეცოთო. მაგრამ სიუკ, ჩემო კარგო, შემთხვევის იმედად ნუ იქნებით — ეს ძალაა. სწორედ იგი სწევს წყალს მაღლა მოქცევის დროს; საკმარისია თვითმფრინავიდან ნაბიჯი გადადგა და მაშინვე ჩაგისრუტავს; და რა ძალა მოქმედებს კოსმოსში მყისიერად, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ელექტრომაგნიტურ ველთან? — კაცს ჭამა სულ გადაავიწყდა, ნერწყვს გალაქულ მაგიდაზე აფრქვევდა, — ფორმულა არსებობს, უნდა არსებობდეს, ისეთივე მოხდენილი, როგორც ძველი $E=mc^2$. მახვილი ქვიდან, ხომ გესმით, რაც მაქვს მხედველობაში?

მან თავისი დიდი, მოუსვენარი ხელებით, ორანჟერეის ტროპიკული მცენარეების ფოთლებს რომ ჰგავდა, რომლებიც პლასტმასის გვეჩვენება, თუმცა ვიცით, რომ ნამდვილია, — ვაჟკაცური ჟესტი გააკეთა, თითქოს ხმალი ქარქაშიდან ამოიღოო. შემდეგ სამარილის, საპილპილისა და კერამიკული საფერფლის დახმარებით, რომელზეც დაწვრილებით იყო გამოსახული ნიუპორტის ძველი კოლონიის სახლი, ვან ჰორნმა სცადა ეჩვენებინა, თუ როგორ შეიძლებოდა ატომების შემადგენელი ნაწილაკებით კომბინაციის შექმნა — თვითონ მის არსებობაში დარწმუნებული იყო, — ელექტრობის მისაღებად ენერგიის დამატებითი დანახარჯების გარეშე.

— ეს ჯიუ-ჯიცუს ჰგავს: მხარს ზემოდან მოწინააღმდეგეს იმაზე მეტი ძალით მოისვრი, ვიდრე მან შემოგიტია. ბერკეტი. ამ ელექტრონების ამოძრავებაა საჭირო, — მან ხელით წაბიძგება გამოსახა, — ოღონდ კარგად უნდა მოფიქრება, როგორ გაკეთდეს ეს მექანიკური ან ქიმიური გზით და ყველაფერი გამოვა. ეს ძველებური მეორე კანონი არ გვასვენებს. იცით, რა არის კუპერის წყვილები? არა? მეხუმრებით? თქვენ ხომ ჟურნალისტი ხართ? რომ იცოდეთ, სიახლე მხოლოდ ის კი არ არის, ვინ ვის ჩაუწვა ლოგინში. ეს თავისუფალი ელექტრონების წყვილია, რომელიც ზეგამტარობის საფუძველს წარმოადგენს. გსმენიათ რაიმე ზეგამტარების შესახებ? არა? კარგი, გეტყვით. მათი წინააღმდეგობა ნულის ტოლია. იმის თქმა კი არ მინდა, რომ ძალზე მცირეა. არა, ნულის ტოლია. დავუშვათ, რომ კუპერის რაღაც სამეულები აღმოვაჩინეთ. გამოვა, რომ წინააღმდეგობა ნულზე ნაკლებია. უნდა გამოჩნდეს რომელიმე ელემენტი, როგორც, მაგალითად, სელენიუმი ქსეროკოპირების პროცესისთვის. ამ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როჩესტერელ ტრაკებს არაფერი არ ჰქონდათ, სანამ სელენიუმს არ წააწყდნენ. ეს მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა იყო. შემთხვევით ფეხი დააბიჯეს. სელენიუმის ეკვივალენტი რომ მიგვაღებინა, ველარაფერი შეგვაჩერებს, სიუკ, ჩემო კარგო. ყველგან შევაღწევთ გარე ქიმიური ფენით, ამქვეყნად არსებული ნებისმიერი სახურავი შეიძლება გახდეს ელექტროგენერატორი მხოლოდ საღებავის ფენის წყალობით. ფოტოგალვანური კამერა, რომელიც ხელოვნურ თანამგზავრებში გამოიყენება, სხვა არაფერია, თუ არა უბრალო სენდვიჩი. მართლაცდა, რაც თქვენ გჭირდებათ, ეს შაშხი, ყველი და სალათა კი არ არის — ანუ, სხვაგვარად კრემნიუმი, დარიშხანი და ბორი, — არამედ სალათა შაშხით, რომელშიც მთავარი უზარმაზარი სენდვიჩი როდია. ჩემი მთავარი ამოცანა ამ დედანატირები მაიონეზის გამოთვლაა.

სიუკმა გადაიხარხარა და, ჯერაც მშიერმა, მაგიდაზე მდგარი მინიატურული ქოთნიდან პურის ღერი ამოიღო, გახსნა და ღიღნას შეუდგა. ფანტასტიკაა. ასეთი ხალხი იყო როჩესტერში და შენექტადში, იგი მათ გვერდით გაიზარდა, მედიდური, ჭკვიანი ადამიანების გვერდით, რომელთაც თხელი მოკუმული ტუჩები, სიქაჩლეშეპარული შუბლები და პლასტმასის სადები ჰქონდათ პერანგის ჯიბეებში — იმ შემთხვევებისთვის, თუ კალმისტრიდან მელანი გადმოეღვრებოდათ. ეს მამაკაცები მუდამ თავ-თავიანთ პრობლემებს წყვეტდნენ; ყველანი სამთავრობო ფონდებში მოკალათებულიყვნენ, ჰყავდათ ლამაზი ცოლები და შვილები, რომლებსაც საღამოობით უბრუნდებოდნენ. მაგრამ მერე გააცნობიერა, რომ ეს მცდარი აზრები იყო, მისი წინა ცხოვრებიდან დარჩენილი. მასში ნამდვილმა ქალურობამ გაიღვიძა და მიხვდა, რომ ყველაფერი, რასაც ასე შეუპოვრად ქმნიან მამაკაცები — მოწამლული უდაბნო, ბრძოლის ველი და გრანდიოზული ნაგავსაყრელია. რატომ არ შეიძლება, რომ ისეთმა გადარეულმა, როგორიც ვან ჰორნია, სამყაროს რომელიმე საიდუმლოება ამოხსნას? გაიხსენეთ თომას ედისონი, რომელიც ყრუ იყო, იმიტომ, რომ ბავშვობაში ურემზე დასასმელად ხელები ყურებში წაავლეს და ისე ასწიეს. გაიხსენეთ ის შოტლანდიელი, რა ერქვა? იგი აკვირდებოდა, თუ როგორ სწევდა მაღლა ორთქლი ჩაიდნის თავსახურავს, მერე კი რკინიგზა შექმნა. მას საშინლად უნდოდა ვან ჰორნისთვის მოეყოლა, ენის წვერზე ჰქონდა მომდგარი, რომ ის და

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯეინ სმარტი ხუმრობით კლაიდის საშინელ ცოლს თვალავდნენ. ისინი „ლიტურგიების წიგნით“ სარგებლობდნენ, რომელიც ჯეინმა ეპისკოპალური ეკლესიიდან მოიპარა, სადაც ზოგჯერ ქორმაისტერს ცვლიდა. მათ საზეიმოდ მონათლეს ქოთანი ფელისიად და შიგ ბუმბულს, ქინძისთავებს და სიუკის მიერ ჰემლოკ-ლაინზე მდგარი უძველესი სახლიდან გამოტანილ ნაგავს ყრიდნენ.

ახლა, როცა ათი საათიც არ გასულიყო ვან ჰორნთან სადილობის შემდეგ, იგი კლაიდ გებრიელს ართობდა. ბავშვებს ეძინათ. ფელისია ბოსტონიდან, უორჩესტერიდან, ჰარტფორდიდან და პროვიდენსიდან მომავალი ავტობუსების ქარავანს გაჰყოლოდა ვაშინგტონში ომის საწინააღმდეგო საპროტესტო მიტინგში მონაწილეობის მისაღებად: მათ ჯაჭვებით უნდა მიებათ საკუთარი თავი კაპიტოლიუმის სვეტებზე, რათა ყელში გაჩხეროდნენ მთავრობას. კლაიდს მთელი ღამითაც შეეძლო დარჩენა, თუ პირველი ბავშვის გაღვიძებამდე ადგებოდა. იგი ქმრის ამაღელვებელ კარიკატურას წარმოადგენდა ბიფოკალურ სათვალესა და ფლანელის პიჟამაში გამოწყობილი, პატარა კბილის პროთეზით, რომელიც ჩუმად შეეხვია „კლინექსის“ ქაღალდის ცხვირსახოცში და პიჯაკის ჯიბეში ჩაეჩურთა იმის იმედით, რომ სიუკი ვერაფერს შეამჩნევდა.

მაგრამ მან დაინახა, რადგან სააბაზანოს კარი ძველი, საუკუნეების განმავლობაში დამჯდარი სახლის საძირკვლის გამო ბოლომდე არ იკეტებოდა და იგი იძულებული იყო, ტუალეტში რამდენიმე წუთი მჯდარიყო და შარდის წამოსვლას დალოდებოდა. მამაკაცებს ამის გაკეთება მყისიერად შეეძლოთ, ეს მათი ერთ-ერთი თავისებურება იყო — ისინი ამაყად დგანან ხოლმე უნიტაზთან და გაისმის ხმამაღალი ჩხრიალი. ყველაფერი, რაც მათ ეხებოდა, უფრო აშკარა იყო, შიგნეულობა ქალებივით აბურდულ-დაბურდული არ ჰქონდათ და არც შარდს უხდებოდა დიდხანს ხეტიალი. სიუკმა მალულად გამოიხედა. იგი ელოდებოდა. კლაიდი ბებრულად მოხრილიყო მხრებში, თავი, რომლის კეფაზეც განსწავლული ხალხისთვის დამახასიათებელი კოპი ეჯდა, ძირს დაეხარა. მან კარის ვერტიკალური ღიობი გაიარა, საიდანაც ქალი საძინებელ ოთახს ხედავდა. კაცი პირიდან რაღაცას იღებდა, ამას იგი მისი მოხრილი ხელების მიხედვით მიხვდა. ხანმოკლე ვარდისფერი ანთება ხელოვნური ღრძილისა. შემდეგ კაცმა „კლინექსის“ ცხვირსახოცში გახვეული პატარა პაკე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტი პიჯაკის გვერდით ჯიბეში ჩაუშვა — აღარ დაავიწყდება, როცა გამთენიისას მისი სახლიდან ხელის ცეცებით გამოვა. სიუკი იჯდა, ლამაზი, მომრგვალებული მუხლები მიეტყუპებინა და სუნთქვა შეეკავებინა: მას ბავშვობიდანვე უყვარდა მამაკაცების, მათ ტომთან შერეული ამ უცხოტომელების თვალთვალი, რომელთაც ტრაბახი და უხამსი სიტყვების ხმარება უყვართ, მაგრამ სინამდვილეში ბავშვებივით არიან, როდესაც ძუძუებს აძლევ მოსაწოვად ან ფეხებს გადაუშლი, რათა შენში შემოვიდნენ — შემოდიან და კვლავაც უნდათ ამის გამეორება. სიუკს უყვარდა ასე ჯდომა, ოღონდ სკამზე, და ფეხების ისე გაჭიმვა, რომ მისი პატარა ჩირგვი აფუმფულებულიყო, ხუჭუჭი თმა უბზინავდა, რომელსაც კაცს მოსაფერებლად, საკოცნელად და შესაჭმელად აძლევდა. თმიანი ნამცხვარი — ასე უწოდა მას ერთმა ნაცნობმა ყმაწვილკაცმა ნიუ-იორკის შტატიდან.

შარდმა, როგორც იქნა, გამოსვლა ინება. სიუკმა სააბაზანოში სინათლე გამორთო და საძინებელ ოთახში შევიდა, რომელიც მხოლოდ ჰემლოკ-ლაინისა და მუხნარის ქუჩის გადაკვეთაზე მდგარი ფარნის შუქით ნათდებოდა. მას და კლაიდს აქამდე არასდროს გაუტარებიათ ღამე ერთად, მაგრამ მოგვიანებით, სადილობის შესვენებაზე, მათ ზღვის უბის კორომში დაიწყეს სიარული (ქალი ფეხით მიუყვებოდა პორტის ქუჩას ომში დაღუპულთა მემორიალამდე, კაცი კი თავისი „ვოლვოთი“ წამოეწეოდა ხოლმე). უკვე მეორე დღეს სიუკს მოჰბეზრდა კლაიდის კოცნა, რომელსაც ნაღვლიანი და დატანჯული სახე ჰქონდა, ცხვირში ბეწვები წამოზრდოდა და პირიდან თამბაქოს სუნი ამოსდიოდა, და რათა მისთვისაც და საკუთარი თავისთვისაც სიამოვნება მიენიჭებინა, შარვლის ბარტყი შეუხსნა და სწრაფად და ტკბილად (ეს თავად იგრძნო) მიიყვანა იგი, რომელიც ყოველივეს მშვიდად შესცქეროდა, თესლის ამონთხევამდე. თესლის სასაცილო ჭავლები მიმინოს კლანჭებში მოქცეული ცხოველის ლეკვის ყვირილს ჰგავდა. კაცი განცვიფრებული იყო ალქაჯის გამოხდომით. როდესაც იგი იცინოდა, ტუჩების უცნაური მოძრაობა უკანა უსწორმასწორო კბილებს უჩენდა ჩაშავებულ ვერცხლის ბუდეებთან ერთად. ეს ცოტა საზარელი კი იყო — კოროზია, ტკივილი და შეჩერებული წამი. ქალმა კვლავ იგრძნო მოკრძალება, როდესაც შეუმჩნევლად შევიდა საკუთარ ოთახში, სადაც მამაკაცი იმყოფებოდა, აბაზანის შემდეგ თვალები იქაურობას ჯერ ვერ შესჩვეოდა. კლაიდი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კუთხეში იჯდა, პიჟამა ახალგამორთული ფლუორესცენციულ ლამპასავით განათებოდა. სიგარეტის ბოლო მის თავთან წითლად იწვოდა. ქალი მამაკაცზე მკაფიოდ თავის თეთრ თეძოებსა და არათანაბარ წიბოვან გვერდებს ხედავდა, რადგან კედლებზე მოოქრულ ჩარჩოებში მოთავსებული რამდენიმე სარკე ეკიდა, რომლებიც იტალელი დეიდისგან ერგო მემკვიდრეობით. ისინი ამოუყვანი ლაქებით იყო აჭრელებული. ძველი, ქვის სახლების მობათქაშებული, სველი კედლები ვერცხლისწყალს უკანა მხრიდან ჭამდა. სიუკი უნაკლო სარკეებს ამათ ამჯობინებდა — ისინი მას სილამაზეს უბრუნებდნენ და ნაკლის ძებნაც ეზარებოდათ. კლაიდმა წაიბუზღუნა:

— არა მგონია, რომ მზად ვიყო.

— შენ თუ არა, მაშ, ვინ? — ჰკითხა სიუკმა ჩრდილებს.

— უნდა დავფიქრდე, ვინ არიან, — თქვა კაცმა, მაგრამ მაინც წამოდგა და პიჟამის ღილების შეხსნას შეუდგა. ანთებულმა სიგარეტმა ტუჩებს შორის გადაინაცვლა და მისი წითელი ბოლო ლაპარაკის დროს ზევით-ქვევით დახტოდა.

სიუკს გააჟრჟოლა. იგი ელოდა, რომ მამაკაცი მას მაშინვე თავის მკლავებში მოიქცევდა და ხარბად და მწველად დაუწყებდა კოცნას აყროლებული ტუჩებით, როგორც ეს მანქანაში გააკეთა. სწრაფად გაშიშვლებამ იგი არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა: მან თავი გაიუფასურა. საშინელებაა ის ყოყმანი, რომელიც მამაკაცის გონების ბირჟაზე მყოფმა ქალმა უნდა აიტანოს, ზემოთ და ქვემოთ ყოველ წამს, სანამ „ეგო“ და „სუპერეგო“ ვაჭრობენ. ქალს უკვე უკან დაბრუნება, ნათელ სააბაზანოში ჩაკეტვა და კაცის ჯანდაბაში გაგზავნა მოუნდა. კლაიდი ადგილიდან არ იძვროდა. ოდესღაც ღაწვებით გადაჭიმული ლამაზი სახე გამოშრობოდა და გასცრეცოდა, სიგარეტის კვამლის გამო ცალი თვალი ჭკვიანი კაცივით მოეჭუტა. სწორად ასე იჯდა ხოლმე იგი სტატიების რედაქტირებისას, ყვითელგარსიან თვალებს მწვანე კეპის წინაფრა უმალავდა, მაგიდის ლამპის შუქის კონუსში, ძალაუფლების საკუთარ კონუსში, სიგარეტის კვამლი მცურავი გალაქტიკების ფორმას კარგავდა. კლაიდს უყვარდა ჭრა და ისეთი უშველებელი აბზაცის ძებნა, რომელსაც უნაკეროდ განათავსებდა, თუმცა ბოლო დროს ქალის სტატიებს უფრო ფრთხილად ეკიდებოდა და მხოლოდ ორთოგრაფიულ შეცდომებს ასწორებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რამდენი არიან? — ჰკითხა სიუკმა. კაცმა გაიფიქრა, რომ ქალი ბოზი იყო. ფელისია ამას ხშირად უმეორებდა. ნეტავ ის ჟრ-ჟოლა, რომელიც სიუკმა იგრძნო, ოთახში არსებული სიცივის ბრალი იყო თუ მისი საკუთარი შიშველი სითეთრისა, ერთდროულად სამი სარკიდან რომ სწვეოდა?

კლაიდმა სიგარეტი ჩააქრო და პიჟამა გაიხადა. სარკეებში ღია ფერი გაორმაგდა. კაცის შთამბეჭდავი, მასსავით გრძელი პენისი უმწეოდ და მძიმედ ქანაობდა, როგორც ჩვეულებრივ ემართება ხოლმე სხეულის ამ ყველაზე არამყარ ნაწილს. მისი კანი მოუსვენრად ასრიალდა ქალთან შეხებისას, როცა მან, ბოლოს და ბოლოს, ჩახუტება სცადა. კლაიდს ძვლიანი, მაგრამ საოცრად თბილი სხეული ჰქონდა.

— არც ისე ბევრი, — მიუგო მან, — ზუსტად იმდენი, რომ მაეჭვიანონ. ღმერთო ჩემო, რა მშვენიერი ხარ. ლამის ვიტირო.

სიუკმა იგი საწოლისკენ წაიყვანა, ცდილობდა, ყოველი მოძრაობა მოეზომა, რათა ბავშვები არ გაეღვიძებინა. საბანქვეშ მისი ბაკენბარდებიანი კუთხოვანი თავი მძიმედ განისვენებდა ქალის მკერდზე და ღაწვით ლავიწის ძვალს უღიზიანებდა.

— ამის გამო ტირილი არ ღირს, — დაამშვიდა ქალმა და უფრო მოხერხებულად მოეწყო, — ეს ხომ მხიარული გართობაა.

ამის თქმა იყო და მის გონებაში ალექსანდრას სახე ამოტივტივდა: ფართო, ზამთრის სეირნობისგანაც კი ოდნავ მზემოკიდებული. ნაზი ღრმულები ნიკაპსა და ცხვირზე მას მშვიდ ღვთიურ თავშეკავებულობასა და ხელდასმულის განდგომილებას ანიჭებდა: ალექსანდრას სწამდა, რომ ბუნება, ფიზიკური სამყარო — ბედნიერება იყო. კაცს კი, თბილ ძვლებზე გადაკრული კანით მას რომ ეტმასნებოდა, ეს არ სჯეროდა. სამყარო მის თვალში ქაღალდივით უგემური, არათანამიმდევრული, არეულ-დარეული მოვლენებისგან შემდგარ ერთიანობას წარმოადგენდა, რომლებიც მის მაგიდაზე გამოკრთებოდნენ ხოლმე და ოხრად დასარჩენი არქივებისკენ მიემართებოდნენ. მისთვის ყველაფერი მეორეხარისხოვანი და არაფრად ღირებული იყო. სიუკს აოცებდა საკუთარი ძალა, ის, რომ ამ გულნატკენ, ეჭვით შეპყრობილ მამაკაცებს ამდენი ხნით იფარებდა თავის მკერდზე და მათი სისუსტე ერთხელაც არ გადასდებია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ყოველ ღამეს შენთან გავატარებდი, — გამოტყდა კლაიდ გებრიელი.

— მაშინ... — თქვა სიუკმა დედობრივად, თან შეშინებული ჭერს შესცქეროდა, ცდილობდა კაცს დამორჩილებოდა და სექსუალურ ფრენას მისცემოდა, ფრენას, რომელსაც მისი სხეული სხვებს ჰპირდებოდა.

ორმოცდაათი წლის კლაიდს ტანზე რთული, მამაკაცური სუნი ასდიოდა, რომელშიც ის საზიზღარი ვისკიც შედიოდა, ყოველთვის რომ გრძნობდა სიუკი, როდესაც კლაიდის თავზე იხრებოდა, უფროსის ფანქარი კი მანქანაზე დაბეჭდილ ტექსტში ესობოდა. ეს მისი განუყრელი სუნი იყო. ქალი კაცის გირჩისმაგვარ თავზე თმას ეალერსებოდა, რომელიც საგრძნობლად გამეჩხერებულიყო და ეს მას ძალიან მოსწონდა. თითქოს ყოველი ღერი დათვლილი იყო. კლაიდმა ქალის ვარდისფერ და დაძაგრულ ძუძუს კერტს ენა აუსვა, მეორეს სიუკი თვითონ ეფერებოდა აღსაგზნებად საჩვენებელი და ცერა თითებით. კაცმა მას თავისი ნაღველი გადმოანთხია, მაგრამ ამან საბოლოოდ ვერ განკურნა. კულმინაციამ ქალის დემონი ვერ დააკმაყოფილა, თუმცა, ასაკში შესული მამაკაცების მსგავსად, კლაიდიც ნელა ათავებდა.

— როცა ჩემთან ხარ, ფელისიას წინაშე თავს დამნაშავედ ხომ არ გრძნობ? — ჰკითხა სიუკმა. ასე ლაპარაკი არ ეკადრებოდა, ეს უფრო კეკლუცობა იყო, მაგრამ ზოგჯერ, ვინმესთან ჟიმაობის მერე, თავს საოცრად დამცირებულად, უკიდურესად გაუფასურებულად გრძნობდა.

ერთადერთი ფანჯარა მთვარის ცივ შუქს გაენათებინა. გარეთ უფერული ნოემბერი იდგა. ქუჩიდან ძელსკამები აეღოთ, ჩამკვდარი მდელოები იატაკივით გლუვი გამხდარიყო. არემარე ისე გაშიშვლებულიყო, როგორც სახლი, საიდანაც მებარგულებმა მთელი ავეჯი გაიტანეს. ნაყოფით დაფარული პატარა მსხლის ხე წნელის კონას დამსგავსებოდა. ფანჯრის რაფაზე ქოთანი იდგა დამჭკნარი ნემსიწვერათი. ვიწრო ბუფეტში, ცივი ღუმლის გვერდით, მწვანე ზონარი ინახებოდა. ჯადოსნობა აქვე იყო, საწოლქვეშ. კლაიდმა პასუხს სიზმართა სიღრმეებში მიაგნო.

— დანაშაულს არა, მხოლოდ მრისხანებას ვგრძნობ, — თქვა მან, — იმ ძუკნამ მთელი ჩემი ცხოვრება ლუღლუღსა და ლაქლაქს გაატანა. ჩვეულებრივ, რაღაცნაირად გაშეშებულ-გაშტერებული ვარ ხოლმე. რა კარგია, რომ ცოტათი გამომაფხიზლე, თუმცა, მეორე მხრივ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცუდიცაა. დავინახე, თუ რა დავკარგე, რა დამაკარგვინა იმ თვითკმაყოფილმა, აბეზარმა ძუკნამ.

— მეჩვენება, რომ ჩემს ღირსებებს გადაჭარბებით აფასებ, — კვლავაც კეკლუცად თქვა სიუკმა, — მეც ხომ შემიძლია შენი გაბრაზება, — სიუკს იმის მინიშნება სურდა, რომ სულაც არ აპირებდა მის პირველივე დაძახილზე სხვისი საწოლიდან გამოეთრია და ფეხებგაჩაჩხული დახვედროდა. თუმცა კაცი ისეთი სევდიანი და დაუძლურებული იყო, რომ მან მართლაც იგრძნო, თუ როგორ შეინძრა მასში რაღაც, რაც ცოლებს ახასიათებთ. ამგვარი მამაკაცი ბევრია — ისინი წამოდგომისას მხრებში იხრებიან, შეცბუნებული სახით იხდიან და იცვამენ შარვალს, ყოველდღიურად მორჩილად იპარსავენ წვერს და საშოვარზე გარეთ გადიან.

— თავბრუ მეხვევა იმის გამო, რასაც ვხედავ, — კლაიდი ნაზად ეფერებოდა ქალის მკვრივ ძუძუებსა და ბრტყელ, შეწეულ მუცელს, — შენ კლდეს ჰგავხარ. დახტომა მინდა.

— არ დახტე, გთხოვ, — უთხრა სიუკმა და მიაყურადა: თითქოს ერთი ბავშვი, უმცროსი, ლოგინში აწრიალდა. სახლი ისეთი პატარა იყო, რომ ღამით ლამის ყველას ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდა შპალერაკრული კედლების მიღმა.

კლაიდმა ქალს ხელი მუცელზე დაადო და დაიძინა. როდესაც სიუკმა გადაქანებული საწოლიდან ჩამოსვლა დააპირა და კაცის მძიმე ხელი ასწია, მსუბუქი ხვრინვა ცოტა ხნით შეწყდა, მერე კი ისევ განახლდა. ქალმა კვლავ სცადა მოშარდვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მან სააბაზანოს კარიდან საღამური პერანგი და ხალათი ჩამოხსნა და ბავშვი მოიკითხა, რომელსაც, ღამის კოშმარებით შეწუხებულს, საბანი იატაკზე გადმოეგდო. შემდეგ სიუკი კვლავ ლოგინში შეწვა, დაძინება სცადა და წარმოსახვით ლენოქსების ძველი სახლისკენ გაფრინდა — ჩოგბურთისკენ, რომლის თამაშიც ახლა მთელი ზამთრის განმავლობაში შეეძლებათ, რადგან დარილს ფული არ დაენანა და კორტს თავზე დიდი, თბილი ჰაერით სავსე გუმბათი დაადგა; სასმელებისკენ, რომელსაც ფიდელი ჭამის შემდეგ მოართმევს და ლაიმით, ალუბლით, პიტნითა და პიმენტით[1] ექნება გაფორმებული; მათი თვალების მზერა, სიცილი და ლაქლაქი ერთ-

[1] *პიმენტი — მიხაკის წიწაკა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მანეთში გადაიხლართება, როგორც შუშის მაგიდაზე ჭიქებისგან დატოვებული სველი წრეები დარილის უზარმაზარ ოთახში, სადაც პოპარტი მტვერს აგროვებს. აქ ქალები თავისუფლად იყვნენ და მათ შორიახლოს მხვრინავი ქალაქის აყროლებული ცხოვრებისგან ისვენებდნენ. ძილში სიუკს კიდევ ერთი ქალი დაესიზმრა, ფელისია გებრიელი, რომლის აღელვებული სამკუთხა სახე გაუთავებლად ლაპარაკობდა, თან უახლოვდებოდა და სულ უფრო და უფრო ბოროტდებოდა; ენის წვერს პიმენტის ფერი დაჰკრავდა და ჯერ კბილებს უკან დაუღალავად, თანაბრად და აღშფოთებით ლაქლაქებდა, მერე კი კბილებს შორის თრთოდა და სიუკს აქა-იქ ეხებოდა. შესაძლოა, ამის თქმა არც ღირდა, მაგრამ ის მართლაც იგრძნობოდა; ვინ იცის, რა არის ბუნებრივი და რა — არა. რაც არსებობს, ყველაფერი ბუნებრივი უნდა იყოს. არავინ უყურებს, არავინ, ოჰ, ასეთ შეუპოვარ, სწრაფ, პატარა წითელ წვერს, თანაც ნაზსა და მარჯვეს. სიუკს ცოტა ხნით გამოეღვიძა და იგრძნო, რომ ორგაზმის გამოწვევას, რომელიც კლაიდმა ვერ განაცდევინა, მასში ძილში გამოცხადებული ფელისია ცდილობდა. სიუკმა მცდელობა მარცხენა ხელით დაამთავრა, ოღონდ არა კლაიდის ხვრინვის ტაქტში. ღამურას ნამცეცა მოხრილმა ჩრდილმა მთვარეს გადაუარა, და სიუკმა ესეც კი ნუგეშისცემად ჩათვალა, ფიქრი რაღაცის შესახებ, რომელიც მისი ცნობიერების დაუკითხავად ფხიზლობდა, — როგორც ღამის ტრამვაი, ღრჭიალით რომ შემოუვლიდა უხილავ შორეულ კუთხეს იქ, სადაც იგი ბავშვობაში ცხოვრობდა, ნიუ-იორკის შტატში, აგურით ნაშენებ პატარა ქალაქში, რომელიც გრძელი, ყინულოვანი ტბის ბოლოს პატარა ფრჩხილს ჰგავდა.

სიუკის სიყვარულის გამო კლაიდი სმას მიეძალა — მთვრალს უკეთ შეეძლო მოდუნება და მაცდუნებელ წადილთა მორევში ჩაძირვა. ახლა მასში მხეცი იჯდა და შიგნიდან ღრღნიდა, ეს ერთგვარ ურთიერთობას, საუბარს ჰგავდა. ის, რომ მას ოდესღაც ასევე სურდა ფელისიას დაუფლება, უიმედო სასოწარკვეთილებაში აგდებდა. საუბედუროდ, იგი სკეპტიკოსი იყო. შვიდი წლიდან ღმერთი აღარ სწამდა, ათიდან — პატრიოტიზმი, თოთხმეტიდან — ხელოვნება, როცა მიხვდა, რომ მისგან ვერასოდეს გამოვიდოდა ბეთჰოვენი, პიკასო ან შექსპირი. მისი საყვარელი ავტორები უდიდესი წინასწარ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მჭვრეტნი — ნიცშე, იუმი და გიბონი იყვნენ, სასტიკი, მოზეიმე, ნათელი გონებები. სულ უფრო და უფრო ხშირად მიდიოდა ბურანში ვისკის მესამე და მეოთხე ჭიქებს შორის, მომდევნო დილას ვეღარ იხსენებდა, რომელი წიგნი ედო მუხლებზე, რომელ შეკრებაზე იმყოფებოდა და როდის დაწვა ფელისია, როგორ გადადიოდა სახლის ერთი ოთახიდან მეორეში, ჯენიფერისა და ქრისტოფერის წასვლის შემდეგ უზარმაზარ მყიფე გარსად რომ ეჩვენებოდა. ტრანსპორტის მოძრაობა ლუდოვიკოს ქუჩას აზანზარებდა, რაც უნისონში მოდიოდა კლაიდის გულის უაზრო ბიძგებთან სისხლის გამოსატყორცნად. სიმთვრალითა და ჟინით გაშტერებულმა შორეული დამტვერილი თაროდან ლუკრეციუსი გადმოიღო, რომელიც კოლეჯში სწავლის დროიდან შემორჩენოდა. წიგნში, სტრიქონებს შორის, მისი თარგმანი იყო მოთავსებული, რომელიც თავის დროზე მუყაით ხელს იმედებით აღსავსე გულის კარნახით დაეწერა. Nil igitur mors est ad nos neque pertinet hilum, quandoquidem natura animi mortalis habetur.[1]

მან სიტყვაკაზმული თხელი წიგნი გადაფურცლა. ცისფერი ყუა სითეთრემდე გახეხილიყო იმ ადგილებში, რომელთაც ყმაწვილის ოფლიანი ხელები მრავალჯერ შეხებოდა. იგი ამაოდ ეძებდა იმ განყოფილებას, სადაც აღწერილი იყო ატომების გადახრა, ეს შემთხვევითი გაურკვეველი გადახრა, რომელიც საქმეს ართულებდა, და ამრიგად, ყველაფერი, მამაკაცებისა და მათი საოცარი თავისუფლების ჩათვლით, დაგროვილი წინააღმდეგობების საშუალებით, არსებობას იწყებდა. გადახრის არარსებობის შემთხვევაში, ყველა ატომი ქვემოთ, inane profandum-ში[2] წვიმის წვეთებივით ჩაცვივდებოდა.

მრავალი წლის განმავლობაში ჩვეულებად ექცა ძილის წინ უკანა ეზოს ახლობელ მდუმარებაში გამოსვლა და ვარსკვლავთა დაუჯერებელი შხეფებისთვის თვალის გაშტერება. მან იცოდა, რომ სწორედ ალბათობის დანის პირმა მისცა ცეცხლოვან სხეულებს ცაში ყოფნის უფლება, ვინაიდან, თავდაპირველი ცეცხლოვანი სფერო ცოტათი უფრო ერთგვაროვანი რომ ყოფილიყო, გალაქტიკები ვერ წარმოიქმნებოდა და მილიარდობით წლების განმავლობაში ნაირგვაროვნობაში საკუთარ თავს ძალზე სწრაფად ამოწურავდნენ. იგი იდგება ბარბეკიუს სიჟანგეშეპარულ პატარა გრილთან, რომელსაც

---

[1] *რადგან ბუნებას სული გააჩნია, ჩვენ სიკვდილი არ გვემუქრება (ლათ.).*

[2] *ღრმა უფსკრული (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შვილების წასვლის შემდეგ აღარ ხმარობენ და გაიხსენებს, რომ ახლა, როცა ჰაერში ზამთრის მოახლოება იგრძნობა, დანადგარი გარაჟშია გადასატანი, მაგრამ ამას არასდროს არ გააკეთებს, თუმცა ყოველღამ ხარბად მიაცქერდება თავს ზემოთ საიდუმლოებით მოცულ თაღს. მის თვალებში შემავალი ამ გზას მაშინ დაადგა, როდესაც გამოქვაბულის ხალხი ჯერაც დახეტიალებდა უკიდეგანო მიწებზე პატარ-პატარა ჯგუფებად, როგორც ჭიანჭველები პულის სათამაშო მაგიდაზე. Cygnus[1], მისი დაუმთავრებელი ჯვარი, და ანდრომედას მფრინავი V, რომელიც მეორე ვარსკვლავს თავისი აფუებული თმით ეხვევა — მის მიგდებულ ტელესკოპში ეს ხშირად ჩანდა, — სპირალურ გალაქტიკას წარმოადგენს „ირმის ნახტომის“ იქით. ყოველ მომდევნო ღამეს ცა ისეთივე გახლდათ; კლაიდი ფოტოგრაფიული ფირი იყო, რომლის გამჟღავნებაც გამუდმებით ხდებოდა; ვარსკვლავები მასში ისე შედიოდნენ, როგორც ტყვია თუნუქის სახურავში.

დღეს საღამოს სტუდენტობის წლებიდან შემორჩენილმა „De Rerum Natura“-ს[2] ტომმა ძველი შენიშვნებით აჭრელებული გვერდები დაკეცა და მუხლებს შორის ჩაუცურდა. კლაიდი გარეთ გასვლასა და ვარსკვლავთჭვრეტის ჩვეული რიტუალის ჩატარებას აპირებდა, როცა მის კაბინეტში ფელისია შემოიჭრა. თუმცა ეს მისი კი არა, მათი საერთო კაბინეტი იყო, ისევე, როგორც ამ სახლის ყოველი ოთახი და შემოფიცვრის ყოველი აქერცლილი დაფა; სპილენძის ცალძარღვა სადენის დამსკდარი იზოლაციის ყოველი ნაგლეჯიც საერთო საკუთრება იყო, ჟანგშეპარული ბარბეკიუცა და შემოსასვლელის თავზე ჩამოკიდებული პატარა დაფაც ცისფერი, წითელი და თეთრი ფერებით გამოსახული არწივით, რომელიც ატომების წვიმისგან ყვითლად, ვარდისფრად და შავად გადაქცეულიყო.

ფელისიამ თავიდან და ყელიდან შალისხოლიანი შარფები მოიხსნა და ყელიანი ფეხსაცმლით შემოსილი ფეხები დააბაკუნა.

— რა ჩერჩეტი ხალხი ცხოვრობს ამ ქალაქში. მათ მართლაც მისცეს ხმა იმას, რომ პორტის მოედანს კაზმირჟაკის სახელი ეწოდოს იმ იდიოტი ბიჭის პატივსაცემად, რომელიც ვიეტნამში იმიტომ წავიდა, რომ იქ მოეკლათ.

---

[1] *გედის თანავარსკვლავედი (ლათ.).*

[2] *„საგანთა ბუნების შესახებ“ (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მან ფეხსცმელები გაიძრო.

— მართლა? — თქვა კლაიდმა, ცდილობდა, ტაქტიანობა გამოეჩინა. მას შემდეგ, რაც სიუკის სხეულმა, ბეწვმა და მუშკის სუნმა მეუღლისთვის განკუთვნილი მისი ტვინის უჯრედები გადაავსო, ფელისია გამჭვირვალე, ხელსახოცზე დახატულ ქალად ეჩვენებოდა, რომელიც შეიძლებოდა ქარს წაეღო, — უკვე ოთხმოცი წელია, გემები იქ აღარ შედიან. 88 წლის ქარიშხლის მერე ყველაფერი შლამითაა დაფარული, — იგი გულუბრყვილოდ ამაყობდა თავისი სიზუსტით. იმ წლებში, როდესაც კლაიდს ჯერაც ნათელი გონება ჰქონდა, იგი ასტრონომიის პარალელურად ბუნებრივი კატაკლიზმებითაც იყო დაინტერესებული: კრაკატაუს ამოფრქვევით, დედამიწა მტვრით რომ დაფარა, ჩინეთში 1931 წლის წყალდიდობით, რომელმაც თითქმის ოთხი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 1755 წელს ლისაბონში მომხდარი მიწისძვრით, რომლის დროსაც მორწმუნეები ეკლესიაში იმყოფებოდნენ.

— მაგრამ ძალზე სასიამოვნო კი იყო, — თქვა ფელისიამ და უადგილოდ გაიღიმა, რაც იმის დასტური იყო, რომ თავისი სიტყვების სისწორეში დარწმუნებული იყო, — პორტის ქუჩაზე მოხუცებისთვის ძელსკამები დგას, ძველი გრანიტის ობელისკიც არის აღმართული, რომელიც სამხედრო ძეგლს სულაც არ ჰგავს.

— მაშინ ყველაფერი ძველებურად კარგად იქნება, — ოვარაუდა კაცმა, თან გაოცებული იყო, რომ ვისკის კიდევ ერთმა დუიმმა გულმოწყალედ დაჯაბნა იგი.

— არა, არ იქნება, — მკვეთრად მოჭრა ფელისიამ და პალტო გაიხადა. მაჯაზე კლაიდისთვის აქამდე უცნობი სპილენძის ფართო სამაჯური უბრწყინავდა. იგი მას სიუკს აგონებდა, რომელიც ზოგჯერ სამკაულებს არ იხსნიდა, გახდილი დადიოდა იმ ბნელ ოთახებში, სადაც ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ და სიშიშვლით ბრწყინავდა, — მალე ისინი კიდევ ვიღაც მდაბიოს ჭკუაზე გაივლიან, რომელმაც ნაპალმით სოფლების გადაწვაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, და მოინდომებენ, რომ პორტის ქუჩასაც გადაერქვას სახელი, მუხნარსაც და ბოლოს — ისთვიქსაც.

— როგორც ამბობენ, პატარაობისას კაზმირჟაკი კარგი და საყვარელი ბავშვი ყოფილა. რამდენიმე წლის წინ ფეხბურთის გუნდში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მცველად თამაშობდა, ახლა კი დაღუპულთა სიაშია! ამიტომაც განიცადა ხალხმა ასე მძიმედ მისი დაღუპვა გასულ ზაფხულს.

— მე ეს მძიმედ არ განმიცდია, — ღიმილით თქვა ფელისიამ, თითქოს ამ სიტყვებით კამათს წერტილი დაუსვაო. იგი ხელების გასათბობად ბუხარს მიუახლოვდა, რომელშიც ქმარს ცეცხლი აეგიზგიზებინა, და ნახევრად შეტრიალებული ისე მოძრაობდა, თითქოს პირიდან თმას იცილებდა. კლაიდმა არ იცოდა, რატომ გამოიწვია ამ უკვე ნაცნობმა ჟესტმა მისი გაღიზიანება, თუმცა იმ ულაზათო თვისებებს შორის, რომლებიც ფელისიამ ასაკთან ერთად შეიძინა, ეს უბედურება ნაკლად ვერც კი ჩაითვლებოდა. დილით იგი დაინახავს ბუმბულს, ჩალას, ნერწყვისგან მბზინავ, ბალიშზე მიკრულ მონეტებს, იგრძნობს, რომ თავი უგუგუნებს და ცოლისთვის მუჯლუგუნის გაკვრას მოინდომებს, — თუ ვინმეს ჰგონია, — ჯიუტად განაგრძობდა ქალი, — რომ იგი ისთვიქში დაიბადა და გაიზარდა, ძალიან ცდება! მისი ოჯახი აქ ხუთი წლის წინ ჩამოვიდა, მამამისს წესიერი სამუშაოს პოვნა არც უცდია, გზის დამგებ ბრიგადაში მოეწყო, რათა შემდეგ ექვსი თვე არ ემუშავა და შემწეობა მიეღო. იგი დღეს კრებაზე შავი ჰალსტუხით და დასვრილი სახით გამოცხადდა. საბრალო მისის კ-ს უცდია, რომ ცოტა რიგიანად ჩაეცვა, რათა მეძავს არ ჰგვანებოდა, მაგრამ, ვშიშობ, რომ ეს არ გამოუვიდა.

ზოგადად, უუფლებო ხალხი ფელისიას ძალიან უყვარდა, მაგრამ როდესაც საქმე რომელიმე კონკრეტულ პირს შეეხებოდა, ცხვირს ზიზღით განზე სწევდა. ეს მისთვის შესანიშნავი შესაძლებლობა იყო გულის გამაწყალებელი მსჯელობის დასაწყებად, მაგრამ კლაიდმა თავი ველარ შეიკავა, რომ ცეცხლზე ნავთი არ დაესხა.

— ვფიქრობ, კაზმირჟაკის მოედანი არც ისე ცუდია, — თქვა მან.

ფელისიას პატარა შეშლილი თვალები აენთო.

— არა, ეს ასე არ არის. შენ ფიქრობ, რომ ეს დამპალი მოედანი არც ისე ცუდია?! სულ არ გადარდებს, რა ქვეყანას ვუტოვებთ ჩვენს შვილებს და რომელ ომებს მოვახვევთ თავზე. და შევეწირებით ამას თუ არა, მაგრამ შენ უკვე ახლა იწამლავ თავს სასიკვდილოდ და მხოლოდ ის გინდა, რომ მთელი დედამიწა თან წაიყოლო, აი, რას ფიქრობ შენ, — აქ მას დიქციამ უმტყუნა, ამიტომ ფრთხილად გამოიღო პირიდან პატარა ქინძისთავი და რაღაც საშლელის ნატეხის მსგავსი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რაღაც ვერ ვხედავ, რომ ისინი გვერდით გვედგნენ, ჩვენი შვილები, რომელთაც ეს ქვეყანა უნდა დავუტოვოთ, როგორიც უნდა იყოს იგი, — ჩაიცინა კლაიდმა და შოტლანდიური ვისკით სავსე ჭიქა, რომელშიც ქლორიანი წყლისგან დამზადებული ყინულის კუბურები ეყარა და კვამლისა და ერიკას გემო დაჰკრავდა, პირში გადაუშვა. ყინულს კბილებზე რაკარუკი გაჰქონდა. კაცი სიუკის ტუჩებზე ფიქრობდა, მის კმაყოფილებით აღსავსე გამომეტყველებაზე, მაშინაც კი, როდესაც სერიოზული და სევდიანი სახის მიღებას ცდილობდა. ეს მან დაასევდიანა ქალი, რასაც ნანობდა კიდეც. სიუკის პომადას ალუბლის გემო დაჰკრავდა და ზოგჯერ მის წინა ორ კბილზე კვალს ტოვებდა. კლაიდი ჭიქის შესავსებად წამოდგა და შექანდა. სიუკის სხეულის ნაწილები — ფუმფულა ფეხის თითები, რომელთაც ალისფერი დაჰკრავდათ, ნახევარმთვარეებისგან გაკეთებული ყელსაბამი, ღია წითური თმა იღლიებქვეშ — შეუჩერებლივ დაფარფატებდნენ მის ირგვლივ. ბოთლს ბინა თაროზე დაედო, ბალზაკის თხზულებათა მრავალტომეულის ქვეშ, რომელიც ერთად თავმოყრილ პატარა ყავისფერ კუბოებს წააგავდა.

— შენ ესეც გაღიზიანებს — ის, რომ ჯენი და ქრისი წავიდნენ, თითქოს შვილები მთელი ცხოვრება შინ უნდა ისხდნენ, თითქოს სამყარო არ უნდა იცვლებოდეს და იზრდებოდეს. გაიღვიძე, კლაიდ. შენ გეგონა, რომ ცხოვრება ყოველთვის ისეთი იქნებოდა, როგორც ეს საბავშვო წიგნებშია აღწერილი, რომლებსაც დედიკო და მამიკო საწოლზე გიდებდნენ ყოველთვის, როცა ავად გახდებოდი, ყოველგვარ „ასტრონომებს“, „საბავშვო კლასიკას“, გასაფერადებელ წიგნებს, რომლის კონტურებსაც ვერ წაშლიდი, და კოხტა ყუთებში ჩაწყობილ ლამაზ, წამახულ ფერად ფანქრებს. მაგრამ ცხოვრება — ცოცხალი ორგანიზმია, კლაიდ, სამყაროც ორგანიზმია, რომელიც არსებობს, გრძნობს, მოძრაობს, მაშინ, როცა შენ სულ ზიხარ და შენი სულელური გაზეთით ერთობი ლოგინში მწოლიარე, ბოლომდე ჯერაც ვერგამოჯანმრთელებული დედიკოს ბიჭივით. შენი ეგრეთ წოდებული რეპორტიორი სიუკ რუჯმონტი დღეს კრებაზე ბრძანდებოდა და გოჭის ცხვირი ისე აებზიკა, თითქოს გვეუბნებოდა: „მე ისეთი რაღაც შევიტყვე, რაც თქვენ არ იცითო“.

„ენა, — გაიფიქრა კლაიდმა, — აი, ალბათ, ის ჭირი, რის გამოც სამოთხიდან გაგვდევნეს. ჩვენ კი ვცდილობთ, რომ ეს საცოდავ, უწ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყინარ შიმპანზეებსა და გაღიმებულ დელფინებს ვასწავლოთ“. პირდაფჩენილი „ჯონი უოკერის“ ბოთლი დაუზარებლად იცინოდა.

— ნუ გგონია, ჰოო, — განაგრძო ფელისიამ და ხმა კივილში გადაეზარდა, — ნუ გგონია, რომ არაფერი ვიცი შენსა და იმ გათახსირებულის შესახებ, გადაშლილი წიგნივით გხედავ. რომ შეგეძლოს, სიამოვნებით გაჟიმავდი, მაგრამ მაგის ძალა არ შეგწევს, ვერ მოგართვეს.

ბუნდოვანი, მქრქალი სახე სიუკისა, რომელიც ჟიმაობის შემდეგ მის ქვეშ იწვა და გაოცებას ვერ ფარავდა, კლაიდის გონებას ეწვია და სქელი თაფლით დაუბა ენა, რომელიც შეპასუხებას აპირებდა: კარგადაც მომართვესო.

— დამჯდარხარ აქ, — განაგრძობდა ფელისია გესლიანი ავგულობით, რომელიც მთლიანად მოსდებოდა და პირი და თვალებიც კი დაეპყრო, — დამჯდარხარ და ჯენისა და ქრისზე ოცნებობ, რომელთაც იმდენი ჭკუა და გამბედაობა მაინც აღმოაჩნდათ, რომ სამუდამოდ გასცლოდნენ ამ ღვთისგან დავიწყებულ ქალაქს და დამოუკიდებლად ეცადათ კარიერის გაკეთება იქ, სადაც რაღაც ხდება. ზიხარ და ოცნებობ, მათ კი, იცი, რა მითხრეს ერთხელ შენ შესახებ? მართლა გსურს ამის გაგება? მათ თქვეს: „დედა, ხომ კარგი იქნებოდა, მამა რომ ჩვენგან წასულიყო?“ რა თქმა უნდა, იძულებული იყვნენ, დაემატებინათ: „უბრალოდ, ის ძალზე უნებისყოფოა“. ეს ზიზღით თქვეს, უცხოებივით: „უბრალოდ, ის ძალზე უნებისყოფოა“.

„ბრწყინვალება, — გაიფიქრა კლაიდმა, — რიტორიკის ბრწყინვალება“. ეს ყველაზე უფრო აუტანელი იყო: ოსტატური პაუზები და გამეორებები, ის, თუ როგორ ეჭიდებოდა იგი სიტყვათა სიმებს და მათ მუსიკალურ თემად აქცევდა, როგორ სვამდა მაღალფარდოვან წერტილებს უზარმაზარი წარმოსახვითი აუდიტორიის წინაშე ტრიბუნების რიგებით გატაცებული. სიტყვით გამოსვლის კულმინაციურ მომენტში საყლაპავი მილიდან კნოპების გროვა ამოუვიდა, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა. ფელისიამ სწრაფად გადმოაფურთხა ისინი ხელზე და მოგიზგიზე ბუხარში შეყარა. კნოპები სუსტად აშიშინდნენ და ფერადი თავები გაუშავდათ.

— ძალზე სუსტი ხასიათის პატრონია, — თქვა ქალმა, პირიდან ბოლო კნოპი გამოიღო და მკვეთრად მოისროლა ბუხრის აგურებსა და ეკრანს შორის არსებულ ღრეჩოში, — მაგრამ სურს, რომ მთელი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქალაქი ამ საშინელი ომის ძეგლად აქციოს. ეს ყველაფერი, ალბათ, იმას ჰგავს, რა ჰქვია, სინდრომს, როდესაც უნებისყოფო ლოთი ცდილობს, რომ მთელი სამყარო თან გაიყოლოს. იცი, კლაიდ, ვის მაგონებ? ჰიტლერს. კიდევ ერთ სუსტ ადამიანს, რომლის წინაშეც სამყარომ ქედი მოიხარა. მაგრამ ეს აღარ განმეორდება, — წარმოსახვითი ბრბო ფელისიას ზურგს უკან გამოჩნდა, ახლა ჯარს თვითონ მეთაურობდა. „ჩვენ გაბედულად ვეგებებით ბოროტებას“, — მოუწოდებდა იგი, მზერა კი კაცის თავზე მიეპყრო რაღაცისთვის.

ფელისია ერთიანად დაძაბული იდგა, თითქოს ელოდა, რომ ქმარი მის წაქცევას შეეცდებოდა. მაგრამ მან მისკენ მხოლოდ იმიტომ გადადგა ნაბიჯი, რომ სველი კნოპების ჩაყრის შემდეგ ცეცხლი თითქმის ჩამქრალიყო. კლაიდმა ეკრანი გვერდზე გასწია და გაფანტული შეშის ნაჭრები თითბრისსახელურიანი ქარცახით მოჩხრიკა. ნაპობები ერთმანეთს შეეჯახა და ნაპერწკლები გადმოყარა. კლაიდი სიუკსა და საკუთარ თავზე ფიქრობდა: მათ სექსს თან უჩვეულო ლოცვა-კურთხევა ახლდა, სიახლოვისგან კი კაცს ძილი ერეოდა. უძილობის შემდეგ ქალის სრიალა კანის შეხებით თანდათან სანეტარო სისუსტე ეუფლებოდა. სასიყვარულო ურთიერთობის წინ და მის შემდეგაც ქალის გაშიშვლებული სხეული ისეთი მსუბუქი იყო, რომ ბოლოს მოეჩვენა, კოსმოსში ჩემს ადგილს მივაგენიო. ფიქრები იმ სამყაროს შესახებ, რომელიც განქორწინებულ, წითურთმიან ქალში იყო მოთავსებული, მის ტვინს სანეტარო სიბნელეში ხვევდა.

ალბათ რაღაც დრო გავიდა. ფელისია ქადაგად იყო დავარდნილი. მამისადმი შვილების ზიზღს ახლა იგი სკამზე კაცის დანაშაულებრივ ჯდომას უკავშირებდა, მაშინ, როცა უსამართლო ომები, ფაშისტური მთავრობები და მოგებას დახარბებული ექსპლუატატორები ქვეყნიერებას დაღუპვისკენ მიაქანებდნენ. კაცი კვლავაც გრძნობდა ხელში ქარცახის სასიამოვნო სიმძიმეს. ფელისიას გესლით გაშმაგებული სახე თავის ქალასავით გასთეთრებოდა, თვალები ცვილისებურ ღრმა ბუდეებში ჩამჯდარი პატარა სანთლების ნაპერწკლებივით ანთებოდა, შუბლზე თმა წაწვეტებული კონცხივით აღმართოდა. ყველაზე საშინელი კი ის იყო, რომ პირში კვლავ რაღაც საგნები უჩნდებოდა — თუთიყუშის ფრთები, მკვდარი ბზიკები. კვერცხის ნაჭუჭის ნატეხები თხელ ფაფას ქმნიდნენ, რომელიც უწყვეტად ჩამოსდიოდა ნიკაპზე, საიდანაც რიტმული ჟესტით გამუდმებით ისე

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იწმენდდა, თითქოს ჩახმახს ფეხზე აყენებსო. კლაიდს ეს ამოფრქვევა მინიშნებად მიაჩნდა: მის წინ მდგომი ქალი ეშმაკეული იყო და არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, ვისზეც ოდესღაც იქორწინა.

— არ გინდა, — ემუდარებოდა კაცი, — გვეყოფა. დილით, დასვენებულზე განვაგრძოთ.

ქიმიური და მექანიკური პროცესი კი, კაცს რომ თავზარი დასცა, მეტ გაქანებას იძენდა, ქალი თითქოს დაბრმავდა და დაყრუვდა. მისი ხმა, რომელსაც შიგნიდან რაღაც უშრეტი ძალა კვებავდა, სულ უფრო ძლიერდებოდა და საცაა მეზობლებსაც გააღვიძებდა. კლაიდს მარცხენა ხელში ჭიქა ეჭირა. მან მარჯვენათი ქარცახი ასწია და ფელისიას თავში ჩაარტყა, უბრალოდ ჩაარტყა, რათა წამით მაინც შეეჩერებინა ენერგიის ნაკადი, ამოექოლა ნახვრეტი, საიდანაც ათასი რამ მოედინებოდა. ქალის თავის ქალამ უცნაურად მაღალი ხმა გამოსცა, თითქოს ორი გეჯა ერთმანეთს შეასკდაო. თვალები გადაუვარდა, მაგრამ ღია დარჩა, ტუჩები უნებლიეთ გადაეხსნა და ენაზე უცისფრესი ბუმბული გამოუჩნდა. კაცმა იცოდა, რომ შეცდომა დაუშვა, მაგრამ ჩამოვარდნილი სიჩუმე ციდან ზეგარდმოვლენილად მიაჩნდა. ახლა საქმეში მისი საკუთარი ქიმიური ნივთიერებები ჩაერთო; იგი კვლავ ურტყამდა ცოლს თავში და ამას მაშინაც კი განაგრძობდა, როცა ქალი ნელ-ნელა ეშვებოდა იატაკზე, სანამ დარტყმის შედეგად გამოცემული ხმა ხის კაკუნზე რბილი არ გახდა. მან სამუდამოდ ამოქოლა ეს ნახვრეტი ამ უზარმაზარ სამყაროში.

კლაიდ გებრიელმა წარმოუდგენელი შვება იგრძნო, თითქოს სხეული მოულოდნელად გაუთავისუფლდა ოფლის წებვადი გარსისგან, იმის მსგავსად, როგორც ქიმწმენდიდან მოტანილ კოსტიუმს ვიღებთ პოლიეთილენის პარკიდან. იგი ვისკის წრუპვას განაგრძობდა და ცდილობდა, იატაკზე არ დაეხედა; ვარსკვლავებსა და იმ მიუწვდომელ შორეულ სურათზე ფიქრობდა, რომელსაც ისინი მისი ცხოვრების ბოლო ღამეს შექმნიდნენ, ისევე, როგორც მარადიულობის ნებისმიერ სხვა ღამეს მას შემდეგ, რაც გალაქტიკა შეიკუმშა. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაეკეთებინა. ზოგიერთი მათგანი რთული შესასრულებელი იყო. საოცრად მაცოცხლებელმა პერსპექტივამ მის ყოველ მოქმედებას ნახაზის სიცხადე მისცა, თითქოს იგი მართლაც დაუბრუნდა იმ საბავშვო, სურათებიან წიგნებს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომლებიც ფელისიამ მის წარმოსახვაში გააცოცხლა. საინტერესოა, რომ ეს სწორედ მან გააკეთა, მისდამი ზიზღის მიუხედავად. იგი მართალი იყო — მას ის დღეები უყვარდა, როდესაც შინ იყო, როცა ავადმყოფობდა და სკოლაში არ დადიოდა. ფელისია ქმარს ძალზე კარგად იცნობდა. ქორწინება — გაკვეთილივითაა, რომელიც ორმა ადამიანმა ჩაკეტილ კარს მიღმა გამუდმებით უნდა ისწავლოს, სანამ სიტყვები სიგიჟედ არ გადაიქცევა. მას მოეჩვენა, რომ ფელისიამ წამოისლუკუნა, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ცეცხლი ინელებდა სისხლის ძარღვს.

კლაიდი, რომელიც პატარაობისას კეთილსინდისიერი და აკურატული ბავშვი იყო, არქიტექტურული ჩანახატების ჭვრეტით ტკბებოდა, ისეთის, რომელიც ყველა ძერწულ სამკაულს, ფანჯრის ალათასა და შვერილს შეიცავდა, ჩანახატებისა, რომლებზეც მკვეთრად იყო გამოსახული პერსპექტივის კუთხის დაახლოება. ოდესღაც სახაზავისა და ლურჯი ფანქრის საშუალებით იგი აგრძელებდა დაახლოებულ ხაზებს ჟურნალებისა და კომიქსების ნახატებზე შეყრის წერტილისკენ, თუნდაც ეს წერტილი გვერდის ფარგლებს მიღმა აღმოჩენილიყო. მას სიამოვნებდა ის, რომ ასეთი წერტილი არსებობდა და, შესაძლოა, პირველად იხილა მოზრდილთა ყალთაბანდობა, როცა ბევრ უგემოვნოდ შესრულებულ ნახატზე მხატვრები ტყუილში გამოიჭირა: მათზე არ არსებობდა შეყრის განსაზღვრული წერტილი. ახლა კლაიდმა თვითონ მიაღწია წერტილს პერსპექტივის ბოლოში და მის ირგვლივ ყველაფერი იდეალურად მკაფიო და ახალი იყო. პრობლემების უზარმაზარი სივრცეები — ოთხშაბათს „ვორდის“ მორიგი ნომრის გამოშვება, სიუკთან შეხვედრის შესახებ მოლაპარაკება, საყვარლების მუდმივი სწრაფვა საწოლის პოვნის შესახებ, ისე, რომ ეს უხამსობას არ დამსგავსებოდა, მუდმივი ტკივილის განცდა, როდესაც იცვამდა და სიუკს ტოვებდა, აუცილებელი კონსულტაცია ჯო მარინოსთან ბუხრის, გაცვეთილი მილებისა და რადიატორების შესახებ, ნაწლავებისა და ღვიძლის არასახარბიელო მდგომარეობა, ექიმ პეტთან პერიოდულად ანალიზების გაკეთება და კონსულტაციები, პირფერული დასკვნები, რომლებიც მისი სხეულის საკალალო მდგომარეობას ადასტურებდნენ, ახლა კი გართულება პოლიციასა და სასამართლოსთან — უკუგდებულია და დარჩა მხოლოდ ოთახის მოხაზუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლობა და მისი ხის კონსტრუქციების ხაზები, მკვეთრი, როგორც ლაზერის სხივების კონა.

კლაიდმა დარჩენილი ვისკი გადაჰკრა. სასმელმა საყლაპავი მილი აუწვა. ფელისია ცდებოდა, როცა მის უნებისყოფობაზე საუბრობდა. ბუხრის თავზე ბოკალის დადგმისას მას შეეძლო თვალი მოეკრა ქალის წინდით მოსილი ფეხისთვის, რომელიც უხერხულად გაშეშებულიყო, როგორც ცეკვის რთული ილეთის შესწავლისას. უორვიკის საშუალო სკოლაში სწავლისას იგი მართლაც მოძრავი გოგონა იყო და ბიგ-ბენდის შესანიშნავ, მოძრაობაში მომყვან, მოზუზუნე მელოდიებზე ცეკვა უყვარდა. მაშინ ამგვარი მუსიკის შესრულება ადგილობრივ, პატარა ორკესტრებსაც შეეძლოთ. როდესაც ფელისია ტრიალს იწყებდა, კბილებს შორის ენის წვერი მოუჩანდა. კლაიდი დაიხარა, იატაკიდან ლუკრეციუსის წიგნი აიღო და თაროზე დააბრუნა. შემდეგ თოკის მოსაძებნად სარდაფში ჩავიდა. უტიფრად ძველი ღუმელი თავის საწვავს არაბუნებრივი ღმუილით ნთქავდა; მისი სუსტი, დაჟანგული ჯავშანი იმდენ სითბოს კარგავდა, რომ სარდაფი სახლის ყველაზე მყუდრო ადგილს წარმოადგენდა. ადრე იქ სამრეცხაო ოთახი მდებარეობდა, და წინა მფლობელებისგან ძველი „ბენედიქსი“ დარჩენილიყო საწური პრესით, აგრეთვე ნავთის ძველმოდური სუნი და სარეცხი სამაგრების კალათაც კი ტაშტის მრგვალ კალის თავსახურავზე. კაცმა გაიხსენა, თუ როგორ თამაშობდა ოდესღაც ამ სამაგრებით, როდესაც ზედ ფერადი ფანქრებით პატარა გრძელფეხება კაცუნებს ხატავდა მეზღვაურთა ქუდების მსგავსი მრგვალი შლაპებით. აი, სარეცხის თოკი, რომლითაც არავინ არ სარგებლობდა. ძველი სარეცხი მანქანის უკან, აბლაბუდების სამეფოში, აკურატულად დახვეული თოკის გორგალი შეეჩურთათ. მოულოდნელად კლაიდმა გააცნობიერა, რომ იგი განგების გამჭვირვალე ხელს მიჰყვებოდა. საკუთარი გაუმჭვირვალე ხელებით კი — დაძარღვული, დაბრეცილი, საზიზღარი ბებრული მარწუხებით — მან მკვეთრად მოქაჩა თოკი და ორი თუ სამი მეტრი გადაზომა, თან გაცრეცილ ადგილებს ეძებდა, რომლებსაც შეეძლოთ ემტყუნათ. კაცმა ჟანგიანი მაკრატელი მოხერხებულად დაიჭირა ხელში და თოკი საჭირო სიგრძეზე გადაჭრა. როგორც მთაზე ამსვლელი წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს და ზემოთ არ იყურება, ასეთივე გადაწყვეტილებას მიჰყავდა იგი მდორედ კვლავ კიბის საფეხურებისაკენ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მტვრიანი თოკით ხელში. მან მარცხნივ, სამზარეულოსკენ შეუხვია და ზევით აიხედა. ჭერი აქ რეკონსტრუქციის დროს ოდესღაც დაედაბლებინათ და იგი არამყარ ზედაპირს წარმოადგენდა, რომელიც ალუმინის ბადეზე მიმაგრებული ტექსტურირებული ფილებით იყო დაფარული. პირველი სართულის სხვა ოთახებში სამმეტრიანი ჭერი მოებათქაშებინათ. ჭაღებისთვის განკუთვნილი მოჩუქურთმებული როზეტები — არცერთ მათგანზე ჭაღი კარგა ხანია, აღარ ეკიდა — მის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა, თუნდაც პწკალათი ასულიყო და თოკის დასამაგრებლად შვერილი ეპოვა.

ჭიქის შესავსებად კლაიდი ბიბლიოთეკაში დაბრუნდა. ცეცხლი ისე მხიარულად აღარ გიზგიზებდა და შეშის დამატებას საჭიროებდა, მაგრამ ამგვარ ყურადღებას სხვა უამრავი წვრილმანი საქმეც მოჰყვებოდა, რაც მას უკვე აღარ ეხებოდა. სანამ ამას მიეჩვეოდა, დრო გავიდა. მან ვისკი მოსვა და იგრძნო, თუ როგორ ჩაეშვა კვამლიანი ქარვის ყლუპი, რათა აღარასოდეს განმეორებულიყო. კლაიდს მყუდრო სარდაფი მოაგონდა და ინტერესით გაიფიქრა: — თუ პირობას დავდებ, რომ იქ, ნახშირის ძველ ყუთში ვიცხოვრებ და გარეთ არასოდეს გამოვალ, შესაძლოა, ყველაფერი მეპატიოს და დავიწყებას მიეცესო. მაგრამ ამ მხდალმა ფიქრებმა შებილწეს ის სიწმინდე და უშფოთველობა, რომელშიც ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ იმყოფებოდა. კიდევ უნდა ეფიქრა.

თოკთან დაკავშირებით, ალბათ, პრობლემა წარმოიქმნებოდა. კლაიდი გაზეთში ცამეტი წლის განმავლობაში მუშაობდა და კარგად იცნობდა იმ მრავალფეროვან მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანები საკუთარ სიცოცხლეს წერტილს უსვამდნენ. ავტომობილის ბორბლებქვეშ ჩავარდნა, ცხადია, სუიციდის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი იყო. ამგვარ თვითმკვლელებს ყოველდღიურად ასაფლავებდნენ თავიანთი მოვალეობის შემსრულებელი მღვდლები და ახლობლები, რომლებიც ახერხებდნენ, თავიდან აეცილებინათ საყვედურები, რომ ყოველივე მათი მიზეზით მოხდა. მაგრამ ეს არასაიმედო, საჯარო და ცოტათი ბინძური მეთოდი იყო. და ამ უკიდურეს წერტილში ირღვეოდა ის ესთეტიკური წარმოდგენები, რომელთაც ასე დიდად აფასებდა კლაიდი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, ისინი მისი ბავშვობის მოგონებებთან ერთად ჩნდებოდნენ. ხანძრის დროს დაღუპულთაგან ზოგიერთები საშინელ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სამხილს ტოვებდნენ, რომელიც ეჭვს აჩენდა, რომ, შესაძლოა, თვითონ დაანთეს თავიანთი დაკრძალვის კოცონი. მაგრამ ეს ქრისსა და ჯენის მემკვიდრეობას წაართმევს, კლაიდი კი ჰიტლერს არ ჰგავდა და არ უნდოდა, რომ მთელი ქვეყანა თან წაეყოლა. ფელისია აშკარად ვერ იყო თავის ჭკუაზე, როცა ეს შედარება მოიგონა. თანაც, რა გარანტიაა, რომ ბოლო წამს, ცეცხლმოკიდებული ტყავის გადასარჩენად, სახლიდან არ გამოვარდები? იგი არც ბუდისტი ბერი იყო, ხორცის მოკვდინების იდეით აღზრდილი, რომ მშვიდად მჯდარიყო პროტესტის ნიშნად, სანამ დანახშირებული სხეული არ დაიშლებოდა. გაზს მაშინ იყენებენ, როდესაც უმტკივნეულოდ სურთ სიკვდილი, მაგრამ ის ისეთი ოსტატი არ იყო, რომ მრავალრიცხოვანი ფანჯრები დაეგმანა, ფართო და მზიანი საშხარეულო კი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, რამაც ცამეტი წლის წინ, დეკემბერში, მათ ამ სახლის ყიდვა გადააწყვეტინა. წლევანდელი წლის მთელი დეკემბერი — ამ აზრმა მასში დანაშაულებრივი სიხარული გამოიწვია — მისთვის დამახასიათებელი მოკლე, ბნელი, გამშვენებული დღეებითა და მოჩვენებითი ბრბო ხალხით, ნაძვის ხეებს რომ ყიდულობენ და სახლებში დგამენ, რათა პატივი მიაგონ მკვდარ რელიგიას (იაფფასიანი საშობაო საგალობლები, საცოდავი საშობაო ბაგა კაზმირჟაკ-პორტის მოედანზე, პორტის ქუჩის მეორე ბოლოში, უშველებელ მრგვალ მარმარილოს ურნაში დაყენებული ნაძვის ხე, რომელსაც „ცხენების წყალსასმელს“ უწოდებენ), ახლა მთელი დეკემბერი თავისი მრავალრიცხოვანი მოვლენებით კლაიდის გამარტივებული კალენდრიდან ამოვარდა. აღარ იქნება საჭირო შემდეგი თვის ბენზინის საფასურის გადახდა. არც გაზის. მაგრამ მან თავისი ღირსებისთვის შეუფერებლად ჩათვალა უხერხული ლოდინი, რომელიც გაზით მოწამვლას ახასიათებს. მას არ უნდოდა, რომ სიცოცხლის ბოლო წამებში ოთხზე დამდგარიყო მონის ან საჭმელად მოშზადებული ძაღლის პოზაში, თავი გაზქურაში შეეყო და იქაურობა ეთვალიერებინა. კლაიდმა უარი თქვა იმ სიბინძურეზე, რაც დანების გამოყენებას, აგრეთვე სააბაზანოებში სამართებლების ხმარებას ახლავს თან. აბები კი იყო უმტკივნეულო და სუფთა საშუალება, მაგრამ ფელისიას ერთ-ერთ მანიას წარმოადგენდა ცოტა არ იყოს ახირებული ბრძოლა ფარმაცევტულ კომპანიებთან, და იმის წინააღმდეგ, რასაც, მისივე თქმით, ქვის ამერიკის, წამალზე დამოკიდე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბული ზომბების ერის შექმნის მცდელობა ერქვა. კლაიდს გაეღიმა, სახეზე ღრმა ნაკეცი შეუტოკდა. ისე, მოხუცი ზოგჯერ არ ტყუოდა. მხოლოდ უაზროდ კი არ ლაქლაქებდა. მაგრამ იგი არ ეთანხმებოდა მას იმაში, რაც ჯენიფერსა და ქრისს შეეხებოდა. კლაიდი არასდროს ელოდა და არც ნდომებია, რომ ისინი სამუდამოდ შინ დარჩენილიყვნენ, მხოლოდ ის სწყინდა, რომ ქრისმა ასეთი არასაიმედო, თეატრთან დაკავშირებული პროფესია აირჩია, და რომ ჯენი ასე შორს, ჩიკაგოში გაემგზავრა, და იქ რენტგენის სხივების გარემოცვაში მოხვდა. შეძლებს კი იგი, რომ მას შვილიშვილები გაუჩინოს? ეს საკითხი, ჯერჯერობით, დღის წესრიგში არ იდგა. ბავშვების გაჩენა აუცილებლად იმიტომ მიგვაჩნია, რომ ჩვენი მშობლებიც ასე იქცეოდნენ, მაგრამ რაღაც დროის გასვლის შემდეგ ჩვენი შვილები ადამიანთა მოდგმის მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი, რიგითი წევრები ხდებიან, რაც საკმაოდ სამწუხაროა. ჯენი და ქრისი კარგი, მშვიდი ბავშვები იყვნენ და ესეც ერთგვარ იმედგაცრუებას წარმოადგენდა. მათმა სიკარგემ ის მოიტანა, რომ ისინი ფელისიას ჭკუაზე არ დადიოდნენ, რომელსაც ახალგაზრდობაში, როცა ალტრუიზმში არ იყო გადავარდნილი, საშინელი ხასიათი ჰქონდა (ამის მიზეზი, უეჭველია, სექსუალური დაუკმაყოფილებლობა იყო, მაგრამ რომელი ქმარი შეძლებს ერთდრულად ცოლის დაცვასაც და აღგზნებასაც?). ასევე არ ემორჩილებოდნენ ისინი მას, მამას. ცხრა წლის ჯენი სიკვდილზე ხშირად ფიქრობდა და ერთხელ ჰკითხა კიდეც მას, თუ რატომ არ ლოცულობდა იგი თავის ქალიშვილთან ერთად სხვა მამების მსგავსად, და თუმცა მან არ იცოდა, რა პასუხი გაეცა, ამ შემთხვევამ ისინი ძალზე დააახლოვა. იქამდე კლაიდი ყოველთვის ცდილობდა, რომ ძილის წინ რამე წაეკითხა, შვილის მოსვლა კი ხელს უშლიდა. სხვა მშობლების ხელში ჯენი, ალბათ, წმინდანი გახდებოდა თავისი ნათელი, სუფთა თვალებითა და რეტუშირებული ფოტოსავით გადატკეცილი სახით. გოგონას დაბადებამდე კლაიდს ქალის გენიტალიები წესიერად არც კი ენახა, თანაც ასეთი ნაზი, ფუმფულა, საკონდიტროს თაროზე მოთავსებული წყვილი ერბოზელილი ფუნთუშასავით.

ქალაქი უეცრად მიწყნარდა, ლუდოვიკოს ქუჩაზე ერთი მანქანაც კი აღარ მოძრაობდა. კაცს კუჭი ასტკივდა. წელიწადის ამ დროს, ღამით, ყოველთვის ასე ემართებოდა — წყლულის საწყისი სტადია

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰქონდა. ექიმმა პეტმა ურჩია, რომ თუ სასმლის გარეშე ვერ ძლებდა, საჭმელი მაინც მიეყოლებინა. სიუკთან მისი კავშირის თანამდევი არასასიამოვნო ეფექტი სექსის გამო გაცდენილი ლანჩები იყო. ქალს ქილით ზოგჯერ აკაჟუ მოჰქონდა, მაგრამ კბილების გამო იგი თხილს არ ეტანებოდა: ნამცეცები ჩაყენებული პროთეზის ქვეშ ხვდებოდა და ღრძილებს უსისხლიანებდა.

საოცარია, რომ ქალები სიყვარულში გაუმაძღრები არიან. თუ კარგად იმუშავებ, ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უნდათ, თითქოს ეს იგივეა, რაც მაგიდიდან გაზეთის აღება. ფელისიასაც კი სძულდა იგი, მისივე სიტყვების გათვალისწინებით. უწინ, ასეთ დროს, ერთ ყლუპსაც მოსვამდა, იჯდა მინავლებულ ცეცხლთან და ელოდა, რომ ცოლი დაწვებოდა და მის ლოდინში ჩაეძინებოდა. ფელისია კი, გულს მოიოხებდა თუ არა, მაშინვე წვებოდა და ითიშებოდა. საინტერესოა, მის ცოლს ჰიპოგლიკემია ხომ არ აწუხებდა? დილაობით კი იყო ხოლმე საღ გონებაზე და არც მოჩვენებითი აუდიტორია აწუხებდა, რომლის წინაშეც სიტყვით გამოდიოდა. როგორც ჩანს, იგი ვერ აცნობიერებდა, რომ ქმარი ლამის გაცოფებამდე მიჰყავდა. ზოგჯერ, შაბათ ან კვირა დილით, ფელისია ღამის პერანგით დატანტალებდა და ქმარს შესარიგებლად აცდუნებდა. თქვენ გგონიათ, რომ დიდი ხნის განმავლობაში ერთად მცხოვრები ქალისა და მამაკაცისთვის ასე ადვილია წუთის გამოძებნა წარსულის ასანაზღაურებლად? ეს ხელიდან გაშვებული შანსებია. დღეს რომ გაეძლო ცოლის ლაპარაკისთვის და მისთვის კიბეზე ასვლის საშუალება მიეცა... მაგრამ შვილიშვილებთან, სასმლისგან დაზიანებული კუჭის მკურნალობასთან და კბილის პროთეზთან დაკავშირებულ უსიამოვნებებთან ერთად ცხოვრების გაგრძელების ეს შესაძლებლობაც დაკარგული იყო.

კლაიდს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რამდენიმე, სატელევიზიო ორეულების სახით არსებობდა და ახლა ამ ორეულების პროცესიის თანხლებით უნდა აევლო კიბის საფეხურები. საფეხურები. ძველი თოკი მის ხელში ჯერაც უნიათოდ ქანაობდა. მისგან აბლაბუდა ველვეტის შარვალზე გადასდებოდა. ღმერთო, მომეცი ძალა.

ეს საკმაოდ მდიდრული, ვიქტორიანული სტილის კიბე იყო, რომელიც შუაში არსებული პატარა მოედნიდან ორად იყოფოდა. ოდესღაც ოსტატურად აგებული, უკანა ეზოსა და ბაღს გადასცქე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდა, მაგრამ ბოლო წლებში ცოტათი გაცვეთილიყო. კიბის თავის ერთ-ერთ რიკულზე მიმაგრებულ თოკს საკმარისი დაშორება უნდა უზრუნველეყო ქვედა საფეხურებიდან, რომლებიც ეშაფოტადაც გამოდგებოდა. მან თოკი ზევით, მეორე სართულის კიბის უჯრედზე აიტანა. ცდილობდა სწრაფად ემუშავა, რადგან სასმლისგან არ გათიშულიყო. აფრის ყულფი ჯერ მარცხნიდან მარჯვნივ, მერე კი მარჯვნიდან მარცხნივ კეთდება. თუ არა? მას თავდაპირველად „დიაცური" კვანძი გამოუვიდა. რიკულების კვადრატულ დაბოლოებებს შორის არსებულ ვიწრო სივრცეში ხელებით მანიპულირება საკმაოდ რთული იყო. თითები გადაიტყავა. ეჩვენებოდა, რომ ხელები თვალებს ძალიან დაშორებოდა და არამიწიერ წყალში ჩაშვებულივით ანათებდა. კალკულაციის სასწაულები მოახდინა, რათა გამოეანგარიშებინა ყულფის დამაგრების ადგილი (არა უმეტეს თხუთმეტი-ოცი სანტიმეტრისა, ვიწრო, მოპირკეთებული ფენილის ქვეშ, რომელსაც ამაღელვებლად ნატიფი ლავგარდანი ჰქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხები საფეხურებს მისწვდებოდა და სხეული, ეს უგუნური ცხოველი, სიცოცხლისთვის იბრძოლებდა) და მისი თავისთვის საჭირო ზომა. განიერი მოსძვრებოდა, ვიწრო მხოლოდ გაგუდავდა. ოსტატურად გაკეთებულ ყულფს კი კისერი უნდა გადაემტვრია (ეს არაერთხელ წაეკითხა) კისრის მალებზე მოულოდნელად მკვეთრი ზეწოლით. ციხის პატიმრები ამისთვის საკუთარ ქამრებს იყენებდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ სახე ულურჯდებოდათ. როდესაც ქრისი ბოისკაუტი იყო (მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა), მისი რაზმის მეთაურთან დაკავშირებით, რომელსაც თვითმკვლელობის მცდელობისას ქოხის ჭერი ჩამოენგრა, სკანდალი აგორდა. როგორც იქნა, კლაიდმა რთული, სრიალა კვანძის მიახლოებითი ვარიანტი გააკეთა და კიდეზე გადმოსაკიდებლად ყულფი დაუშვა. გვერდიდან, მოაჯირზე გადმოწეული ადამიანისთვის ეს გულისამრევი სურათი იყო, თოკი ოდნავ შეირხა და ქანაობას განაგრძობდა, ჰაერის ნაკადს, ღრეჩოებიანი სახლის ამ დაუპატიჟებელ სტუმარს, იგი ქანქარად გადაექცია.

კლაიდის გული უკვე სხვაგან იყო, მაგრამ მეთოდური სიმტკიცით, რომლის მეოხებითაც მას უკვე გაზეთის ათი ათასი ნომერი ჰქონდა დასაბეჭდად გამზადებული, იგი თბილი სარდაფისკენ გაეშურა (ძველი ღუმელი კვლავაც საწვავს ინელებდა) და იქიდან ალუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინის პწკალა მოიტანა. იგი ფიფქივით მსუბუქი იყო, ანგელოზთა ძლევამოსილებამ მისდამი მოწყალება გამოიჩინა. მან რამდენიმე ხის ნაჭერიც მოზიდა და მათი დახმარებით პწკალა ნოხგადაფარებულ საფეხურებზე ისე დააყენა, რომ პლასტიკური ფეხების ერთი წყვილი სამი დონით დაბლა იყო, ვიდრე მეორე, შეშის ღერებზე დაწყობილი, ჯვრისებურად მიმაგრებული უსაფეხურო ლარტყები კი ვერტიკალურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა და A-ს ფორმის მთელი ეს დახრილი კონსტრუქცია მსუბუქი ბიძგითაც კი გადაყირავდებოდა. მისი გათვლებით, უკანასკნელი, რასაც იგი დაინახავდა, ქუჩიდან შემოსასვლელი, კარის თავზე ფერადშუშიანი, ნახევრად მომრგვალებული ფანჯარა და გარიჟრაჟზე შორეული ქუჩის ფარნის ნატრიუმიანი შუქით განათებული მისი ბუნდოვანი სიმეტრიული ნახატი იქნებოდა.

ახლოდან, ვარსკვლავების შუქზე, ალუმინის პწკალაზე არსებული ნაკაწრები გაზის კამერაში ატომების ქაოსური მოძრაობის კვალს ჰგავდა. ყველაფერი განსაცვიფრებლად მკაფიოდ ჩანდა. კიბის ერთმანეთზე დამთხვეული და თანამკვეთი ხაზების სიმრავლე ზუსტად ისეთი იყო, როგორც არქიტექტორს ჩაეფიქრებინა. კლაიდ გებრიელი ექსტაზში იმყოფებოდა, გაიფიქრა, რომ საშიში არაფერი იყო, სული, ღვთიური ნაპერწკალივით, — და ეს ასეც არის, — რა თქმა უნდა, მატერიაში გაივლის. სიცოცხლის შემდეგ, ცხადია, განუსაზღვრელი შესაძლებლობები გაჩნდება, და იგი ფელისიასთან ყველაფრის მოგვარებას შეძლებს, და სიუკიც ეყოლება, თანაც არაერთხელ, არამედ უთვალავჯერ, როგორც ამას ნიცშე ვარაუდობდა. მისი ცხოვრების თავზე ბურუსი იფანტებოდა: ყველაფერი მკაფიო და ნათელი იყო, იმ გამოთქმის არსი, რომ მას ვარსკვლავები, Candida sidera[1] უმღეროდნენ, მის მოდუნებულ, საზიზღარი თვითკმაყოფილების წუმპეში არსებულ სულს ნათელ შეფერილობას აძლევდა.

ალუმინის პწკალა ოდნავ შეირხა, როგორც ადვილად აღგზნებადი ახალგაზრდა ფაშატი, რომელსაც საკუთარ სიმძიმეს ანდობ. ერთი ნაბიჯი, მეორე, მესამე. თოკი კისერს მაგრად შემოეხვია, კიბემ ძაგძაგი დაიწყო, როდესაც იგი ზევით აძვრა და უკან გადაიზნიქა,

[1] *ვარსკვლავების კეთილგანწყობა (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რათა კვანძი მაგრად გაენასკვა. ახლა პწკალა ძლიერად ქანაობდა აქეთ-იქით, მასზე შემომჯდარი მხედრის გაშმაგებულ სისხლს მსუბუქად მიჰყავდა იგი ბარიერისკენ, სადაც შეხტა, აიწია და, კაცის ოდნავ შეხებაზე, როგორც ეს გათვლილი იყო, გადავარდა. კლაიდი არ მოელოდა, რომ ასეთ წვას იგრძნობდა, თითქოს საყლაპავი მილი ცხელი ჭოპოსნით ამოაგლიჯესო, ხის კიბის კუთხეები, ნოხი და შპალერი ძლიერად ქანაობდა, წამით მოეჩვენა, რომ თვალები კეფაზე მოექცა. შემდეგ თავში ჩაღვრილი წითელი შუქი სიბნელემ ჩაანაცვლა და იქაურობას სიცარიელე დაეპატრონა.

— ოჰ, ძვირფასო, რა საშინელებაა, — უთხრა ჯეინ სმარტმა სიუკს ტელეფონით.

— წარმოიდგინე, ეს რომ ჩემი თვალით მენახა! პოლიციის განყოფილებაში ყველაფერი საკმაოდ ცოცხლად აღწერეს. ქალს, ალბათ, სახე სულ აღარ უჩანდა.

სიუკი არ ტიროდა, მაგრამ მისი ხმა ისე ჟღერდა, როგორ დაჭმუჭნილი სველი ქაღალდი, რომელიც გაშრობის მერე აღარ სწორდება.

— იგი ბოროტი ქალი იყო, — მტკიცედ თქვა ჯეინმა სიუკის დასამშვიდებლად, თუმცა მისი აზრები, თვალი და სმენა კვლავ უაკომპანიმენტო ბახს დაუბრუნდა — მხნეს, რაღაცნაირად მტრულს, შეუპოვარ მეოთხეს მი მაჟორში, — უვარგისი, თავის სიმართლეში დარწმუნებული, — სისინებდა იგი. მის თვალწინ სასტუმრო ოთახის მოშიშვლებული იატაკი იყო, ვიოლონჩელოს წვეტიანი რკინის ფეხით დაკბილული ურიცხვი პატარა ორმოთი.

სიუკის ხმა ხან ნორმალურად ჟღერდა, ხანაც მიჩუმდებოდა, თითქოს იგი ყურმილს ნიკაპიდან განზე სწევდა.

— კლაიდზე რბილ ადამიანს არც კი ვიცნობდი.

— მამაკაცებს ძალადობისკენ აქვთ მიდრეკილება, — თქვა ჯეინმა, რომელსაც მოთმინების ფიალა ევსებოდა, — ყველაზე მშვიდებსაც კი. ეს ფიზიოლოგიაა. ისინი აგრესიით არიან აღსავსენი, ვინაიდან ადამიანთა მოდგმის კვლავწარმოებაში უნდა მიიღონ მონაწილეობა.

— სამსახურში შენიშვნის მიცემაც კი არ უყვარდა, — განაგრძობდა სიუკი, მაშინ, როცა დიდებული მუსიკა — მისი ჯოჯოხეთური რიტმი, საოცრად მომთხოვნი შემსრულებლის მიმართ, — ნელ-ნელა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტოვებდა ჯეინის მეხსიერებას, მასთან ერთად კი მწვავე ტკივილიც უყუჩდებოდა მარცხენა ხელის ცერზე, რომელსაც იგი გატაცებით აჭერდა სიმებზე, — მხოლოდ ზოგჯერ აფეთქდებოდა ხოლმე, თუ რომელიმე კორექტორი შეცდომების კორიანტელს დააყენებდა.

— ცხადია, რატომაც, ძვირფასო. სწორედ ესაა მიზეზი. იგი ყველაფერს გულში ინახავდა. სანამ ფელისიას თავს დაესხმოდა, კლაიდი გააფთრებას მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში აგროვებდა, სულაც არ მიკვირს, რომ თავი წააცალა.

— ნუ იტყვი, რომ თავი წააცალა, — თქვა სიუკმა, — მან, როგორც ახლა ამბობენ, სიცოცხლეს გამოასალმა, არა?

— ჰო, მერე კი საკუთარი თავიც გამოასალმა სიცოცხლეს, — უკარნახა ჯეინმა იმ იმედით, რომ ამ ეფექტური ფინალით საუბარს დაამთავრებდა და მუსიკას დაუბრუნდებოდა. დილით ერთი-ორი საათით წამეცადინება უყვარდა, ათიდან შუადღემდე, შემდეგ საგულდაგულოდ იმზადებდა ლანჩს ღორის ქადის დიდ, გაზნექილ ფურცელზე ხაჭოთი ან თინუსითა და სალათით. დღეს, ორის ნახევრისთვის ვან ჰორნს უნდა შეხვედროდა. ერთი საათის განმავლობაში ბრამსის რომელიმე ნაწარმოებზე წაიმუშავებდნენ, ან კოდაის[1] მშვენიერ პატარა პიესას გაარჩევდნენ, რომელიც დარილმა უეი ბოსეტის ქუჩაზე, თაღედის უკან, გრანიტის შენობის სარდაფში აღმოაჩინა, სადაც ნოტების მაღაზია იყო გახსნილი. შემდეგ „ასტი სპუმანტს“ დალევდნენ ან ფიდელის მიერ მომზადებულ რძის კოქტეილს ტეკილათი, და აბაზანას მიიღებდნენ. მათი ბოლო შეხვედრის შემდეგ ჯეინს შორისი ორივე მხრიდან სტკიოდა. მაგრამ ქალებისთვის სასიამოვნო მოგონებები ხშირად სწორედ ტკივილს უკავშირდება. მას ესიამოვნა, რომ კაცთან მარტო იქნებოდა, თუ ფიდელსა და რებეკას არ ჩავთვლით, რომელთაც უხმაუროდ მოჰქონდათ და მიჰქონდათ ლანგრები და პირსახოცები. იყო რაღაც სახიფათო დარილის ჟინში, რომელსაც სამივე ქალი ეფერებოდა და აკმაყოფილებდა, როცა ყველანი ერთად იყვნენ. მაგრამ როდესაც მასთან მხოლოდ ჯეინი რჩებოდა, განსაკუთრებული ალერსი იყო საჭირო, — არაფერია გასაოცარი იმაში, რომ მას ამის გასაკეთებლად საკმარისი ჭკუა აღმოაჩნდა, — დაამატა გაღიზიანებულმა.

---

[1] *კოდაი, ზოლტან (1882-1967) — უნგრელი კომპოზიტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიუკმა გარდაცვლილის დაცვა სცადა:

— ჩვეულებრივ, ალკოჰოლი კლაიდს წონასწორობას არ აკარგვინებდა, იგი მას წამალივით სვამდა. ჩემი აზრით, მისი დეპრესიის მთავარი მიზეზი ნივთიერებათა ცვლის დარღვევა იყო. ერთხელ მითხრა, რომ წნევა ასი სამოცდაათზე ჰქონდა, რაც მისი ასაკის მამაკაცისთვის მართლაც საოცარია.

— დარწმუნებული ვარ, ბევრი რამით შეეძლო თავისი ასაკის მამაკაცების გაოცება, — მკვახედ თქვა ჯეინმა, — ცხადია, იმ საცოდავ ედ პარსლის მას ვამჯობინებდი.

— ჯეინ, ვიცი, რომ თავი მოგაბეზრე, მაგრამ რადგან ედი ვახსენეთ...

— მერე?

— თუ ამჩნევ, როგორ დაუახლოვდა ბრენდა ნეფებს?

— სიმართლე გითხრა, ნეფები კარგა ხანია არ მინახავს.

— ვიცი, მით უკეთესი შენთვის, — თქვა სიუკმა, — მე და ლექსა ყოველთვის ვთვლიდით, რომ იგი შენ ცუდად გექცევა, და რომ შენ ძალზე ნიჭიერი ხარ მისი პატარა ორკესტრისთვის. შურის გამო გაძლევს ხოლმე შენიშვნებს ხემთან ან რაიმე სხვა წვრილმანთან დაკავშირებით...

— გმადლობთ, საყვარელო.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ახლა ნეფები და ბრენდა განუყრელი მეგობრები არიან, ხშირად სადილობენ „ბრინჯაოს კასრში“ ან იმ ახალ ფრანგულ რესტორანში პეტაკვამსკუტის მახლობლად. როგორც ჩანს, რეიმ და გრეტამ შეაგულიანეს, რომ უნიტარულ ეკლესიაში ედის ადგილი მიიღოს და ახალი მღვდელი გახდეს. ამას, მგონი, არც ლავკრაფტები ეწინააღმდეგებიან, ჰორასი კი, თავადაც იცი, რომ საეკლესიო საბჭოშია.

— მაგრამ მას სასულიერო წოდებისთვის კურთხევა არა აქვს. განა ამის გარეშე შესაძლებელია? ეპისკოპალურ ეკლესიაში, სადაც მე ვარ მონათლული, ამგვარ საკითხებს ძალზე მკაცრად უდგებიან. საზოგადოების წევრიც კი ვერ გახდები, თუ ეპისკოპოსმა სადღაც, მგონი, თავზე, ხელი არ დაგადო.

— ჰო, მაგრამ იგი სამრევლო მღვდლის სახლში ცხოვრობს თავგასულ ბავშვებთან ერთად — არც ედი და არც ბრენდა მათ არასდროს არაფერს არ უკრძალავდნენ, — და მისი აქ მღვდლად დატო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვება უფრო კეთილშობილური საქციელი იქნებოდა, ვიდრე გაგდება. შესაძლოა, არსებობს რაიმე კურსი დამწყებთათვის, რომელსაც ფოსტით გზავნიან.

— შეძლებს კი იგი ქადაგებას? მან ხომ უნდა იქადაგოს.

— აქ კი ნამდვილად არ ველოდები რაიმე პრობლემის წარმოიქმნას. ბრენდას შესანიშნავი მიხრა-მოხრა აქვს, იგი ხომ თანამედროვე ცეკვებს სწავლობდა, როდესაც ედი ედლაი სტივენსონის[1] დიდ მიტინგზე გაიცნო. ბრენდა მხარდამჭერთა ჯგუფის ერთ-ერთ გამოსვლაში მონაწილეობდა, მას კი საეკლესიო წოდებაზე ხელდასმა უნდა მიეღო. ყოველთვის, როდესაც იგი ამის შესახებ მიყვებოდა, ვეკითხებოდი, უყვარდა თუ არა ცოლი უწინდებურად.

— ბრენდა სასაცილო, უგემოვნო ქალია, — თქვა ჯეინმა.

— ოჰ, ჯეინ, არ გინდა.

— რა არ მინდა?

— ამგვარი ლაპარაკი. ფელისიაზეც ასე ვამბობდით და ხომ ხედავ, რა მოხდა.

სატელეფონო სადენის მეორე ბოლოში სიუკი დაპატარავდა და დამჭკნარი სალათის ფოთოლივით დაეხვა.

— შენ ამაში ჩვენ გვადანაშაულებ? — მკვირცხლად ჰკითხა ჯეინმა, — ჩემი აზრით, ყველაფერში ის უბედური ლოთია დამნაშავე.

— ერთი შეხედვით ეგრეა, მაგრამ ჩვენ ხომ ვჯადოსნობდით და მოწყენილობისგან ქოთანში ათასგვარ ნივთს ვყრიდით, ისინი კი მას პირიდან ამოსდიოდა. კლაიდმა ერთხელ გულუბრყვილოდ ახსენა ეს, ცოლის ექიმთან წაყვანაც უნდოდა, მაგრამ ფელისიამ განაცხადა, რომ მედიცინა ჩვენთან სრულ ნაციონალიზაციას საჭიროებდა, ინგლისსა და შვედეთის მსგავსად. საბრალოს სძულდა ფარმაცევტული კომპანიები.

— ძვირფასო, იგი საერთოდ სიძულვილით იყო სავსე. ის ქალი მისი ყელიდან ამოსულმა სიძულვილმა დაღუპა და არა რამდენიმე უწყინარმა ბუმბულმა. ფელისია გებრიელმა ყველა ქალური თვისება დაკარგა. მას ტკივილი უნდა განეცადა, რათა გახსენებოდა, რომ ქალი იყო. დაჩოქილს სიმწრის ფიალა უნდა შეესვა. გალახვის ღირსი იყო. კლაიდი სწორად მოიქცა, მაგრამ გადაამლაშა.

---

[1] *სტივენსონი, ედლაი (1900-1965) — ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გთხოვ, ჯეინ. მაშინებ, როცა ასე ლაპარაკობ. ისეთ რამეებს ამბობ...

— რატომ არ შეიძლება? კარგი რა, სიუკ, პატარა ბავშვივით მსჯელობ, — „სიუკი სუსტი დაიკოა“, — გაიფიქრა ჯეინმა. ისინი მას იმიტომ იტანდნენ, რომ ცხელ-ცხელი ამბები მოჰქონდა, აგრეთვე ოთხეულზე გათვლილი ცელქობის გამო. იგი მართლაცდა მხოლოდ და მხოლოდ თავდაჯერებული მოუმწიფებელი გოგონა იყო, — „მას არ შეუძლია ვან ჰორნის დაკმაყოფილება ისე, როგორც ამას ჯეინი აკეთებს, მისი ცხელი დაძაბულობის მოხსნა. ის მიხრწნილი გრეტა ნეფიც კი, ბებრული სათვალითა და ამაღელვებელი პედანტური წარმოთქმით, ამ გაგებით უფრო მეტადაა ქალი, ღამით კი ნამდვილი დედოფალი“, — ეს ხომ მხოლოდ სიტყვებია.

— არა, ასე არ არის. სიტყვები მოქმედებას იწვევს! — ამოიკვნესა სიუკმა, იგი მიყუჩდა, ხმაში ჩუმი პათეტიკა ისმოდა, — ჩვენ გამო ახლა ორი მიცვალებულია, ორი ბავშვი კი დაობლდა!

— ვფიქრობ, რაღაც დროის შემდეგ შენც დაობლდები, — თქვა ჯეინმა, — მორჩი სისულელეს, — მისი მსტვინავი ხმა ისე შიშინებდა, როგორც ნერწყვი ცხელ ტაფაზე, — ადამიანები საკუთარ წვენში იხარშებიან.

— მე რომ კლაიდთან არ დავწოლილიყავი, დარწმუნებული ვარ, ჭკუაზე შეიშლებოდა. ძალიან ვუყვარდი, ჯეინ. ზოგჯერ ჩემს ტერფს ხელებში მოიქცევდა და თითებს შორის მკოცნიდა.

— აბა, სხვა რა უნდა ექნა. მამაკაცები სწორედ ასე უნდა იქცეოდნენ. უნდა გაგვაღმერთონ. ისე, არ დაგავიწყდეს, რომ მამაკაცი ნაგავია, აბსოლუტური ნაგავი, მაგრამ ჩვენ მას ბოლოს მაინც ვიღებთ, რადგან ასე მეტად ვიტანჯებით. ქალი ყოველთვის კაცზე მეტად იტანჯება.

ჯეინს მოთმინების ფიალა აევსო. ეჩვენებოდა, რომ შავი ნოტები, დილით რომ გაარჩია, ახლა მასში, სადღაც შიგნით, ცოცხლებივით აჯაგრულიყვნენ და იფხორებოდნენ. ვინ იფიქრებდა, რომ ბებერ ლოთრანგ ქალს ამდენი თეორია ექნებოდა?

— შენთვის, ძვირფასო, მამაკაცები ყოველთვის მოიძებნებიან, — უთხრა მან სიუკს, — კლაიდი თავიდან ამოიგდე. შენ მას იმას აძლევდი, რაც უნდოდა, და რა შენი ბრალია, რომ ეს ვერ გამოიყენა. მო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მისმინე, მართლა ძალიან მეჩქარება, უნდა გავიქცე, — იცრუა ჯეინ სმარტმა, — თერთმეტზე გაკვეთილი მეწყება.

სინამდვილეში ოთხ საათამდე გაკვეთილი არ ჰქონდა. მხოლოდ მაშინ გაქანდება იგი ლენოქსების ძველი სახლიდან შიგნიდან დათუთქული და ჭრილობებით სავსე, ხოლო ჭუჭყიანი ბავშვური ხელების ხილვა, რომლებიც მის სუფთა, სპილოსძვლის კლავიშებზე მოცარტის ან მენდელსონის რომელიმე უბრალო, მაგრამ უძვირფასეს მელოდიას დაასახიჩრებს, მასში დაუოკებელ სურვილს გამოიწვევს, ხელი სტაცოს მეტრონომს და მისი მასიური ძირით ამ ფუმფულა თითებს ისე ურტყას, როგორც როდინში ნაყავენ მარცვლებს. იმ დროიდან მოყოლებული, რაც მის ცხოვრებაში ვან ჰორნი შემოვიდა, ჯეინს უფრო გაგიჟებით შეუყვარდა მუსიკა, ეს საშემოდგომო ოქროსთაღოვანი გამოსვლა ტკივილისა და ულირსობის უფსკრულიდან.

— იგი ტელეფონით ისე მკაცრად და მკვეთრად საუბრობდა, — უთხრა სიუკმა ალექსანდრას ტელეფონით რამდენიმე დღის შემდეგ, — თითქოს თვლის, რომ დარილსა და მას შორის სრული ურთიერთგაგებაა და თავის დაცვას ცდილობს.

— ეს ეშმაკის ერთ-ერთი ცდუნებაა — ყოველ ჩვენგანს ამგვარი შთაბეჭდილება შეუქმნას. მართლაც სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მე ვუყვარვარ, — წამოიძახა ალექსანდრამ და სასოწარკვეთილი მხიარულებით გაიცინა, — ახლა მისთვის დიდ სკულპტურებს ვაკეთებ, პაპიე-მაშეს ლაქით ვფარავ, როგორც სენტ-ფალი. არ ვიცი, ის ქალი ამას როგორ ახერხებს, წებო ხელებს სვრის, თმაში ხვდება, საზიზღრობაა. გამოძერწავ ფიგურის ერთ გვერდს, მეორე კი სრულიად უფორმო გამოდის, რაღაც ნაგლეჯ-ნაფხრეწებია.

— მესმის, მე კი მითხრა, რომ როცა „ვორდში“ სამუშაოს დავკარგავ, რომანის დაწერა უნდა ვცადო. ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ვიჯდე ყოველდღე და ერთსა და იმავე ისტორიას ჩავკირკიტებდე. მერე სახელები?! ადამიანები რეალური სახელების გარეშე ხომ არ არსებობენ!

— მართალია, — ამოიოხრა ალექსანდრამ, — ის გამოწვევას გვიგზავნის, ეს კი ჯერ მოთელვაა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტელეფონით ისე ჩანდა, თითქოს იგი მართლაც მოთულვას აკეთებდა — ყოველ წამს უფრო შორს მიდიოდა და იფანტებოდა, სულ უფრო ღრმად ეფლობოდა განდგომილების ნახევრად გამჭვირვალე მოძრავ ქვიშაში. სიუკი შინ ფელისია და კლაიდ გებრიელების დაკრძალვის შემდეგ დაბრუნდა. ბავშვები ჯერ ისევ სკოლაში იყვნენ. თაგვებითა და მოგონებებით სავსე პატარა ძველი სახლი ოხრავდა და თავისთვის ბურტყუნებდა. საშხარეულოში არც თხილი აღმოჩნდა, არც ჩიფსი ან სხვა რამე, რითაც თავს შეიყოლიებდა, როცა ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— მომენატრა ჩვენი ხუთშაბათის შეხვედრები, — მოულოდნელად ბავშვურად აღიარა მან.

— ვიცი, პატარავ, მათ ნაცვლად ჩოგბურთი გვაქვს. და აბაზანები.

— ზოგჯერ მეშინია ხოლმე. ისე მყუდროდ ველარ ვგრძნობ თავს, როგორც მაშინ, როცა ჩვენთვის ვიყავით.

— შენ რა, სამუშაოს კარგავ? რა გემართება?

— არ ვიცი, უამრავი ჭორი დადის. ამბობენ, რომ მეპატრონე ახალი რედაქტორის აყვანას არ აპირებს და სურს, გაზეთი პროვიდენსელ განგსტერებს მიჰყიდოს, რომლებიც პატარა ქალაქებში ყოველკვირეულების მთელ ქსელს ფლობენ. ყველა მათგანი პაუტაკეტში იბეჭდება, ადგილობრივ ახალ ამბებს კორესპონდენტი სახლიდან ტელეფონით გადასცემს, დიდ სტატიებსა და მიმოხილვებს სინდიკატში ყიდულობენ და ცინცხალ ამბებად ასაღებენ.

— კარგი არაფერია, არა?

— არაფერი, — წამოისროლა სიუკმა, რომელსაც არ უნდოდა, ბავშვივით ატირებულიყო.

პაუზა ჩამოვარდა, უწინ კი რა გააჩერებდათ, გაუთავებლად ლაქლაქებდნენ. ახლა ყოველ მათგანს თავისი წილი ჰქონდა, ერთი მესამედი. ვან ჰორნს არ ახსენებდნენ, კუნძულზე თავიანთი ცალკეული ვიზიტების შესახებ არ საუბრობდნენ. დეკემბრის ცივ, ნოტიო, ნაცრისფერ დღეებში ამგვარი სტუმრობა მეტ მიმზიდველობას იძენდა. ვან ჰორნის შავად შეღებილი საძინებელი ოთახის ვიწრო ფანჯრებიდან ჰორიზონტზე ოკეანის მოვერცხლისფრო ზოლი მოჩანდა, აგრეთვე ფოთლებგაცლილი წიფლები, მუხები და მოქანავე ლარიქსები, სადაც ადრე თოვლის ყანჩები ბუდობდნენ, ხეებს შორის ჩო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გბურთის კორტი მდებარეობდა მის თავზე აღმართული გიგანტური ტილოს გუმბათით.

— დაკრძალვამ როგორ ჩაიარა? — იკითხა ბოლოს ალექსანდრამ.

— ხომ იცი, როგორც ხდება ხოლმე — სევდიანად და ერთგვარი უხერხულობით. მათ კრემაცია ჩაუტარეს. ყველაფერი ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა: თითქოს ყავისფერ თერმოსებს ასაფლავებდნენ — პატარა, მომრგვალებული ყუთები სწორედ მათ ჰგავდა. დამკრძალავ ბიუროში ლოცვა ბრენდა პარსლიმ წარმოთქვა, რადგან ედის შემცვლელი ვერ მოუძებნეს. წესის აგება პრაქტიკულად არ ყოფილა, თუმცა ფელისია ყოველთვის ილაშქრებდა საყოველთაო უღმერთობის წინააღმდეგ. ვფიქრობ, ქალიშვილს სურდა, რომ სულის მოსახსენებელი წირვა გამართულიყო. ძალიან ცოტა ხალხი მოვიდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველამ იცოდა. ძირითადად „ვორდის“ თანამშრომლები იყვნენ, რომლებსაც თავიანთი სამუშაო ადგილები ადარდებდათ, და კიდევ რამდენიმე ადამიანი, ფელისიასთან ერთად საქველმოქმედო კომისიებში რომ მუშაობდნენ. ის ქალი ყველასთან ნაჩხუბარი იყო. მუნიციპალიტეტის წევრებმა შვებით ამოისუნთქეს — ისინი ხომ მას ალქაჯს ეძახდნენ.

— ბრენდას თუ ესაუბრე?

— რამდენიმე სიტყვით, სასაფლაოზე. იქ ძალიან ცოტა ხალხი იყო.

— თავი როგორ ეჭირა შენთან?

— ძალზე თავაზიანად და თავშეკავებულად იქცეოდა. იგი ვალშია ჩემ წინაშე და ეს კარგად იცის. მუქი ლურჯი კოსტიუმი და აბრეშუმის ფურჩალიანი ბლუზა ეცვა და მართლაც ჰგავდა მღვდელს. ვარცხნილობაც შეუცვლია. იმ სულელურ, შუბლზე შემოჭრილ თმას აღარ ატარებს, ქალს რომ ჰბაძავდა ჯგუფიდან „პიტერი, პოლი და მერი“, და ძაღლის ლეკვისგან ვერ გამოარჩევდი. ახლა უკან ჰქონდა სადად გადავარცხნილი. ესეც ერთგვარი პროგრესია. ედი მას მინიბოლოკების ჩაცმას აიძულებდა, რათა თვითონ უფრო მეტად ეგრძნო, რომ ჰიპია, ქალისთვის კი ეს საკმაოდ დამამცირებელი იყო — რაღა მისი ფეხები და რაღა — როიალის. კარგად ილაპარაკა, განსაკუთრებით სასაფლაოზე. საფლავებს შორის მისი მაღალი ხმა ლამაზად ჟღერდა. ხაზი გაუსვა, თუ რამდენი რამ გააკეთეს განსვენე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბულებმა საზოგადოებისთვის და სცადა მათი სიკვდილი ვიეტნამის ომთან დაეკავშირებინა, ჩვენი დროის მორალურ შფოთვასთან, თუმცა აზრი კარგად ვერ დავიჭირე.

— ედის შესახებ არ ჰკითხე? რამე ხომ არ შემოუთვლია?

— ვერ გავბედე. თუმცა ეს ძალიან მეეჭვება, ვინაიდან თვითონაც არ მიმიღია მისგან რაიმე შეტყობინება. მაგრამ ის ხომ ამ ქალმა გამოზარდა. თანაც, როდესაც საფლავზე ხელოვნურ კორდს აკეთებდნენ, ბრენდამ თვალი თვალში გამიყარა და მითხრა: — მისი წასვლა საუკეთესო იყო, რაც ოდესმე ჩემს ცხოვრებაში მომხდარაო.

— აქ სალაპარაკოც აღარაფერია.

— ლექსა, რას გულისხმობ, ძვირფასო? ძალაგამოცლილივით ლაპარაკობ.

— ყველა დაიღლებოდა. ძნელია, მარტოკამ აიტანო ყველაფერი. წელიწადის ამ დროს ლოგინიც კი ისეთი ცივია...

— ელექტროსაბანი უნდა იყიდო.

— მაქვს. მაგრამ არ მიყვარს, როდესაც ჩემს ზემოთ ელექტრობას ვგრძნობ. წარმოიდგინე, ფელისიას აჩრდილი რომ დამადგეს თავზე და ვედროთი ცივი წყალი გადამასხას, ხომ ადგილზე გამათავებს დენის დარტყმა.

— გეყოფა, ალექსანდრა. მაშინებ შენი დეპრესიით. რაც უნდა მოხდეს, მაგალითს შენგან ვიღებთ. შენ ჩვენი შეუპოვარი დედა ხარ.

— ვიცი და ესეც მთრგუნავს.

— შენ რა, არაფრის აღარ გწამს? არც თავისუფლების, არც ჯადოსნობის? ეს ხომ შეუზღუდავი ძალაა?

— რასაკვირველია, მწამს. ბავშვები თუ იყვნენ? როგორ გამოიყურებიან?

— საკმაოდ უჩვეულოდ, — ახალი ამბის შეტყობინებაზე სიუკი გამოცოცხლდა, — ორივენი ბერძნულ ქანდაკებებს ჰგვანან — ღირსებით აღსავსენი, ფერმკრთალნი და სრულყოფილნი. და ტყუპივით მუდამ ერთად არიან, მაგრამ გოგონა გაცილებით უფროსია. ჯენიფერი — მას ასე ჰქვია — ოცს გადაცილებულია, ბიჭი კი ასაკით ჯერაც სკოლის მოსწავლეა, თუმცა ამჟამად კოლეჯში არ სწავლობს, შოუბიზნესი აინტერესებს და მთელ დროს ლოს-ანჯელესსა და ნიუ-იორკს შორის ატარებს. იგი კონექტიკუტის ერთ-ერთ საზაფხულო თეატრში სცენის მუშად აიყვანეს, დამ კი შვებულება აიღო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და ჩიკაგოდან ჩამოფრინდა, სადაც ტექნიკოს-რენტგენოლოგად მუშაობს. მარჯ პერლის თქმით, ისინი რაღაც დროის განმავლობაში აქ დარჩებიან, სანამ ქონების საკითხს არ მოაგვარებენ. იქნებ მათთვის რამე გაგვეკეთებინა? ისე უსუსურად გამოიყურებიან, გაფიქრებაც კი შზარავს, რა მოხდება, თუ ბრენდას ხელში აღმოჩნდებიან.

— საყვარელო, ისინი, ალბათ, საქმის კურსში არიან შენი და კლაიდის შესახებ და ყველაფერში შენ გადანაშაულებენ.

— მართლა? ვითომ რატომ? მე ხომ მხოლოდ გულკეთილობას ვიჩენდი.

— შენ მისი შინაგანი წონასწორობა დაარღვიე. მისი ეკოლოგია.

— არ მიყვარს, როცა თავს დამნაშავედ ვგრძნობ, — აღიარა სიუკმა.

— ეს არავის მოსწონს. როგორ გგონია, რას ვგრძნობ, როდესაც საბრალო, ჩემთვის სრულიად შეუფერებელი ჯო მეუბნება, რომ ჩემი გულისთვის შზად არის ცოლი და თავისი ამდენი პუტკუნა შვილი მიატოვოს?

— ჯო ამას არაფრის დიდებით არ გააკეთებს. საამისოდ ძალზე იტალიელია. კათოლიკეებს ჩვენგან, საბრალო განდგომილი პროტესტანტებისგან განსხვავებით, საქმე აქამდე არასდროს მიჰყავთ.

— განდგომილები, — გაიმეორა ალექსანდრამ, — აი, თურმე როგორ ფიქრობ საკუთარ თავზე? მე არასდროს არავის არ განვდგომივარ.

სიუკმა, ალექსანდრას წამხედურობით, დასავლეთის მაღალმთიან სოფელში მდებარე პატარა ეკლესია წარმოიდგინა მომცრო, ძველი სამრეკლოთი. ეკლესია, რომელშიც აღარავინ დადიოდა.

— მონტი ძალზე რელიგიური იყო, — თქვა სიუკმა, — იგი ყოველთვის მიყვებოდა თავისი წინაპრების შესახებ, — ამავე ტალღაზე გამოჩნდა მონტი თავისი ჩამოკიდებული, რძისფერი დუნდულებით, და იგი, როგორც იქნა, მიხვდა, რომ მას ალექსადრასთან ჰქონდა რომანი. მან დაამთქნარა და თქვა: — დარილთან წავალ და გულს გადავაყოლებ. ფიდელი რაღაც ახალ, გასაოცარ კოქტეილს ამზადებს, რომელსაც „მისტიკა“ დაარქვა.

— დარწმუნებული ხარ, რომ დღეს ჯეინის რიგი არ არის?

— როგორც მახსოვს, იგი მასთან იმ დღეს იყო, როცა ველაპარაკე. მართლაც აღელვებული ჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— განიცდის.

— რასაკვირველია. ოჰ, ლექსა, შენ აუცილებლად უნდა გაიცნო ჯენიფერ გებრიელი, შესანიშნავი ქალიშვილია. მის გვერდით თავი გატანჯული ბებრუხანა მგონია. წარმოიდგინე ფერმკრთალი მრგვალი სახე, კლაიდვით ღია ცისფერი თვალები, ფელისიასავით ოდნავ წაწვეტებული ნიკაპი და კოხტა სწორი ცხვირი, კატასავით ოდნავ ჩაზნექილი. კანს აღარ იკითხავ?

— დიდებულია, — აუჩქარებლად გამოეხმაურა ალექსანდრა. სიუკმა იცოდა, რომ ალექსანდრას იგი უყვარდა. იმ ღამით, დარილთან, როდესაც ჯოპლინის სიმღერის დროს ცეკვავდნენ, ისინი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და დაწყევლილ ჰეტეროსექსუალობას დასტიროდნენ, რომელიც მათ აშორიშორებდა, თითქოს თითოეული მათგანი პლასტიკურ საფუთავში მოთავსებული ვარდი იყო. ახლა ალექსანდრას ხმაში განდგომილება ჟღერდა. სიუკს თავისი შელოცვა გაახსენდა სამმაგი მაგიური ნასკვით და გადაწყვიტა საწოლის ქვეშიდან მისი გამოღება არ დავიწყებოდა. ჯადოთი შეკვრა არ მოქმედებს, მისი ეფექტი ერთი თვის განმავლობაში ქრება, თუ მას ადამიანის სისხლი არ შეერია.

რამდენიმე დღის შემდეგ პორტის ქუჩაზე, ზამთრისთვის დამახასიათებელ უსწორმასწორო ტროტუარზე, სიუკი დაობლებულ ჯენიფერ გებრიელს შეხვდა, რომელსაც ძმა თან არ ახლდა. ზამთარში მაღაზიების ნახევარი იკეტებოდა, დანარჩენში კი სურნელოვანი ფერადი სანთლები და კორეიდან ჩამოტანილი, ავსტრიულ სტილში დამზადებული ნაძვის ხის მორთულობა იყიდებოდა. ორი ვარსკვლავი შორიდანვე აციმციმდა ერთმანეთის შესახვედრად. მათ ნება მისცეს მიზიდულობის ძალას, ისინი მაქსიმალურად მიეზიდა, ხოლო ვიტრინები სატრანსპორტო სააგენტოსი და სუპერმარკეტისა, „მოწკავწკავე მელიისა“ — რელიეფური ორნამენტებით მორთული სვიტერებითა და პრაქტიკული ბოლოკაბებით, „მშიერი ცხვრისა“ — უფრო მოხდენილი ტანისამოსით, „პერლის უძრავი ქონებით ვაჭრობისა“ — კონცხის გახუნებული ფოტოებით, აგრეთვე ფოტოსურათებით მუხნარის ქუჩის ვიქტორიანული ეპოქის დახავსებული „ბრილიანტებისა“, რომლებიც იმის მოლოდინში არიან, თუ როდის შეიძენს მათ რომელიმე ფხიანი ახალგაზრდა წყვილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და მესამე სართულზე აპარტამენტებს მოიწყობს, საფუნთუშესი და ქრისტიანული სამკითხველოს ფანჯრები, — ყველა დაჟინებით შესცქეროდა მათ. „ოლდ სტოუნ ბანკის“ ისთვიქის ფილიალმა, საზოგადოების აზრის საწინააღმდეგოდ, ფანჯარა გააკეთა, რომელთან მისვლა ავტომობილითაც შეიძლებოდა, ამიტომ სიუკსა და ჯენიფერს მოცდამ მოუწია, სანამ ნაკადის საპირისპირო მხარეებზე რამდენიმე მანქანამ ტროტუარზე სპეციალურად მოწყობილ გასასვლელს არ შემოუარა. ქალაქის ძალზე ვიწრო ცენტრი ისტორიული ნაგებობებით იყო გადავსებული და საზოგადოებრიობა, ფელისია გებრიელის თავკაცობით, ამაოდ ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ახალშემოღებული წესი ქუჩაში მოძრაობას გაართულებდა.

როგორც იქნა, სიუკმა შემოუარა წითელი „კადილაკის“ უზარმაზარ ფრთას, რომელსაც ფაცურა და ბეცი ჰორას ლავკრაფტი მართავდა და ჯენიფერს მიუახლოვდა. ქალიშვილს საკმაოდ ჭუჭყიანი, კალთაშემოცვეთილი, კამეჩის ტყავის ძველი პარკა[1] ეცვა, ფელისიას იისფერი, თავისუფლად ნაქსოვი შარფი ყელსა და ნიკაპზე რამდენჯერმე შემოეხვია. სიუკზე რამდენიმე დუიმით დაბალი, ნახევრად მშიერ, უპატრონო ბავშვს ჰგავდა, თვალები ეცრემლებოდა, ცხვირი გასწითლებოდა. იმ დღეს თერმომეტრი ნულ გრადუსს უჩვენებდა.

— როგორ მიდის საქმე? — ჰკითხა სიუკმა მოჩვენებითი სიმხნევით.

მის გვერდით ქალიშვილი ისეთივე პატარა და ახალგაზრდა იყო, როგორც თვითონ სიუკი ალექსანდრასთან შედარებით. თუმცა ჯენიფერი უნდობლად იყო განწყობილი, სხვა რაღა დარჩენოდა, უფროსისთვის უნდა დაეთმო.

— გვარიანად, — მიუგო მან წვრილი ხმით, რომელიც ძლივს ისმოდა, რადგან გოგონა გათოშილიყო. ჩიკაგოში ჯენიფერმა შუადასავლური, ცხვირისმიერი წარმოთქმა შეიძინა. მან სიუკს სახეში შეხედა, გაბედული ნაბიჯი გადადგა და ნდობით უთხრა: — იქ იმდენი რამეა, მე და ქრისი გაოცებულები ვართ. ორივე ჩვენგანი ბოშასავით ცხოვრობდა, დედა და მამა კი ყველაფერს ინახავდნენ — ნახატებს, რომლებიც საბავშვო ბაღში ვხატავდით, სკოლის ნიშნების ფურცლებს, ძველი ფოტოსურათებით სავსე ყუთებს...

---

[1] *პარკა — მოგრძო კაპიუშონიანი ზამთრის ქურთუკი შესაკრავით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს, ალბათ, სევდას გგვრით.

— რა თქმა უნდა, თანაც გეგმებს გვიწეწავს. მათ თვითონ უნდა მოეწესრიგებინათ ყველაფერი. მაგრამ ჩანს, რომ ბოლო წლებში ყველაფერი თვითდინებაზე ჰქონდათ მიშვებული. მისის პერლმა გვითხრა, რომ ბევრს დავკარგავთ, თუ გაყიდვას გაზაფხულამდე არ გადავდებთ, როცა ყველაფრის შეღებვას შევძლებთ. სახლი ორი ათასამდე ეღირება და მას კიდევ ათი ათასი დაემატება, ნაკვეთის საფასური.

— მომისმინე, სულ გათოშილხარ, — თვითონ სიუკი მყუდროდ გრძნობდა თავს და შესანიშნავად გამოიყურებოდა გრძელ ტყაპუჭსა და წითური მელიის ბეწვის ქუდში, რომელიც თმასავით სპილენძისფრად უბზინავდა, — მოდი, „ნემოში“ შევიდეთ, ყავაზე დაგპატიჟებ.

— მე... — გოგონა შეყოყმანდა, მაგრამ გათბობის ცდუნებამ გადასძალა.

სიუკი შეტევაზე გადავიდა:

— იქნებ იმის გამო გძულვარ, რასაც ხალხი ჰყვება? თუ ასეა, აჯობებს, დავილაპარაკოთ.

— რატომ უნდა მძულდეთ, მისის რუჯმონტ? უბრალოდ, ქრისი ახლა გარაჟში „ვოლვოს“ ჩაჰკირკიტებს. იმათ დატოვებულ მანქანას ტექდათვალიერების ვადაც კი გასული აქვს.

— რაც უნდა სჯირდეს, მის შეკეთება იმაზე მეტ დროს წაიღებს, ვიდრე ხელოსანი იტყვის, — ავტორიტეტულად განაცხადა სიუკმა, — დარწმუნებული ვარ, ქრისი კმაყოფილია. მამაკაცებს უყვართ გარაჟში ფუსფუსი. მოსწონთ ეს ბრახაბრუხი. ჩვენ შეგვიძლია ფანჯარასთან მდგარ მაგიდას მივუსხდეთ, რათა მისი მოსვლა არ გამოგეპაროს. გთხოვ. მინდა იცოდე, რომ ვწუხვარ შენი მშობლების გამო. კლაიდი კარგი უფროსი იყო, ახლა კი სამსახურში პრობლემები შემექმნა.

1959 წელს გამოშვებულმა ჟანგმოდებულმა „შევროლემ“, კორპუსი თოლიის ფრთებს რომ მიუგავდა, კინაღამ გაჰკრა მათ ქრომირებული ბამპერი, როდესაც ტროტუარის ბორდიურის გავლით მომწვანო-მოყავისფრო ფანჯარასთან მისვლა დააპირა. სიუკმა გოგონას გასაფრთხილებლად სახელოში ჩაავლო ხელი და იქამდე აღარ გაუშვა, სანამ არ დაარწმუნა, რომ ქუჩის მეორე მხარეს, „ნემოსთან“ გადასულიყვნენ. პორტის ქუჩას ხშირად აფართოებდნენ, ვინაიდან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოლო დროს ტრანსპორტის მოძრაობა ძალზე ინტენსიური გახდა, მოღრეცილი ტროტუარები ზოგან ისე დაავიწროეს, რომ ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევდა. ზოგიერთი ძველებური შენობა უცნაური კუთხით აღმოჩნდა წინ წამოწეული. კაფე „ნემო“, სადაც გემრიელ და იაფფასიან კერძებს აშზადებდნენ, მომცრო ალუმინის ყუთში იყო განთავსებული მომრგვალებული კუთხეებითა და გვერდებზე განიერი წითელი ზოლით. დღის ამ მონაკვეთში ხალხი — უმუშევრები და პენსიონერები — მხოლოდ დახლთან იყო შეჯგუფული. ზოგიერთმა მათგანმა სიუკს მისალმების ნიშნად თავი დაუკრა, ზოგმაც ხელი დაუქნია, მაგრამ ნაკლები ხალისით, ვიდრე ეს უწინ ხდებოდა, სანამ კლაიდმა თავისი სიკვდილით ხალხს თავზარი არ დასცა.

ფანჯარასთან პატარა მაგიდები თავისუფალი იყო, ქუჩაში გამავალი ფანჯარა, საიდანაც ლამაზი ხედი იშლებოდა, დაორთქლილიყო და მასზე წყალი წვრილ ზოლებად ჩამოედინებოდა. როდესაც ჯენიფერმა შზისგან თავდასაცავად თვალები მოჭუტა, მათ კუთხეში სინათლეზე ნაოჭები გამოუჩნდა და სიუკმა დაინახა, რომ იგი არც ისეთი ნორჩი იყო, როგორიც ეს ქუჩაში ჩანდა. თანაც ეს ძველმანები. ქალიშვილმა ცოტა ცერემონიულად გადაჰკიდა გვერდით მდგარი სკამის ზურგზე ჭუჭყიანი, მოწითურო მართკუთხა საკერებლებით დაბებკილი პარკა და ზემოდან დახვეული, გრძელი, იისფერი შარფი დაადო. აღმოჩნდა, რომ მას უბრალო ნაცრისფერი ბოლოკაბა და შალის თეთრი სვიტერი ეცვა. ქალიშვილს აკურატული, ფუმფულა ტანი ჰქონდა, ყველაფერში ერთფეროვანი სიმრგვალე მოჩანდა — ხელები, მკერდი, ლოყები და კისერი ერთნაირად ჰქონდა მომრგვალებული.

რებეკა, დაუდევარი ქალი ანტიგუადან, რომელსაც, როგორც ცნობილი იყო, ფიდელი ჰყვარობდა, დაბრეცილი თეძოების ქნევით მივიდა მათთან. სავსე, ნაცრისფერი ტუჩები დაემანჭა, ჩანდა, რომ მათში ყველაფერს მალავდა, რაც იცოდა, ცოდნით კი ძალიან ბევრი რამ იცოდა.

— რას ინებებენ ქალბატონები?

— ორი ყავა, — სთხოვა სიუკმა და მოულოდნელად სიმინდის კვერიც შეუკვეთა. ეს მისი სისუსტე იყო, ფხვიერი და ცხიმიანი, დღეს კი ცივი ამინდი იდგა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რატომ ამბობთ, რომ შეიძლება მძულდეთ? — ჰკითხა ქალიშვილმა საოცარი პირდაპირობით, მაგრამ რბილი, წყნარი ხმით.

— მამაშენთან ჩემი სიახლოვის გამო! — სიუკმა მიიჩნია, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაეწყვიტა, — შენ ეს იცი. მე მისი საყვარელი ვიყავი. დიდი ხნით არა, მხოლოდ ზაფხულიდან. გართულების არანაირი სურვილი არ მქონდა. მინდოდა, მისთვის რაიმე მიმეცა, საკუთარი თავი, მეტი არაფერი გამაჩნდა. ის კი, როგორც მოგეხსენება, სასიამოვნო ადამიანი იყო.

ქალიშვილს გაოცება არ გამოუხატავს, მხოლოდ თვალები დახარა და ჩაფიქრდა.

— ვიცი, — თქვა მან, — მაგრამ ბოლო დროს არც ისე სასიამოვნო. მაშინაც კი, როცა პატარები ვიყავით, დაბნეული და გულდამძიმებული ჩანდა. და კიდევ, საღამოობით პირიდან რაღაც უცნაური სუნი ამოსდიოდა. ერთხელ მინდოდა, ჩავხუტებოდი და შემთხვევით მის მუხლებზე დადებულ წიგნს გავედე. წიგნი ძირს დავარდა, მან კი ცემა დამიწყო და ვეღარ ჩერდებოდა, — ქალიშვილმა თავი ასწია და კიდევ რაღაცის გახსენება უნდოდა, მაგრამ დადუმდა, მასში სასაცილო თავმოყვარეობა იგრძნობოდა, თვინიერი ადამიანის თავმოყვარეობა, ეს იმაშიც კი გამოიხატებოდა, როგორ აკურატულად კუმავდა იგი ლამაზ, შეუღებავ ტუჩებს. ზედა ტუჩი ზიზღით აეწია მაღლა, — მომიყევით რამე მასზე. მამაჩემზე.

— მაინც რა?

— როგორი იყო.

სიუკმა მხრები აიჩეჩა.

— რბილი. მადლიერი. მორცხვი. ძალიან ბევრს სვამდა, მაგრამ თუ იცოდა, რომ ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, ცდილობდა, არ დაელია. უჭკუო არ იყო. ეს შენც იცი. მხოლოდ ცოტა ინერტული.

— ბევრი ქალი ჰყავდა?

— ოჰ, არა. არა მგონია, — სიუკს ეწყინა, — მხოლოდ მე, დარწმუნებული ვარ. რომ იცოდე, მას დედაშენიც უყვარდა. ყოველ შემთხვევაში, იქამდე, სანამ მას აკვიატებული იდეა არ გაუჩნდა.

— რა აკვიატებული იდეა?

— დარწმუნებული ვარ, ჩემზე უკეთ გეცოდინება. ჩვენი სამყაროს გაუმჯობესება.

— საკმაოდ კეთილშობილური იდეაა, ასე არ არის?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— საერთოდ, კი, — სიუკს არასდროს მიაჩნდა ეს კეთილშობილურად. ფელისიას მუდმივი საჯარო შარიანობა, ღვარძლიანი თავდასხმები, — იგი საშინლად ისტერიული ქალი იყო, — სიუკს არ მოსწონდა, რომ თავის დაცვა უწევდა ამ თავაზიანი, გაყინული ქალიშვილისგან, რომლის ხმის ერთი ბგერაც კი გააცივებდა ადამიანს. ამიტომ თემა შეცვალა: — თუ მარტოსულად გრძნობ თავს ისეთ ქალაქში, როგორიც ესაა, მაშინვე ხელი სტაცე, რასაც მიაგნებ, და ნუ დაიწყებ ფიქრს, რა და როგორ.

— საქმე ისაა, — რბილად თქვა ჯენიფერმა, — რომ არც ისე კარგად ვერკვევი ყველაფერ ამაში.

„რას გულისხმობს? რომ ქალწულია? რთული სათქმელია, მართლაც ქალწულია თუ მისი უცნაური სიმშვიდე განსაკუთრებულ შინაგან გაწონასწორებულობაზე მეტყველებს“.

— მომიყევი შენ შესახებ, — სთხოვა სიუკმა, — ექიმობა გსურს? კლაიდი ამით ძალიან ამაყობდა.

— ნეტავ ეგრე იყოს. უფულობის გამო ანატომიის გაკვეთილებს ვაცდენდი. ქიმია უფრო მომწონდა. ყველაზე მეტი, რისი იმედიც რეალურად შეიძლება მქონდეს, ტექნიკოს-რენტგენოლოგის ადგილია. გავიჯედე.

— შენ დარილ ვან ჰორნის გაცნობა არ გაწყენდა. იგი ცდილობს ყველას დაგვეხმაროს, რათა გავთავისუფლდეთ.

მოულოდნელად ჯენიფერმა გაიღიმა, დაძაბულობისგან პატარა სწორი ცხვირი გაუთეთრდა. წინა კბილები ბავშვივით მომრგვალებული ჰქონდა.

— რა დიდებული სახელია, — თქვა მან, — მოგონილსა ჰგავს. ვინ არის?

„ნუთუ ჩვენი გართობების შესახებ არაფერი სმენია? — გაიფიქრა სიუკმა. გოგონა კერკეტი კაკალი ჩანდა, არაბუნებრივად გულუბრყვილო თვალებით თითქოს ტელეპათიურ შეღწევას ეწინააღმდეგებოდა, როგორც ტყვიის ფირფიტა რენტგენის სხივებს.

— ერთი ექსცენტრიკული, საკმაოდ ახალგაზრდა მამაკაცია, რომელმაც ლენოქსების ადგილმამული იყიდა. გემახსოვრება აგურის დიდი სახლი პლაჟთან ახლოს.

— მაგ ადგილს „მოჩვენებათა პლანტაციას“ ვეძახდით. როდესაც აქ გადმოვედით, თხუთმეტი წლის ვიყავი, ამიტომ შემოგარენს ცუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დად ვიცნობ. თუ არ ვცდები, უზარმაზარი ტერიტორიაა, რომელიც რუკაზე არცაა აღნიშნული.

თავხედურად მომზირალმა რებეკამ „ნემოს“ საფირმო, თეთრი, მძიმე ფინჯნებით ყავა და ოქროსფერი სიმინდის კვერები მოიტანა, რომელთა ძლიერ, თბილ არომატთან ერთად მათ რაღაც მწვავე სანელებლის სუნიც იგრძნეს. სიუკმა ეს ოფიციანტის განიერ თეძოებსა და მძიმე, ყავისფერ მკერდს მიაწერა, როდესაც იგი ჭიქებისა და თეფშების დასადებად გაპრიალებული მაგიდისკენ დაიხარა.

— კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ, ქალბატონებო, სრული ბედნიერებისთვის? — შეეკითხა მათ ოფიციანტი და თავისი მაღალი ბორცვების ზემოდან დააცქერდა. საკმაოდ პატარა და მაგარი თავი ჰქონდა, წვრილ ნაწნავებად დაწნული შავი თმა მხრებზე ეცემოდა.

— ნაღები თუ გაქვთ, ბეკი? — ჰკითხა სიუკმა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ოფიციანტმა და მაგიდაზე ალუმინის დოქი დადგა, — თუ გსურთ, შეგიძლიათ „ნაღებიც“ უწოდოთ, ისე კი პატრონი ყოველ დილით შიგ რძეს ასხამს.

— გმადლობთ, ძვირფასო, მე სწორედ რძეს ვგულისხმობდი, — სიუკს ხუმრობა მოუნდა და სწრაფად წარმოთქვა გუნებაში თეთრი შელოცვა „სატორ არეპო ტენეტ ოპერა როტას“. რძე შესქელდა, გაყვითლდა და ნაღებად იქცა. ჭიქაში ყავის ზედაპირზე ცხიმის წინწკლები გაჩნდა. სიმინდის კვერის ზეთიანი ნაჭრები პირში დნებოდა. სიუკმა ინდიელთა პურის ნარჩენებს ენის რეცეპტორების ტყის გავლით კუჭში გადაუძახა და ვან ჰორნის შესახებ განაგრძო: — სასიამოვნო კაცია. მოგეწონება, თუ მის მანერებს მიეჩვევი.

— ასეთი რა მანერები აქვს?

სიუკმა მოლიმარი ტუჩებიდან ნამცეცები მოიცილა:

— ერთი შეხედვით, უხეშია, მაგრამ ეს მოჩვენებითია. სინამდვილეში კი უწყინარი ვინმეა, დარილთან ყველა გამონახავს საერთო ენას. მე და ჩემი ორი მეგობარი მასთან ერთად ჩოგბურთს ვთამაშობთ ხოლმე ფანტასტიკური, ბრეზენტის უზარმაზარი გუმბათის ქვეშ. იცი თამაში?

ჯენიმ მომრგვალებული მხრები აიჩეჩა.

— ცოტათი. მე ძირითადად ბანაკში ვთამაშობ ზაფხულობით. ზოგიერთი ჩემი ნაცნობი კი დროდადრო „UC“ კორტებზე დადის.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რამდენი ხნით აპირებ აქ დარჩენას ჩიკაგოში დაბრუნებამდე?

ჯენიფერი ყავის ჭიქაში აჭრილი რძის ქულების ტრიალს აკვირდებოდა.

— შესაძლოა, ზაფხულამდე, სანამ სახლი არ გაიყიდება. როგორც აღმოჩნდა, ქრისს ბევრი არაფერი აქვს გასაკეთებელი და ერთმანეთს კარგად ვეწყობით. ყოველთვის ასე იყო. შესაძლოა, სულაც აქ დავრჩე. არც ისე სასიამოვნოა მაიკლ რისთან მუშაობა.

— რაიმე პირადული უსიამოვნებებია?

— ოჰ, არა, — მან თავი ასწია და მკრთალი ფერადი გარსის ქვეშ წმინდა, ახალგაზრდული სითეთრე გამოუჩნდა, — მგონი კაცებს სულ არ ვაინტერესებ.

— ვითომ რატომ? ჩემი აზრით, მშვენივრად გამოიყურები.

ქალიშვილმა თავი დახარა:

— რა უცნაური რძეა! სქელია და ტკბილი. ნეტავ ხომ არ ამჟავდა?

— არა, ვფიქრობ, სულ ახალია. შენ კვერი არ გაგისინჯავს.

— ცოტა მოვაციცქნე. შემწვარი ცომი არასოდეს მყვარებია.

— ამიტომაც გვიყვარს ის ჩვენ, როდ-აილენდის მკვიდრთ. ისეთია, როგორიც არის. თუ არ გინდა, შენსასაც მე მოვუღებ ბოლოს.

— ეტყობა, რაღაცას ისე არ ვაკეთებ და მამაკაცები ამას გრძნობენ. ამის შესახებ ზოგჯერ ჩემს მეგობარ გოგონებთან მისაუბრია.

— ჩვენთვის მეგობარი ქალები აუცილებელია, — თავაზიანად მიუგო სიუკმა.

— მხოლოდ რამდენიმე მყავს. ჩიკაგო ბანდიტთა ქალაქია. ადგილობრივი პატარა ქალები კი, ჩიტებს რომ ჰგვანან, სწავლაში დღე და ღამეს ასწორებენ და ყველა შეკითხვაზე პასუხი მზად აქვთ. მაგრამ საკმარისია რაიმე პირადულის შესახებ ვკითხო, მაგალითად, რას არ ვაკეთებ ისე იმ მამაკაცებთან, რომელთაც ვხვდები, რომ მაშინვე პირში წყალს იგუბებენ.

— სინამდვილეში მამაკაცებთან ურთიერთობის აწყობა არც ისე იოლია, — თქვა სიუკმა, — ისინი ძალიან ბრაზობენ, რადგან ჩვენ შეგვიძლია ვიყოლიოთ ბავშვები, მათ კი არა. საშინლად ეჭვიანები არიან ის საცოდავები: დარილი ასე გვეუბნება, თუმცა არ ვიცი, დავუჯერო თუ არა, ვინაიდან იგი ბევრ რამეს იგონებს ხოლმე. ამას წინათ, სადილზე, საკუთარი თეორიები გადმომიწყო, ყველა მათგანი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიღაც ქიმიურ ელემენტს უკავშირდება, მგონი, „სილი“-ზე[1] იწყება.

— სელენიუმი. ეს მაგიური ელემენტია. სწორედ მათშია ის საიდუმლო, რომლითაც აეროპორტის კარებები თავისით იღება. იგი ასევე მინასაც ართმევს რკინის ზემოქმედებით მიღებულ სიმწვანეს. სელენიუმის მჟავა კი ოქროს გამხსნელია.

— ღმერთო ჩემო, რამდენი გცოდნია. თუ ასე კარგად ერკვევი ქიმიაში, შესაძლოა, დარილმა ასისტენტადაც კი აგიყვანოს.

— ქრისი სულ იმას მიმეორებს, ცოტა ხანს მაინც იჯექი ჩემთან ერთად სახლში, იქამდე მაინც, სანამ სახლს გავყიდითო. ნიუ-იორკი ყელში ამოუვიდა, ის ძალზე სახიფათო ქალაქია. როგორც ამბობს, ყველა სფეროს, რომელიც მას აინტერესებს, ვიტრინების გაფორმება იქნება ეს თუ სცენოგრაფია, გეები აკონტროლებენ.

— ვფიქრობ, რომ ნამდვილად ღირს.

— რა ღირს?

— აქ დარჩენა. ისთვიქი სასაცილო ქალაქია, — სიუკმა საკმაოდ მოუთმენლად ჩამოიფერთხა ნამცეცები სვიტერიდან, მას ხომ ლამის მთელი დილა ეკარგებოდა, — ამასთან უწყინარიც. ეს შეყვარებულთა ქალაქია, — მან დარჩენილ კვერს ყავა დააყოლა და წამოდგა.

— მე ამას მივხვდი, — ქალიშვილიც წამოდგა და გულის ამაჩუყებელი, დაბებკილი ქურთუკის ჩაცმას შეუდგა. როცა გაემზადა, ჯენიფერმა მოულოდნელად მამაკაცებისთვის დამახასიათებელი ჟესტით სიუკს ხელი მაგრად ჩამოართვა, — გმადლობთ, რომ დამელაპარაკეთ, — თქვა მან, — ჩვენდამი კიდევ ერთმა ადამიანმა გამოიჩინა ინტერესი, ცხადია, იურისტებს არ ვგულისხმობ, — ერთი სასიამოვნო ქალია, მღვდელი, ბრენდა პარსლი.

— იგი მღვდელი კი არა, მღვდლის ცოლია. ამასთან, როგორც ვიცი, არც ისეთი სასიამოვნო უნდა იყოს.

— ყველა იმას ამბობს, რომ ქმარი მას საშინლად მოექცა.

— ან პირიქით.

— ვიცოდი, რომ რაღაც ამდაგვარს იტყოდით, — ღიმილით, მეგობრულად თქვა ჯენიფერმა. სიუკმა თავი გაშიშვლებულად იგრძნო, არც დამცავი ტყვიის ჟილეტი იფარავდა. მას გამჭოლად ხე-

[1] *სულელი (ინგლ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დავდნენ. მისი ცხოვრება მთელი ქალაქის თვალწინ, ხელისგულზე იდო. ამ პატარა უცნობმა გოგონამაც კი იცოდა რაღაც-რაღაცები მის შესახებ.

სანამ ჯენიფერი შარფს იხვევდა, სიუკმა მის ყელზე ოქროს წვრილ ძეწკვს მოჰკრა თვალი, რომელზეც, ჩვეულებრივ, ჯვარი უკიდიათ ხოლმე. მაგრამ ქალიშვილის გამხდარი, თეთრი ყელის ძირში ნამცეცა ადამიანის თავის ფორმის მარყუჟზე T-ს ფორმის ეგვიპტური ტაუ-ჯვარი ეკიდა — ანკი, სიცოცხლისა და სიკვდილის სიმბოლო, ძველებური მისტიკური ნიშანი, რომელიც კვლავ მოდაში იყო.

სიუკის მზერა რომ შეამჩნია, ჯენიფერი საპასუხოდ მის ყელსაბამს მიაჩერდა, რომელზეც ნახევარმთვარეები იყო ასხმული და ჩაფიქრებულად თქვა:

— დედაჩემსაც ეკეთა ხელზე სპილენძის სამკაული. უბრალო სპილენძის სამაჯური, რომელიც ადრე არასოდეს მინახავს. თითქოს...

— თითქოს რა, ძვირფასო?

— თითქოს იგი თავის დაცვას ცდილობდა.

— განა ჩვენ ყველანი ამას არ ვცდილობთ? — მხიარულად თქვა სიუკმა, — მაშასადამე, ჩოგბურთის შესახებ დაგირეკავ.

კორტის თავზე, უზარმაზარი გუმბათის ქვეშ არსებული სივრცე საკმაოდ უცნაური რამ იყო აკუსტიკისა და მისი ატმოსფეროს მხრივ: წამოძახილები და ბურთის მოგერიების ხმა ყრუდ ჟღერდა, მაშინაც კი, როდესაც გარედან კარგად ისმოდა, სიუკი კი შუბლსა და დაჭორფლილ ხელებზე მსუბუქ ჩხვლეტას გრძნობდა. ხელებზე ქარვის ბეწვები დაელექტროებულივით ყალყზე იდგა. მორუხო-მოყავისფრო ბრეზენტის გაზნექილი ცამრგვალის ქვეშ ყველაფერი თითქოს შენელებულად მოჩანდა. მოთამაშეები შეკუმშული აურის გავლით მოძრაობდნენ, თუმცა სინამდვილეში რბილი გუმბათი გაბერილი რჩებოდა, რადგან ჰაერი მას განუწყვეტლივ მიეწოდებოდა პლასტიკური კოლოფა ყელიდან, რომელიც გუმბათის ქვედა ნაწილის ერთ მხარეს ჰერმეტულად იყო დახურული. ზამთარში აქ უფრო თბილოდა, ვიდრე გარეთ. წლის ყველაზე ხანმოკლე დღე იდგა. ყინვით შებოჭილი მიწა თუჯივით დამძიმებულიყო ლაქოვანი ღრუბლებით დაფარული ცის ქვეშ, რომლებიც ისე აფრქვევდნენ თოვლს,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როგორც საკვამური ისვრის ფერფლს კვამლთან ერთად. აგურის კედლებსა და ხეების მოშიშვლებულ ფესვებთან თოვლის თხელი ზოლები ჩნდებოდა და მალევე დნებოდა შუადღის მზის მკრთალი სხივებისგან. თოვლი არ იდო, თუმცა ყოველი მაღაზია თუ ბანკი შობის მოსვლას ეჟვნების წკარუნითა და ბამბის თეთრი ფთილებით მორთული ამცნობდა ყველას. პორტის ქუჩა, სადაც ნაადრევი ბინდბუნდი მოულოდნელად დაატყდა თავს საყიდლებზე მოსულ საგულდაგულოდ შეფუთნილ ადამიანებს, დაცარიელებულიყო, მისი სადღესასწაულო ნათება ძილის წინ ხალისიან განწყობას ქმნიდა, ეს იყო თავგანწირული მცდელობა იმ დაპირების შესაბამისად, რომ კარგად ცხოვრება ჩამოწოლილ სიბნელესა და გვარიან ყინვაშიც შეიძლებოდა. ახალგაზრდა დედებმა გადაწყვიტეს, დღესასწაული დასვენების დღედ ექციათ და ჩოგბურთს თამაშობდნენ კოლჰოტებში, თბილ გეტრებსა და სათხილამურო სვიტერებში გამოწყობილნი, ჩოგბურთის ფეხსაცმლის შიგნით ორ-ორი წინდა ჩაეცვათ.

სიუკი თავს დამნაშავედ გრძნობდა, შიშობდა, ჯენიფერ გებრიელის მოყვანით სხვებს დღესასწაული ხომ არ ჩავუმწარეო. როცა ვან ჰორნს დაურეკა, მას უარი არ უთქვამს. დარილს მოსწონდა ახალბედების მოზიდვა, შესაძლოა, ოთხი ადამიანისგან შემდგარი კომპანია ევიწროებოდა (სხვა მამაკაცთა, განსაკუთრებით ნიუიორკელ მდიდარ მამაკაცთა მსგავსად, იგი ხშირად მოიწყენდა ხოლმე), მაგრამ ჯენიფერმა ძმაც წამოიყვანა, რომელსაც, თავისი დროის უახლესი მოდის შესაბამისად, კაცი სიტყვას ძლივს დააცდენინებდა. ერთთავად მოღუშულს, უსიცოცხლო მზერა, უნებისყოფო ნიკაპი და ისეთი ჭუჭყიანი ხუჭუჭი თმა ჰქონდა, რომ ვერავინ გაბედავდა მისთვის ქერათმიანი ეწოდებინა. ჩოგბურთის ფეხსაცმლის ნაცვლად შელახული, ერთი-ორგან გახეული ბოტასები ეცვა, რომლებიც ამ ღია და ვრცელ, გუმბათის ქვეშ მოქცეულ კორტზეც კი ოფლის სუნად ყარდა. სიუკი ვერაფრით მიმხვდარიყო, როგორ შეეძლო პიწკია ჯენიფერს ასეთ ფეთხუმთან ერთად ცხოვრება. მონტს ნაკლოვანებები კი ჰქონდა, მაგრამ სუფთა ადამიანი იყო, ხშირად იღებდა შხაპს და ყავის ჭიქებსაც კი რეცხვდა, როცა სიუკი ტელეფონით ლაპარაკს შეჰყვებოდა და მათ მაგიდაზე ტოვებდა. ჯენიფერის ძმამ ჩოგანი ამოიღო, მაგრამ ბადის იქით ბურთის გადაგდება ვერ შეძლო, თუმცა ამან მასში, შეცბუნების ნაცვლად, დუნე გაღიზიანება გამოიწვია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყოველთვის თავაზიანმა მასპინძელმა, დარილმა, რომელსაც თავი ჯენტლმენად მიაჩნდა, ცხადია, თამაშსაც აპირებდა და ამისთვის წაბლისფერ სპორტულ შარვალსა და იისფერი თივთიკის ჟილეტშიც გამოწყობილიყო, რომლებშიც თუთიყუშ არას ჰგავდა, ქალებს შესთავაზა, რომ სანამ იგი ქრისტოფერს ბიბლიოთეკას, ლაბორატორიასა და შხამიანი ტროპიკული მცენარეების პატარა ორანჟერეას დაათვალიერებინებდა, ერთი სეტი წყვილებში ერთმანეთის წინააღმდეგ ეთამაშათ. მოწყენილი და უმადური ყმაწვილი ჩანჩალით მიჰყვა მას უკან, დარილი კი ჟესტიკულირებდა და ენას არ აჩერებდა. გუმბათის კედლებს მიღმა ქალებს მისი ხმამაღალი შეძახილები ესმოდათ. სიუკს დანაშაულის შეგრძნება არ ასვენებდა.

პარტნიორად მან ჯენიფერი აირჩია, იმ შემთხვევისთვის, თუ იგი გამოუცდელი მოთამაშე აღმოჩნდებოდა, თუმცა მოთულვისას გოგონამ ორივე მხრიდან ძლიერი დარტყმა განახორციელა. თამაშის დროს იგი გაბედული და საკმაოდ საიმედო პარტნიორი აღმოჩნდა, თუმცა შორს ვერ ურტყამდა — განსაკუთრებით გრძელფეხება სიუკთან შედარებით. ამ უკანასკნელმა თამაში თერთმეტი წლის ასაკში ისწავლა ძველ, როდოდენდრონებით გარშემორტყმულ, ღორღისსაფრიან კორტზე, რომელიც ტბის პირას, მათი ოჯახის მეგობრის მამულში მდებარეობდა. ბურთის მიღებისას ეფექტური ნახტომებისთვის მამა ხშირად აქებდა მას, მისი თამაშის სტილი კი ყოველთვის მიმზიდველი იყო, მაშინაც კი, როდესაც ბურთის მოგერიებისას მოედნის ხან ერთ და ხანაც მეორე კუთხეში ყოვნდებოდა. მაგრამ ბურთს, რომელიც პირდაპირ ხელებისკენ მოფრინავდა, ზოგჯერ ვერაფერს უხერხებდა. მან და ჯენიმ სწრაფად მოუგეს ალექსანდრასა და ჯეინს ოთხი გეიმი და ერთი წააგეს, მერე კი ოინბაზობა დაიწყო. თუმცა სიუკის გაჭიმული ხელისკენ „ვილსონის“ ყვითელი ბურთი მოფრინავდა, ის, რაც მან ჩოგნით მიიღო — მუხლებში მოხრილმა და თავდახრილმა, ნახტომში წინ და მაღლა, რათა ძლიერად ჩახვეული დარტყმა მოეგერიებინა, — საგოზავის გუნდა აღმოჩნდა, რომლის სიმძიმისგანაც იდაყვში საშინელი ტკივილი იგრძნო. ხოლო ის, რაც ბადისკენ მიდიოდა ჯენიფერის ფეხებს შორის, უდავოდ ისევ ჩოგბურთის ბურთი იყო. შემდეგ წამს, როდესაც მორიგი საგოზავის გუნდის მისაღებად მოემზადა, იგრძნო, რომ ჩოგნის სიმებმა ბელურაზე მსუბუქი რაღაც აისხლიტა, რომელიც გუმბათის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჩაბნელებულ თაღში მიიმალა, გასცდა პლასტიკურ, გამჭვირვალე, მრგვალ ფანჯრებს, საიდანაც სინათლე შემოდიოდა და მოედნის მიღმა ყვითელი „ვილსონის“ სახით დაეცა.

— გოგოებო, პატიოსნად ითამაშეთ, — გასძახა სიუკმა ბადის იქით მყოფთ.

ჯეინ სმარტი მას მელოდიური ხმით გამოეპასუხა:

— ბურთს მხედველობიდან ნუ დაკარგავ, ძვირფასო, და ყველაფერი კარგად იქნება.

— რა ჯანდაბას მეუბნები, ჯეინ პეინ,[1] ორი შესანიშნავი მოქნევა განვახორციელე.

სიუკი ბრაზობდა — ეს ხომ უსამართლობა იყო, როდესაც მას უეშმაკო პარტნიორი ჰყავდა. ჯენიფერი, რომელსაც ცენტრალურ ხაზთან ამყოფებდნენ, მხოლოდ ამ დარტყმების შედეგებს ხედავდა. მან მისკენ გაწითლებული, სამკუთხა სახე მიატრიალა, რომელიც პატიებასაც გამოხატავდა და მოწონებასაც. მორიგ ჯერზე, ჯეინის სუსტი დარტყმის შემდეგ გოგონა ისარივით გავარდა ბადისკენ, სიუკმა კი გონებით უბრძანა ალექსანდრას, ადგილზე დარჩენილიყო. ჯენის ძლიერი დარტყმა ამ ზორბა ქალის უძრავ სხეულს მოხვდა. წამით ალექსანდრას თავისი ჯადოსნური ძალა დაავიწყდა, ნატკენი ადგილი მოისრისა და სიუკს საყვედურით მიმართა:

— წარმოიდგინე, როგორ მეტკინებოდა, კოლჰოტის ქვეშ შალის საცვალი რომ არ მცმოდა!

სიუკს შერცხვა და მობოდიშებით თქვა:

— მოდი, ნამდვილი ჩოგბურთი ვითამაშოთ.

მაგრამ მეტოქეები შეტევაზე გადმოვიდნენ. ბადის ცენტრიდან წამოსული ბურთის მოგერიებისას, სიუკს სახსრებში საშინელმა ტკივილმა დაუარა. იგი მკვეთრად შეჩერდა, ჭუჭყიანი ბურთი კი ცენტრალურ ზოლში დაეცა და ახტა. ამ დროს უკნიდან ჯენის ფეხის ხმა გაისმა და სიუკმა დაინახა, რომ ბურთი სასწაულებრივად უკან დაბრუნდა და ჯეინსა და ალექსანდრას შორის მოთავსდა. ანგარიში კვლავ გათანაბრდა. სახსრების მოულოდნელი ტკივილისგან სიუკი ფეხზე ძლივს იდგა, მაგრამ არ ნებდებოდა, მკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, თავისი პარტნიორი ამ ავკაცობებისგან დაეცვა. მან

[1] *Pain — ტკივილი (ინგლ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სწრაფად წარმოთქვა თავისთვის მკრეხელური სიტყვები — Retson Retap[1] უკუღმა ზედიზედ სამჯერ და საჰაერო ორმო შექმნა, შეფერხება მეტოქეთა ნახევრის წინა ნაწილის თავზე მდებარე სივრცის კრისტალში, ასე რომ, ჯეინმა ორჯერ ააცდინა, ბურთი კი საშუალო ტრაექტორიით მიფრინავდა, როგორც მაგიდის კიდიდან.

ამის შემდეგ ანგარიში 5:1 გახდა. მოსაწოდებლად ჯენი ემზადებოდა. როდესაც მან ბურთი ზევით ააგდო და დარტყმა სცადა, იგი კვერცხად გადაიქცა და გატყდა, მისმა შიგთავსმა ჩოგნის სიმებში გამოაღწია და ჯენის მთელი სახე მოუსვარა. სიუკმა ზიზღით მოისროლა ჩოგანი, რომელმაც წამსვე გველის სახე მიიღო, — არსების, რომელიც გაჩენის დღიდან მალევე დაიწყევლა, — და გადარეული, რადგან დამალვას ვერსად ახერხებდა, აქეთ-იქით აწყდებოდა, იკლაკნებოდა სისხლისფრად წითელ საფარზე, რომელიც მკაფიოდ დახაზულ მწვანე კორტს გარს შემოვლებოდა.

— კარგი, — თქვა სიუკმა, — გვეყოფა. თამაში დამთავრებულია, — პატარა ჯენი ამაოდ ცდილობდა ცხვირსახოცით თვალებიდან კვერცხის ცილისა და გულის მოცილებას, რომლებშიც აბლაბუდასავით მოჩანდა სისხლიანი წვრილი ძარღვები — კვერცხი განაყოფიერებული იყო. სიუკმა მას ცხვირსახოცი გამოართვა და გაწმენდაში მიეხმარა, — ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, — ამბობდა იგი, — ეს საზიზღარი ქალები წაგებას ვერ იტანენ.

— ყოველ შემთხვევაში, კვერცხი ლაყე მაინც არ იყო, — გამოსძახა ბადის მეორე მხრიდან ალექსანდრამ.

— არაფერია, — თქვა მშვიდად ჯენიფერმა, როდესაც სული მოითქვა, — მე ვიცოდი, რომ ამგვარ ძალას ფლობდით, ბრენდა პარსლიმ მიამბო.

— ის იდიოტი ნამდვილი ენაჭარტალაა, — დაამატა ჯეინ სმარტმა. ბადესთან დანარჩენი ორი ალქაჯიც მივიდა, რათა ჯენიფერს სახის გაწმენდაში დახმარებოდნენ, — არაფერი განსაკუთრებული ნიჭი ჩვენ არ გაგვაჩნია, გარდა იმისა, რაც თვითონ აქვს. ახლა, როცა მიატოვეს...

— ეს ნიჭი მაშინ ჩნდება, როდესაც ქმარი ცოლს მიატოვებს? — იკითხა ჯენიმ.

---

[1] *Pater noster — მამაო ჩვენო (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ან როცა მიტოვებას აიძულებენ, — თქვა ალექსანდრამ, — უცნაური კია, მაგრამ აქ არავითარი განსხვავება არ არსებობს. შენ გეგონა, რომ იყო? ნებისმიერ შემთხვევაში, კვერცხისთვის ბოდიშს გიხდი. ხვალ კი თუმო დალურჯებული მექნება, ვინაიდან სიუკი ხელს მიშლიდა. ეს ნამდვილი თამაში არ იყო.

— ეს თამაში კი არა, გამოხდომები იყო ჩემს წინააღმდეგ, — უკან არ დაიხია სიუკმა.

— შენ უბრალოდ ააცდინე, — დაიძახა ჯეინ სმარტმა, რომელიც კორტის განაპირას რაღაცას ეძებდა.

— მეც ასე გავიფიქრე, — წყნარად თქვა ჯენიფერმა იმ ორის საამებლად, — თქვენ თავს სწევდით, მარცხნიდან დარტყმის დროს მაინც.

— შენ ამას ვერ ხედავდი.

— ვხედავდი. თანაც დარტყმისას მუხლებში იმართებით.

— არა. შენ ჩემს პარტნიორად ითვლები, ამიტომ მხარი უნდა დამიჭირო.

— თქვენ შესანიშნავად თამაშობდით, — მორჩილად დაეთანხმა გოგონა.

ჯეინი დაბრუნდა და პეშვით შავი ქვიშა მოიტანა, რომელიც კორტის გვერდზე ფრჩხილებით მოეფხიკა.

— თვალები დახუჭე, — უბრძანა მან ჯენიფერს და ქვიშა სახეში შეაყარა. რაღაც ჯადოსნობით კვერცხის ნარჩენები აორთქლდა, მაგრამ ქვიშამ გადატკეცილ სახეს შეშინებული, ველური იერი მისცა, თითქოს ქალიშვილს ჭრელი ნიღაბი ეკეთა.

— აბაზანა ხომ არ მიგველო? — შენიშნა ალექსანდრამ, რომელიც დედობრივი შხრუნველობით შეჰყურებდა ჯენიფერის მოთხუპნილ სახეს.

„როგორ შეიძლება ჩვენი აბაზანის მიღება ამ ორ, თითქმის უცნობ ადამიანთან ერთად“, — გაიფიქრა სიუკმა და კარგად გამოლანძღა საკუთარი თავი, მათი მოწვევა რომ იჩქარა. ყველაფერი დედამისის ბრალია. მათ სახლში, რომელიც ნიუ-იორკის შტატში მდებარეობდა, სადილობისას მაგიდასთან ყოველთვის იჯდა უცხო ხალხი. დედის აზრით, ისინი გადაცმული ანგელოზები იყვნენ. სიუკმა ხმამაღლა გამოთქვა პროტესტი:

— მაგრამ დარილს ჯერ არ უთამაშია! არც ქრისტოფერს, — დაამატა მან, თუმცა გამომწვევად თავდაჯერებული ბიჭი ყველაზე ნაკლებად აღელვებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ისინი, მგონი, დაბრუნებას აღარ აპირებენ, — შენიშნა ჯეინ სმარტმა.

— სანამ გავციებულვართ, რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ, — თქვა ალექსანდრამ. მან ჯენის მონოგრამიანი ცხვირსახოცი აიღო და ძნელსაცნაურად დაკეცილი კუთხით ქვიშის მარცვლების მოცილებას შეუდგა მრგვალი, დამჯერე სახიდან, რომელიც მზისკენ თავმოღერებულ ვარდის კოკორს ჰგავდა.

სიუკი ეჭვიანობამ შეიპყრო.

— სახლში შევიდეთ, — დაიძახა მან და ტაში შემოჰკრა, თუმცა მის კუნთებს ვარჯიშით გული ჯერ ვერ ეჯერათ, — თუ, რა თქმა უნდა, ვინმეს ერთი ერთზე თამაში არ უნდა.

— შესაძლოა, დარილს უნდა, — თქვა ჯეინმა.

— იგი შესანიშნავად თამაშობს და ჩემი დამარცხება არ გაუჭირდება.

— მე სხვაგვარად ვფიქრობ, — წყნარად თქვა ჯენიმ, რომელიც ხედავდა, როგორ ვარჯიშობდა მასპინძელი, მაგრამ მისი თამაშის ძალა არ იცოდა, — თქვენ შესანიშნავ ფორმაში ხართ, ის კი რაღაც დუნედ გამოიყურება, ხომ ასეა?

— დარილ ვან ჰორნი ყველაზე ცივილიზებულია იმ ადამიანებს შორის, ვისაც ვიცნობ, — ცივად თქვა ჯეინ სმარტმა და გაღიზიანებულმა განაგრძო: — ნუ ნერვიულობ, ლექსა, ძვირფასო, აბაზანით ყველა კმაყოფილი იქნება.

— საბანაო კოსტიუმი არ წამომიღია, — თქვა ჯენიფერმა, რომელიც ფართოდ გახელილი გაოცებული თვალებით ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს.

— იქ ისე ბნელა, რომ არაფერი ჩანს, — დაამშვიდა სიუკმა, — იქნებ შინ დაბრუნება გინდა?

— ოჰ, არა. ეს ძალიან მიმძიმს. იქ სულ თოკზე ჩამოკიდებული მამაჩემი მიდგას თვალწინ. ნივთების გადასარჩევად სხვენზე ასვლაც კი მეშინია.

სიუკმა გაიფიქრა, ვინაიდან სამივეს გვყავს შვილები, ჯენიფერი და ქრისტოფერი კი ბავშვები არიან, ჩვენ, როგორც დედებს, მათზე ზრუნვა გვმართებსო. მან მწუხარებით გაიხსენა კლაიდის, მათი მამის ასო, შესაძლოა, მამამისსაც ისეთივე ჰქონდა, ასო, რომელიც სიძველის ნიმუშს ჰგავდა თავისი მოყვითალო ელფერით ამდგარ მდ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გომარეობაში; ყვერებიდან ჩამოშვებული გრძელი თეთრი ბეწვები მოხუცი ქალის თავზე შემორჩენილ თმას ჰგავდა. სულაც არ იყო გასაოცარი, რომ მისი ფეხების ყოველ გაჩაჩხვას იგი დაუყოვნებლივ ეხმაურებოდა. სიუკმა ქალები კორტიდან გამოიყვანა, სადაც კარი ყოველ მხარეს ელვაშესაკრავით იკეტებოდა და მისი სწრაფად გაღება-დახურვა იყო საჭირო, რათა ცივი ჰაერი არ შემოვარდნილიყო.

მომაკვდავი დეკემბრის სუსხიანი დღე ქალებს სახესა და ჩოგბურთის მსუბუქი ფეხსაცმლით შემოსილ ფეხებზე ჰკბენდა. კოულმა, ალექსანდრას საზიზღარმა ლაბრადორმა, და ნიდლნოუზმა, დარილის ნერვიულმა, ხალებიანმა კოლიმ, ტყეში რომელიღაც ფუმფულა ცხოველი მოიმწყვდიეს და დაგლიჯეს, ახლა კი მუქი, გასისხლიანებული დრუნჩებით აქეთ-იქით დაქროდნენ. ოდესღაც სახლისკენ მიმავალი, საგულდაგულოდ მოვლილი გაზონი ბულდოზერებს გადაეთხარათ, სადაც შემოდგომაზე კორტი უნდა აშენებულიყო. გაყინული კოლბოხები და თიხა მთვარის არამყარ ლანდშაფტს ქმნიდა, რომელზეც ფეხის დადგმაც კი საშიში ჩანდა. სიცივისგან სიუკს თვალები აუცრემლიანდა, თანამგზავრთა ირგვლივ ცისარტყელასებრი აურა გაჩნდა, სუსხმა ყველას ისე აუწვა ლოყები, რომ სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდნენ. სიუკი მყარ ბილიკს სირბილით გაუყვა, მას მოხრეშილი გზით დანარჩენებიც მიჰყვნენ, რომლებიც ერთად უზარმაზარ მოუქნელ ცხოველს ჰგავდნენ. მძიმე მუხის კარი მის ხელს ადვილად დაჰყვა; ვესტიბიულში, სადაც მარმარილოს იატაკზე ცარიელი სპილოს ფეხი იდო, ცხელი გოგირდის სუნი ცხვირში ბალიშივით მოხვდათ. ფიდელი არსად ჩანდა. ქალები ხმას მიჰყვნენ და დარილი და ქრისტოფერი ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს, სადაც ისინი მრგვალ, ტყავშემოკრულ მაგიდას აქეთ-იქიდან შემოსხდომოდნენ. მაგიდაზე ჩაისთვის განკუთვნილი ლანგარი და ძველი კომიქსები ეწყო. მათ ზემოთ ლენოქსის ძველი მეპატრონეების, თავგამოდებული მონადირეების დროინდელი, ამერიკული ლოსისა და ირმის მელანქოლიურად მომზირალი თავები ეკიდა. ფიტულები ნაღვლიან შუშის თვალებს არ ახამხამებდნენ, თუმცა მტვრით კი გავსებოდათ.

— ვინ გაიმარჯვა? — იკითხა ვან ჰორნმა, — სიკეთემ თუ ბოროტებამ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რომელია ჩვენ შორის კეთილი გრძნეული და რომელი — ბოროტი? — კითხვაზე კითხვითვე მიუგო ჯეინ სმარტმა და მოწყვეტით დაეშვა ჟოლოსფერ სკამზე ერთად შეკრული, ჯადოსნობასთან დაკავშირებული წიგნების მთების ქვეშ, რომელთა გახუნებულ ყუებზე ლათინური წარწერები მოჩანდა.

ბამბურა, უფორმო თამკინი სტატუეტივით გაშეშებულიყო ღუმლის შორენკეცებზე, ცეცხლთან ისე ახლოს, რომ ლამის ულვაშები შეტრუსოდა. აი, კატა ძალიან დინჯად დაიხარა ჯეინის კოჭებისკენ და თითქოს თეთრი სპორტული წინდები კლანჭების სალეს სვეტებად მიიღოო, ღრმად ჩაასო შიგ თავისი ბრჭყალები, თან კუდი ზემოთ აპრიხა და ისე აძაგძაგდა, როგორც შარდვის დროს. ტკივილისგან გამწარებულმა ჯეინმა იკივლა და ჭვინტით კატა ზევით აისროლა. თამკინი ჰაერში უშველებელი თოვლის ფანტელივით დატრიალდა და უხმაუროდ დაეშვა ოთხივე თათზე იმ ადგილის სიახლოვეს, სადაც სპილენძისსახელურიანი ქარცახი, მაშა და აქანდაზი ბრწყინავდა. განაწყენებულ კატას თვალები ამ ნივთებივით უელავდა, ყვითელ გარსში ვერტიკალური გუგები დაუწვრილდა და შეკრებილთ მიაშტერდა.

— რა სისაძაგლეებს აკეთებენ, — წამოსცდა სიუკს, — ასეთ რაღაცებს ყნოსვით ვგრძნობ.

— აი, როგორ უნდა შეიცნო ჭეშმარიტი ქალი, — ხორხისმიერი ხმით, უხალისოდ წარმოთქვა დარილ ვან ჰორნმა, — მას ყოველთვის ეჩვენება, რომ ატყუებენ.

— დარილ, ნუ ხართ ასეთი პირქუში და გესლიანი, — თქვა ალექსანდრამ, — ჩაი როგორ მოგეწონათ, ქრის? მართლაც ისეთი კარგია, როგორც გამოიყურება?

— დიახ, — მიუგო ყმაწვილმა ისე, რომ არავისთვის შეუხედავს.

ფიდელმა ხორცი შეისხა. მისი ხაკისფერი ჟაკეტი ჩვეულებრივზე უფრო დაჭმუჭნილი ჩანდა. იქნებ სამზარეულოში რებეკასთან ერთობოდა?

— Te para las senoras y la senorita, por favor,[1] — უბრძანა მას დარილმა.

ფიდელი შესანიშნავად მეტყველებდა ინგლისურად, ახალ-ახალ იდიომებსაც ითვისებდა, მაგრამ ბატონი და მსახური ერთმანეთს

[1] *ჩაი, გეთაყვა, სენიორებისა და სენიორიტებისთვის (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მხოლოდ ესპანურად ესაუბრებოდნენ, რამდენადაც ამის საშუალებას ვან ჰორნს მისი სიტყვების მარაგი აძლევდა.

— Si, senior.

— Rapidamente, — თქვა ვან ჰორნმა.

— Si, si.[1]

იგი წავიდა.

— განა შესანიშნავი არაა?! — შესძახა ჯეინ სმარტმა, მაგრამ სიუკს რაღაც არ მოსწონდა და გულს სტკენდა: მთელი სახლი სასცენო დეკორაციას ჰგავდა, ერთ მხარეს ბრწყინვალება მოჩანდა, მეორე მხარეს — სიცარიელე და სიძველე. ეს რომელიღაც სხვაგან მდებარე სახლის იმიტაცია უფრო იყო.

სიუკი გაიბუტა:

— თამაშით გული ვერ ვიჯერე. წამოდით, დარილ, ერთი ერთზე ვითამაშოთ. სანამ არ დაბნელებულა! თქვენ ხომ უკვე გაცვიათ.

— მერედა ქრისი? — მიუგო მან სერიოზულად, — მას საერთოდ არ უთამაშია.

— დარწმუნებული ვარ, რომ არ უნდა, — მზრუნველი დის ხმით წამოიძახა ჯენიფერმა.

— საძაგლად ვთამაშობ, — დაეთანხმა ძმა.

„ცოტა მოსულელო კი ჩანს“, — გაიფიქრა სიუკმა. მის ასაკში გოგონა საინტერესო, ცოცხალი და შემთვისებელი გონების პატრონი იქნებოდა; კეკლუცობითა და თავის მოწონების სურვილით შეპყრობილი, ირგვლივ ყველაფერს საკუთარ აბლაბუდად, საკუთარ ბუდედ, საკუთარ თეატრად გადააქცევდა. სიუკი პირიდან ცოფებს ყრიდა. იდგა, შიგადაშიგ თმას აქეთ-იქით გადაიყრიდა ხოლმე და უხეშობის ზღვრამდე მისულ განწყობას არც მალავდა. არ იცოდა, ვინ დაედანაშაულებინა, მხოლოდ იმას აცნობიერებდა, რომ და-ძმა გებრიელთა მოყვანით ყველაფერი არივ-დარია. იგი კაცთან მას შემდეგ არ წოლილა, რაც ორი კვირის წინ კლაიდმა თავი ჩამოიხრჩო. შუაღამით უეცრად ედზე იწყებდა ფიქრს, წარმოიდგენდა, რას აკეთებდა იგი იატაკქვეშეთში პატარა დონ პოლანსკისთან, იმ ჭუჭყიან გომბიოსთან ერთად. დარილი, რომელსაც არც ინტუიცია ღალა-

[1] — *დიახ, სენიორ.*
— *სწრაფად.*
— *დიახ, დიახ (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტობდა და, უხეში მანერების მიუხედავად, კეთილიც იყო, წამოდგა, წითელ შარვალში გამოწყობილმა, თივთიკის იისფერი ჟილეტი ჩაიცვა, თავზე მონადირის ნარინჯისფერი კეპი დაიხურა წინაფრითა და „დეი-გლოს“ ფირმის საყურისით, რომელსაც ზოგჯერ ხუმრობით იკეთებდა, და ალუმინის ჩოგანი აიღო.

— ოღონდ სწრაფად, მხოლოდ ერთი სეტი, — გააფრთხილა ქალი, — თუ ექვსით ექვსი დასრულდება, შვიდამდე ვითამაშებთ. ბურთის გომბეშოდ გადაქცევის შემთხვევაში ქულას კარგავთ. ვინმეს ხომ არ სურს საყურებლად წამოსვლა?

მსურველი არავინ აღმოჩნდა, ყველა ჩაის ელოდა. მაშინ ის ორნი ადგნენ და ცოლ-ქმარივით გავიდნენ ნისლიან ბინდბუნდში. მიჩუმებულ ბუჩქებსა და ხეებს ღია იისფერი დაჰკრავდა. აღმოსავლეთით ცას ჰორიზონტამდე მწვანე მინანქარი გადაჰკვროდა. ირგვლივ სასაფლაოს სიჩუმე და განმარტოება იგრძნობოდა.

დიდებული თამაში გამოვიდა. ერთი შეხედვით მოუქნელი, მაგრამ რობოტივით შეუცდომლად მოთამაშე დარილი სიუკის გასაოცარ დარტყმებს უმკლავდებოდა. შეუძლებელ მოწოდებებს ქალი წკრიალა გამარჯვებებად აქცევდა. მისი ზებუნებრივი სიჩქარისა და სიმარჯვის შედეგად, მოზრდილი სიგრძე-სიგანის კორტი მინიატურულ ზომებამდე შემცირდა. როდესაც სიუკი ბურთისკენ გარბოდა, ყვითელი „ვილსონი“ მთვარესავით დაეკიდებოდა ხოლმე ჰაერში. ქალის სხეული ისე დამჯერედ ასრულებდა ტვინის ბრძანებებს, როგორც მას სურდა. სიუკმა რამდენიმე დარტყმა მარცხნიდანაც კი წარმატებით დააგვირგვინა, მოწოდებისას გრძნობდა, რომ ისრის გასატყორცნად გამზადებული ლარივით იჭიმებოდა. იგი ერთდრულად დიანაც იყო, ისიდაცა და ასტარტაც. მონის სამოსში გახვეული, ქალის გრაციასა და ძალას განასახიერებდა. ამასობაში მორუხო-მოყავისფრო გუმბათის კუთხეებიდან თანდათან სიბნელე ჩამოწვა, მაღლა კი, მრგვალი ფანჯრებიდან, ცა მოჩანდა — თავს ზემოთ აკვამარინებისგან გაკეთებული გვირგვინი ირწეოდა. სიუკი ველარ ხედავდა მუქთმიან მოწინააღმდეგეს, რომელიც შორს, ბადის მეორე მხარეს, მოედანზე დაქროდა, რაღაცას გაჰყვიროდა და ჩოგანს იქნევდა. ბურთი ყოველთვის უკან ბრუნდებოდა, ზედ მის წინ მტაცებელი ცხოველივით მკვეთრად ახტებოდა ხოლმე და, შეღებილი ასფალტით არეკლილი, ახალ სიცოცხლეს იძენდა. დარტყმა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კიდევ დარტყმა. სიუკი გამუდმებით ურტყამდა ბურთს, რომელიც სულ უფრო პატარავდებოდა და ჯერ გოლფის ბურთულას დაემსგავსა, შემდეგ — ოქროსფერ ბარდის მარცვალს, ბოლოს კი ბადის შორეულ, მოედნის ჩაბნელებულ ნაწილში დაცემის ყრუ ხმად იქცა, ძლივს გასაგონ ტყავის ხმად. თამაში დასრულდა.

— ნამდვილი ნეტარება იყო, — უთხრა სიუკმა ბადის მეორე მხარეს მყოფს.

ვან ჰორნის ხმა ქუხდა და გრგვინავდა, როდესაც მან წარმოთქვა:

— მგონი გულითადი ამხანაგივით ვიქცეოდი, შენ თუ გამიწევ მეგობრულ სამსახურს?

— კარგი, — თქვა სიუკმა, — რა უნდა გავაკეთო?

— უკანალზე მაკოცე, — ჩახლეჩილი ხმით მიუგო მან და ბადის იქითა მხრიდან საჯდომი მიუშვირა. ბეწვიანი თუ ბუსუსიანი ჰქონდა, იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ უყურებს მამაკაცებს. მარცხნივ, მარჯვნივ...

— და შუაში, — მოითხოვა კაცმა.

სიუკს მოეჩვენა, რომ ეს შორეული გზავნილი იყო, როგორც აქლემის სუსტი სუნი, გობის უდაბნოში გაშლილი კარვის აბრეშუმის ნაკეცებიდან მოღწეული.

— გმადლობთ, — თქვა ვან ჰორნმა და შარვალი აიწია. სიბნელეში მკვეთრი ხმა მას ნიუიორკელ ტაქსისტს ამსგავსებდა, — ვიცი, შენ ეს სისულელედ გეჩვენება, მაგრამ მე მესიამოვნა.

ისინი ბორცვს აუყვნენ. სიუკს გზადაგზა კანზე ოფლი აშრებოდა. წუხდა, რომ ჯენიფერის იქ ყოფნის გამო ცხელი აბაზანის მიღებას ვერ შეძლებდნენ. ის კი, როგორც ჩანს, წასვლას არ აპირებდა. მისი გაუთლელი ძმა ბიბლიოთეკაში მარტო იჯდა და რაღაც სქელ წიგნს კითხულობდა. მის მხარს ზემოდან სიუკმა კომიქსების კომპლექტს მოჰკრა თვალი, მოსასხამში გახვეულ ბეტმენს ცისფერი კაპიუშონითა და წვეტიანი ყურებით.

— ამ დედანატირებ კომპლექტში უამრავი ფული გადავიხადე, — წაიტრაბახა ვან ჰორნმა, — ზოგი ძველი წიგნი ომამდეა გამოშვებული. პატარაობისას რომ მეგროვებინა, ახლა მათი გაყიდვით ბლომად ფულს ვიშოვიდი. ღმერთო ჩემო, მთელი ბავშვობა მომდევნო ყოველთვიური ნომრის ლოდინში გავატარე. მიყვარდა ჯოკერი. პინგვინიც მიყვარდა. ბეტმობილიც, რომელიც მიწისქვეშა გარაჟში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იდგა. თქვენ ორივენი ძალზე ახალგაზრდები ხართ და ამით გადარჩენა ვერ შეძელით.

— ტელევიზორში მაქვს ნანახი, — გულუბრყვილოდ წარმოთქვა ბიჭმა.

— ჰოო? მაგრამ იქ ყველაფერი შეცვალეს. ეს არ უნდა გაეკეთებინათ. მათ ყველაფერი ხუმრობად აქციეს. საშინელი უგემოვნობაა. ძველ კომიქსებში ნამდვილი ბოროტება არსებობდა. მისი თეთრი სახე ძილშიც კი არ მასვენებდა, არ გეხუმრებით. კაპიტან მარველზე რას ფიქრობთ? — ვან ჰორნმა თაროზე მოთავსებული რომელიღაც თხზულებათა კრებულიდან წითელყდიანი წიგნი გადმოიღო და კომიკური აღფრთოვანებით დაიღრიალა: — სე-ზამ!

სიუკის გასაოცრად, კაცი გასაშლელ სკამზე მოკალათდა და სიამოვნებისგან გაბადრული ფართო სახით წიგნის ფურცვლას შეუდგა.

სიუკის სმენას ქალების საუბრის სუსტი ხმა მისწვდა, იქით გაემართა და მალე, პოპარტის დამანგრეველი ქმნილებებით სავსე გრძელი დარბაზის, გაუხსნელი ყუთებით მოფენილი პატარა ოთახისა და ორმაგი კარის გავლით, ფილებით მოპირკეთებულ სააბაზანოს მიადგა.

მრგვალ, წიბოვან სანათებში რეოსტატს შუქი მინიმუმამდე დაეყვანა. სტერეოსისტემის წითელი საჭვრეტელი იქაურობას შუბერტის სონატის რბილი პასაჟების ფონზე აკვირდებოდა. წყლის ორთქლით დაფარულ ზედაპირზე სამი თავი მოჩანდა ზემოთ აკეცილი თმით. ხმები კვლავ გაურკვევლად ისმოდა და სანამ სიუკი იხდიდა, მისკენ არავის გამოუხედავს. იგი მრავალფენიანი გამაგრებული სპორტული ტანსაცმლიდან გამოძვრა და გაშიშვლებულმა ორთქლით გაჯერებულ ჰაერში შეაბიჯა, შემდეგ ქვის კიდეზე დაჯდა, ზურგი გაზნიქა და წყალში ჩაეშვა. თავდაპირველად სიცხემ კინაღამ სუნთქვა შეუკრა, მაგრამ მერე აღარ, მიეჩვია. იგი გაახლებას გრძნობდა. წყალი, ძილის მსგავსად, ადამიანს ჩვეული სიმძიმისგან ათავისუფლებს. ალექსანდრას და ჯეინის ნაცნობი სხეულები გვერდიგვერდ ირწეოდა, მათგან და მისგან წამოსული ტალღები ერთმანეთს უერთდებოდა და სამკურნალო რხევებს ქმნიდა. მისი მხედველობის არეში ჯენიფერ გებრიელის მრგვალი თავი და მხრები მოექცა, მომრგვალებული ძუძუები გამჭვირვალე მუქი წყლის ზედაპირის ქვეშ დაცუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რავდა, თეძოები და ფეხები აბორტის დროს ამოყვანილი ნაყოფივით დამოკლებოდა.

— ხომ შესანიშნავია აქ? — ჰკითხა მას სიუკმა.

— დიახ.

— მასთან ეს ყველაფერი თავისით რეგულირდება.

— თვითონაც ხომ არ აპირებს ჩვენთან შემოერთებას? — იკითხა შეშინებულმა ჯენიფერმა.

— ამჯერად, ალბათ, არა, — თქვა ჯეინ სმარტმა.

— შენდამი პატივისცემის ნიშნად, ძვირფასო, — დაამატა ალექსანდრამ.

— ვგრძნობ, რომ არანაირი ხიფათი არ მემუქრება. მართლაც ასეა?

— რატომაც არა? — იკითხა ერთ-ერთმა ალქაჯმა.

— უსაფრთხოდ იგრძენი თავი, სანამ შეგიძლია, — ურჩია მეორემ.

— ეს ნათურები უწესრიგოდ გაბნეულ ვარსკვლავებს მაგონებს, თქვენ?

— შეხედე.

მართვის დეტალებში უკვე სამივენი ერკვეოდნენ. ღილაკზე თითის დაჭერით სახურავი გრუხუნით გადაიხსნა. ცაზე პირველივე მკრთალმა ნაჩხვლეტებმა — პლანეტებმა, წითელმა გიგანტებმა — დაანახვა მათ, რომ პირვანდელი ფირუზის გუმბათი, მათ რომ საღამოს იცავდა, ილუზია იყო და მეტი არაფერი. აქ კი სფეროების უკან სხვაც ბევრი მოჩანდა, გამჭვირვალე თუ ოპალის ბზინვარებით, წელიწადის დროებისა და დღე-ღამის მონაკვეთების მიხედვით.

— ღმერთო ჩემო. ცა!

— დიიახ!

— სულ არ მცივა.

— ორთქლი გვიცავს.

— ნეტავ რა დაუჯდა ეს ყველაფერი?

— ათასები.

— მაგრამ რატომ? რა მიზნით?

— ჩვენთვის.

— ვუყვარვართ.

— მხოლოდ თქვენ?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეგ ალარ ვიცით.
— უსარგებლო შეკითხვაა.
— კმაყოფილი ხართ?
— დიახ.
— დიიახ!
— მგონი, ჩემი და ქრისის წასვლის დროა. ოთხფეხა მეგობრებს უნდა ვაჭამოთ.
— რომელ მეგობრებს?
— ფელისია გებრიელი ხშირად ამბობდა, დაუშვებელია ოთხფეხა მეგობრებზე პროტეინების ხარჯვა, სანამ აზიაში ხალხი შიმშილობსო.
— არ ვიცოდი, კლაიდსა და ფელისიას შინაური ცხოველები თუ ჰყავდათ.
— არც ჰყოლიათ. მაგრამ ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ, ღამით ვიღაცამ „ვოლვოში“ ძაღლის ლეკვი შემოგვისვა. მოგვიანებით კი კატა მოგვეჩვია.
— ჩვენ უარეს დღეში ვართ. ჩვენ ხომ ბავშვები გვყავს.
— საბრალო, მიტოვებული, მოუვლელი პატარები, — თქვა ჯეინ სმარტმა დამცინავად და ხმა ვიღაცას მიამსგავსა — ქალაქში ხომ მათ წინააღმდეგ ბინძური ჭორები იყო აგორებული.
— მე ბავშვობაში კარგად მივლიდნენ, — არ დაახანა თქმა სიუკმა, — და ეს გულს მიმძიმებდა. როგორც ახლა ვაანალიზებ, ამაში სახეირო არაფერი იყო, მშობლები თავიანთ პრობლემებს წყვეტდნენ.
— სხვისი ცხოვრებით ვერავისთვის იცხოვრებ, — ნელა წარმოთქვა ალექსანდრამ.
— გვეყოფა ქალებს სხვების მომსახურება, თანაც იმის შეგრძნება, რომ ვიღაცის წინაშე ვალში ვართ. ეს ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს. აქამდე ასეთ პოლიტიკას ვაწვებოდით!..
— კარგადაა ნათქვამი, — ფიქრიანად თქვა ჯენიმ.
— ეს თერაპიაა.
— გადააფარეთ ისევ სახურავი. სიმყუდროვე ირღვევა.
— და გააჩუმეთ ეს შუბერტია თუ ვიღაცა.
— წარმოიდგინეთ, დარილი რომ შემოვიდეს.
— იმ საშინელ ბიჭთან ერთად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ქრისტოფერთან.

— დიდი ამბავი.

— ჰმ. მაგარი ხარ.

— ჩემი ხელოვნება, აი, რა მაძლევს ძალას. მე მას ფრჩხილების ქვეშაც კი ვგრძნობ.

— ლექსა, რამდენი ტეკილა ჩაამატე ჩაიში?

— რომელ საათამდე მუშაობს სუპერმარკეტი „ოლდ ვიკი“?

— წარმოდგენა არ მაქვს. იქ საერთოდ არ დავდივარ. თუ ცენტრში რამეს ვერ ვშოულობთ, მის გარეშეც იოლად გავდივართ.

— მაგრამ ახლა იქ არც ახალი ბოსტნეული აქვთ და არც ახალი ხორცი.

— მერე რა? მათთვის გაყინული მზა სადილებიც საკმარისია, რათა მაგიდასთან მოსვლამ არ მოუწიოთ და ტელევიზორს არ მოსწყდნენ. და სენდვიჩი! მასში კიდევ ხახვს ამატებენ! ალბათ, ამიტომაც აღარ ვკოცნი ბავშვებს ძილის წინ.

— ჩემი უფროსი შვილი კი, არ დაიჯერებთ, მაგრამ თორმეტი წლის ასაკიდან მხოლოდ ხრაშუნა ჩიფსებსა და პეკანის თხილს მიირთმევს და, მიუხედავად ამისა, 183 სანტიმეტრია და ყველა კბილი საღი აქვს. მისი დანტისტი ამბობს, ასეთი შესანიშნავი კბილები ჯერ არ მინახავსო.

— ეს ფტორის გამოა.

— მომწონს შუბერტი. ის ყოველთვის არ ერგება ხასიათს, როგორც ბეთჰოვენი.

— ან მალერი.

— ღმერთო ჩემო, მალერი.

— ის მართლაც მეტისმეტია.

— ახლა მე ვიტყვი.

— არა, მე.

— კარგი. შენ სწორედ იმ ადგილს მიაგენი.

— რას ნიშნავს, როდესაც კისერიც გტკივა და იღლიების ზედა ნაწილიც?

— ეს ლიმფური ჯირკვლებია. კიბომ იცის.

— ასე ნუ ხუმრობ, გეთაყვა.

— მენოპაუზა სცადე.

— ეგ აღარ მადარდებს.

— მე კი მაგაზე ვოცნებობ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ზოგჯერ მართლაც ეკითხები საკუთარ თავს, გადაჭარბებულ მნიშვნელობას ხომ არ ანიჭებენ შვილოსნობის უნარს?

— ზოგიერთები საშინელ ამბებს ჰყვებიან საშვილოსნოსშიდა სპირალის შესახებ.

— ჩასახვის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებები, სასაცილოა, მაგრამ იმ დაჯღანულ, მუდამ ხალხმრავალ პიცერიაში იყიდება, აღმოსავლეთის პლაჟზე. მაგრამ ოქტომბრიდან აგვისტომდე დაკეტილია. თურმე ისე კარგად მისდით საქმე, რომ მისი მეპატრონე ცოლთან ერთად ფლორიდაში, ფორტ-ლოდერდეილში ისვენებს ხოლმე მილიონერების გვერდით.

— ის ცალთვალა, ფერადთასმიანი წინსაფრით, საჭმელს რომ ამზადებს?

— ახლაც არ ვიცი, მართლა ცალთვალაა თუ მხოლოდ ხშირად ახამხამებს თვალს.

— პიცას მისი ცოლი ამზადებს. ნეტავ ასეთი კარგი როგორ გამოსდის?

— სახლში იმდენი პომიდვრის საწებელი მაქვს, რომ ბავშვები სპაგეტის უკვე ბოიკოტს უცხადებენ.

— შენც ადექი და ჯოს გაატანე ხოლმე.

— საკმარისად მიაქვს.

— მაგრამ რაღაცას, ალბათ, შენც გიტოვებს.

— აბა-აბა, ეგეთები არ იყოს.

— რა მიაქვს შინ?

— სუნი.

— მოგონებები.

— ო-ო, ღმერთო ჩემო.

— ჩვენ ყველანი აქ ვართ.

— ჩვენ შენთან ერთად ვართ.

— ამას ვგრძნობ კიდეც, — თქვა ჯენიმ ჩვეულებრივზე უფრო დაბალი და ნაზი ხმით.

— რა საყვარელი ხარ.

— რა კარგი იქნებოდა, ისევ ახალგაზრდები რომ ვიყოთ.

— არ მჯერა, რომ ოდესმე მასეთი ვიყავი. სხვა ვინმე ვიქნებოდი.

— თვალები დახუჭე. სახეზე ქვიშის კიდევ ერთი მარცვალი დაგრჩა. აჰა, მორჩა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სველი თმა წელიწადის ამ დროს მართლაც პრობლემაა.

— ამ დღეებში სუნთქვისას შარფი კინაღამ სახეზე მიმეყინა.

— ვფიქრობ, თმა ხომ არ შევიჭრა. როგორც ამბობენ, ახალი პარიკმახერი, პორტის მოედნის მეორე მხარეს, პატარა გრძელ შენობაში, სადაც ადრე ხერხებს ლესავდნენ, ძალიან კარგად კრეჭს.

— ქალებს?

— იძულებული არიან, ქალებს მოემსახურონ, მამაკაცები იქ აღარ შედიან. თუმცა ფასს კი მოუმატეს. შვიდი და ორმოცდაათი ვარცხნილობის, დაბანისა და ყველაფრის გარეშე.

— უკანასკნელი, რაც მამაჩემისთვის გავაკეთე, ის იყო, რომ ინვალიდის ეტლით პარიკმახერთან წავიყვანე თმის შესაჭრელად. იგი უკვე გრძნობდა, რომ ეს მისი ბოლო მისვლა იყო. „ეს ჩემი ქალიშვილია, რომელმაც თმის გასაკრეჭად მომიყვანა, სანამ უკანასკნელ გზას დავადგებიო“.

— კაზმირჟაკის მოედანთან დაკავშირებით ახალი საგზაო ნიშანი თუ ნახეთ?

— საშინელებაა. არ მჯერა, რომ ფეხს მოიკიდებს.

— ხალხს ყველაფერი ავიწყდება. ახლანდელი სკოლის მოსწავლეებისთვის მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ მითია.

— არ გინდა, ასეთი კანი გქონდეს? არც ნაიარევი ეტყობა, არც ხალი.

— სხვათა შორის, ამას წინათ პატარა ვარდისფერი ლაქა შევამჩნიე. აი, აქ. უფრო მაღლა.

— ჰო-ო, არის. გტკივა?

— არა.

— კარგია.

— თუ დაჰკვირვებიხარ, როცა საკუთარ თავს ათვალიერებ და გამაგრებულ ადგილებს ეძებ, რომლებიც ამ დროს იცის, ყველგან ისინი გელანდება. სხეული საოცრად რთული რამეა.

— გაჩუმდი, თუ შეიძლება, ამაზე ფიქრიც კი არ მინდა.

— ახალ ლექსიკონში, რომელიც რედაქციაში გვაქვს, გამჭვირვალე ქაღალდზე სლაიდებია მოთავსებული. ერთ-ერთი თავი ადამიანს ეხება, სადაც ქალის სხეულიც ხატია. სისხლძარღვები, კუნთები და ძვლები — ცალკეულ ფურცლებზეა გამოტანილი. პირდაპირ საოცარია, როგორ მუშაობს ეს ყველაფერი ერთად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არა მგონია, რომ ეს ძალიან რთული იყოს, ამას ჩვენ თვითონ ვართულებთ გონებაში. ისევე, როგორც ბევრ სხვა რამესაც.

— საოცრად მომრგვალებულია. სრულყოფილი ნახევარწრეები.

— ნახევარსფეროები.

— პოლიტიკური ტერმინივით ჟღერს.

— გავლენის ნახევარსფეროები.

— სასაცილო რამეა. ეროგენული ზონის ჩამოკიდება. ორი დღის წინ სარკეში საკუთარ საჯდომს ვათვალიერებდი და აშკარად შევამჩნიე ზედ მკაფიო ნაკეცები. შესაძლოა, ამიტომაც მაქვს გაშეშებული კისერი.

— „ნემოში“ ძალიან გემრიელ სოსისს ამზადებენ.

— ბევრ წითელ წიწაკას ურევენ. ფიდელი რებეკას ახვევს. ეს ამ ქალს უფრო პიკანტურს ხდის.

— როგორ ფიქრობთ, რა ფერის ბავშვები ეყოლებათ?

— ჩალისფერი.

— ყავისფერი.

— ძალზე მოურიდებლად ხომ არ ვსაუბრობთ?

— სულაც არა.

— რა კარგად მსჯელობთ!

— ღმერთო ჩემო, უბედურება ისაა, რომ, როცა ახალგაზრდა ლამაზი ხარ, არავინაა, ვინც ამის ჯეროვნად შეფასებაში დაგეხმარება. ოცდაორი წლისა გაფურჩქნის ასაკში ვიყავი და ერთადერთი, რაც მაშფოთებდა, ის იყო, რომ დედამთილისთვის მესიამოვნებინა და საწოლში იმ ბოზებზე უარესად არ გამოვჩენილიყავი, რომლებთანაც მონტი კოლეჯში ცხოვრობდა.

— ასე მდიდრები იქცევიან. იციან, რომ რაღაც მოეძევებათ და უფრო ძუნწობენ, ეშინიათ, ვინმემ არ მოატყუოს.

— არა მგონია, რომ დარილს ამგვარი აზრები აწუხებდეს.

— ის მართლაც ძალზე მდიდარია?

— მე ის ვიცი, რომ ჯოსთვის ჯერ არ გადაუხდია.

— მდიდრები ყოველთვის ასე იქცევიან. ფულს ასხედან და პროცენტებს იღებენ.

— ყურადღებით იყავი, ძვირფასო.

— როგორ შეიძლება, ყურადღებით არ ვიყო?

— წყალმა თითის წვერები დამინაოჭა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაშინ ამოვძვრეთ, თორემ ჩვენს ამფიბიებს იქნებ კვერცხის დადების დრომ უწია?

— ოქეი-დოქეი.

— წავედით.

ისინი მძიმედ, თქაფუნით ამოვიდნენ წყლიდან: ეს ქიმიური რეაქციის შედეგად ტყვიის ვერცხლად გადაქცევას ჰგავდა. პირსახოცებს ხელის ცეცებით მიაგნეს.

— დარილი სად არის?

— იქნებ სძინავს? გვარიანად კი ვარბენინე კორტზე.

— ამბობენ, თუ კრემს არ წაისვამ, წლების შემდეგ წყალი კანს ვნებსო.

— კრემის მეტი რა გვაქვს.

— ვედროებით.

— უბრალოდ გაიჭიმე. მოდუნდი?

— ოჰ, დიახ. მოვდუნდი.

— აი, კიდევ ერთი, ზუსტად შენს მკერდქვეშ. პატარა ვარდისფერი დინგვით.

თუმცა ოთახში ბნელოდა, არაფერი იყო უცნაური იმაში, რომ ქალებს ასეთი მცირე სიდიდეთა გარჩევა შეეძლოთ, გუგები ხომ ოთხივეს გაჰფართოებოდა და თვალის გარსი მონაცვლეობით თითქოს ნაცრისფრად, კაკლისფრად, წაბლისფრად და ცისფრად ბზინავდა. ერთ-ერთმა ალქაჯმა ჯენიფერს ცრუ კერტზე უჩქმიტა და ჰკითხა:

— რამეს თუ გრძნობ?

— არა.

— კარგია.

— ხომ არ გრცხვენია?

— არა.

— კარგია, — თქვა მესამემ.

— რა საყვარელია, არა?

— ჰო, საყვარელია.

— მხოლოდ ეს იფიქრე: „მივცურავ“.

— ვგრძნობ, რომ მივფრინავ.

— ჩვენც ვგრძნობთ.

— განუწყვეტლივ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩვენც შენთან ერთად ვართ.
— გადასარევია.
— მომწონს, რომ ქალი ვარ, — თქვა სიუკმა.
— იყავი, ვინ გიშლის, — ცივად გამოეხმაურა ჯეინ სმარტი.
— მე მართლაც ასე ვგრძნობ, — ჯიუტად გაიმეორა სიუკმა.
— ჩემო გოგონი, — ამბობდა ალექსანდრა.
— ოჰ, — წასცდა ჯენიფერს.
— ნაზად. უფრო ნაზად.
— ნამდვილი სამოთხეა.

— ვფიქრობ, რომ იგი ძალზე მომხიბლავია, — ხაზგასმით თქვა ტელეფონში ჯეინ სმარტმა, თითქოს ვინმე ეკამათებოდა, — ძალზე მორიდებული და ალისას ალი-კვალი საოცრებათა ქვეყნიდან. მგონი, რაღაც უნდა ჰქონდეს ჩაფიქრებული.

— რა შეიძლება ეს იყოს? ეკლესიის თაგვებივით უქონელნი ვართ, თანაც ქალაქში ცუდი რეპუტაციით ვსარგებლობთ.

ფიქრებით ალექსანდრა კვლავაც თავის სახელოსნოში იყო, ორი მფრინავი, ხელიხელჩაკიდებული, არმატურით ნახევრად გავსებული ქალის გვერდით. იგი მოუსვენრობას შეეპყრო: როდესაც ფიგურები წებოთი გაჟღენთილი ქაღალდის ნაგლეჯებით გამოტენა, ვერაფრით მოახერხა, რომ მათთვის თიხის პატარა ფიგურების დამაჯერებლობა მიეცა. მისი საკმაოდ მძიმე „ბალღები“ საიმედოდ განისვენებდნენ ხმაურიანი ოთახების მისადგმელ მაგიდებსა და ბუხრის თაროებზე.

— წარმოიდგინე, — დირიჟორობდა ჯეინი, — იგი მოულოდნელად ობლდება. ჩიკაგოში, ალბათ, საქმეები აებურდა. მათი სახლი ძალზე დიდია, გათბობაც ძნელია და გადასახადების გადახდაც. წასასვლელი კი არსადაა.

ბოლო დროს ჯეინი მზად იყო, ყველაფერი მოეწამლა, რასაც კი შეეხებოდა. ფანჯრიდან მოჩანდა, თუ როგორ ირხეოდა უთოვლო ზამთრის ცივ, ქარიან ამინდში ბელურასავით მოყავისფრო ტოტები და ჩიტების ცარიელი საკვებური. სპოფორდის შვილები საშობაო არდადეგებზე შინ იყვნენ, მაგრამ ახლა ყინულზე საცურაოდ წასულიყვნენ, და ალექსანდრას ერთი საათი გამოუჩნდა სამუშაოსთვის. წუთის დაკარგვაც არ შეიძლებოდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე კი ვფიქრობდი, რომ ჯენიფერი სასიამოვნოდ დაემატებოდა ჩვენს კომპანიას, — უთხრა მან ჯეინს, — რამდენი ხანია, საკუთარ კანში ვიწვით.

— არც ისთვიქიდან გამგზავრება შეგვიძლია, — თქვა ჯეინმა მისდა გასაოცრად, — განა საშინელება არაა, რაც ედ პარსლის დაემართა?

— რა დაემართა? ბრენდასთან დაბრუნდა?

— დაბრუნდა, ოღონდ არა მთლიანად, — გაისმა სასტიკი პასუხი, — ნაწილ-ნაწილ. ის და დონ პოლანსკი სახლში აფეთქდნენ, როდესაც ბომბების დამზადებას ცდილობდნენ, — ალექსანდრას მისი ფერმკრთალი სახე გაახსენდა საღამოს კონცერტზე, უკანასკნელი მზერა, რომელიც ედს სტყორცნა. კაცის აურა ავადმყოფურად გამწვანდა, გრძელი, ამაყი ცხვირის წვერი თითქოს უფრო დაუგრძელდა და სახე რეზინის ნიღაბივით მოექცა. იგი უკვე მაშინ მიხვდა, რომ კაცი განწირული იყო. ჯეინის უხეში შედარება, „ნაწილ-ნაწილ დაბრუნდაო“, გულში მოხვდა, იდაყვში მოხრილი ხელი ყურმილთან და მეგობრის ხმასთან ერთად გვერდზე გაუცურდა, თვალები და ტანი ფანჯრის ალათისკენ ისე მიმართა, როგორც კვერცხის საჭრელისკენ, — იგი ნანგრევებში ნაპოვნი ხელის თითების მიხედვით ამოიცნეს, — განაგრძობდა ჯეინი, — მხოლოდ ერთი ხელის თითებით. ეს ყველაფერი დღეს დილით ტელევიზიით გადმოსცეს. მიკვირს, სიუკმა რომ არ დაგირეკა.

— მელაპარაკა. გაღიზიანებული იყო. იქნებ მოეჩვენა, რომ ჯენიფერს იმ საღამოს მასთან თავი ქედმაღლურად ეჭირა. საბრალო ედი, — თქვა ალექსანდრამ და იგრძნო, რომ აფეთქების მსუბუქ ტალღას სადღაც ნელა მიჰყვებოდა, — სიუკი, ალბათ, განადგურებულია.

— რაღაც ვერ შევამჩნიე, როცა ნახევარი საათის წინ ველაპარაკე. მას ის უფრო აწუხებს, ამ ისტორიის რომელი ნაწილის განთავსებას მოისურვებს „ვორდში“ მისი ახალი უფროსი. კლაიდის ადგილზე ახლა სხვა კაცი მუშაობს, ჩვენზე ახალგაზრდაა. იგი გაზეთის მეპატრონეებმა გამოგზავნეს. ყველა მიიჩნევს, რომ ისინი მაფიის მეთაურები არიან, რომლებიც, როგორც მოგეხსენება, კაპიტოლიუმის ბორცვზე სახლობენ. მან ეს-ეს არის დაამთავრა ბრაუნის კოლეჯი და რედაქტორის სამუშაოზე წარმოდგენა არა აქვს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სიუკი საკუთარ თავს ადანაშაულებს?

— არა, ვითომ რატომ? მან ხომ არ აიძულა ედი, რომ ბრენდა მიეტოვებინა და იმ სულელ, პატარა ქუჩის ქალთან ერთად გაქცეულიყო. უფრო პირიქით, ყველაფერს აკეთებდა მათი ქორწინების შესანარჩუნებლად. სიუკი ამბობს, რომ უბრძანა მას ბრენდასა და თავის მრევლთან ყოფილიყო, იქამდე მაინც, სანამ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან კავშირს არ დაამყარებდა. სწორედ იქ, იმ სამსახურში მიდიან ეკლესიიდან წამოსული მღვდლები.

— მე ეს არ ვიცოდი, — ჩუმად ჩაილაპარაკა ალექსანდრამ, — დონის ხელებსაც მიაგნეს?

— წარმოდგენა არ მაქვს, რა დარჩა დონისგან, მაგრამ მას შეეძლო სიკვდილისთვის თავი დაეღწია...

„ალქაჯი რომ არ ყოფილიყო", — გულში დაამთავრა მისი სათქმელი ალექსანდრამ.

— ვერც ეგ უშველიდა ბოლომდე, როცა საქმე კორდიტს თუ რაღაც მაგდაგვარს ეხება. მისი სახელწოდება დარილმა იცის.

— დარილი თვლის, რომ მე უკვე მზად ვარ ჰინდემიტის[1] რომელიმე ნაწარმოების შესასრულებლად.

— შესანიშნავია, ძვირფასო. სამწუხაროდ, მე ჯერ არ მეუბნება, რომ შემიძლია ჩემს პატარებს დავუბრუნდე. სხვა რომ არაფერი, ფული მჭირდება.

— ალექსანდრა ს. სპოფორდ, — მკაცრი ტონით უსაყვედურა მას ჯეინ სმარტმა, — დარილი შენთვის რაღაც განსაკუთრებულს მოიფიქრებს. მისი მეგობრები, ნიუიორკელი საქმოსნები, წვრილმან ნივთებში ათი ათას დოლარს იხდიან.

— მაგრამ არა ჩემს სამშვენისებში, — თქვა მან გაბრაზებით და ყურმილი დადო. არ უნდოდა, რომ ჯეინის შხამიან ქოთანში ერთ-ერთი ინგრედიენტი, მისი ყოველდღიური ჩვეულებრივი შეჭამანდის ნაწილაკი ყოფილიყო. მას სურდა, ფანჯარაში გაეხედა და მორუხო-მომწვანო ლაქებით დაფარული ოქროსფერი მიწის შორეული საზღვრებითა და უძრავ ღრუბლებად ქცეული მწვერვალების სითეთრით დამტკბარიყო.

---

[1] *ჰინდემიტი, პაულ (1895-1963) — გერმანელი კომპოზიტორი, ალტისტი, მევიოლინე, დირიჟორი, პედაგოგი და მუსიკის თეორეტიკოსი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ეტყობა, სიუკმა აპატია ალექსანდრას, რომ იგი ჯენიფერით მოიხიბლა და მას ედის სულის მოსახსენებელი წირვის შემდეგ დაურეკა, რათა ყველაფერი მოეყოლა. ამასობაში თოვლი მოვიდა. ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ ეს ყოველწლიური სასწაული, თოვლით მოფენილი სივრცე და სუფთა, სუსხიანი ჰაერი, ცერად ჩამოცვენილი ფიფქების მიერ აქაქის შტრიხებით დაფარული არემარე, თოვლის დიდი ბერეტი, დილით გვერდზე რომ მოუგდია ჩიტების საკვებურს, მუხაზე შემორჩენილი, გამხმარ ყავისფერ ფოთლებზე უფრო ხასხასა კონიოს მუქი მწვანე ღეროები ძირს დაშვებული პატარა ტოტებით, გადმოპირქვავებულ ფიალას დამსგავსებული მოწმენდილი ცის სიცისფრე. სახლის კედლებს აღგზნება და აღელვება იპყრობს, მოულოდნელად შპალერიც ცოცხლდება; შეუპოვარი განცალკევებულობა ფანჯრის რაფაზე ქოთანში მოთავსებული ამარალისისა, მკრთალ, ფალოსურ ჩრდილს რომ იძლევა, კვლავაც ყველასთვის აუხსნელი რჩება.

— სიტყვით გამოვიდნენ ბრენდა, — ამბობდა სიუკი, — და ვიღაც საშინელი შესახედაობის მსუქანი კაცი, რევოლუციონერი, წვერითა და უკან შეკრული თმით. მან თქვა, რომ ედი და დონი პოლიციის ტირანიის მსხვერპლნი არიან, თუ რაღაც ამგვარი. ძალიან ღელავდა, მას თან კუბურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანებიც ახლდნენ და მეშინოდა, რომ ჩხუბი არ ამტყდარიყო, თუ ვინმე დაილაპარაკებდა ან ცერემონიას დაარღვევდა. მაგრამ ბრენდა მართლაც ყოჩაღია და თავი შესანიშნავად ეჭირა.

— მართლა?

ყალბი მონეტა — აი, როგორ დაამახსოვრდა ალექსანდრას ბრენდა: გადატკეცილი ღია ფერის თმა, ბოლოში მაგრად დახვეულ კონად კეფაზე დამაგრებული, გვერდზე მიბრუნებული თავი აურათა ფარშავანგისებურ ნაზავში საღამოს კონცერტზე. სხვა შეხვედრებიდან თვალწინ დაუდგა გრძელი, საკმაოდ ფერმკრთალი სახე მკვეთრად შეღებილი, თავმომწონედ მოკუმული ტუჩებით, როგორც ხასხასა ვარდი, საცაა ფურცლები რომ უნდა დასცვივდეს.

— ახლა იგი გრძელ, მუქი ფერის ინგლისურ კოსტიუმებს ატარებს მყიფე მხრებით, აგრეთვე აბრეშუმის ფართო ჰალსტუხს, რომელიც იმ ხელსახოცს ჰგავს, კალმარის მირთმევის შემდეგ მოხსნა რომ დაავიწყდათ. იგი ათი წუთის განმავლობაში ლაპარაკობდა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იმის შესახებ, თუ როგორი ყურადღებიანი მღვდელი იყო ედი, როგორ ზრუნავდა ისთვიქსა და მის ეკოლოგიაზე, მუდმივად კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდობასა და სხვა ამგვარზე, სანამ სინდისმა — სიტყვა „სინდისზე“ ბრენდას ხმა აუკანკალდა, შენ ეს მოგეწონებოდა, მან ცხვირსახოცი თვალებზე მოისვა და თითოდან თითო ცრემლი მოიწმინდა, სწორედ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო, — „სანამ სინდისმა, — თქვა მან, — არ აიძულა იგი, რომ თავისი ენერგია, ეს მართლაც გასაოცარი ენერგია, ამ ქალაქიდან, სადაც დაფასებული იყო (სიუკი აქტიურად იყენებდა გამოჯავრების უნარს და ალექსანდრამ ნათლად წარმოიდგინა, როგორ გადრიკა და კომიკურად წინ წამოსწია მან ზედა ტუჩი), მის საზღვრებს მიღმა მიემართა იმ ავადმყოფობის სამკურნალოდ, ჩემო ძვირფასებო, რომელიც ჩვენი ერის სიცოცხლეს წამლავს“. მან თქვა, რომ ჩვენი ხალხი დაუძლურებულია გათვალვისგან, და პირდაპირ თვალებში შემომხედა.

— შენ როგორ მოიქეცი?

— გაჯუღიმე. ედი ხომ მე კი არა, სწორედ დონმა წაიყვანა ნიუ-ჯერსიში ამფეთქებელთა ჯგუფთან ერთად. სხვათა შორის, იგი აღარც კი უხსენებიათ იმ მსუქანი კაცის წასვლის შემდეგ. თითქოს დონ პოლანსკის ამქვეყნად არც კი უარსებია. ბუნებრივია, მისგან აღარაფერი დარჩენილა, მხოლოდ ტანსაცმლის ნაფლეთები, რომლებიც, არაა გამორიცხული, სულაც ტანსაცმლის კარადიდან მოხვდა იქ. იგი ისეთი პატარა ფეთხუმი გოგო იყო, რომ, შესაძლოა, სახურავიდან ამოიტყორცნა და გაქრა. პოლანსკები, თუ რა ჰქვია მათ, მამინაცვალი და დედა, ისეთი გამოპრანჭულები გამოცხადდნენ, თვალწინ ოცდაათიანი წლების ფილმები დაგიდგებოდა. ვფიქრობ, დროის უმეტეს ნაწილს ისინი თავის ტრაილერში ატარებენ. მე დედა შევათვალიერე, იგი ხომ ცირკის აკრობატი იყო. უნდა ითქვას, რომ ფიგურა შეუნარჩუნებია, მაგრამ სახე! ეს საშინელება იყო. ისეთი უხეში, როგორც დაკოჟრილ ქუსლებზე გადაკრული კანი. არავინ იცოდა, მათთვის რა ეთქვა, იგი ხომ ჩვეულებრივი ბოზი იყო. ბოლომდე ისიც არაა ცნობილი, მართლა დაიღუპა თუ არა. თავდაპირველად ბრენდამაც არ იცოდა, მათთან როგორ მოქცეულიყო, ეს ოჯახი ხომ გარკვეულწილად მისი უბედურების სათავეს წარმოადგენდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თავი შესანიშნა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვად ეჭირა — ეს იყო თავაზიანობის განსახიერება და grande dame[1]. თანაგრძნობა ისე გამოუცხადა, თვალიც არ დაუხამხამებია. ვიცი, რომ ბრენდა სხვანაირია, ჩვენგან განსხვავებული, მაგრამ მე მართლაც აღტაცებული ვარ, როგორ შეძლო თავის ხელში აყვანა და ამ სიტუაციის გამოყენება. ჰო, მართლა...

— გისმენ! — გამოეხმაურა ალექსანდრა. ეს პაუზა ნიშნავდა, რომ მას ამოწმებდნენ, კვლავაც ყურადღებით იყო იგი თუ არა. ალექსანდრა ზანტად სვამდა წერტილებს სამზარეულოს ქვედა ფანჯრის დაორთქლილ შუშებზე — ანგარიშმიუცემლად ხატავდა ფიფქებს, სიუკის ჭორფლს, ტელეფონის მემბრანის ნახვრეტებს, ფუნჯით დასმულ წერტილებს, როგორც ნიკ დე სენტ-ფალი თავის „ნანაში“, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოუტანა. ალექსანდრას უხაროდა სიუკთან საუბარი; ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ მის გარეშე გარე სამყაროსთან ყოველგვარ კონტაქტს დაკარგავდა და, ნიუ-ჯერსის ერთ-ერთ სახლში აფეთქებული პატარა დონის მსგავსად, სტრატოსფეროსკენ გაცურდებოდა.

— სამსახურიდან დამითხოვეს, — თქვა სიუკმა.

— შეუძლებელია! ეს როგორ, შენ ხომ ერთადერთი ნათელი წერტილი იყავი მაგ გაზეთში.

— კარგი, მაშინ ასე ვთქვათ, რომ მე თვითონ მივდივარ. ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც კლაიდის ადგილი დაიკავა, ებრაული გვარით — ვერ ვიმახსოვრებ, ბერნსტაინია თუ ბირნბაუმი, — დამახსოვრებაც კი არ მინდა, ედის შესახებ დაწერილი ნეკროლოგი ერთ-ნახევარი სვეტიდან ორ პატარა, უაზრო აბზაცამდე შეამცირა. მან თქვა, რომ ამ კვირის ნომერში ცოტა ადგილია, ვინაიდან კიდევ ერთი ადგილობრივი უბედური დაიღუპა ვიეტნამში. მაგრამ მე ვიცი, ასე იმიტომ მოიქცა, რომ ჩაუკაკლეს, ედი მისი საყვარელი იყოო, და ეშინია, ზრდილობის ნორმებს არ გადავუხვიო და სასაცილოდ არ აიგდონ. ძალიან დიდი ხნის წინათ ედიმ თავისი, ბობ დილანის სტილში დაწერილი ლექსები მომცა, და სტატიისთვის ორი მათგანი შევარჩიე. თუ მათ ამოჭრიდნენ, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, მაგრამ მათ ისიც კი ამოიღეს, თუ როგორ შექმნა მან საცხოვრებელი ბინების სამართლიანად განაწილების ჯგუფი, და რომ იგი

[1] *დიდებული ქალბატონი (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჰარვარდის სასულიერო სასწავლებელში კლასის ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე იყო. ვცდილობ, იმ ყმაწვილს შევაგნებინო: „თქვენ ისთვიქში ახალი ჩამოსული ბრძანდებით და, ჩემი აზრით, არ იცით, თუ როგორ უყვარდათ აქ ღირსი მამა პარსლი“, ბრაუნის კოლეჯდამთავრებული ის ჭაბუკი კი ღიმილით მეუბნება: „უკვე შევიტყვე, როგორც უყვარდათ“. მე ვეუბნები: „სტატიებზე ბევრს ვმუშაობ და მისტერ გებრიელს იქიდან სიტყვაც კი იშვიათად ამოუგდია“. იმ აუტანელმა ბიჭმა კი პასუხად ერთხელ კიდევ გაიღიმა. წამოსვლის გარდა სხვა რაღა დამრჩენოდა. მაგრამ სანამ ამას ვიზამდი, ხელიდან ფანქარი გამოვტაცე და ცხვირწინ გადავუმტვრიე.

ალექსანდრამ გადაიხარხარა, უხაროდა, რომ ასეთი ენერგიული მეგობარი ჰყავდა, მისი საძინებელი ოთახის კედლებზე ჩამოკიდებულ ბოროტი კლოუნების ნიღბებს კი არ ჰგავდა.

— მართლა ასე მოიქეცი, სიუკ?

— დიახ, თან დავამატე, ფეხიც მოგტყდომოდეს-მეთქი, და გადატეხილი ფანქარი მაგიდაზე დავუგდე. თავდაჯერებული ბრიყვი. მაგრამ ახლა რაღა ვაკეთო? ჩემი მთელი ავლადიდება ბანკში შენახული შვიდასი დოლარია.

— იქნებ, დარილი...

მთელი ამ დროის განმავლობაში ალექსანდრა ფიქრებით ვან ჰორნთან იყო. წარმოიდგინა მისი დანაოჭებული სახე ნერწყვის შხეფებით, სახლის დამტვერილი, ქალის ხელის მომლოდინე კუთხეები, კაცის უხეში, ყეფასავით სიცილიც და უეცარი დადუმებაც, თითქოს ირგვლივ მყოფთ ველარც კი ამჩნევდა. ეს სახეები თავისით ჩნდებოდა, უნებლიეთ. ასე მაშინ ხდება, როდესაც სერპანტინივით დახვეულ გზაზე მიდიხარ და ერთი რადიოსადგური მეორეს გადაფარავს. სიუკი და ჯეინი კუნძულზე რიტუალებს აწყობდნენ და ახალ-ახალი ძალითა და სურვილებით მდიდრდებოდნენ, ალექსანდრამ კი აღმოაჩინა, რომ თავისი დამოუკიდებელი არსებობით, ფაქტობრივად, ცხოვრებას ჩამოსცილდა, ერთთავად წებოსა და ქაღალდთან ჰქონდა საქმე, აღარც ბუნებასთან იყო ძველებურად მტკიცედ დაკავშირებული. მან ვარდები ზამთრისთვის ჩალითა და ტოტებით გაკეთებულ თავშესაფარში არ მოათავსა, კომპოსტის ორმოში ფოთლები აღარ ჩაყარა, ჩიტებისთვის საკვების დაყრაც ავიწყდებოდა და არც თითებს აკაკუნებდა ფანჯრის მინაზე, საკ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვებურიდან გაუმაძღარი ციყვების გასაგდებად. დაღლილობისგან ფეხებს ძლივს მიათრევდა. ეს ჯო მარინომაც შენიშნა და გვარიანად შეფიქრიანდა კიდეც. მოსაწყენ ცოლს კიდევ აიტანდა კაცი, რადგან ეს საქორწინო ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, მაგრამ დაღვრემილ საყვარელს იგი ვერ შეეგუებოდა. ალექსანდრას მხოლოდ ერთი რამ სურდა: ბებერი ძვლები ტექტონის სააბაზანოს ცხელ წყალში დაელბო და თავი ვან ჰორნის თმიან ტანზე დაედო, სანამ სტერეოზე ტაინი ტიმი ირაკრაკებდა: „ცხოვრება მზიან დღეს, სიყვარული მთვარიან ღამეს, სიცოცხლით ტკბობა!“

— დარილს თავის მოსაფხანად არ სცალია, — უთხრა მას სიუკმა, — გადაუხდელობის გამო, ქალაქი მისთვის წყლის გადაკეტვას აპირებს. ჩემი რჩევით, მან ჯენიფერ გებრიელი ლაბორანტად აიყვანა.

— შენი რჩევით?

— ის ხომ ტექნიკოსად მუშაობდა ჩიკაგოში, აქ კი დროის უმეტეს ნაწილს გოგონა მარტოობაში ატარებდა...

— შესანიშნავი საქციელია, სიუკ. ხომ არ ეშმაკობ?

— ვგრძნობდი, რომ მისთვის ცოტა რამ მაინც უნდა გამეკეთებინა, იგი საოცრად საყვარლად და სერიოზულად გამოიყურება თავის თეთრ ხალათში. გუშინ იქ ბევრმა ადამიანმა მოიყარა თავი.

— მაშასადამე, გუშინ საღამოს წვეულება გაიმართა? ჩემთვის რომ არავის უთქვამს?

— ამას წვეულება არც ეთქმოდა. არავის გაუხდია.

„დაწყნარდი, — უბრძანა ალექსანდრამ საკუთარ თავს, — ცხოვრებაში შენ ახალ აზრს უნდა მიაგნო“.

— დამიჯერე, ძვირფასო, ყველაფერი საათზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. უბრალოდ, ასე გამოვიდა. იქ კიდევ ვიღაც კაცი იყო ქალაქის წყალმომარაგების განყოფილებიდან, სასამართლოს დადგენილება თუ რაღაც ამდაგვარი მოიტანა. ონკანს ვერ მიაგნო, წყალი რომ გადაეკეტა, თუმცა დასალევზე უარი არ უთქვამს. ამასობაში ჩვენ მის ქუდს ვირგებდით. დამშვიდდი, ხომ იცი, რომ დარილს ყველაზე მეტად მოსწონხარ.

— არა, არ ვიცი. მე შენსავით სანდომიანი არ ვარ, ვერც ჯეინივით ვახერხებ რაღაც-რაღაცების კეთებას.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მაგრამ შენ მისი შესაფერისი ხარ, — არწმუნებდა სიუკი, — ერთად ძალიან კარგად გამოიყურებით. ახლა კი უნდა გავიქცე, ძვირფასო. გავიგე, რომ „პერლის უძრავი ქონება“ სტაჟიორის აყვანას გეგმავს საგაზაფხულო ალიაქოთის მოლოდინში.

— უძრავი ქონებით ვაჭრობას აპირებ?

— შესაძლოა. რაღაც ხომ უნდა ვაკეთო. მილიონებს ვხარჯავ ორთოდონტებთან ბავშვების გამო და წარმოდგენა არა მაქვს, რატომ. მონტის შესანიშნავი კბილები ჰქონდა, არც მე მაქვს ურიგო, მხოლოდ თანკბილვის პატარა უწესრიგობა მაწუხებს.

— მარჯი ჩვენნაირია? ხომ გახსოვს, ბრენდას შესახებ რას ამბობდი?

— თუ სამუშაოს მომცემს, ჩვენნაირი ყოფილა.

— მეგონა, დარილს უნდოდა, რომ რომანი დაგეწერა.

— დარილს უნდა, დარილს უნდა, — თქვა სიუკმა, — დარილს რომ ჩემი ანგარიშები დაეფარა, ყველაფერი ექნებოდა, რასაც მოისურვებდა.

როდესაც ალექსანდრამ ყურმილი დადო, მოეჩვენა, რომ ბზარები იქ გაჩნდა, სადაც ცოტა ხნის წინ ყველაფერი შესანიშნავად გამოიყურებოდა. იგი მიხვდა, რომ ცხოვრებას ჩამორჩა, უნდოდა, რომ არაფერი შეცვლილიყო, პირიქით, ყველაფერი განმეორებულიყო, როგორც ეს ბუნებაში ხდება. შხამიანი სუროსა და ვირჯინიული ხვართქლის ძველებური დომხალი ჭაობის განაპირას დაცერებულ კედელზე, იგივე მბრწყინავი ნაირფერი კენჭები გზაზე. ისინი ერთდროულად შესანიშნავებიც არიან და საზარლებიც! მილიარდობით წელი გავიდა, რაც ასე მიმოფანტულან, საუკუნეების განმავლობაში მოვარდნილ ტალღებს მათი გვერდები სრულად მოუმრგვალებია, გეოლოგიური ეპოქების უწყვეტ ჯაჭვს ისინი ხან ცადაზიდულ მთებში მოუმწყვდევია და ხანაც მიწასთან გაუსწორებია. როდ-აილენდისა და ნიუ-ჯერსის ჭაობების ადგილას, ზღვის წყლით რომ იტბორებიან, უწინ თოვლისჩაფხუტიანი მთები იწონებდნენ თავს, ზეაღმართული კლდოვანი მთების ნაცვლად კი, რომელთაც გვერდები გაქვავებული ტრილობიტებით[1] დაწინწკლოდათ, ოკეანეები კაჟბადიან წყალმცენარეებს ამრავლებდნენ. ბავშვობაში ალექსანდრა

[1] *ტრილობიტები — ზღვის ამომწყდარი (ლაყუჩებით მსუნთქავი) ფეხსახსრიანები.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალტაცებაში მოჰყავდა მუზეუმში გამოფენილ, კრისტალურ პრიზმებში გაერთიანებულ, ბუნებით ძალიან კაშკაშა მინერალებს, ლეპიდოლითსა და ტურმალინს მათი მეფური სახელწოდებებით, ქანებისგან გიგანტური ნაპერწკლებივით გამოჭრილთ და მიწის დომხალში გაქვავებულთ. ჩვენ გარშემო თვით გრანიტის ქანებიც კი იცვლება, კონტინენტები ბაზალტის ფილებზე გადაადგილდება. დროდადრო ალექსანდრას თავბრუ ეხვეოდა, ამ საყოველთაო მოძრაობაზე მიჯაჭვულს, ცნობიერება ქარსის თხელ ფირფიტად გადაჰქცეოდა. იგი სამყაროსთან ერთად ტრიალებდა, მაგრამ იმავდროულად მისი პარტნიორიც იყო, თვითონაც წარმოუდგენლად დიდი, რომელსაც მოთუხთუხე სარეველებისგან წამლების მიღებაც შეეძლო და გონების დაძაბვით — ჭექა-ქუხილის გამოწვევაც. ალექსანდრა საყოველთაო მოძრაობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ზამთარში, როდესაც ფოთოლცვენა დასრულდა და გაშიშვლებულ ხეებს მილმა ყინულით შებოჭილი და მოელვარე, მიტოვებული ტბორები თითქოს სახლებს მიუახლოვდა, ქალაქის განათებამ კი, რომელიც იქამდე ზაფხულის ზეწრის ქვეშ იყო მოქცეული, ოთახების შპალერზე გადაინაცვლა, გაჩნდა ჩრდილებისა და მანათობელი მართკუთხედების ახალი სამყარო, ულმობელი უძილობა მუდამ ალექსანდრას გვერდით იყო. ენერგია მასში ღამღამობით იღვიძებდა. ჩითის ფარდებზე პიონები ერთმანეთს აწყდებოდნენ და კლოუნების ნიღბებს ქმნიდნენ, მათ სხვა ჩრდილებიც ემატებოდა, რომლებიც მას საძინებელი ოთახიდან აგდებდნენ. სახლში ბავშვების სუნთქვა — ის თითქოს ჰაერს ტუმბოთი იწოვდა — და კერიის კვნესა ისმოდა. მთვარის შუქზე ფუმფულა ხელების (რომელთა ზურგზეც პიგმენტური ლაქები გასჩენოდა, რაც დაავადებული ღვიძლის შედეგი იყო) ძუნწი, მაგრამ თავდაჯერებული ჟესტით ალექსანდრა საკუთარ თავს ხან ნეკერჩხლის ხისგან დამზადებული ბუფეტის რამდენიმე სანტიმეტრით მარცხნივ გადაადგილებას უბრძანებდა (ზედ ტალღოვანი სურათი იყო გამოსახული, რომელიც ოზის ბებიის შემოქმედებას წარმოადგენდა), ხან სანათებს უცვლიდა ადგილს, გაათრევდა ჩინური ლარნაკის ფორმის ლამპას, რომლის შნურიც ისე მიიკლაკნებოდა და ქანაობდა, როგორც უაზროდ დიდებული ბოლოქნარას კუდი, და სასტუმრო ოთახის სხვა კუთხეში სპილენძის კანდელაბრის ადგილას დგამდა. ერთხელ, ღამით, ტირიფების უკან მცხოვრები მე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზობლების ეზოდან ძაღლის ყეფამ გააღიზიანა და დაუფიქრებლად ისროვა მისი სიკვდილი.

ლეკვი დაბმას არ იყო მიჩვეული და ალექსანდრას გვიან გაახსენდა, რომ ხმაურის აღსაკვეთად უხილავი თასმის შეხსნის ბრძანების გაცემაც საკმაოდ საკმარისი იქნებოდა — ალქაჯები ნასკვებით მანიპულირების ოსტატები არიან. Aiguillette[1], რომლის საშუალებითაც ხელს უწყობენ სასიყვარული კავშირებსა და ქორწინებას, იწვევენ ქალებისა და საქონლის უნაყოფობას, კაცების იმპოტენციასა და ცოლქმრული ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობას. ნასკვებით ისინი უდანაშაულოებს ტანჯავენ და მომავალს ურთულებენ. ბავშვები ლეკვს კარგად იცნობდნენ. მეორე დილით მისი უმცროსი გოგო, ლინდა, სახლში ატირებული დაბრუნდა — ლეკვი მომკვდარიყო. ძაღლის პატრონები გაოცებას ვერ მალავდნენ. როდესაც ვეტერინარმა გაკვეთა, ორგანიზმში ვერც საწამლავი აღმოაჩინა და ვერც რაიმე ავადმყოფობის ნიშანი. ეს საიდუმლოებით მოცული სიკვდილი იყო.

ზამთარი იდგა. მთელი ღამის განმავლობაში ქარბუქი მძვინვარებდა, რამაც დილით არემარე საფოსტო ბარათებზე გამოსახული ახალი ინგლისის[2] პეიზაჟებს დაამსგავსა. მზე მათთვის ნაირფერ საღებავს არ იშურებდა. პორტის ქუჩის მრუდე ტროტუარები, რომლებიც ალაგ-ალაგ თოვლისგან გაეწმინდათ, მძიმე ფეხსაცმლის ძირების ანაბეჭდებით იყო მოხატულ-აჭრელებული, რომლებიც თეთრ ნამცხვარზე დატოვებულ ჭუჭყიან კვალს ჰგავდა. მოქცევის მიერ მოტანილ მომწვანო, წვეტიან ყინულის ხორგებს მიქცევა უკან აბრუნებდა და სუპერმარკეტ „ყურესთან“ ლოლუებით დაფარულ ხიმინჯებთან აგროვებდა. გაზეთ „ვორდის“ ახალი რედაქტორი ტობი ბერგმანი საპარიკმახეროს სიახლოვეს მოლიპულ გზაზე წაიქცა და ფეხი მოიტეხა. როდესაც სუვენირების მაღაზიის, „მოწკავწკავე მელიის“ მეპატრონეები ზამთრის არდადეგებზე ჯორჯიის შტატში, სი-აილენდზე გაემგზავრნენ, ყინულის შემოტევისგან წყალმა კენჭებს შორის გააღწია და ფასადის შიდა კედელი დატბო-

[1] *ზონარი (ფრანგ.).*

[2] *ახალი ინგლისი — ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთი რეგიონი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რა, რამაც მნიშვნელოვანი ქონება გაანადგურა ნაჭრის თოჯინა რეგედი ენის[1] სახით, გამვლელებისთვის კი ყინულზე რბოლა მოაწყო დაბრკოლებათა გადალახვით.

ზამთარში ტურისტებს მოკლებული ქალაქი ისე შეიკუმშა, როგორც შეშის ნაპობი, გვიან საღამოს ღუმელში თანდათან რომ იწვის. სუპერმარკეტის წინ უსაქმოდ დაყიალებდა თინეიჯერთა შეთხელებული ჯგუფი. ისინი ფსიქოდელიური ნახატებით გაფორმებულ, ფურგონიან „ფოლკსვაგენს“ ელოდნენ, წარწერით VW, რომელსაც ნარკოტიკები უნდა მოეტანა. მანქანა პროვიდენსის სამხრეთში მცხოვრებ ნარკოდილერს ეკუთვნოდა. ძალიან ცივ ამინდში ახალგაზრდები მაღაზიის შიგნით იდგნენ „კივანისის“ ავტომატსა, რომელიც საღეჭ რეზინებს ყიდდა, და მეორე აპარატს შორის — იგი ხუთ ცენტად ჩაწოლილ საქონელს, ფსიქოდელიურ ფერში, ვარდისფრად შეღებილ ერთ მუჭა ნაჭუჭიან ფსტას გასცემდა, — სანამ იქიდან ღვარძლიანი მენეჯერი (შეთავსებით გადასახადების ბუღალტერი, რომელიც იმდენს ახერხებდა, რომ ღამით ოთხ საათზე მეტი არ ეძინა) არ დაიფრენდა. ეს ბავშვები ერთგვარ მსხვერპლს წარმოადგენდნენ, ისევე, როგორც კალათბურთის კედებსა და ღილებაწყვეტილ ქურთუკში გამოწყობილი ქალაქის ლოთი, რომელიც კაზმირჟაკის მოედანზე მერხზე იჯდა, ქაღალდის პაკეტიდან შავი მოცხარის ბრენდს წრუპავდა და ღამით, შესაძლოა, გადაცივებისგან მომკვდარიყო. თავისებურ მსხვერპლად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ის მამაკაცები და ქალებიც, რომლებიც, ცოლქმრული ღალატის ფასად, საყვარლებთან შესახვედრად მოტელებისკენ მიიჩქაროდნენ, რასაც მათთვის სახელის გატეხა და განქორწინების მოტანა შეეძლო — ყველა ეს ადამიანი მზად იყო გარე სამყარო შინაგანის სანაცვლოდ გაეწირა. მათი არჩევანი იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი, რაც სოლიდური და მნიშვნელოვანია, არსებითად, ქიმერაა და გრძნობათა აღტყინებას ვერაფერი შეედრება.

„ნემოში“ შეკრებილი კომპანია — მორიგე პოლიციელი, სულის მოსათქმელად შემოსული ფოსტალიონი, სამი-ოთხი ჯან-ღონით სავსე კაცი, რომლებიც უმუშევრობის შემწეობას იღებდნენ, სანამ გაზაფხულზე მშენებლობა და თევზჭერა არ განახლდებოდა, —

[1] *რეგედი ენი — ნაჭრის ენი — ამერიკელი მწერლის ჯონ გრუელის (1880-1938) მიერ გამოგონებული პერსონაჟი; თოჯინა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზამთრის დადგომასთან ერთად ერთმანეთსა და ოფიციანტ ქალებს უკვე ისე კარგად იცნობდა, რომ გვერდზე გადაედო რიტუალური შენიშვნები ამინდისა და ომის შესახებ. რებეკამ წინასწარ იცოდა, რაც მათ უნდა შეეკვეთათ და ზედმეტი შეკითხვებით აღარ აწუხებდა. სიუკ რუჯმონტი, რომელსაც გაზეთ „ვორდის“ რუბრიკისთვის, სახელწოდებით „ისთვიქის თვალები და ყურები“, ჭორების შეგროვება აღარ ესაჭიროებოდა, ამჯობინებდა, რომ კლიენტები და შესაძლო მყიდველები მეზობელ შენობაში — „საკონდიტროს ყავის კუთხეში“ მიეწვია. იქ ქალებისთვის უფრო რიგიანი და შესაფერისი ატმოსფერო სუფევდა. იგი ბაგეტების სახელოსნოსა და რკინა-კაეულის მაღაზიას შორის მდებარეობდა. პირველში სასკოლო ასაკის ორი სტონინგტონელი ბიჭი მუშაობდა, მეორე კი სომეხთა ურიცხვწევრიან ოჯახს ეკუთვნოდა, რომელთა შორის ყველა ასაკის თუ კომპლექციის ადამიანს შეხვდებოდა კაცი, ოღონდ აუცილებლად ჭკვიანი, წყლიანი თვალებითა და მბზინავი ხუჭუჭი თმით, და მუდმივი მზადყოფნით — კლიენტის დანახვაზე დაუყოვნებლივ ფეხზე წამომდგარიყვნენ. ალმა სიმფტონმა, „საკონდიტროს ყავის კუთხის“ დიასახლისმა, თავდაპირველად ძველებური თუვზის სასაუზმე გახსნა, სადაც მხოლოდ ორი მაგიდა და სპირტზე მოსადუღებელი ერთი ყავადანი იდგა: მას, ვინც ცენტრში საყიდლებზე შედიოდა და „ნემოს“ მუდმივი სტუმრების ცნობისმოყვარე მზერის ობიექტივში მოხვედრა არ სურდა, შეეძლო აქ ყავა და ტკბილღვეზელა მიერთვა და ფეხები დაესვენებინა. მალე მაგიდების რიცხვმა მოიმატა, გაჩნდა სხვადასხვაგვარი სენდვიჩი, ძირითადად სალათით, კვერცხით, შაშხითა და ქათმის ხორცით. მათი მომზადება და მიწოდება სირთულეს არ წარმოადგენდა. მომდევნო ზაფხულს ალმას „კუთხის“ გაფართოება მოუხდა, პირვანდელი სასაუზმე ორჯერ უფრო დიდი გახდა, გრილი და მიკროტალღოვანი ღუმელიც გაჩნდა. „ნემოსთვის“ დამახასიათებელი ჭუჭყიანი კოზები წარსულს ჩაჰბარდა.

სიუკს მოსწონდა ახალი სამუშაო: სხვა ადამიანების ბინებში შესვლა, სხვენისა და სარდაფის, სამრეცხაოსა და მოსამსახურეთა შესასვლელის დათვალიერება. ეს იგივე იყო, რაც მამაკაცებთან დაწოლა, სხვადასხვა, მოუხელთებელი, სასიამოვნო არომატების უწყვეტი რიგი. ენერგიული სირბილი სხვისი სახლების კარიდან კარამდე, კიბეზე ზემოთ-ქვემოთ, განუწყვეტელი „გა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მარჯობა“ და „ნახვამდის“, ეს აზარტი კარგად ერგებოდა მის ავანტიურულ და მომხიბლავ ბუნებას. რედაქციაში დიდხანს დარჩენა, საბეჭდ მანქანასთან მხრებში მოხრილი ჯდომა და სიგარეტის კვამლით გაჯერებული ჰაერის სუნთქვა ჯანმრთელობას ვნებდა. მან უესტერლიში საღამოს კურსები დაამთავრა და მარტისთვის ჯიბეში უკვე ლიცენზია ედო უძრავი ქონების საქმეთა საწარმოებლად.

ჯეინ სმარტს კვლავ ჰქონდა კერძო გაკვეთილები, სამხრეთის ოლქის ეკლესიებში ორგანისტს ცვლიდა, თან ვიოლონჩელოზე დაკვრაში ვარჯიშობდა. იგი, ცხადია, ასრულებდა ბახის ზოგიერთ სუიტას ვიოლონჩელოსთვის — მესამეს, შესანიშნავი ბურეთი[1], და მეოთხეს, ოქტავების შესავლითა და დაღმავალი გამით ტერციისკენ, რომელიც უნუგეშო ტირილში გადადიოდა, და შემსრულებლისთვის წარმოუდგენლად რთულ მეექვსესაც კი, ხუთსიმიანი ინსტრუმენტისთვის დაწერილს, რომლის შესრულების დროსაც იგი სრულ სინქრონიზაციას გრძნობდა ბახთან, მათი სულები ერთმანეთს ერწყმოდა, ჩავლილი, ფერფლად ქცეული ვნება თითებს უწელავდა, სულს საზეიმო განწყობით უვსებდა, კომპოზიტორის მიერ ჰარმონიის განუწყვეტელი ძიება მისი საკუთარი, რისკის მაძიებელი სულის მოთხოვნილებად იქცა. ასე აგებდნენ უკვდავნი პირამიდებს და მათ თავიანთი სამსხვერპლო სისხლით რწყავდნენ. მოხუცი, ცოლთან მოჟიმავე ლუთერანი Kapellmeister-ი[2] XX საუკუნის ბოლოს იმ მარტოხელა ქალის ნერვულ სისტემაში ცოცხლდებოდა, რომლის საუკეთესო წლები წარსულში დარჩენილიყო. ეს მცირე ნუგეში უნდა ყოფილიყო გარდაცვლილის ნეშტისთვის. მაგრამ მუსიკა მართლაც საუბრობდა ვარიაციებისა და რეპრიზების, რეპრიზებისა და ვარიაციების ენით. მექანიკური მოძრაობა გროვდებოდა, რათა გაეცოცხლებინა, სული შთაებერა ამ უზუსტესი მათემატიკისთვის, მსგავსად ქარისა, ჭავლს რომ აჩენს წყლის მუქ, წყნარ ზედაპირზე. ეს ერთიანობა იყო. ჯეინი იშვიათად ხვდებოდა ნეფებს, ისინი ბრენდა პარსლის ჯგუფში იყვნენ ჩართულნი, და იგი თავს განმარტოებულად იგრძნობდა, რომ არა კომპანია, რომელიც დარილ ვან ჰორნთან იკრიბებოდა.

---

[1] *ბურე — ძველებური ფრანგული საფერხულო ცეკვა.*

[2] *კაპელმაისტერი, დირიჟორი, ლოტბარი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავდაპირველად ისინი სამნი იყვნენ, შემდეგ — ოთხნი, ახლა ექვსნი, ზოგჯერ კი რვანიც, როდესაც გართობისას ფიდელი და რებეკაც უერთდებოდნენ — ასე ხდებოდა, მაგალითად, ლობიოს მარცვლებით სავსე ტომსიკით ფეხბურთის თამაშის დროს დიდ, გრძელ სასტუმრო დარბაზში, სადაც ხმებს თან ხმამაღალი ექო ახლდა. ვინილის ჰამბურგერს, ზარდახშებს აბრეშუმზე ბრილოს მოხატულობით, ნეონის ცისარტყელას — ყველაფერს გვერდზე ჩააჩოჩებდნენ ხოლმე და კედელზე ჩამოკიდებული სურათების ქვეშ მოაგროვებდნენ, როგორც სხვენზე აზიდულ უსარგებლო ხარახურას. ფიზიკური სამყაროსადმი რაღაცნაირი ზიზღი და არამატერიალურისადმი დაუცხრომელი სწრაფვა ხელს უშლიდა ვან ჰორნს, რომ საკმარისი მზრუნველობა გამოეჩინა საკუთარი ქონებისადმი. მუსიკალური სასტუმრო ოთახის პარკეტის იატაკზე, რომლის მოხვეწა და პოლიურეთანული ლაქით დაფარვა გვარიანი თანხა დაჯდა, უკვე მოჩანდა ჯეინ სმარტის ვიოლონჩელოს ფეხისგან გაჩენილი პატარ-პატარა ღრმულები. ოთახში, სადაც ცხელი აბაზანა იდგა, სტერეოსისტემა ისე დანესტიანებულიყო, რომ ფირფიტების დაკვრისას ხმაური და ტკაცატკუცი ისმოდა. ერთხელ, ღამით, ვიღაცამ ჩოგბურთის კორტის თავზე გუმბათი გახვრიტა — დამნაშავე ვერ დაადგინეს, — და ახლა თოვლზე მოკლული ბრონტოზავრის ტყავივით განფენილი რუხი ბრეზენტი გაზაფხულის მოსვლას უცდიდა, რადგან დარილს უაზრობად მიაჩნდა რაიმეს გაკეთება მანამ, სანამ ღია კორტზე გასვლის შესაძლებლობა არ მიეცემოდათ. ფეხბურთის თამაშისას დარილი დაცვაში იდგა, პასის გაკეთებისას ახლომხედველ, გაწითლებულ თვალებს აქეთ-აქით ატრიალებდა, დაძაბულობისგან პირის კუთხეებში ნერწყვი უქაფდებოდა და განუწყვეტლივ გაიძახოდა: — ჩაკეტეთ, ჩაკეტეთ! — დაცვას ითხოვდა, რათა, ვთქვათ, სიუკსა და ალექსანდრას წინ გამოვარდნილი რებეკა და ჯენი დაებლოკათ, სანამ ფიდელი წრეზე მოძრაობდა და ბურთის დასარტყმელ მომენტს ეძებდა. ჯეინ სმარტი კი უკან მიემართებოდა მოედნიდან გასასვლელად და შეხსნილი დუგმის შესაკრავად. ქალები ხარხარებდნენ, თამაშს ურევდნენ, რადგან მას სერიოზულად ვერ აღიქვამდნენ. ქრის გებრიელი ზნედაცემული ანგელოზივით ზანტად მოძრაობდა, რომელიც მოზრდილთა მასხარაობაში შემთხვევით გარეულიყო. მაგრამ იგი შეჩვეული იყო თანა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტოლი მეგობრების გარეშე ყოფნას — ამერიკის პატარა ქალაქებში ასეთების პოვნა, როგორც წესი, თითქმის შეუძლებელია. ისინი ან კოლეჯში სასწავლებლად მიემგზავრებიან, ან არმიაში მსახურობენ, ანაც დიდ ქალაქებში ცდილობენ კარიერის გაკეთებას მრავალი საცდურისა და ხელმოკლეობის პირობებში. ჯენიფერი მრავალი დღის განმავლობაში მუშაობდა ლაბორატორიაში ვან ჰორნთან ერთად, ფერად ფხვნილებსა და სითხეებს გრამებსა და დეცილიტრებში წონიდა, დღის განათების ზედა სანათების ბატარეების ქვეშ სპილენძის დიდ ფურცლებზე ამა თუ იმ შემადგენლობის სქელ ფენას უსვამდა. წვრილი სადენები კი დენის ძალის გამზომ ხელსაწყოებს უერთდებოდა. ალექსანდრას ჩასჩიჩინებდნენ, რომ საკმარისი იყო ისრის ერთი მკვეთრი ნახტომი და ვან ჰორნი აღმოსავლეთის საგანძურში ჩაიძირებოდა. იქამდე კი ქიმიის ჯოჯოხეთურად მწვავე სიმყრალე იდგა, ყველგან ჭუჭყი და უწესრიგობა მოჩანდა: უსუფთაო ალუმინის ნიჟარები, დაღვრილი თუ დაბნეული ქიმიკალიები, ამღვრეული და დამდნარი, თითქოს გოგირდმჟავით ამომწვარი პლასტმასის ბალონები, შუშის მენზურები და გამოსახდელი ქვაბები, რომელთა კედლები და ძირი შავი ნალექის ქერქს დაეფარა. ჯენი გებრიელი, ტანზე დასვრილი თეთრი ტილოს ხალათითა და სახეზე დიდი, სასაცილო მზის სათვალით (ის და ვან ჰორნი ყოველთვის იკეთებდნენ მათ დამაბრმავებელი ცისფერი შუქისგან თავდასაცავად), კურიოზული მნიშვნელოვნობით, ხელების დახვეწილი მოძრაობითა და მშვიდი გულისყურით გადაადგილდებოდა ამ იმედის მომცემ ქაოსში. აქ, ისევე, როგორც ორგიების დროს, ქალიშვილი (მას ასე ეძახდნენ, თუმცა ალექსანდრაზე მხოლოდ ათი წლით უმცროსი იყო) შეუბილწავი და, რაღაც მოსაზრებით, ხელუხლებელი დადიოდა, — და მაინც იგი აქ იყო, მათთან, ყველაფერს აკვირდებოდა, ერთობოდა, საყვედურს არ გამოთქვამდა, თითქოს ის, რასაც ხედავდა, მისთვის უცხო არ იყო, თუმცა მისი ადრინდელი ცხოვრება უმანკო უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ჩიკაგოშიც ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ მის ციტადელს არანაირი სიბინძურე არ გაჰკარებია. სიუკმა უამბო დანარჩენებს, გოგონა კაფეში საუბრისას გამომიტყდა, რომ უბიწო ვარო. და მაინც, ბანაობისა და ცეკვის დროს, ქალიშვილმა საკუთარი სხეული მათ რაღაც ურცხვი გულუბრყვილობით გაუშიშვლა და არც მათი ალერსისადმი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იყო უგრძნობელი. მისი ხელების შეხებას ვერაფერი შეედრებოდა — არც ისეთი მოურიდებელი და მძლავრი იყო, როგორც ჯეინის კოჟრიანი თითებისა, და არც ისეთი სწრაფი და შემპარავი, როგორც ეს სიუკს ახასიათებდა. ამ ნაზ, შენელებულ, თითქოს გამოსამშვიდობებელ სრიალში რაღაცის თხოვნა, შეკითხვა იგრძნობოდა და ძვლებამდე აღწევდა. ალექსანდრას მოსწონდა, როცა ჯენიფერი მას კრემს უსვამდა და ზელდა, თვითონ კი შავ ბალიშებზე ან პირდაპირ ფილებზე დაფენილ პირსახოცებზე იწვა, ორთქლი ყოველი მხრიდან ელამუნებოდა და განწყობილებას უმაღლებდა ალოეს, ქოქოსის, ნუშის, ნატრიუმის ლაქტატის, ვალერიანის ექსტრქტის, აკონიტისა და ინდური კანაფის არომატებთან ერთად. საშხაპე კაბინების კარებებზე გარედან დამაგრებულ, დაორთქლილ სარკეებში ორი ყველაზე ახალგაზრდა ქალის, ჩინური სტატუეტების მსგავსად მკრთალი და თლილი შიშველი სხეულების ანარეკლები ელავდა ყველა კლაკნითა და ხვეულით. ტეხილ სივრცეებში მათი მუხლმოყრილი ფიგურები მოჩანდა. ქალებმა შარადის მსგავსი თამაში მოიგონეს და „მომემსახურე“ უწოდეს, თუმცა მას საერთო არაფერი ჰქონდა შარადასთან, რომლის ჩვენებასაც სასტუმრო ოთახში სმის დროს ვან ჰორნი ცდილობდა. თამაში სწრაფად წყდებოდა ქალების ტელეპათიური აფეთქებებისა და კაცის მოუხეშავი გულმოდგინების გამო — რაიმეს გამოსახვის დროს მას ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნდა თითოეული სიტყვის მნიშვნელობის შესახებ დაწვრილებითი მითითებების მოსმენა, ცდილობდა, ყურადღება მოეკრიბა და სახის ერთი მრისხანე გამომეტყველებით გადმოეცა ისეთი სრული სახელწოდებები, როგორიცაა „რომის იმპერიის რღვევისა და დაცემის ისტორია“, „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“, „სახეობათა წარმოშობა“.[1] „მომემსახურე“, — ეკედრებოდა მოწყურებული კანი და მოუთმენელი სული, და ჯენიფერი გულმოდგინედ უკეთებდა მასაჟს თითოეულ ალქაჯს, უზელდა კრემს ნაოჭებსა და ხუნუნებში, ამობერილი ვენების ირგვლივ, დროის მიერ დამჩნეული კვალის

---

[1] *„რომის იმპერიის რღვევისა და დაცემის ისტორია“ — ინგლისელი ისტორიკოსის, ედვარდ გიბონის (1774-1794) წიგნი, „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ — გერმანელი მწერლის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832) რომანი წერილების სახით, „სახეობათა წარმოშობა“ — ინგლისელი ბუნებისმეტყველის ჩარლზ დარვინის (1809-1882) წიგნი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წაშლას ცდილობდა და თან კეთილგანწყობილებასა და სიმპათიას ამჟღავნებდა მოღუღუნე ხმით.

— ლამაზი კისერი გაქვთ.

— ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ძალზე მოკლე მქონდა. ძლიერი. ვერასდროს ვიტანდი.

— რატომ? გრძელი ყელი გროტესკულად გამოიყურება, შავ ადამიანებს თუ არ ჩავთვლით.

— ბრენდა პარსლის ხორხის მაღლობი აქვს.

— არ გვინდა ღვარძლიანობა. ავჯობებს, მშვიდი აზრები გვქონდეს.

— ახლა მე, მე გამიკეთე, ჯენი, — ბავშვივით წრიპინა ხმით აწუწუნდა სიუკი. იგი თეატრალურად შეტრიალდა და ცერის წუწნა დაიწყო.

ალექსანდრამ დაიკვნესა.

— რა უხამსი საქციელია, ასე მგონია, რომ გვერდით უშველებელი ღორი მიწევს.

— მადლობა ღმერთს, რომ ღორის სუნი არ ასდის, — თქვა ჯეინ სმარტმა, — თუ ასდის, რას იტყვი, ჯენი?

— მას ძალიან ნაზი და სუფთა სუნი აქვს, — სერიოზულად განაცხადა ჯენიმ. უმანკოებისა და არცოდნის ამ გამჭვირვალე სამრეკლოდან მისი ოდნავ ცხვირისმიერი ხმა თითქოს შორიდან, თუმცა მკაფიოდ ისმოდა. მუხლებზე მდგარი, იგი სარკეებში ირეკლებოდა, მოხაზულობით, სიმაღლითა და ნათებით იმ ღრუ, ფაიფურის სასტვენ ჩიტს ჰგავდა თავსა და ბოლოში ნახვრეტებით, რომლიდანაც ბავშვები რამდენიმე ნოტის გამოცემას ახერხებენ.

— აი, აქ დამზილე, ჯენი, თეძოს გარედან, — სთხოვა სიუკმა, — მხოლოდ ძალიან ნელა და ფრჩხილების ბოლოებით. ნუ გეშინია, არ მეტკინება, და თეძოს შიგნიდანაც. მუხლები. კარგია. შესანიშნავია. ღმერთო ჩემო.

მან პირში ცერი ჩაიდო.

— ჩვენ, მგონი, გადავწყვიტეთ, რომ ჯენის ქანცი გავაძროთ, — ზანტად და გულგრილად თქვა ალექსანდრამ.

— არა, მე მომწონს, — მიუგო ქალიშვილმა, — თქვენ ისეთი გულისხმიერები ხართ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩვენც გაგიკეთებთ მასაჟს, — დაჰპირდა ალექსანდრა, — როგორც კი ბანგის მოქმედება გაივლის.

— ისე, არც კი მინდა, — გამოტყდა ჯენი, — სხვას რომ ვუკეთებ, უფრო მომწონს. იქნებ წარყვნილი გემოვნება მაქვს?

— მით უკეთესი ჩვენთვის-ს-ს, — თქვა ჯეინმა და ბოლოში წაუსტვინა.

— დიახ, უკეთესია, — თავაზიანად დაეთანხმა ჯენი.

ვან ჰორნი, შესაძლოა, კომპანიაში ახალმიღებული ქალიშვილის სათუთი ასაკის პატივისცემის გამო, იშვიათად ბანაობდა მათთან ერთად, და თუ ბანაობდა, სწრაფად ტოვებდა ოთახს წელიდან მუხლებამდე პირსახოცშემოხვეული და ბიბლიოთეკაში ქრისს ჭადრაკისა და ნარდის თამაშით ართობდა. მოგვიანებით მოქარაფშუტოდ ჩაცმული ცხადდებოდა — „პეისლის“ მოხატულობის, აბრეშუმის მარწყვისფერი აბაზანის ხალათით, ვიწრო და მწვანე ვერტიკალურზოლებიანი განიერი შარვლით, ყელზე შემოხვეული მოვარდისფრო-ლილისფერი ფულარით — და გულუხვი მბრძანებლის მანერებით ჩაის ან ღვინოს ასხამდა, ან მაგიდის თავში ჯდებოდა, რომელიც სახელდახელოდ მომზადებული ვახშმით იყო გაწყობილი: დომინიკანური sancocho[1] ან კუბური mondongo[2], მექსიკური polio picado con tocino[3] ან კოლუმბიური souffle de sesos[4]. ვან ჰორნი მელანქოლიურად აკვირდებოდა, თუ როგორ ხარბად ნთქავდნენ სტუმრები სანელებლებით შეკაზმულ დელიკატესებს, ფერად სიგარეტებს კი ახალშეძენილ, რქისგან ნატიფად გამოყვანილ გრეხილ მუნდშტუკებში ათავსებდნენ და აბოლებდნენ. თვითონ გამხდარიყო და დიდი იმედი ჰქონდა, რომ სელენის[5] ბაზაზე დამზადებული ხსნარიდან ენერგიის მიღების ცდას წარმატებით დაასრულებდა. სხვა არაფერი აინტერესებდა. აპათიური და უტყვი, ზოგჯერ ოთახიდან სწრაფად გადიოდა. შემდგომში ალექსანდრამ, სიუკმა და ჯეინმა დაასკვნეს, რომ იმ დროისთვის კაცს მათგან თავი უკვე მობეზრებული ჰქონდა, სამაგიეროდ თვითონ ერთობოდნენ შესანიშნავად. ეს

---

[1] *ერთგვარი წვნიანი (ესპ.).*

[2] *ერთგვარი წვნიანი (ესპ.).*

[3] *შპიკით ფარშირებული წიწილი (ესპ.).*

[4] *ტვინის სუფლე (ესპ.).*

[5] *სელენი, სელენიუმი — ქიმიური ელემენტი, შავი ფერის მყიფე არალითონი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გვიან გააცნობიერეს. უზარმაზარი სივრცე, რომელსაც „გომბეშოს სახლი“ შეარქვეს, მათ ვიწრო საცხოვრებლებს თითქოს აფართოებდა. ვან ჰორნის სამეფოში თავიანთი შვილები ავიწყდებოდათ და თავად ხდებოდნენ ბავშვები.

ჯეინი თავდავიწყებით შეუდგა ჰინდემიტისა და ბრამსის შესწავლას, რამდენიმე ხნის წინ კი სცადა დვორჟაკის თავბრუდამხვევი, განსაცვიფრებელი ნაწარმოები, „კონცერტი ვიოლონჩელოსთვის სი მინორი“ შეესრულებინა. ზამთრის თოვლის დნობის დაწყებასთან ერთად სიუკმა ვან ჰორნთან სიარულს მოუხშირა — თავისი რომანის მონახაზები და დიაგრამები მიჰქონდა. ის და მისი მენტორი თვლიდნენ, რომ შესაძლებელი იყო დაეგეგმა, მოეფიქრებინა და შეექმნა მარტივი სიტყვიერი მანქანა, რომელიც ჯერ ააღელვებდა მკითხველს, მერე კი დაძაბულობას მოუხსნიდა. ალექსანდრამ გაბედა და ვან ჰორნი შინ მიიწვია, რათა თავისი მოცურავე ქალები, დიდი, უწონო, შეღებილი სტატუეტები ეჩვენებინა, რომლებიც ერთმანეთზე გადაება წებოთი მოთხვრილი ხელებით, ფითხით, საგოზავითა და სალათის ხის კოვზებით. შეცბუნება ეტყობოდა, რადგან სახლის ყველა ოთახი შეთეთრებას საჭიროებდა, საშზარეულოში კი ლინოლეუმი, კარგა ხანია, შესაცვლელი იყო. ამ კედლებში დარილი ასაკმომატებული და დადაბლებული ჩანდა, გაუპარსავი ნიკაპი გალურჯებოდა, ოქსფორდული პერანგის საყელო გაცრეცილს ჰგავდა. სიღარიბე თითქოს გადამდები აღმოჩნდა. განიერი, შავი და მწვანე ფერებით გაწყობილი, იდაყვებზე ტყავით დაბებკილი ტვიდის პიჯაკი ალექსანდრამ მის ტანზე პირველად იხილა. მასში დარილი უმუშევარ პროფესორს თუ ერთ-ერთ იმ ნაღვლიან მუდმივ სტუდენტს დამსგავსებოდა, რომელსაც ყველა საუნივერსიტეტო ქალაქში შეხვდებით. გაუკვირდა კიდეც, მასში ამდენი ძალაუფლება და ენერგია რამ დამანახვაო. ვან ჰორნმა ნამუშევარი შეუქო:

— ძვირფასო, მგონი კოჭი ალჩუზე დაგიჯდათ! ეს ყველაზე ავხორცული და მაგარია, რაც ლინდნერს[1] აქვს, ოღონდ მისი ლითონის სიმტკიცის გარეშე, ხასიათით კი მიროს[2] უფრო ჰგავს, მაგრამ სექსუალურია, ძალზე სექსუალური, გოგონი! — მან შემაშფოთებლად მოუხეშავი სისწრაფით მოათავსა პაპიე-მაშეს სამი

---

[1] *ლინდნერი, რიჩარდ (1901-1978) — გერმანელ-ამერიკელი მხატვარი.*

[2] *მირო, ჟოან (1893-1983) — ესპანელი მხატვარი, მოქანდაკე და გრაფიკოსი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ფიგურა თავისი „მერსედესის“ უკანა სავარძელზე, საიდანაც ისინი ალექსანდრას პატარა, იმ უგემოვნოდ ჩაცმული მგზავრებივით შესცქეროდნენ, ავტოსტოპით რომ მოგზაურობენ. მათი კაშკაშა, საცობისგან გაკეთებული კიდურები ერთმანეთში გადაიხლართა, მავთულები კი, რომლებითაც ჭერზე ეკიდნენ, ერთიანად დაიგორგლა, — ზეგ ნიუ-იორკში მივემგზავრები. ორმოცდამეჩვიდმეტე ავენიუზე მათ ჩემს მეგობარს ვაჩვენებ. სანაძლეოს ვდებ, რომ ანკესზე წამოეგება. თქვენ მართლაც მიაგენით რაღაცას თანამედროვე ხელოვნებაში, შეგრძნებას, რომ დასასრული ყველაფერს აქვს. ჩვენ არარეალურობასთან გვაქვს საქმე. ტელევიზიით ომზე გადაღებული კლიპებიც კი არარეალურსა ჰგავს. ომის თემაზე ყველას ძალზე ბევრი ფილმი გვაქვს ნანახი.

დარილი ყინვაში მანქანის გვერდით იდგა, ტანზე ტყაპუჭი ეცვა მანჟეტებიანი და იდაყვებგაქონილი, ბანჯგვლიან თავზე კრაველის ქუდი ეხურა. ალექსანდრას შესცქეროდა, მაგრამ არა როგორც უიმედოდ დამარცხებულ მსხვერპლს, არამედ როგორც ქალს, რომლის საქციელსაც წინასწარ ვერ განჭვრეტ, და როცა ალექსანდრას თვალებში სურვილი ამოიკითხა, მასთან ერთად უკან დაბრუნდა, ხვნეშით ავიდა საძინებელ ოთახში და იმ საწოლს მიადგა, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ ქალმა ჯო მარინო გაისტუმრა უარით. ჯინა კვლავაც ფეხმძიმედ იყო, რაც საქმეს კიდევ უფრო ართულებდა. ვან ჰორნის ფიზიკურ კონდიციაში იყო რაღაც საიმედო და იმავდროულად უგრძნობელი, მისი ცივი, თითქოს წვრილი ქერცლით დაფარული პენისი ალექსანდრას ტკივილს აყენებდა. მაგრამ დღეს მის მიერ დაუფიქრებლად გამოთქმულმა მზადყოფნამ ამ საცოდავი ნამუშევრების გასაყიდად, ნაჯახით გამოთლილმა, ოდნავ დამჭკნარმა გარეგნობამ და უცნაურმა, წინაფრიანმა კრაველის ქუდმა — ყველაფერმა ერთად, გაათბო ქალის გული და ვაგინაც აღუგზნო. ალექსანდრა სპილოსაც კი დაუწვებოდა, თუ ეცოდინებოდა, რომ იგი მას დაეხმარებოდა, მეორე ნიკი დე სენ-ფალი გამხდარიყო.

სამივე ქალი ერთმანეთს ქალაქის ცენტრში, პორტის ქუჩაზე ხვდებოდა, ახალ ამბებს ტელეფონით იგებდნენ, უსიტყვოდ იზიარებდნენ საერთო ქალურ ტკივილს, რომელიც მათ მუქთმიანმა საყვარელმა მოუტანა. თუკი ჯენი იტანჯებოდა კიდეც მათთან ერთად, მის აურაზე ეს არ აისახებოდა. როცა კი სტუმრები შემთხვევით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თვალს მოჰკრავდნენ, ყოველთვის სამუშაო ხალათი ეცვა და ბეჯითად მუშაობდა. ვან ჰორნი მას ნაწილობრივ იმიტომ იყენებდა, რომ იგი ცოტას წაისულელებდა თავისი ერთგვარად ხელოვნური მოკრძალებული მანერებით, იმის უნარით, რომ ჯიუტად არ შეემჩნია არანაირი ნიუანსი და მინიშნება, მას ხომ ძალზე მომრგვალებული სახე ჰქონდა. მათ ჯგუფში ყველას საკუთარი, მისი შესაფერისი ნიშა ეკავა და ჯენის თავის თავში უნდა განესახიერებინა ამ სამივე მოწიფული, ქმარგაყრილი, ილუზიადაკარგული ქალის სიყმაწვილე, თუმცა არცერთი არ იყო ახალგაზრდობაში ზუსტად მისნაირი და არ ცხოვრობდა ძმასთან ერთად სახლში, სადაც მშობლები საშინელი სიკვდილით დაიღუპნენ. ჯენი სამივეს თავისებურად უყვარდა და, სიმართლე ითქვას, იგი ყოველი მათგანის სიმპათიას თანაბარი დოზით გამოხატავდა. ალექსანდრას მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა მტკივნეული შეგრძნება იმისა, რომ იგი მათ ენდო, საკუთარი ბედიც მიანდო, როგორც ქალი ანდობს ყველაფერს თავის ცხოვრებაში პირველ მამაკაცს, თუმც კი შეიძლება შეეწიროს კიდეც ახლის შეცნობის სურვილს. იგი მათ გვერდით მუხლებზე მონა ქალივით იდგა და თავისი თეთრი, მომრგვალებული, სრულყოფილი სხეულის ნათებას ამ გამუქებულ, არასრულყოფილ ფორმებს უნაწილებდა, ნოტიო შავ ბალიშებზე რომ წამოწოლილიყვნენ სახურავის ქვეშ, რომელიც აღარასოდეს დაუბრუნდა თავის ადგილს მას შემდეგ, რაც ერთ სუსხიან ღამეს ვან ჰორნმა ღილაკს თითი დააჭირა და თვალისმომჭრელმა ცისფერმა ალმა მის თმიან ხელს ხელთათმანი ჩამოაცვა.

ისინი ალქაჯები იყვნენ და, მაშასადამე, რაღაცით უცნაურნი და აჩრდილისებრნი ისთვიქის საზოგადოების თვალში. ქალაქის რომელიღაც მცხოვრებმა უტიფარ სახეში შეჰღიმა სიუკს, რომელიც მრუდე ტროტუარს სწრაფი ნაბიჯით მიუყვებოდა, ვიღაცამ კი თავი დაუკრა ქვიშისფერ ჩექმასა და ძველ, მწვანე ფარჩის ჟაკეტში გამოწყობილ დიდებულ ალექსანდრას, როდესაც იგი „მოწკავწკავე მელიის“ წინ იდგა და მის მეპატრონეს, ასევე ქმარგაყრილ მეივის ჯესაპს ემასლაათებოდა, რომელსაც სახეზე ჭლექიანის სიწითლე დაჰკრავდა და შეღებილი წითური თმა მედუზა გორგონას რგოლებივით ჩამოშლოდა. აი, კიდევ ერთმა გამოხატა პატივისცემა მოღუშული, მუქწარბებიანი ჯეინ სმარტის მიმართ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც იგი ძველ, მწვანე ხავსის ფერის „პლიმუთ-ველიანტში“ ჯდებოდა და მაგრად გაიჯახუნა გატეხილსაკეტიანი კარი, რითაც ხაზი გაუსვა გამოკვეთილ ინდივიდუალობასა და ბობოქარ შინაგან ცხოვრებას, რომლის მსგავსმაც სხვა, ასეთივე მიყრუებულ ქალაქებში, ემილი დიკინსონის[1] ლექსებიც წარმოშვა და ემილი ბრონტეს[2] რომანსაც ჩაუდგა სული. მისალმებას სამივენი სალმითვე პასუხობდნენ, ანგარიშსაც ასწორებდნენ, ხოლო სომხურ რკინა-კავეულის მაღაზიაში, სხვების მსგავსად, ცდილობდნენ, რომ ხელით შემოეხაზათ ჰაერში ის ნივთი, რომელიც დანგრევის პირას მისული საცხოვრებლის გასარემონტებლად და ბინაში სითბოს შესანარჩუნებლად ესაჭიროებოდათ. მაგრამ ყველამ იცოდა მათ შესახებ კიდევ რაღაც საშინელი და გარყვნილებასთან დაკავშირებული, რაც ადგილობრივი სკოლის დირექტორისა და მისი ცოლის საძინებელშიც კი ხდებოდა, რომლებიც საოცრად უფერულები და ბანალურები ჩანდნენ, როდესაც სტადიონზე იაფფასიან ადგილებზე ისხდნენ და სუნთქვაშეკრულნი ადევნებდნენ თვალს შეხვედრის ანგარიშს.

ჩვენ ყველანი ვოცნებობთ მომავალზე და იმავდროულად შეძრწუნებულნი ვდგავართ საკუთარი სიკვდილის გამოქვაბულის შესასვლელთან. ჯოჯოხეთის შესასვლელთან. კანალიზაციის გამოგონებამდე, ზამთარში, მთელი ოჯახის განავალი ეზოში მდგარ საპირფარეშოებში წვეტიან, გაყინულ სტალაგმიტებად მიიწევდა ზევით. მსგავსი მოვლენები გვეხმარება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ცხოვრებაში ისინი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფასადზე საფრქვევლით დაწერილი რეკლამა, სუნამოების უცნაური ფორმის ფლაკონები, ნეილონის ღამის პერანგების დახვეწილი გამოჭრილობა და „როლს-როისების“ გაღუნული ფრთები. შესაძლოა, სიზმრების კუთხე-კუნჭულებში უფრო მეტს ვხვდებით, ვიდრე ჩვენთვის ცხადშია ცნობილი: ხელოვნური განათებისას ვიღაცის ფერმკრთალი სახე ჩნდება, რომელიც სხვას გაოცებით მიშტერებია. რა თქმა უნდა, ისთვიქელთა ცნობიერებაში ჯადოსნობა შეიგრძნობოდა, როგორც

---

[1] *დიკინსონი, ემილი (1830-1886) — ამერიკელი პოეტი ქალი.*

[2] *ბრონტე, ემილი ჯეინ (1818-1848) — ინგლისელი პოეტი ქალი, შარლოტა ბრონტეს და. ლექსების გარდა მის კალამს ეკუთვნის ერთადერთი რომანი „ქარიშხლიანი უღელტეხილი“, რომელიც პოპულარული გახდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ატმოსფერული მოვლენა, როგორც ღრუბელი, მერხევი ნისლეული, რომელიც ათასობით ნახევრად გამჭვირვალე ფენისგან შედგება. და თუმცა ცოტა ვინმეს თუ ღირსებია ამ ორთქლით გაჯერებული ჰაერის შესუნთქვა, იგი ქმნიდა მანუგეშებელი დასასრულის, ბოლომდე დახატული სურათის შეგრძნებას, როგორც პორტის ქუჩის ქვეშ ჩაწყობილი მაგისტრალური გაზსადენის მილები, როგორც ტელეანტენები, რომლებიც ცაში „კოჯაკისა“[1] და „პეპსის“ რეკლამებს იჭერენ. საშხაპე კაბინის დაორთქლილი კარის მილმა ჯადოსნობას რაღაც უხილავის ბუნდოვანი მოხაზულობა ჰქონდა. იგი ბლანტი იყო და ნელა აორთქლებადი. ამ ამბების შემდეგ, რომლებიც ალალბედზე შეირჩა და არასაკმარისი გულმოდგინებით აღიწერა, ჯადოსნობის შესახებ გავრცელებულმა ჭორებმა როდ-აილენდის ამ კუთხის რეპუტაცია გვარიანად შელახა, ამიტომ ისთვიქის უწყინარ ხსენებაზეც კი უხერხულობა და დაბნეულობა წარმოიქმნება.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

[1] *„კოჯაკი“ — 70-იანი წლების პოპულარული ტელესერიალი ნიუ-იორკის პოლიციის შესახებ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავი მესამე

ბრალეულობა

„გავიხსენოთ სახელგანთქმული ალქაჯების გასამართლება: ყველაზე გამჭრიახ და ჰუმანურ მოსამართლეებს ეჭვიც არ შეჰპარვიათ განსასჯელთა ბრალეულობაში; ამაში თვით „ალქაჯებიც“ დარწმუნებულნი იყვნენ — და, მიუხედავად ამისა, ისინი უდანაშაულონი იყვნენ“.

ფრიდრიხ ნიცშე[1], 1887 წელი

— მართლა? — ჰკითხა ალექსანდრამ სიუკს ტელეფონით საუბრისას.

აპრილი იდგა. ხეებმა და სხვა მცენარეებმა საყოველთაო ჯანყი მოაწყვეს, მათში არსებული წვენი და ორგანული ბოჭკოები კვლავ გამოცოცხლდნენ და ამოძრავდნენ, რათა არაორგანულ მიწაში შეელწიათ და ახალი სიცოცხლე წარმოეშვათ. ალექსანდრა კი გაზაფხულზე მოდუნებული და დათრგუნვილი იყო ხოლმე. მარტივ რამეებსაც ძნელად აღიქვამდა. მარტში მას ოცდაცხრამეტი წელი შეუსრულდა და ეს სულს კიდევ უფრო უმძიმებდა, აი, სიუკის ხმა კი ასეთი ენერგიული არასოდეს ყოფილა. გამარჯვებით გამოწვეული სიხარულისგან სუნთქვა ეკვროდა. მან ხომ გებრიელების სახლი გაყიდა.

— ჰო, სასიამოვნო, სერიოზული, ოდნავ ხანში შესული ცოლ-ქმარია, გვარად ჰელიბრედი. კაცი კინგსტონის უნივერსიტეტში ფიზიკას ასწავლიდა, ქალი კი იურისტი უნდა იყოს, ისე დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, თან ჩემი აზრიც აინტერესებდა. ეს მაგათი

---

[1] *ნიცშე, ფრიდრიხ ვილჰელმ (1844-1900) — გერმანელი ფილოსოფოსი, მოაზროვნე, კომპოზიტორი. წერდა კრიტიკულ წერილებს რელიგიაზე, სიკვდილზე, კულტურასა და მეცნიერებაზე მეტაფორებისა და აფორიზმების გამოყენებით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ერთ-ერთი ხერხია. კინგსტონში ჰქონიათ სახლი, სადაც ოცი წელი გაატარეს, მაგრამ კაცი პენსიაზე გავიდა, იახტა იყიდა და ახლა ზღვასთან ახლოს სურს ცხოვრება. შვილიშვილებიც ჰყავთ, როგორც საკუთარი, ასევე შეძენილი, რომლებიც მათ ხშირად მოინახულებენ ხოლმე, ამიტომ ის საკმაოდ პირქუში ოთახებიც გამოადგებათ მესამე სართულზე, სადაც კლაიდი თავის ძველ ჟურნალებს ინახავდა. პირდაპირ საოცარია, როგორ გაუძლო კოჭებმა ამსიმძიმე ტვირთს.

— ჭორებზე რას ამბობენ, არ აწუხებთ? — ზოგიერთმა პოტენციურმა მყიდველმა, რომლებმაც სახლი ზამთარში დაათვალიერეს, შეიტყო მკვლელობისა და თვითმკვლელობის შესახებ და დაფრთხა. თანამედროვე მეცნიერების მიღწევების მიუხედავად, ხალხი კვლავაც ცრურწმენათა ტყვეობაში რჩება.

— კი, მათ წაიკითხეს მომხდარის შესახებ, ამაზე ხომ „ვორდის“ გამოკლებით შტატის ყველა გაზეთი წერდა. როდესაც ვიღაცას, ოღონდ მე არა, მოუხსენებია, რომ ეს სწორედ ის სახლი იყო, პროფესორ ჰელიბრედს კიბისკენ გაუხედავს და უთქვამს, — ჭკვიანი კაცი ყოფილა, რახან იმ სიგრძის თოკი გამოიყენა, ფეხებით საფეხურებს რომ ვერ მიმწვდარიყოო. მე ვუთხარი: — დიახ, მისტერ გებრიელი ძალიან ჭკვიანი იყო, ლათინურიც იცოდა და იმ თავსამტვრევ ასტროლოგიურ წიგნებსაც კითხულობდა-მეთქი. კლაიდზე საუბრისას თვალები ამიწყლიანდა, მისის ჰელიბრედმა კი მხარზე ხელი დამადო, რაც ადვოკატის ჟესტი იყო. თუმცა, ასე მგონია, რომ ეს სახლის გაყიდვაში დამეხმარა. უფრო მეტიც, ისინი ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ უარს, ალბათ, ვეღარც კი იტყოდნენ.

— რა ჰქვიათ მათ? — ჰკითხა ალექსანდრამ, რომელიც წუხდა, მოლუსკების სუპი არ დამშრალიყო, გასაცხელებლად ქურაზე რომ ჰქონდა დადგმული.

ტელეფონის ყურმილში სიუკის ხმა თითქოს იხვეწებოდა, რომ მისთვის ახალი სასიცოცხლო ძალა გადაესხათ. ამიტომ ალექსანდრა შეეცადა, რეაგირება მოეხდინა და უცნობი ადამიანების მიმართ დაინტერესება გამოეჩინა, მაგრამ მისი უჯრედები საკმარისზე მეტად იყო დანაგვიანებული ნაცნობებით, შემთხვევით გაცნობილებით, მეგობრებით, რომლებიც ოდესღაც უყვარდა, მერე კი დაივიწყა. ოცი წლის წინ, ევროპაში ერთ-ერთი კრუიზის დროს, როდესაც გემ „კორონიაზე“ ოზთან ერთად იმყოფებოდა, იმდენი ნაცნობი გაიჩინა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეყოფოდა — მათ მაგიდასთან მსხდომნი, ისინი, ვინც გემბანზე ქარიან ამინდში პლედებში გახვეულნი მის გვერდით აღმოჩნდნენ და თერთმეტ საათზე თავიანთ ბულიონს მიირთმევდნენ, წყვილები, რომელთაც შუაღამით ბარში ხვდებოდნენ, სტიუარდები, კაპიტანი კვადრატული წითური წვერით. ყველანი ძალზე მეგობრულად იქცეოდნენ და მათში ინტერესს აღძრავდნენ, რადგან ის და ოზი ახალგაზრდები იყვნენ, ახალგაზრდობა კი, ფულის მსგავსად, ხალხს აიძულებს, რომ მას მოემსახურონ. კიდევ ისინი, ვისთან ერთადაც სკოლაში და კონექტიკუტის კოლეჯში დადიოდა. მოტოციკლეტებიანი ბიჭები, თავი კოვბოებად რომ წარმოედგინათ. ამას ემატებოდა მილიონობით სახე ქუჩაში, ულვაშა მამაკაცები, ქალები, რომლებიც ჩერდებოდნენ და ფეხსაცმლის მაღაზიაში წინდების გასასწორებლად იხრებოდნენ, მანქანების უწყვეტი ნაკადი — მათში მსხდომთა სახეები მუყაოს შესაფუთზე გამოსახულ კვერცხებს ჰგავდა — ყველა რეალური, რომელთაც სახელებიც გააჩნდათ და სულებიც, როგორც თავად ამტკიცებდნენ. ახლა კი მის ტვინში ნაცრისფერი, მკვდარი მარჯანივით დაწნეხილიყო.

— სასიამოვნო სახელები აქვთ, — ხალისით განაგრძო სიუკმა, — ართური და როზა. არ ვიცი, მოგეწონებიან თუ არა, უფრო პრაგმატიკოსები ჩანან, ვიდრე არტისტული ფიგურები.

ალექსანდრას დეპრესიის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ რამდენიმე კვირის წინ დარილი ნიუ-იორკიდან დაბრუნდა და ორმოცდამეჩვიდმეტე ქუჩაზე მდებარე გალერეის მენეჯერის პასუხი ჩამოიტანა. მისი აზრით, ეს ქანდაკებები ძალიან ჰგავდა ნიკი დე სენ-ფალის ნამუშევრებს. გარდა ამისა, სამიდან ორი სტატუეტი დაზიანებული აღმოჩნდა. იქითობას ვან ჰორნმა თან ქრის გებრიელიც წაიყვანა (კონექტიკუტის მაგისტრალზე დარილს ისტერიკა ემართებოდა: სატვირთო მანქანები შიშინებდნენ, ავიწროებდნენ მას, ლამის გვერდები შეეჯეჯყათ, მსუქანი მძღოლები კი მრისხანედ დაჰყურებდნენ თავიანთი მაღალი, ჭუჭყიანი კაბინებიდან მის „მერსედესს“). აქეთობას კი, ბრონქსში, გზაზე ჰიტჩჰაიკერი[1] აიყვანეს, ასე რომ, ფსევდო-„ნანას“[2] სკულპტურებს, რომლებიც დარილს უკანა სავარძელ-

[1] *ჰიტჩჰაიკერი — ავტოსტოპით მოგზაური.*
[2] *„ნანა“ — ფრანგი მოქანდაკე ქალის ნიკი დე სენ-ფალის (1930-2002) ქანდაკება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზე მოეთავსებინა, ადგილის გამოსათავისუფლებლად ჩაჩოჩება მოუხდათ. როდესაც ალექსანდრამ ვან ჰორნს არამყარი პაპიე-მაშესგან დამზადებული გაღუნული კიდურები და მომძვრალი ცერი უჩვენა, კაცს სახე ლაქებით დაეფარა, თვალები დაქაჩა და პირი დააღო, უსიცოცხლო მარცხენა თვალი კი ლამის ორბიტიდან გადმოუვარდა და ყურის მიმართულებით დაიძრა, ტუჩების კუთხეებიდან ნერწყვი გამოუჩნდა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა მან, — საბრალო ბავშვი დიგანზე[1] იდგა, ამ დედანატირებ ქვეყანაში არსებული ჯურღმულებიდან ორიოდე კვარტალში. რომ არ წამოგვეყვანა, ვიღაც ან მოატყუებდა, ან მოკლავდა.

„ტაქსისტივით აზროვნებს“, — გაიფიქრა ალექსანდრამ.

მოგვიანებით დარილმა სთხოვა:

— რატომ არ გინდა, რომ ხეზე მუშაობა სინჯო? შენი აზრით, მიქელანჯელო წებოთი მოთხვრილი ძველი გაზეთებით ირთობდა თავს?

— ქრისი და ჯენი სად წავლენ? — ჰკითხა მას ალექსანდრამ, როდესაც ყურადღება მოიკრიბა.

მას სხვა ფიქრებიც აწუხებდა. კერძოდ ის, რომ ჯო მარინო, მას შემდეგ, რაც გაუმხილა, ჯინა კვლავ დაფეხმძიმდაო, მის მიმართ მეტ სინაზეს იჩენდა. როდესაც დათქმულ დროს მასთან მოდიოდა და ფანჯარაში პატარა ჯოხს შემოაგდებდა, სრული სერიოზულობით ესაუბრებოდა ქალს სამზარეულოში (იგი მას საძინებელ ოთახში აღარ უშვებდა) იმის შესახებ, რომ ჯინას მიტოვებას აპირებდა. ის და ალექსანდრა, თავის ოთხ ბავშვთან ერთად, სადმე შორიახლოს დასახლდებოდნენ, მაგრამ ეს ისთვიქი არ იქნებოდა, შესაძლოა, კოდინგტონ-ჯანქშენი ყოფილიყო. იგი მორცხვი და მორიდებული კაცი იყო და ფიქრადაც არ გაუვლია, რომ სხვა საყვარელი გაეჩინა. ეს ღალატი იქნებოდა იმ გუნდის მიმართ, რომელიც მან შეკრიბა. ალექსანდრა პირში ეუბნებოდა, რომ მეწყალსადენის ცოლობას მარტო ყოფნა ერჩივნა — ჯერაც კარგად ახსოვდა ოზი თავისი ჟანგმიწით. მაგრამ ამგვარი სნობიზმისა და უკეთური აზრებისაგან თავი იმდენად დამნაშავედ იგრძნო, რომ გული მოულბა და ჯო ლო-

---

[1] *დიგანი — გზატკეცილის სახელწოდება ბრონქსის სიახლოვეს.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გინში შემოუშვა. ზამთრის განმავლობაში ალექსანდრას შვიდი გირვანქა მოემატებინა და მას, შესაძლოა, სწორედ ამ ზედმეტი ცხიმის გამო გაუჭირდა ორგაზმის მიღწევა. ჯოს შიშველი სხეული დემონად წარმოედგინა, და როდესაც თვალს ახელდა, ეჩვენებოდა, რომ მას შლაპა უკვე თავზე ეხურა, ის უცნაური, კუბოკრული შალის შლაპა ნამცეცა ფარფლებითა და მბზინავი ყავისფერი ფრთით.

ანდა, იქნებ, სადღაც ვიღაცამ ალექსანდრას სექსუალობაზე aiguillette განასკვა?

— ვინ იცის? — იკითხა თავის მხრივ სიუკმა, — როგორც ჩანს, თვითონაც არ იციან. ჩემთვის ცნობილია, რომ მათ არ უნდათ იქ დაბრუნება, საიდანაც ჩამოვიდნენ, ჯენის ეჭვიც კი არ ეპარება, რომ დარილი თავის ლაბორატორიაში მალე აღმოჩენას გააკეთებს, და სურს, რომ სახლის გაყიდვით შემოსული ფულიდან მთელი თავისი წილი მის პროექტში ჩადოს.

ამ ამბავმა ალექსანდრა ძალზე ააღელვა და სხვაზე ვეღარაფერზე ფიქრობდა — შესაძლოა, იმიტომ, რომ ფულზე ნებისმიერი საუბარი მაგიურად მოქმედებს. შესაძლოა იმიტომაც, რომ აქამდე თავში აზრადაც არ მოსვლია, თუ დარილ ვან ჰორნი ფულის ნაკლებობას განიცდიდა. ის, რომ ფული ყოველ მათგანს სჭირდებოდა, დასაშვები იყო — ბავშვებისთვის განკუთვნილი შემწეობა სულ უფრო ხშირად იგვიანებდა, ომისა და ეკონომიკის გადახურების გამო დივიდენდები იკლებდა, მოწაფეთა მშობლებს დოლარის მომატებაც კი არ სურდათ ჯეინ სმარტისთვის ფორტეპიანოს საათნახევრიან გაკვეთილებში, ალექსანდრას ახალი ქანდაკებები უფრო იაფი ღირდა, ვიდრე გაზეთის ქაღალდი, რომლის დაქუცმაცებითაც მათ ამზადებდა, სიუკს კი სახიდან ღიმილი არ უნდა მოეშორებინა, სანამ კლიენტთან გარიგებას არ დადებდა. მათ პატარა დღესასწაულებს განსაკუთრებულ ლაზათს მატებდა ზედმეტად ხელგაშლილობა Wild Turkey-ის[1] გაუხსნელი ბოთლის, მთელ-მთელი აკაჟუს ქილის ან ანჩოუსების სახით. სახალხო მღელვარებების ამ პერიოდში, როდესაც მთელი თაობა ნარკოტიკების გასაღებით თუ მოხმარებით იყო დაკავებული, უფრო იშვიათად, ვიდრე ოდესმე, მალვით ესტუმრებოდა ხოლმე ვინმეს ცოლი ცო-

[1] *ვისკის სახეობა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტაოდენი ჯადვარის შესაძენად, რათა დასუსტებული ქმრისთვის სასიყვარულო სასმელში შეერია, ანდა ფრინველების მოყვარული ქვრივი, რომელსაც ლენცოფა ესაჭიროებოდა მეზობლის კატის მოსაწამლავად, ხანაც რომელიმე მორიდებული მოზარდი, ერთი უნცია დისტილირებული მარგალიტას ან მათრახას მალამოს ყიდვა რომ სურდა, თითქოს მათი დახმარებით სამყაროზე ზემოქმედებას შეძლებდა, რომელიც გიგანტური შესაძლებლობებით უცნობი განძეულით გაძეძგილ ფიჭას ჰგავდა. ღამის წყვდიადში, ახალმთვარეობისას, საოჯახო საქმეების დასრულების შემდეგ, ალქაჯები ხითხითით მიდიოდნენ იმ ბალახბულახის შესაგროვებლად, რომლებიც იშვიათ და წვრილ ვარსკვლავურ კვანძში იყვნენ განლაგებულნი საჭირო სინოტივისა და განათების მქონე შესაფერის ნიადაგში. ჯადოსნობა ისეთ ბანალურ და გავრცელებულ მოვლენად ქცეულიყო, რომ მათი მაგიური პროდუქცია თითქმის არ საღდებოდა. მაგრამ თუ ისინი ღარიბები იყვნენ, სამაგიეროდ, ვან ჰორნი იყო მდიდარი, და უბადრუკი მზიანი დღეებიდან გამოსული ქალებიც ტკბებოდნენ მისი სიმდიდრით ზეიმის ბნელ საათებში. ამ ჯენი გებრიელს შეეძლო დარილისთვის ფულის შეთავაზება, მას კი დათანხმება. ეს იყო გარიგება, რომლის განჭვრეტაც ალექსანდრამ ვერ მოახერხა.

— ჯენის თუ ესაუბრეთ ამის შესახებ?

— ვუთხარი, რომ ეს სიგიჟედ მიმაჩნია. ართურ ჰელიბრედი ფიზიკის მასწავლებელია და ისიც თვლის, რომ დარილის ცდები ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს არის მოკლებული.

— ყველა მეცნიერი იმავეს იმეორებს, როგორც კი ვინმეს ახალი იდეა უჩნდება.

— ნუ იცავ მას, ძვირფასო. არ ვიცოდი, ეს თუ გაინტერესებდა.

— სულ არ მაინტერესებს, როგორ დახარჯავს ჯენი თავის ფულს, — თქვა ალექსანდრამ, — თუ იმას არ გავითვალისწინებთ, რომ იგი ქალია. როგორი რეაქცია ჰქონდა, როცა ეს უთხარი?

— ოჰ, რომ იცოდე, თვალები დააჭყიტა, ნიკაპი კი კიდევ უფრო დაუწვეტიანდა. მომეჩვენა, რომ ჩემი არ ესმოდა. მის მორჩილებაში საოცარი სიჯიუტე იმალება. იგი ძლიერ კარგია ამ სამყაროსთვის.

— ჩემი აზრით, იგი ამის დემონსტრირებას მთელი თავისი არსებით ახდენს, — ნელა ჩაილაპარაკა ალექსანდრამ და დანანებით

www.PDF.ChiaturaINFO.GE

იგრძნო, რომ ყველანი მასზე არიან დამოკიდებულნი, მათ საკუთარ წმინდა ქმნილებაზე, მათ ინჟენიუზე[1].

მოგვიანებით ჯეინ სმარტმა ამ კვირას გაშმაგებული უწოდა.

— შენ მიიჩნევდი, რომ ასეთი რამ შეუძლებელი იყო? ალექსანდრა, ბოლო დროს მართლაც დაბნეულად გამოიყურები, — ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ხელისგულებს ანთებული ასანთი წვავდა, — იგი გადადის! დარილმა ის თავის მოსულელო ძმასთან ერთად თავის სახლში მიიწვია საცხოვრებლად.

— „გომბეშოს სახლში“?

— ლენოქსების ძველ სახლში, — ჯეინმა შეგნებულად არ წარმოთქვა მათ მიერ მოგონილი სახელი, — აი, თურმე საით უმიზნებდა, სანამ პირი გვქონდა დაღებული. ჩვენ, ასეთმა დახვეწილმა ქალებმა, მოწყალე თვალით შევხედეთ ამ უგემოვნო გომბიოს, სტუმრად მივიწვიეთ, ის კი, თავშეკავებულობის განსახიერება, ვითომ ყველაფერზე მაღლა რომ იდგა, საშზარეულოში მცხოვრები კონკია აღმოჩნდა, რომელმაც იცის, რომ მის ცხოვრებაში აუცილებლად იქნება ბროლის ფეხსაცმელი. გადამეტებული სიფაქიზე, აი, რა მაცოფებს ყველაზე მეტად. დარბის აქეთ-იქით თეთრ ხალათში გამოწკეპილი და დარილი ხელფასსაც უხდის, მაშინ, როცა მთელი ქალაქის ვალი აქვს, ბანკს კი მისი ანგარიშის დახურვა სურს, მაგრამ იმ უძრავი ქონების გირაოსთან საქმის დაჭერას ერიდება, რომლის შენახვაც ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. თუ იცი, რა დაჯდა ამ დამკრძალავი კოცონის ახალი შიფერის სახურავი?

— ჩემო კარგო, — თქვა ალექსანდრამ, — ნამდვილი ფინანსისტივით ლაპარაკობ. სად მოახერხე ყოველივე ამის სწავლა?

იასამნის მსხვილი, ყვითელი კვირტები უკვე გადაშლილიყო გულისებრ ფურცლებად, გახუნებული ფორზიციის წნელები შარტრეზის[2] ფერის მინიატიურულ ტირიფს დამსგავსებოდა. ნაცრისფერი ციყვები საკვებურთან აღარ მორბოდნენ, საჭმელად სადღა ეცალათ — შეწყვილებით იყვნენ დაკავებულნი. ვაზმა, მთელი ზამთრის განმავლობაში უსიცოცხლო რომ ეგონა ყველას, კვლავაც დაიწყო ხეების დაჩრდილვა. რაც უფრო მეტად ჩნდებოდა სიმწვანე

[1] *ინჟენიუ — მსახიობის ამპლუა: მიამიტი ქალიშვილი.*
[2] *შარტრეზი — მოყვითალო-მომწვანო ელფერი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაზაფხულისთვის დამახასიათებელი ტალახის ნაცვლად, ალექსანდრა ნაკლებად გაღიზიანებული ჩანდა. იგი კვლავ შეუდგა თავისი თიხის „ბალღების“ კეთებას, ზაფხულის ალოობისთვის ემზადებოდა. ისინი ჩვეულებრივზე ოდნავ დიდი და ინტენსიურად შეღებილი გამოსდიოდა: ზამთრის განმავლობაში შემოქმედებითმა წარუმატებლობამ მას ერთგვარი ცოდნა შესძინა. სამწუხაროდ, ასე გაახალგაზრდავებულმა ალექსანდრამ ნაჩქარევად გაიზიარა ჯეინის აღშფოთება. თანაგრძნობამ კლაიდ გებრიელის შინ დაბრუნებული შვილებისადმი, რომელთა სახლსაც ის, გარკვეულწილად, თავისად აღიქვამდა, თანდათან იკლო. პატივმოყვარული ფანტაზიის გამო იგი ყოველთვის თვლიდა, რომ სიუკის მიუწვდომელი სილამაზისა და სიმკვირცხლის, აგრეთვე ჯეინის ენერგიულობისა და ჯადოსნობით გატაცების მიუხედავად, დარილს გამორჩეულად ის, ალექსანდრა უყვარდა — თითქმის მისნაირი ფიზიკური ძალის გამო, და იმიტომაც, რომ ორივე მათგანის ხვედრი მბრძანებლობა იყო. ეს თავისთავად იგულისხმებოდა.

— ბობ ოსგუდმა მიამბო, — განაგრძო ჯეინმა.

ბობ ოსგუდი „ოლდ სტოუნ ბენკის“ მთავარი განყოფილების პრეზიდენტი გახლდათ: ჯმუხი, რეიმონდ ნეფის ტიპისა, ოღონდ მასწავლებლისთვის დამახასიათებელი სირბილისა და ოფლის მოდენამდე დაშინების მანერის გარეშე, სოლიდური და საკუთარ თავში დარწმუნებული, უფრო იმიტომ, რომ ფულთან ჰქონდა საქმე. იგი სრულიად, ლამაზად მელოტი იყო. ახალგადაპარსული თავის ელვარებითა და ყურების, ქუთუთოების, ცხვირისა და თხელი, სწრაფი თითების სააშკარაოზე გამოტანილი სივარდისფრით ორთქლის აბანოდან ახალგამოსულს ჰგავდა.

— ბობ ოსგუდს ხვდები?

ჯეინის დუმილი ზიზღსაც ნიშნავდა პირდაპირ დასმული შეკითხვისადმი და იმასაც, რომ არ იცოდა, რა ეპასუხა.

— სამშაბათ საღამოს მე დებორას, მის ქალიშვილს ვამეცადინებ ხოლმე და იგი მის წასაყვანად მოდის, ერთი-ორჯერ ლუდზე დამეწვია. აი, ჰარიეტა ოსგუდი კი დიდი მომაბეზრებელი ვინმეა. რომ იცოდე, როგორ ხმარობს საბრალო ბობს!

„ხმარება“ — ერთ-ერთი სიტყვა იყო, რომელიც ახალგაზრდობამ დაამკვიდრა. ჯეინის პირით იგი ცოტათი ყალბად და მკვეთრად

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჟღერდა. მაგრამ ჯეინი იყო კიდეც უხეში, როგორც ყველა მასაჩუსეტსელი. თავის დროზე პურიტანიზმმა ცხვირი წაიტეხა მასაჩუსეტსის მკვიდრთა უხეშობაზე, მაგრამ ინდიელთა ლმობიერების წყალობით კონექტიკუტის მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტა თავისი სამრეკლოები და ციტადელებს ქვის კედლები შემოავლო, როდ-აილენდი კი კვაკერებს, იუდეველებს, თავისუფალი მორალის ქომაგებსა და ქალებს დაუტოვა.

— რა შეგემთხვა იმ სულელ ნეფებთან? — მოუთმენლად ჰკითხა ალექსანდრამ.

ჯეინმა მკვახედ გაიცინა, თითქოს მილში ჩაახველა.

— ამ ბოლო დროს კაცი ვეღარ ხმარობს. გრეტა იქამდე მივიდა, რომ ქალაქში ყველას ეუბნება, ვისაც კი მისი მოსმენა არ ეზარება, ფაქტობრივად, ასე უთხრა კიდეც სუპერმარკეტის მოლარე ბიჭს — მოდით და გამჟიმეთო.

ნასკვი გაკეთებული იყო, მაგრამ ვისი ხელით? ერთობლივად განხორციელებული ჯადოსნობა მოულოდნელად უმართავი ხდება, იმათ კონტროლს აღარ ექვემდებარება, ვინც ის გამოიწვია, თავისუფლებას იძენს და მსხვერპლსა და მწვალებელს ერთმანეთში ურევს.

— საბრალო გრეტა, — მოესმა ალექსანდრას საკუთარი ბუტბუტი. კუჭში პატარა ეშმაკუნები დაფათურობდნენ. მოუსვენრობა იგრძნო, მოუნდა, რომ თავის „ბალღებს“ დაჰბრუნებოდა და ისინი შვედურ გამოსაწვავ ღუმელში მოეთავსებინა, შემდეგ კი მდელოდან ზამთრის განმავლობაში დაცვენილი ტოტები შეეგროვებინა და გამხმარი ბალახისთვის ფოცხით შეეტია.

მაგრამ ჯეინი თავად მოსდგა მას.

— თავი დაანებე ამ თანაგრძნობით აღსავსე დედობრივ სისულელეს, — მოუჭრა მან მკვეთრად, — შენ ის თქვი, ჯენიფერის გადასვლას რა მოვუხერხოთ?

— აბა, რაღა შეგვიძლია, საყვარელო? თუ დავანახვებთ, რომ შეურაცხყოფილები ვართ, ყველა დაგვცინებს. თუმცა ეს ისტორია ქალაქს, ასე თუ ისე, მაინც გაართობს. ჯო მიყვება, ხალხი რას ჩურჩულებს. ჯინა თურმე დაუფარავად გვიწოდებს ალქაჯებს და ეშინია, რომ მუცელში ბავშვი გოჭად, გონჯად ან სხვა რამედ არ გადავუქციოთ.

— მერე? — იკითხა ჯეინ სმარტმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრა ფიქრებს მიუხვდა.

— შეგვიძლია, შელოცვის მსგავსი ვცადოთ. მაგრამ ეს რას შეცვლის? შენ ამბობ, რომ ჯენი იქ არის. მისი დაცვის ქვეშ.

— ოჰ, ეს უკვე სულ სხვა რამეა, დამიჯერე, — გაბმით თქვა ჯეინმა და შემკრთალი ტუჩებიდან ფრაზა გატყორცნილი ისარივით გაუფრინდა.

— სიუკი რას ამბობს?

— ისიც ჩემნაირად ფიქრობს. ეს შეურაცხყოფაა. ჩვენ გვიღალატეს. გველი გაგვიზრდია უბეში, ძვირფასო. ნამდვილი ასპიტი.

ამ საუბარმა ალექსანდრას ის ღამეები მოანატრა (რომლებიც ზამთრის გაჭიანურებასთან ერთად იშვიათობას წარმოადგენდა), როდესაც ყველანი შიშვლდებოდნენ, წყალში ეშვებოდნენ და, მარიხუანითა და კალიფორნიული შაბლით მოდუნებულნი, სტერეოფონურ სიბნელეში ტაინი ტიმის ხმებს უსმენდნენ, რომელიც ტრელსაც გამოსცემდა, ღრიალებდა კიდეც და შინაგან ორგანოებსაც გვარიანად უჯანჯღარებდა მათ. სტერეოფონურ ვიბრაციას შვება მოჰქონდა მათი გულებისთვის, ფილტვებისთვის, ნაწლავებისთვის და სრიალა სხეულებისთვის, იმ მეწამულ სივრცეში რომ მოთავსებულიყვნენ, რომლისთვისაც სუსტად განათებული ოთახი თავისი ასიმეტრიული ბალიშებით ერთგვარ გამაძლიერებელს წარმოადგენდა.

— ვფიქრობ, ყველაფერი ძველებურად იქნება, ან თითქმის ისევე, — არწმუნებდა იგი ჯეინს, — ყველაფრისდა მიუხედავად, მას ჩვენ ვუყვარვართ. ჯენი მისთვის იმის ნახევარსაც არ აკეთებს, რასაც ჩვენ. მართალია, დარილს მოსწონდა ჩვენთვის სიამოვნების მონიჭება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერს თანაბრად გაგვინაწილებენ.

— ოჰ, ლექსა, — ამოიოხრა ჯეინმა და მასში სინაზეც იგრძნობდა და სევდაც, — შენ მართლაც უმანკოების განსახიერება ხარ.

ალექსანდრამ ყურმილი დადო, მაგრამ თავს კვლავაც მოუსვენრად გრძნობდა. თანდათან უქრებოდა იმის იმედი, რომ წყვდიადიდან მოსული გადამთიელი, ბოლოს და ბოლოს, გამოითხოვდა მას, საკუთარი წარმოსახვის კუთხეში შეყუჟულს. ნუთუ მეფური სულგრძელობისთვის ჯილდოდ მხოლოდ იმას მიიღებს, რომ გამოიყენებენ და თავიდან მოიცილებენ? კარგად ახსოვდა ოქტომბრის დღე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როდესაც კაცმა იგი თავისი სახლის, თითქოს მათი ერთობლივი სამფლობელოს შესასვლელთან მიიყვანა, როდესაც მოქცევის დროს ფონს უნდა გასულიყო, სტიქია კი თითქოს დარჩენას სთხოვდა — ნუთუ შესაძლებელი იყო, რომ ამ უძვირფასეს მინიშნებებს უკვალოდ ჩაევლო? რა ხანმოკლეა ცხოვრება, როგორ სწრაფად ამოწურავენ ხოლმე მისი ზეციური ნიშნები თავიანთ დანიშნულებას. მან მარცხენა მკერდზე ხელი გადაისვა და თითქოს სიმსივნე იგრძნო. შეწუხებული და შიშით შეპყრობილი, ნაცრისფერი ციყვის მძივებივით მბრწყინავ თვალებს შეეფეთა, რომელიც საკვებურას სწვეოდა მზესუმზირის ჩენჩოებში საქექად. ეს პატარა, მკვრივი, ნაცრისფერ კოსტიუმსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი ჯენტლმენი სადილად მობრძანებულიყო. ერთი კი აამოძრავა ნამცეცა რუხი, ჩიტის ფეხებივით მშრალი ხელები და ადგილზე გაშეშდა, როდესაც ქალის გამჭრიახი და დაჟინებული, მუქარის შემცველი მზერა დაიჭირა. სწრაფი, მბრწყინავი თვალები ოვალური სახის გვერდებზე პატარა მუქი კოშკებივით ჰქონდა ჩასმული. პაწაწა თავის ქალიდან თვითგადარჩენის ინსტინქტი გაქცევისკენ მოუწოდებდა, მაგრამ ალექსანდრას მოულოდნელმა, მისკენ მიმართულმა დაძაბულმა მზერამ შუშის მეორე მხრიდანაც კი გაუყინა სიცოცხლის ეს ნაპერწკალი. ჭამაზე, გაქცევასა და სეზონურ შეწყვილებაზე დაპროგრამებული პატარა, ულონო სული თავისზე დიდსა და ძლიერს შეხვდა. — Morte, morte, morte[1], — წარმოთქვა გუნებაში ალექსანდრამ მტკიცედ და ციყვი მყისვე მოცელილივით დაეცა. კიდურების უკანასკნელი კრუნჩხვისგან საკვებურის პლასტმასის ხონჩის კიდიდან მზესუმზირის ჩენჩო გადმოიყარა, დიდებული, რუხი კუდის სულთანი[2] ნახევარი წუთის განმავლობაში კიდევ მოძრაობდა აქეთ-იქით, მერე კი ცხოველი დაწყნარდა. მისი ლეშის სიმძიმე ოდნავ აქანავებდა საკვებურს ხის ორ ტოტს შორის გაჭიმულ მავთულზე დამაგრებული კონუსისებური მწვანე სახურავის ქვეშ. პროგრამა გაუქმდა.

ალექსანდრა სინანულს არ გრძნობდა, პირიქით, ძალის მომხიბლავი შეგრძნებით ტკბებოდა. მხოლოდ იმას წუხდა, რომ მაღალყელიანი ჩექმები უნდა ჩაეცვა, გარეთ გასულიყო, პარაზიტებით სავ-

---

[1] *მოკვდი, მოკვდი, მოკვდი (ლათ.).*

[2] *სულთანი — აქ: პლუმაჟი — ფრთების კონა და მისთ. ქუდზე ან ცხენის აკაზმულობაზე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სე მძორისთვის კუდში ხელი ჩაევლო და ეზოს ბოლოში, ქვის კედლის ზემოდან, ბუჩქებში გადაეგდო, იქ, საიდანაც ჭაობი იწყებოდა. ცხოვრებაში იმდენი ნაგავი იყო — საშლელის ნამცეცები, გაბნეული ყავის მარცვლები, ფანჯრის ჩარჩოების მახეში გაბმული მკვდარი ბზიკები, — რომ მათი გატანა მუდმივად ითხოვდა ვიღაცის დროს, ყოველ შემთხვევაში, ეს, ძირითადად, ქალის საქმე იყო. როგორც ერთხელ დედამისმა უთხრა, ჭუჭყი ჩვეულებრივი ნივთიერებაა, რომელიც თავის ადგილზე არ დევსო.

ალექსანდრა იმან ანუგეშა, რომ საღამოს, როცა ბავშვები მის გარშემო ტრიალებდნენ და, ასაკის შესაბამისად, ზოგი მანქანას ითხოვდა, ზოგი საშინაო დავალების მომზადებაში დახმარებას, ზოგსაც კი დასაძინებლად წასვლა სურდა, მას ვან ჰორნმა დაურეკა, რაც საკმაოდ უჩვეულო იყო მათი შეკრებების შეწყვეტის შემდეგ, რომლებიც, როგორც წესი, სპონტანურად იმართებოდა. დარილი პირადად არავის იწვევდა ხოლმე, ისინი იქ ერთმანეთს ისე ხვდებოდნენ, რომ ვერც კი გაეგოთ, ეს როგორ ხდებოდა, თითქოს მათ მანქანებს — ალექსანდრას გოგრისფერ „სუბარუს“, სიუკის ნაცრისფერ „კორვეტსა“ და ჯეინის ჭაობისფრად მომწვანო „ველიანტს“, — რაღაც ფსიქიკური ძალების მძლავრი ნაკადი თავისით მიაქანებდა.

— კვირა საღამოს მეწვიეთ, — უთხრა დარილმა ნიუიორკელი ტაქსისტისთვის დამახასიათებელი ღრენით, — ძალზე უხალისო დღე იქნება. ერთი ნივთიერება მივიღე, რომლის გამოცდასაც ჩვენს ბანდაში ვაპირებ.

— კვირისთვის ძიძის პოვნა საკმაოდ ძნელი საქმეა, — მიუგო ალექსანდრამ, — ბავშვები დილიდან სკოლაში უნდა წავიდნენ და არჩი ბანკერის[1] საყურებლად შინ დარჩენას მოინდომებენ, — თავის უპრეცედენტო შეწინააღმდეგებაში ქალმა ჯეინ სმარტის მიერ მასში დათესილი ბრაზი შეიგრძნო, რომელიც ახლა მის ყოველ უჯრედს კვებავდა.

— კარგი რა. შენი ბავშვები დიდები არიან, ძიძა რაღაში სჭირდებათ?

---

[1] *არჩი ბანკერი — პოპულარული ტელესერიალის გმირი ამერიკის შეერთებულ შტატებში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მარსის სამ პატარას ვერ ავკიდებ, არ უჯერებენ. ამასთან, მან, შესაძლოა, მეგობრებთან წასვლა მოისურვოს და ამას ვერ დავუშლი, უსამართლობა იქნება, თუ შვილს საკუთარი ვალდებულებებით დავტვირთავ.

— რა სქესის არის ის მეგობარი, ვისაც ხვდება?

— ეს შენი საქმე არაა. გოგონაა, როგორც ყოველთვის.

— ღმერთო ჩემო, რას ილრინები, მე კი არ გაგაჩენინე ეგ პატარა თავხედები.

— ისინი თავხედები არ არიან, დარილ! მე მართლაც ცოტა დროს ვუთმობ შვილებს, შეიძლება ითქვას, რომ უგულებელვყოფ კიდეც.

საინტერესო ის იყო, რომ მას, როგორც ჩანს, სრულებით არ ადარდებდა მისი უარის მიზეზები. ადრე ასე არ ხდებოდა: მაშინ ეს მისი გულისკენ მიმავალი გზა იყო.

— ვინ იცის, — თქვა კაცმა რბილად, — რა არის უგულებელყოფა? დედაჩემს რომ უფრო მეტად უგულებელვეყავი, კარგი და მრავალმხრივი ნიჭის მქონე ბიჭი ვიქნებოდი.

— შენ ისედაც შესანიშნავი ბიჭი ხარ.

ამან ცოტა არაბუნებრივად გაიჟღერა, მაგრამ ქალს მოეწონა, რომ კაცი ნდობის აღდგენას ცდილობდა.

— დიდი მადლობა, შენი დედაც... — თქვა კაცმა აუტანელი უხეშობით, — კარგი, შევხვდებით, როცა ჩემთან მოხვალ.

— ძალზე თავდაჯერებული კი ხარ.

— ვინ არის თავდაჯერებული? მე ძალას არ გატან, კვირას, საღამოს შვიდისთვის. სამოსი გემოვნების მიხედვით.

ქალს აინტერესებდა, თუ რატომ უნდა ყოფილიყო შემდეგი კვირა დღე უსიცოცხლო. მან სამზარეულოს კედელზე ჩამოკიდებულ კალენდარს შეხედა, რომელზეც რიცხვები ერთმანეთზე შროშანებით იყო გადახლართული.

აღდგომის საღამო გაზაფხულის თბილ საღამოში გადაიზარდა, სამხრეთის ქარი ცდილობდა, რომ მთვარე კვლავ დაუდგრომელ, უფერულ ღრუბლებში მოექცია. უკუქცევას დამბაზე ვერცხლისფერი გუბეები დაეტოვებინა. კლდეებს შორის ჭაობის ქორფა, მწვანე ბალახი ამოზრდილიყო. ალექსანდრას მანქანის ფარები აქეთ-იქით არწევდა ჩრდილებს კაჭრებსა და ხეებით შემოხლართულ ჭიშკარს შორის. სახლთან მისასვლელი გზა იქით უხვევდა,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სადაც ოდესღაც ყანჩები ბინადრობდნენ, ახლა კი ლავასავით დანაოჭებული და დამძიმებული ჩოგბურთის კორტის ბუშტი იდო. მანქანამ აღმართი აიარა და უცხვირო ქანდაკებებით გარშემორტყმულ მდელოს შემოუარა. განათებული ფანჯრების ბადის ფონზე სახლის დიდებული, ბუნდოვანი სილუეტი მოჩანდა. რა დროსაც უნდა მოსულიყო აქ ალექსანდრა, დღისით თუ ღამით, საზეიმოდ განწყობილი გული მუდამ უფანცქალებდა. იგი ვიღაც მნიშვნელოვან პიროვნებასთან შეხვედრას ელოდა. ეს ვიღაც — ამას კარგად აცნობიერებდა, — თვითონვე უნდა ყოფილიყო, ყოველგვარი შელამაზებისა და შემაკავებელი მომენტების გარეშე, მიტევებული და გაშიშვლებული, მაღლა აწეული თავით, ნორმალური წონითა და ნებისმიერი ზრდილობიანი შეთავაზებისთვის გახსნილი, მშვენიერი უცნობი ქალი, მისი საკუთარი „მე“. მომდევნო დღის დიდი მოწყენილობაც კი ვერ აღმოფხვრიდა მასში ლენოქსების სახლის ნახვის მოლოდინით გამოწვეულ ხალისიან გუნება-განწყობილებას. მისი ყველა საზრუნავი უკვალოდ ქრებოდა შემოსასვლელშივე, სადაც გოგირდის სუნი ეგებებოდა და ნამდვილი სპილოს ფეხი იდგა ქოლგების ჩასაწყობად, ძველებური ბუნიკებითა და სახელურებით, რომელიც, თუ კაცი ყურადღებით შეხედავდა, ლამაზ ზოდად გადაიქცეოდა. დაკეცილი ქოლგის შესაკრავი ზორტი და კნოპი ხელოვნების კიდევ ერთ, კომიკურ ნაწარმოებს წარმოადგენდა.

ფიდელმა ალექსანდრას მამაკაცის ქარგაუმტარი, ელვაშესაკრავიანი ქურთუკი ჩამოართვა. ბოლო დროს ქალი სულ უფრო რწმუნდებოდა, რომ კაცის ტანსაცმელი უფრო მოსახერხებელი იყო. იგი ჯერ ამგვარ ფეხსაცმელსა და ხელთათმანზე გადავიდა, შემდეგ — ველვეტისა და ბამბის შარვალზე, რომლებიც წელში ისეთი ვიწრო არ იყო, როგორც ქალისა, ბოლოს კი — მამაკაცის ლამაზ, თავისუფლად მომდგარ, ეფექტურ სამონადირეო და საყოველდღეო ქურთუკებზე. „რატომ უნდა გრძნობდნენ მოხერხებულად თავს მხოლოდ ისინი, მაშინ, როცა ჩვენ „შპილკებითა“ და მონური მოდის ათასგვარი სადისტური ხრიკებით ვიტანჯავთ თავს?“ — ფიქრობდა ალექსანდრა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— Buenas noches, senora, — მიესალმა ფიდელი, — Es muy agradable tenerla nuevamente en esta casa.[1]

— მისტერ ვან ჰორნმა ყველაფერი მოამზადა მხიარული წვეულებისთვის, — თქვა მის უკან მდგარმა რებეკამ, — ქვემოთ ბევრი ცვლილება გელით.

ჯეინი და სიუკი უკვე მუსიკალურ სასტუმრო ოთახში იყვნენ, სადაც რამდენიმე ოვალურზურგიანი, მოვერცხლილი სკამი იდგა. ქრის გებრიელი კუთხეში, ლამპის გვერდით გაშხლართულიყო და „როლინგ სტოუნზს“ კითხულობდა. ოთახის დარჩენილი ნაწილი ნაირფერ სანთლებს გაენათებინა, რომლებიც კედლებზე მიმაგრებულ, აბლაბუდით შემოწნულ კანდელაბრებში იყო მოთავსებული. თითოეული მათგანის ორპირი ქარით გაწვალებული ალი ნამცეცა სარკეებში მეორდებოდა. მათი აურა დამატებით, მძაფრ ფერს ქმნიდა: მწვანე ნარინჯისფერ ნათებას შთანთქავდა და მუდმივად აირეკლებოდა ისე, როგორც ეს ერთმანეთში შეურევადი ქიმიური ნივთიერებების ჭიდილში ხდება. ძველმოდურ, მაგრამ ფართოგადანაკეცებიან, ჭვარტლისფერ ორბორტიან სმოკინგში გამოწყობილი დარილი ალექსანდრას მიუახლოვდა და ცივად გადაკოცნა. ნერწყვიც ცივი ჰქონდა. ჯეინს სიბრაზისგან აურა ოდნავ ამღვრეოდა, სიუკისა კი, როგორც ყოველთვის, ვარდისფერი და მხიარული იყო. ქალებს სვიტერები და შარვლები ეცვათ, რაც სრულებით არ შეეფერებოდა ამ წვეულებას.

სმოკინგში დარილი ჩვეულებრივზე ნაკლებად ღვარჭნილი და მოუქნელი ჩანდა. მან ბაყაყისებური ყელი ჩაიწმინდა და განაცხადა:

— რას იტყვით კონცერტის შესახებ? გოგონებო, თავში რამდენიმე იდეა მომივიდა და მაინტერესებს, მოგეწონებათ თუ არა. პირველი ნომრის სახელწოდებაა... — მან სიტყვა შუაზე გაწყვიტა, წვრილი და წვეტიანი მომწვანო კბილები უელავდა, ისეთი პატარა სათვალე ეკეთა, რომ კაცს გუგაზე მიწებებული ეგონებოდა, — „ბერკლის მოედანზე ბულბული ბუგის მღეროდა“.

კლავიშებმა მრავალი ნოტი გამოსცეს, თითქოს ერთდროულად რამდენიმე ადამიანი უკრავდა. მარცხენა ხელი დაბალ ხმაზე

---

[1] *საღამო მშვიდობისა, სენიორა... ძალზე სასიამოვნოა, კვლავაც რომ გხედავთ ამ სახლში (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაურკვეველ რიტმს იძლეოდა, მხიარულს, მაგრამ საავდრო ღრუ-ბელივით ბნელს, რომელიც ზედ ხის კენწეროების თავზე იზრდე-ბოდა, შემდეგ მარჯვენა ხელი აიტაცებდა ხოლმე მერყევ წყვეტილ ფრაზებს, ასე რომ, თანდათანობით მელოდია, ცისარტყელასებრი მელოდია წარმოიქმნებოდა. შეგეძლოთ ისიც დაგენახათ, ნისლში გახვეული ინგლისური პარკიც, ლონდონის მარგალიტივით ცაც, ჩახუტებული ცეკვაც, და იმავდროულად გეგრძნოთ ამერიკული გრუხუნი ქვიშაქვით ნაგები ხარისხიანი საროსკიპო ზარით, რო-მელსაც მხოლოდ ამ კონტინენტზე თუ მოიგონებდნენ მდინარის-პირა სამხრეთის ქალაქის მორთულ-მოკაზმულ ბორდელებში. მე-ლოდია ბანებს უახლოვდებოდა, მიჩოჩება-მიჩოჩებაში ბანი ბულ-ბულს ყლაპავდა, რასაც წარმოუდგენლად რთული, გრიგალივით მუსიკა მოსდევდა, რომლის დროსაც ვან ჰორნის გაფითრებული სახიდან კლავიატურაზე ოფლის წვეთები ეცემოდა და მისი დაძა-ბული ღრუტუნი მელოდიას ანაგვიანებდა. ალექსანდრას წარმო-სახვაში კაცის ხელები უფერული, ცვილის მანიპულატორი იყო, ზემოთ-ქვემოთ მფრინავი თითები, რომელთა დაძაბული მყესები და კუნთები როიალის სიმებსა და ბერკეტებს, ქეჩის პატარა ჩაქუჩებს შეზრდოდა, მისი ძლიერი, გაბმული ხმა კი უგრძეს ფრჩხილად მო-ჩანდა. მუსიკალური თემები უკანა პლანზე ინაცვლებდა, ცაში ისევ ცისარტყელა ჩნდებოდა, საავდრო ღრუბელი წყნარ ცაში უჩინარ-დებოდა, კვლავ ცოცხლდებოდა მელოდია უცნაურად მაღალ მი-ნორულ გასაღებში, რომელიც ექვსი დაღმავალი, სულ უფრო და უფრო ხმადაბალი აკორდების აღებით, თავს დატეხილი სინკოპით მიიღწეოდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ საფორტეპიანო არფის გუგუნი ის-მოდა.

— ექსცენტრიკული იყო, — თქვა ჯეინ სმარტმა ცივად.

— მსგავსი რამ არასოდეს მომისმენია, — სცადა სიუკმა მას-პინძლის დარწმუნება, რომელიც დაძაბულობის დაცხრომის შემდეგ მათ წინაშე თვალმოჭუტული იდგა, — მართლა, ძვირფასო.

— კინაღამ ავტირდი, — გულწრფელად დაამატა ალექსანდრამ. მასში წარსულის მოგონებები და მომავლის კონტურები ერთმანეთს გადაჯაჭვოდა. მუსიკა თავისი ლამპიონების მფეთქავი შუქით ჩვენი ყოფიერების გამოქვაბულს ანათებს.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარილი შეცბუნებული ჩანდა ქალების შექებით და მზად იყო, მასში ბოლომდე განზავებულიყო. მან გაბურძგნილი თავი ისე გააქნია, როგორც წყლიდან ამოსული ძაღლი იბერტყავს ტანს, შემდეგ კი იმავე ორი თითის შეუმჩნეველი მოძრაობით, რომლებითაც პირის კუთხეები მოიწმინდა, ყბები თითქოს ძველ ადგილზე დააბრუნა.

— მგონი, ურიგო მართლაც არ იყო, — დაეთანხმა იგი, — კარგი, ახლა კი ეს მოვისმინოთ — „რა მაღლა დაცურავს მთვარე“.

მეორე გამოსვლამ უფრო ცუდად ჩაიარა, თუმცა იგივე ჯადოსნობა მოქმედებდა. ქურდობისა და გარდაქცევების ჯადოსნობა, ფიქრობდა ალექსანდრა, მხოლოდ საოცარ კომბინაციათა გამბედაობაა, გულწრფელი შემოქმედებითი გზნების გარეშე. მესამე ნომრად „ბითლზის“ ნაზი მელოდია Yesterday [1] წარმოადგინეს, სამბის ადვილად დასამახსოვრებელ რიტმებად დაყოფილი. მან ყველა გააცინა, მაგრამ არც მას ჰქონდა პირველის ეფექტი, თუმცა, შესაძლოა, ეს ასეც იყო ჩაფიქრებული.

— მაშ ასე, — თქვა ვან ჰორნმა და ფეხზე წამოდგა, — აი, ჩემი იდეა. ნიუიორკელმა მეგობარმა, რომელიც ხმის ჩამწერი სტუდიის ადმინისტრატორს კარგად იცნობს, მითხრა, რომ თუ ათიოდე ასეთ ნაწარმოებს მოვამზადებთ, შეგვიძლია ფული ვიშოვოთ და ეს დაწესებულება შევინარჩუნოთ. რას იტყვით?

— ჩემი აზრით, ცოტა უჩვეულო რამაა, — თქვა სიუკმა და სერიოზული სახის მისაღებად მსუქანი ზედა ტუჩი ქვედას დააფარა, თუმცა ამას მაინც დაცინვის ელფერი დაჰკრავდა.

— რა არის უჩვეულო? — იკითხა ვან ჰორნმა და სახე მტკივნეულად დაებრიცა, — ტაინი ტიმი უჩვეულო იყო. ლიბერასიც უჩვეულო გახლდათ. ლი ჰარვი ოსვალდს[2] ხომ ნუღარ იკითხავთ. ჩვენს დროში ოდნავი ყურადღების მისაპყრობადაც კი ამ ქვეყნისა არ უნდა იყო.

— ამ დაწესებულებას ფული ესაჭიროება? — მკვახედ იკითხა ჯეინ სმარტმა.

— ასე მითხრეს, ძვირფასო.

— ვინ? — ჰკითხა სიუკმა.

---

[1] *გუშინ (ინგლ.).*

[2] *ოსვალდი, ლი ჰარვი (1939 — 1963) — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობაში ერთადერთი ოფიციალური ეჭვმიტანილი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ვიღაც-ვიღაცებმა, — დაბნეულად უპასუხა და თვალმოჭუტული მიაცქერდა ანთებულ სანთლებს, თითქოს მათ გარდა არაფრის დანახვა არ შეეძლო, — ბანკირთა წარმომადგენლებმა, მომავალმა პარტნიორებმა, — და მოულოდნელად მან, ძველ შავ სმოკინგში გამოწყობილმა, საშინელებათა ფილმის მასხარას სტილში ყველას თავი დაუკრა და კოჭლი კაცივით რევერანსი გააკეთა. ფეხებს არასწორად ამოძრავებდა, თითქოს სახსარში ჰქონდა ამოვარდნილი, — გვეყოფა საქმეზე ლაპარაკი, — დაასრულა ბოლოს და იქ მყოფთ მიმართა, — სასტუმრო ოთახში წავიდეთ და დავთვრეთ.

რაღაც იგეგმებოდა. ალექსანდრამ შინაგანი ბიძგი იგრძნო: გაჩნდა დეპრესიის უსასრულო, გლუვი ფერდობი — თითქოს მასში ცნობიერებაში ჩამალული გადამწოდით მართვადი ავტომატური კარი გაიღო და მოახლოებული წყვდიადისგან ველარაფერი დაიცავდა — ვერც ტკბილი ძილი, ვერც აბები და ვერც მზიანი დილა. მისი ცხოვრება ქვიშის კოშკი იყო და იცოდა, რომ ყველაფერი, რასაც დღეს ნახავდა, მწუხარებად გადაიქცეოდა.

სასტუმრო ოთახში პოპარტის საშინელი, მტვრით დაფარული ქმნილებები სევდიანად გამოიყურებოდა. ზემოთ მოთავსებულ სანათებს რამდენიმე ფლუორესცენციული ლამპა აკლდა, ზოგიც ზუზუნით ციმციმებდა. დიდი, გრძელი ოთახი გაცილებით მეტ ხალხს მოითხოვდა, რათა იგი მოულოდნელ მხიარულებას აეჟრიამულებინა, მისი დანიშნულება ხომ სწორედ ეს იყო. ოთახი ალექსანდრას იმ ეკლესიებს აგონებდა, რომლებიც კოლორადოს პიონერებმა ააგეს მთის გზების გასწვრივ, და რომლებსაც იშვიათად თუ ეწვეოდა ვინმე. ეს უფრო დაცემა იყო, ვიდრე უარყოფა. ყველანი ძალზე დაკავებულნი იყვნენ თავიანთ სატვირთო პიკაპებში სანთლების გამოცვლით ან შაბათის ღამის შემდეგ ძალების აღდგენით. მანქანის დასაყენებელი ადგილები ბალახს დაეფარა, თუმცა სადგამიანი სკამები ჯერაც ინახავდა საეკლესიო ჰიმნების კრებულებს.

— ჯენი სად არის? — იკითხა ალექსანდრამ.

— ლედი ლაბორატორიას ალაგებს, — თქვა რებეკამ, — იმდენს მუშაობს, მეშინია ჯანმრთელობამ არ უმტყუნოს.

— როგორ მიდის იქ საქმეები? — ჰკითხა სიუკმა დარილს, — როდის შევძლებ კილოვატებით სახურავის შეღებვას? ადამიანები

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კვლავაც მაჩერებენ ქუჩაში და ამის შესახებ მეკითხებიან. მე ხომ თქვენზე სტატია დავწერე.

— დიახ, — ჩაიბურტყუნა მან. მუცლით მეზღაპრის მსგავსად, ხმა მისი თავის გვერდით მდებარე რომელიღაც ჭიდან ამოდიოდა, — როგორც გავიგე, ის ბებერი სულელები, შენ რომ გებრიელების ძველი ხარახურა მიჰყიდე, ჩემს იდეას ლანძღავენ. მაგათი დედაც... ისინი ლეონარდოს დასცინოდნენ. ისინი იმ ბიჭსაც დასცინოდნენ, ელვაშესაკრავი რომ გამოიგონა, დალახვროს ეშმაკმა, დამავიწყდა, რა ერქვა. ის გამომგონებლობის ერთ-ერთი ხოტბაშეუსხმელი გენიოსია. ვცადე გამერკვია, მიზნის მისაღწევად მიკროორგანიზმების გამოყენება ხომ არ დაგვჭირდება-მეთქი. ისეთი თვითაღდგენადი მექანიზმი უნდა შევქმნათ, რომელიც მუდამ ხელთ გვექნება. ეს ბიოტექნოლოგიაა: თუ იცით, ვინ უსწრებს ყველას ბუნებრივი გაზის მოპოვების ტექნოლოგიებით? ჩინეთი, წარმოგიდგენიათ?

— იქნებ შესაძლებელია, რომ როგორმე ნაკლები ელექტროენერგია მოვიხმაროთ? — ჰკითხა სიუკმა და როგორც მიჩვეული იყო, ინტერვიუს ასაღებად მოემზადა, — და უფრო მეტი საკუთარი ძალა? ხომ არავის გვჭირდება, მაგალითად, დასაჭრელი ელექტროდანა.

— გჭირდებათ, თუ იცით, რომ ის თქვენს მეზობელს აქვს, — მიუგო ვან ჰორნმა, — მერე კი კიდევ ერთი დაგჭირდებათ პირველის შესაცვლელად. და კიდევ ერთი. კიდევ. ფიდელ! Deseo beber![1]

უბადრუკ, ფორმადაკარგულ, ხაკისფერ, ომის საფრთხის მიმანიშნებელ პიჟამაში გამოწყობილმა მსახურმა ლანგრით სასმელები, huevos picantes[2] და პალმის კაკლის გულები შემოიტანა. ჯენის არყოფნაში, რაც უჩვეულო იყო, საუბარი უინტერესოდ მიმდინარეობდა. ისინი უკვე მისჩვეოდნენ ქალიშვილს, შეეძლოთ ეტრაბახათ მასთან, გაერთოთ, გაეოცებინათ, ჭკუა დაერიგებინათ. მისი დუმილი და ფართოდ გახელილი თვალები აკლდათ. ალექსანდრა, იმ იმედით, რომ ხელოვნება, ნებისმიერი ხელოვნება შეძლებდა უწყვეტად მიმდინარე მელანქოლიის შეჩერებას, ისე დადიოდა გიგანტურ ჰამბურგერებსა და ხელშუბების კერამიკულ სამიზნე დაფებს შორის, თითქოს მათ პირველად ხედავდა. მას მართლაც არ ენახა ყველაფერი.

---

[1] *დასალევი (ესპ.).*

[2] *კვერცხი პიკანტური სოუსით (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ოთხი ფუტის სიმაღლის, შავად შეღებილი ფანერის კვარცხლბეკზე, გამჭვირვალე ზარის ქვეშ, მოთავსებული იყო სამგანზომილებიანი უეინ ტიბოს[1] ირონიულ-რეალისტური ასლი — თეთრი ფერის მოსარკული საქორწილო ტორტი. მაგრამ მასზე ჩვეულებრივი ნეფე-პატარძლის ნაცვლად ორი შიშველი ფიგურა მოეთავსებინათ: ქერათმიანი ქალის ვარდისფერი, მომრგვალებული სხეული და შავთმიანი, უფრო მუქი ვარდისფერი მამაკაცი მკვდარივით გაფითრებული, ერთი სანტიმეტრი სიგრძის ნახევრად ამდგარი პენისით. ალექსანდრას აინტერესებდა, რა მასალისგან დაემზადებინათ ეს ქმნილება: ტორტს ჩამოსხმული ბრინჯაო და მოჭიქული კერამიკის საფარი აკლდა. მან გადაწყვიტა, რომ ეს აკრილის თაბაშირი იყო. რებეკას გარდა, რომელსაც თეფშით ხი-ხი პასტით დაფარშული პატარა კობორჩხალები მიჰქონდა, მას ვერავინ ხედავდა. ამიტომ ალექსანდრამ ზარი ასწია და მოჭიქულ კიდეს შეეხო. შეეხო და პატარა ნატეხი ჩამოუტყდა კიდეც. ალექსანდრამ თითი გაილოკა. ეტკბილა. იგი მართლაც მოესარკათ, ნამდვილი ტორტი იყო, ახალი.

დარილი ხელების ქნევით სიუკსა და ჯეინს ენერგეტიკის საკითხებისადმი სხვა მიდგომას უხსნიდა.

— თუ შახტს ამოვთხრით, გეოთერმულ ენერგეტიკას მივიღებთ. რატომაც არა, დალახვროს ეშმაკმა! ალპებში ყოველდღე ოცდაათკილომეტრიან გვირაბებს თხრიან. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ტრანსფორმატორი არ გადაიწვას. ლითონი ისე გადნება, როგორც კალის ჯარისკაცები ვენერაზე. პასუხი არ გაინტერესებთ? იგი საოცრად მარტივია. ქვა. ყველა მანქანა, ამძრავი და აირტურბინა ქვისგან უნდა დაშზადდეს. ეს შესაძლებელია! გრანიტის ჭრა ისევე კარგად შეიძლება, როგორც ფოლადის ღარვა. ზამბარები კი ცემენტისგან ჩამოისხმება, წარმოგიდგენიათ? ყველაფერი ელემენტარული ნაწილაკების დონეზე ხდება. ფოლადშიც ისევეა, როგორც კაჟბადში იყო ბრინჯაოს ხანაში.

მეორე ქმნილება, რომელიც ალექსანდრას ადრე არასდროს შეუმჩნევია, პრიალა ქალი-მანეკენი გახლდათ ჩვეული მქრქალი კანისა და სახსრებით მოძრავი კიდურების გარეშე, კინჰოლცის ნამუშევარი, მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრით, ოღონდ მიშზიდველი და

---

[1] *ტიბო, უეინ (დაიბ. 1920) — ამერიკელი მხატვარი, პოპარტის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომ ვასელმანის[1] მანერისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული. ქალი თითქოს იმიტომ დახრილიყო, რომ უკნიდან გაეჟიმათ. უაზროდ ალერსიანი სახე ჰქონდა და იმდენად სწორი ზურგი, რომ მაგიდის გადასაკრავადაც გამოდგებოდა. ხერხემლის სვეტი ყასბის გეჯაზე სისხლის ჩასადენად გაკეთებული ღარივით სწორი იყო. დუნდულები მოტოციკლეტის ერთმანეთთან შეერთებულ თეთრ ჩაფხუტებს ჰგავდა. ქანდაკებამ ალექსანდრა მისი საკუთარი ფორმების მკრეხელური გამარტივებით ააღელვა. მან ფიდელის ლანგრიდან კიდევ ერთი ბოკალი „ზიზილა“ აიღო, მარილი დაამატა (ის, რომ ალქაჯები მარილს ვერ იტანენ, მითი და აბსურდული ცილისწამებაა. გვარჯილა და ვირთევზას ღვიძლის ცხიმი, რომლებიც ქრისტიანულ სათნოებასთან ასოცირდება — აი, რა სძულთ მათ), მასპინძელს მიუახლოვდა და უთხრა:

— დღეს რაღაც აღგზნებული და იმავდროულად ცოტა დანაღვლიანებული ვარ. მინდა აბაზანა მივიღო, ჩემი წილი მარიხუანა მოვწიო და შინ წავიდე. ძიძას სიტყვა მივეცი, თერთმეტის ნახევრისთვის დავბრუნდები-მეთქი. ეს მეხუთე გოგო იყო, ვისი დაქირავებაც ვცადე. მესმოდა, როგორ უყვიროდა დედამისი ეზოში. მშობლები შვილებს ჩვენთან მოახლოებასაც კი უკრძალავენ.

— გულს ნუ მიკლავ, — მიუგო ვან ჰორნმა. იგი გაოფლიანებული და შეცბუნებული იყო გეოთერმულ ღუმელში შეხედვის შემდეგ, — მოვლენებს ნუ დააჩქარებ. ვგრძნობ, რომ ჯერ ცოტა დავლიე. ჩვენ ყველაფერი გათვლილი გვაქვს. ჯენი მალე ჩამოვა.

ვან ჰორნის ამღვრეულ, დასისხლიანებულ თვალებში ალექსანდრამ უცხო გამომეტყველება შეამჩნია: იგი შეშინებული ჩანდა, მაგრამ რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

ჯენი უხმაუროდ ჩამოვიდა ნოხით დაფარულ კიბეზე და, როგორც იქნა, გრძელ ოთახში შევიდა. თმა ევა პერონივით[2] უკან გადაევარცხნა. კვამლივით ცისფერი აბაზანის ხალათი იატაკამდე სწვდებოდა. მასზე, მკერდის ადგილას, დიდი ბუტონიერების მსგავსი სამი ნაქარგი მოუჩანდა, რომლებიც ალექსანდრას სამხედრო განმასხვავებელ ნიშნებს აგონებდა. ჯენის გაუღიმარი სახე ფართო, მომრგვა-

[1] *ვასელმანი, ტომ (1931-2004) — ამერიკელი მხატვარი და გრაფიკოსი.*

[2] *პერონი, ევა (1919-1952) — არგენტინის პრეზიდენტის, ხუან პერონის მეორე ცოლი, არგენტინის პირველი ლედი 1946-1952 წლებში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლებული შუბლითა და მტკიცე, წაწვეტებული ნიკაპით, ყოველგვარი კოსმეტიკის გარეშე, სისპეტაკის განსახიერება იყო.

— არ დათვრე, დარილ, — მიმართა მან ვან ჰორნს, — მთვრალი უფრო გონებაჩლუნგი ხდები.

— მაგრამ უფრო შთაგონებულიც, — ჩვეული სიმკვირცხლით თქვა სიუკმა და შეეცადა სწორი კილო შეერჩია ახალ ადგილზე ამ ახალ ქალთან სასაუბროდ, რომელსაც, ასე თუ ისე, მეურვეობას უწევდნენ.

ჯენიმ მას ყურადღება არ მიაქცია და მიიხედ-მოიხედა.

— პატარა ქრისი სად არის?

— ყმაწვილი ბიბლიოთეკაშია, ჟურნალებს კითხულობს, — უპასუხა რებეკამ თავისი კუთხიდან.

ჯენიმ წინ ორი ნაბიჯი გადადგა და თქვა:

— შეხედე, ალექსანდრა, — მან ქამარი შეიხსნა, კალთები გადასწია და მომრგვალებული თეთრი სხეული გამოაჩინა ბავშვური ქონის ფენებითა და მამაკაცის ხელისგულზე უფრო პატარა რბილი თმის ბუჩქით, შემდეგ კი ალექსანდრას სთხოვა, რომ მის მკერდზე ნახევრად გამჭვირვალე კორძი შეეთვალიერებინა, — როგორ გგონია, ზომაში მატულობს, თუ მეჩვენება? და კიდევ აი, აქ, — თქვა მან და მისი თითები იღლიის ქვეშ შეაცურა, — ვერ გრძნობ პატარა კოპს?

— რთული სათქმელია, — მიუგო ამ შეხებით აღელვებულმა ალექსანდრამ. ეს ხშირად მომხდარა სააბაზანოს ბნელ, ორთქლით გაჯერებულ ოთახში, მაგრამ არა აქ, ფლუორესცენციული ლამპებით გაბდღვრიალებულ ადგილას, — ყოველ ჩვენგანს დაბადებიდანვე დაჰყვება თან პატარ-პატარა სიმსივნეები. მე ვერაფერს ვგრძნობ.

— კონცენტრირებული არ ხარ და იმიტომ, — თქვა ჯენიმ და ჟესტით, რომელიც სხვა სიტუაციაში სიყვარულის გამომხატველი იქნებოდა, ალექსანდრას მაჯაზე თითები შემოაჭდო და მისი ხელისგული იღლიის ქვეშ მიიდო, — აქაც რაღაც მსგავსია. ყურადღება მოიკრიბე, ლექსა, თუ შეიძლება.

მოპარსული თმის პატარა ჯაგრისი. წასმული პუდრის აბრეშუმოვნება. უფრო ღრმად კი კოპები, ვენები, ჯირკვლები და კვანძები. არაფერია ბუნებაში სრულიად ერთგვაროვანი. სამყარო ნაუცბადევად არის შექმნილი.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— გტკივა? — ჰკითხა ალექსანდრამ.

— თითქოს არა. მაგრამ რაღაცას ვგრძნობ.

— ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება, — განაცხადა ალექსანდრამ.

— იქნებ ეს რამენაირად ამასთან არის დაკავშირებული? — ჯენიმ თავისი მკვრივი, კონუსისებრი ძუძუ ასწია, რათა გამჭვირვალე კორძი ეჩვენებინა, რომელიც ნამცეცა ფერად კომბოსტოს თუ ვარდისფერი მოპსის დალმეჭილ დრუნჩს წააგავდა.

— არა მგონია. ამგვარი რამ ყველა ქალს აქვს.

უეცრად ჯენიმ მოუთმენლად გადადო ერთმანეთზე ხალათის კალთები და ქამარი შემოიჭირა, შემდეგ კი ვან ჰორნს მიუბრუნდა:

— ამათ უკვე უთხარი?

— ძვირფასო, ძვირფასო, — წარმოთქვა მან ღიმილით და პირის კუთხეები ორი ათრთოლებული თითით მოიწმინდა, — ჩვენ ეს საზეიმოდ უნდა გამოვაცხადოთ. ფიდელ, მომიტანე სოდიანი წყალი, aqua gaseosa, o horchata, por favor. Pronto, gracias.[1]

— საქორწილო ტორტი! — შესძახა ალექსანდრამ და თავისივე ვარაუდისგან ტანში გააცივა.

— სულ ახალია, პატარა სენდი, — თქვა ვან ჰორნმა, — შენ ხომ უკვე გაუსინჯე გემო. დავინახე, როგორ ჩაყავი შიგ თითი და გალოკე, — კბილი გაჰკრა მან.

— ეს ჯენის საქციელს არ ჰგავს. ვერ ვიჯერებ. ვიცი, რომ ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ არ მჯერა.

— გიჯობთ, დაიჯეროთ ეს, ქალბატონებო. მე და გოგონამ გუშინ დღის ოთხის ნახევარზე ვიქორწინეთ. ყველაზე საშინელ პატარა მომრიგებელ მოსამართლესთან აპონაუგეში. მას ენა ებმოდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ენაბლუს ლიცენზიის მიღება შეეძლო. „თ-თ-თ-ანახმა ხართ თ-თ-თ-თ-თ...“

— ოჰ, დარილ, ეს შეუძლებელია! — იყვირა სიუკმა და ისე ძლიერ გაჭწელა ტუჩები დაღვრემილ ღიმილში, რომ ზედა ღრძილებზე ჩაღრმავებები გამოუჩნდა.

ალექსანდრას გვერდით მჯდომი ჯეინ სმარტი აღშფოთებული სისინებდა.

---

[1] *გაზიანი წყალი ან წვენი, გეთაყვა. სწრაფად, გმადლობთ (ესპ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— როგორ შეგეძლოთ, ასე მოგვქცეოდით ჩვენ? — იკითხა სიუკმა.

სიტყვამ „ჩვენ“ ალექსანდრას გაოცება გამოიწვია, ამგვარი განცხადებისგან მუცელში სპაზმებმა დაუარა.

— ასე მალულად, — განაგრძო სიუკმა და სახის ჩვეული, მხიარული გამომეტყველება ცოტა დაძაბული გაუხდა, — წვეულებას მაინც მოვაწყობდით პატარძლისთვის საჩუქრების მისართმევად.

— ანდა ქვაბებით ცხელ კერძებს მოვიტანდით, — წაიყოყოჩა ალექსანდრამ.

— მოახერხა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ჯეინმა, მაგრამ, ცხადი იყო, რომ ალექსანდრასა და სხვების გასაგონად ამბობდა, — ფაქტობრივად, გაიმარჯვება შეძლო.

ჯენის წამოაცხელა.

— კი არ მოვახერხე, თავისით გამოვიდა, — სცადა მან თავის მართლება, — სულ აქ ვიყავი და ბუნებრივია...

— ბუნებრივია, ბუნება თავისი საძაგელი, ბუნებრივი გზით წავიდა, — ლაქლაქს არ წყვეტდა ჯეინი.

— დარილ, რა აღმოაჩინეთ მასში? — ჰკითხა კაცს სიუკმა რეპორტიორის მეგობრული და მტკიცე ხმით.

— ეს ერთი ჩვეულებრივი ამბავია, — მორიდებით მიუგო მან, — დადინჯება მომინდა. მომავლის რწმენის შეგრძნობა. შეხედეთ მას. განა მშვენიერი არ არის?

— სისულელეა, — ჩუმად წაისისინა ჯეინმა.

— მე მიყვარს ჩვენი პატარა ჯენი, — თქვა სიუკმა, — მაგრამ თქვენდამი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, გეტყვით, რომ იგი სულელია.

— კარგი, გეყოფათ, ეს სადაური წვეულებაა? — უმწეოდ წარმოთქვა ბრგე მამაკაცმა, მის გვერდით ხალათში გახვეულ პატარძალს წარბიც არ შეუხრია, იგი, როგორც ყოველთვის, უმანკოების სუსტ ფარსა და მეშჩანის უმეცრებას ამოჰფარებოდა. არა, მისი ტვინი ნაკლებად განვითარებული სულაც არ იყო, შესაძლებლობებიც მსგავსი ჰქონდა, მაგრამ იგი არითმომეტრის კლავიატურას ჰგავდა საბეჭდ მანქანასთან შედარებით. ვან ჰორნი საკუთარი ღირსების შენარჩუნებას ცდილობდა, — მომისმინეთ, ბოზებო, — თქვა მან, — რატომ გგონიათ, რომ თქვენი რაიმე მმართებს? არასოდეს მომიხუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რავს თქვენთვის კარი, გაჭმევდით, გასმევდით და ცოტათი მაინც გილამაზებდით თქვენს ქეციან ცხოვრებას...

— მერედა ვინ გააქეციანა ის? — სწრაფად იკითხა ჯეინ სმარტმა.

— ოღონდ მე არა. ამ ქალაქში ცოტა ხნის წინ ჩამოვედი.

ფიდელმა შამპანურით სავსე ბოკალები მოიტანა. ალექსანდრამ ერთი ცალი აიღო და ვან ჰორნს შეასხა. სახეში უმიზნებდა, მაგრამ იშვიათი სინოტივის გამო მხოლოდ შარვლის ბარტყისა და ცალი ტოტის დასველება მოახერხა. ყოველ შემთხვევაში, მის ნაცვლად კაცმა იგრძნო თავი მსხვერპლად. გააფთრებულმა ალექსანდრამ ბოკალი ახლა გადაგრეხილი ავტომობილის ბამპერებისგან გაკეთებულ ქანდაკებას ესროლა. ამჯერად კარგად დაუმიზნა, მაგრამ ბოკალი ჰაერში სოფლის მერცხლად გადაიქცა და შეფრთხიალდა. თამკინი, რომელიც საჯდომს ილოკავდა და ენით ხარბად აწვალებდა გრძელ თეთრ ბეწვებში მოქცეულ ნამცეცა ვარდისფერ ხვრელს, გამოცოცხლდა და ნადირობა წამოიწყო. კატებისთვის დამახასიათებელი კომიკური ზეიმურობით, ფართოდ გახელილი მწვანე თვალებით, იგი ოთხი ბალიშით გაწყობილი მომრგვალებული დივნის ზურგის კიდეზე მიიპარებოდა და როცა ბოლოში გავიდა, ჰაერში შეხტა. მაგრამ ჩიტი მარჯორი სტრაიდერის[1] ნამუშევარზე, პენოპლასტისგან დამზადებულ ჩამოკიდებულ ღრუბელზე გადასკუპდა და თავი სამშვიდობოს დაიგულა.

— ეჰ, მე ეს ყველაფერი სულ სხვანაირად წარმომედგინა, — დაიწუწუნა ვან ჰორნმა.

— მაინც როგორ, დარილ? — ჰკითხა სიუკმა.

— როგორც მეგობრული წვეულება. გვეგონა, რომ ძალიან გაგიხარდებოდათ. თქვენ ხომ კუპიდონებივით გაგვაცანით ერთმანეთს და ერთგვარად პატარძლის ხელისმომკიდეები ხართ.

— არასდროს მჯეროდა, რომ ისინი ამას კმაყოფილებით შეხვდებოდნენ, — შეუსწორა მას ჯენიმ, — მაგრამ ის კი ვერ წარმომედგინა, თუ ასე უხეშად მოიქცეოდნენ.

— ვითომ რატომ არ უნდა იყვნენ კმაყოფილნი? — ვან ჰორნმა მათკენ ხელები თხოვნით გაიწვდინა. ახლა ისიც და ჯენიც ცოლქმრის ცოცხალი პორტრეტივით გამოიყურებოდნენ, — ჩვენც გაგ-

[1] *სტრაიდერი, მარჯორი (დაიბ. 1934) — ამერიკელი მხატვარი და მოქანდაკე.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვიხარდება, თუ ქალაქში ვინმე გულუბრყვილო კაცი ჩამოვა და მათზე მოთხოვნილება მოიმატებს. ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მანამდე ეს ეჭვიანი დედაკაცები ნაპალმში არ ამოიბუგებიან თავიანთ დაწყევლილ სამყაროსთან ერთად. არ ველოდი, თუ თქვენც იმ დედანატირები, გონებაშეზღუდული ქალაქელებივით მოიქცეოდით. თქვენც მათნაირები ყოფილხართ.

სიუკი პირველი დაცხრა. შესაძლოა, უბრალოდ შიმშილმა აუწვა კუჭი.

— კარგი, — თქვა მან, — მოდი, ტორტი მივირთვათ. აჯობებს, მას მოვუღოთ ბოლო.

— საუკეთესოა. „ჩალისფერი ორინოკო“.

ალექსანდრას გაეცინა. დარილი სასაცილო შესახედავი იყო — ერთდროულად იმედით აღსავსეც და გულგატეხილიც.

— შეუძლებელია.

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია, როცა საჭირო ხალხს იცნობ. რებეკას ნაცნობი ბიჭები პროვიდენსიდან მომავალ საოცრად კაშკაშა ფურგონით მგზავრობენ. La crème de la crooks,[1] პატიოსნებას გეფიცები. აბა, მოფრინდით. რა საოცრებებს არ ახდენს ეს მოქცევა!

მაშასადამე, ხსომებია, როგორ ესროლა მან გამოწვევა მოქცევისას ყინულივით ცივ წყალს იმ დღეს, თვითონ კი ნაპირზე იდგა და უყვიროდა: „თქვენ ფრენა გცოდნიათ!“

ტორტი ჩაცუცქული შიშველი ქანდაკების მაგიდის მსგავს ზურგზე დადეს და გარშემო შემოუსხდნენ. მარციპანის ფიგურები მოხსნეს, დაამტვრიეს და ყველას დაურიგეს. ალექსანდრას, თავისებური ჯილდოს სახით, სასქესო ორგანო შეხვდა. დარილმა ჩაიბურტყუნა:

— Hoc est enim corpus meum,[2] — თან ტორტის ნაჭრებს არიგებდა; შამპანურის ჩამოსხმისას კი წაიღიღინა: — Hic est enim calix sanguinis mei.[3]

ჯენი ალექსანდრას პირდაპირ იჯდა, ვარდისფერი სახე გაბრწყინებოდა. სიხარულს ვერ იკავებდა, ზეიმობდა. მოულოდნელად ალექსანდრას გული აუფანცქალდა, თითქოს ის თვითონ იყო ახალგაზრდობისას. ყველანი იღებდნენ ტორტის ნაჭრებს და ერთმანეთს

---

[1] *ცულლუტთა კრემი (ფრანგ.-ინგლ.).*
[2] *ეს ხომ ჩემი სხეულია (ლათ.).*
[3] *ეს ხომ ჩემი სისხლია (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ხელით აჭმევდნენ. მალე ტორტისგან მხოლოდ ტურებისგან შემოხრული მრავალიარუსიანი ჩონჩხიღა დარჩა. შემდეგ მათ ერთმანეთს მოთხვრილი ხელები ჩასჭიდეს, ჩაცუცქულ ქანდაკებას ზურგი აქციეს — მის მარცხენა დუნდულზე სიუკმა პომადითა და ჭიქურით უსწორმასწოროკბილებიანი გაცინებული სახე დახატა — და ძველებური ფერხული გააბეს: „Emen hatan, Emen hetan“ და Har, har, diable, diable, saute ici, saute la, joue ici, joue la.[1]

ჯეინი, რომელსაც სასმელი სხვებზე მეტად მოჰკიდებოდა, ამ ძნელად წარმოსათქმელი სტროფების ნაცვლად, ცდილობდა, ინგლისის მეფე იაკობ პირველის დროინდელი სიმღერა „ტინკლტამ ტანკლტამ“ ემღერა, მაგრამ სიცილისა და ალკოჰოლისგან დაოსებულ-გაბრუებულს აღარაფერი ახსოვდა. ვან ჰორნი ჯერ სამი, მერე ოთხი, ბოლოს კი ხუთი მანდარინით ჟონგლიორობდა, ხელები ერთ, მოელვარე ლაქად გადაჰქცეოდა. ქრისტოფერ გებრიელმა ბიბლიოთეკიდან თავი გამოყო, რათა უადგილო მხიარულების მიზეზი გაეგო. ფიდელს შიგადაშიგ მარინადში ჩაწყობილი კაპიბარას[2] ყვერები მოჰქონდა. წვეულებამ გაამართლა. მაგრამ როდესაც სიუკმა ყველას აბაზანის მიღება შესთავაზა, ჯენიფერმა გამოაცხადა:

— აბაზანას ნაფიფქი დაედო და წყლისგან დავცალეთ. „ნარანგასეტის აუზების გამწმენდი კომპანიიდან“ ხელოსანს ველოდებით, რომელიც ტექტონს ფუნგიციდით დაამუშავებს.

ამ მიზეზის გამო ალექსანდრა სახლში უფრო ადრე გამოცხადდა და ძიძას ვიღაც ბიჭთან ერთად დივანზე ხვევნა-კოცნაში წაასწრო. მან უკან დაიხია, ხელმეორედ ათიოდე წუთის შემდეგ შევიდა და შეცბუნებულ ქალიშვილს ფული გადაუხადა. იგი არსენოს ოჯახიდან იყო და ცენტრში ცხოვრობდა. ასე თქვა, სახლამდე მეგობარი მიმაცილებსო. ალექსანდრას შემდგომი ქმედება ზემოთ ასვლა, მარსის ოთახში თითის წვერებზე შესვლა და იმაში დარწმუნება იყო, რომ ჩვიდმეტი წლის შვილს, მოზრდილი ქალივით რომ გამოიყურებოდა, უმანკოდ ეძინა. მაგრამ კიდევ დიდხანს ედგა იმ ღამით თვალწინ არსენოს ქალიშვილის თეთრი თეძოები, უცნობი ბიჭის თმიან დუნდულებს რომ მოხვეოდა, რომელსაც ჯინსი სწორედ იმდენზე ჩაეწია,

---

[1] *ჰარ, ჰარ, ეშმაკო, ეშმაკო! დახტი აქ, დახტი იქ, ითამაშე აქ, ითამაშე იქ (ფრანგ.).*

[2] *კაპიბარა — ბალახის მჭამელი ძუძუმწოვარა წყალხმელეთა ცხოველი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ გენიტალიები მოუჩანდა, გოგონა კი სრულიად შიშველი იყო. ეს სურათი ალექსანდრას თავში დაფლეთილი საავდრო ღრუბლებიდან გამოცურებულ მთვარესავით ანათებდა.

ისინი კვლავ შეიკრიბნენ ერთად, როგორც ეს უწინ ხდებოდა, ჯეინ სმარტთან, კოუვის რაიონის სოფლურ სახლში. ოდესღაც ის და სემი შესანიშნავ, ვიქტორიანული სტილის სახლს ფლობდნენ ოცდაათი ოთახით, მოჩუქურთმებულს, საგანგებო დერეფნებით მსახურებისთვის, ტიფანის ბროლის ჭაღებით მორთულს. ეს მათი ცხოვრების საუკეთესო წლებში ხდებოდა, ვეინის ქუჩაზე, მუხნარის ქუჩიდან ერთ კვარტალში, ნაპირიდან შორს. ჯეინის ახლანდელი საცხოვრებელი სტანდარტულ მეოთხედ აკრზე რამდენიმე დონეზე აშენებულ სოფლის სახლს წარმოადგენდა. ქვით მოფენილი კედლები მუქ ცისფრად იყო შეღებილი. წინა მფლობელი, ინჟინერ-მექანიკოსი, რომელიც არასრულ კვირას მუშაობდა და ბოლოს ტეხასში გაემგზავრა ბედის საძიებლად, მთელ თავისუფალ დროს — ეს კი მას უხვად ჰქონდა — სახლის ძველებური სტილით გაწყობაში ხარჯავდა, ხან ფიჭვის ჩაშენებულ კარადებს აკეთებდა ყუთებითა და თაროებით, ხანაც კოლოფა კვეთის ცრუ კოჭებსა და ხვეწის ნაკვალევის მქონე კორძიან ხის პანელებს აყენებდა. ელექტროამომრთველებს ტუმბოს სახელურების ფორმა მისცა, უნიტაზი კი მუხის საკასრე მოქლონებით დაამაგრა. რამდენიმე კედელზე ძველებური სადურგლო იარაღი ეკიდა: შალაშინები, სისო-ხერხები და რანდები, პატარა სართავი ჯარა კი მოხერხებულად იყო ჩასმული კიბის ბაქნის მოაჯირებში, საიდანაც სახლის სხვადასხვა დონეზე შეიძლებოდა გასვლა. ჯეინმა პურიტანიზმის ეს ღვლარჭნილი თავშესაფარი განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე გადმოილოცა, მაგრამ მისი და შვილების დაუდევრობით უგემოვნო ეშმაკობები თანდათან ირღვეოდა. დანით ამოკვეთილი ამომრთველები სიჩქარეში ტკაცუნით სკდებოდა. უნიტაზის ერთი მოქლონი ჩამოაგდეს, რომელსაც ყველა დანარჩენი მიჰყვა. ჯეინი ფორტეპიანოს კერძო გაკვეთილებს გრძელი სასტუმრო ოთახის შორეულ ბოლოში ატარებდა, რომელიც სასადილოდ ქცეულ საშზარეულოსა და ექვსი საფეხურით მაღლა მდებარე მის სენაკს ესაზღვრებოდა. ნოხით დაუცველ იატაკს მრავლად ეტყობოდა ბო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

როტი როკაპის დამანგრეველი კვალი: სადაც უნდა დაედგა ჯეინს თავისი სკამი და პიუპიტრი, ვიოლონჩელოს ფეხი ღრმულებს ტოვებდა. იგი ერთ, განსაზღვრულ ადგილზე არ უკრავდა, არამედ მთელ ოთახში მოგზაურობდა. მაგრამ ზარალი მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. საკმაოდ ახალ სახლში, რომელიც მწვანე ფიჭვისა და იაფი მასალისგან, შაბლონურად, ცეკვების სერიის მსგავსად იყო მშენებლების მიერ აგებული, ყველგან ხანმოკლეობის კვალი შეიმჩნეოდა — ნაფხაჭნები საღებავზე, ხვრელები ბათქაშში და ამოცვენილი ფილები სამზარეულოს იატაკზე. საშინელი შესახედაობის დობერმან-პინჩერ რენდოლფს სავარძლების ფეხები მოეღეჭა და ბრჭყალებით ხის კარიც დაეკაწრა. ჯეინი მართლაცდა არამყარ სამყაროში ცხოვრობდა, რომელიც მუსიკისა და სიავისგან შედგებოდა.

— აბა, როგორ მოვიქცეთ? — იკითხა ჯეინმა, როდესაც ბოკალები შეივსო და ჭორების პირველი ნიაღვარი დაიწრიტა. დღეს მხოლოდ ერთ თემაზე იყო შესაძლებელი მსჯელობა: ვან ჰორნის გამაოგნებელ და შეურაცხმყოფელ ქორწინებაზე.

— ალბათ შეამჩნევდით, როგორ თავდაჯერებულად და თავისუფლად გრძნობდა თავს გრძელ ცისფერ ხალათში. მეზიზღება. არადა, სწორედ მე მივიყვანე იქ ჩოგბურთის სათამაშოდ. ამას საკუთარ თავს არასდროს ვაპატიებ, — თქვა სიუკმა და მარილიან თხილით სავსე ჰეშვს პირში გადაუძახა.

— თანაც არცთუ ურიგოდ თამაშობდა, თუ გახსოვს, — აიტაცა თემა ალექსანდრამ, — თეძო მთელი თვის განმავლობაში დალურჯებული მქონდა.

— ეს რაღაცას ნიშნავს, — თქვა სიუკმა და ქვედა ტუჩიდან მწვანე ნაჭუჭის ნაგლეჯი მოიცილა, — იმას, რომ არც ისეთი უმწეო თოჯინა ყოფილა, როგორიც მოჩანდა. მაგრამ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი იმაში, რაც კლაიდსა და ფელისიას შეემთხვათ.

— მორჩი ეგეთებს, — დაჟინებით წარმოთქვა ჯეინმა, — შენ არ გრძნობდი თავს დამნაშავედ, როგორ შეიძლებოდა, თავი დამნაშავედ გეგრძნო? კლაიდს შენთან ჟიმაობის გამო არ არევია გონება და ფელისიასთვისაც შენ არ მოგიწყვია ის საშინელება.

— მათ ურთიერთხელსაყრელი შეთანხმება ჰქონდათ დადებული, — მოზომილად თქვა ალექსანდრამ, — სიუკი ძალზე კარგად ეპყრო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბოდა კლაიდს, და ამან მას სულიერი წონასწორობა დააკარგვინა. მეც იგივე პრობლემა მაქვს ჯოსთან, იმას თუ არ გავითვალისწინებთ, რომ თანდათანობით ვცილდები მას. ჩუმ-ჩუმად. რათა სიტუაცია განვმუხტო. ადამიანები, — აქ იგი ჩაფიქრდა, — ადამიანები ძალზე თავშეუკავებელნი გახდნენ.

— ნუთუ სიძულვილის განცდა არ გაქვს? — ჰკითხა სიუკმა ალექსანდრას, — იმას ვგულისხმობ, რომ თუ ის რომელიმე ჩვენგანს უნდა რგებოდა მას შემდეგ, რაც სიახლე მოყირჭდებოდა, ეს მხოლოდ შენ უნდა ყოფილიყავი და სხვა არავინ. ასე არ არის, ჯეინ?

— არა, არ არის, — გაისმა მოულოდნელად, — მე და დარილი, ორივენი მუსიკალურები ვართ. და გარყვნილები.

— მერედა ვინ ამბობს, რომ მე და ლექსა გარყვნილები არ ვართ? — გააპროტესტა სიუკმა.

— თქვენ კიდევ უნდა წაიმუშაოთ ამაზე, — თქვა ჯეინმა, — ისე კი, მე უარეს მდგომარეობაში ვარ. თქვენზე უფრო სახელგატეხილი. ჩემთვის, ვან ჰორნის გარდა, არავინ არსებობს.

— მე კი ვფიქრობდი, რომ ბობ ოსგუდს ხვდებოდი, — თქვა ალექსანდრამ, — თვითონ მითხარი, თუ გახსოვს.

— მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ დებორას, მის ქალიშვილს, ფორტეპიანოზე დაკვრას ვასწავლი-მეთქი, — ცივად მიუგო ჯეინმა.

— ნეტავ შენი სახე დაგანახვა, — გაეცინა სიუკს, — ისე მედიდურად გამოიყურები, როგორც მაშინ, ჯენიმ რომ უხეშები გვიწოდა.

— განა იგი მას თავის ჭკუაზე არ ატარებს? — გულგრილად იკითხა ალექსანდრამ, — როგორც კი ჯენი ოთახში შემოვიდა, მაშინვე გავიფიქრე, დაქორწინდნენ-მეთქი. დარილი შეცვლილი მომეჩვენა, უფრო... დადინჯებული. სამწუხარო სანახაობა იყო.

— ჩვენ გვიღალატეს, ძვირფასო, — მიუბრუნდა სიუკი ჯეინს, — მაგრამ სხვა რაღა დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ გვძულდეს ისინი და საკუთარი მეობა შევინარჩუნოთ. ჩემი აზრით, ახლა უკეთესადაც კი ვიქნებით. ვგრძნობ, რომ ორივეს უფრო დაგიახლოვდით. სხვათა შორის, ფიდელის ცხარე საუზმეულმა ჩემს კუჭზე ცუდად იმოქმედა.

— მაინც რისი გაკეთება შეგვიძლია? — დასვა ჯეინმა რიტორიკული შეკითხვა. შუაზე გაყოფილმა თმამ თვალები დაუფარა, ამი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ტომ მან თავი მკვეთრად გადააქნია, — თავისთავად ცხადია, მისი hex[1] არ გაგვიჭირდება.

ამ სიტყვას, ჩამოვარდნილი ვარსკვლავივით მოულოდნელი ტრაექტორია რომ მოხაზა ცაზე, დანარჩენების დუმილი მოჰყვა.

— თვითონაც მშვენივრად შეგიძლია ჯადოსნობა, თუ ასე ძალიან გსურს, — თქვა ბოლოს ალექსანდრამ, — ჩვენ არაფერში გჭირდებით.

— მჭირდებით. სამივენი საჭირო ვართ. ეს უბრალო ჯადოსნობა არ უნდა იყოს, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში მხოლოდ თავის ტკივილსა და გამონაყარს იწვევს.

— კიდევ რა უნდა დაემართოს? — იკითხა სიუკმა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ.

ჯეინმა თხელი ტუჩები მოკუმა და ლათინურად საშინელი სიტყვა წარმოთქვა, რაც „კიბოს“ ნიშნავდა.

— თუ გახსოვთ, ბოლო საღამოს მან გარკვევით თქვა, რაც აწუხებს. როდესაც ადამიანს ასე ეშინია, უსუსტესი ფსიქომექანიკური ბიძგიც კი საკმარისია, რომ შიში რეალობად იქცეს.

— ოჰ, ის საცოდავი, — უნებლიეთ წამოსცდა ალექსანდრას, რომელიც თვითონაც განიცდიდა ამგვარ შიშს.

— სულაც არ არის საცოდავი, — მიუგო ჯეინმა და სახეზე ქედმაღლური გამომეტყველება გამოესახა, — იგი მისის დარილ ვან ჰორნი გახლავთ.

— ეს როგორ იმოქმედებს? — იკითხა სიუკმა მცირე პაუზის შემდეგ.

— უშუალოდ. ალექსანდრა ცვილისგან მის ფიგურას გამოძერწავს, ჩვენ კი მასში საკუთარი ენერგეტიკული კონუსის მიხედვით ქინძისთავებს ჩავასობთ.

— მე რატომ უნდა გამოვძერწო? – დაინტერესდა ალექსანდრა.

— ეს მარტივი ასახსნელია, ძვირფასო. მოქანდაკე შენ ხარ და არა ჩვენ. თანაც კვლავაც გაქვს კავშირი ზებუნებრივ ძალებთან. ჩემი შელოცვა კი ამ ბოლო დროს მხოლოდ ორმოცდახუთგრადუსიანი კუთხით თუ მოქმედებს. ექვსი თვის წინ გრეტა ნეფის საყვარელი კატის მოკვლა ვცადე, როცა ჯერ კიდევ ვხვდებოდი რეის. ერთხელაც მეუბნება,

[1] *მოჯადოება (გერმ. Hexen-იდან).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სახლში ორი მკვდარი მღრღნელი ვიპოვეთო. წარმოგიდგენიათ? კატის ნაცვლად! რამდენიმე თვის განმავლობაში სახლში მყრალი სუნი იდგა, კატა კი გულის არევამდე საოცრად ჯანმრთელად გრძნობდა თავს.

— ჯეინ, ნუთუ არასდროს არაფრის გეშინია? — ჰკითხა ჩაფიქრებით ალექსანდრამ.

— არა — მას შემდეგ, რაც ისეთი გავხდი, როგორიც ვარ. საკმაოდ კარგი ვიოლონჩელისტი, საშინელი დედა და მოუსვენარი ბოზი.

ორივე ქალმა გადაჭრით გააპროტესტა ეს ბოლო განსაზღვრება, მაგრამ ჯეინი თავისაზე იდგა:

— საკმაოდ კარგი თავი მაქვს, მაგრამ როდესაც მამაკაცი ზემოდანაც მაწევს და ჩემშიცაა, აღშფოთებისგან ლამის ვიყვირო.

— წარმოიდგინე, რომ ეს შენი საკუთარი ხელია, — შესთავაზა სიუკმა, — მე ზოგჯერ ასე ვიქცევი.

— ან თავი დაარწმუნე, რომ შენ თვითონ ჟიმავ მას, — ურჩია ალექსანდრამ, — რომ ის შენი გასართობია.

— ძალზე გვიანაა. მე ისეთი მომწონს ჩემი თავი, როგორიც ვარ. უფრო ბედნიერი რომ ვიყო, ასე ნაყოფიერად ვერ ვიმუშავებდი. ახლა კი მომისმინეთ. აი, უკვე რისი გაკეთება მოვახერხე. როდესაც დარილი მარციპანის ფიგურებს გვირიგებდა, იმას მოვაკბიჩე თავი, რომელიც ჯენის განასახიერებდა, მაგრამ არ გადამიყლაპავს, ცხვირსახოცში დავმალე. აგერაა.

იგი პიანინოს ტაბურეტს მიუახლოვდა, სახურავი ახადა, იქიდან დაჭმუჭნილი ცხვირსახოცი ამოიღო და ნიშნის მოგებით გახსნა მათ თვალწინ.

პატარა, გლუვი, დაშაქრული და ჯეინის პირში ორიოდე წამით ნამყოფი თავი ჯენის მრგვალ სახეს ჰგავდა — ამორეცხილი ცისფერი თვალები გაშეშებული მზერით, ლამაზი, ქერა, სადა თმა თითქოს თავს მისწებებოდა, ცოტათი გამაღიზიანებელი გულგრილი გამომეტყველება, რომელშიც ზოგჯერ დაუმორჩილებლობა და გამოწვევა იგრძნობოდა.

— კარგი, — თქვა ალექსანდრამ, — რაიმე უფრო ინტიმური გვჭირდება. ყველაფერს სისხლი სჯობია. ძველებურ რეცეპტებში ნახსენებია sang de menstrues.[1] და კიდევ, რასაკვირველია, თმა. მოჭრილი ფრჩხილები.

---

[1] *მენსტრუალური სისხლი (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჭიპლარი, — ჩაერთო საუბარში სიუკი, რომელსაც ორმა ჭიქამ ენა ამოადგმევინა.

— ექსკრემენტები, — საზეიმოდ განაგრძო ალექსანდრამ, — თუმცა ჩვენ არც აფრიკაში ვართ და არც ჩინეთში, აქ იგი ძნელი საპოვნელია.

— განაგრძეთ. არ წახვიდეთ! — თქვა ჯეინმა და ოთახიდან გავიდა.

— კარგი იქნებოდა, პროვიდენსის „ჯორნალ ბალეტინისთვის" მოთხრობა დამეწერა, სახელწოდებით, „წყლით ჩასარეცხი ტუალეტი და ჯადოსნობის დასასრული". იქ მითხრეს, რომ, თუ ჩემს პროფესიას დავუბრუნდები, შემიძლია მათთვის სტატიები ვწერო, ოღონდ უკვე როგორც დამოუკიდებელ ჟურნალისტს, — მან ფეხსაცმელი გაიძრო, მუქ მწვანე დივანზე დაჯდა, საზურგეს მიეყრდნო და ფეხები გადააჯვარედინა.

იმ დროში საშუალო ასაკის ქალებიც კი მინიბოლოკაბებს იცვამდნენ. ამ კატისებურ პოზაში სიუკს თეძოები თითქმის ბოლომდე მოუშიშვლდა, ქვემოდან ჭორფლიანი, მოხარშული კვერცხივით თეთრი და რბილი მუხლები ანათებდა. ხასხასა ნარინჯისფერი, შალის მოქსოვილი კაბა ეცვა, სვიტერის სიგრძისა, რომლის ფერიც საშინლად მწვანე დივანთან შეუთავსებადობით იპყრობდა ყურადღებას. ამგვარი შეხამება სეზანის პეიზაჟებს ახასიათებს, რომლებიც უშნოდ მოეჩვენებოდა ადამიანს, უცნაურად და თამამად მშვენიერი რომ არ იყოს. სიუკი მთვრალს ჰგავდა, წყლიანი თვალები უბრწყინავდა, პომადა მხოლოდ ტუჩების ზედა ნაწილში შერჩენოდა, რადგან განუწყვეტლივ იღიმებოდა და ლაქლაქებდა. ალექსანდრას ეს ძალზე სექსუალურად ეჩვენებოდა. ასეთივე აზრის იყო იგი სიუკის გარეგნობის არცთუ ისე ლამაზ განსაკუთრებულობაზე — მოკლე, მსხვილ, საკმაოდ უფორმო ცხვირზე. უეჭველია, აუღელვებლად ფიქრობდა თავისთვის ალექსანდრა, რომ ვან ჰორნის დაქორწინების შემდეგ მისი გული ადგილს ვეღარ პოულობდა, და როცა ისინი ამ უბედურებას ერთად გაისიგრძეგანებდნენ, სასოწარკვეთილების გარდა ცოტა რამ თუ დარჩებოდათ. მას შეეძლო, შვილებისთვის ყურადღება არ მიექცია, ხედავდა მათი ტუჩების მოძრაობას, მაგრამ პირიდან გამოსული ბგერები მისთვის გაუგებარი იყო, ისინი თითქოს სხვა ენაზე მეტყველებდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— განა შენ უძრავი ქონებით არ ხარ დაკავებული? — ჰკითხა მან სიუკს.

— კი, ძვირფასო. მაგრამ ეს ისე არასაიმედო რამ ყოფილა. სახლების საჩვენებლად ასობით ქმარგაყრილი ქალი დარბის ჭუჭყესა და მტვერში.

— სამაგიეროდ შენ ჰელიბრედებს მიჰყიდე სახლი.

— ეგ მართალია, მაგრამ ჩემს ვალებს არაფერი დასტყობია. ახლა კვლავ ვალებს ვიღებ და სასოწარკვეთილება მიპყრობს, — სიუკმა ფართოდ გაიღიმა, ტუჩები ისე წამოეწია წინ, როგორც ორი ბალიში, რომლებზეც ჩამოჯდომაც კი შეიძლება. მან თავის გვერდით დივანზე ხელი მსუბუქად დაარტყა, — შესანიშნავია. მოდი, გვერდით მომიჯექი, თორემ ვგრძნობ, რომ ვღრიალებ. რა საშინელი აკუსტიკაა ამ სახლში, ნეტავ თვითონ თუ ესმის საკუთარი ხმა.

ჯეინს კიბის ერთი მარში აევლო და ახლა ზედა სართულიდან, სადაც საძინებლები იყო განთავსებული, ქვემოთ ეშვებოდა. ხელში დაკეცილი ტილოს პირსახოცი ეჭირა, რომელშიც რაღაც პატარა ნივთს ძვირფასი განძივით მალავდა. მის აურას თვალისმომჭრელად მეწამული ციმბირული ზამბახების შეფერილობა მიეღო და აღელვებისგან ფეთქავდა.

— წუხელ, — დაიწყო მან, — ისეთი ნერვებაშლილი და აღშფოთებული ვიყავი, რომ ვერაფრით დავიძინე. ბოლოს ავდექი, მთელი სხეული აკონიტითა და „ნოქსემით“, ხელის კრემით დავიზილე, ცოტა ნაცრისფერი ფერფლი შევურიე, რომელიც ქურაზე ჩნდება ავტომატური წმენდის რეჟიმში გადაყვანისას. მერე კი ლენოქსების სახლისკენ გავფრინდი. საოცარი იყო! გარშემო უამრავი ზაფხულის ვასაკა ირეოდა და სიმაღლის მატებასთან ერთად მათი ხმა რატომღაც უფრო გარკვევით მესმოდა. დარილთან კვლავაც სტუმრები იყვნენ, ბოლომდე აწეული სტერეომაგნიტოფონის ხმა და კარიბული მუსიკა მომესმა, რომელსაც თხელმუშამბაგადაკრული დაფდაფები გამოსცემდა. გზის პირას მანქანები იდგა, ოღონდ ვერ გავარჩიე — ვისი. ოდნავ გაღებული ფანჯარა შევარჩიე და ფრთხილად შევძვერი შიგნით.

— ეს ხომ საშიში იყო, ჯეინ! — შესძახა სიუკმა, — ნიდლნოუზს რომ სუნი ეკრა? ან თამკინს?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაც შეეხება თამკინს, ვან ჰორნმა ისინი დაარწმუნა, რომ ამ ფუმ-ფულა არსებაში XVIII საუკუნის ნიუიორკელი ადვოკატის სული იმალებოდა, რომელსაც თავისი ფირმის ქონება ოპიუმით გატაცების გამო დაეკარგა (იგი ამ საწამლავს კბილის საშინელი ტკივილისა და ჩირქოვანი გამონაყარის დროს მისჩვეოდა, რაც ხშირად აწუხებდა ხალხს ყველა საუკუნეში). ციხეში რომ არ მომხვდარიყო და ოჯახი შერცხვენისგან ეხსნა, იგი ბნელ ძალებს გაურიგდა. მათაც მეტი რა უნდოდათ და საბრალო კაცის სიკვდილის შემდეგ მის სულს დაეუფლნენ. ამ პატარა კატას, სურვილის მიხედვით, ჯიქის, ქრცვინის ან მფრინავი რაშის იერის მიღება შეეძლო.

— მე აღმოვაჩინე, რომ საცხში ერთი წვეთი სპილოს სასაქმებლის შერევა სუნს სრულიად აქრობს, — თქვა ჯეინმა და უკმაყოფილება დაეტყო იმის გამო, რომ მოყოლა შეაწყვეტინეს.

— განაგრძე, განაგრძე, — სთხოვა სიუკმა, — ფანჯარა შეაღე და... როგორ ფიქრობ, იმ საწოლზე სძინავთ? ჯენისთვის ეს სულერთია? დარილს ცივი და ოფლიანი ტანი აქვს. გეგონება მაცივრის კარს აღებ, სადაც რაღაც აყროლდა.

— აცალე ჯეინს მოყოლა, — თქვა ალექსანდრამ დედობრივი სითბოთი სავსე ხმით.

უკანასკნელად, როდესაც მან ფრენა სცადა, მისი ასტრალური სხეული ზევით აიჭრა, ფიზიკური კი საწოლში დარჩა, ისეთი პატარა და ამაღელვებელი, რომ ჰაერში საოცრად შერცხვა და სასწრაფოდ თავის მძიმეწონიან გარსს დაუბრუნდა.

— მესმოდა, როგორ მხიარულობდნენ ქვევით, — თქვა ჯეინმა, — მგონი, რეი ნეფის ხმა გავიგონე, ცდილობდა სიმღერისთვის ეხელმძღვანელა. მერე სააბაზანოში შევედი, რომლითაც ჯენი სარგებლობს.

— რა იცი? — ჰკითხა სიუკმა.

— კარგად შევისწავლე მისი მანერა. გარეგნულად ვითომ მოწესრიგებულია, სინამდვილეში კი ფეთხუმია. რა არ ეყარა იქ! ტუჩის საცხით მოსვრილი ქაღალდის ცხვირსახოცები, მუყაოს მრგვალი კოლოფი, რომელშიც წამლები უწყვია, რათა არ დაავიწყდეს, რომელ დღეს მიიღოს; თმაგაუცლელი სავარცხლები. სხვათა შორის, თმას იღებავს, პირსაბანზე ღია „კლეროლით“ სავსე ფლაკონი იდგა, კომპაქტური საპუდრეც იყო, ფერ-უმარილიც. მათ გამოყენებას სი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კვდილი მიჯობს. მე ალქაჯი ვარ, ეს კარგად ვიცი და მინდა, რომ ალქაჯივით გამოვიყურებოდე.

— ძვირფასო, შენ მზეთუნახავი ხარ, — უთხრა სიუკმა, — თმა ყვავის ფრთის ფერი გაქვს, თვალები ნამდვილი კაკლისფერი. მზეც კარგად გეკიდება. ნეტავ მეც შენნაირი ვიყო. ჭორფლიან ადამიანს სერიოზულად არავინ აღიქვამს. მიაჩნიათ, რომ სასაცილო ვარ. მაშინაც კი, როდესაც თავს საზიზღრად ვგრძნობ.

— ეგ რა პირსახოცია? — ჰკითხა ალექსანდრამ ჯეინს.

— დარილისაა, მოვიპარე, — თქვა ჯეინმა. თხელ მონოგრამაზე ლათინური „P“ თუ „Q“ ასოები მოჩანდა, — მომისმინეთ, სააბაზანოში, პირსაბნის ქვეშ, ნაგვის ურნა მოქექე, — ჯეინმა ფრთხილად გადახსნა ვარდისფერი პირსახოცი და ერთმანეთში უწესრიგოდ არეული ინტიმური საგნების ნაწილები გამოაჩინა: თმის გრძელი ღერები, რომლებიც სავარცხლისთვის გაეცლია და პატარა ფუმფულა ბურთებად დაეხვია, დაჭმუჭნილი ქაღალდის ხელსახოცი ცენტრში მოყავისფრო-მოწითურო ლაქით, კვადრატის ფორმის ტუალეტის ქაღალდი ზედ ახალშეღებილი ტუჩების ვულვის მსგავსი ანაბეჭდით, წამლებიანი ფლაკონიდან ამოღებული ბამბის ნაგლეჯი, „ბენდ-ეიდის“ სალბუნის წითელი ძაფი, კბილის საწმენდი, ნახმარი აბრეშუმის ძაფი.

— ყველაზე კარგი ეს პატარა ნამცეცებია, — თქვა ჯეინმა, — ხედავთ? ახლოდან შეხედეთ! აბაზანაში მივაგენი, ფსკერზე. ჯენი დაბანის შემდეგ იქაურობას არც კი ასუფთავებს. ავდექი და აბაზანას შიგნიდან პირსახოცი მოვუსვი. ესეც მისი ფეხების ბეწვები. აბაზანაში გაუპარსავს.

— მაგარია! — თქვა სიუკმა, — საშინელი ვინმე ხარ, ჯეინ. ამიერიდან ყოველთვის ჩავრეცხავ აბაზანას.

— რას იტყვი, საკმარისია? — ჰკითხა ჯეინმა ალექსანდრას. თვალები, რომელთაც სიუკმა კაკლისფერი უწოდა, სინამდვილეში უფრო ღია, ქარვასავით მბზინავი ჰქონდა.

— საკმარისია, — რისთვის? — ალექსანდრამ ეს უკვე იცოდა, მან ჯეინის აზრები წაიკითხა, და ამ ცოდნამ მუცელში ყველაზე მოწყვლადი ადგილი გაუღიზიანა, რომელიც ორიოდე დღის წინ ასტკივდა — ძალიან ბევრი რამის მონელება უხდებოდა.

— სასწაულების მოსახდენად.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— მე რას მეკითხებით? იჯადოქრეთ და საკუთარი თვალით ნახავთ, ეს როგორ კეთდება.

— არა, ძვირფასო, არა. მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენ არ გვაქვს შენი, ასე ვთქვათ, სიღრმისეული მიდგომა. მე და სიუკი მხოლოდ ქინძისთავები და ნემსები ვართ, ჩხვლეტისა და კაწვრის გარდა არაფერი შეგვიძლია.

— რა გადაწყვიტეთ? — მიუბრუნდა ალექსანდრა სიუკს.

მიუხედავად გვარიანად ნაყლაპი ვისკისა, სიუკმა სცადა, რომ გონების მუშაობა გამოესახა და ზედა ტუჩი საყვარლად გამობურცა ოდნავ წინ წამოწეული კბილების თავზე.

— მე და ჯეინმა ამის შესახებ ტელეფონით ვისაუბრეთ, თუმცა ცოტა. ჩვენ მართლაც გვინდა, რომ შენც მიიღო მონაწილეობა. ძალიან გვინდა. ეს ერთსულოვნად უნდა მოხდეს, როგორც ხმის მიცემისას. მინდა იცოდე, რომ შარშან შემოდგომით ცოტა მეც ვიჯადოქრე, რათა შენ და დარილი ერთად ყოფილიყავით, და ამან გარკვეულწილად გაამართლა. მაგრამ მხოლოდ გარკვეულწილად. უნდა ვაღიარო, ძვირფასო, რომ ჩემი მომჯადოებლობა თანდათან სუსტდება. ყველაფერი მოსაწყენი და ერთფეროვანი მეჩვენება. გუშინ დარილს ვაკვირდებოდი და ნაცემი ძაღლივით გამოიყურებოდა. მგონია, რომ ეშინია.

— მაშინ იქნებ ჯენისთვის დაგვეთმო?

— არა, — ჩაერთო ჯეინი, — არ შეიძლება. მან ის მოგვპარა. ყველა გაგვასულელა.

მისი გაბმული „ს“ ისე ისმოდა, როგორც ფისის სუნი გრძელ, საძაგელ, გაუბედურებულ ოთახში. შორეული, მობუტბუტე ხმები კიბის პატარ-პატარა მარშების გავლით საშხარეულოში ეშვებოდა და საძინებლებისკენ მიიწევდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ჯეინის შვილები ტელევიზორის ეკრანს მისჯაჭვოდნენ. სადღაც მორიგი პოლიტიკური მკვლელობა მომხდარიყო. პრეზიდენტი მხოლოდ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით აკეთებდა განცხადებებს. დახოცილთა რაოდენობა იზრდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მტრის ზურგში უფრო ღრმად შესულიყვნენ.

ალექსანდრა კვლავაც იჯდა და სიუკისკენ მიბრუნებულიყო იმის იმედით, რომ საშიშ გარდაუვალობას თავიდან აეცილებდნენ.

— მაშასადამე, შენ გიჯადოქრია, რათა მე და დარილი იმ დღეს, მოქცევისას, იქ ერთად აღმოვჩენილიყავით. გამოდის, რომ თვითონ არ ყოფილა ჩემით გატაცებული?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა თქმა უნდა, იყო, ძვირფასო, — მხრები აიჩეჩა სიუკ-მა, — თუმცა ვინ იცის? მე მწვანე საბაღე შნური ავიღე, რათა ორივენი ერთმანეთზე გადამებით, მეორე დღეს კი საწოლქვეშ შევამოწმე და აღმოჩნდა, რომ ვირთხებს ერთიანად შემოეღრღ-ნათ, შესაძლოა, მარილის გამო, რომელიც ხელებზე მქონდა მი-კრული.

— არც ისე ლამაზი საქციელია, — მიმართა ჯეინმა სიუკს, — თანაც იცოდი, რომ მე იმ კაცისკენ მივილტვოდი.

სიუკს კარგი შესაძლებლობა მიეცა იმის სათქმელად, რომ ალე-ქსანდრა მასზე მეტად უყვარდა, მაგრამ ამის ნაცვლად განაცხადა:

— ჩვენ ყველას გვინდოდა იგი, მაგრამ გადავწყვიტე, რომ შენ შე-ნით შეგეძლო იმის მიღება, რაც გსურდა. ასეც მოხდა. თქვენ სულ ერთად იყავით, დროს ფლანგავდით, უკრავდით, მუსიკას ეზიარებო-დით, თუ ეს სახელი უფრო მოგწონს.

ალექსანდრას ეს სიტყვები გულზე მოხვდა.

— ჯანდაბას! მოდი, გავაკეთოთ.

თითქოს ყველაფერი მარტივი იყო, დედამიწაზე კიდევ ერთი ნამ-ცეცა ჯიბე უნდა გაესუფთავებინათ უსასრულო ჭუჭყისგან.

ალქაჯები ცდილობდნენ, რომ ხელით არაფერს შეხებოდნენ, რათა იქ სხვა რამე არ მოხვედრილიყო — თუნდაც მარილი და ცხიმი კანიდან, რომელიმე მათი მრავალი საკუთარი ბაქტერიი-დან. მათ დაფერთხეს ქაღალდის ცხვირსახოცები და ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯი, გრძელი ქერა თმის ღერები, სალბუნის წი-თელი ძაფი და, რაც ყველაზე მთავარია, ნამცეცა ბეწვები გაპარსუ-ლი ფეხებიდან, რომლებიც ტკიპებივით დახტოდნენ პირსახოცის ბოჭკოებზე, კერამიკულ საფერფლეში, ჯეინმა „ბრინჯაოს კასრ-ში“ რომ მოიპარა იმ დღეებში, როცა რეპეტიციების შემდეგ იქ ნეფებთან ერთად დადიოდა. მან ცისფერთვალება, შაქრის პატა-რა თავიც დაამატა, რომელიც იმ საღამოს დარილთან გამართუ-ლი წვეულების დროს გადამალა პირში, ბოლოს კი მუყაოს ასან-თით მომცრო კოცონი დაანთო. ქაღალდი კაშკაშა ნარინჯისფრად აბრიალდა, ცისფრად აალებული თმის ღერები ტკაცუნით იწვოდა. ჰაერში ტრუსის სუნი გავრცელდა. მარციპანის თავი ბუშტუკებიან შავ წვეთად დაიგრაგნა. კვამლი ჭერამდე ავიდა და ობობას ქსელი-ვით დაეკიდა ხელოვნურ ზედაპირზე, ქაღალდის მშრალ ბათქაშზე,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომლის ქვიშანარევი საღებავის უხეში ფენა ნამდვილი ბათქაშის იმიტაციას წარმოადგენდა.

— ახლა ის მითხარი, — მიმართა ალექსანდრამ ჯეინს, — სანთლის ძველი ნამწვი ხომ არ მოგეძევება სადმე? ან იქნებ ყუთში საიუბილეო სანთელი შემოგრჩა? ფერფლი კარგად უნდა დავნაყოთ და ნახევარ ფინჯან გამდნარ ცვილს შევურიოთ. ქვაბი აიღე და ძირსა და გვერდებზე ცხიმი კარგად წაუსვი. ცვილი არ უნდა მიეკრას, თორემ ჯადო არ იმოქმედებს.

სანამ ჯეინი სამზარეულოში ამ ბრძანებას ასრულებდა, სიუკმა ალექსანდრას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— ვიცი, ძვირფასო, რომ ამას ძალით აკეთებ, ჩვენი ხათრით.

ალექსანდრა მას პატარა, ძარღვიან ხელზე მოეფერა და შეამჩნია, რომ ჭორფლი, უხვად რომ მოჩანდა ხელისგულის ზურგსა და თითების საწყის სახსრებზე, ფრჩხილების მიმართულებით თანდათან ქრებოდა, როგორც ცუდად შეჯანჯღარებულ მიქსტურაში.

— არა, არა, მინდა, — თქვა მან, — ეს მე უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ეს ხელოვნებაა. თანაც მომწონს, ორივენი ასე რომ მენდობით.

მას ბევრი აღარ უფიქრია, დაიხარა და სიუკს უცნაურ, ბალიშებივით ტუჩებში აკოცა.

სიუკმა მას მზერა მიაპყრო. გუგები დაუვიწროვდა, როდესაც ალექსანდრას ჩრდილი მისი თვალების მწვანე გარსს გასცდა.

— შენ ხომ მოგწონდა ჯენი.

— მხოლოდ მისი სხეული. თანაც ისე, როგორც ჩემი ბავშვების სხეულები. ხომ გახსოვს, როგორი სუნი ასდიოდათ პატარაობისას?

— ოჰ, ლექსა, ნუთუ ფიქრობ, რომ რომელიმე ჩვენგანს კიდევ ეყოლება შვილი?

ახლა ალექსანდრა შეკრთა. მისი აზრით, ეს სენტიმენტალური, უსარგებლო შეკითხვა იყო.

— თუ იცი, ალქაჯები სანთელს რისგან აშზადებენ ხოლმე? ახალშობილების ცხიმისგან!

იგი ფეხზე არამყარად იდგა. ალექსანდრა უპირატესობას კვლავინდებურად არაყს ანიჭებდა, რომელიც არც სუნთქვას უწამლავდა და ნაკლებ კალორიებსაც შეიცავდა, თუმცა ორგანიზმზე ნეიტრინოების ნაკადზე მეტ ეფექტს ახდენდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჯეინს საშხარეულოში უნდა მივეხმაროთ.

ერთ-ერთი უჯრის კუთხეში ჯეინმა საიუბილეო, ცისფერი და ვარდისფერი სანთლების ყუთს მიაგნო. ისინი კარაქწასმულ ქვაბში გაადნეს და პატარა დამკრძალავი კოცონის ნარჩენებს შეურიეს. მარგალიტივით ცვილი გამოვიდა, ნაცრისფერ-ვარდისფერი ელვარებით.

— ფორმისთვის თუ გაქვს რაიმე? — იკითხა ალექსანდრამ. მათ ყველაფერი გადააქოთეს ნამცხვრის ფორმების ძებნაში, უარი თქვეს პაშტეტის მოზრდილ კოლოფებზე, პატარა ყავის ჭიქები და ლიქიორის სირჩებიც შეათვალიერეს და ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ფორთოხლის ძველი, შუშის წვენსაწურის უკანა მხარე გამოეყენებინათ, რომელიც, გადმოპირქვავებული, კიდეზე პატარა ღარის მქონე სომბრეროს წააგავდა. ალექსანდრამ იგი გადააბრუნა და ნელა შეუდგა წაწვეტებულ კონუსში ცხელი, აშიშინებული ცვილის ჩასხმას. შუშამ გაუძლო და არ გაიბზარა. ქალმა წვენსაწურის ზედა ნაწილი ონკანის ცივ წყალს შეუშვირა და ნიჟარის ნაპირზე ძირით რამდენჯერმე დააკაკუნა, სანამ იქიდან ჯერ კიდევ თბილი ცვილის კონუსი არ ჩამოვარდა. ალექსანდრამ ხელი მოუჭირა, რათა დაეგრძელებინა და მის ხელისგულზე თანდათან ადამიანის მსგავსი ფიგურა გამოიკვეთა, — დალახვროს ეშმაკმა, — თქვა მან, — მისი თმის რამდენიმე ღერი უნდა შეგვენახა.

— ვნახავ, იქნებ კიდევ შემორჩა პირსახოცს, — თქვა ჯეინმა.

— შემთხვევით ფორთოხლის ჩხირები ხომ არ გაქვს? — ჰკითხა მას ალექსანდრამ, — ან გრძელი ქლიბი ფრჩხილებისთვის? გამოსაჭრელად გვჭირდება. თმის სარჭიც გამოგვადგებოდა, — ჯეინი დაუზარებლად მოძრაობდა. იგი მიჩვეული იყო სხვების — ბახის, პოპერის[1], მიცვალებულთა მთელი დასის დავალებათა შესრულებას. მის არყოფნაში კი ალექსანდრა სიუკს უხსნიდა: — მთელი საიდუმლოება ის არის, რომ საჭიროზე მეტი არ უნდა აიღო. ყოველ ნამცეცს თავისი მაგიურობა გააჩნია.

მაგნიტურ თამასაზე დანები ეკიდა და ალექსანდრამ მათგან ერთი ბლაგვპირიანი და ხისტარიანი შეარჩია, ჭურჭლის სარეცხ მანქანაში ხანგრძლივი მოგზაურობისგან გათეთრებული და

[1] *ჰოპერი, დევიდ (1843-1913) — ბოჰემიელი ვიოლონჩელისტი და კომპოზიტორი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დარბილებული. მან ცვილში ყელი და ტანი გამოჭრა. ნამცეცები მაგიდაზე დაფენილ პირსახოცზე ეცემოდა. ალექსანდრას ერთ ხელში დანის წვერით ცვილის პატარა ნაჭრები ეკავა, მეორეში კი — მის ქვეშ ანთებული ასანთი და ძუძუების გამოსაკვეთად ფიგურაზე ცვილს ჩიჩქნიდა. მუცელიცა და თეძოებიც იმავე ხერხით ამობურცა. ფეხის ტერფები კი, როგორც ყოველთვის, სულ პატარა გააკეთა. დარჩენილი ცვილი ცეცხლზე შეათბო, მრგვალად დასრისა და დუნდულები მიიღო. მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალწინ გოგონა ედგა, რომლის თეთრი სხეული აბაზანის გვერდით ანათებდა. ხელებს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომ ისინი ტანის გასწვრივ ჩამოაშვებინა. სქესის აღსანიშნავად ალექსანდრამ დანის წვერით მკვეთრი, ვერტიკალური ნაჭდევი გააკეთა. სხვა ნაკეცებსა და კონტურებს ჯეინის მიერ მოტანილი ფორთოხლის ჩხირის წაკვეთილი, ოვალური ბოლო შემოავლო. ჯეინმა პირსახოცზე კიდევ ერთი გრძელი თმის ღერი აღმოაჩინა, ფანჯარასთან მიიტანა და შეათვალიერა. მართალია, ცალკე აღებული თმის ღერი თითქმის უფერული იყო, მაგრამ ეს შავი ან წითური კი არ აღმოჩნდა, არამედ ალექსანდრას თმაზე უფრო ღია და წვრილი.

— დარწმუნებული ვარ, რომ ჯენიფერისაა, — თქვა მან.

— მით უკეთესი, — მიუგო ალექსანდრამ, რომელსაც გამოსაძერწ ფიგურაზე დაძაბული მუშაობის შედეგად ხმა ჩახლეჩოდა. რბილი, სურნელოვანი ჩხირის ბოლოთი, რომელზეც ბოკალში კენკრის ნაყოფი ან ზეთისხილია ხოლმე წამოცმული, მან ეს ერთადერთი თმის ღერი ადვილად დამყოლ იასამნის თავში ჩაარჭო.

— თავი არის, სახე კი — არა, — უკმაყოფილება ვერ დამალა ჯეინმა და ალექსანდრას მხარს ზემოდან ჩახედა. მისმა ხმამ წმინდა ენერგეტიკული კონუსი შეარყია.

— სახესაც გავუკეთებთ, — ჩაიჩურჩულა პასუხად ალექსანდრამ, — ვიცით, ვინც არის და შევქმნით.

— მე კი უკვე ვგრძნობ, რომ ეს ჯენია, — თქვა სიუკმა და ისე სწრაფად მოვიდა, რომ ალექსანდრამ ხელებზე მისი სუნთქვა იგრძნო.

— უფრო გლუუუვად, — ღიღინებდა ალექსანდრა და ჩაის კოვზის ამობურცულ ნაწილს ნამუშევარს უსვამდა, — ჯენი გლუუუვია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ფეხზე არ გაჩერდება, — კვლავ კრიტიკას მიჰყო ხელი ჯეინმა.

— მისი პატარა ქალები ფეხზე არასოდეს დგანან, — ჩაერია საუბარში სიუკი.

— ჩუ-უ-უ, — წარმოთქვა ალექსანდრამ ჯადოქრული განწყობის შესანარჩუნებლად, — მან ეს დაწოლილმა უნდა მიიღოს. აი, როგორ აკეთებენ ამას ქალბატონები. წამლის მიღებისას ჩვენ ვწევართ.

მაგიური დანით მან ჯენის პატარა თავი დაუსერა და ევა პერონის ვარცხნილობას მიუმსგავსა. სახესთან დაკავშირებით ჯეინის უკმაყოფილება აღიზიანებდა, ამიტომ ფორთოხლის ჩხირის კიდით თვალის ბუდეების მომრგვალება სცადა. იქ გაჩენილმა მოულოდნელმა მზერამ ალექსანდრა გვარიანად შეაშინა. მან მუცლის ქვემოთ ტყვიისებური სიმძიმე იგრძნო. როდესაც შექმნას ვცდილობთ, პირველ ცოდვას ჩავდივართ, კაცის კვლისა და შეუქცევადობის ცოდვას. ჩანგლის წვერით მან ჭიპი გახვრიტა ქალის მბზინავ ფიგურაში, დაბადებულში და არა შექმნილში, ყველა ჩვენგანივით პირველ ევასთან მიმაგრებულში.

— საკმარისია, — გამოაცხადა ალექსანდრამ და ინსტრუმენტები ხმაურით ჩაყარა ნიჟარაში, — აბა, სწრაფად. სანამ ცვილი სულ არ გამაგრებულა. სიუკ, გჯერა, რომ ეს ჯენია?

— მე... ცხადია, ალექსანდრა, შემიძლია ვთქვა, რომ კი.

— მთავარია, რომ გჯეროდეს. მოჰკიდე ხელები. ორივე ხელი.

სიუკი ასეც მოიქცა. ჭორფლიანი, წვრილი ხელები უთრთოდა.

— უთხარი მას, ოღონდ არ გაიღიმო, უთხარი: „შენ ჯენი ხარ. შენ უნდა მოკვდე“.

— შენ ჯენი ხარ. შენ უნდა მოკვდე.

— მიდი, ჯეინ, შენც თქვი.

ჯეინის ხელები სიუკისას არ ჰგავდა, თანაც ორივე სხვადასხვანაირი ჰქონდა: ის, რომლითაც ხემი ეჭირა, მსუქანი და რბილი, ხოლო ის, რომლითაც სიმებს ეხებოდა, ძალზე განვითარებული, ოქროსფრად გამაგრებული კოჟრებით გაუხეშებული თითების დაბოლოებებზე.

ჯეინმა ეს სიტყვები გულგრილი, მაგრამ მტკიცე ხმით წარმოთქვა, თითქოს დაწერილს კითხულობსო, ამიტომ ალექსანდრამ გააფრთხილა:

— უნდა გჯეროდეს, რომ ეს ჯეინია.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ალექსანდრას არ გაჰკვირვებია, რომ, როდესაც საქმე ჯადოქრობაზე მიდგა, ჯეინი დებს შორის ყველაზე სუსტი აღმოჩნდა. მაგიას ხომ სიყვარული ასაზრდოებს და არა სიძულვილი. სიძულვილი მხოლოდ მაკრატელია ადამიანის ხელში, მას არ ძალუძს სიმპათიის ძაფების გაბმა, რომელთა საშუალებითაც გონებასა და სულს მართლაც შეუძლიათ მატერიის ამოძრავება.

ჯეინი შელოცვას სოფლის სახლის სამზარეულოში იმეორებდა. ჩიტების გამხმარი სკინტლით მოთხვრილი ფანჯრიდან მოუვლელი ეზო მოჩანდა, სადაც შინდის ორი აყვავებული ბუჩქი იწონებდა თავს. ჩამავალი მზის სხივები გამდნარი ოქროსავით ლაპლაპებდნენ წვრილ ფოთლებსა და მუქი, მოცახცახე ტოტების ხლართებს შორის, რომელთაგანაც თითოეულს ბოლოში ყვავილის ოთხფურცლიანი მოხატულობა ამშვენებდა. ყვითელი პლასტმასის აბაზანა, რომელშიც ჯენის შვილები ვეღარ ეტეოდნენ, მთელი ზამთრის განმავლობაში ერთ-ერთ ხეზე იყო მიყუდებული და მასში ნახევარმთვარესავით იდგა გამდნარი ყინულისგან გაჩენილი ჭუჭყიანი წყალი. წაბლისფერ მდელოს ახალი, მწვანე ფოშფოში გადაჰფენოდა. მიწა თანდათან სიცოცხლეს უბრუნდებოდა.

ქალების ხმებმა ალექსანდრა ფიქრებს მოსწყვიტეს.

— შენც წარმოთქვი ეს სიტყვები, საყვარელო, — ხრინწიანად უთხრა მას ჯეინმა და პატარა დაუბრუნა.

სიძულვილით აღსავსე ქალები ყველაფერს საფუძვლიანად აკეთებდნენ. რიტუალის სწრაფად დამთავრების მიზნით, ალექსანდრამ ჯეინს მშვიდი გულდაჯერებულობით უბრძანა:

— ქინძისთავები და ნემსები გვჭირდება, საკანცელარიო ჭიკარტებიც კი — ბავშვების ოთახებში ხომ არ გეგულება?

— ვერ ვიტან იქ შესვლას, აწუწუნდებიან, სადილის დრო არისო.

— უბრძანე, რომ კიდევ ხუთი წუთი მოითმინონ. უნდა დავამთავროთ, თორემ...

— თორემ რა? — ჰკითხა შეშინებულმა სიუკმა.

— შესაძლოა, უკუშედეგი მივიღოთ. ყველაფერია მოსალოდნელი. როგორც ედს დაემართა ბომბთან დაკავშირებით. ძველი, მსხვილთავიანი ქინძისთავებიც გამოდგება. ქაღალდის სამაგრებიც კი, თუ მათ გავასწორებთ, — იგი აღარ შეუდგა იმის ახსნას, თუ რისთვის იყო ეს საჭირო — გულის გასაგმირავად, — და კიდევ სარკე, ჯეინ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯადოქრობა სამგანზომილებიან სივრცეში არ გამოდიოდა, მაგრამ როცა ანარეკლიც იყო სარკეში, უბრალო საგნების ასტრალური რაობა კიდევ ერთ არსებას წარმოადგენდა, რომელიც რეალობას ემატებოდა.

— სემისგან მხოლოდ წვერის გაპარსვისთვის საჭირო სარკე დამრჩა, ზოგჯერ თვალების შესაღებავად ვხმარობ ხოლმე.

— შესანიშნავია. მოუჩქარე. განწყობა უნდა შევინარჩუნო, თორემ შემადგენელ ნაწილებად დამეშლება.

ჯეინი კვლავ გაფრთხიალდა. სიუკი კი ალექსანდრას გვერდით იდგა და მის შეცდენას ცდილობდა:

— ცოტა ხომ არ გადაგვეკრა? მე მხოლოდ ერთი ბოკალი გაზავებული ბურბონი დავლიე, სანამ სინამდვილეს თვალებში უშიშრად შევხედავდი.

— სინამდვილე აი, ეს არის. სამწუხაროდ. ნახევარი ყლუპი, ძვირფასო. სულ ცოტა არაყი, ზედ კი ტონიკი, „სევენ აპი“, ონკანის წყალი ან რაც გინდა. საბრალო პატარა ჯენი.

როდესაც ალექსანდრამ სამზარეულოდან ექვსი ჭუჭყიანი საფეხურით ზევით, საძინებელში გადაინაცვლა და ცვილის ფიგურას შეხედა, თვალში საკუთარი ქმნილების არასრულყოფილება და ასიმეტრიულობა მოხვდა — ერთი ფეხი მეორეზე მოკლე იყო, კაცი ვერ გაიგებდა, სად იწყებოდა და სად მთავრდებოდა თეძოები, მუცელი თუ ფეხები, ცვილის ძუძუები კი ძალიან დიდი ჩანდა. ვინ დაარწმუნა იგი, რომ მოქანდაკეობას შეძლებდა? დარილმა. ის ნამდვილად ცუდად მოიქცა.

საზიზღარი დობერმანი ზედა ჰოლიდან ჯეინის მიერ გაღებულ რომელიღაც კარში გამოვარდა და ნოხგადაუფარებელ იატაკზე ბრჭყალების კაკუნით მაშინვე სასტუმრო ოთახში შემოირბინა. ცხიმიანი შავი კანი მაგრად გადაჭიმვოდა, ალაგ-ალაგ ნაკეცებად დაწყობოდა, სამხედრო ფორმის მსგავსად, ფეხებზე, მკერდსა და დრუნჩზე მოზრდილი ნარინჯისფერი ლაქები ჰქონდა, თვალებს ზემოთ კი — უფრო მომცრო. დორბლმორეულმა, ალექსანდრას პეშვებად მიტყუპებული ხელისგულები რომ დაინახა, შიგ საჭმელი ეგონა და სურვილისგან ცხვირის ნესტოები დაუსველდა, ნაკეცებიანი დაცქვეტილი ყურები კი გაუმაძღარი ნაწლავების გაგრძელებად მოჩანდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს შენთვის არაა, — მკაცრად უთხრა ალექსანდრამ. ძაღლი მბრწყინავი, შავი, ჭკვიანი თვალებით იყურებოდა და ცდილობდა გაეგო, რას ეუბნებოდნენ.

სიუკმა დალევა გადაწყვიტა. ჯეინმა სასწრაფოდ მოიტანა მავთულისსადგამიანი ორმხრივი სარკე პარსვისთვის, ფერადი ჭიკარტებით სავსე საფერფლე და პატარა, ვაშლის ფორმის ნაჭრის ბალიში ქინძისთავებისთვის. შვიდს რამდენიმე წუთი აკლდა. შვიდზე ტელეგადაცემები იცვლებოდა და ბავშვები საჭმელს მოითხოვდნენ. ქალებმა სარკე ყავისთვის განკუთვნილ მაგიდაზე დადგეს, იმ ინჟინერ-მექანიკოსის მიერ გაკეთებული მეწაღის სამუშაო ადგილის იმიტაციაზე, რომელიც ტეხასში გაემგზავრა. სარკის ვერცხლისფერ წრეში ყველაფერი გადიდებული, გაწელილი იყო, გვერდებით ფოკუსში ვერ ეტეოდა, ცენტრში კი კაშკაშა და უშველებული მოჩანდა. ქალები რიგრიგობით იჭერდნენ ხელში თოჯინას სარკის, როგორც სხვა სამყაროდან მოსული არსების, გაუმაძღარი ხახის წინაშე და მას ქინძისთავებსა და ჭიკარტებს ურჭობდნენ.

— აურაი, ჰანლიი, თამსიი, ტილინოსი, ასთამასი, ზიანორი, აუონაილი, — ციტირებას ახდენდა ალექსანდრა.

— ცაბაოთ, მესია, ემანუელი, ელკიმი, ეიბორი, იოდი, ჰი, ვიუ, ჰი! — წკრიალა ხმით, წამლერებით ამბობდა ჯეინი.

— ასტაკოთი, ადონაი, აგლა, ონი, ელი, ტეტრაგრამატონი, სხიმა, — წარმოთქვამდა სიუკი, — არისტონი, ანაფაქსეტონი, დამავიწყდა, მერე რა მოდის,

მკერდსა და თავში, თეძოებსა და მუცელში ბასრი საგნები ერთმანეთის მიყოლებით ესობოდა. ქალების სმენამდე შორეული, გაურკვეველი სროლის ხმა აღწევდა. როდესაც სატელევიზიო გადაცემაში ძალადობა კულმინაციას აღწევდა, სტატუეტი მორთულ-მოკაზმულ, ინკრუსტირებულ სახეს იღებდა, როგორც გრანდიოზულ სამხედრო მოქმედებათა რუკა, როგორც კაშკაშა ხელყუმბარა პოპარტში ან შამანის დიდებული სამოსი. პარსვისთვის განკუთვნილი სარკიდან ბუნდოვანი ფერადი გამოსახულება მოჩანდა. ჯეინს ხელში გრძელი ნემსი ეჭირა, ასეთში, ჩვეულებრივ, მსხვილ ძაფს უყრიან ხოლმე ზამშის გასაკერად.

— ვის სურს ნემსი გულში გაუყაროს? — იკითხა მან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— შეგიძლია, ეს თვითონ გააკეთო, — მიუგო ალექსანდრამ. იგი ქვემოთ იყურებოდა, რათა ყვითელი ჭიკარტი მეორის სიმეტრიულად შეერჭო, თითქოს ეს აბსტრაქტული ხელოვნება ყოფილიყო. თუმცა ყელი და ლოყები დაუჩხვლიტეს, ვერავინ ბედავდა თვალებში შერჭობას, რომლებიც ხან არაფერს გამოხატავდა, ხანაც სევდით იყო სავსე, იმისდა მიხედვით, შუქი როგორ ეცემოდა.

— ძალიან გთხოვთ, ამას მარტო მე ნუ შემომტენით, — თქვა ჯეინ სმარტმა, — ჩვენ ეს სამივემ ერთად უნდა გავაკეთოთ.

მათ მარცხენა ხელები გველივით დაგორგლეს და ნემსი ერთად შეარჭვეს. ცვილი თითქოს შიგნიდან გამაგრებულიყო და წინააღმდეგობას უწევდა.

— მოკვდი, — წარმოთქვა ალისფერი ტუჩების ერთმა წყვილმა.

— მიიღე ეს! — დაამატა მეორემ. ქალებს სიცილი აუტყდათ. ამჯერად ნემსმა იოლად შეაღწია შიგნით. ალექსანდრას კი საჩვენებელი თითის წვერზე სისხლდენადი ჩალურჯება დაეტყო.

— სათითე უნდა ჩამომეცვა, — თქვა მან.

— ახლა როგორ მოვიქცეთ, ლექსა? — იკითხა სიუკმა, რომელიც მძიმედ სუნთქავდა.

მათი უცნაური, საერთო ქმნილების შემყურე ჯეინი განუწყვეტლივ სისინებდა.

— ახლა ეს ავკაცობა უნდა დავამოწმოთ, — თქვა ალექსანდრამ, — ფოლგა თუ გაქვს, ჯეინ?

ორივე ქალმა კვლავ გაიცინა. ალექსანდრა მიხვდა, რომ მათ ეშინოდათ. რატომ? ბუნება გამუდმებით კლავს, ჩვენ კი მას მშვენიერს ვუწოდებთ. ალექსანდრა რაღაცნაირ გამოთაყვანებასა და შებოჭილობას გრძნობდა; ჭიანჭველების უზარმაზარი დედოფლის ან დედა ფუტკრის მსგავსად, იგი ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა და კვლავ უბრუნდებოდა სიცოცხლეს საკუთარი სულისა და ნებისყოფის სიძლიერის ხარჯზე.

ჯეინმა ალუმინის ფოლგის უშველებელი ფურცელი მოიტანა, რომელიც სიჩქარეში ცოტათი ჩახეოდა. ჰოლში ბავშვის ნაბიჯების ხმა გაისმა.

— ახლა ყველამ დააფურთხეთ, — სწრაფად ბრძანა ალექსანდრამ და ჯენი მოცახცახე ფურცელზე დადო, — ისე დააფურთხეთ,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომ სიკვდილის თესლი აღმოცენდეს, — დაჟინებით მოითხოვა მან და პირველმა დააფურთხა.

ჯეინის ფურთხი კატის დაცემინებას ჰგავდა. სიუკმა მამაკაცივით ამოახველა. ალექსანდრამ ფოლგა პრიალა მხრიდან შიგნით დაკეცა და აკურატულად გაახვია შიგ ფიგურა, რათა ქინძისთავებს არ შეხებოდა და თითში არ შერჭობოდა. მიღებული ფუთა შესაბრაწად შეხვეულ კარტოფილს მოაგონებდა კაცს.

ჯეინის ორი შვილი, მსუქანი ბიჭი და გამხდარი პატარა გოგონა ჭუჭყიანი სახით, ცნობისმოყვარეობით შემოეხვივნენ მათ.

— ეს რა არის? — დაინტერესდა გოგონა. მას გულმა რაღაც ცუდი უგრძნო და ცხვირი შეიჭმუხნა. ზედა და ქვედა კბილებზე გასასწორებელი ფირფიტები ეკეთა. რაღაც მწვანე ფერის ტკბილეული ეჭამა.

— მისის სპოფორდმა თავისი პროექტი გაგვაცნო, — მიუგო ჯეინმა, — ძალზე ფაქიზი ექსპერიმენტია და ვიცი, რომ მისი განმეორება არ სურს, ამიტომ აჯობებს არ სთხოვოთ.

— შიმშილით კუჭი მიხმება, — თქვა ბიჭმა, — აღარ გვინდა „ნემოს“ ჰამბურგერები, ნორმალური სადილი მოგვენატრა, როგორიც სხვებს აქვთ.

გოგონა დაჟინებით აკვირდებოდა ჯეინს. პროფილში მისი მოგრძო სახე წინ წამოწეული ღაწვებითა და მკვეთრად გამოხატული ცხვირით ჯეინისას ჰგავდა.

— დედა, მთვრალი ხარ?

ჯეინმა მაგიური სისწრაფით წამოარტყა ბავშვს, თითქოს დედაცა და შვილიც ხის სათამაშოს ნაწილები იყვნენ, დაუსრულებლად რომ იმეორებდა ერთსა და იმავე მოძრაობებს. სიუკმა და ალექსანდრამ, რომელთა საკუთარი ბავშვები სადღაც შორს, სიბნელეში ტიროდნენ, ეს მინიშნებად მიიღეს და წავიდნენ. ისინი სახლის აგურის კედელთან შეჩერდნენ, ფართო, განათებული ფანჯრებიდან ქუჩაში ოჯახური ჩხუბის დამადასტურებელი ხმაური და ყვირილი იღვრებოდა.

— თუ გინდა, წაიღე ეს და შეინახე, — უთხრა ალექსანდრამ სიუკს. ხელში თბილი, ფოლგაშემოხვეული ფუთა ეჭირა.

სიუკის ლამაზი, წვრილი და მარჯვე ხელი უკვე „კორვეტის“ კარის გაღებას აპირებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— წავიღებდი, ძვირფასო, — თქვა მან, — მაგრამ ერთი ფიგურა ვირთხებმა თუ თაგვებმა ლამის მთლიანად შესანსლეს. იქნებ ცვილი მათი საუკეთესო საჭმელია?

ალექსანდრა საკუთარ სახლში დაბრუნდა, რომელიც ორ-ჩარდ-როუდის ხმაურისაგან ახლა უფრო მეტად იყო დაცული უხვად შეფოთლილი იასამნების ცოცხალი ღობის წყალობით. მას მოტანილი ნივთის რაც შეიძლება სწრაფად დაკიწყება სურდა, ამიტომ იგი საშზარეულოს ზედა თაროზე შემოდო, სადაც უკვე ეწყო გაფუჭებული „ბალღები“, რომელთა გადაგდებასაც გული არ ანებებდა, და მოხუფული ქილა, სავსე მისთვის ოდესღაც ძვირფასი, კეთილგანშზრახველი, ბებერი ოზის ფერადი მტვრით.

— მას იგი ყველგან თან დაჰყავს, — უყვებოდა სიუკი ჯეინს ტელეფონით საუბრისას, — „ისტორიის საზოგადოებაში“, ნაკრძალებთან დაკავშირებულ მოსმენებზე. რესპექტაბელურობას იჩემებენ და ამ დროს სასაცილოდ გამოიყურებიან. კაცი უნიტარული ეკლესიის გუნდშიც კი ჩაწერა.

— დარილი? მას ხომ ხმა არა აქვს, — მკვახედ თქვა ჯეინმა.

— არა, ცოტათი აქვს, მგონი ბარიტონი. ორგანის მილივით ჟღერს.

— ეგ ვინ გითხრა?

— როზა ჰელიბრედმა. ბრენდასთან ისინიც მოდიან ხოლმე. დარილს, რა თქმა უნდა, ჰელიბრედები თავისთან მიუწვევია სადილზე, და ართურს უთქვამს, — არც ისეთი გიჟი ყოფილხართ, როგორც თავიდან მომეჩვენაო. დილის ორ საათამდე ლაბორატორიაში ყოფილან, როზა თურმე ადგილს ვეღარ პოულობდა. როგორც გავიგე, დარილს ახალი იდეა აქვს — რომელიღაც მიკრობის გამოყვანა სურს დიდი მლაშე ტბის მსგავს უზარმაზარ წყალსაცავში. რაც მეტად მარილიანი იქნება, მით უკეთესი, და ეს პატარა ბაღლინჯო, მხოლოდ გამრავლებით, მთელ ტბას გიგანტურ ბატარეად გადააქცევს. გარშემო, რასაკვირველია, ღობეს შემოავლებენ.

— ცხადია, ძვირფასო. მთავარი უსაფრთხოებაა.

პაუზა ჩამოვარდა. სიუკი ცდილობდა გამოეცნო, ეს სარკაზმით იყო ნათქვამი თუ არა, და თუ — კი, რატომ. მან ხომ მხოლოდ ახა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი ამბავი შეატყობინა. ახლა, როცა ალქაჯები დარილთან აღარ იკრიბებოდნენ, ისინი ერთმანეთსაც იშვიათად ხვდებოდნენ. მართალია, თავიანთი ხუთშაბათობა ოფიციალურად არ გაუუქმებიათ, მაგრამ უკვე მთელი თვე გასულიყო მას შემდეგ, რაც ჯენი ჯადოთი შეკრეს, შეხვედრისთვის თავის არიდების მიზეზი კი ყოველთვის აღმოაჩნდებოდა ხოლმე რომელიმე მათგანს.

— შენ როგორ ხარ? — ჰკითხა სიუკმა.

— სულ დაკავებული ვარ, — მიუგო ჯეინმა, — ცენტრში მუდმივად ბობ ოსგუდს ვხვდები.

ჯეინი ანკესზე არ წამოეგო.

— სინამდვილეში ძალიან უბედური ვარ, — თქვა მან, — ამას წინათ უკანა ეზოში ვიდექი და ისეთი შავი ტალღა დამეტაკა, ვიგრძენი, რომ ეს ზაფხულს უკავშირდებოდა. ყველაფერი მწვანით იმოსება, ყვავის, იფურჩქნება. მივხვდი, რატომაც არ მიყვარს ზაფხული: ბავშვები ხომ სულ შინ იქნებიან.

— მერე იტყვი, ბოროტი არ ვარო, — უთხრა სიუკმა, — მე პირიქით, მიხარია, რომ წამოიზარდნენ. მათთან საუბარიც შეიძლება. ერთთავად ტელევიზორს მისჩერებიან, ჩემზე მეტი იციან მსოფლიოში მიმდინარე ამბებზე; საფრანგეთში უნდათ წასვლა. ამბობენ, ფრანგული გვარი გვაქვსო, თანაც საფრანგეთს ცივილიზებულ ქვეყნად მიიჩნევენ, რომელიც ომებს არ აწარმოებს და იქ ერთმანეთსაც არავინ კლავს.

— ჟილ დე რეზე[1] მოუყევი, — თქვა ჯეინმა.

— ეგ აღარ გამხსენებია. თუმცა ვამტკიცებდი, რომ ვიეტნამში ყველაფერი ფრანგებმა წამოიწყეს, ჩვენ კი ამის გამოსწორებას ვცდილობთ. მათთან ეს არ გადის. ამბობენ, რომ „კოკა-კოლისთვის“ გასაღების ახალ ბაზრებს ვქმნით.

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ის ხომ არ გინახავს? — ჰკითხა ჯეინმა სიუკს.

— ვინ?

— ის. ჟანა დ'არკი, მადამ კიური. როგორ გამოიყურება?

— მაოცებ, ჯეინ! როგორ მიხვდი, რომ ის ცენტრში ვნახე?

---

[1] *ჟილ დე რე (1404-1440) — ფრანგი ბარონი, საფრანგეთის მარშალი, ჟანა დ'არკის თანამებრძოლი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ძვირფასო, ეს ხმაზე გეტყობა. თანაც რატომ დამირეკავდი ასე საჩქაროდ? როგორ არის ჩვენი საყვარელი პატარა?

— მართლაც სანდომიანი ადამიანია. პატარა უხერხულობა კი შეიქმნა. ამბობს, რომ მას და დარილს ძალიან ვენატრებით და უნდათ, ყოველგვარი ფორმალობის გარეშე ვეწვიოთ. ფიქრობენ, რომ ოფიციალური მოსაწვევების გამოგზავნა აუცილებელი არაა, მაგრამ მაინც გამოგვიგზავნიან. ბოლო დროს ძალზე დაკავებულნი ყოფილან ლაბორატორიაში რაღაც დამაიმედებელი ცდების ჩატარებითა და იურიდიული ფორმალობებით, რის გამოც დარილი ნიუ-იორკშიც კი ჩასულა. მერე მიყვებოდა, თუ როგორ მოსწონს ნიუ-იორკი ჩიკაგოსთან შედარებით, სადაც გამუდმებით ქარი ქრის და დამნაშავეობის ისეთი მაღალი დონეა, რომ თავს უსაფრთხოდ ვერსად გრძნობ, საავადმყოფოშიც კი. რაც შეეხება ნიუ-იორკს, იქ მხოლოდ რამდენიმე მყუდრო სოფელია ერთიმეორის მიყოლებით. და ასე შემდეგ.

— იმ სახლში ფეხს არასოდეს შევდგამ, — მგზნებარედ დაიფიცა ჯეინ სმარტმა.

— როგორც ჩანს, ვერც კი ხვდება, რომ გვეწყინა, როდესაც დარილი ცხვირწინ აგვაცალა.

— თუ გადაწყვეტ, რომ დამნაშავე არ არის, — უთხრა ჯეინმა, — ყველაფერს მოუძებნი გამართლებას. როგორ გამოიყურება?

ამჯერად სიუკის დუმილის დრო დადგა. უწინდელი საუბრების დროს ისინი დაუღალავად ჟღურტულებდნენ, ათას რამეს იგონებდნენ, ფრაზებს კრიალოსანივით აცვამდნენ და თითოეული მათგანი ამისგან სიამოვნებას იღებდა, რადგან ეს მათი ერთიანობის დასტური იყო.

— ისე რა, — წარმოთქვა, როგორც იქნა, სიუკმა, — მისი კანი რაღაცნაირად გამჭვირვალე მომეჩვენა.

— იგი ყოველთვის ფერმკრთალად გამოიყურებოდა, — თქვა ჯეინმა.

— ეს მხოლოდ სიმკრთალე არ იყო. მაისია, ბოლოს და ბოლოს. ამ დროს ყველა, ასე თუ ისე, ცოტათი ირუჯება. გასულ კვირას „მთვარის ქვაში“ გავემგზავრეთ და იქ დიუნებში ვიკოტრიალე. ცხვირი მარწყვივით გამიხდა და ტობი ამის გამო დამცინის კიდეც.

— ტობი?

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჰო, ტობი ბერგმანი. იგი „ვორდში“ საწყალი კლაიდის ნაცვლად მოვიდა და ზამთარში ფეხი მოიტეხა. ახლა უკვე გამოჯანმრთელდა, თუმცა ერთი ფეხი მეორეზე მოკლე გაუხდა. იმიტომ, რომ ტყვიის ფეხსაცმლით სავალდებულო ვარჯიშებს არ აკეთებდა.

— მეგონა, ვერ იტანდი.

— ეგრეც იყო, სანამ უკეთ არ გავიცანი. კლაიდის ამბის მერე ხომ ლამის ისტერიკა დამემართა. ტობი კი მართლაცდა სასაცილო ვინმეა. კარგად მახალისებს.

— ძალიან ახალგაზრდა ხომ არ არის?

— ჩვენ ამის შესახებაც ვილაპარაკეთ. ივნისში ორი წელი შესრულდება, რაც ბრაუნ-კოლეჯი დაამთავრა. მეუბნება, რომ სულით ყველაზე ახალგაზრდა ვარ მათ შორის, ვისაც ოდესმე შეხვედრია. ხშირად დამცინის იმის გამო, რომ კალორიულ საკვებს ვჭამ და უგუნური საქციელის ჩადენა შემიძლია, მაგალითად, ტელევიზორში მთელი ღამის განმავლობაში ტოქშოუს ყურება. ჩემი აზრით, იგი თავისი თაობის ტიპური წარმომადგენელია ყოველგვარი ცრურწმენების გარეშე ასაკთან, ეროვნებასა და იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რითაც ჩვენ გვზრდიდნენ. მერწმუნე, ძვირფასო, ის გაცილებით სჯობს ედსა და კლაიდს, იმის ჩათვლითაც კი, რაზეც არ საუბრობენ ხოლმე. ჩვენ არაფერს არ ვართულებთ, მხოლოდ სიამოვნებას ვიღებთ.

— მაგარია, — ხრინწიანი ხმით შეაჯამა ყველაფერი ჯეინმა, — ის ქალი როგორ ხასიათზეა, ასეთივეზე?

— იგი ახლა ნაკლებად მორცხვია, — ფიქრიანად თქვა სიუკმა, — გათხოვილი ქალია და ასე შემდეგ. როგორც უკვე ვთქვი, ფერმკრთალია, მაგრამ ეს იქნებ საღამოს განათების ბრალი იყო. ჩვენ „ნემოში“ ყავა დავლიეთ, თუმცა არა, ჯენიმ კაკაო მიირთვა. მას ცუდად სძინავს და კოფეინს ერიდება. მასზე რებეკა ზრუნავს. სულ უნდოდა, რომ მოცვიანი კვერი გაგვესინჯა — „ნემოში“ ყოველმხრივ ცდილობენ „საკონდიტროდან“ რიგიანი კლიენტების გადმობირებას. მის გამო ამბების გაზიარება ძლივს მოვახერხეთ. მან პატარაზე მოციცქნა, ჯენის ვგულისხმობ, და მთხოვა, მე დამემთავრებინა, რადგან რებეკას წყენინება არ უნდოდა. მე ეს სიამოვნებით გავაკეთე, ამ ბოლო დროს მგლის მადა მაქვს, თუმცა ვერ გამიგია, რატომ. ნუთუ შესაძლებელია, რომ დავფეხმძიმდე, ა? ეს ებრაელები ისეთი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვნებიანები არიან. ამბობს, რომ ბოლო დროს მადა სულ დაკარგა ჯენიმ. საინტერესოა, იმის დაცინცვლა ხომ არ უნდოდა, ამის თაობაზე რაიმე ვიცოდი თუ არა. არ ვიცი, იქნებ გრძნობს კიდეც, რომ რაღაც ვუხიმანდრეთ. ძალიან შემეცოდა, როცა მომიბოდიშა, მადა არ მაქვსო.

— მართლა? — შენიშნა ჯეინმა, — ადამიანი ყოველ ცოდვაზე აგებს პასუხს.

ამქვეყნად იმდენი ცოდვაა, რომ სიუკს განსაზღვრული დრო დასჭირდა, სანამ მიხვდებოდა: ჯეინი ჯენის ცოდვას — დარილზე გათხოვებას გულისხმობდა.

დილით მასთან ჯო იყო და უმსგავსო სცენას ჰქონდა ადგილი. ორსულობის მეოთხე თვეში მყოფ ჯინას ფეხმძიმობა უკვე ეტყობოდა, ამას მთელი ქალაქი ხედავდა. ალექსანდრას შვილებს კი მალე არდადეგები დაწყებოდათ და მაშინ სამუშაო დღეებში საყვარლები სახლში ერთმანეთს ველარ შეხვდებოდნენ. ქალისთვის ეს შვება იქნებოდა, დიდი შვება. აღარ მოისმენდა კაცის უპასუხისმგებლო და მართლაც საოცრად თავდაჯერებულ ლაპარაკს ჯინას მიტოვების შესახებ. ამგვარი საუბრებისგან გული ერეოდა, ისინი მისთვის არაფერს ნიშნავდა, და არც უნდოდა, რომ რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, ჯოსთან ერთად ცხოვრებაზე გაფიქრებაც კი შეურაცხყოფდა და მოთმინებას აკარგვინებდა. ის მისი საყვარელი იყო და განა ეს არ კმაროდა?

ხვალიდან კი ჯო მისი საყვარელი აღარ იქნება. ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება. ყველაფერს აქვს დასაწყისიცა და დასასრულიც. რატომაა, რომ ეს ყველამ კარგად იცის, მან კი არა? ჯოს ეჩვენებოდა, რომ ნელ ცეცხლზე წვავდნენ. იგი გაშმაგდა და ქალს მხარზე რამდენჯერმე ღონივრად დაარტყა ხელისგული, ნაკლებად მტკივნეული რომ ყოფილიყო, მერე კი შიშველი ოთახში სირბილს მოჰყვა. მისი მკვრივი თეთრი ტანი ზურგზე ბეწვების ორი ხვეულით, ალექსანდრას პეპლის ფრთებს აგონებდა (ხერხემალი კი მის სხეულს), ანდა მოპირკეთებას მარმარილოს თხელი ფილებით, რომლებიც ისე ეწყო, რომ სხმული მარცვლოვანი ლაქები სიმეტრიულ მოხატულობას ქმნიდა. სხეულზე თმა დარილივით უსწორმასწორო ტრიქომასავით კი არ ეზრდებოდა, არამედ დელი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კატურად და ორგანულად. მან ტირილი დაიწყო, შლაპა მოიხადა და თავს კარის ამყოლს ურტყამდა. ეს პაროდიას კი ჰგავდა, მაგრამ მაინც ნამდვილი უბედურება იყო, დიდი დანაკლისი. მწვანე ოთახი ძველებური, უილიამსბურგის სტილის ხის ჩუქურთმებით, ფარდებზე გამოსახული დიდი პიონები, კლოუნის ნიღბებს რომ მალავდნენ, და დაბზარული ჭერი მდუმარედ, ჩუმად აკვირდებოდნენ გაშიშვლებულ საყვარლებს და მათი მწუხარების ნაწილსაც წარმოადგენდნენ. რა შეიძლება იყოს მამაკაცისთვის იმაზე ძვირფასი, ვიდრე ის, რომ მას თბილად ხვდებიან სახლში, რომლისთვისაც თითი თითზე არ დაუკარებია, ან ქალისთვის იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე სტუმარმასპინძლობა და იმ კაცის გულღია მიღებაა, რომელსაც მისი სახლი თავისად მხოლოდ საკუთარი სასქესო ასოს ძალის გამო მიაჩნია, სასქესო ასოსა და იმ ყველაფრის გამო, რაც მას თან ახლავს: სუნი, სიტკბოება და სიმძიმე. არც გირავნობის ფურცლის მიხედვით გადახდაა საჭირო, არც საერთო შვილებით შანტაჟის მოწყობა, მხოლოდ საკუთარ კედლებში უნდა შემოუშვა და თავისუფლებასა და თანასწორობაზე დაფუძნებული ღირსეული მიღება მოუწყო. ჯოს არ შეეძლო ერთად ყოფნასა და დაქორწინებაზე არ ეფიქრა, — მას საკუთარ მშობლიურ კერაში სურდა მბრძანებლობა. იგი ქალის ძვირფას სამყაროს თავისი „კეთილი“ ზრახვებით ამცირებდა. ჯო იტანჯებოდა და იმავდროულად სულ უფრო მეტად უნდოდა ალექსანდრა, აოცებდა კიდეც თავისი ერექციით, და ვინაიდან ახლა მას ცოტა დრო ჰქონდა დარჩენილი (დილამ კამათში განვლო), ქალმა ნება მისცა, რომ თავისი საყვარელი ხერხით დაუფლებოდა, უკნიდან, თვითონ კი მუხლებზე იდგა. როგორი ძალა იგრძნობოდა კაცის ბიძგებში, რა გააფთრებით მოძრაობდა იგი თესლის გადმონთხევისას! მთელი ამ ეპიზოდიდან ქალს ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს იგი დაჭმუჭნეს და საშრობიდან ჩამოხსნილი პირსახოცივით ამოაბრუნეს, და ახლა საჭირო იყო მისი დაკეცვა და თავისუფალ თაროზე შემოდება ცარიელ, მზით გაჩახჩახებულ სახლში.

სახლიც უფრო ბედნიერი ჩანდა სამუდამო განშორების წინ მამაკაცის სტუმრობით. წლის ამ ქარიან და ნოტიო პერიოდში კოჭები და ცალფიცრები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, ჭრაჭუნებდნენ, ფანჯრის ჩარჩო კი, როდესაც ალექსანდრამ მას ზურგი შეაქცია,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ანაზდად ისე აზრიალდა, თითქოს მოულოდნელად რომელიღაც ჩიტმა დაიყვირაო.

ალექსანდრამ სადილად წინა დღის სალათი მიირთვა — ცივ ზეთში მოცურავე, აფუებული ღორის ქადის ფოთლები. წონაში უნდა დაეკლო, თორემ მთელი ზაფხულის განმავლობაში საბანაო კოსტიუმის ჩაცმას ვერ ეღირსებოდა. ჯოს კიდევ ერთი ნაკლი ის იყო, რომ ქალს სიმსუქნეს პატიობდა, როგორც პირველყოფილი ადამიანები, ცოლად ზორბა ტყვეებს რომ ირჩევდნენ, შავი ხორცის მთებს, რომლებიც მათ ჩალით გადახურულ ქოხებში ელოდნენ. ალექსანდრა გრძნობდა, რომ უკვე გამხდარიყო, საყვარლის წასვლით შემსუბუქებული. ინტუიციამ უკარნახა, რომ ახლა ტელეფონი დარეკავდა. ასეც მოხდა. ელოდა, რომ ეს ბოროტი ზრახვებით აღგზნებული ჯეინი ან სიუკი იქნებოდა. მაგრამ ყურთან მიჭერილი ყურმილიდან მაღალი, ახალგაზრდული, მოკრძალებისგან დაძაბული ხმა გაისმა — ბაყაყის ყელივით მემბრანაში მფეთქავი შიშის ტომსიკა.

— ალექსანდრა, თქვენ მე გამირბიხართ.

ამ ხმის გაგონება ალექსანდრას ყველაზე ნაკლებად სურდა.

— არა, ჯენი, ჩვენ გვინდოდა, რომ დარილისა და შენთვის განმარტოების საშუალება მოგვეცა. როგორც გავიგეთ, ახალი მეგობრები შეგიძენიათ.

— დიახ, დარილს მოსწონს ის, რასაც იგი ინფორმაციის შეყვანას უწოდებს. მაგრამ ეს ოდნავადაც არ ჰგავს იმას, როგორც... ეს თქვენთან ერთად იყო.

— ამქვეყნად არაფერი მეორდება, — თქვა ალექსანდრამ, — ნაკადული მიედინება, ბარტყი იჩეკება და ნაჭუჭს ამტვრევს. ასეა თუ ისე, შენთვის ყველაფერი კარგად აეწყო.

— არა, ლექსა, სულაც არ არის ასე.

უფრო ასაკიანი ქალის წარმოსახვაში ეს ხმა მისკენ მოიწევდა, როგორც სახე, რომელიც უნდა გაწმინდო — ლოყებზე მიკრული ქვიშის მარცვლების გამო.

— შენთვის? რამე მოხდა? — საკუთარი ხმა გაფისულ ტილოს თუ უშველებელ ბრეზენტს მიამსგავსა, რომელსაც მიწაზე აფენენ, ის კი, იმ ადგილებში, სადაც ჰაერი აღწევს, სიცარიელის რბილ ტალღებს ალაგ-ალაგ ბურთულებად ამოებურცა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— დაღლილობის შეგრძნება არ მასვენებს, — თქვა ჯენიმ, — აღარც მადა მაქვს. ქვეცნობიერად ისე მშია, რომ სულ საჭმელზე ვოცნებობ, მაგრამ როგორც კი მაგიდას მივუჯდები, პირში ლუკმა არ გადამდის. ამას ტკივილებიც ემატება, რომელიც ღამღამობით წამომივლის ხოლმე. ცხვირიდან კი გამუდმებით სისველე მდის. ეს ნერვებზე მოქმედებს. დარილი მეუბნება, რომ ვხვრინავ კიდეც, რაც ადრე არ მახასიათებდა. ის შემკვრივებები თუ გახსოვთ, მე რომ გაჩვენებდით, თქვენ კი ვერ პოულობდით?

— დიახ, ბუნდოვნად მახსოვს.

იმ შემთხვევითი ძებნის შეგრძნებები ალექსანდრას თითების დაბოლოებებში მთელი ძალით გადმოეცა.

— მომემატა... მუცელზე და თავში, ყურებს უკანაც. იქ ხომ ლიმფური კვანძებია, არა?

ჯენის ყურები გახვრეტილი არ ჰქონდა და წამდაუწუმ კარგავდა პატარა მოსაჭერ საყურეებს სააბაზანოში, შავ კაფელზე, ბალიშებს შორის.

— ვერაფერს გეტყვი, ძვირფასო. თუ ასე გაწუხებს, აჯობებს, ექიმს ეჩვენო.

— უკვე ვიყავი. დოქტორ პეტთან. მან კი გამოსაკვლევად უესტვიკის საავადმყოფოში გამგზავნა.

— გამოკვლევამ რამე უჩვენა?

— მითხრეს, რომ არა, მაგრამ მერე დამატებითი ტესტირების ჩატარება მოინდომეს. გაბღენძილი სახით დაიარებიან და სულელური ხმით მიკიბულ-მოკიბულად გელაპარაკებიან, თითქოს ურჩი ბავშვი იყო, რომელიც მათ ფეხსაცმელებზე დააფსამს, თუ თავს შორს არ დაიჭერენ. მათ ჩემი ეშინიათ. ეშინიათ, არ წამოსცდეთ, რომ ძალიან ავად ვარ. ამბობენ, რომ თეთრი სხეულების რაოდენობა „ნორმაზე ოდნავ მაღალია“. იციან, რომ დიდი ქალაქის საავადმყოფოში ვმუშაობდი, ამიტომ ფრთხილობენ, მაგრამ სისტემური დაავადებების შესახებ მე არაფერი გამეგება. ძირითადად მოტეხილობები და ნაღვლის კენჭები მაქვს ნანახი. ეგ კიდევ არაფერი, ღამღამობით რომ არ ვგრძნობდე, რომ რაღაც ისე არ არის, რომ ჩემში რაღაც ხდება. გაუთავებლად მეკითხებიან, დასხივება ხომ არ მიიღეო. მე, ცხადია, ვმუშაობდი მაიკლ რისთან, მაგრამ ისინი ძალზე ფრთხილობენ, როცა აპარატს რთავენ, ტყვიის წინსაფარს იკეთებენ, მე კი სქელშუშებიან

www.PDF.ChiaturaINFO.GE

კაფსულაში მსვამენ. ერთადერთი, რისი გახსენებაც შეეძელი, ის არის, რომ პატარაობისას, ისთვიქში გადმოსვლამდე, სანამ უორვიკ-ში ვცხოვრობდით, ძალზე ხშირად მიკეთებდნენ კბილების რენტგენს, როცა მათი გასწორება უწევდათ. საშინელი პირი მქონდა.

— ახლა კარგი კბილები გაქვს.

— გმადლობთ. ეს მამას გვარიანი თანხა დაუჯდა. საკმაოდ გაუჭირდა, მაგრამ ძალიან უნდოდა, რომ ლამაზი ვყოფილიყავი. მე მას ვუყვარდი, ლექსა.

— მჯერა, რომ უყვარდი, ძვირფასო, — ხმას დაუდაბლა ალექსანდრამ. ჰაერი ბრეზენტს ბერავდა და ქარით შექმნილი მხეცივით ბორგავდა მის ქვეშ.

— მე მას ძალზე ვუყვარდი, — წამოისროლა ჯენიმ, — რატომ მოიქცა ასე? რატომ ჩამოიხრჩო თავი? რატომ დაგვტოვა მარტო მე და ქრისი? მკვლელობისთვის ციხეშიც რომ ჩაესვათ, მაინც უკეთესი იქნებოდა. ბევრს არ მიუსჯიდნენ. შეუძლებელი იყო იმ საშინელების წინასწარ მოფიქრება, რაც მან ჩაიდინა.

— სამაგიეროდ, დარილი გყავს, — უთხრა მას ალექსანდრამ.

— მყავს და არც მყავს. ხომ იცით, როგორიცაა. ჩემზე უკეთ იცით. ავჩქარდი, ჯერ თქვენ უნდა დაგლაპარაკებოდით. იქნებ თქვენთან უკეთესად ეგრძნო თავი. იგი ყურადღებიანია, თავაზიანი და ასე შემდეგ, მაგრამ როგორღაც არ შემეფერება. ფიქრებით მუდამ სადღაცაა, შორს, ალბათ, თავის პროექტებზე ფიქრობს. ალექსანდრა, თუ შეიძლება, ნება მომეცით, რომ თქვენთან მოვიდე და დაგელაპარაკოთ. დიდი ხნით არ მოგაცდენთ, მართალს გეუბნებით. მე უბრალოდ მჭირდება, რომ... შემეხოთ, — დაასკვნა მან და მისი ხმა შორს წავიდა, ბოლო გულწრფელი თხოვნა გაახმოვანა და თითქმის დამცინავად მიწყდა.

— ძვირფასო, ვერ ვხვდები, ჩემგან რას ითხოვ? — გადაჭრით იცრუა ალექსანდრამ, რადგან გადაწყვიტა, რომ ყველაფერი მოეშანდაკებინა, წაეშალა მეხსიერებიდან სახე, რომელიც იმდენად მიუახლოვდა, რომ ქვიშის ნამცეცებსაც კი ხედავდა, — შენდამი არავითარი ვალდებულება არ გამაჩნია. ეს მართლაც ასეა. არჩევანი თვითონ გააკეთე და მე არაფერ შუაში ვარ. ყველაფერი შესანიშნავადაა. შენ შენი ცხოვრება გაქვს, მე — ჩემი. შენი ცხოვრების ნაწილი ველარ ვიქნები. არ შემიძლია. ამდენს ვერ გავქაჩავ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— სიუკს და ჯეინს, შესაძლოა, არ მოეწონოთ, თუ შევხვდებით, — ივარაუდა ჯენიმ, რათა გონივრული ახსნა მოეძებნა ალექსანდრას გულქვაობისთვის.

— მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვსაუბრობ. აღარ მინდა შენთან და დარილთან საქმის დაჭერა. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ, მაგრამ აღარ მსურს შენი დანახვა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. სიმართლე გითხრა, ეს ძალზე მტკივნეული იქნებოდა. რაც შეეხება შენს უქეიფობას, მეჩვენება, რომ ყველაფერი წარმოსახვის ნაყოფია. ყოველ შემთხვევაში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ხარ, რომლებიც ჩემზე უკეთ მოგხედავენ.

— ოჰ, ამაში დარწმუნებული არ ვარ, — შორეული ხმა წერტილის ოდენა გახდა და მექანიკურად ისმოდა, როგორც ტელეფონ-ავტომატში.

როდესაც ალექსანდრამ ყურმილი დადო, ხელები უკანკალებდა. ოთახში ყველა ნაცნობი კუთხე და ავეჯი თითქოს უცოდველი სახით იხევდა უკან და იმავდროულად თავის ადგილზეც რჩებოდა. იგი სახელოსნოში შევიდა, აიღო ერთი ძველი, უინძორული სკამი ისრულა ზურგითა და საღებავით, მშრალი თაბაშირითა და რბილი თიხით მოსვრილი დასაჯდომით, და საშხარეულოში გაიტანა. სკამი მაღალი თაროს ქვეშ დადგა, ზედ შედგა და გაიჭიმა, რათა ფოლგაში შეხვეული ნივთი ჩამოეღო, რომელიც იქ აპრილის იმ საღამოს ჯეინისგან დაბრუნების შემდეგ დამალა. თავისდა გასაოცრად, თითებში სითბო იგრძნო. ეს ჭერქვეშ თბილი ჰაერის დაგროვების შედეგიაო, გაიფიქრა გუნებაში. ხმაურზე კოული მოჩანჩალდა თავისი კუთხიდან, იგი საშხარეულოში უნდა ჩაეკეტა, თორემ სახლიდან გასულს ფეხდაფეხ გაჰყვებოდა — ეგონებოდა, რომ მისი საყვარელი თამაში იწყებოდა, როდესაც პატრონის გადაგდებული ნივთი უკან უნდა მოეტანა. სახელოსნოში ალექსანდრას ხან ფიჭვის ხის მძიმე თამასა-არმატურა მოხვდა თვალში, ზომით ხუთი ათზე და ორ-ნახევარი ხუთ სანტიმეტრზე, ხანაც ტანსაცმლის გრეხილი საკიდრები და მავთულის ბადე — ცოტა ხნის წინ მან გიგანტური სკულპტურის შექმნა სცადა, ისეთი დიდის, რომლის დადგმაც საზოგადოებრივ ადგილას, მაგალითად, კაზმირჟაკის მოედანზე იქნებოდა შესაძლებელი. ამ უთავბოლოდ აშენებულ სახლში ფერმერების რვა თაობას ეცხოვრა, სახელოსნოს იქით წინკარი იყო მიწის იატაკით.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

წარსულში მას ფარდულად იყენებდნენ თიხის ნაკეთობების შესანახად, ალექსანდრას კი საკუჭნაო მოეწყო. სქელ კედლებზე ნიჩბები, თოხები და ფოცხები ეკიდა, ძირს კი ძველი თიხის ქოთნები, ტორფული ხავსითა და ძვლის ფქვილით სავსე გადახსნილი ტომრები ეწყო. ნაჩქარევად გაკეთებული თაროები ჟანგიანი საბაღე აქანდაზებითა და გამომშრალი პესტიციდების ყავისფერი ბოთლებით იყო გადავსებული. მან რკინის ჩანგლით გადაბმული ორი პარალელური ფიცრით უხეშად შეკრულ კარზე ურდული გასწია, მზის გულზე გავიდა და მდელოს გაუყვა. ხელში პატარა, მბრწყინავი, თბილი ფუთა ეჭირა.

სახლს გარეთ შმაგი ოვნისის დღე იდგა: მდელო გათიბვას ელოდა, ყვავილნარები გზის გასწვრივ — გამარგვლას, პომიდვრები და პიონები კი — ახვევას. სიჩუმეში მწერების ფუსფუსი ისმოდა, მზე სახეს უწვავდა და ალექსანდრამ იგრძნო, როგორ უცხელდებოდა მსხვილი ნაწნავი. ზამთარში სახლს უკან, ალაგ-ალაგ მონგრეული ქვის ღობის იქით, რომელსაც შხამიანი სურო და ვირჯინიული ხვართქლა მოსდებოდა, ჭაობი თითქოს ხელისგულზე იდო, აწეწილი ბალახის წაბლისფერ კონებს შორის მოცისფრო, ბუშტოვანი ყინული მოჩანდა. ზაფხულში აქაურობა მწვანეფოთლიანი, შავღეროიანი ბარდებით, გვიმრებით, ოროვანდებითა და ველური ჟოლოთი იყო გადაკვლილი, რამდენიმე მეტრს იქით არაფერი ჩანდა, კაცი ვერ გაივლიდა ეკლებისა და ფეხქვეშ მოჭყაპუნე წყლის გამო. ბავშვობაში, ასე მეექვსე კლასამდე, როდესაც ბიჭები გოგონებთან ერთად თამაშს უკვე თაკილობენ, ალექსანდრა ბეისბოლში საკმაოდ ძლიერი იყო. აი, მან ახლაც ნაბიჯი უკან გადადგა, ხელი მოიქნია და ჯადოგაკეთებული ფუთა შორს მოისროლა, რაც შეიძლებოდა შორს ამ აყვავებულ სილურჯეში — ქინძისთავებიანი ცვილი მთვარისკენ ნატყორცნი კენჭივით გაფრინდა. შესაძლოა, იგი საფლობ ადგილას დაცემულიყო და ჩაძირულიყო, ანდა წითელნისკარტიან შავ შაშვებს ფოლგა შემოეძარცვათ და ბუდეების მოსართავად წაეღოთ. ალექსანდრას სურდა, რომ ფუთა გადაეყლაპათ, აეკენკათ, გაექროთ, რათა შეშფოთებულ ბუნებას სამუდამოდ დაევიწყებინა იგი.

ბოლოს და ბოლოს, სამივენი შეიკრიბნენ თავიანთ ხუთშაბათობაზე ჰემლოკ-ლაინზე მდებარე სიუკის სახლში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— განა ეს შესანიშნავი არაა?! — წამოიძახა დაგვიანებით შემოსულმა ჯეინ სმარტმა.

მას თითქმის არაფერი ეცვა: პლასტმასის მაშიები და ჩითის ზოლიანი სარაფანი, კისერს უკან შეკრული თასმებით, რათა გარუჯვაში ხელი არ შეშლოდა. მთელი სხეული თანაბრად ყავისფერი ჰქონდა, თვალებქვეშ დაბერებული კანი კი — დანაოჭებული და თეთრი. მარცხენა ფეხზე მოლურჯო-მეწამული ვარიკოზული ვენა ამობურცვოდა წყლიდან სანახევროდ ამოწეული ლოხნესის ურჩხულის ზურგზე — როგორც ეს მისი არსებობის სადემონსტრაციო ბუნდოვან სურათებზე ჩანს — არსებული გირჩისებური გამონაზარდების პატარა მწკრივივით. მიუხედავად იმისა, რომ ჯეინი ენერგიული, სქელკანიანი ალქაჯი იყო, მზე კვლავაც მის მშობლიურ სტიქიად რჩებოდა.

— ღმერთო ჩემო, რა საშინლად გამოიყურება! — სიხარულს ვერ მალავდა იგი, როცა მარტინით სავსე ჭიქით ხელში ერთ-ერთ გადახეხილ სავარძელში მოკალათდა. მარტინი ვერცხლისწყალივით მოუსვენრობდა, მწვანე ზეთისხილი კი შიგ რეპტილიის წითელ გარსში მოთავსებული თვალივით ეკიდა.

— ვინ? — ჰკითხა ალექსანდრამ, თუმცა კარგად უწყოდა, იგი ვისაც გულისხმობდა.

— რასაკვირველია, უძვირფასესი მისის ვან ჰორნი, — მიუგო ჯეინმა, — კაშკაშა მზეზეც კი ისე გამოიყურება, როგორც დახურულ შენობაში, და ეს პორტის ქუჩაზე, გაგანია ოვნისში! მას თავხედობა ეყო, რომ ჩემთან მოსულიყო, თუმცა ვცდილობდი, შეუმჩნევლად მედურთა თავი „მოწკავწკავე მელიაში“.

— საცოდავი, — თქვა სიუკმა, რომელსაც პირი მარილიანი თხილით გამოეტენა და ღიმილით იღეჭებოდა. ზაფხულში ტუჩებზე იგი უფრო ღია ფერის პომადას ისვამდა. მზით დამწვარ, უფორმო, პატარა ცხვირის ძგიდეზე კანი დასკდომოდა.

— როგორც ჩანს, ქიმიათერაპიისგან თმა გასცვივდა და თავსაფარს ატარებს, — თქვა ჯეინმა, — საკმაოდ კეკლუცია, არა?

— რა გითხრა? — შეეკითხა ალექსანდრა.

— ოჰ, როგორც იციან ხოლმე: „რა მშვენიერია“, „მე და დარილი სულ ველარ გხედავთ“, „გვეწვიეთ, გეთაყვა, ჩვენ ახლა ყურეში ვბანაობთ“. როგორც შემეძლო, თავიდან მოვიცილე. რა თვალთმა-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქცობაა! მას ხომ სიკვდილივით ვძულვართ, უნდა ვძულდეთ, ყოველ შემთხვევაში.

— თავისი ავადმყოფობა თუ ახსენა? — დაინტერესდა ალექსანდრა.

— სიტყვა არ დაუძრავს. სულ იღიმებოდა. „რა მშვენიერი ამინდია!“ „ალბათ, გაიგებდით, ართურ ჰელიბრედმა კოხტა, იალქნიანი იახტა რომ იყიდა?“ აი, ასე გვექცევა იგი.

ალექსანდრამ ერთი კი გაიფიქრა, ჯენის სატელეფონო ზარის შესახებ ხომ არ ვთქვაო, მაგრამ არ უნდოდა, რომ ქალიშვილის თხოვნა სასაცილოდ აეგდოთ. თუმცა... მას ხომ თავისი დების, ჯადოქართა საბუდარის მობინადრეთა ერთგულება მართებდა.

— ერთი თვის წინ დამირეკა, — თქვა მან, — აუჩემებია, ჯირკვლები შემისივდაო. ჩემთან შეხვედრა სურდა. თითქოს მისი განკურნება შემეძლოს.

— რა უცნაურია, — თქვა ჯეინმა, — მერედა რა უპასუხე?

— „არა“. მართლაც არ მინდა მისი ნახვა. ამას კარგი არაფერი მოჰყვება. იმას კი ვაღიარებ, რაც მოვიმოქმედე — ავიღე და ის დაწყევლილი ჯადოგაკეთებული თოჯინა სახლს უკან მდებარე ჭაობში მოვისროლე.

სიუკი წელში გაიმართა, საკარძლის სახელურზე დადებულ ლამბაქს შემთხვევით გაედო და კინაღამ გადაუვარდა, მაგრამ მარჯვედ წაავლო ხელი და თქვა:

— რატომ, ჩემო სიხარულო, რა ექსტრავაგანტური გამოხდომაა იმის შემდეგ, რაც ამდენი ვეწვალეთ ამ ცვილს და სხვა რამეებსაც! შენ, მგონი, ალქაჯობაზე ამბობ უარს!

— ვითომ? რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს, თუ მას ქიმიათერაპიით კურნავენ? ბობ ოსგუდი, — თვითკმაყოფილებით აღნიშნა ჯეინმა, — ექიმ პეტთან მეგობრობს. მას კი უთქვამს, ეს ქალი ჩემთვის ნამდვილი გამოცანა არისო: ღვიძლი, კუჭქვეშა ჯირკვალი, ძვლის ტვინი და ყურის ბიბილოებიც კი დაზიანებული ჰქონია. Entre nous,[1] ბობი ამბობს, რომ, ექიმ პეტის აზრით, სასწაული იქნება, თუ ის ორ თვეს კიდევ გაატანს. ეს ჯენისაც სცოდნია. ქიმიოთერაპიას კი დარილის დასამშვიდებლად უტარებენ. ის, ალბათ, ჭკუაზე აღარაა მწუხარებისგან.

---

[1] *ჩვენ შორის დარჩეს და (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა, როცა ჯეინს საყვარლად პატარა მელოტი ბანკირი, ბობ ოსგუდი გაეხადა, წარბებს შორის ორი გრძივი ნაოჭი ცოტათი გაშლოდა და ხმასაც მეტი სიმხიარულე შეეძინა, თითქოს მას საკუთარ ხმის იოგებზე ხემის გასმით გამოსცემდა. ალექსანდრა ჯეინის დედას არ იცნობდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სწორედ ასეთივე ხმით წკრიალებდა ბექ-ბეიში მდებარე მის სახლში ჩაის ფინჯნები.

— ზოგჯერ რემისიას აქვს ადგილი, — გააპროტესტა ალექსანდრამ განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე. მისგან ახლა ძალა მოედინებოდა, ოთახის გარეთ არსებულ ასტრალურ ნაკადებს უერთდებოდა და ბუნებაში იკარგებოდა.

— შენ ბრწყინვალე, დიდი, მოსიყვარულე და ნაზი ქალი ხარ, — წარმოთქვა ჯეინ სმარტმა და მისკენ ისე დაიხარა, რომ გულამოჭრილ სარაფანში მზემოუკიდებელი მკერდი გამოუჩნდა, — რამ წამოგიარა, ალექსანდრა? რომ არა ის, შენ ახლა „გომბეშოს სახლის“ დიასახლისი იქნებოდი. დარილი ისთვიქში საცოლის მოსაძებნად ჩამოვიდა და ეს შენ უნდა ყოფილიყავი.

— ჩვენ გვინდოდა, რომ ეს შენ ყოფილიყავი, — თქვა სიუკმა.

— სისულელეა, — მხრები აიჩეჩა ალექსანდრამ, — ჩემი აზრით, ამ შესაძლებლობას თითოეული თქვენგანი ჩაებღაუჭებოდა. განსაკუთრებით შენ, ჯეინ! ძალიან გიყვარს წელს ქვემოთ თამაში.

— არ გვინდა ჩხუბი, გოგონებო, — შეევედრა სიუკი, — მოდი, მოვდუნდეთ. იმათზე ვისაუბროთ, ვისაც ცენტრში შევხვდი. ვერაფრით მიხვდებით, ვინ ვნახე გუშინ საღამოს სუპერმარკეტის წინ!

— ენდი უორჰოლი, — ზანტად გამოთქვა ვარაუდი ალექსანდრამ.

— დონ პოლანსკი!

— ედის პატარა მეძავი? — ჩაეკითხა ჯეინი, — ის ხომ ნიუ-ჯერსიში დაიღუპა ბომბის აფეთქებისას!

— მისგან ხომ არაფერი დარჩენილა, მხოლოდ რაღაც ტანსაცმელი, — შეახსენა მათ სიუკმა, — როგორც ჩანს, იგი იმ ოთახიდან გადავიდა, რომელსაც ისინი ჰობოკენში, მანჰეტენზე ქირაობდნენ, სადაც მათი შტაბბინა მდებარეობდა. რევოლუციონერები ბოლომდე არასოდეს ენდობოდნენ ედს, იგი ასაკიანი და წესიერი კაცი იყო, ამიტომაც გაგზავნეს ბომბების ასაფეთქებლად, რათა მისი ერთგულება გამოეცადათ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯეინმა ბოროტად გადაიხარხარა თავისი განსაკუთრებული ვიბრატოთი.

— იგი ვირივით ერთგული იყო. ეს ერთადერთია, რაშიც ეჭვი არასოდეს შემპარვია.

გაკიცხვის ნიშნად სიუკმა ზედა ტუჩი მორკალა და განაგრძო:

— ცხადია, რომ მათთვის დონი თავისიანი იყო და იგი იმ დროს აიყვანეს, როდესაც „მეთაურებთან“ ერთად სადმე ისტ-ვილეჯში დასეირნობდა, მაშინ, როცა ედი ჰობოკენში აფეთქდა. დონი ვარაუდობს, რომ მას სადენების მიერთებისას ხელები აუკანკალდა. ამაზე იატაკქვეშეთში გატარებულმა დრომ და არასაკმარისმა კვებამაც იმოქმედა. ამასთან გოგონა მიხვდა, რომ იგი საწოლშიც დიდი ვერაფერი შვილი იყო.

— დონისთვის ყველაფერი გაცხადდა, — თქვა ჯეინმა და დააზუსტა: — მიხვდა, რომ მისი დონისთვის შეუფერებელი იყო.

— ვისგან შეიტყვე ეს ყველაფერი? — ჰკითხა სიუკს ჯეინის მანერით გაღიზიანებულმა ალექსანდრამ, — შენ რა, სუპერმარკეტთან იდექი და გოგონას ესაუბრებოდი?

— არა, მეშინია იმ ვიგინდარების. მათ შორის შავებიც გამოჩნდნენ. არ ვიცი, საიდან არიან, ალბათ, პროვიდენსის სამხრეთ რაიონში მდებარე გეტოდან. ჩვეულებრივ, იქ ქუჩის მეორე მხარეს გავივლი ხოლმე. ჰელიბრედებმა მითხრეს, გოგონა ქალაქში დაბრუნდა და კოდინგტონ-ჯანქშენში, ტრაილერში მამინაცვალთან ერთად ყოფნა აღარ სურსო. სადღაც სომხური მაღაზიის უკან ცხოვრობს და სახლებს ალაგებს, რათა სიგარეტისა და სხვა წვრილმანისთვის ფული გამოიმუშაოს. ჰელიბრედებთან კი კვირაში ორჯერ დადის. ვფიქრობ, რომ როზა მისი სულიერი დედა გახდა. მას ხომ საშინლად სტკივა ზურგი და იატაკიდან ცოცხსაც კი ვერ იღებს დაუკვნესებლად.

— ჰელიბრედებზე საიდანღა იცი ამდენი? — ჰკითხა ალექსანდრამ.

— ოჰ, — თქვა სიუკმა და ჭერს ახედა, რომელსაც ჟღრიალ-ზრიალი გაჰქონდა ტელევიზორის დახშული ხმებისგან, — მას შემდეგ, რაც ტობს დავშორდი, დროდადრო მათთან შევივლი ხოლმე და უფროსებისთვის ფილმების რეიტინგებს ვადგენ. ჰელიბრედებთანაც შეიძლება გართობა, როცა კარგ ხასიათზე არიან.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რა მოხდა შენსა და ტობს შორის? — იკითხა ჯეინმა, — შენ ხომ სახეზე გეწერა... კმაყოფილება.

— იგი გაათავისუფლეს. პროვიდენსში სინდიკატის ხელმძღვანელობამ, რომელსაც „ვორდი“ ეკუთვნის, გადაწყვიტა, რომ გაზეთმა მის ხელში სექსუალობა საკმაოდ დაკარგა. უნდა გითხრათ, რომ იგი მართლაც სენტიმენტალური იყო: ამ ებრაელი დედებისა რა ვთქვი, როგორ აფუჭებენ შვილებს. ვფიქრობ, განცხადება ხომ არ დავწერო რედაქტორის თანამდებობის დასაკავებლად. თუკი ბრენდა პარსლის შეუძლია მამაკაცის სამუშაოს შესრულება, მე რით ვარ მასზე ნაკლები? მეც შემიძლია ამის გაკეთება.

— შენს მეგობრებს არც ისე ძალიან უმართლებს, — შენიშნა ალექსანდრამ.

— ართურს მეგობარს ვერ ვუწოდებ, — თქვა სიუკმა, — მან იმდენი რამ იცის, რომ მის გვერდით დგომა ჩემთვის იმავე წიგნის კითხვაა.

— მე ართურს არ ვგულისხმობდი. ის რა, შენი მეგობარია?

— განა მას არ უმართლებს? — იკითხა ჯეინმა.

სიუკს თვალები გაუფართოვდა: მას ეგონა, რომ ყველანი საქმის კურსში იყვნენ.

— არა, მას უბრალოდ ფიბრილაცია[1] სჭირს. ექიმმა პეტმა უთხრა, რომ ეს მის სიცოცხლეს პრობლემას არ შეუქმნის, თუ დიგიტალისი[2] მუდამ თან ექნება. თვითონ კი ამბობს, ამ დროს ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მკერდში მოფართხალე ჩიტი მიზისო.

ალექსანდრას თვალში ორივე მეგობარი, რომლებიც ახალი საყვარლებით იწონებდნენ თავს, სიჯანსაღის განსახიერებას წარმოადგენდა: მათი გადატკეცილი და მზენაკრავი კანით დაფარული სხეულები ჯენის სიკვდილის მოახლოებასთან ერთად ძლიერდებოდა, ისინი მისგან ისე იღებდნენ ძალას, როგორც მამაკაცის ორგანიზმიდან. შავთმიან გარუჯულ ჯეინს მინისარაფანი და მაშიები ეცვა, სიუკი კი ისთვიქის ქალებისთვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ საზაფხულო სამოსში გამოწყობილიყო: ხაოიანი ხავერდის შორტი, რომელშიც სა-

---

[1] *ფიბრილაცია — გულის ავადმყოფური მდგომარეობა, რომლის დროსაც კუნთური ბოჭკოების ცალკეული ჯგუფი შეუთანხმებლად იკუმშება.*

[2] *დიგიტილისი, ანუ ფუტკარა — მცენარე, რომლისგანაც მზადდება პრეპარატი გულის უკმარისობის სამკურნალოდ.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯდომი გამობურცული და მრგვალი მოუჩანდა, და მბზინავი ლურჯი მაისური, რომლის ქვეშაც ლიფისგან თავისუფალი მკერდი უხტოდა. იმის გაფიქრებაც კი უჭირდა, რომ ოცდაცამეტი წლის სიუკი ულიფოდ სიარულს ბედავდა! ცამეტი წლიდან მოყოლებული ალექსანდრა შურის თვალით უყურებდა ასეთ თავხედ, ბუნებით ტანად გოგონებს, შეუზღუდავად რომ მიირთმევდნენ ყველანაირ საჭმელს, მაშინ, როცა მისი სული ხორცით იყო დამძიმებული, რომელიც მაშინვე ცხიმად გადაიქცეოდა ხოლმე, როგორც კი რაიმე ზედმეტს მიიღებდა. თვალები ცრემლით ევსებოდა. რატომ ერგო ასეთი ბედი, ალქაჯმა ხომ ისე უნდა იცეკვოს და ისრიალოს, რომ მიწას არც კი შეეხოს?

— ჩვენ ასე ვეღარ გავაგრძელებთ, — წამოისროლა არყისგან აღგზნებულმა, თან პატარა, ვიწრო და გრძელი ოთახის გამოწეულ კუთხეებს ეჯახებოდა, — ჯადო უნდა მოვხსნათ.

— მაგრამ როგორ, საყვარელო? — ჰკითხა ჯეინმა და წითელფილტრიანი სიგარეტი „პეისლის“ მოხატულობის ლამბაქზე (სიუკმა ის თხილისგან მოასუფთავა) დააფერფლა. მერე კი კვლავ დაარტყა ნაფაზი და კვამლი ცხვირიდან გამოუშვა. მან თითქოს წაიკითხა ალექსანდრას აზრები და წინასწარ განჭვრიტა თავისი მომაბეზრებელი საქციელი.

— არ შეიძლება მისი ასე მოკვლა, — განაგრძო ალექსანდრამ, თან სიამოვნებას იღებდა იმ შთაბეჭდილებისგან, რომელიც უნდა მოეხდინა, როგორც მოქვითინე, მზრუნველ უფროს დას.

— ვითომ რატომ? — ცივად იკითხა ჯეინმა, — ფიქრებში ჩვენ ყოველთვის ვკლავთ. ვასწორებთ შეცდომებს. ვიცვლით პრიორიტეტებს.

— იქნებ ჩვენი ჯადო არაფერ შუაშია, — ვარაუდი გამოთქვა სიუკმა, — იქნებ ძალზე თავდაჯერებულები ვართ. ბოლოს და ბოლოს, მას ექიმები დასტრიალებენ თავზე, მათ კი ათასგვარი ინსტრუმენტი თუ ხელსაწყო აქვთ, რომლებიც არ იტყუებიან.

— იტყუებიან, — თქვა ალექსანდრამ, — ყველა ეს სამეცნიერო ხელსაწყო იტყუება. ხომ უნდა არსებობდეს რაღაც, რაც ჯადოს ახსნას შეძლებდა, — ლამის ვედრებით თქვა მან.

— ყველამ ყურადღება უნდა მოვიკრიბოთ.

— ჩემი იმედი ნუ გექნებათ, — თქვა ჯეინმა, — ცერემონიალური ჯადოსნობა ძალიან მაღიზიანებს, ასე გადავწყვიტე. ნამდვილი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

საბავშვო ბალია. ჩემი სადღვებელი ჯერაც ცვილიანია. ბავშვები კი გამუდმებით მეკითხებიან, ფოლგაში რა იყოო. ისინი ზუსტად იმ დროს წაგვადგნენ თავს და, შესაძლოა, სხვებსაც მოუყვნენ. ნურც ერთს ნუ გეშინიათ, მე ჯერაც არ დამიკარგავს იმედი, რომ ეკლესიას ხელში ჩავიგდებ, თუმცა ეს ჭორები სულაც არ უწყობს ხელს იმას, რომ გავლენიანმა ადამიანებმა ქორმაისტერად დამნიშნონ.

— როგორ შეგიძლია ასეთი გულქვაობა? — შესძახა ალექსანდრამ, რომელმაც იგრძნო, თუ როგორ მოქმედებდა მისი ემოცია სიუკის ძველებურ, ნატიფ ნივთებზე — ოვალურ გასაშლელ მაგიდაზე, შეკერების[1] სტილის სამფეხა სკამზე დაწნული დასაჯდომით, — როგორც ტალღა, ნაპირისკენ ნამსხვრევებს რომ მოერეკება, — ნუთუ არ გესმის, რომ ეს საშინელებაა? ბოლოს და ბოლოს, მან მხოლოდ ის გააკეთა, რაც კაცმა სთხოვა და „დიახ“ უპასუხა. სხვა რა უნდა ეთქვა?

— საინტერესო ამბავი კი გამოდის, — თქვა ჯეინმა და „პეისლით“ მოხატული ლამბაქის თითბრის კიდეზე სიგარეტის ფერფლი მაღალ გროვად შეაქუჩა, — ჯენი ამ დღეებში გარდაიცვალა, — დაამატა მან, თითქოს ციტირებას ახდენსო.

— ძვირფასო, — მიმართა ალექსანდრას სიუკმა, — ვშიშობ, ჩვენ ვერაფრის შეცვლას ვერ შევძლებდით...

— მას უკვე აუგეს წესი, — განაგრძობდა ჯეინი იმავე კილოთი.

— ასე რომ, ჩვენ უბრალონი ვართ. შენ მხოლოდ იარაღი იყავი სხვის ხელში. ასევე ჩვენც.

— მაშ, ვილოცოთ ნებსით, — დაასრულა ციტირება ჯეინმა.

— ჩვენ კოსმოსმა გამოგვიყენა.

ალექსანდრა სიამაყით აღივსო თავისი ოსტატობის გამო.

— თქვენ უჩემოდ ვერაფერს შეძლებდით, მაგრამ მე ძლიერი ენერგეტიკა მაქვს, და ორგანიზატორის ნიჭიც. რა კარგი განცდაა — საკუთარი ძალაუფლების შეგრძნება!

ახლა იგი გრძნობდა ამას, მისი მწუხარება ისე აწვებოდა ამ კედლებს, სახეებსა და ნივთებს — საზღვაო სკივრს, ტაბურეტს წვრილი, წვეტიანი ფეხებით, რომბისებურ სქელ ჩარჩოებს, — როგორც აღგზნებითა და მონანიებით სავსე ბალიში.

---

[1] *შეკერები — რელიგიური სექტა ამერიკაში, რომელიც ცნობილია სადა, ელეგანტური ავეჯის დამზადებით.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ალექსანდრა, — თქვა ჯეინმა, — შენ, მგონი, მართლაც უქეიფოდ ხარ.

— ვიცი, თავს საშინლად ვგრძნობ. ვერ გამიგია, რა ხდება. ყოველი მენსტრუაციის წინ მარცხენა დანამატი მტკივა ხოლმე. ღამით კი წელი ისე მჩხვლეტს, რომ მელვიძება და გვერდზე მოკუნტული ვწევარ.

— ოჰ, შე საბრალო, დიდო, სევდიანო მზეთუნახავო, — თქვა სიუკმა, ფეხზე წამოდგა და მისკენ ნაბიჯი გადადგა, თან მბზინავი ქსოვილის ქვეშ ძუძუები შეერხა, — ზურგის მასაჟი გესაჭიროება.

— ძალიან მეშინია, — წაიდუდღუნა ალექსანდრამ, რომელსაც ცხვირში ელიტინებოდა, — რატომ მაინცდამაინც საკვერცხე, თუ არა...

— ახალი საყვარელი გჭირდება, — უთხრა მას ჯეინმა.

ნეტავ როგორ მიხვდა? ალექსანდრამ ჯოს უთხრა, რომ მისი დანახვაც კი აღარ სურდა და მასაც აგერ უკვე რამდენიმე კვირის განმავლობაში ფეხი აღარ მოედგა.

— აბა, ერთი ეგ მშვენიერი ბლუზა აიწიე, — მიმართა მას სიუკმა, თუმცა სინამდვილეში ეს ოზის ნახმარი ძველი პერანგი იყო მეორე ღილის გვერდით დალაქავებული და აპრეხილკუთხეებიანი საყელოთი, რადგან პლასტმასის შუასადებები ამოვარდნოდა. სიუკმა მას ლიფის ღვედები ჩამოუწია, საკინძე შეუხსნა და მძიმე მკერდი გაუთავისუფლა, შემდეგ კი თხელი თითებით წრიულ მასაჟს შეუდგა. ალექსანდრას თავქვეშ მოთავსებულ დივნის უხეშ ბალიშს სველი ძაღლის დამამშვიდებელი სუნი ასდიოდა. მან თვალები მინაბა.

— იქნებ თეძოების მასაჟიც გვესინჯა, — წარმოთქვა ჯეინმა, წკარუნისა და შრიალის მიხედვით ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ იგი ჭიქას დგამდა და სიგარეტს აქრობდა, — დაძაბულობა წელში თეძოს უკანა ნაწილში წარმოიქმნება და მისი მოხსნაა საჭირო, — ჯეინი თავისი გაუხეშებული თითის წვერებით წიწკნას შეუდგა, თან ხელს უსვამდა და pianissimo-ს[1] ეფექტს ქმნიდა.

— ჯენი... — დაიწყო ალექსანდრამ, როდესაც მისი ნაზი მასაჟი გაახსენდა.

---

[1] *Pianisimo (იტალ.). — პიანოზე ხმადაბლა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჩვენ ჯენისთვის არაფერი დაგვიშავებია, — წაიმღერა სიუკმა.
— ჯენის დნმ ვნებს, — თქვა ჯეინმა, — გაფუჭებული დნმ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ალექსანდრა ძილისთვის მზად იყო. ჰენკი, სიუკის საშინელი ვაიმარანერი, რომელსაც ლილისფერი ენა გადმოეგდო, ოთახში შემოიჭრა და თამაშიც დაიწყო: ჯეინი მშრალ საკვებს ალექსანდრას ფეხებზე აყრიდა, ჰენკი კი ლოკავდა. შემდეგ საკვები ზურგზე მოაბნიეს, სადაც პერანგი იყო აკეცილი. ძაღლს ხორკლიანი, სველი, თბილი და უზარმაზარი ლოკოკინას ფეხივით მწებვარე ენა ჰქონდა. მას თავისი პატრონივით უყვარდა ხრაშუნა საჭმელი, ამიტომ ალექსანდრას ზურგზე გაშლილ სუფრას ბოლო მალე მოუღო და დანაყრებული, გაოცებით მიაშტერდა ქალებს და თავისი მრგვალი ტოპაზის თვალებით, რომელთა ცენტრში იისფერი ღრუბლები მოჩანდა, მათ თამაშის შეწყვეტა სთხოვა.

თუმცა ზაფხულობით ისთვიქის ეკლესიებში ხალხის ნაკადი შესამჩნევად იკლებდა ხოლმე, უნიტარულ ეკლესიაში არაფერი იცვლებოდა. პირიქით, დამსვენებლები ემატებოდნენ, შეძლებული რელიგიური ლიბერალები განიერ წითელ შარვლებსა და ტილოს პიჯაკებში, ქალბატონები აჭრელებულ ჩითის კაბებსა და ლენტებით მორთულ საზაფხულო შლაპებში. ეს დამსვენებლები და მრევლის წევრები იყვნენ: ნეფები, რიჩარდ სმიტის ოჯახი, ჰერბი პრინზი, ალმა სიფტონი, ჰომერ პერლი და ფრანი ლავკრაფტი, ახალგაზრდა მისის ვან ჰორნი და ქალაქში შედარებით ახალი როზა ჰელიბრედი თავისი ურწმუნო მეუღლის გარეშე, მაგრამ თავის პროტეჟე დონ პოლანსკისთან ერთად. ერთხელ ისინი საკმაოდ გაოცდნენ. როდესაც შეუწყობლად იმღერეს „ეჭვებისა და სევდის ღამე“ (დარილ ვან ჰორნის ბარიტონი გალერეაზე მოთავსებულ გუნდს უხეშ ჰარმონიას მატებდა), ქადაგებისას მათ ბრენდა პარსლის პირიდან სიტყვა „ბოროტება“ მოესმათ, რაც ამ მკაცრი ეკლესიისთვის იშვიათობას წარმოადგენდა.

ბრენდა შესანიშნავად გამოიყურებოდა ჩახსნილ შავ კაბაში დაპლისული ჟაბოთი და აბრეშუმის თეთრი შარფით, მზეზე გახუნებული, უკან სადად გადავარცხნილი თმა მაღალ შუბლს უჩენდა.

— სამყაროში არსებობს ბოროტება და მან ჩვენს ქალაქშიც მოიკიდა ფეხი, — ხმამაღლა წარმოთქვა მან, შემდეგ კი ხმას ნდობის

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რეგისტრამდე დაუწია, თუმცა იგი ნეოკლასიციზმის სტილში აგებული ტაძრის ყოველ კუთხემდე აღწევდა. ვარდისფერი ბაღის ტუხტები თანხმობის ნიშნად აქნევდნენ თავს მაღალი, გაკრიალებული ფანჯრების ჩარჩოების ქვემოთ. ზევით კი უღრუბლო ზეცა მოჩანდა. ივლისის დღე ჯიუტად ცდილობდა ამ თეთრ ყუთში შერეკილი ხალხის სკამებიდან წამოყრას და გარეთ გამოტყუებას ნავებისკენ, პლაჟისკენ, გოლფის სათამაშო მოედნებისა და ჩოგბურთის კორტებისკენ, „სისხლიანი მერის“ დასალევად რომელიმე, წითელი ხისგან გაკეთებულ ახალ იახტაზე, საიდანაც ყურისა და კუნძულ კონანიკუტის ხედი იშლებოდა. მალე ყველანი შეიხრუკებოდნენ მცხუნვარე მზის სხივებქვეშ, კუნძული კვლავაც მწვანედ ახასხასდებოდა, როგორც იმ დროს, როცა აქ ნარანგასეტის ტომის ინდიელები ცხოვრობდნენ, — ჩვენ არ გვიყვარს ამ სიტყვის ხმარება, — სცადა განმარტება ბრენდამ თავის თავში არცთუ ისე დარწმუნებული ფსიქიატრის ტონით, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხმის ამოუღებლად უსმენდა სხვებს, ბოლოს კი თავად დაიწყო მითითებების გაცემა, — ვამჯობინებთ ვთქვათ „უბედური“ ან „გაჭირვებული“, „გზააბნეული“ ან „უიღბლო“. ჩვენ ვამჯობინებთ ვიფიქროთ ბოროტებაზე, როგორც სიკეთის არარსებობაზე, მყისიერად დაბნელებულ მზეზე, ჩრდილზე, სისუსტეზე. ვინაიდან სამყარო კეთილია: ეს ემერსონმა და უიტმენმა, ბუდამ და იესომ გვასწავლეს. ჩვენი საკუთარი ძვირფასი ენ ჰატჩინსონი ყველაფერზე წინ გულმოწყალებას აყენებდა. იქცა რა თხუთმეტი წლის ასაკში დედად და მზრუნველ ბებიაქალად ურიცხვი რაოდენობის დისთვის, მან თავისი მრწამსით გამოწვევა გაუგზავნა კაცთმოძულე ბოსტონის სამღვდელოებას, მრწამსით, რომელსაც მან საბოლოოდ სიცოცხლეც კი შესწირა.

„ეს უკანასკნელადაა, — ფიქრობდა ჯენი ვან ჰორნი, — როდესაც ჩემს თვალებში ივლისის დღის უძირო სიცისფრე აღიბეჭდება. ქუთუთოები ღია მაქვს, ფერადი გარსი შუქს იღებს, თვალის ბროლი მას ფოკუსში აქცევს, ბადურა და თვალის ნერვი სიგნალს ტვინს გადასცემენ. ხვალ დედამიწის პოლუსები ერთი დღით გადაიხრება აგვისტოსა და შემოდგომისკენ და შუქი ოდნავ სხვანაირი იქნება, ისევე, როგორც ანაორთქლი დედამიწიდან“. მთელი წლის განმავლობაში იგი შეუცნობლად ემშვიდობებოდა ყოველ სეზონს, თვესა თუ ამინდს, ბუნების მიერ ნაჩუქარ ყოველ წამს შემოდგომის ბრწ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ყინვალებისა და დაცემის აღსაქმელად, ზამთრის ყინვებს, როდესაც დღის შუქი გამაგრებულ ყინულზე ირეკლება, და გაზაფხულის იმ გაელვებასაც, როცა აწეწილ, წაბლისფერ ბალახში თეთრყვავილები და კროკუსები იფურჩქნებიან და მზით განათებულ, ქვის კედლით დაცულ მყუდრო ადგილას, შეყვარებულებივით ერთმანეთს სუნთქვით კისერს უთბობენ. იმიტომ ემშვიდობებოდა, რომ წელიწადის დროთა ცვალებადობას ვეღარ იხილავდა. ვეღარ ნახავდა ფაციფუცითა და საქმეებით, მოზრდილთა საზრუნავითა და ბავშვების უსაქმურობით აღსავსე დღეებს, — დღეები მართლაც დასრულდება, ზეცა უზარმაზარი ფოტოკამერის ობიექტივივით დაიხურება. ამგვარმა ფიქრებმა თავბრუ დაახვია. გრეტა ნეფი ფიქრებს მიუხვდა და ხელზე ხელი მოუჭირა.

— როდესაც სამყაროში არსებული ბოროტების წინააღმდეგ გავილაშქრეთ, — ბრწყინვალედ განაგრძობდა ქადაგებას ბრენდა და მზერა დადუმებული ორგანისა და ფეხზე მდგარი გუნდის მომღერლებისკენ მიემართა, — ჩვენი მრისხანება იმ ბოროტებას მივაპყარით, რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ფაშისტი პოლიტიკოსები და კაპიტალისტური დამპყრობლები სჩადიან თავიანთი გასაღების ბაზრების უზრუნველსაყოფად და გასაფართოებლად, რაც ეკოლოგიასაც აუარესებს. სანამ ჩვენი მზერა იქით იყო მიმართული, მხედველობიდან გამოგვრჩა ბოროტება, რომელიც ჩვენს სახლებში, ისთვიქის გარეგნულად წყნარ და მტკიცე სახლებში შემოიჭრა. და ამაში ბრალი ჩვენც მიგვიძღვის, დიახ, დიახ, ვინაიდან ეს უყურადღებობა დანაშაულის ტოლფასია. ფარულმა უკმაყოფილებამ და პირადი გეგმების ჩაფუშვამ ბოროტება შვა იმ ცრურწმენებისგან, რომელთაც ჩვენმა წინაპრებმა საზიზღარი უწოდეს, და რომლებიც მართლაც, — ბრენდას ხმა ლამაზად მიწყდა მსუბუქი გაოცების ფონზე, როგორც მასწავლებლისა, მშობლების დაწყნარებას რომ ცდილობს და დაბალი შეფასებებით სავსე ფურცელს არ უჩვენებს, როგორც ექსპერტი ქალისა შრომის ნაყოფიერების განხრით, თავაზიანად რომ ატყობინებს დამნაშავე თანამშრომელს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, — საზიზღარია.

მაგრამ ამ საკეტის მიღმა თვალი უნდა ყოფილიყო, უმაღლესი არსების თვალი, და ისევე, როგორც რამდენიმე თვით ადრე მამამისი, აღსასრულის მოლოდინში ჯენიც მოვიდა, რათა ამ არსებას

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მინდობოდა, სანამ მისი ახალი მეგობრები და უესტვიკის საავადმყოფოს ჰუმანოიდი მანქანები მისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. ჯენი თავადაც მუშაობდა საავადმყოფოში რამდენიმე წლის განმავლობაში და იცოდა, თუ რა გულცივია ეს სტატისტიკა ბოლოში, სადაც ამ კეთილი და ძვირად ღირებული გულმოწყალების შედეგები აისახება. ყველაზე მეტად გულისრევა ტანჯავდა, რომელიც თავიდან წამლის მიღების, შემდეგ კი დასხივების შემდეგ დასჩემდა. დასხივებას კვირაში ორჯერ უტარებდნენ. ამ დროს მას სახვევებში ახვევდნენ და ქრომისა და ცივი ფოლადის უზარმაზარ მაგიდაზე ქამრებით მიკრულს აქეთ-იქით მანამ არწევდნენ, სანამ ზღვის ავადმყოფობა არ დაეწყებოდა. რადიოაქტიური ზუზუნის დროის ათვლისას საათის წიკწიკს გონებიდან ვერაფრით იცილებდა და ძილშიც ჩაესმოდა.

— არსებობს ისეთი ბოროტება, — განაგრძობდა ბრენდა, — რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. მისი მოთმენა ან პატიება არ შეიძლება, არც მისი ახსნაა საჭირო. სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია — თანამედროვე გონების ამ ქმნილებებმა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არაფერი არ უნდა შეარბილონ.

„ველარასოდეს დავინახავ სახურავის კიდეებზე ჩამოკიდებულ ყინულის ლოლუებს, — გაიფიქრა ჯენიმ, — ან ოქროსფრად აბრიალებულ შემოდგომის ნეკერჩხალს. ან ზამთრის მიწურულის იმ წამებს, როდესაც მთელ ჭუჭყიან თოვლს ლელი შეჭამს, გამოფიტავს და ჩამოშლის“. ამ ყოველივეს გაცნობიერება ბავშვის შეგრძნებებს ჰგავდა, როდესაც იგი ცივ, ქარიან დღეს ბატარეასთან დგას და დაორთქლილ ფანჯარაზე თითით ხატავს. დაუბინდავი ფანჯრიდან ჯენიმ უძირო არარსებობაში ჩაიხედა.

ბრენდამ მხრებზე თმა გაიშალა — იქნებ წირვის დაწყებიდანვე ასე ჰქონდა ან სიტყვით გამოსვლისას გზნებამ გაიტაცა და ჩამოეშალა? — და ძალა მოიკრიბა.

— ეს ქალები — ჩვენი სქესისადმი სიყვარულის ან სიამაყის გამო ნუ უარვყოფთ, რომ ისინი ქალები არიან — დიდი ხნის განმავლობაში ახდენდნენ საზოგადოებაზე დამღუპველ ზეგავლენას. მათთვის სულერთი იყო, ვისთან დაამყარებდნენ კავშირს. უკეთეს შემთხვევაში ისინი საკუთარ შვილებს უგულებელყოფდნენ, უარეს შემთხვევაში კი მათ ცუდად ექცეოდნენ, მკრეხელობაში ზრდიდნენ. თავიანთი უკე-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თური საქციელითა და გრძნეულებით, რომელთა აღწერა სიტყვებით შეუძლებელია, მათ ზოგიერთ მამაკაცს უგუნური საქციელისკენ უბიძგეს. რამდენიმე ადამიანი — ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — სიკვდილამდე მიიყვანეს. ახლა კი თავიანთი დემონი აუშვეს — გააფთრება თავს დაატეხეს... — სრული, შეღებილი ტუჩებიდან, როგორც ბაღის ტუხტის ყვავილიდან, ნამძინარევი ბაზი გამოჩნდა და მრევლის თავზე აფრინდა საკვების მოსაძებნად.

ჯენიმ ჩუმად ჩაიხითხითა. გრეტამ კიდევ ერთხელ მოუჭირა მას ხელზე ხელი. გრეტას მეორე მხრიდან რეი ნეფი იჯდა და წყნარად ხვრინავდა. ცოლიცა და ქმარიც სათვალეს ატარებდა. გრეტა — ბებრულს, ოვალურს, ფოლადის ჩარჩოთი, რეი კი — მართკუთხასა და უჩარჩოს. თითოეული ნეფი ერთ დიდ ლინზას წარმოადგენდა. „მე კი მათ შორის ცხვირივით შევკვეხებულვარ“, — გაიფიქრა ჯენიმ. ყველა შიშს შეეპყრო, ხმას არავინ იღებდა. ბრენდა წელგამართული იდგა კათედრაზე. მის თავს ზემოთ ულიმღამო თითბრის ჯვარი, რომელიც აქ წლების განმავლობაში ეკიდა, ახალი თითბრის წრით შეეცვალათ — საყოველთაო ერთიანობისა და მშვიდობის სიმბოლოთი. ეს ბრენდას იდეა იყო. მან სული მოითქვა და ლაპარაკის გაგრძელება სცადა, თუმცა პირში რაღაც ხელს უშლიდა.

— მათი ბოროტება ჰაერსაც კი წამლავს, რომლითაც ვსუნთქავთ, — განაცხადა მან და პირიდან მკრთალი ცისფერი ფარვანა ამოუფრინდა, შემდეგ — მისი უმცროსი ყავისფერი დაიკო, რომელიც მიკროფონით გაძლიერებული ყრუ ხმით კათედრაზე დაეცა, ფრთები გაისწორა და ცისკენ გაფრინდა, რომლისკენაც გზა მაღალი ფანჯრით იყო გადაკეტილი, — მათმა შურიანოფამ ჰველა ჩვენჰანი ჰაა-ფუჩა, — ბრენდამ თავი დახარა, პირიდან განსაკუთრებით ხასხასა, ფაფუკი პეპელა „მონარქი“ გამოუძვრა, რომელსაც ნარინჯისფერი ფრთების კიდეებზე განიერი შავი ზოლი გასდევდა, და ზანტად და უდარდელად გაფრინდა თეთრ ნივნივებს შორის.

ჯენიმ თავის გასაცოდავებულ, დაუძლურებულ სხეულში დაძაბული გაჯირჯვება იგრძნო, თითქოს პეპლის ჭუპრი ყოფილიყოს.

— მიშველეთ! — წამოიყვირა ბრენდამ. მისი ქადაგების სუფთა ფურცლები, რომლებიც კათედრაზე იდო, ნერწყვითა და მწერების განავლით დასვრილიყო. ქალი თითქოს იგუდებოდა. გრძელი პლატინის თმა გასწეწოდა, მზის სხივებში თითბრის O ლაპლაპებდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გაოგნებულმა სამწყსომ დუმილი დაარღვია, აქა-იქ ხმები გაისმა. ფრანი ლავკრაფტმა ხმამაღლა, როგორც ეს სმენადაქვეითებულ ადამიანებს ახასიათებთ, პოლიციის გამოძახება მოითხოვა. რეიმონდ ნეფმა ეს საკუთარ თავზე აიღო, შეხტა და მზით გაჯერებულ ჰაერში მუშტების ქნევა დაიწყო, ყბები უკანკალებდა. ჯენი ხითხითებდა. მოწოლილ მხიარულებას ვეღარ იკავებდა. რატომღაც საყოველთაო გამოცოცხლება ისეთივე სასაცილო იყო, როგორც მულტფილმი, სადაც დაუდგრომელი კატა, მას შემდეგ, რაც გააბრტყელეს, ფეხზე დგება და დევნას აგრძელებს. ჯენიმ მაღალი, სუფთა ხმით გადაიხარხარა და თანაგრძნობით სავსე გრეტას ხელი გამოსტაცა. მას აინტერესებდა, ვინ იყო ამ საქმეში გარეული: ყველამ იცოდა, რომ სიუკი იმ თვალთმაქც ართურ ჰელიბრედთან ლოგინში კოტრიალობდა, სანამ მისი ცოლი ეკლესიაში იმყოფებოდა. გაქნილი და ელეგანტური ბებერი ართური თავის სტუდენტებს ოცდაათი წლის განმავლობაში ჟიმავდა, როცა კინგსტონში ფიზიკას ასწავლიდა. ჯეინ სმარტი უორვიკში წასულიყო ორგანზე დასაკრავად დოქტორ მუნის მიმდევართათვის — კვაკერების მიტოვებულ სამლოცველოში უსიცოცხლო განწყობილება სუფევდა (ჯეინმა მეივის ჯესაპს უამბო, მან — როზა ჰელიბრედს, ამ უკანასკნელმა კი — ჯენის), იქ მყოფი ყველა ახალგაზრდა საშუალო კლასის ზედა ფენებს წარმოადგენდა. ისინი ტვინგამორეცხილნი იყვნენ, საზღვაო ქვეითებისთვის დამახასიათებელ ვარცხნილობას ატარებდნენ და ბლომად ფულს იხდიდნენ. ალექსანდრა, ალბათ, თავის „ბალღებს“ ძერწავდა ან ქრიზანთემებს მარგლავდა. შესაძლოა, სამ მეგობარ ქალთაგან არცერთს არ უნდოდა რაიმე ამგვარის გაკეთება და ეს თავისით ტრიალებდა ჰაერში. ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ ბირთვული ფიზიკის სპეციალისტებიც, რომლებმაც ატომური ბომბი შექმნეს ჰიტლერისა და ტოძიოს დასამარცხებლად, ახლა კი სინდისის ქენჯნა აწვალებდათ. ეიზენჰაუერიც ასე მოიქცა, როდესაც ჰო ში მინთან დაზავებას ხელი არ მოაწერა, რათა ყოველგვარი არეულობისთვის ბოლო მოეღო. ანდა ნაგვიანევი მინდვრის ყვავილები, ოქროწკეპლა და სხვები, რომელთაც „დედოფალ ანას მაქმანებს“ უწოდებენ, მიძინებული თესლისგან რომ წამოყვეს თავი უსწორმასწორო, მოხნულ, ერთი წლით დასვენებულ მინდვრებზე, სადაც ოდესღაც შავი მონები ჭიშკრებს უღებდნენ ბატონებს, რომლებიც ცხენზე ამხედრებულნი

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დაბრძანდებოდნენ ფრაკებსა და თახვის ან ფეტრის შლაპებში გამოწყობილნი. ყოველ შემთხვევაში, ეს სასაცილო იყო. ჰერბი პრინზი, რომელსაც გადატკეცილ სახეზე მსუქანი ლოყები ჩამოჰკიდებოდა, ნიკაპქვეშ კი — ორმაგი ღაღაბი, აღელვებისგან ერთიანად გაწითლდა, ალმა სიფტონს ხელი ჰკრა, გასასვლელისკენ გაიქცა და გზად კინაღამ მისის ჰელიბრედი წააქცია, რომელიც, სხვა ქალების მსგავსად, ფეხზე წამომდგარიყო და, გასაქცევად გამზადებულს, ინსტინქტურად პირზე ხელს აეფარებინა.

— ილოცეთ! — დაიყვირა ბრენდამ, როცა დაინახა, რომ სიტუაციას ვერ აკონტროლებდა. მას ქვედა ტუჩიდან რაღაც ჩამოსდიოდა და ნიკაპი უბრწყინავდა, — ილოცეთ! — დაიყვირა მან მამაკაცის, მუცლით მეზღაპრის თოჯინასთვის დამახასიათებელი ყრუ ხმით.

ჯენის სიცილისგან ისტერიკა დაემართა და იგი ეკლესიიდან გაიყვანეს. მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ, როცა რწევა-რწევით მიდიოდა სათვალებიან ნეფეს შორის, იმ ღვთისმოშიში ქალაქელების დაბნეულობა გამოიწვია, რომლებიც ამ დროს თავიანთ ავტომობილებს რეცხავდნენ კოკუმსკუსოკისკენ მიმავალი გზატკეცილის პირას.

ჯეინ სმარტი საძინებელ ოთახში შვილებთან ერთად მიდიოდა ხოლმე, ხშირად პირდაპირ მას შემდეგ, რაც ორ პატარას საბანს ამოუკეცავდა, და იძინებდა, უფროსი ბავშვები კი მათთვის აკრძალულ ნახევარსაათიან „მენიქსს“ ან რომელიმე სხვა სერიალს უყურებდნენ მანქანების დევნაზე, რომელიც სამხრეთ კალიფორნიაში იყო გადაღებული. ღამის ორ საათზე ან სამის ნახევარზე ჯეინს მოულოდნელად ეღვიძებოდა, თითქოს ტელეფონმა დარეკა ან მძარცველმა კარის ან ფანჯრის გაღება სცადაო. აი, ახლაც, ჯეინმა მიაყურადა, შემდეგ სიბნელეში გაიღიმა, გაახსენდა, რომ პაემნის დრო დამდგარიყო. იგი საწოლიდან ნეილონის გამჭვირვალე ღამის პერანგით წამოდგა, მხრებზე დალიანდაგებული აბრეშუმის ღამის კოფთა მოისხა და ქურაზე კაკაოსთვის რძე დადგა გასაცხელებლად. ღორმუცელა ახალგაზრდა დობერმანი რენდოლფი ბრჭყალების კაკუნით მას სამზარეულოში გაჰყვა, სადაც ქვასავით მაგარი, ძვლის ფორმის ნამცხვარი მიიღო საჩუქრად. მან ძღვენი თავის კუთხეში წაიღო და ჯოჯოხეთური მუსიკის შესრულებას შეუდგა: ძვალს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გრძელი კბილებით ღრღნიდა და ფოჩიანკიდეებიანი ლილისფერი ტუჩებით ლოკავდა. ამასობაში რძე წამოდუღდა. ჯეინმა კაკაო სასტუმრო ოთახში წაიღო, რისთვისაც საშხარეულოდან ექვსი საფეხური აიარა, და ფუტლარიდან ვიოლონჩელო ამოიღო — მოლაპლაპე წითელი ხე ცოცხალ, რაღაც მიუწვდომელ სხეულს ჰგავდა.

— ყოჩაღ! — ხმამაღლა თქვა ჯეინმა. ირგვლივ სიჩუმე იდგა, არც მანქანების ხმაური ისმოდა, არც ბავშვების ყვირილი. კოუვ-ჰოუმსში გაღვიძება და დაძინება ვირტუალური სინქრონულობით ხდებოდა — აბსოლუტურ სიჩუმეში ადამიანს შიში იპყრობდა. მან სწრაფად მოავლო თვალი დაჩიჩქნულ იატაკს პატარა ორმოს პოვნის იმედით, რათა ვიოლონჩელოს ფეხი ჩაემაგრებინა, შემდეგ სამნათურიანი ტორშერი, სანოტო პიუპიტრი და სწორზურგიანი სკამი მოიტანა და დაკვრას შეუდგა. ამაღამ მას ბახის მეორე სუიტა უნდა შეესრულებინა ვიოლონჩელოსთვის. ეს მისი ერთ-ერთი საყვარელი პიესა იყო და, რა თქმა უნდა, მას ამჯობინებდა საკმაოდ დუნე პირველსა და საოცრად რთულ მეექვსეს, რომელიც შავად მოჩანდა სამოცდამეოთხედი ნოტებით დახუნძლული, თან წარმოუდგენლად მაღლა ითხოვდა დაკვრას, თითქოს ხუთსიმიანი ინსტრუმენტისთვის იყო დაწერილი. მაგრამ ყოველთვის, ზარების მექანიკურად რეკვის დროსაც კი შეიძლება რაღაც ახლის აღმოჩენა, რაღაცის მოსმენა, რომელიღაც წამის დაჭერა, როდესაც ბორბლების ღრჭიალის დროს ყვირილი ისმის. ბახი ბედნიერი იქნებოდა კეტენში, რომ არა მეუღლის, მარიას მოულოდნელი გარდაცვალება, აგრეთვე simpatico[1] და მუსიკალური პრინცის, ლეოპოლდის ქორწინება საკუთარ დეიდაშვილ ჰენრიეტა ანჰალტელზე. ბახი მის პატარა ცოლს „ამუზას“ უწოდებდა, ანუ მუზების საპირისპირო არსებას. დახვეწილი კონცერტების დროს ჰენრიეტა ამთქნარებდა, ხანაც ქმარს აეკიდებოდა ხოლმე დაჟინებით, რაც კაპელმაისტერისადმი ყურადღებას ანელებდა. სწორედ ამან აიძულა ეს უკანასკნელი ლაიფციგში ეძებნა რეგენტის ადგილი და იშოვა კიდეც, მაგრამ მისდამი უსიმპათიოდ განწყობილი პრინცესა მოულოდნელად გარდაიცვალა. ეს მანამდე მოხდა, სანამ ბახი კეტენს დატოვებდა. მეორე სუიტის თემა — აღმავალი ტერციების მელოდიური მწკრივი და ბგერის მთელებით დადა-

[1] *სიმპათიური (იტალ.)*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბლება პრელუდიაში და შემდეგ ამაღელვებელი გადასვლა ცეკვაზე, მომენტალური შემობრუნება (ტერციაში) სიმწვავეს სძენდა მშვიდ (moderato) მელოდიას, რომელიც სულ ბრუნდებოდა და ბრუნდებოდა, განვითარების პროცესში თემა მწიფდებოდა და რე დიეზ forte-ს[1] დისონანსით ფეთქდებოდა რე ბემოლში სი-ს ტრელსა და თითებში ტკივილის მომგვრელ, ოცდამეთორმეტედედ ნოტებიან, piano[2] რულადას შორის. თემა ვითარდებოდა. დაკვრისას ჯეინი კარგად გრძნობდა მას, ამასობაში კი ხელუხლებელი კაკაო გრილდებოდა და ნაღებს იკეთებდა. ეს სიკვდილი იყო — გულით დატირებული მარიას, ბახის დეიდაშვილის ამქვეყნიდან წასვლა და პრინცესა ჰენრიეტას არცთუ ისე მოულოდნელი გარდაცვალება. სიკვდილი იყო ის სივრცე, რომელსაც ერთმანეთში არეული, წაფორხილებული ნოტები ასუფთავებდნენ, გაწმენდილი სივრცე კი სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ბოლო ტაქტი მონიშნული იყო, როგორც poco a poco ritardandol[3] და ინტერვალებს შეიცავდა — მათ შორის ყველაზე დიდი D-d´ იყო, რაც აიძულებდა თითებს, რომ ყრუ გამკივანი წრიპინით ესრიალათ აღმა-დაღმა ვიოლონჩელოს გრიფზე. ალემანდა[4] იმავე დაბალ, ძირითად ტონალობაში დასრულდა: მელოდიამ მთელი სამყარო შთანთქა.

ჯეინი ეშმაკობდა. საჭირო იყო განმეორება (მან პირველი ნახევარი გაიმეორა), მაგრამ ახლა, ღამეული მგზავრის მსგავსად, რომელსაც მთვარემ გზა გაუნათა და, როგორც იქნა, დაანახვა, საითაც მიდიოდა, მას აჩქარების სურვილი გაუჩნდა, თითებს აღმაფრენა ეწვია. ჯეინი ნოტებზე დაიხარა. ეს საჭმლით მოთუხთუხე ქვაბს ჰგავდა, იგი მას მხოლოდ თავისთვის აშზადებდა და შეცდომა გამორიცხული იყო. კურანტა[5] სწრაფად, თითქოს თავისთავად ვითარდებოდა, თორმეტი მეთექვსმეტედი ცეკვისთვის, თითოეულ ნაწილში მხოლოდ ორჯერ განგმირული მეოთხედებით შემდგარი აკორდების არადამაჯერებელი შესრულებით, შემდეგ ხელახლა იწყებდა თავის უთავბოლო ბრძოლას, პატარა თემა კი თითქმის იკარგებოდა. ეს თემა

---

[1] *ფორტე (იტალ.) — მუსიკალური ნაწარმოების ხმამაღლა შესრულება.*
[2] *პიანო (იტალ.) — მუსიკალური ნაწარმოების ხმადაბლა შესრულება.*
[3] *თანდათანობით შენელება (ესპ.).*
[4] *ალემანდა — სუიტის შემადგენელი ინსტრუმენტული ცეკვა (გერმანული).*
[5] *კურანტა — ძველებური ცეკვა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ჯეინი გრძნობდა — ქალი იყო, მაგრამ მუსიკის სიღრმეში მეორე ხმა ძლიერდებოდა, სიკვდილის მამაკაცური ხმა, რომელიც ნელა მოიწევდა წინ მტკიცე ბგერებით. ფრენის დროს კურანტა მეექვსედებამდე შენელდა, რათა უფრო გამოკვეთილი ყოფილიყო დაშვება მესამედებამდე, შემდეგ მეოთხედებამდე, ბოლოს კი — მკვეთრად — მეხუთედამდე, გარდაუვალი ძირითადი ტონის დამამთავრებელ ნოტამდე. სარაბანდა[1], ლარგო[2], შესანიშნავი იყო, უცილობელი, მის ნელ ნახტომებში მრავალი ტრელი ჟღერდა. დახვეწილი თემის კვალი კვლავ გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მუსიკას თავს დაატყდა უზარმაზარი, გამანადგურებელი, არასრული, მეცხრედებიანი დომინანტა. ჯეინი კვლავ და კვლავ უსვამდა ხემს — დაბალი დო-დიეზი, სი-ბემოლი, — და მისი დამანგრეველი ძალით ტკბებოდა, აღფრთოვანებული იყო, როდესაც ამ ორი დაბალი ნოტიდან დაწეული მეშვიდედი გესლიანად ეხმაურებოდა წინა სტრიქონის დაწეული მეშვიდედის (დო-დიეზ, სი-ბემოლ) ნახტომს. აქედან პირველ მენუეტზე გადასვლისას ჯეინმა გარკვევით გაიგონა, უფრო სწორედ, მთელი არსებით შეიგრძნო ბრძოლა აკორდებსა და ძირითად ხაზს შორის, რომელიც ყოველთვის ცდილობდა მათთვის თავი აერიდებინა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მისი ხემი სახეებს მატერიაში, სიცარიელეში, სიბნელეში კვეთდა. გარეთ მზის სინათლე და სითბო იყო, შიგნით კი — სიკვდილი. მარია, პრინცესა და ჯენი — პროცესიას წარმოადგენდნენ. ვიოლონჩელოს უხილავი გულ-მუცელი ვიბრირებდა, ხემის ბოლო საჰაერო სოლისგან წრეებსა და რკალებს კვეთდა, ბგერები მისგან ხის ბურბუშელებივით ცვიოდა. ჯენი ცდილობდა, თავი დაეღწია კუბოსგან, რომელსაც ჯეინი აშზადებდა. მეორე მენუეტი რე მაჟორში გადავიდა, მუსიკის მიერ დაჭერილი ქალი გარბოდა, გამალებით მისრიალებდა გადაბმული ნოტების საფეხურებზე, მაგრამ მას კვლავ უკან აბრუნებდნენ. Menuetto 1 de capo,[3] და იგი კვარტეტის უფრო მუქმა ფერებმა და მძლავრმა აკორდებმა ჩაყლაპეს, გარკვევით რომ იყო ვიოლონჩელოზე შესასრულებლად აღნიშნული: ფა-ლა aufstrich, სი-ბემოლ, ფა-რე abstrich,[4] სოლ-სოლ-მი aufstrich;

---

[1] *სარაბანდა — ძველებური ესპანური ხალხური ცეკვა.*

[2] *ლარგო (იტალ.) — ძალიან ნელი ტემპი; მუსიკალური პიესა ამ ტემპში.*

[3] *მენუეტი პირველი თავიდან (იტალ.).*

[4] *დარტყმა ხემით ზევით; დარტყმა ხემით ქვევით (გერმ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლა-მი-დო-დიეზი. ხემით მკვეთრად მოძრაობდა ზევით-ქვევით-ზევით და შემდეგ ქვევით სამი ტაქტისთვის, coup de grace,[1] და აჰა, მთრთოლარე სული ბოლოს და ბოლოს მოკლულია.

ჯიგას[2] დაკვრამდე ჯეინმა კაკაო მოსვა. მრგვალი, ცივი ნაღები ზედა ტუჩის ბუსუსზე მიეკრო. რენდოლფს ძვლისთვის ბოლო მოეღო. იგი ხტუნვა-ხტუნვით შემოვიდა და დაჩიჩქნულ იატაკზე დაწვა პატრონის შიშველ ფეხებთან, რომელიც თითებს რიტმს აყოლებდა. ძაღლს არ ეძინა: სარდიონის თვალებით დაჟინებითა და შიშით შესცქეროდა ქალს, მშიერმა გამომეტყველებამ დრუნჩზე ბალანი ოდნავ აუბურძგნა და ყურები დააცქვეტინა, შიგნიდან მოლუსკის ნიჟარასავით რომ გავარდისფერებოდა. „ეს ერთგული მეგობრები, — გაიფიქრა ჯეინმა, — უხეში მატერიის ნამსხვრევები, კვლავაც ისეთივე სულელებად რჩებიან. რენდოლფი ყრუა მუსიკისადმი, სულის მოძრაობისა და ძიებისადმი კი — ბრმა. მან ხემი აიღო. წვრილი კვერთხივით საოცრად მსუბუქი ეჩვენა. ჯიგა allegro-თი[3] იყო მონიშნული და რამდენიმე მკვეთრი ფრაზით იწყებოდა: მოკლე სიმღერა — დოლის რაკარუკი (ლა-რე), სიმღერა — დოლის რაკარუკი (სი-ბემოლ, დო-დიეზ), სიმღერა დუ-დუ-დუ-დუ, სიმღერა, რაკარუკი, სიმღერა... და სწრაფად ჩაიქროლებდა. ჩვეულებრივ, ჯეინს პრობლემები ჰქონდა ამ შუალედურ, ძალიან მაღალი და დადაბლებისკენ წამოსული რულადებისადმი, მაგრამ ამ ღამით იგი მათთან ერთად დაფრინავდა, ღრმად, მაღლა, ღრმად, spiccato, legato. ორი ხმის შეჯახება, აფრენის უკანაკნელი მცდელობა, თემიდან გადახვევა და თემასთან დაბრუნება, რათა საბოლოოდ მაინც დამარცხებულიყო. ეს ის იყო, რასაც მამაკაცები ბოლო საუკუნეთა განმავლობაში ამტკიცებდნენ, არავის სიტყვის თქმის საშუალებას არ აძლევდნენ, — სიკვდილი. გასაკვირი არაა, რომ ისინი ამას გულში ინახავდნენ, ქალებს არ უმხელდნენ — მათ მხოლოდ ბავშვების გაჩენისა და აღზრდის უფლებას უტოვებდნენ, უფლებას აძლევდნენ სიკვდილს, ებატონა, სანამ ისინი, მამაკაცები, ერთმანეთში ნამდვილ განძს იყოფდნენ, ონიქსს, აბანოზს, სუფთა ოქროს, რასაც დიდება და გა-

---

[1] *სასიკვდილო დარტყმა ტანჯვისთვის ბოლოს მოსაღებად (ფრანგ.).*

[2] *ჯიგა — ძველებური ბრიტანული სწრაფი ცეკვა.*

[3] *Alegro (იტალ.) — მუსიკალური ნაწარმოების სწრაფად და ცოცხლად შესრულება.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

თავისუფლება მოჰქონდა. აქამდე ჯეინის მეხსიერებაში ჯენის სიკვდილი მხოლოდ წაშლილი ლაქა იყო, არაფერი. ახლა კი იგი ხელშესახები გახდა, შესანიშნავი, გრძნობითი შეცნობის ფორმა მიიღო, უფრო ღრმა და ძლიერი, ვიდრე ის, როდესაც პლაჟზე უკუქცეული ტალღები კოჭებში ირტყმევინებიან და სიღრმეში ჩათრევა სურთ გორიალ-გორიალით წაღებულ კენჭებთან ერთად, ყოველ ტალღას კი ზღვის საოცარი, დაღლილი, ღრმა ამოოხვრა მოსდევს. ჯენის საბრალო დაღუპული სხეული თითქოს ყოველი სისხლძარღვით გადასჭდომოდა მისას, ჯეინისას, როგორც დამხრჩვალის სხეული გადაეხლართება ხოლმე ზღვის წყალმცენარეებს და განსაზღვრულ დრომდე ასე არიან ჩახვეულნი მზის სხივებით სუსტად განათებულ სიღრმეებში, ბოლოს კი ოდნავ ზევით წამოიწევენ, რათა საბოლოოდ გათავისუფლდნენ ერთმანეთისგან. თითებქვეშ ჯიგა იჯაგრებოდა და იჩხვლიტებოდა, სწრაფად ჩავლილ მეთექვსმეტედებს ამოფარებული მერვედი ტერციები თავზარდამცემად ჟღერდა. აქ იყო ერთმანეთში უიმედო შერევა, დადაბლება, საშინელი fortissimo.[1] აღელვება და უკანასკნელი მოძრაობა ქვემოთ, შემდეგ კი ნახტომებით ზემოთ, აღმავალი გამით ვედრებამდე, კრეშჩენდოს[2] რომ მოსდევდა, დამამთავრებელი რეს წვრილ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ტირილამდე.

ჯეინმა ორივე რეპრიზა შეასრულა, კიდევ სხვა რამეც, რთული შუა ნაწილიც, სადაც სწრაფი და დინამიკური შესრულება იყო საჭირო წერტილებისა და ლიგების დაბურული ტყის გავლით. ვინ თქვა, რომ მისი ლეგატო detache-სავით[3] ჟღერს?

ფანჯრის იქით კოუვის რაიონი მდებარეობდა, ბნელი, თუმცა ანტარქტიკული ყინულის ზოლივით სუფთა. სხვა დროს მეზობელი მაინც დარეკავდა ხოლმე რაიმე პრეტენზიით, ამ ღამით კი ტელეფონიც ტრანსში იმყოფებოდა. მხოლოდ რენდოლფი იყო ფხიზლად. მძიმე თავი იატაკზე დაედო, ერთი მუქი, ჩასისხლიანებული თვალი სიბნელეში დაცურავდა და დაჟინებით იყურებოდა პატრონის ხორცისფერ გამოქვაბულში ფეხებს შორის და შესაძლო მოწინააღმდეგეს ჩასაფრებოდა. აღელვებული და ექსტაზში მყოფი ჯეინი კი დაკვრას განაგრძობდა. ამჯერად ბრამსის სონატა მი მინორში ვიოლონჩე-

---

[1] *Fortissimo (იტალ.) — მუსიკალური ნაწარმოების ძალიან ხმამაღლა შესრულება.*

[2] *კრეშჩენდო (იტალ.) — ხმის თანდათანობითი გაძლიერება.*

[3] *ცალკეული ბგერის წყვეტილად გადმოცემა (ფრანგ.) (იტალიურად სტაკატო).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლოს პარტიის პირველ ნაწილს ასრულებდა, რომანტიკულ, მიბნედილ ნახევარ ნოტებს, სანამ წარმოსახვითი პიანინო მედიდურობდა. მაინც როგორი ნაზი იყო ბრამსი, მთელი თავისი ფანფარების მიუხედავად — ნამდვილი ქალი, ოღონდ წვერითა და სიგარით.

ჯეინი სკამიდან წამოდგა. ბეჭებს შორის საშინელ ტკივილს გრძნობდა, სახეზე ცრემლი სდიოდა. ხუთის ოცი წუთი იყო. სინათლის პირველმა ნაცრისფერმა გამოკრთომამ ოდნავ მოხაზა მდელოს კონტურები ფანჯრის მიღმა, საიდანაც ლამაზი ხედი იშლებოდა. უწესრიგოდ მიმოფანტული ბუჩქები, რომელთაც იგი არასოდეს არ კრეჭდა, გაზრდილიყო და ერთმანეთში გადახლართულიყო, როგორც სხვადასხვა შეფერილობის ლიქანი საფლავის ქვაზე, როგორც ბაქტერიების კულტურა პეტრის ბრტყელ, გამჭვირვალე ფინჯანში.[1] ბავშვები ადრიანად ახმაურდნენ. ბობ ოსგუდი დაჰპირდა, რომ ლანჩზე შეხვდებოდა რომელიღაც საშინელ მოტელში — ოლდ ვიკის მახლობლად მდებარე კოროში ნახევარწრეზე რამდენიმე ფანერის სახლი იდგა. საბოლოო შეთანხმებისთვის ბობს ბანკიდან უნდა დაერეკა. მაშასადამე, მას შეუძლია ყურმილი გადადოს და წაიძინოს კიდეც, თუ ბავშვები წყნარად იქნებიან. მოულოდნელად ჯეინმა ძლიერი დაღლილობა იგრძნო და დასაძინებლად წავიდა, ვიოლონჩელო ფუტლარში არც კი ჩაუდვია, სკამზე მიყუდებული დატოვა, თითქოს სიმფონიურ ორკესტრში უკრავდა და ანტრაქტის დროს სცენიდან გავიდა.

ალექსანდრამ საშხარეულოს ფანჯარაში გაიხედა (როგორ დასვრილა და დამტვერილა შუშა, ნუთუ ასეთი ჭუჭყიანი წვიმა მოდიოდა?) და აგურით მოკირწყლულ ბილიკზე ზემოდან გადმოწოლილი ვაზის ქვეშ მომავალ სიუკს მოჰკრა თვალი, რომელსაც თმა სადად დაევარცხნა და ნარინჯისფერი თავი ძირს დაეხარა, რათა ჩიტების ცარიელ საკვებურებსა და ძირს ჩამოწეულ ყურძნის მტევნებს არ შეხებოდა. მთელი აგვისტო ტენიანი აღმოჩნდა და, შესაძლოა, დღესაც წვიმა ყოფილიყო. ქალებმა ერთმანეთი ზღურბლზე გადაკოცნეს.

— რა კარგი ქენი, რომ მოხვედი, — უთხრა ალექსანდრამ, — არ ვიცი რატომ, მაგრამ შემეშინდა, რომ მარტო წავსულიყავი მოსაძებნად. თანაც საკუთარ ჭაობში.

---

[1] *პეტრის ფინჯანი — ლაბორატორიული ჭურჭელი დაბალი, ბრტყელი ცილინდრის ფორმისა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ეს მართლაც საშინელებაა, ძვირფასო, — თქვა სიუკმა, — მან ხომ იმოქმედა. იგი კვლავ საავადმყოფოშია.

— დარწმუნებით ვერ ვიტყვით, რომ ეს მისი მოქმედების შედეგია.

— თუმცა ვიცით, რომ ასეა, — თქვა სიუკმა ღიმილის გარეშე და ამის გამო ტუჩები უცნაურად გამოებურცა.

საწვიმარში გამოწყობილი რეპორტიორი ქალიშვილი დაშშვიდებული ჩანდა. იგი კვლავ რედაქციაში მუშაობდა. სიუკი ხშირად უყვებოდა ტელეფონით ალექსანდრას, რომ უძრავი ქონების გაყიდვა არასტაბილური და ამასთან ნერვების მოშშლელი საქმე იყო. მუდმივი მოლოდინი იმისა, რომ საქმე ადგილიდან დაიძვრება, ეჭვი — ხომ არ წამოგცდა ზედმეტი მაშინ, როცა კლიენტმა სახლი პირველად დაინახა, ან როცა სახლის სარდაფში ყოფნისას ქმარი გათბობის სისტემაში გარკვევას ცდილობდა, ცოლს კი ვირთხების დანახვა საშინლად აფრთხობდა. ჰონორარის აღების დროისთვის კი თანხა, როგორც წესი, სამ-ოთხჯერ მცირდებოდა. ყოველივე ამისგან კაცს, შესაძლოა, წყლულიც კი გასჩენოდა: „ყრუ ტკივილი ნეკნებქვეშ, უფრო მაღლა, ვიდრე ფიქრობ, რომელიც ღამისკენ თანდათან ძლიერდება“.

— რამეს ხომ არ დალევ?

— მოგვიანებით. ჯერ ადრეა. ართური მირჩევს, რომ წვეთიც კი არ დავლიო, სანამ კუჭი ნორმაში არ ჩადგება. ოდესმე „მაალოქსი“ თუ მიგიღია? ღმერთო ჩემო, ყოველ დაბოყინებაზე პირში ცარცის გემო მაქვს. ყოველ შემთხვევაში, — მან ისე გაიღიმა, როგორც ოდესღაც იღიმებოდა, ზედა ტუჩი გაეწელა და მის შეღებილ ზოლს ქვემოთ შესანიშნავი, დიდი, წინ გამოწეული კბილები გამოუჩნდა, — თავს დამნაშავედ ვგრძნობ, როდესაც აქ ჯეინის გარეშე ვსვამ.

— საბრალო ჯეინი.

სიუკმა იცოდა, იგი რასაც გულისხმობდა, თუმცა უბედურება ერთი კვირის წინ მოხდა. იმ საშინელმა დობერმან-პინჩერმა ვიოლონჩელო ნაწილებად დაღრღნა, როდესაც ერთხელ, ღამით ჯეინს მისი ფუტლარში ჩადება დაავიწყდა.

— ისინი თვლიან, რომ ამჯერად ყველაფერი კარგად იქნება? — ჰკითხა ალექსანდრამ.

სიუკი მიხვდა, რომ ალექსანდრა ჯენისა და ექიმებს გულისხმობდა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ოჰ, განა არ იცი, რომ ისინი გასაგებად არასდროს გეტყვიან. მხოლოდ ამას თუ გაიგებ: აჯობებს, გამოკვლევა ერთხელ კიდევ ჩატარდეს. შენ რას უჩივი?

— ვცდილობ, აღარ ვიწუწუნო. ტკივილი ხან წამომივლის, ხან გამივლის. მიზეზი, შესაძლოა, მენოპაუზა იყოს, ან ჯოს წასვლა. იცი, ჯოს შესახებ? მან მართლაც უარი თქვა ჩემზე.

სიუკმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ღიმილი თანდათან გაუქრა.

— ჯეინი მათ აბრალებს. ჩვენს ყველა ტკივილსა თუ უბედურებას. იგი მათ იმაშიც კი ადანაშაულებს, რაც ვიოლონჩელოსთან დაკავშირებით შეემთხვა. არადა, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა მოჰკითხოს.

მათ ხსენებაზე ალექსანდრას დანაშაულის მწვავე განცდამ გაუარა, რომელსაც ზოგჯერ მარცხენა საკვერცხეში, ზოგჯერ წელში, მოგვიანებით კი იღლიის ქვეშაც გრძნობდა (ერთხელ ჯენიმ სთხოვა, რომ სწორედ იქ დაკვირვებოდა). თუ საქმე ლიმფურ ჯირკვლებს ეხებოდა, იმის მიხედვით, რაც ალექსანდრას წიგნებიდან და ტელევიზიიდან ახსოვდა, მკურნალობა უკვე ძალზე დაგვიანებული იყო.

— განსაკუთრებით ვის ადანაშაულებს?

— რატომღაც იმ ფეთხუმ პატარა დონს აბრალებს. პირადად მე არ ვფიქრობ, რომ იმ ბავშვს ამდენი შეუძლია. გრეტა ძალიან ძლიერია, ბრენდაც ასეთი იქნებოდა, რომ არ იბღინძებოდეს. იმის მიხედვით, რასაც ართური ჰყვება, როზა სათვალავში ჩასაგდები არაა: მას მოსწონს ცოლის მიერ მომზადებული საჭმელი, სხვაგვარად, ასე მგონია, რომ კარგა ხნის გაცილებულები იქნებოდნენ.

— ვიმედოვნებ, ქარცახით[1] არ დასდევნებია.

— მომისმინე, ძვირფასო. ცოლთან ასეთი ანგარიშსწორება ჩემი იდეა არ ყოფილა. ხომ იცი, ცოლობა ოდესღაც მეც გამომიცდია.

— ეგ ვის არ გამოუცდია? მე შენ კი არ მიგულისხმიხარ, ჩემო კეთილო. მთავარი სახლია. იმ ადგილთან რაღაც სულიერი ძალები არიან დაკავშირებულნი, არ მეთანხმები?

— მაგისი რა მოგახსენო და ჩემს სახლს კი შეღებვა სჭირდება.

— ჩემსასაც.

---

[1] *ქარცახი — წვერმოხრილი რკინის ჯოხი მუგუზლებისა და ნაკვერჩხლის გასასწორებლად, ასარევად; იგივე საჩხრეკი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— იქნებ წვიმის დაწყებამდე წავსულიყავით მოსაძებნად?

— რა კარგად მოიქეცი, ჩემი დახმარება რომ გადაწყვიტე.

— თვითონაც რაღაც მაწუხებს. ახლა. მთელ დროს იმაში ვატარებ, რომ „კორვეტს“ დავაქროლებ. ქიმერებს დავსდევ. მანქანას რაღაც ემართება ხოლმე და უმართავი ხდება. ჩემს თავს ვეკითხები: მე ვმართავ მანქანას თუ ის მმართავს-თქო? სხვათა შორის, რალფ ნეიდერი ამ მარკას ვერ იტანს, — ქალები სამზარეულოს გავლით ალექსანდრას სახელოსნოში შევიდნენ, — ღმერთო ჩემო, ეს რა არის?

— ეგ მეც მაინტერესებს. რაღაც გრანდიოზულის გაკეთება ჩავიფიქრე, მოედანზეც რომ შეიძლებოდეს დადგმა, კოლდერის ან მურის სტილში. თუ კარგად გამოვიდოდა, ბრინჯაოშიც ჩამოვასხამდი. იმ პაპიე-მაშეს მერე რაიმე მარადიულის შექმნა მომინდა. ეს სადურგლო სამუშაოები და ჩაქუჩის ქნევა იმითაა კარგი, რომ სექსუალობაზე აღარ ფიქრობ. მაგრამ ხელებს ვერაფერი მოუხერხე. ღამით ნაწილ-ნაწილ სძვრება.

— იმათი მოჯადოებულია.

— შესაძლოა. ცხადია, მავთულთან მუშაობისას ხელები დავიზიანე. ნეტავი განახვა, როგორ იგრიხება და იკაწრება მავთული. მინდა, რომ ბუნებრივი ზომის ფიგურა გავაკეთო. ასე გაოცებით ნუ მიყურებ. იქნებ გამომივიდეს. იმედი არ გადამიწურავს.

— პატარა კერამიკულ მობანავეებზე რას იტყვი, შენს „ბალღებზე“?

— რაც მოხდა, იმის მერე ვეღარ ვაკეთებ. გული მერევა, როცა გავიფიქრებ, თუ როგორ დნებოდა მისი სახე, როცა ცვილი და ჭიკარტები მახსენდება.

— წყლულზე უნდა გაესინჯო. ადრე არც კი ვიცოდი თორმეტგოჯა ნაწლავი სად მდებარეობდა.

— ჰო, მაგრამ „ბალღებით“ კარაქიანი პურის ფულს ვშოულობდი. ვიფიქრე, იქნებ ახალმა თიხამ შთაგონება შემმატოს-მეთქი და გასულ კვირას ქოვენთრიში გავემგზავრე. იმ სახლისთვის, სადაც შესანიშნავ კაოლინს ვყიდულობდი ხოლმე, ალუმინის ახალი ღობე შემოურტყამთ. გულისამრევი მწვანე ფერისა. სახლის პატრონი, ქვრივი ქალი, გასულ ზამთარს გულის შეტევით გარდაცვლილა, როცა შეშას იმარაგებდა. ეს იმ ქალმა შემატყობინა, რომელიც ახლა იქ ცხოვრობს. მის ქმარს კი თიხის გაყიდვა არ სურს. საცუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რაო აუზის აშენება და პატიოს მოწყობა განუზრახავს. ყველაფერს თავისი დასასრული აქვს.

— შესანიშნავად გამოიყურები. მგონი, გახდი კიდეც.

— განა ეს ერთ-ერთი სიმპტომი არაა?

მათ ძველი სამეთუნეო ფარდული გაიარეს და ბალახით გადავლილ უკანა ეზოში გავიდნენ, რომელსაც, კარგა ხანია, გათიბვა ესაჭიროებოდა. თავდაპირველად აქ ნარგიზები შმაგობდნენ, ახლა კი მცოცავი სარეველები მომრავლებულიყვნენ. შხამიანი სოკოები, ბუნებით, აგრეთვე სამკურნალო, მომწამვლელი და ნარკოტიკული ნივთიერებებით გავსებული ყავისფერი ბურთულები, ამ ნესტიან ზაფხულში საკუთარ ნებაზე მიშვებული მდელოს დაბალ, ნოტიო ადგილებში მატერიალიზდნენ. შორს ღრუბლების მანტიას კუდები ჩამოეშვა, ცალ-ცალკე მორბენალი ღრუბლის ნაფლეთები კი იმას ნიშნავდა, რომ სადღაც უკვე წვიმდა. დანგრეული ქვის კედლის მიღმა მდებარე მიტოვებული ნაკვეთი თავადვე გადაქცეულიყო სარეველებისა და ტყის ჟოლოს ბარდების კედლად. ალექსანდრამ იცოდა ასკილის შესახებ და მამაკაცის ძველი ჯინსი ჩაიცვა. სიუკს კი საწვიმრის ქვეშ ზოლიანი ინდური სელის მოწითალო-მოყავისფრო ბოლოკაბა და წაბლისფერი, ფურჩალიანი ბლუზა მოუჩანდა, ფეხზე კი ხარის სისხლისფერი, მაღალქუსლიანი მაშიები ეცვა.

— შეუფერებლად კარგად ხარ გამოწყობილი, — უთხრა მას ალექსანდრამ, — საკუჭნაოში წადი და ჭუჭყიანი რეზინის ჩექმები მოძებნე, მგონი, ფიწლის გვერდით უნდა იდოს. ასე ფეხებს და ფეხსაცმელს მაინც გადაარჩენ. თან სეკატორიც წამოიღე, ის, რომელსაც გრძელი სახელური და დამატებითი სახსარი აქვს. ყველაფერს აჯობებს, რომ სეკატორი მოიტანო და აქ, ეზოში დარჩე. რაც უნდა იყოს, ქალაქელი ხარ, აღარც შენი ლამაზი სელის ბოლოკაბა გაგეხევა.

— არა, არა, — თქვა ერთგულმა სიუკმა, — ჩემთვის საინტერესოც კი არის. ეს სააღდგომო კვერცხის ძებნას ჰგავს.

როდესაც სიუკი დაბრუნდა, ალექსანდრა ზუსტად იმ ადგილზე იდგა, რომელიც დაიმახსოვრა და უჩვენებდა, როგორ მოისროლა ჯადოგაკეთებული თოჯინა, რათა სამუდამოდ მოეშორებინა თავიდან. მეგობრები წყალს გაუყვნენ, გზადაგზა ტოტებს ჭრიდნენ და რაც უფრო ღრმად შედიოდნენ, მით უფრო ემანჭებოდათ სახე ტკი-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ვილისგან ამ ველურ ადგილებში, სადაც ასობით სხვადასხვა მცენარე ებრძოდა ერთმანეთს მზისა და წყლისთვის, ნახშირბადის ორჟანგისა და აზოტისთვის. უკანა ეზოდან ნაკვეთი პატარა და ერთგვაროვანი, მწვანე და საფლობი მოჩანდა, მაგრამ ადგილზე მისვლისას აღმოაჩინეს შერეული ჯუნგლი, უწესრიგოდ დახვავებული ხეები და ფოთლები, ულმობელი რღვევა პროტეინის ჯაჭვებისა, ბუნებას ხომ არა მარტო გარეთ გამოღწევა სურდა ფესვებით, მცენარეებითა და ნაყარით, არამედ ყვავილის მტვრითა და თესლით მწერებისა და ფრინველების მოზიდვასაც ცდილობდა. ქალები ხან ტალახში მიაბიჯებდნენ, ხან კოლბოხებზე ბორძიკობდნენ, დროთა განმავლობაში რომ წამოზრდილიყვნენ ბალახის გადახლართული ფესვებიდან. ეკლები თვალებისა და ხელების დასაკაწრად მოიწევდნენ, მკვდარი ფოთლებისა და ღეროების საფარქვეშ მიწა აღარ ჩანდა. როდესაც იმ ადგილს მიაღწიეს, სადაც, ალექსანდრას ვარაუდით, ფოლგაში გახვეული თოჯინა უნდა დაცემულიყო, ის და სიუკი ძირს დაიხარნენ და უცნაურ მცენარეულ სითბოში ამოყვეს თავი. მიწის ზედაპირის სიახლოვეს ქინქლები ირეოდნენ და იკბინებოდნენ, სუნთქვა ჭირდა, მცენარეთა ტოტები და პწკალები ჩრდილიდან მოიწევდნენ, რათა ერთი გოჯი მზე და სივრცე მაინც წაეგლიჯათ.

სიუკმა რაღაცას მიაგნო და გახარებულმა შეჰყვირა, მაგრამ როდესაც ამოთხარეს, ხელთ ძველებური, უჯრედებიანი, მიწაში დიდხანს ნადები გოლფის სათამაშო ბურთი შერჩათ. ჭაობში რაღაც ქიმიურ ნივთიერებას მისი ქვედა ნახევარი ჟანგისფრად შეეღება.

— ჯანდაბა! — თქვა სიუკმა, — საინტერესოა, აქ როგორ მოხვდა. გოლფის სათამაშო უახლოესი მოედანი ერთი მილის მანძილზეა, — მონტი რუჯმონტი, ცხადია, გოლფის ჭეშმარიტი მოყვარული იყო და ვერ იტანდა, როცა თამაშს ქალები ესწრებოდნენ, თავიანთი მოულოდნელი სიცილითა და პასტელის ფერის ეკიპირებით, ფარვატერში მის წინ ან თუნდაც რომელიმე კლუბის სამოთხეში. ამ ბურთის პოვნით სიუკი თითქოს თავისი ყოფილი ქმრის იმ ქვეყნიდან გამოგზავნილ ნაწილს შეხვდა. მან სუვენირი საწვიმრის ჯიბეში ჩაიდო.

— იქნებ თვითმფრინავიდან ჩამოვარდა, — ივარაუდა ალექსანდრამ.

მათ კოლოებმა მიაგნეს და წუილით ეძგერნენ ლოყებსა და კისერზე. სიუკმა სახის წინ ხელი გაიქნია და ჩაიბურტყუნა:

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რომც ვიპოვოთ, რატომ გგონია, რომ რაიმეს შეცვლას შეძლებთ?

— ფორმალობა უნდა დავიცვათ. მე შევულოცე. შენ გამოულოცავ. ქინძისთავებს ამოვაძრობთ და ცვილს გადავადნობთ, ჯენის ისევ სანთლად გადავაქცევთ. უნდა გავიხსენოთ, რა ვთქვით იმ საღამოს, და ყველაფერი შებრუნებული თანამიმდევრობით წარმოვთქვათ.

— მაგას ვერ შევძლებ. ეს წმინდა სახელები იყო. ნახევარიც კი არ გამახსენდება.

— გადამწყვეტ მომენტში ჯეინმა თქვა: მოკვდიო, შენ კი: მიიღე ესო და ჩაიხითხითე.

— მართლა? ეტყობა, ძალიან შევტოპეთ.

ისინი ჩაიკუზნენ, თვალები დაიფარეს და ნაბიჯ-ნაბიჯ შეუდგნენ ბარდების შესწავლას ბრჭყვიალა ფოლგის აღმოსაჩენად. სიუკს რეზინის ჩექმებს ზემოთ ფეხები დაეკაწრა, ახალი ლამაზი საწვიმარი, „ლონდონის ნისლი“, შემოეკეცა, წვრილი, წყალგაუმტარი ძაფები კი დაუწყდა.

— სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ ის ამ დაწყევლილ ეკალბარდებში იქნება, — თქვა მან.

რაც უფრო ღიზიანდებოდა სიუკი, მით უფრო დედობრივი ხმით ელაპარაკებოდა ალექსანდრა.

— სავსებით შესაძლებელია, — თქვა მან, — რომ ფუთა ძალიან მსუბუქი აღმოჩნდა და ქარმა წაიღო.

— ვერ გამიგია, აქ რისთვის გადმოაგდე. რა ისტერიკული გამოხდომაა!

— ხომ მოგიყევი, რომ ჯენის ტელეფონით ვესაუბრე და მან მისი გადარჩენა მთხოვა. თავი დამნაშავედ ვიგრძენი და შემეშინდა.

— რისი შეგეშინდა, ძვირფასო?

— კარგად იცი, რისიც. სიკვდილის.

— ეს ხომ შენი სიკვდილი არ იყო.

— ნებისმიერი სიკვდილი ნაწილობრივ შენი სიკვდილიცაა. ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში იგივე სიმპტომები მაქვს, რაც ჯენის ჰქონდა.

— შენ ყოველთვის გეშინოდა სიმსივნის, — გაღიზიანებული სიუკი სეკატორს აჩხაკუნებდა, მომაბეზრებელი ბარდნარის ეკლიანი ღეროები მრგვალი ფოთლებით საწვიმარზე ექაჩებოდა, მაჯებს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

უკაწრავდა, — ჯანდაბა. მკვდარი ციყვი. სულ გამოშშრალა. აქ ნამდვილი ნაგავსაყრელი ყოფილა. ნუთუ ამ დაწყევლილ თოჯინას შენი შიგა თვალით ვერ აღმოაჩენდი? ნუთუ შეუძლებელია, რომ მას, — როგორ ეძახიან? — ლევიტაცია აიძულო?

— ვეცადე, მაგრამ სიგნალის მიღება ვერ შევძელი. იქნებ ალუმინის ფოლგა უშლიდა ხელს გამოსხივებას?

— შესაძლებელია. ბოლო დროს რამდენჯერმე ვცადე მზიანი ამინდის გამოძახება — ამ ჭენჭყოში თავი მატლი მგონია, — მაგრამ წვიმას ვერაფერი მოვუხერხე.

გზის გაკვალვა სიუკს სულ უფრო მეტად აღიზიანებდა.

— ჯეინი კი თვითონ აკეთებდა ლევიტაციას.

— ჯეინი სხვაა. იგი ძალზე მოძლიერდა. ხომ გაიგონე, რომ თქვა, ამ შელოცვის დარღვევა არ მსურსო. მას მოსწონს მოვლენების ამგვარი განვითარება.

— იქნებ გეშლება, როცა ამბობ, რომ ფუთა ასე შორს მოისროლე? მონტისგან ხშირად გამიგონია, რომ გოლფის მოთამაშეები თავიანთ ნასროლ ბურთს იმ ადგილიდან გაცილებით შორს ეძებენ ხოლმე, სადაც ის დევს. ზოგიერთები რამდენიმე მილის მანძილზეც კი წასულან.

— მაგრამ ფუთა მართლაც გვარიანად გაფრინდა.

— მაშინ შენ წინ ეძებე, მე კი ცოტათი უკან დავიხევ. ღმერთო ჩემო, როგორ მეზიზღება ეს დაწყევლილი ეკლები. ნეტავ რა სარგებლობა მოაქვთ?

— მათ ჩიტები მიირთმევენ. არც მღრღნელები და მყრალები ამბობენ უარს.

— ოჰ, რა მაგარია.

— როგორც შევამჩნიე, ზოგიერთი ბუჩქი ასკილისაა და არა ჟოლოსი. როდესაც ოზთან ერთად ისთვიქში პირველად ჩამოვედი, ყოველ შემოდგომაზე ასკილის ნაყოფისგან ჟელეს ვამზადებდი.

— შენ და ოზი ერთმანეთს სულში იძვრენდით.

— ჰო, ამაღელვებელი წყვილი ვიყავით. ნამდვილი წმინდანი ხარ, რომ მოხვედი და მეხმარები. ვიცი, რომ მოგბეზრდა. შეგიძლია, თავი დაანებო.

— არც ისეთი წმინდანი ვარ, მართლა. იქნებ მეც მეშინია. აი, ისიც, ჰგავს, ყოველ შემთხვევაში.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სიუკისგან ეს არც ისე ამაღელვებლად გაისმა, როგორც მაშინ, როცა ბურთს მიაგნო. ალექსანდრას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი და ულმობელი მას შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდა. გაჭირვებით მიაღწია იმ ადგილამდე, სადაც მისი მეგობარი იდგა. სიუკს ჯერ ხელი არ ეხლო ფუთისთვის, რომელიც შედარებით გაშლილ, ზღვის რძიანათი დაფარულ მარილიან ნაკვეთზე ეგდო. ჯუნგლის ჩრდილში რამდენიმე ნაზი, თეთრი ყვავილი იწონებდა თავს. როდესაც დაჭმუჭნილი ფუთის ასაღებად დაიხარა — ავდარში რამდენიმე თვის განმავლობაში დებისგან იგი გაუფერულებულიყო, თუმცა ჟანგის ნატამალიც არ ემჩნეოდა, — ალექსანდრამ შეამჩნია, რომ მას ნოტიო, შავი მიწა მიჰკვროდა, რომელზეც ნამცეცა ტკიპები დაცოცავდნენ; მოწითალო წინწკლებს ერთად მოეყარათ თავი, მაგნიტზე რკინის ნაქლიბის მსგავსად, და გამალებით დაქროდნენ ცხოვრების თავ-თავიანთ ტერასებზე, საკუთარ ნამცეცა გარემოში, რომელსაც მისი, ალექსანდრას სამყარო, რამდენიმე დონით აღემატებოდა. ალექსანდრამ თავი აიძულა, რომ ჯერ შეხებოდა ამ ჯადოგაკეთებულ ნივთს, სატანისებურად გამომცხვარ კარტოფილს, შემდეგ კი აეღო. მან ფრთხილად გადასწია ფოლგის კიდე. ქინძისთავები დაჟანგულიყო, ცვილი კი, რომლისგანაც ჯენის მსგავსი პატარა ფიგურა იყო გამოძერწილი, სრულიად გამქრალიყო.

— ცხოველური ცხიმი, — ამოღერღა ბოლოს სიუკმა, რახან ალექსანდრა ხმას არ იღებდა, — ქვიშის რწყილების რომელიღაც ბანდას ეს ეგემრიელა და, ან თავად გადასანსლა, ან შთამომავლობა გამოკვება. შეხედე: მხოლოდ თმის ღერები დარჩენილა. თუ გახსოვს ის მოკლე თმა? აი, რატომ ანაგვიანებს თმა პირსაბანს. ისინი არ ნადგურდებიან, ისევე, როგორც „კლორაქსის“ ბოთლები. ოდესმე, ჩემო კარგო, მსოფლიოში თმისა და „კლორაქსის“ ბოთლების გარდა აღარაფერი დარჩება.

— არაფერი. ჯენის ცვილის ორეულიც არაფრად იქცა.

ახლა, როცა ორივე ქალი წელში გამართული იდგა რუსული მაყვლის ბარდებში, წვიმის წვეთებმა სახე ქინძისთავებივით დაუჩხვლიტეს. ამგვარი მწვავე, მიკროსკოპული პირველი წვეთები ძლიერ, თავსხმა წვიმას მოასწავებდა. ცა ერთიანად განაცრისფრდა, მხოლოდ დასავლეთით, ჰორიზონტის სიახლოვეს მოჩანდა ცისფრად ვიწრო

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ზოლი, მაგრამ ეს ისე შორს იყო, რომ მოწმენდილი ცა, შესაძლოა, როდ-აილენდის საზღვრებს გარედან დასცქეროდა დედამიწას.

— ბუნება მშიერი, ბებერი არსებაა, — თქვა ალექსანდრამ და ფოლგა და ქინძისთავები ისევ ბარდებში მოისროლა.

— და მწყურვალი, — დაამატა სიუკმა, — შენ ხომ დალევას შემპირდი?

სიუკს ალექსანდრას ნუგეშისცემა და მისი გახელება უნდოდა, იგი გრძნობდა მასში ჩამალულ შიშს, არც თვითონ იყო მშვიდად მკერდამდე ბალახში ჩაფლული და ლამაზ მოსასხამში გამოწყობილი, წითური თმითა და მაიმუნისებრი ტუჩებით. მაგრამ ალექსანდრა რაღაცნაირ განდგომილებას გრძნობდა, თითქოს მისი ახლო მეგობარი, მიმზიდველი, მაგრამ გაწამებული, მისთვის კიდევ ერთ გამოსახულებას წარმოადგენდა, რომელიც ისევე აღარ აინტერესებდა, როგორც შუქნიშანთან სწრაფად ჩავლილ სატვირთო მანქანაზე განთავსებული რეკლამა.

ბრენდას მიერ შემოღებული ახალი წესებიდან ერთ-ერთი ის გახლდათ, რომ დროდადრო ქადაგების უფლებას მრევლის რომელიმე წევრს აძლევდა. დღეს ამ როლში დარილ ვან ჰორნი გამოდიოდა. მას კათედრაზე სქელი, წითელყდიანი წიგნი გადაეშალა, რომელიც ბიბლია კი არ იყო, არამედ უებსტერის აკადემიური ლექსიკონი.

— მრავალფეხას, — კითხულობდა იგი უჩვეულოდ მჟღერი, თითქოს განზრახ გაძლიერებული ხმით, — გრძელი, ბრტყელი, მტაცებელი ფეხსახსრიანების კლასის ნებისმიერ Chilopoda[1] წარმომადგენელს ყოველ სეგმენტზე წყვილი ფეხი გააჩნია, ტანის ფეხების პირველი წყვილი კი შხამიან ყბაფეხებად გადაექცა, — დარილმა თავი ასწია. მას ნახევრად მრგვალი საკითხავი სათვალე ეკეთა, რომელიც სახეს უყოფდა და იგი არცთუ ისე სწორი ნაკერებით შეერთებულს მიუგავდა, — თქვენ არაფერი იცოდით შხამიანი ყბაფეხების შესახებ, ხომ ასეა? თქვენ არ ჩაგიხედავთ მრავალფეხასთვის თვალებში, მეთანხმებით? ასე არ არის, ბედნიერო ხალხო? — ხმამაღლა მიმართა მან აგვისტოს ამ სულისხუთვა დღეს ეკლესიის სკამებზე აღმართულ

[1] *ტუჩფეხიანები (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ათობით თავს. მაღალ ფანჯრებში პირქუში და გადამუშავებული ქაღალდის მაკულატურასავით უფერული ცა მოჩანდა. დაფიქრდით, — სთხოვდა დარილი, — დაფიქრდით ამ ყბაფეხების ევოლუციაზე მრავალი გეოლოგიური ეპოქის, მარადისობის განმავლობაში. თქვენ ხომ ვერ იტანთ სიტყვა „მარადისობას“. მაგრამ მუხლებზე ეცემით, როდესაც მას რომელიმე გონებაჩლუნგი გარეწარი წარმოთქვამს. ჩემი სიტყვები მეც კიდევ ერთ ასეთ გონებაჩლუნგ გარეწრად მაქცევს, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, სხვა რა უნდა თქვას კაცმა? დაფიქრდით იმ საცოდავ დაკლაკნილ არსებებზე, რომლებიც სამზარეულოს ნიჟარების მიღმა ცხოვრობენ, აგრეთვე ქვემოთ, სარდაფში, ან ჯუნგლებში, და თავიანთ სიცოცხლეს ამ მტაცებლის ყბაფეხებში ასრულებენ. ხომ ლამაზად ჟღერს? ამ მტაცებელს პირში, თუ შეიძლება ასე ითქვას (გაგიმხელთ, რომ იგი არცერთ ხასხასა წითელ ტუჩებს არა ჰგავს), პირველი ფეხების წყვილის წინ შხამი აქვს მოთავსებული. ამ თემას დნმ-ის საიმედო, ძველებური ჯაჭვები აგრძელებენ და მრავალფეხები იფანტებიან და კიდევ უფრო მეტ მრავალფეხას წარმოშობენ, და ბოლოს და ბოლოს, მათ შხამიანი ყბაფეხები უვითარდებათ. აი, ეს მესმის, — მან ტუჩები საჩვენებელი თითითა და ცერით მოიწმინდა, — და ისინი ამას, ამ ალიაქოთსა და ტანჯვა-წამებას, სამყაროს ეძახიან.

ეკლესიის გვერდით, დაფაზე, მოძრავი თეთრი ასოებით ქადაგების სახელწოდება ეწერა: „ეს საშინელი სამყარო“.

აქა-იქ მიმოფანტული მსმენელები დუმდნენ. ძველი ხის ნაგებობამაც კი შეწყვიტა ტკაცატკუცი. ბრენდა უსიტყვოდ იჯდა კათედრის გვერდით, სახე გვერდზე მიებრუნებინა, პროფილში. მას სანახევროდ ფარავდა თაბაშირის ლარნაკში ჩაწყობილი გლადიოლუსები და გვიმრები, რომლებიც კვირას ფრანი ლავკრაფტის ვაჟიშვილის პატივსაცემად მოეტანათ, ორმოცდაათი წლის წინათ მკვდარი რომ დაიბადა. ბრენდა ფერმკრთალი და აპათიური ჩანდა. იგი თითქმის მთელი ზაფხულის განმავლობაში უქეიფოდ იყო. ისთვიქში მავნე, ნესტიანი ამინდი იდგა.

— თუ იცით, როგორ ექცეოდნენ ალქაჯებს გერმანიაში? — ხმამაღლა იკითხა კათედრიდან დარილმა, თითქოს ეს კითხვა ამ წუთს მოუვიდა თავში. შესაძლოა, ეს ასეც ხდებოდა, — მათ რკინის სკამზე სვამდნენ და ქვემოდან ცეცხლს უნთებდნენ. ხორცს გავარვარებუ-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ლი მაშებით აგლეჯდნენ. მარწუხებით. ძელზე სვამდნენ. ხუნდებს ადებდნენ. თქვენ საუბრობთ ამის შესახებ, ისინი კი სჯიდნენ. ძირითადად, გულუბრყვილო ხანში შესულ ქალებს, — ფრანი ლავკრაფტი როზა ჰელიბრედისკენ გადაიხარა და ჟღრიალა ხმით რაღაც ხმამაღლა, მაგრამ გაურკვევლად ჩასჩურჩულა. ვან ჰორნი მოუსვენრად აწრიალდა და თავმოყვარეობაშელახულმა მოუხეშავად სცადა თავის დაცვა, — კარგი, — უყვირა მან მრევლს, — მერე რა? თქვენ იტყვით, რომ ასეთია ადამიანის ბუნება. ასეთია კაცობრიობის ისტორია. როგორ უნდა იმოქმედოს ამან სამყაროზე? რის დამტკიცებას ცდილობს ეს გიჟი? ჩვენ დაუსრულებლად, დაღამებამდე შეგვიძლია ვისაუბროთ წამების მეთოდებზე, რომლებსაც ადამიანები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებდნენ ამა თუ იმ რელიგიის წმინდა დროშის ქვეშ. ჩინელები ტყავს აძრობდნენ, ნელ-ნელა, სანტიმეტრობით, შუა საუკუნეებში ისინი ფატრავდნენ ადამიანს, რომელიც ამას ხედავდა, ასოს აჭრიდნენ და პირში უდებდნენ, რათა ბოლომდე მიეღო თავისი. ბოდიშს ვიხდი, რომ მიჭირს ლაპარაკი, აღელვებული ვარ. საქმე ისაა, რომ ეს ყველაფერი, ერთმანეთზე მიჯრილი, უთვალავჯერ გადიდებული, ერთ მუჭზე ნაკლები გამოვა იმ სისასტიკესთან შედარებით, რომელსაც მიწიერი, ორგანული, მეგობრულად განწყობილი სამყარო ახვევდა თავს თავის ქმნილებებს, დაწყებული პირველი საცოდავი ამინომჟავების რიგიდან, მოძრავი შლამიდან რომ გამოაღწიეს. ქალები, რომლებიც არასოდეს დაუდანაშაულებიათ კუდიანობაში, ლამაზი, ქერათმიანი თოჯინები, ცხოვრებაში მრავალფეხაც კი რომ არ გაუთვალავთ, ყოველდღიურად კვდებიან წამებით, ისეთივე საშინელით, და, ცხადია, უფრო ხანგრძლივით, ვიდრე ისინი, რომელთაც ამ Hexestuhl-ზე[1] სვამდნენ, დიდი, ბლაგვი ლურსმნებით რომ იყო დაფარული. ვერ გამიგია, თერმოდინამიკის რომელი კანონი მოქმედებდა იქ. ამაზე ფიქრიც კი აღარ მინდა, და სანაძლეოს ჩამოვდივარ, რომ — არც თქვენ გაქვთ ამის შესახებ წარმოდგენა. ეს საშინელება იყო, საშინელება. ღმერთო ჩემო, რა საშინელება იყო ეს.

სათვალე ცხვირზე ჩამოუცურდა და როცა გაისწორა, თითქოს სახეც გაიმთელა. მრევლის ზოგიერთ წევრს მისი ლოყები დაცვარული მოეჩვენა.

---

[1] *სკამი ალქაჯების საწამებლად (გერმ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯენი აქ არ იმყოფებოდა, ძლიერი შინაგანი სისხლდენით იგი საავადმყოფოში წაეყვანათ. არც რეი ნეფი ჩანდა — მას პროფესორ ჰელიბრედის მიწვევა მიეღო და ახლა, ალბათ, ართურის მიერ ახალშეძენილი, გაფელით[1] გაწყობილი იახტით მელვილისკენ მიცურავდა. გრეტა მარტო იჯდა. რაზე ფიქრობდა იგი და რა უნდოდა, ძნელი გასაგები იყო. გერმანულმა წარმოშობამ — თუმცა მას არც ისეთი ძლიერი აქცენტი ჰქონდა, როგორც ამას მისი დაცინვის მოყვარულები გამოხატავდნენ — იგი თავშეკავებული და გულჩათხრობილი გახადა. ღია ჩალისფერი, მოკლედ შეკრეჭილი თმა ჰქონდა და ჭუჭყისფრად მოცისფრო შეფერილობის საოცარი თვალები ძველმოდური სათვალის ქვეშ. იგი არცერთ კვირადღეს არ აცდენდა, ალბათ, მისი ერისთვის დამახასიათებელი საფუძვლიანობის გამო. ეს შესანიშნავი მანქანა მუდამ იმის მოლოდინში იყო, თუ როდის შეიპყრობდა მას რომანტიკის დემონი.

ვან ჰორნი ცოტა ხნით დადუმდა. იგი ისე მოუხეშავად იქექებოდა ლექსიკონში, თითქოს ხელთათმანები ეკეთა. კარგად ისმოდა, როგორ დაიხარა მოხუცი მისის ლავკრაფტი მისის ჰელიბრედისკენ და გარკვევით ჰკითხა: „რატომ ხმარობს უწმაწურ სიტყვებს?“ როზა ჰელიბრედი ძალიან კმაყოფილი ჩანდა. ეს იყო მაღალი ქალი პატარა თავით, რომელიც აკურატულად, მავთულივით დახვეულ ჭაღარა და შავი თმის ბუდეში იჯდა. მისი კაკლისფერი, ძალიან პატარა სახე მზისთაყვანისმცემლობის ათწლეულებს დაეჭმუჭნა. მან ჩურჩულითვე გასცა პასუხი, რომელიც სულ არ ისმოდა. მეორე ბოლოში დონ პოლანსკი იჯდა. გოგონას მომხიბლავი, ფართო, მონღოლური ღაწვები და კვამლში გამოყვანილივით სახე ჰქონდა, რომელზეც იმ ადამიანის აღუშფოთველი სიმშვიდე აღბეჭდოდა, კანონებს რომ არად დაგიდევთ. მათ შორის, როზასა და მას შორის, უზარმაზარმა ფსიქიკურმა ძალამ მოიყარა თავი.

ხმაურზე ვან ჰორნმა თავი ასწია, თვალები მოჭუტა, ცხვირზე სათვალე შეისწორა და შემრიგებლურად წარმოთქვა:

— ვიცი, რომ ეს გაცილებით მეტ დროს წაიღებს, მაგრამ აქ, ერთ გვერდზე, ორ სიტყვას წავაწყდი: „სოლიტერსა“ და „ტარანტულს“. ტარანტული: „დიდი თმიანი ობობა, ჩვეულებრივ, ძალიან ნელა

[1] *გაფელი — ანძის ზედა ნაწილზე დამაგრებული სპეციალური რეა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოძრაობს, მაგრამ მწარედ იკბინება, თუმცა ადამიანისთვის არც ისე შხამიანია“. დიდი მადლობა. ეს კი მის პატარა, სუსტ მეგობარზეა: „მრავალრიცხოვან ლენტისებრ ჭიათაგან ყოველი ზრდასრული (Taenia-ს გვარისა) პარაზიტობს ადამიანისა და სხვა ხერხემლიანების ნაწლავებში“. დაიმახსოვრეთ, მრავალრიცხოვანი, და არა სამყაროს კუთხეში შეკვეხებული ორიოდე უცნაური არსება. ვიღაც, შესაძლოა, დაიბნეს კიდეც, ხოლო სიმრავლე, სახესხვაობათა სიმრავლე, საშინელი აზრია, როგორც, ალბათ, ვიღაცამ გაიფიქრა კიდეც. ვერაფერს ვიტყვი იმათ შესახებ, ვისაც სურს, რომ დავმშვიდდე და ჩემს ადგილზე დავჯდე, მაგრამ ყოველთვის მხიბლავდნენ პარაზიტები. ვგულისხმობ, რომ მხიბლავდნენ უარყოფითი გაგებით. ისინი ისე გამრავლდნენ, ერთი მხრივ, ვირუსებითა და ბაქტერიებით დაწყებული, როგორიც, მაგალითად, თქვენი მეგობარი სიფილისის სპიროჰეტები არიან, ათმეტრიანი ლენტისებრი ჭიებითა და მრგვალი ჭიებით დამთავრებული, რომ თავისი სიდიდითა და სისქით მსხვილი ნაწლავის გაჭედვაც შეუძლიათ. ნაწლავები, აი, სად გრძნობენ ისინი თავს ყველაზე კარგად. ისინი ყველგან არიან რომელიმე ნაწლავის სველ უწმინდურობაში — იქ არის მათი ბუდე. ჩვენ მათთვის ვინელებთ საჭმელს, მათ კი კუჭი არც სჭირდებათ — მხოლოდ პირი და ნახვრეტი უკანალში, ბოდიშს გიხდით ამ ჟარგონისთვის. მაგრამ როგორი გამომგონებლობა გამოიჩინა უდიდესმა შემოქმედმა თავისი გულუხვი ხელით ამ პატარა ეშმაკუნებისთვის. მე რაღაც-რაღაცები ამოვიწერე ენ-ცი-კლო-პე-დი-ი-დან, როგორც ჯიმინი კრიკეტი[1] ამბობდა, თუ ამ საძაგელ შუქზე წაკითხვა არ გამიჭირდა. ვერ გამიგია, ბრენდა, როგორ მუშაობთ ამდენ ხანს ასეთ პირობებში. თქვენს ადგილზე გაფიცვას მოვაწყობდი. კარგი, მოვრჩეთ შესავალს.

ფანქრის სიგრძის ტოლი ჩვეულებრივი ნაწლავების მრგვალი ჭია კვერცხებს მასპინძლის ფეკალიებში დებს. ეს საკვებით საკმარისია. შემდეგ, არ მკითხოთ, როგორ — თუ ოდესმე ისთვიქს დატოვებთ, ნახავთ, რომ სამყაროში მრავლადაა ანტისანიტარია, — ეს კვერცხები თქვენს პირში ხვდება და თქვენ მათ, ნებსით თუ უნებლიეთ, ყლაპავთ. ისინი თქვენს თორმეტგოჯა ნაწლავში მწიფდება, პატარა მატლები ნაწლავების კედლებს თავს აღწევენ, სისხლძარღვში ხვ-

---

[1] *ჯიმინი კრიკეტი — დისნეის ერთ-ერთი მულტფილმის პერსონაჟი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დებიან და ფილტვებში მიგრირებენ. იქნებ გგონიათ, რომ ისინი იქ საპენსიო ასაკამდე აპირებენ განმარტოებით ცხოვრებას? არავითარ შემთხვევაში, ჩემო ძვირფასებო. მრგვალი ჭიის ეს პატარა დედილო მყუდრო კაპილარიდან ფილტვის შიგნით იკვალავს გზას და საჰაერო ტომარაში ხვდება, ბრონქიალური ხის გავლით ხორხსარქველამდე აღწევს, სადაც თქვენ მას ხელმეორედ ყლაპავთ! — ნუთუ შეიძლება კაცი ასეთი სულელი იყოს? მეორე დაღმასვლის დასრულების შემდეგ იგი იქ სახლდება და ნორმალურ, მომწიფებულ მუშა მატლად იქცევა.

ან თუნდაც ავიღოთ — მომითმინეთ, ჩანაწერები ამერია, — ავიღოთ გულის ამაჩუყებელი პატარა არსება, რომელსაც ფილტვების მუცლის ჭიას უწოდებენ. მისი კვერცხები გარეთ ნახველის საშუალებით ხვდება, ხველების დროს — თვალსაჩინოებისთვის ვან ჰორნმა ჩაახველა, — როდესაც ისინი მესამე სამყაროს საძაგელი ქალაქების მტკნარ წყლებში იჩეკებიან, ამ ფილტვების მუცლის ჭიის მატლების სახით ლოკოკინების ამა თუ იმ სახეობაში მკვიდრდებიან, გასაგებია? იქ კარგა ხანს რჩებიან, მერე კი გამოცურავენ და კიბოებისა და კიბორჩხალების რბილ ქსოვილებში გასასვლელებს ბურღავენ. და როდესაც იაპონელები ან სხვები ლანგუსტებსა და კიბორჩხალებს უმს ან ბოლომდე მოუხარშავს მიირთმევენ, რაც ასე უყვართ, მათ ორგანიზმში ეს მომაბეზრებელი მუცლის ჭიები ხვდებიან, ნაწლავებისა და დიაფრაგმის გავლით გზას იკვლევენ, რათა ფილტვებში მოხვდნენ და ნერწყვით დაწყებული ცხოვრების წესი განახორციელონ. წყლის პატარა ბინადართა სხვა წარმომადგენლებს, თუ სწორად ამოვიკითხე, Diphyllobothrium latum-ებს,[1] ნამცეცა მოცურავე ჩანასახებს წყლის რწყილები ჭამენ, წყლის რწყილებს პატარა თევზები ყლაპავენ, პატარა თევზებს — დიდი თევზები, ბოლოს ამ ანკესზე ადამიანიც წამოეგება და, ნაცვლად იმისა, რომ მონელებულ იქნენ, კუჭის მრავალფენიან გარსში გზა გაჰყავთ, გარეთ გამოდიან და სწრაფად იზრდებიან. აი, ასე და ამგვარად, მაგრამ მე არ მინდა, ვინმეს თავი მოვაბეზრო ან ამაზე წერტილი დავსვა. თუმცა, მოითმინეთ. თქვენ ამის მოსმენაც მოგიწევთ. ციტირებას ვახდენ: Echinococcus granulosus[2] — მრგვალი ჭიების იშვიათი სახეობაა,

[1] *ლენტისებრი ჭიის სახეობა (ლათ.).*
[2] *ექინოკოკი (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

რომელიც ადამიანის პარაზიტია, მომწიფებული მატლი ძაღლის ნაწლავებში ცხოვრობს, მაშინ, როცა ადამიანი ერთ-ერთი პატრონია მატლის სტადიისა. უფრო მეტიც, მოზრდილი მატლი ძალზე პატარაა, სამიდან ექვს მილიმეტრამდე. მისგან საპირისპიროდ, კისტა-ჰიდატოდა[1] ფეხბურთის ბურთივით დიდი შეიძლება იყოს. ადამიანი ინფექციას იძენს, — კარგად მოისმინეთ, — დასნებოვნებული ძაღლის ექსკრემენტებთან კონტაქტისას".

მაშასადამე, მიუხედავად ექსკრემენტებისა და ნერწყვის სიუხვისა, არსებობს ადამიანი, რომელიც ვითომდა ღმერთის მსგავსად არის შექმნილი. რაც შეეხება პატარა Echinococcus-ს, იგი მხოლოდ და მხოლოდ გაჩერებაა ძაღლის ნაწლავებისკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ არ იფიქროთ, რომ პარაზიტები ერთმანეთში არ შედიან. არსებობს ერთი გაქნილი Trichosomoides crassicauda,[2] რომლის შესახებაც ვკითხულობთ: „ამ სახეობის მდედრი პარაზიტობს ვირთხის შარდის ბუშტში, გადაგვარებული მამრი კი მდედრის მუცელში ცხოვრობს". მაშასადამე, გადაგვარებული, ენციკლოპედიაც კი თვლის, რომ იგი გადაგვარდება. აბა, ამაზე რას იტყვით? „ის, რაც შეიძლება განისაზღვროს, როგორც შარდასაქესო შისტოსომატოზი, არის სისხლში არსებული მუცლის ჭია Schistosoma haematobium,[3] რომლის ზომით უფრო პატარა მდედრიც მამრის მუცლის კედელზე ან შარდსადენ მილში გადადის".

წიგნში, კეთილო ხალხო, არის სურათი, რომელიც მინდა, რომ აღგიწეროთ. პირი რაღაც თითისმაგვარის ბოლოში მდებარეობს, და ეს მუცლის საწოვარი ელვაშესაკრავიან ბანანს გვაგონებს. მერწმუნეთ, ნამდვილი საზიზღრობაა.

მათ, ვინც მოუსვენრად იყო — ზედა ფანჯრებიდან ხომ მოწმენილი ცა ანათებდა, როგორც ქაღალდის ფურცლის უკან ფოტოგაელვება, ვარდისფერი ბუჩქების წვეროები კი ირხეოდა და ირწეოდა ცის გამწმენდი ბრიზისგან (ბრიზისგან, რომელმაც კინაღამ ამოაყირავა ართური და რეი დასავლეთის სრუტეში კუნძულ დაერის მახლობლად. ართური არ იყო მიჩვეული სწრაფი პატარა იახტის მართვას, ამიტომ გულის ფიბრილაცია დაეწყო, მკერდში ჩიტი უფართხალებ-

---

[1] *ჰიდატოდები — ფორები მცენარეთა ფოთლებზე სითხის გამოსაყოფად.*

[2] *სქელკუდა ტრიქოსომოიდი (ლათ.).*

[3] *სისხლის შისტოსომა (ლათ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

და, ტვინი კი სწრაფად ამბობდა: „ჯერ არა, ღმერთო, ახლა არა“), — მოეჩვენათ, რომ ჩანაწერების კითხვისას წინ და უკან მოქანავე და მზის შუქით დაბრმავებულ ვან ჰორნს სახე დაებინდა და არარსებობაში დნებოდა. იგი ცდილობდა, წვალობდა, რომ საბოლოო დასკვნის გასაკეთებლად აზრი მოეკრიბა. მისმა ხმამ მიწის სიღრმიდან წამოსული გუგუნის ჟღერადობა მიიღო.

— მაშასადამე, რომ დავასრულოთ, ვიტყვი: ეს უბრალოდ ლამაზი, ზოლიანი ვეფხვი ან ფაფარაშლილი, მეგობრულად განწყობილი ლომი როდია. აი, რას გვტენიან ისინი ამ რბილ სათამაშოებთან ერთად. ეს იგივეა, ბავშვს ლოგინში რბილი ნაწლავის ჭია ან თმიანი ტარანტული რომ ჩავუდოთ. თქვენ ყველაფერს მიირთმევთ. როგორც თქვენ გრძნობთ თავს ზაფხულის მშვენიერ დღეს მზის ჩასვლისას — უკვე მოქმედებს იმ სინაპსის შემარბილებელი პირველი ჯინი ტონიკით ან რომი „კოკა-კოლათი“, ან „სისხლიანი მერი“, სოლარიუმში ან საცურაო აუზში კი შუშის მაგიდაზე თეფშებზე პოკერის კარტივით ეწყობა გემრიელი ყველის ნაჭრები და კრეკერები, — მადლობა ღმერთს, კეთილო ხალხო, აი, ასევე გრძნობს თავს მატლი, როდესაც მისკენ ჭყაპაჭყუპით ეშვება ნახევრად მონელებული ბიფშტექსის ან მექსიკურად შემწვარი მაცდუნებელი თევზების გადაღეჭილი სალაფავი. იგი ისეთივე ცოცხალი ქმნილებაა, როგორც თქვენ და მე. ისეთივე საუცხოო, შესანიშნავი, სიყვარულით შექმნილი არსება. თვალწინ გიდგათ უდიდესი, წვერით მოსილი სახე, რომელიც თქვენკენ დახრილა და გიღიმით. სინამდვილეში კი იგი ანგელოზური მანიკიურით დამშვენებული ლეგენდარული თითებით უკანასკნელ ფაქიზ შტრიხებს უკეთებდა მუცლის პარაზიტ Schistosoma-ს: აი, ის არის ჭეშმარიტი ქმნილება. ახლა კი გეკითხებით — განა ეს საშინელება არ არის? შეძლებდით კი უკეთესად გაკეთებას, შესაძლებლობა რომ გქონოდათ? დალახვროს ეშმაკმა, დარწმუნებული ვარ, რომ შეძლებდით. ასე რომ, შემდგომში ხმა მე მომეცით, შევთანხმდით? ამინ.

ყოველ მრევლში არის ხოლმე ვინმე უცხო. მარტოხელა დაუპატიჟებელი სტუმარი იმ დღეს სიუკ რუჯმონტი გახლდათ, რომელიც უკან დამჯდარიყო ფართოფარფლებიანი ჭილის ქუდით, რათა თავისი ღია წითური თმა დაემალა. დავითნის წასაკითხად და პროგრამის ასლის მინდვრებზე ჩანაწერების გასაკეთებლად დიდი,

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მრგვალშუშებიანი სათვალე ეკეთა. მას გაეგო დარილის მოსალოდნელი ქადაგების შესახებ და მოსულიყო, რათა მის შესახებ თავის გაზეთში დაეწერა — ჭორების რუბრიკა „ისთვიქის თვალები და ყურები“ აღდგენილი იყო. მაღალ საკურთხეველზე მსხდომ ბრენდასა და დარილს უნდა შეემჩნიათ, თუ როგორ შემოვიდა იგი პირველი ჰიმნის დროს, მაგრამ გრეტამ, დონმა და როზა ჰელიბრედმა მისი იქ ყოფნის შესახებ არაფერი იცოდნენ. იმ მომენტიდან, როცა გაისმა პირველი სტროფი „მამაო ჩვენო, რომელიც აღგვივლენ წვიმას ადამიანებს“ და სიუკმა იქაურობა დატოვა, ალქაჯების ფრაქციებს შორის არავითარი კონფრონტაცია არ მომხდარა. ეგაა, რომ გრეტას მთქნარება დააწყებინა, დონს ჩამქრალი თვალები საშინლად აუქავდა, ფრანი ლავკრაფტს კი ფეხსაცმელზე აბზინდები შეეხსნა. მაგრამ ამ ყველაფრის ახსნა ბუნებრივი მიზეზებითაც შეიძლებოდა, ისევე, როგორც სიუკის მიერ გაკეთებული აღმოჩენა, როდესაც მან სარკეში ჩაიხედა: თმაში რვა თუ ათი ჭაღარა შემატებოდა.

— იგი გარდაიცვალა, — შეატყობინა სიუკმა ტელეფონით ალექსანდრას, — დღეს, დილის ოთხი საათისთვის. მის გვერდით მხოლოდ ქრისი ყოფილა და იმასაც ჩასძინებია. ღამის მომვლელი შესულა და უნახავს, რომ პულსი აღარ ჰქონდა.

— დარილი სადღა იყო?

— შინ წასულა დასაძინებლად. საბრალო, იგი მართლაც ცდილობდა, კარგი ქმარი ყოფილიყო, ყოველღამ მის გვერდით იყო. ეს რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა და ექიმებს უკვირდათ კიდეც, ამდენ ხანს რომ გაატანა. უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა.

ალექსანდრას გული დანაშაულის შეგრძნების ტვირთქვეშ უცემდა, მას საშემოდგომო სევდა და განდგომილების სიმშვიდე დაუფლებოდა. შრომის დღე ჩავლილი იყო და ბაღის განაპირას, სახლს უკან, გრძელი და წვრილი მინდვრის ასტრები ოქროწკეპლებსა და თავკომბალა, მუქღეროებიან ნარშავებს ეპაექრებოდნენ, ფანჯრის ქვეშ მეწამული ყურძენი დამწიფებულიყო, კენკრის ის ნაყოფი, რომელთა აკენკვა ჩიტებს ვერ მოესწროთ, თხელი ფაფასავით ჩამოედინებოდა აგურის კედელზე. ამ წელს ყურძენი ისეთი მჟავე გამოდგა, რომ კაცი პირს ვერ ჩაიტკბარუნებდა, ალექსანდრას კი ჟელეს

www.PDF.ChiaturaINFO.GE

მოდულება მოუნდა: ორთქლი, გაწურვა და ცხელი ქილები მოენატრა. სანამ იმაზე ფიქრობდა, სიუკისთვის კიდევ რა ეთქვა, ალექსანდრას მოულოდნელად მისთვის ჩვეული შეგრძნება დაუბრუნდა: თავი სხეულს გარეთ იგრძნო, თითქოს გვერდიდან აკვირდებოდა მის ამაღელვებელ განსაკუთრებულობას თავისი სიგრძითა და სიგანით. კიდევ ერთი მარტი და იგი ორმოცის გახდება. ღამღამობით კვლავ ახსენებდა თავს იდუმალი ტკივილი და ქავილი, თუმცა ექიმი პეტერსონი ვერაფერს პოულობდა. იგი ფუნთუშა, მელოტი კაცი იყო, ხელის მტევნები ისეთი რბილი და ფართო, ვარდისფერი და სუფთა ჰქონდა, რომ ძალისძალად გაბერილს მიუგავდა.

— თავს საზიზღრად ვგრძნობ, — განუცხადა ქალმა მეგობარს.

— ნუ იტანჯები, — ამოიოხრა სიუკმა დაღლილი ხმით, — ადამიანები ყოველთვის კვდებიან.

— მხოლოდ ის მინდა, რომ ვინმე დამეხმაროს, — თქვა მოულოდნელად ალექსანდრამ.

— ეგ ვის არ უნდა, ძვირფასო?

— მასაც მხოლოდ ეს უნდოდა.

— და მან ის მიიღო.

— დარილს გულისხმობ?

— დიახ. მაგრამ ყველაზე საშინელი...

— ყველაზე საშინელიც არსებობს?

— იქნებ არც ღირდეს შენთვის ამის თქმა, ჯეინმა ეს საიდუმლოდ მითხრა: ხომ იცი, ბობ ოსგუდს რომ ხვდება, იმან კი დოქტორ პეტისგან შეიტყო...

— ის ფეხმძიმედ ყოფილა, — დაასწრო ალექსანდრამ.

— ეგ როგორ შეიტყვე?

— ამაზე საშინელი რა შეიძლება იყოს. ძალზე სამწუხაროა, — თქვა მან.

— ოჰ, არ ვიცი. ბავშვზე ვერც კი ვფიქრობ. მიჭირს, დარილი მამის როლში წარმოვიდგინო.

— ახლა რას გააკეთებს? — ალექსანდრამ ზიზღით წარმოიდგინა მუცელში მყოფი ნაყოფი, რომელიც თავწაცლილ თევზს ჰგავდა და კარზე დასაკაკუნებელი ჩუქურთმიანი ჩაქუჩივით დახვეულიყო.

— გავბედავ ვივარაუდო, რომ ცხოვრებას ძველებურად განაგრძობს. ახალი მეგობრები ჰყავს, ხომ მოგიყვები ეკლესიის შესახებ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— წავიკითხე შენი პამფლეტი „თვალებსა და ყურებში“. თავი ბიოლოგიის ლექციაზე მეგონა.

— ასეც არის. შესანიშნავი მისტიფიკაციაა. იგი ამას აღმერთებს. თუ გახსოვს „ბერკლის მოედანზე ბულბული ბუგის ცეკვავდა“? ვერაფერი ჩავამატე როზას, დონისა და გრეტას შესახებ, მაგრამ, სიმართლე თუ გინდა, როდესაც ისინი იკრიბებიან, მათ თავს ზემოთ ენერგეტიკული კონუსი ჩნდება, რომლიდანაც ელექტრობა ჩრდილოეთის ციალივით გადმოდის.

— საინტერესოა, ტანსაცმლის გარეშე როგორ გამოიყურებიან, — თქვა ალექსანდრამ. საკუთარი თავის წარმოდგენისას იგი ყოველთვის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ოღონდ არა ისეთში, როგორიც იმ დროს ეცვა.

— საშინელებაა, — ჩაურთო სიუკმა, — გრეტა ერთ-ერთს ჰგავს იმ გერმანელის მოკრუნჩხული გრავიურიდან, რა ჰქვია...

— დიურერი.

— მართალი ხარ. როზა ჯოხივით წვრილია, დონი კი ერთი პატარა უპატრონო ქუჩის ქალი ბავშვივით მომრგვალებული მუცლითა და ბრტყელი მკერდით. ბრენდა — აი, ვინ შეიძლება თვალში ამოვიღოთ, — გამოტყდა სიუკი, — კარგი იქნებოდა იმის გაგება, ედი მხოლოდ საბაბი ხომ არ იყო ჩემი და ბრენდას შეხვედრისთვის.

— მე დავბრუნდი იმ ადგილზე, — გამოტყდა თავის მხრივ ალექსანდრა, — შევაგროვე ყველა დაჟანგული ქინძისთავი და სხვადასხვა ადგილას ვიჩხვლიტე. მაგრამ ჯერაც უშედეგოდ. ექიმი პეტი ამბობს, რომ კეთილთვისებიან სიმსივნესაც კი ვერ ხედავს.

— ოჰ, ძვირფასო, — შესძახა სიუკმა. ალექსანდრა მიხვდა, რომ შეაშინა მეგობარი და მას ყურმილის დადების სურვილი აღუძრა, — მართლაც უცნაური ვინმე ხარ, რას იტყვი?

რამდენიმე დღის შემდეგ ჯეინმა დარეკა და აღშფოთებულმა გამკივანი ხმით თქვა:

— შეუძლებელია, რომ ვერაფერი გაგეგო!

ალექსანდრას სულ უფრო და უფრო უმყარდებოდა ის აზრი, რომ ჯეინი და სიუკი ჯერ ერთმანეთში თათბირობდნენ, მერე კი რომელიმე მათგანი სამუშაოდან თავისუფალ დროს რეკავდა. შესაძლოა, ამის დასადგენად მონეტას აგდებდნენ.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— არც ჯო მარინოსგან? — განაგრძობდა ჯეინი, — ის ხომ შენი ერთ-ერთი მთავარი კრედიტორია.

— მე და ჯო ერთმანეთს აღარ ვხვდებით.

— დასანანია, — თქვა ჯეინმა, — ის ისეთი საყვარელი ჩანდა. ცხადია, მისთვის, ვისაც იტალიური ელფები მოსწონს.

— მას მე ვუყვარდი, — უიმედოდ თქვა ალექსანდრამ, თუმცა იცოდა, რომ ჯეინი მის ნაბიჯს სულელურად თვლიდა, — მაგრამ ხომ ვერ დავუშვებდი, რომ ჩემი გულისთვის ჯინა მიეტოვებინა.

— რა გაეწყობა, — თქვა ჯეინმა, — არც ეს არის ცუდი გზა კარგი სახელის შესანარჩუნებლად.

— შესაძლოა, ასეც იყოს, ჯეინ პეინ. ნებისმიერ შემთხვევაში, ეს იოლი არ არის. ახლა შენი ამბები მომიყევი.

— ეს მხოლოდ ჩემი ამბები არ არის, მთელი ქალაქის ამბებია. ის წავიდა. გაიპარა, ძვირფასო. Il est clisparu.[1]

მისმა მსტვინავმა ბგერებმა ალექსანდრა დაჭრეს, მაგრამ ისინი თითქოს იმ, მეორე სხეულს ესობოდნენ, რომლის გაცოცხლებაც მას მხოლოდ ძილში შეეძლო.

ჯეინის მრისხანე, ნაწყენი კილოს მიხედვით ალექსანდრამ გამოცნობა სცადა:

— ბობ ოსგუდი?

— დარილი, ძვირფასო. გამოფხიზლდი, გეთაყვა. ჩვენი ძვირფასი დარილი. ჩვენი მეთაური. ვინც მოწყენილობისგან გვიხსნა. და ქრის გებრიელიც თან წაიყვანა.

— ქრისი?

— ჯერ ერთი, შენ მართალი იყავი. ის იმათნაირი იყო.

— მაგრამ ის...

— ზოგიერთებს ასე შეუძლიათ. მაგრამ ეს მათთვის ნამდვილი არაა. ნორმალური მამაკაცებისგან განსხვავებით, ისინი ილუზიების ტყვეობაში არ არიან.

„Har, bar, diable, diable, saute ici, saute la“, — სულ რაღაც ერთი წლის წინ ფიქრობდა ალექსანდრა. იგი შორიდან სახლს შესცქეროდა და ოცნებობდა. შემდეგ, როცა წყალში მიტოპავდა, მას ის აშფოთებდა, რომ ძალზე მსუქანი და თეთრი თეძოები ჰქონდა.

---

[1] *ის მიიმალა (ფრანგ.).*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— რაც იყო — იყო, — თქვა მან, — რა სულელები ვიყავით, არა?

— უფრო სწორედ, გულუბრყვილოები. აბა, სხვაგვარები როგორ ვიქნებოდით ამ დასაკარგავში? ჩვენმა ქმრებმა აქ დაგვსვეს, და ჩვენც უტყვი ზიზილებივით შემოვრჩით ამ ქალაქს.

— მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ პატარა ქრისი...

— თავიდანვე. ცხადია. მან მხოლოდ იმიტომ იქორწინა ჯეინზე, რომ ის ბიჭი საბოლოოდ ჩაეგდო ხელში, გეფიცები, ორივეს მოვკლავდი, რომ შემეძლოს.

— ოჰ, ასე ნუ ამბობ, ჯეინ.

— მისი ფულიც მიითვისა. ჯენის საცოდავი გროშები დასჭირდა, რათა კრედიტორები ახლოს არ მოეშვა. საავადმყოფოს ანგარიშებს აღარ იკითხავ? ბობის თქმით, ათასგვარი ჭორი დადის. ბანკის თანამშრომლები ამბობენ, რომ ფულს ლენოქსების სახლის საგირავნო ფურცლის მიხედვით აძლევდნენ. იგი მართლაც თვლის, რომ დარჩენილი ქონება, შესაძლოა, სწორედ მოვალეების პრეტენზიების დაკმაყოფილებისთვის აღმოჩნდეს საკმარისი, თუ რეკონსტრუქციის მსურველები გამოჩნდებიან. შესანიშნავი სახლია კონდომინიუმისთვის[1] დაგეგმარების განყოფილების მიერ პროექტის დამტკიცების შემთხვევაში. ბობი თვლის, რომ ჰერბი პრინზის დარწმუნება სავსებით რეალურია, მას ხომ შეუძლია საკუთარ თავს ამგვარი, ძვირად ღირებული ზამთრის არდადეგები მოუწყოს.

— მთელი ლაბორატორია აქ დატოვა? საღებავი, რომელიც მზის ენერგიას გარდაქმნის...

— როგორ ვერ ხვდები, ლექსა? მსგავსი არაფერი ყოფილა. ეს ჩვენ მოვიგონეთ.

— როიალი? ხელოვნება?

— ჩვენ ხომ წარმოდგენა არ გვაქვს, მათი საფასური დაფარული იყო თუ არა. ცხადია, მათ შორის, შესაძლოა, რაიმე ძვირფასი ნივთიც აღმოჩნდეს. მაგრამ ამ „ხელოვნების“ უდიდეს ნაწილს ჩალის ფასიც კი არა აქვს. მხედველობაში მაქვს პინგვინების ფიტულები და ზედ მოყრილი მანქანის საღებავი...

— მას ეს მოსწონდა, — თქვა ერთგულმა ალექსანდრამ, — მჯერა, რომ არ თვალთმაქცობდა. ხელოვანი იყო და სურდა, რომ ჩვენც

[1] *კონდომინიუმი — უძრავი ქონების ერთობლივად ფლობა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შემოქმედებით ვყოფილიყავით დაკავებულნი. თვითონაც ქმნიდა. გაიხსენე შენი მუსიკა, მთელი ეს ბრამსი, რომელსაც ერთად ასრულებდით, სანამ შენმა საშინელმა დობერმანმა ვიოლონჩელო არ დაღრღნა, თვითონ კი გაზულუქებული ბანკირივით იქცეოდი.

— სულელი ხარ, — მკვეთრად მიუგდო ჯეინმა და ყურმილი დადო.

ეს დროულიც კი იყო — ალექსანდრას სიტყვები ყელში ეჩხირებოდა, თვალზე ცრემლი მოსდგომოდა.

ერთი საათის შემდეგ სიუკმა დარეკა წარსული სოლიდარობის გამოვლინების მიზნით, მაგრამ მან მხოლოდ ამის თქმა შეძლო:

— ღმერთო ჩემო. ეს პატარა ბედუკულმართი ქრისი. მისგან ორი გადაბმული სიტყვაც კი არ გამიგონია.

— ვფიქრობ, მას უნდოდა ჩვენი შეყვარება, — თქვა ალექსანდრამ, რომელსაც მხოლოდ დარილ ვან ჰორნზე შეეძლო საუბარი, — მაგრამ ვერ მოახერხა.

— ჯენიზე რას იტყვი? მისი შეყვარებაც უნდოდა?

— შესაძლებელია, იმიტომ, რომ იგი ძალიან ჰგავდა ქრისს.

— სამაგალითო ქმარი იყო.

— იქნებ სხვების დასანახავად თამაშობდა.

— საკუთარ თავს ერთ რამეს ხშირად ვეკითხები, ლექსა. მან, ალბათ, კარგად იცოდა, ჯენის რასაც ვუკეთებდით...

— განაგრძე. ილაპარაკე.

— გამოდის, რომ მის სურვილს ვასრულებდით...

— როცა მას ვკლავდით, — დაამატა ალექსანდრამ.

— დიახ, — თქვა სიუკმა, — ვინაიდან მას არ უნდოდა, რომ ქალს ხელი შეეშალა, როდესაც ურთიერთობები იურიდიულად გააფორმეს და ყველაფერი შეიცვალა.

ალექსანდრამ ფიქრი სცადა: რახანია, ტვინი აღარ დაეძაბა. შესაძლებლისა და სავარაუდოს უჩინარ ლაბირინთებში ხეტიალი ფიზიკურ სიამოვნებას ჰგვრიდა.

— თუმცა არა მგონია, რომ დარილს ეს წინასწარ ჰქონოდა გათვლილი. მას სხვადასხვა სიტუაციაში იმპროვიზება უხდებოდა და ღრმად არ ითვლიდა, — ლაპარაკის დროს ალექსანდრა მას სულ უფრო მკაფიოდ ხედავდა, შიგნიდან გრძნობდა მის ნაკლს, ნაიარევებსა თუ სიცარიელეს; ქალის სულმა ხმაურიან მარტოობაში

www.PDF.ChiaturaINFO.GE

გადაინაცვლა, — მას არ ჰქონდა საკმარისი ნიჭი რაიმეს შესაქმნელად. მხოლოდ იმის გამოთავისუფლება შეეძლო, რითაც სხვა ადამიანები იყვნენ დაჯილდოებულნი. ჩვენ შემთხვევაშიც ასე იყო: მის ჩამოსვლამდე საკანეც გვქონდა და ნიჭიც გაგვაჩნდა. ვფიქრობ, — განაგრძო მან, — დარილს სურდა, რომ ქალი ყოფილიყო, როგორც თავადვე აღნიშნა, მაგრამ ესეც კი ვერ შეძლო.

— ესეც კი, — ირონიულად გამოეხმაურა სიუკი.

— ეს ყველაფერი სევდის მომგვრელი უფროა, ამას გულწრფელად გეუბნები.

ალექსანდრას კვლავ შეუღიტინა ყელში, თვალზე ცრემლი მოადგა. ეს შეგრძნება და სწრაფვა აზროვნების გააქტიურებისკენ იმედის მომცემი და მტკიცე დასაწყისი იყო. იგი ბედს მინდობილი აღარ მიჰყვებოდა მდინარის დინებას.

— იქნებ ამან ცოტათი დაგამშვიდოს, — უთხრა მას სიუკმა, — სავსებით შესაძლებელია, რომ ჯენი ძალიანაც არ განიცდიდა აღსასრულის მოახლოებას. მას შემდეგ, რაც ფიდელიც დარილთან ერთად გაიქცა, რებეკას საღერღელი აეშალა. იგი „ნემოში“ ჰყვებოდა, რომ ჩვენი წასვლის შემდეგ იქ თურმე ისეთი ამბები ხდებოდა, რომ კაცს თმა ყალყზე დაუდგებოდა. როგორც ჩანს, ჯენისთვის ქრისისა და დარილის ზრახვები საიდუმლოს არ წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც გათხოვება გადაწყვიტა.

— საბრალო გოგონა, — თქვა ალექსანდრამ, — იგი იმ სრულყოფილ, შესანიშნავ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელთათვისაც ჩვენს სამყაროში ადგილი ძნელად მოიძებნება, — ბრძენი ბუნება ასეთებს ყოველთვის მიაძინებს ხოლმე.

— ფიდელიც კი შეურაცხყოფილი იყო, — განაგრძო სიუკმა, — მაგრამ როდესაც რებეკამ დარჩენა სთხოვა, მან მიუგო, რომ მისი ოცნება სულაც არ იყო ასთაკვების ჭერით თავის რჩენა ან „დეიტა-პროუბში“ ხელზე მოსამსახურედ ყოფნა. ასე რომ, რებეკაც გულმოკლული დარჩა.

— ოჰ, ეს კაცები, — მჭევრმეტყველურად წარმოთქვა ალექსანდრამ.

— განა ისინი კაცები იყვნენ?

— როგორ მიიღო ეს ხალხმა? მაგალითად, ჰელიბრედებმა.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ცუდად. როზას კინაღამ ისტერიკა დაემართა, როდესაც იმ საშინელ ფინანსურ საქმეებში ქმრის მონაწილეობის შესახებ შეიტყო. ბუნებრივია, ართური დაინტერესებულა დარილის თეორიით სელენიუმის შესახებ, პარტნიორული ხელშეკრულებაც კი დაუდვია ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. დარილს მოსწონდა, როდესაც ადამიანებს ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას აიძულებდა. ახლა როზას ისე სტკივა ზურგი, რომ იატაკზე გაშლილ მატრასზე უხდება წოლა, ართურს კი ხმამაღლა აკითხებს რაღაც ისტორიულ რომანებს, და ისიც გაპარვას ვეღარ ახერხებს.

— მართლაც აუტანელი ქალია, — თქვა ალექსანდრამ.

— საზიზღარი, — დაემოწმა სიუკი, — ჯეინი ამბობს, თავი ფოლადის ნაქლიბით დაფარულ გამომშრალ ვაშლს უგავსო.

— ჯეინი როგორაა? დღეს დილით ძალზე გაღიზიანებული ჩანდა.

— მან მითხრა, რომ ბობ ოსგუდი ერთ საოცარ კაცს იცნობს პროვიდენსში, ჰოუფ-სტრიტზე, რომელსაც მისი „ჩერუტის“ წინა დეკას გამოცვლა შეუძლია ტემბრის შეუცვლელად. იგი ჰიპია, ფილოსოფიის დოქტორთა იმ წრიდან, ხელოსნებად რომ მიდიან მშობლების ჯინაზე, ანდა სისტემის თუ სხვა რამის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მაგრამ ჯეინმა ვიოლონჩელო მწებავი ლენტით გადაახვია და დაღეჭილ ინსტრუმენტზე უკრავს, ამბობს, ასე უფრო ადამიანური ჟღერადობა აქვსო. ნევროზით დაავადებულ პარანოიკს დაემსგავსა. ვთხოვე, ცენტრში შევხვდეთ და სადმე წავიხემსოთ-მეთქი, საკონდიტროში ან თუნდაც „ნემოში“, რებეკა ხომ ამ ყველაფერში ჩვენ აღარ გვადანაშაულებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეშინია, რომ ისინი დაინახავენ: ბრენდა, დონი და გრეტა. მე მათ ხშირად ვხვდები პორტის ქუჩაზე. ვუღიმი და საპასუხოდ ისინიც მიღიმიან. ჩვენ აღარაფერი გვაქვს გასაყოფი. სახეზე საშინელი ფერი ადევს, — დაუბრუნდა იგი ჯეინს, — ცარცივითაა გათეთრებული, არადა, ჯერ ოქტომბერი არ დამდგარა.

— მალე ოქტომბერია, — თქვა ალექსანდრამ, — გულწითლებმა უკვე დატოვეს აქაურობა, ღამით კი გადამფრენი ბატების ყვირილი ისმის. წელს პომიდორი აღარ შემიგროვებია: ყოველთვის, როცა სარდაფში ჩავდივარ, საწებლით სავსე ქილების ჯარი საყვედურით მომჩერებია. ამ საძაგელ ბავშვებს ოღონდ მაკარონს ნუ აჭმევ, თუმცა უნდა ვაღიარო, რომ ისინი მართლაც ბევრ კალორიას შეიცავენ, რომელიც არაფერში მჭირდება.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

— ნუ სულელობ. შენ გახდი. ამას წინათ დაგინახე, როცა სუპერმარკეტიდან გამოდიოდი — რედაქციაში შევყოვნდი, ინტერვიუს ვიღებდი პორტის ახალი უფროსისგან, საოცრად არასოლიდური და გაბღენძილი კაცისგან, თუმცა მხრებამდე თმაჩამოშვებული ბიჭია, ტობიზე ახალგაზრდაც კი, — შემთხვევით ფანჯარაში გამოვიხედე და გავიფიქრე: — ლექსა გადასარევად გამოიყურება-მეთქი. თმა გრძელ ნაწნავად დაგეხვია და ირანული ფარჩის...

— ალჟირული.

— ალჟირული ჟაკეტი გეცვა, შემოდგომაზე რომ ატარებ ხოლმე, გრძელი თასმით კი კოული მიგყავდა.

— პლაჟზე ვსეირნობდი, — თქვა ალექსანდრამ, — კარგი ამინდი იყო, ნიავიც კი არ ქროდა.

თუმცა მათ ცოტა კიდევ წაილაყბეს, ურთიერთობაში უწინდელი სითბოს აღდგენა სცადეს — ორი დამყოლი და მოწყვლადი ქალის მესამის წინააღმდეგ პირის შეკვრის შემდეგ, მაგრამ ალექსანდრას ინტუიციამ შეუცდომლად უკარნახა და სიუკმაც ნაღვლიანად იგრძნო, რომ ეს ყველაფერი უკვე ნათქვამი იყო.

და აი, დგება წელიწადის ის დალოცვილი დრო, როდესაც იცი, რომ უკანასკნელად გიწევს მდელოს გაკრეჭა. ადრე ალექსანდრას უფროსი ვაჟი, ბენი, ბაღს უვლიდა და ჯიბის ფულს ამით გამოიმუშავებდა, მაგრამ ახლა იგი სკოლაში დაბრუნდა, გაკვეთილების შემდეგ კი ცდას არ აკლებდა, რომ ფეხბურთში დამწყები ლანს ოლვორტი[1] გამხდარიყო — დარბოდა, ვარჯიშობდა, დახტოდა, გაჭიმული თითების ბოლოებით ძლიერად დარტყმული და მიწიდან სამ მეტრზე ამხტარი ტყავის ბურთის ძალას შეიგრძნობდა. მარსი ცოტაოდენ ფულს „საკონდიტროს ყავის კუთხეში“ ოფიციანტად მუშაობით შოულობდა. ახლა საღამო იდგა და იგი კლიენტებს ემსახურებოდა. სამწუხაროდ, ბოლო დროს გოგონა სუპერმარკეტის წინ მობირჟავე თმაგაჩეჩილი, უზნეო ბიჭებიდან ერთ-ერთს დაუკავშირდა. ორი უმცროსი, ლინდა და ერიკი, შესაბამისად, მეხუთე და მეშვიდე კლასში სწავლობდნენ. ერიკის საწოლქვეშ ალექსანდრამ წყლიანი ქაღალდის ჭიქა, მასში კი სიგარეტის ნამწვები აღმოაჩინა.

---

[1] *ოლვორტი, ლანს (დაიბ. 1940) — ამერიკული ფეხბურთის ცნობილი ოსტატი.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ახლა იგი აქეთ-იქით დააგორებდა მოღმუილე და კვამლისმფრქვეველ სათიბელა „ტოროს“, რომელშიც ზეთი მას მერე არ შეეცვალათ, რაც ოზმა სახლი გაარემონტა. მინდორზე მოფანტული ტირიფის ფოთლები ჩიტის ბუმბულს ჰგავდა, პატარა ბორცვებში თხუნელებს ზამთრისთვის გვირაბები გაეყვანათ. ალექსანდრამ იქამდე ატარა „ტორო“, სანამ ბენზინი სულ არ დაწვა, რათა მომავალ გაზაფხულზე კარბიურატორი არავის დაენაგვიანებინა. ერთი პირობა ძველი, ჭუჭყიანი ზეთის გადაღვრაც დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან მეტისმეტი მოუვიდოდა — დაქირავებულ მუშას დაემსგავსებოდა.

აქეთობას, საბაღე ინვენტარით გავსებული ფარდულიდან სამზარეულოსკენ მიმავალმა, გზად სახელოსნოში შეიარა და მის მიერ დაყენებულ არმატურაში, ბოლოს და ბოლოს, ის დაინახა, რისთვისაც შექმნილი იყო, — ქმარი. უხეშად შეკრულ და მავთულით გადაბმულ ხის თამასებში (ორ-ნახევარი ხუთ სანტიმეტრზე და ხუთი ათ სანტიმეტრზე) არსებული კუთხოვნება, რაც მას ოზშიც მოსწონდა, სანამ იგი მისი ქმარი გახდებოდა, დროთა განმავლობაში გასწორებულიყო. მას გაახსენდა, როგორ ეჯახებოდა იგი ქმრის იდაყვებსა და მუხლებს ერთად ცხოვრების პირველ წლებში, როდესაც კაცს კოშმარები აწუხებდა. ალექსანდრას უყვარდა კიდეც ქმარი იმ ღამის კოშმარებისა და იმის აღიარების გამო, თუ როგორ თავზარს სცემდნენ ისინი მას, როცა მის თვალწინ მთელი ცხოვრება გადაიშლებოდა ყველა დიდი თუ პატარა პრობლემით. მათი თანაცხოვრების ბოლოსკენ ოზს მკვდარივით ეძინა, ოფლიანობდა და ოდნავ ქშინავდა.

ალექსანდრამ თაროდან მისი ნაირფერი მტვერი აიღო და ცოტა გადმოყარა არმატურის მხრებისთვის განკუთვნილი ფიჭვის კუთხოვან ძელაკზე, ზომით ორი ოთხზე. თავი და სახე ფეხებზე ნაკლებად აღელვებდა. მამაკაცში ყველაზე დიდ მნიშვნელობას კიდურებს ანიჭებდა. რაც უნდა ყოფილიყო შუაში, მის იდეალურ მამაკაცს უნდა ჰქონოდა გრძელი და ნატიფი ტერფები — ქრისტეს ფეხები, ძარღვიანი, გრძელთითებიანი, ჩიტივით მსუბუქი, და მუშაობისგან გაუხეშებული, ფართო ხელები. დარილის გარეგნობაში ყველაზე მძიმე შთაბეჭდილებას მისი რეზინის მსგავსი ხელები ახდენდა.

თავდაპირველად ალექსანდრამ თავისი იდეების განსხეულება თიხით დაიწყო, შემორჩენილი სუფთა თეთრი კაოლინით, რომელიც

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ქოვენთრიში ქვრივი ქალის უკანა ეზოში აიღო. ცალ-ცალი ხელი და ფეხიც საკმარისი იყო, ფრაგმენტულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარი დასრულებული ნამუშევარი კი არა, ჰაერში დახაზული და იმ ძალებისადმი გაგზავნილი შეტყობინება იყო, რომლებსაც ხელებისა და თითების შექმნა უმცირესი ფალანგებისა და შემაერთებელი ბოჭკოების დონეზე შეეძლოთ, ძალებისადმი, რომლებიც, ძველსკანდინავიური რაინდებიდან დაწყებული, ანატომიის ყველა სასწაულს უხვად ახდენდნენ. თავისთვის მან საშუალო ზომის გოგრა აიღო, რომელიც მეოთხე გზატკეცილთან მდებარე ფარდულში იყიდა. ეს საკაჭრო პუნქტი წელიწადში ათი თვის განმავლობაში უიმედოდ მიგდებულ-მიტოვებული იყო და მხოლოდ მოსავლის აღების დროს გამოცოცხლდებოდა ხოლმე. ალექსანდრამ გოგრას გული ამოაცალა და შიგ ოზის მტვერი ჩაყარა, მაგრამ არც ისე ბევრი, ვინაიდან მისი ასახვა მხოლოდ ყველაზე მთავარში სურდა. როდ-აილენდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინგრედიენტის შოვნა თითქმის შეუძლებელი იყო: დასავლეთის ნიადაგისა, ერთი მუჭა მშრალი ქვიშიანი მიწისა, რომელზეც სალბი იზრდება. აღმოსავლეთის სანაპიროს ნოტიო ქვიშნარი აქ არ გამოდგებოდა. ერთხელ მუხნარის ქუჩაზე მან შემთხვევით პიკაპი შეამჩნია კოლორადოს ნომრებით, მიუახლოვდა და უკანა ნაწილიდან ცოტაოდენი მოწითურო-მოყავისფრო შემხმარი ტალახი მოფხიკა, შინ წაიღო და ოზის მტვერს შეურია.

გოგრისთვის კოვბოის შლაპა სჭირდებოდა, ამიტომ თავისი „სუბარუთი“ პროვიდენსს გაემგზავრა თეატრალური კოსტიუმების მაღაზიის საძებნელად, რომელიც ბრაუნ-კოლეჯის სტუდენტებს სპექტაკლებისთვის, კარნავალებისა და საპროტესტო დემონსტრაციებისთვის კოსტიუმებით ამარაგებდა. იქ ჩასულმა მოულოდნელად გადაწყვიტა, რომ როდ-აილენდის დიზაინის საღამოს სკოლაში შესულიყო სასწავლებლად, რადგან, როგორც მოქანდაკე-პრიმიტივისტმა, თავისი თავი ამოწურა. სხვა სტუდენტები თავიანთ შვილებზე ახალგაზრდები ნამდვილად არ იქნებოდნენ. მისი ყურადღების ცენტრში ერთი მასწავლებელი მოხვდა, კერამიკოსი ტაოსიდან, ჯიმი, ორმოცს გადაცილებული გამხდარი, კოჭლი მამაკაცი, საკმაოდ შელახული ცხოვრებისეული ქარიშხლებისგან. არც ამ უკანასკნელს გამორჩენია მხედველობიდან ჯანსაღი, ცოტა არ იყოს, პირუტყვისეულად მგრძნობიარე ქალი (ჯო მარინომ ზუსტად მოარტყა, რო-

www.PDF.ChiaturaINFO.GE

დესაც მას ფური შეარქვა). რამდენიმე სასწავლო სემესტრისა და განშორების შემდეგ, ისინი დაქორწინდნენ და ჯიმმა იგი შვილებიანად კვლავ დასავლეთისკენ წაიყვანა, სადაც გაცილებით სუფთა ჰაერი იყო, ჯადოქრობას კი ჰოპისა და ნავახოს შამანები მისდევდნენ.

— ღმერთო ჩემო, იქნებ გამიმხილო შენი საიდუმლო? — სთხოვა მას სიუკმა გამგზავრების წინ.

— ეს გაზეთში გამოსაჭენებელი საკითხი არაა, — მკაცრად მიუგო ალექსანდრამ.

სიუკი ახლა „ვორდის“ რედაქტორი გახლდათ და, ომის შემდგომი დროის სულისკვეთების შესაბამისად, ყოველ კვირას ჭორებს, აღიარებებს, პასკვილებს, ობივატელურ მითქმა-მოთქმებს ბეჭდავდა, ცალკეული პიროვნებების ცხოვრების დეტალებსაც ურცხვად აშზეურებდა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, დახვეწილი გემოვნების კლაიდ გებრიელს ალბათ გული გაუსკდებოდა.

— გონებაში შენი მომავალი ცხოვრება უნდა წარმოიდგინო, — გამოუტყდა სიუკს ალექსანდრა, — და მაშინ ეს მოხდება.

სიუკმა ჯადოქრობის ამ ხერხის შესახებ ჯეინს უამბო. მშვენიერმა, მაგრამ ბრაზიანმა ჯეინმა, რომელსაც ავი და ბუზღუნა შინაბერას ბედი ელოდა, მის მოწაფეებს კი ფორტეპიანოს შავი და თეთრი კლავიშები ძვლებად და ჯოჯოხეთურ წყვდიადად, მკვდარ, სასტიკ და მრისხანე არსებად ეჩვენებოდათ, პასუხად წაისისინა, რომ ალექსანდრა, კარგა ხანია, ალარ იყო ის დაიკო, მის ნდობას რომ იმსახურებდა.

მაგრამ ნელ-ნელა, თვით სიუკისგანაც ფარულად, მან შეკრიბა ვიოლონჩელოს ნაწილები — ერთმა ჰიპმა-რესტავრატორმა ჰოუფ-სტრიტიდან წინა დეკა შეუცვალა, — მარენგოს ფერის ძველ, მამისეულ სმოკინგში გაახვია, ერთი ჯიბე იმ ბალახის ნარჩენებით გატენა, რადაც მისი სოფლის სახლის სარდაფში ჩამოკიდებული სემ სმარტი გადაიქცა, მეორეში კი დახეული ოცდოლარიანი კუპიურისგან გაკეთებული კანფეტები ჩაყარა, — იგი დაიღალა, საშინლად დაიღალა უფულობისგან, — და სმოკინგის ჯერ კიდევ მბრწყინავ ფართო ნაკეცებს თავისი სუნამო, შარდი და მენსტრუალური სისხლი აპკურა. მერე ეს უცნაური სუნის მქონე შელოცვილი ამულეტი მტვერსასრუტის პლასტიკურ პარკში მოათავსა და მატრასსა და ზამბარებს შორის მოათავსა. ამიერიდან ღამით ჯეინი ამ უსწორმასწორო, კუზიან მატრასზე იძინებდა. იანვრის ერთ საშინლად ცივ

www.PDF.ChiaturaINFO.GE

შაბათს იგი ბეკ-ბეიში გაემგზავრა დედის მოსანახულებლად. ჩაიზე მათ სრულიად ნორმალური, ცოტათი დაბალი, სმოკინგსა და ადუღებული ფისივით მოლაპლაპე ლაქის ფეხსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი შემოესწროთ. აღმოჩნდა, რომ იგი მშობლებთან ერთად ჩესტნატ-ჰილში ცხოვრობდა და ტავერნ-ქლაბში გამართულ ზეიმზე აპირებდა წასვლას. მას მძიმე ქუთუთოები და სიამის კატასავით უცნაურად ცისფერი, გადმოკარკლული თვალები ჰქონდა. იგი მალე წავიდა, მაგრამ ჯეინს გადაუკრა, რომ ცოლი არ ჰყავდა და ის ქალები, ვისთან არშიყობაზეც ყაბულს იყო, სათვალავში არ აგდებდნენ, როგორც თავგადაკლულ პიწკია და ზედმეტად არასექსუალურს (თუმცა არც გეი ეგონათ). ჯეინში არსებულმა რაღაც ბნელმა, ენერგიულმა და უწმინდურმა მისი სხეულისა და სულის ის მთვლემარე ნაწილი გამოაღვიძა, რომელსაც სიყვარული შეეძლო. ჩვენ სხვადასხვა დროს ვიღვიძებთ, უმშვენიერესი ყვავილები კი სიცოვეში იფურჩქნებიან. კაცის შზერამ ჯეინში მარჯვე და მრისხანე პოტენციური მმართველი დაინახა, რომელიც შეძლებდა გონივრულად განეკარგა „ჩიპიდადეილის“ სტილის ან დუნკან ფაიფის[1] ნახელავი ანტიკვარული ავეჯი, შავი, გალაქული, მაღალი ჩინური საფანვალი,[2] სარდაფებში სამარკო ღვინის ბოთლებით სავსე ყუთები, ფასიანი ქაღალდები და სუფრის ვერცხლეული, რომლებიც მას ერთ მშვენიერ დღეს მშობლებისგან მემკვიდრეობით უნდა რგებოდა. თუმცა ჯერჯერობით ორივე მათგანი ცოცხალი იყო, ისევე, როგორც ორი ბებია, წელში გამართულები, წლიდან წლამდე უცვლელნი, როგორც ბროლი ჯონ მილტონისა[3] და სეილემის ალქაჯების[4] დროინდელ, კუთხეში მდგარ კარადებში. ოჯახის მაღალი მდგომარეობა, კლიენტთა მოთხოვნები, რომელთა თანხებსაც იგი მორიდებულად განკარგავდა მაკლერის როლში, და მისი დელიკატური, ალერგიისადმი მიდრეკილი ნატურის (თავი უნდა აერიდებინა რძისთვის, შაქრისთვის, ალკოჰოლისა და ნატრიუმისთვის) მოთხოვნილებები, ეს ყოველივე დიასახლისის არსე-

---

[1] *ფაიფი, დუნკან (1768-1854) — ცნობილი ამერიკელი ძვირფასი ავეჯის დურგალი, მუშაობდა მანჰეტენში.*

[2] *საფანვალი — რაფა ძვირფასი ჭურჭლეულისთვის.*

[3] *მილტონი, ჯონ (1608-1674) — ინგლისელი პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე და მოაზროვნე.*

[4] *გახმაურებული სასამართლო პროცესი ალქაჯების წინააღმდეგ 1692 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პატარა ქალაქ სეილემში.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ბობას მოითხოვდა. მეორე დილით იგი ვიზიტით ეწვია ჯეინს, სანამ ქალი ტალახით მოსვრილ „ველიანტეში“ ჩაჯდომას მოასწრებდა, და საღამოსთვის „კოპლიბარში“ დაპატიჟა. ჯეინმა უარით უპასუხა, მალე კი, როგორც სურათებიან წიგნში არის ხოლმე აღწერილი, აგურის სახლებით გაშენებულ რაიონს ქარბუქი დაატყდა თავს და მას კარგა ხნით დაყოვნება მოუხდა. საღამოს კაცმა კვლავ დაურეკა და მომდევნო დღისთვის თოვლით დაფარულ რიტცში მიიწვია. ჯეინი მთელი ძალით ეწინააღმდეგებოდა, კაწრავდა და ნესტრავდა თავისი მომაკვდინებელი ენით, მაგრამ კაცს მოსწონდა მისი საუბრის მანერა და საბოლოოდ მან ქალი თავის ტყვედ აქცია ბრუკლინში ჰ. ჰ. რიჩარდსონის[1] ერთ-ერთი მოწაფის პროექტის მიხედვით ფოლადისა და ქვისგან ნაგებ კოშკებიან სახლში.

სიუკი იქამდე ყრიდა ჯავზის ფხვნილს ხელის მრგვალ სარკეზე, სანამ მასზე მხოლოდ მომწვანო თვალების ოქროსფერი ნაპერწკლები არ დარჩა, აგრეთვე მკვეთრად შეღებილი მაიმუნისებრი თვალები, თუკი თავს ოდნავ გადახრიდა. ამ ტუჩებით, საზეიმო ჩურჩულით წაიკითხა მან სერნუნოსისადმი[2] მიმართული უხამსი ლოცვა, შემდეგ მოხვეტა სამზარეულოს მაგიდიდან გაცრეცილი, უჯრედებიანი, პლასტიკური ხელსახოცები და ნაგავში გადაყარა, რომელიც სამშაბათს უნდა წაეღოთ. მეორე დღეს გაზეთის რედაქციაში განცხადების გამოსაქვეყნებლად კონექტიკუტელი წითურთმიანი მოხდენილი მამაკაცი გამოცხადდა: იგი ჯიშიან ვაიმარანერს ეძებდა თავის დედალ ძაღლთან დასაწყვილებლად. უცნობმა საუთვიკში კოტეჯი იქირავა და იქ თავის პატარა ბავშვებთან ერთად ცხოვრობდა (კაცი ცოტა ხნის წინ განქორწინებულიყო — ცოლს დახმარებოდა, რომ მოწიფულ ასაკში სამართლის სკოლაში შესულიყო, სასამართლოში მისი პირველი საქმე კი აღმოჩნდა საკუთარი განცხადება ქმრის მხრიდან მისდამი სასტიკი მოპყრობის შესახებ). საბრალო კაცმა გადაწყვიტა, ამ პაპანაქებაში აქ ჩამოსულიყო. მისი ძაღლიც იტანჯებოდა. მამაკაცს გრძელი, ოდნავ მოღუნული ცხვირი და კლაიდ გებრიელივით სევდიანი ინტელიგენტის აურა ჰქონდა, თავდაჭერილობით

---

[1] *რიჩარდსონი, ჰენრი ჰობსონ (1838-1886) — ამერიკელი არქიტექტორი, ეროვნული არქიტექტურული ტრადიციების ფუძემდებელი.*

[2] *სერნუნოსი — ძველი კელტების ნაყოფიერების ღმერთი, რომელსაც გველის სახე ჰქონდა.*

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ცოტათი ართურ ჰელიბრედს წაგავდა. კუბოკრულ კოსტიუმში ზედმეტად დაძაბული მოჩანდა, როგორც ბრჭყვიალა სამშვენისების გამყიდველი ნიუ-იორკის ჩრდილოეთიდან, ან მომღერალი, რომელიც სცენაზე მოძრაობის დაწყებამდე ბანჯოს აჩხაკუნებს. სიუკის მსგავსად, მასაც უნდოდა, რომ საინტერესო ადამიანად წარმოეჩინა თავი. იგი სტემფორდიდან ჩამოსულიყო, სადაც საბავშვო საქონლით ვაჭრობდა, ყიდდა და მომსახურებას უწევდა ეგრეთ წოდებულ ტექსტურ პროცესორებს. ახლა სიუკი სწრაფად წერდა რომანებს თავის კომპიუტერზე, თითის რამდენიმე დარტყმით აადგილებდა აბზაცებს, ცვლიდა გმირების სახელებს და გამოთქმების ლექსიკონში შეჰქონდა, რათა კიდევ არაერთხელ გამოეყენებინა ისინი სტანდარტული ვნებებისა და კრიზისული სიტუაციების აღსაწერად.

სიუკი უკანასკნელი იყო სამ მეგობართაგან, რომელმაც ისთვიქი დატოვა. მისი ნარჩენი გამოსახულება — ნარინჯისფერი თმით, ზამშის მოკლე ბოლოკაბით, ჩვილის საფენს რომ ჰგავდა, გრძელი ხელებითა და ფეხებით, ტელევიზორის ეკრანის მსგავსად, პორტის ქუჩაზე მდებარე მაღაზიების ვიტრინებზე შემორჩენილიყო. თვალებშიც ასე რჩება მქრქალი გამოსახულება კაშკაშა საგნის ყურების შემდეგ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახლა პორტის იმ ახალგაზრდა უფროსს, მისი ბოლო საყვარელი რომ იყო, ღიპი დასდებია, სამი შვილი ჰყავს, ჯერაც ახსოვს, როგორ ჰკბენდა სიუკი მას მხარზე და ეუბნებოდა, შენს კანზე ზღვის ნისლის მარილიანი გემო მომწონსო. პორტის ქუჩა ხელახლა მოკირწყლეს და გააფართოეს, ცხენების ძველი წყალსასმელიდან პორტის მოედნამდე, როგორც მას ყოველთვის ეძახდნენ, ყველა ზიგზაგი გაასწორეს. ქალაქს ახალი მცხოვრებნი შეემატნენ, ზოგიერთი ახლა ლენოქსების ძველ სახლში ცხოვრობს, რომელიც, ფაქტობრივად, მრავალბინიან კორპუსად გადაკეთდა. ჩოგბურთის კორტი კვლავ ფუნქციონირებს, ოღონდ სახიფათო ექსპერიმენტებს ბრეზენტის გასაბერი გუმბათით აღარავინ ატარებს. ნაკვეთზე მთელი რიგი სამუშაოები ჩაატარეს, ფსკერი გააღრმავეს, ბინების დამქირავებელთა მოსაზიდად დოკი და იახტების პატარა სადგომი ააშენეს. თეთრი ყანჩები აქ ბუდეს აღარ იკეთებენ. დამბა აამაღლეს, ყოველ ორმოცდაათ იარდში სადრენაჟო მილები ჩააწყვეს, ამიტომ აღარ იტბორება, თუმცა ერთხელ ეს მაინც მოხდა — 1978 წლის თებერვლის შტორმის დროს. ჰავა, ზოგადად, უფრო რბილი გახდა, ჭექა-ქუხილმაც იკლო.

www.PDF.ChiaturaINFO.GE

ჯენი გებრიელი მშობლებთან ერთად განისვენებს კოკუმსკუსოკის სასაფლაოს ახალ ნაწილში გრანიტის ფილისა და აკურატულად გაკრეჭილი ბალახის ქვეშ. მისი ძმა, კომიქსებით გატაცებული და ანგელოზური გარეგნობის ქრისი, ნიუ-იორკის სოდომმა შთანთქა. იურისტები თვლიან, რომ დარილ ვან ჰორნი გამოგონილი სახელია. თუმცა ამ გვარზე რამდენიმე პატენტია დარეგისტრირებული. ახლანდელი მრავალბინიანი სახლის მობინადრეები ჰყვებიან შელებილი ხის რაფების იდუმალ ტკაცუნზე და ბზიკებზე, რომლებიც, რაღაცით შეშინებულები, მოულოდნელად იხოცებიან.

ჭუშმარიტება წარსული სიძნელეების შესახებ სარდაფებშია ჩამარხული, ძველი ქაღალდებით სავსე ყუთებში, რომლებიც ამ მოკლე დროშიც კი ნაწილობრივ შლამით დაიფარა და არავის აინტერესებს. საინტერესო მხოლოდ ისაა, რასაც ჩვენი მეხსიერება ინახავს, კვალი, რომელიც ჩვენი ცხოვრებისგან რჩება. ალქაჯები წავიდნენ, გაქრნენ, ჩვენ მხოლოდ მათი ცხოვრების ნაწილი ვიყავით, ისინი კი — ჩვენისა. მაგრამ როგორც სიუკის მომწვანო-მოცისფრო აჩრდილი განაგრძობს ხეტიალს მზიან ქვაფენილზე, ახალამოსული მთვარის ფონზე კი შავებში გამოწყობილი ჯეინი გადაიფრენს მსუბუქად, ასევე ხმები იმ დღეების შესახებ, როდესაც ისინი ხორცშესხმულნი ცხოვრობდნენ ჩვენ შორის, მშვენივრები და, ამავე დროს, აკაცობების ჩამდენნი, უცხო ადამიანის თვალში ქალაქის სახელწოდებას განსაკუთრებულ არომატს აძლევს. ჩვენთვის კი, აქაურებისთვის, დარჩა რაღაც უხილავი და ამაღელვებელი, რასაც ვერ ჩავმწვდარვართ. ჩვენ მას მუხნარის ქუჩისა და ჰემლოკ-სტრიტის კუთხეში ვხვდებით, იგი არც მაშინ გვანებებს თავს, როდესაც მკვდარ სეზონში პლაჟზე ვსეირნობთ, ატლანტის ოკეანე კი თავის შავ სარკეში ტენით გაჯერებულ, მკვრივ, ნაცრისფერ ღრუბლებს ირეკლავს, — მითქმა-მოთქმას სხვისი ცხოვრების შესახებ, რომელიც კვამლივით ადის ჰაერში და ლეგენდად იქცევა.

წიგნის ელექტრონული ვერსია
მოამზადა: აკაკი ციცქიშვილმა

www.PDF.ChiaturaINFO.GE

სარჩევი

თავი პირველი
ალქაჯთა საბუდარი 7

თავი მეორე
ავკაცოგა..... 145

თავი მესამე
ბრალეულოგა..... 249

www.PDF.ChiaturaINFO.GE